ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი

ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია,
საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები

გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს
† ვალერი სილოგავამ,
ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ,
ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა

2012



ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი – რუსთაველის ფონდი
(შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი)

RUSTAVELI FOUNDATION FOR GEORGIAN STUDIES, HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES
(SHOTA RUSTAVELI NATIONALE SCIENCE FUNDATION)

პროექტის დაფინანსება დაიწყო ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში – რუსთაველის ფონდში და დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (რუსთაველის ფონდი). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

The designated project was lounched at the Georgian Studies, Humanities and Social Sciences Foundation and was accomplished by the financial support of the Shota Rustaveli Nationale Science Foundation (Rustaveli Foundation). Any idea in this publication belongs to the authors and may not represent the of the Shota Rustaveli Nationale Science Fundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

THE CORPUS OF JAVAKHETI EPIGRAPHIC MONUMENTS

КОРПУС ЭПИГРАФИЧЕСКИХ ПАМЯТНИКОВ ДЖАВАХЕТИ

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაზა ალექსიძე

რეცენზენტები:
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაზა სხირტლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ქავთარია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა ცხადაია

გამომცემლობა „ნეკერი", 2012

ISBN 978-9941-436-22-2

წიგნში შესწავლილია საქართველოს ერთ-ერთი მხარის – ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს VI–XIX საუკუნეებს. ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. ძირითად ნაწილში განთავსდა შემდეგი თავები: ჯავახეთის ისტორიული საზღვრები, ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ისტორიოგრაფიული ნარკვევი და წარწერათა პალეოგრაფიული ანალიზი, ჯავახეთის ეპიგრაფიკის სახისმეტყველება; მეორე ნაწილში ორი დამატებაა, პირველში იბეჭდება ცალკეული ეპიგრაფიკული წარწერის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერი სილოგავას სამეცნიერო შრომები, რომელთა ნაწილი პროექტით იყო გათვალისწინებული და საგანგებოდ ამ წიგნისთვის დაიწერა; აგრეთვე, მის მიერ ჯავახეთის წარწერების შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია; მეორე დამატებაში შევიდა ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიიდან და ნარკვევი ჯავახეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრების შესახებ. წიგნს ერთვის ჯავახეთის ეპიგრაფიკული წარწერებისა და ტოპონიმიის შესახებ შედგენილი ბიბლიოგრაფია, რომელშიც იბეჭდება საგანგებოდ ამ წიგნისათვის შედგენილი სომხური სამეცნიერო მასალის ბიბლიოგრაფია და წარწერათა ფოტოები.

In the book there is studied the lapidary inscriptions of the ancient part of Georgia Javakheti, and they are dated VI-XIX centuries. The book consist of two parts. the main part in which there are several chapters: the historical boarders of Javakheti, the lapidary corpus of Javakheti, historiographic essay and analysis of epigraphical writings, the symbols of epigraphic. there are two additions in the second part, in first one there are published scientific researches by Valeri Silogava about some writings kept in Javakheti, the part of this research was considered by the project and was especially written for this book. Also there are some articles written by him in different period about writings from Javakheti, in the second addition there are researches about toponyms of Javakheti and essay about theological and literary centres of Javakheti. There is added bibliography about Javakheti's epigraphical writings and there is also published bibliography of Armenian scientific materials made especailly for this book and the tables of captions.

სარჩევი

წინასიტყვაობა (ნესტან სულავა) 7

თავი I.

ჯავახეთის ისტორიული საზღვრები *(მერაბ ბერიძე)* 11

თავი II.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია *(ლია ახალაძე)* 17

თავი III.

ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები
(აღწერილობა, გამოცემები, ტექსტები) *(ვალერი სილოგავა, ლია ახალაძე)* 26

თავი IV.

ჯავახეთის სომხური ლაპიდარული წარწერები *(როინ ყავრელიშვილი)* 134

თავი V.

ჯავახეთის ეპიგრაფიკის საკითხები *(ლია ახალაძე)* 147

თავი VI.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფიული მიმოხილვა *(ლია ახალაძე)* 160

თავი VII.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების სახისმეტყველება *(ნესტან სულავა)* 169

დამატება I.

- ახალქალაქის წარწერები *(ვალერი სილოგავა)* 175

  კუმურდოს წარწერები *(ვალერი სილოგავა)* 180

  ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის
  შესახებ XI ს. საქართველოში (მირაშხნის წარწერა) *(ვალერი სილოგავა)* 209

  სათხის წარწერები *(ვალერი სილოგავა)* 235

  განძანის წარწერის „მანგლაფას“ შესახებ *(ვალერი სილოგავა)* 239

საქართველოს ეკლესიის ორი სიწმინდე *(ვალერი სილოგავა)* 243

რუსთველური ლექსი-წარწერა სამცხიდან (1103 წ) *(ვალერი სილოგავა)* 249

სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ („მრავალთავი", X, 1983) *(ვალერი სილოგავა)* 267

დამატება II.

- ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიიდან *(მერაბ ბერიძე)* 263

ჯავახეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები *(ნესტან სულავა)* 346

ბიბლიოგრაფია 387

The Corpus of Javakheti Epigraphic Monuments *(ინგლისურად თარგმნა გულნარა ჯანოვამ)*..... 420

Корпус эпиграфических памятников Джавахети *(რუსულად თარგმნა ეთერ ბერუაშვილმა)*... 423

საძიებლები 426

შემოკლებანი .456

პირობითი ნიშნები 456

ტაბულების აღწერილობა .457

ტაბულები 461

წინასიტყვაობა

ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე მის სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს ისტორიულ მხარეებს შორის ჯავახეთი (დღევანდელი ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ნაწილობრივ ასპინძის რაიონები), როგორც თანამედროვე საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო ზოლზე მდებარე მხარე, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ქართული და უცხოენოვანი ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური დატვირთვის მქონე კუთხეა, რომელიც ოდითგანვე ქართველებით დასახლებული ტერიტორია იყო. ჯავახეთის გზით შემოვიდა ჩვენში წმ. ნინო, რომლის მოღვაწეობის შედეგად გავრცელდა საქართველოში ქრისტიანობა და ეპოქალური სულიერი სიახლე დამკვიდრდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზითვე შემოდიოდნენ საქართველოს სამხრეთიდან მოძალადე მტრები – არაბები, ბიზანტიელები, სელჯუკები, მონღოლები, ოსმალები... XIX საუკუნის 20-იან წლებში ამ მხარეში შემოვიდა და დასახლდა სომხური მოსახლეობის დიდი ტალღა, რაც რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო. ცხადია, ყოველივე ამან თავისი კვალი დაამჩნია აქაურობას, პირველ რიგში, მის მატერიალურ და სულიერ ძეგლებს.

ჯავახეთი, საქართველოს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მხარე, მდიდარია წერილობითი კულტურის ძეგლებით, რომელთა შორის სიმრავლით ეპიგრაფიკული ძეგლები გამოირჩევა. ჯავახეთის წარწერების კვლევის ისტორია უკვე საუკუნენახევარზე მეტს მოითვლის. წარწერების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით სხვადასხვა დროს რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია ჩატარდა, აღირიცხა და შესწავლილ იქნა ცალკეული ლაპიდარული თუ ფრესკული წარწერა, შეიქმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მაგრამ საკითხი კომპლექსურად არ შესწავლილა. ამ ბოლო წლებში ამიტომაც გახდა იგი საგანგებო კვლევის საგანი და პრობლემის კომპლექსური კვლევის დამუშავება-შესწავლის საკითხიც აქტუალურად დაისვა.

2009 წელს რუსთაველის ფონდმა დაამტკიცა სამეცნიერო საგრანტო პროექტი „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი და აღიარებული ისტორიკოსი, პროფესორი ვალერი სილოგავა. აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, შემდეგ თსუ მესხეთის ფილიალში, შემდგომში ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მან აღმოაჩინა მანამდე უცნობი წარწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია, ახლებურად გაიაზრა და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით გაანიხილა ჯავახეთში არსებული მრავალრიცხოვანი წარწერა, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ცნობები შემოგვინახეს. პროექტი ითვალისწინებდა ჯავახეთის პრობლემატიკის კომპლექსურ შესწავლასა და კვლევას, კერძოდ, ეპიგრაფიკული ძეგლების აღრიცხვას, ბიბლიოგრაფიის შედგენას, წარწერების ტექსტების დადგენას, ჯავახეთის ტოპონიმიის მოძიებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას, ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრების საქმიანობის შესწავლას. საკვლევი პრობლემატიკა პროექტში მონაწილე მეცნიერთა შორის მათი პროფესიული კომპეტენციების მიხედვით განაწილდა. პროექტს ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვალერი სილოგავა, შემსრულებლები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ბერიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნესტან სულავა და ისტორიის დოქტორი როინ ყარელიშვილი.

2011 წლის 17 მარტს ვალერი სილოგავას მოულოდნელმა გარდაცვალებამ პროექტის განხორციელების საშიშროება შეგვიქმნა; საბედნიეროდ, მას დარჩა მდიდარი საარქივო მასალა, რამაც პროექტზე მუშაობის გაგრძელებისა და დასრულების შესაძლებობა მოგვცა. მას მომზადებული ჰქონდა გეგმა-პროსპექტი, თუ როგორ უნდა განლაგებულიყო წიგნში, ერთი მხრივ, ეპიგრაფიკული ძეგლები და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, მეორე მხრივ, სამეცნიერო შრომები, რომელთა ნაწილი პროექტის ფარგლებში დაიწერა, ნაწილი ადრეც იყო გამოქვეყნებული[1]. მას საამისოდ სვანეთის, სამეგრელო-აფხაზეთის, კუმურდოს, ბოლნისის, ბეთანიის, გარეჯის

1 აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონ ვალერი სილოგავას შრომები ჯავახეთის ცალკეული ეპიგრაფიკული ძეგლის შესახებ უცვლელად იბეჭდება.

მრავალწყაროს, ოშკისა და სხვა ისტორიულ-კულტუროლოგიური ღირებულების მქონე ძეგლების წარწერების გამოცემისა და კვლევის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. ცხადია, ყოველივე ეს ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის გამოსაცემად მომზადებისა და წარწერების წარმატებული მეცნიერული შესწავლის გარანტი იყო.

ბატონ ვალერი სილოგავას გარდაცვალების შემდეგ რუსთაველის ფონდის ნებართვით, ნაშრომის დასრულების მიზნით პროექტზე სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. პროექტში ერთ-ერთ შემსრულებლად შემოყვანილ იქნა ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე, რომელმაც ვალერი სილოგავას ხელმძღვანელობით დაასრულა ასპირანტურის კურსი და წარმატებით დაიცვა დისერტაცია აფხაზეთის ეპიგრაფიკის, როგორც საისტორიო წყაროს, შესახებ. არსებული საარქივო მასალის საფუძველზე, მან საკმაოდ მოკლე დროში შეძლო ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის გამოსაცემად მომზადება. მანვე შეადგინა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ქრონოლოგიური ცხრილი, ზოგად ასპექტებში განსაზღვრა ეპიგრაფიკული ძეგლების პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

ჯავახეთის ეპიგრაფიკის შესწავლა დიდი ხნის, თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ფრაგმენტულად მიმდინარეობდა ჩვენში არსებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გამო. აწყური სასაზღვრო ზოლად იყო მიჩნეული და შლაგბაუმი იდგა, რაც სამცხე-ჯავახეთში სამეცნიერო ინტერესებით გასვლას საკმაოდ აფერხებდა. ამიტომ ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საშურ საქმედ არის მიჩნეული, რათა წარწერების სახით ამ მხარეში შემონახული საისტორიო წყაროები სამუდამოდ არ დაიკარგოს.

როგორც ცნობილია, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების, მატერიალური კულტურის ძეგლებზე არსებული ძველი ქართული წერილობითი ნიმუშების მოძიება-შეკრება, გამოსაცემად მომზადებისათვის მუშაობა და შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო. წარწერებისადმი მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა, რის გამოც პრობლემის კვლევას თანმიმდევრული, სისტემური ხასიათი არ ჰქონია. აგრეთვე, წარწერების ფიქსაციის იმდროინდელმა მეთოდმა და საშუალებებმაც შეაფერხა წარწერათა სრულყოფილად წაკითხვა და ტექსტების დაზუსტება. ჯავახეთის ადგილობრივი ინტელიგენცია, ძირითადად სოფლის მასწავლებლები, არ იყო საკმარისი საუკუნეების განმავლობაში აქ შექმნილი ქართული წერილობითი ძეგლების შესასწავლად. XIX საუკუნის ცალკეული საგაზეთო პუბლიკაცია, აგრეთვე, ივ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი ახალქალაქის მაზრის წარწერების არასრული კრებული მათ შესახებ მთლიან წარმოდგენას ვერ იძლეოდა. არც XX საუკუნეში შექმნილა მონოგრაფია ჯავახეთის უნიკალური, მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. 30-იან წლებში ნიკო ბერძენიშვილის მიერ შეკრებილი მასალა, ისიც 1964 წელს გამოქვეყნებული, მოსამზადებელი სამუშაო იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვასილ ცისკარიშვილის მონოგრაფიას „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო“, რომელშიც სპეციალური კვლევის საგანი იყო ლაპიდარული, ანუ ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები და ნაკაწრი წარწერები. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „ქართული წარწერების კორპუსის“ ორტომეულის შედგენა, რომლის I ტომში განთავსდა მასალა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ, თუმცა, არასრული სახით. გამოქვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო კრებული და ნაშრომი, რომლებშიც ცალკეული ეპიგრაფიკული ძეგლია შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა პუბლიკაციის სახით, მისი კომპლექსურად შესწავლის აუცილებლობა და საჭიროება მრავალმხრივ აქტუალურ პრობლემად დარჩა. წინამდებარე ნაშრომში ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები კორპუსის სახით ქვეყნდება, რაც თითოეული წარწერის პასპორტის, კერძოდ, წარწერის აღწერილობას, პალეოგრაფიულ ანალიზს, მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის აღნუსხვასა და ბიბლიოგრაფიის შედგენას გულისხმობს.

ჯავახეთმა მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფიკული ნიმუში შემოგვინახა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახეთის ქართული წარწერების რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, ეს წარწერები ჟამთა სიავეს რომ არ წარეხოცა, ან ზოგჯერ, არცთუ შემთხვევით, სპეციალურად, ისტორიის გაყალბების მიზნით ჩვენი ქვეყნის მტრებს არ გაენადგურებინათ და არ გადაეფხიკათ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯავახეთის ძველი სოფლების ნაწილი ამჟამად გაუკაცრიელებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბევრი წარწერა სამუდამოდ დაიკარგა. წლები გადის, ძეგლები ზიანდება, ადრეული დროიდან ცნობილი ბევრი წარწერა იკარგება, ბევრსაც სხვადასხვა გამოცემაში არასწორი, ხშირად ქართული კულტურის საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია ეძლევა. ამიტომ, აუცილებელი გახდა ჯავახეთში დღემდე შემორჩენილი ძველი ქართული წარწერების ერთიანი პრინციპის მიხედვით შესწავლა, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით მათი სრული კრებულის (შესაძლებლობისამებრ), ანუ ლაპიდარული წარწერების კორპუსის შედგენა და როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ისე ფართო მკითხველისათვის მისი წარდგენა. ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ქართველოლოგიურ მეცნიერებაში პირველადაა ერთად თავმოყრილი სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციაში გაფანტული და ახლად მიკვლეული მრავალრიცხოვანი ლაპიდარული წარწერა, რომელთა რაოდენობა 200-ზე მეტია. ცალკეული საკითხის შესწავლის პროცესში ჯავახეთის მხარეში აქამდე უცნობი მრავალი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი გამოვლინდა.

ჯავახეთის ეპიგრაფიკულ კორპუსზე ჯგუფის მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: 1. უწინარეს ყოვლისა, სამეცნიერო, სპეციალურ და სხვა სახის ლიტერატურაში ცნობილი ჯავახეთის წარწერების აღრიცხვა (ბიბლიოგრაფიული სამუშაო), წარწერების კატალოგის შედგენა და დალაგება ანბანზე სოფლების გეოგრაფიული სახელების მიხედვით; 2. თითოეული წარწერისთვის, რომელთა საერთო რაოდენობა 200-ზე მეტია, ცალკე ბიბლიოგრაფიის შედგენა. წარწერების ქრონოლოგია, წინასწარი მონაცემებით, მოიცავს VI-XIX სს; 3. წარწერების ადგილებზე შესწავლა, რაც გულისხმობდა საველე მუშაობას, ცალკეული წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, აზომვითი სამუშაოების ჩატარებას, ტექსტის დადგენას; 4. წარწერების ფოტოგრაფირება თანამედროვე ფოტოსაფიქსაციო აპარატურით და ამ გზით ჯავახეთის ქართული წარწერების ფოტოფონდის შექმნა; 5. ჯავახეთის ტოპონიმიის აღწერა-ფიქსაცია და მათ შესახებ არსებული გადმოცემების შეკრება-გაანალიზება; 6. ჯავახეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრებში შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა; 7. საბოლოოდ მთელი ეს მოპოვებული და მეცნიერულად გაფორმებული მასალა წინამდებარე წიგნის სახით წარედგინება ეპიგრაფიკის, წყაროთმცოდნეობის, ტოპონიმიკის, ლიტერატურის სპეციალისტებსა და პრობლემით დაინტერესებულ მკითხველებს. მოპოვებული მასალა საყრდენი ბაზა იქნება ჯავახეთის ძველი ქართული წარწერების წყაროთმცოდნეობითი შესწავლისათვის.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსზე მუშაობის პროცესში ძეგლების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ლაპიდარული წარწერების ცალკე შესწავლისა და გამოცემის აუცილებლობა. ეს ნაწილობრივ, განაპირობა ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის მსოფლიო გამოცდილებამ და ქართველოლოგიაში დამკვიდრებულმა ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერათა კორპუსების ცალ-ცალკე გამოცემის ტრადიციამ.

პარალელურად, ჯავახეთის ეპიგრაფიკის პრობლემის სრულყოფილად განხილვისათვის საჭირო გახდა ჯავახეთის ტოპონიმიკის პრობლემატიკის, ჯავახეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრების, ჯავახეთში შექმნილი ხელნაწერი კრებულებისა და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული თხზულებების შესწავლა. ჯავახეთის ტოპონიმიკა მოიცავს ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ნაწილობრივ ასპინძის რაიონების ტოპონიმური მასალის შეკრებასა და მეცნიერულ დამუშავებას მათი ეტიმოლოგიური კონტექსტის წარმოჩენით. ამ მასალის შეკრება-დამუშავებას ენიჭება არა მხოლოდ ენობრივი, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც. საქართველოში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთიანობის საფუძველზე შექმნილი ტოპონიმია სხვადასხვა სახისაა. გენეტიკური თვალსაზრისით ქართულ-ქართველური ტოპონიმების გვერდით თანაარსებობენ არაქართული ტოპონიმებიც. ზოგჯერ ისეა უცხოური სიტყვის მიხედვით შექმნილი ტოპონიმი გაქართულებული, რომ მისი ძირის მიკვლევა საკმაოდ რთულ ეტიმოლოგიურ ძიებებს მოითხოვს. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტოპონიმიის კვლევა, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჯავახეთის, როგორც საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო მხარის, ტოპონიმიას. მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის გამო საშურ საქმედაა მიჩნეული თითოეული ტოპონიმის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოდგენა და გააზრება. ამიტომ ჯავახეთის ტოპონიმიის კვლევისას, ქართული წარმომავლობის ტოპონიმებთან ერთად, საგანგებოდაა განსახილველი სომხური, არაბული, რუსული წარმომავლობის ტოპონიმები.

ჯავახეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების წიაღში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში დაიწერა მნიშვნელოვანი ორიგინალური საღვთისმეტყველო და ლიტერატურული თხზულებები, თხზულებათა ნაწილი ითარგმნა უცხო ენებიდან, გადაინუსხა მრავალი ხელნაწერი, ჩამოყალიბდა რამდენიმე საღვთისმეტყველო კრებული. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემონახული პოეტური ნაწარმოებები, რომელთა ავტორები არიან ქალები – ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, შაღაბანი სულთანი, გულქან შალიკაშვილი, ხვარამზე. სწორედ აქაა დაცული შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ანა რჩეულაშვილის ხელით წარწერილი ორი სტროფი, რასაც რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში, კერძოდ, პოემის ტექსტის ისტორიისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ეს მთელი საუკუნის – XV საუკუნის II ნახევრისა და XVI საუკუნის I ნახევრის მანძილზე ქართული ლიტერატურის განვითარებაზე თვალის გადევნების შესაძლებლობას იძლევა; აგრეთვე, იგი ქართული ფოლკლორის იმ დროისათვის წერილობით დადასტურებულ ნიმუშებს ინახავს. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები გენდერული პრობლემის თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი.

ლაპიდარული წარწერები მრავალმხრივი ღირებულების ცნობებს გვაწვდიან. ისინი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას. მათ ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულებაც აქვთ. წარწერათა შემსრულებლები სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით და, შესაბამისად, წარწერები ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ, წარწერათა დამკვეთების, შემსრულებლების, ხუროთმოძღვართა აზროვნების დონესა და მსოფლმხედველობას წარმოაჩენენ. აგრეთვე, თითოეული წარწერა ქართული ენის განვითარების ისტორიულ გზასაც ასახავს და აჩვენებს, რომ თითოეული მათგანი წარწერის შექმნის ეპოქაში არსებული სალიტერატურო-მწიგნობრული ენობრივი ნორმების შესაბამისად იქმნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა კოლექტივი შეეცადა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა არსებული მასალები, დარწმუნებული ვართ, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევა მომავალშიც გაგრძელდება და ეს უძველესი მხარე სამეცნიერო საზოგადოებას და მის გულშემატკივარს მრავალ სიახლეს, მრავალ აღმოჩენას შესთავაზებს.

დასასრულს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების (რუსთაველის) სამეცნიერო ფონდს პროექტის განხორციელების დროს შექმნილი რთული ვითარებისას მხარდაჭერისათვის, ყველა იმ პიროვნებას, ვინც დახმარება გაუწია პროექტის შემსრულებლებს წიგნის გამოსაცემად მომზადებაში. მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ქალბატონ თინა გელაშვილისადმი, რომელმაც მისდამი რწმუნებული უნივერსიტეტის თანამშრომლებს ხელი შეგვიწყო პროექტზე მუშაობაში. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ წიგნის რედაქტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს, ბატონ ზაზა ალექსიძეს, რეცენზენტებს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ ზაზა სხირტლაძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ მიხეილ ქავთარიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ პაატა ცხადაიას, რომელთა საქმიანი რჩევები და შენიშვნები დაგვეხმარა წიგნის სრულყოფაში; ფილოლოგიის დოქტორს, ქალბატონ გულნარა ჯანოვას რეზიუმეს ინგლისურად თარგმნისათვის, ქალბატონ ეთერ ბერუაშვილს რეზიუმეს რუსულად თარგმნისა და ბატონ ვალერი სილოგავასთვის ფრანგულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ქართულად მიწოდებისათვის; ნინო მეურმიშვილს, ია ღადუას, ლიკა ღამბაშიძეს გამოცემის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის; ხათუნა გაფრინდაშვილს სომხური მასალის მეცნიერულად გამართვისათვის; ბექა კოპაძეს წარწერათა ფოტოფიქსაციისათვის, ლელა მირცხულავას და კახა კვაშილავას ფოტოების გამოსაცემად დამუშავებისათვის; მაია აღდგომელაძე-მიქელაძეს და მერუჟან აბრამიანს ტექნიკური საქმიანობის გაწევისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ გიორგი ბაგრატიონს წიგნზე გაწეული შრომისა და წიგნის მომზადებისას გამოჩენილი დიდი მოთმინებისათვის. წინასწარ მადლობა ყველას, ვინც საქმიანი შენიშვნებით შეეცდება ხელი შეუწყოს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევას შემდგომ ეტაპზე.

ნესტან სულავა

თავი I

ჯავახეთის ისტორიული საზღვრები

მერაბ ბერიძე

ჯავახეთი საქართველოს უძველესი კუთხეა. ლეონტი მროველი ქართველთა მითოლოგიური წინაპრების დახასიათებისას, ჯავახოსს ქართლოსის ძის ძედ ასახელებს, რომელსაც მცხეთოსმა „მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა“. აქედან მოყოლებული ჯავახეთი უდიდეს როლს თამაშობდა საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯავახეთის, უფრო ზუსტად, ჯავახთა სიძლიერე-სიმდიდრეზე ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოს ყოფა.

ჯავახეთის საზღვრების დადგენისათვის პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ *ივანე ჯავახიშვილის* შეხედულება საქართველოს კუთხეების, ანუ ქვეყნების შესახებ: „საქართველო შესდგებოდა რამდენიმე „ქვეყანისა“-გან, რომელთაც თავ-თავიანთი სახელები და თავ-თავიანთი საზღვრები ჰქონდათ... ამ ქვეყანათა სახელებიცა და საზღვრებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკურ ან ეროვნულ ვითარებისდა მიხედვით იცვლებოდნენ... მაგრამ არსებობდა მაინც თითოეული ქვეყნის მუდმივი მკვიდრი საზღვრები, რომელთ შუა იყო ხოლმე იგი შემოფარგლული. საქმე ამ მუდმივი საზღვრების გამოკვლევაა იმ ისტორიული ხანისათვის..., რომლის შესწავლაც ჩვენს მიზანს შეადგენს. პირდაპირი ცნობები ამ საგანზე არსად მოიპოვება, მაგრამ ამისათვის, ვგონებ, გამოსადეგი უნდა იყოს ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ქართველთა სხვადასხვა ტომთა ვითომც წინაპართა სამფლობელოები. იქ, სადაც, მაგ., ქართლოსის, კახოსის, კუხოსის, ეგროსის და სხვათა... რა საზღვრებიც თითოეულს ამ ქვეყანათაგანს ავტორის დროს (X–XI სს.) და წინათაც მიკუთვნებული ჰქონია. ამგვარის ხერხით, მე მგონია, შეიძლება მკვლევარმა გამოარკვიოს საქართველოს თითქმის ყველა ქვეყნის საზღვრები“[1].

ჯავახეთი მცხეთოსის ძის – ჯავახოსის სამფლობელოა ***ლეონტი მროველის*** მიხედვით, ამის გამო, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ავტორის მიერ დადგენილი ჯავახეთის საზღვრები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის მიერ გამოყოფილი საქართველოს კუთხეთა ისტორიული საზღვრები ივ. ჯავახიშვილზე ბევრად უფრო ადრე გაითვალისწინა ***ვახუშტი ბატონიშვილმა*** „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“. ვახუშტის მიერ გამოყოფილი საზღვრები რეალურია არა მარტო XVIII საუკუნის საქართველოსათვის, არამედ ისტორიულადაც, რამდენადაც ავტორი ლეონტი მროველს ეყრდნობა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მონაცემებს და იმ ფაქტსაც, რომ ამა თუ იმ „ქვეყნის“ საზღვრებთან დაკავშირებით მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა და დღევანდელი სურათიც ისტორიულად უფრო რეალურად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, ჯავახეთის, როგორც ისტორიული, ასევე დღევანდელი საზღვრების დადგენისას ერთნაირად უნდა გაეწიოს ანგარიში როგორც ლეონტი მროველისა და ვახუშტის ცნობებს, ასევე დღევანდელ ვითარებას.

საფიქრებელია, რომ „ქვეყანათა“ სტაბილური საზღვრები შემოგვინახა იმ ეთნოგრაფიულ-დიალექტურმა ოდინდელმა მთლიანობამ, რომელსაც დროთა განმავლობაში ვერ ცვლიდა ადმინისტრაციული გაფართოება თუ შემცირება.

ჯავახეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი, კერძოდ, თრიალეთი, „მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“[2].

„სამცხე-ჯავახეთის საზღვარი „ფანავრითგან“ იწყებოდა და გასდევდა ქედს: მთა **თავკვეთილი, შავნაბადა, კოდიანის მთა**, ტბა **ტაბისყურისა**, მთა **შარვაშეთისა**. ჯავახეთში შედიოდა თაეფარავნის

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 28.

2 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 318.

სამხრეთ სანაპიროზე მდებარე სოფლები: **ფოკანი, მახაროვანი, განძანი,** ტბის დასავლეთით სოფ. **შაორი, ფარავანა** და სხვა. თავფარავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს ქართლის საზღვარი სწვდებოდა, შესაძლებელია მისი ნაწილი ქართლსაც ეკუთვნოდა და ტბა შუაზე იყო გაყოფილი, ასევე ითქმის **ტაბისყურის** ჩრდილოეთ ნაწილზე"[3].

ივ. ჯავახიშვილი უფრო ზოგადად განიხილავს ჯავახეთის აღმოსავლეთის საზღვარს: „ამ ქვეყნის საზღვრები რომ გამოვარკვიოთ, უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ „ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა... არს ჯავახეთი და კოლა არტაანი"-ო. რაკი კოლა და არტაანი სამხრეთით მდებარეობენ, ამიტომ ფარავნის ტბა, რასაკვირველია, ჯავახეთის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საზღვარი უნდა იყოს. ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი მარტო ფარავნის ტბით ვერ განისაზღვრება"[4].

ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი ფარავანზე და ტაბისყურზე გადიოდა ყოველთვის. „გეოგრაფიულად ზემო ჯავახეთში მყოფი ფარავანი პოლიტიკურად ქართლში იგულისხმებოდა. ნინოს ცხოვრების ავტორისათვის იგი „ჯავახეთის მთებშია", რასაც იმეორებენ ***ლეონტი*** და ***სუმბატ დავითის ძეც***. ამავე დროს ჯავახოსის წილს ქართული წყაროები ფარავნის დასავლეთიდან იწყებენ, ხოლო ვახუშტი ტაბისყურსაც და ფარავანსაც თრიალეთში აღწერს"[5].

სამცხისა და ჯავახეთის სასაზღვრო ხაზის დადგენა კოდიანიდან მტკვრამდე დიდი სიზუსტით ხერხდება ვახუშტის მიხედვით. ჯავახეთს ეკუთვნის **კოდიანი**, რომელიც ესაზღვრება სამცხეს, **კოდიანის მთები** ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია. აქედან მოყოლებული საზღვარი გადის **ოთის** თავზე, შემდეგ კი საზღვრის თანმიმდევრობა ასე მიჰყვება: **ბოქთა, ღართა, შორეთა** (ტაიჭა), **კოხტა** (ტამალა), **ტამალის წყალი** („კოხტის ხევი"), მტკვრის მარჯვენა ნაპირი **ნიჯგორამდე**.

სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე ივ. ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს: „ბაგრატიონთა მემატიანე ამბობს: მოკლეს ნასრა ხევსა სამცხისასა სოფელსა ასპინძას"-ო. მაშასადამე, ასპინძა სამცხეში ყოფილა"[6].

ვახუშტი დაბეჯითებით მიჰყვება მტკვრის ნაპირს სამცხისა და ჯავახეთის საზღვრის გასაყოფად. **ხერთვისი**, მისი აზრით, სასაზღვრო ხაზზე მდებარეობს, ამიტომ ამ პუნქტს აღწერს როგორც სამცხეში, ასევე ჯავახეთში. სამცხეში „ამ ჴევს ზეით (იგულისხმება შულავერის ხევი – მ. ბ.) ხერთვისს ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკვარი... ხერთვისს არს ხიდი მტკუარსა ზედა"[7]. ჯავახეთის აღწერასაც ვახუშტი იწყებს ისევ ხერთვისიდან. „ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს და სად ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკურის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკურის სამხრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და დგანან აქ იენგიჩარნი"[8].

როგორც ჩანს, ვახუშტი ხერთვისს სამცხეში ასახელებს ჭაჭარაქის ხევის (ალბათ ჭაჭკრის ხევი – მ. ბ.) ადგილის დასაზუსტებლად, რადგანაც სამცხის აღწერისას იგი არტაანის მტკვარს მიჰყვება, ხოლო **ხერთვისის ხიდი** სწორედ არტაანის მტკვარზე იყო გადებული და არა ჯავახეთისაზე, დღევანდელ ხერთვისსა და ნარმანს შორის. ამასთან, ხერთვისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა და, ბუნებრივია, ვახუშტი მას ჯავახეთში განიხილავს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ხერთვისს ზეითს, **ჭაჭარაქის ხევს** (ჭაჭკრის ხევს – მ. ბ.). **ქარზამეთის ხევს, ქარზამეთსა** და **ვარძიას** კი ვახუშტი სამცხის ფარგლებში მოაქცევს. წუნდა უკვე ჯავახეთია, ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი. „ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძუელად ქართველი ერის ისტორია, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეითი და წყაროსთავის დასავლით წარსული მცირე გორანი"[9]. „ძველად და ახლა", ალბათ, იგულისხმება მტკვრის ზემო ნაწილი, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა, თორემ ნიჯგორ-ხერთვისს „ზეითი" კვლავ მტკვარს მიჰყვება.

3 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1965, გვ. 270.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983, გვ. 57.

5 დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1985, გვ. 97.

6 ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 56.

7 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 667.

8 იქვე, გვ. 669

9 იქვე, გვ. 671-672.

ვახუშტი ჯავახეთის დასავლეთი საზღვრის დადგენისას ისტორიულ ტრადიციას ითვალისწინებს და „ძველში“ გულისხმობს ლეონტის ცნობას ფარნავაზის მიერ ერისთავების დადგენისა და მათთვის სამფლობელოების გამოყოფის შესახებ: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი“[10]. ვახტანგის შვილები მირდატი და დაჩი „დაეცაჭრნენ“ ერთმანეთს. დაჩიმ მისცა მირდატს „ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე“[11] – წერს ჯუანშერი. ამავეს იმეორებს ვახუშტი „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისაში“: „გაუცვალა დაჩი მეფემან ძმასა თუსსა მირდატს ქუეყანა და დაიპყრა თჳთ ეგრისის იქით დასავლეთის ნაწილი და მირდატს მისცა ჯავახეთი ფანავრიდამ მტკურამდე“[12]. ვახუშტი სამცხე-საათაბაგოს აღწერის შესავალში მცხეთოსის მიერ ჯავახოსისათვის მიცემულ ტერიტორიას ასე საზღვრავს: „ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თუსსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“[13].

ამ შემთხვევაშიც ვახუშტი ისტორიულ ტრადიციას, კერძოდ, ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილ ცნობას ეყრდნობა და განსაზღვრავს ჯავახეთის ფარგლებს „ფანავრითგან“ „მტკურის აღმოსავლეთით“.

შაჰ-თამაზის შემოსევის შესახებ ვახუშტი წერს: „ჩამოვიდა ყეენი, აღიღო ვარძია, თმოგჳ, ვანის ქვაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი და ანყურის ღუთის-მშობელი ტყუეჰყო“[14]. „სრულიად სამცხის ციხეში“ იგულისხმება ზემოჩამოთვლილი ყველა პუნქტი. როგორც ჩანს, ვახუშტი მათ შორის მოაქცევს ვანის ქვაბებსაც, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა. ვახუშტი ციხეებს ჩამოთვლის, ვანის ქვაბები კი მონასტერი იყო და ამიტომ აღარ მიაჩნდა საჭიროდ ისტორიკოსს ამ პუნქტის ლოკალიზაცია, დაკონკრეტება და იმის გახაზვა, რომ ვანის ქვაბები ჯავახეთის ტერიტორიას ეკუთვნის.

ჯავახეთის დასავლეთი საზღვრის გასარკვევად მნიშვნელოვანია XVI საუკუნის ძეგლის „მესხური მატიანის“ ცნობა: „შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსაშუქლებლად, ველარ მოუსწრა. ციხე ორივ წაერთმიენა. ყუელიდამა თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქედამა ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა. ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურგაქს ქაჯის ციხე გაუბარაქიანა. ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა“[15].

მანუჩარი თმოგვიდან მიდის ჯავახეთს. ამრიგად, XVI საუკუნეში თმოგვი ჯავახეთში არ შედის.

„მესხურ მატიანეს“ იყენებს ვახუშტი წყაროდ და იმავე ამბებს შემდეგნაირად აღწერს: „კოკოლამ ყარახან შეიყარა თმოგჳს მოსაშველებლად. არამედ ველარ მოუსწრა, დედისიმედიც ყუელიდამ თმოგუს მოვიდა. იქიდამ მანუჩარ ჯავახეთს წავიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურგაქს ქაჯის ციხე გაუმაგრა საზრდელთა“[16].

დამონმებულ ციტატებში ორი ციხეა დასახელებული – ყუელისა და თმოგვისა, მაგრამ „იქიდამ“ სიტყვაში უეჭველად იგულისხმება თმოგვი და არა ყუელი.

როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიერ სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრის გავლება მტკვარზე ხერთვისს ზევით ნებისმიერი კი არ არის, არამედ ემყარება გარკვეულ ისტორიულ ტრადიციას.

ჯავახეთის დასავლეთ საზღვართან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრება: „სომხურ გეოგრაფიაში“ სხვათა შორის ნათქვამია: მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან კოლას კანიონიდან, დის ჯავახეთის ძირობაზე, ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და მოედინება ქართლის ზემო ქვეყანაზე.

10 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 24.

11 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 205.

12 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 692.

13 იქვე, გვ. 657.

14 იქვე, გვ. 716.

15 ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, (XV-XVI სს.) თბ., 1961, გვ. 47.

16 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 721.

აქედან ცხადია, რომ მტკვრის დასავლეთითაც ჯავახეთია და არა სამცხე, როგორც ეს ვახუშტის ჰგონია (სამცხეში მტკვარი შემდეგ ჩადის)"[17].

საფიქრებელია, რომ მტკვრის „ჯავახეთის ძირობაზე დენა" სწორედ ჯავახეთის დასავლეთ საზღვარზე მიანიშნებს, რომ იმის იქით, მტკვარს იქით, ჯავახეთის საზღვარი აღარ არის. ამ აზრს ისიც ამაგრებს, რომ „სომხურ გეოგრაფიაში" შემდეგ საუბარია მტკვრის მოხვევაზე აღმოსავლეთისაკენ, სადაც ის „მოედინება ქართლის ზემო ქვეყანაზე". მტკვარი კი შუაგულ სამცხეში უხვევს მკვეთრად აღმოსავლეთისაკენ იქ, სადაც ფოცხოვი ერთვის.

ხელოვნურად გვეჩვენება აგრეთვე ქვემო ჯავახეთში მოქცევა ბუზმარეთ-ნიალის ველისა[18].

ბუზმარეთი-სალოშეთი-ლეპისი-ნიალა ისეთივე გეოგრაფიული გარემოთი ხასიათდება, როგორც „მთიანი" ჯავახეთი. ასე რომ, „ზემო" ჯავახეთზე დაბლა აღნიშნული ტერიტორია არ არის.

ტერიტორიის „ზემო" და „ქვემო" ნაწილებად დაყოფა ტოპონიმიაში უეჭველად უკავშირდება გეოგრაფიულად მაღლა („ზემოთ") და, შესაბამისად, დაბლა მდებარე ერთეულებს. ზემო, როგორც წესი, უფრო მთიანეთს ნიშნავდა. გარდა ამისა, ასეთი დაყოფის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდინარე, რომლის სათავეში, ზემო წელში მდებარე ტერიტორიულ ერთეულს „ზემოს" არქმევდნენ, შედარებით დაბლა მყოფს – „ქვემოს". ასეთი დაყოფის კლასიკური მაგალითია ქართლის სამ ნაწილად დანაწილება: *ზემო ქართლი* მტკვრის სათავეში მდებარე ქართლი, ანუ მესხეთი იყო. საინტერესოა ერთი ფაქტიც: მას შემდეგ, რაც მესხეთი მოსწყდა საქართველოს, ზემო ქართლმა შედარებით ქვემოთ ჩამოინაცვლა და ბორჯომის ხეობას ეწოდებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნიალა-ბუზმარეთი ქვემო ჯავახეთად ვერ ჩაითვლება. ნიალა-ბუზმარეთი არც რაიმე მდინარის მიხედვით, არც სიმაღლის მიხედვით არ უპირისპირდება „ზემო" ჯავახეთს. მეტიც შეიძლება ითქვას: ნიალა-ბუზმარეთის მხარის ზოგიერთი ისტორიული პუნქტი „ზემო" ზედსართავ სახელს დაირთავს: ზედა ვარძია, ქვედა ვარძიის საპირისპიროდ; ზედა თმოგვი, ქვედა თმოგვის საპირისპიროდ; ზედა ვარნეთი – ქვედა ვარნეთი და სხვ. და, თუ მაინც აუცილებლად ჩავთვლით ჯავახეთის დაყოფას ზემო და ქვემო ნაწილებად, მხოლოდ ბარის ჯავახეთის სახელდება შეიძლება ქვემო ჯავახეთად.

ბარის ჯავახეთი კი იყო მტკვრისა და ჯავახეთის მტკვრის ჯავახეთი, რომელიც უპირისპირდებოდა მთიან ჯავახეთს როგორც რელიეფით, ისე კლიმატითა და სამეურნეო პირობებით.

ქვემო ჯავახეთად არის მიჩნეული ერუშეთის ის ნაწილი, რომელიც ამჟამად საქართველოშია: „დასავლეთით ჯავახეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც ვრცელდებოდა, აქ საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის გადიოდა წყალგამყოფ მთებზე, რომლებიც სამცხის ხევებს ჩრდილოეთით უქცევდა პირს, ჯავახეთისას კი სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით. ეს მთებია კასრისა და გუმბათისა, სადაც ქარზამეთის ხევი იღებს სათავეს, ყარაჩაგილა და თოხლიურთი ბუზმარეთის მიდამოებში და ვანის მთა, რომლის განშტოება დადეშსა და ბნელასთან ჩამოდის მტკვარზე"[19].

ყველა ზემოდასახელებულ მთასა თუ მთიანეთს ვახუშტი ერუშეთისას უწოდებს: „ასპინძის ჴევის შესართავს ზეით მოერთვის მტკუარს ვარენთის ჴევი, გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად"... „კუალად მტკუარს მოერთვის კოხტის ჴევის შესართავის ზეით დადეშის ჴევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა".

„ამ ჴევის შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ მტკუარს მოერთვის შულავრის ჴევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა". ამ ხიდს „ზეით (იგულისხმება ხერთვისის ხიდი – მ. ბ.) მოერთვის მტკუარს ჭაჭარაქის ჴევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევს ზეით მოერთვის მტკუარსვე ქარზამეთის ჴევი, გამომდინარე მისივე მთისა და მომდინარე აგრეთვე"[20].

ვახუშტის მიხედვით, ვარნეთის, დადეშის, შულავრის (დღევანდელი ანალურა, ანუ შოლოსწყალი), ჭაჭარაქის (ჭაჭკრის) და ქარზამეთის ხევები გამოსდის ერუშეთის მთას, მაგრამ, სამცხეში ერთვიან

17 ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 90.

18 იქვე, გვ. 93-94.

19 იქვე, გვ. 83.

20 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 667.

მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. ასე რომ, ერუშეთის მთებია: **ზიარეთი** (დადეშ-ერკოტისა), **ტრანძა** (როკეთისა), **გუნდი** (შალოშეთისა), **ვანის მთა**, თურქეთის საზღვარზე, ირმის რქა (დიდი და პატარა), **საყევარი** და **ჯინჭრობი**.

ერუშეთისა და სამცხის საზღვარი გრძელდება ფოცხოვის სათავეებამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ერუშეთის ნასოფლარებია: **შალოშეთი, გუნდი, ბუზმარეთი, ვანი, საყევარი, ჯინჭრობი.**

ამრიგად, ჯავახეთი აღმოსავლეთით ესაზღვრება თრიალეთ-ქართლს, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით – სამცხეს, სამხრეთ-დასავლეთითა და დასავლეთით – თურქეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთით – სომხეთს.

საქართველოს ერთიანობის დროს ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი სხვადასხვა დროს ხან წუნდა იყო, ხან თმოგვი, ხან ახალქალაქი, ეს მაშინ, როდესაც ჯავახეთი ისტორიული ზემო ქართლის, მესხეთის თუ სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში ერთ ადმინისტრაციულ, ეთნიკურად შეკრულ ერთეულს წარმოადგენდა.

ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ჯავახეთი შედიოდა გურჯისტანის ანუ ჩილდირის ვილაიეთში[21], იმავე ახალციხის საფაშოში.

ისტორიული სამცხე-საათაბაგო დაიყო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად – ლივებად, სანჯაყებად და ნაჰიებად[22]. ჯავახეთი მოექცა სამი დიდი ლივის ფარგლებში. ეს ლივებია: ხერთვისის, ახალქალაქისა და ჩილდირისა[23].

„ამ დანაწილებას საფუძვლად უნდა ჰქონოდა გაცილებით ძველი ტრადიცია, რომელიც ქართულ სამეფოშივე იქნებოდა შემუშავებული, ლივების ცენტრებად არჩეულია ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები XVI ს-ის ჯავახეთისა – ხერთვისი და ახალქალაქი“[24].

1828 წლიდან ჯავახეთში რუსული ადმინისტრაციული მმართველობა დამყარდა. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ისტორიული ტრადიცია, უფრო ზუსტად, ვიდრე ოსმალობის დროს. ჯავახეთი მოქცეულია თბილისის გუბერნიის ახალქალაქის „უეზდში“. ახალქალაქის უეზდი მოიცავდა ჯავახეთის ისტორიულ საზღვრებს და დასავლეთით ვრცელდებოდა მხოლოდ მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე. უეზდი დაყოფილი იყო ორ – ბარალეთისა და ბოგდანოვკის „უჩასტოკად“[25].

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ჯავახეთის ტერიტორია მთლიანად მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, აგრეთვე – ასპინძის რაიონის ნაწილს.

ვახუშტი ჯავახეთსა და მის მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებს: „ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარ დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გუარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი შუენიერ-ჰაეროვანნი... სარწმუნოებით გლეხნი, ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად... ენა აქუსთ ქართული“.

ვახუშტის ცნობით, ჯავახეთის მხოლოდ ორ მცირე ქალაქში – გოკიოსა და ბარალეთში, მესხებს გარდა, სახლობდნენ „სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“.

როგორც ჩანს, ისტორიულად ჯავახობა მესხობას არ გამორიცხავდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ვახუშტი ჯავახ-შავშ-კლარჯთ ასახელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამცხე-საათაბაგოს შიდა ამბებზე ლაპარაკობს, მაგრამ, როცა საუბარი უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებს ეხება, მაშინ ყველას მესხთ უწოდებს. ასე მაგალითად: სარგის ჯაყელის დროს მოვიდნენ „კურთხევასა მისსა ჯავახნი, ტაოელნი, შავშნი და კლარჯნი“, – ამბობს ვახუშტი, ხოლო „იაყუბ ყეენის“

21 ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 59.

22 აბულაძე, სვანიძე, ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, გვ. 59.

23 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, დართული რუკა, თბ., 1958.

24 დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 126.

25 Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893, გვ. 7.

ლაშქრობის ამბებს ასე აღწერს: „ყეენმა მცირე ხანსა შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყვანა მუნით მესხნი წარჩინებულნი“. ახალქალაქი კი ჯავახეთის ქალაქია. ამ საკითხს სპეციალურად მიაქცია ყურადღება შ. ლომსაძემ, რომელიც წერს: „ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდითგანვე ქართველი ხალხი ცხოვრობდა ქართული ენითა და კულტურით. მესხეთი მთელი ზემო ქართლის ტერიტორიის ზოგადი სახელია. იგი მოიცავს: სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა-არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერს და სხვა. „ყოველთა ამათ ადგილებთა და ქუეყანათა კრებით ეწოდება მესხნი“ (*ვახუშტი* – მ. ბ.). ამრიგად, „მესხი“ კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა... ამ ეთნიკურმა ტერმინმა („მესხი“ – მ. ბ.) წარმოშვა ტოპონიმიური ტერმინი... ჩვენ აქ საქმე გვაქვს ზოგად და კონკრეტულ სახელებთან... კერძოდ, სახელი ჯავახი, კლარჯი (თემობრივ დანაყოფი) უდრის მესხს (ტომობრივ დანაყოფს) და ორივე ის უდრის ქართველს (ერთ ეროვნულ ერთეულს). ასე რომ, ჯავახეთის მკვიდრი (კერძოდან ზოგადისაკენ) ერთდროულად არის ჯავახიც, მესხიც, ქართველიც. მათი ერთმანეთში აღრევა ან დაპირისპირება შეცდომა იქნება“ (შ. ლომსაძე). მართალია, მესხი ზოგადი ტერმინია ისტორიულად, მაგრამ „სამცხის თემის მოსახლეობა კონკრეტულ შემთხვევაშიც უმეტესად მესხად იწოდებოდა“.

დღეისთვის ჯავახეთი, როგორც ეთნიკურად მთლიანი, შეკრული ერთეული აღარ არსებობს. მხოლოდ რამდენიმე სოფელში სახლობენ ჯავახნი. დღევანდელი ჯავახეთის ეთნიკური სიჭრელე საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორიის შედეგია. სურათი რომ ნათელი იყოს, დავიმოწმებთ ერთ დოკუმენტს. ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოში, სადაც დღეს არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს, XVI საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1595 წელს ცხოვრობდნენ: „გულია ბაზუკასძე, კაკაბა ძმა მისი, თევდორე ძმა მისი, პაპაძე მისი, იალღუზ დარისპანისძე, ბერეკა ძმა მისი, ბალია ძმა მისი, იაკობ ძმა მისი, სახელად ასითა, ხარება, მაცაცა ძმა მისი, შაქარაძე მისი, ხარებასძე, ქრისტესა ქეროფინისძე, ოქუა მათათასძე, იაზა ძმა მისი, მერაბა, ბადურა მირზასძე, მამუკა, ხუხუნა ძმა მისი, პაპუნა, ხუხუნა მათესძე, ქრისტესა მღვდელი, დავითა, შიოსძე, გელა, გუბასძე, ფირემისძე, ქიტია ძმა მისი, ინდუა გულასძე, ვარძელ ძმა მისი“ და სხვა კიდევ ერთი ამდენი. ესენი მხოლოდ მამაკაცები არიან, თანაც ოჯახის უფროსები, რადგან მხოლოდ მათ აკისრებდნენ გადასახადს და ამიტომ მხოლოდ მათი სახელები მოიხსენიებოდა აღწერისას. ადვილი მისახვედრია, როგორ გაიზრდება ეს სია, შიგ რომ ქალთა და ბავშვთა სახელებიც მოხვედრილიყო. ოსმალებმა მთელი მესხეთი აღწერეს. ჩვენ ვიცით ჯავახეთის მაშინდელი ყველა სოფლის მოსახლე მამაკაცთა სახელები. 1595 წლისათვის *ჯავახეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ.*

მაჰმადიანობის გავრცელება-გაღრმავება განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს XIX საუკუნეში. მას შემდეგ, რაც ეს მხარე ოფიციალურად შემოუერთდა საქართველოს, „უფრო გაცხოველდა მუსლიმანური ეკლესიის საქმიანობა, რომლისთვისაც სასულიერო მოძღვრებს სპეციალურად ანატოლიიდან იწვევდნენ. მოლები ადრე გაშლილ დიდ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ, საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ხალხს და მედრესების ფართო ქსელში გამუდმებითა და გამალებით ასწავლიდნენ ადგილობრივ ახალგაზრდობას თურქულ ენას“ (*შ. ლომსაძე*).

მაგრამ არც გამაჰმადიანებით დამთავრებულა ჯავახეთის სარწმუნოებრივ-ეთნიკური ნაირგვარობის წარმოქმნა.

1828 წელს მესხეთში რუსეთის მთავრობამ შემოასახლა სომხები არზრუმიდან.

1830 წელს ჯავახეთში შემოასახლეს ბერძენთა დიდი ჯგუფი. ისინი დასახლდნენ წალკასა და ახალქალაქში.

1841-1845 წლებში ჯავახეთში ჩამოასახლეს რუსი სექტანტები – დუხობორები. ისინი ძირითადად ფარავნის ტბის გარშემო დასახლდნენ.

ასეთმა ეროვნულ-ეთნიკურმა სიჭრელემ სამხრეთ საქართველოს ისტორია გამორჩეულად საინტერესო გახდა.

თავი II

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია

ლია ახალაძე

ქართული ისტორიოგრაფიისათვის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხი XXI საუკუნეშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. ქართული წარწერების მოძიებისა და შესწავლის აუცილებლობაზე ნიკო ბერძენიშვილი ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში აღნიშნავდა, რომ „სხვა საშურ საქმეთა შორის ეს ყველაზე მოუთმენარია“, რადგან „განადგურებულია და მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულია მრავალი უძველესი წარწერა და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, დღეს ჩვენს თვალწინ დიდის სისწრაფით ნადგურდება და ილუპება ის, რაც აქამდის ჟამთა ქარტეხილს გადაურჩა.“[1] საგულისხმოა, რომ ეს განცხადება მეცნიერმა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ გააკეთა, რაც თვალნათლივ მიუთითებს საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონში ეპიგრაფიკული ძეგლების მაშინდელ სავალალო მდგომარეობაზე.

საქართველოს ისტორიულ რეგიონებს შორის ჯავახეთს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში. ბუნებრივია, რომ ამ რეგიონიდან დიდი რაოდენობით წერილობითი კულტურის ძეგლი შემოგვრჩა, რომელთა შორის რაოდენობრივად ეპიგრაფიკული ძეგლები გამოირჩევა.

ქართული და უცხოენოვანი ისტორიული წყაროები (სტრაბონი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ანონიმი სომეხი გეოგრაფი, „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორი, ვარდან არეველცი, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები) ჯავახეთს ერთმნიშვნელოვნად საქართველოს ერთ-ერთ რეგიონად და ქართველებით დასახლებულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ.

ტერმინი ჯავახეთი გვხვდება ურარტულ ლურსმნულ წარწერებში, რომლებშიც ჯავახეთი მოხსენიებულია, როგორც „ზაბახა“-ს ტომთა ადრეული გაერთიანება, რომელიც მძიმე ბრძოლებს ანარმოებდა ურარტუს სახელმწიფოსთან.[2]

ლეონტი მროველი ახ. წ. I საუკუნეში საქართველოს ისტორიის აღწერის დროს მოგვითხრობს: „სომხეთის მეფე იარვანდი ემძლავრა ფარსმან არმაზელსა და მოულო საზღვარი ქართლისა წუნდა და არტაანი მტკურამდე და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს“.[3] მოგვიანებით II საუკუნის ისტორიული მოვლენების აღწერისას ლეონტი მროველი აცხადებს, რომ ქართველებს „ქუეყანასა ჯავახეთისასა“ დაუმარცხებიათ სომხები და დაზავების შემდეგ „სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი“.[4] ნ. ჯანაშია სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ მართალია, გუგარქი საბოლოოდ ქართლის მეფეების ხელში მეორე საუკუნეში გადავიდა, მაგრამ სასულიერო ხაზით თავიდანვე ქართლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.[5]

---

1 *ნ. ბერძენიშვილი*, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება) წაკითხული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის კაბინეტის სხდომაზე 1937 წელს. გამოქვეყნდა წიგნში: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I. ისტორიული გეოგრაფია. თბ., 1964. გვ. 45.

2 *Г. Мелитишвили*, Урартские клинообразные надписи. М., 1960. გვ. 212.

3 *ლეონტი მროველი*, ცხოვრება მეფეთა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ტ. I. *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. თბ., 1955, გვ. 44.

4 იქვე. 49-50.

5 *ნ. ჯანაშია*, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (გოგარენე-გუგარქი). წიგნში: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986. გვ. 57.

ქართულ და ბერძნულ (სტრაბონი) წყაროებზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯავახეთი წუნდის საერისთავოში იყო გაერთიანებული და ქართლის მეფეს ემორჩილებოდა.[6] აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა დ. ბერძენიშვილმაც.[7]

ჯავახეთს ძველი მემატიანეები გუგარქის//გოგარენეს პროვინციაში ათავსებენ, მაგრამ გუგარქის ტერიტორია სხვადასხვა ეპოქაში მნიშვნელოვნად იცვლიდა სახეს[8], ამიტომ ჯავახეთი ყოველთვის მის შემადგენლობაში არ იგულისხმება.[9]

ჯავახეთის საზღვრების შესახებ ყველაზე ზუსტ ინფორმაციას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი, „ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა..., სამხრით მთა ნიალის-ყურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდან ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად.... ხოლო დასავლეთით მზღვრის ჯავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეითი, და წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირე გორანი; ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწურივ მტკურამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამხრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე. .... კაცნი და ქალნი მსგავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი..... სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად,.... გარნა ჰყავთ მლუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეცა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა.“[10]

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო ჯავახეთის გეოგრაფიული საზღვრების, არამედ ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც მოგვითხრობს. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო ცნობებია დაცული ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც. მაგალითად, ვარდან არეველცი აღნიშნავს, რომ კირიონი (ქართლის კათალიკოსი – ლ.ა.) ტომით ქართველი იყო და ჯავახეთის გავარ სოფელ სკუტრიდან იყო. მან იცოდა ქართული მწიგნობრობა და სომხური.[11] მსგავს ინფორმაციას იძლევა სხვა სომხური წყაროებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჯავახეთის მოსახლეობა ქართული იყო.

XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჯავახეთში ოსმალეთის იმპერიიდან მოხდა სომხური მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება, რის შედეგადაც რეგიონში გაჩნდა სომხური ეპიგრაფიკული მასალა.

ჯავახეთის რეგიონში ეპიგრაფიკული ძეგლები ოთხ ენაზე გვხვდება: ქართულ, ბერძნულ, ოსმალურ და სომხურ ენებზე[12]. მათ შორის, ბუნებრივია, ყველაზე მრავალრიცხოვანია ქართულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. ბერძნული წარწერები, ძირითადად, ქრისტიანულ აღმსარებლობასთან არის დაკავშირებული და მათი დიდი ნაწილი განმარტებითი ფრესკული წარწერებია, ხოლო ოსმალური წარწერები განეკუთვნება რეგიონში ოსმალეთის ბატონობის ხანას და იგი ძალზე მცირერიცხოვანია. რაც შეეხება სომხურენოვან წარწერებს, მათი ქრონოლოგია, ძირითადად, XIX საუკუნეს მოიცავს, თუმცა არსებობს უფრო ადრეული პერიოდის წარწერებიც, რაც სომხეთის დიდი ნაწილის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნით (XII–XV სს) და გვიანშუასაუკუნეებში მუსლიმური სამყაროს მიერ შევიწროვებული სომხური მოსახლეობის სამხრეთიდან მიგრაციით უნდა აიხსნას.

---

6 *დ. მუსხელიშვილი*, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II . თბ., 1980.

7 *დ. ბერძენიშვილი*, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985., გვ. 75-80.

8 *ნ. ჯანაშია*, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (გოგარენე-გუგარქი). წიგნში: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986. გვ. 56.

9 *დ. ბერძენიშვილი*, ახალქალაქი ჯავახეთისაი, ჟურნალი „არტანუჯი“. ტ. 7. თბ., 1998, გვ. 12.

10 *ბატონიშვილი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 671-672.

11 *ვარდან არეველცი*, მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს *ნოდარ შოშიაშვილმა* და *ეკა კვაჭანტირაძემ*. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო *ეკა კვაჭანტირაძემ*. თბ., 2004. გვ. 83.

12 განსხვავებით სომხური წარწერებისაგან, ჯავახეთის ბერძნული და ოსმალური წარწერები და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება დღესაც სუსტად არის წარმოჩენილი წყაროთმცოდნეობით კვლევებში. სამწუხაროდ, ჯავახეთის ბერძნული წარწერები არ შევიდა თ. ყაუხჩიშვილის საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის არც პირველ (1951) გამოცემაში და არც მეორე შესწორებულ და შევსებულ გამოცემაში 2004 წელს.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიება-შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო. ამ რეგიონისადმი მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესი სხვადასხვა დროში სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა. სხვადასხვა იყო წარწერების ფიქსაციის მეთოდი და საშუალებებიც კი. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა წარწერათა ტექსტების დაზუსტება და სრულყოფილი წაკითხვა.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, მათ შორის ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების, შესწავლის ისტორია პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

I ეტაპი– XIX საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის 10–იანი წლების ჩათვლით;

II ეტაპი – საბჭოთა ეპოქა: XX საუკუნის 20–იანი წლებიდან 80–იანი წლების ჩათვლით;

III ეტაპი– პოსტსაბჭოთა ეპოქა – XX საუკუნის 90–იანი წლებიდან დღემდე;

სამივე პერიოდში ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა განპირობებული იყო ამ რეგიონის მატერიალური კულტურის ძეგლების, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებისა და მასში დაცული სიძველეების სიმრავლით, მხარის ისტორიული გეოგრაფიისა და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ცხოვრებაში ჯავახეთის განსაკუთრებული მნიშვნელობით. სამივე ეტაპზე გამოვლინდა მრავალრიცხოვანი ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერები. მიუხედავად ამისა, ჯავახეთის ეპიგრაფიკა მთელი ამ პერიოდის მანძილზე არც ერთხელ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. ამ მხრივ გამონაკლისია ვასილ ცისკარიშვილის მონოგრაფია „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო"[13], რომელშიც ავტორმა სპეციალური კვლევის საგნად აქცია ლაპიდარული, ანუ ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები და ნაკაწრი წარწერები. საგულისხმოა, რომ ეს მონოგრაფია საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისთვის არცთუ მისაღებ ნაშრომს წარმოადგენდა, მაგრამ იგი მალე იქცა ქართული ეპიგრაფიკის მკვლევართა სამაგიდო წიგნად.

კვლევის პირველ ეტაპზე – XIX საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით – ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა ემპირიულ ხასიათს ატარებდა და მას აღწერითი და შემგროვებლური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში შექმნილმა აღწერითი ხასიათის ნაშრომებმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართველოლოგიას და ქართულ ეპიგრაფიკას, რადგან ამ დროს შეგროვილი და გამოქვეყნებული წარწერების ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, დღეს განადგურებულია და ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ მხოლოდ ამ პუბლიკაციებშია შემორჩენილი. I ეტაპზე მოღვაწე მკვლევართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარი *ბროსეს*[14], *ივ. როსტომაშვილის*,[15] *თედო ჟორდანიას*[16], *ი. სინაკოევის*[17], *ე. თაყაიშვილის*[18], *კალისტრატეს*[19], *ვ. კოპტონაშვილის*, [20]*ე. შილდელის*[21], ვინმე *მესხისა*[22] და სხვათა პუბლიკაციებს.

ჯავახეთის წარწერების მოძიების პირველ ეტაპზე შექმნილ პუბლიკაციებს შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია ცნობილი ქართველოლოგის მარი ფელისიტე ქსავიე ბროსეს ნაშრომი – Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie. 2 livr. ბროსეს

---

13 *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959.

14 *M. Brosset*. Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie. 2 livr. SPB. 1951.

15 *И. Ростомов*, Ахалкалакский уезд в археологическом отношении. СМОМПК, вып. XXV отд. 1 Тиф. 1989. *ი. როსტომაშვილი*, სოფელი ფოკა, და მისი ნაშთნი, ჟურნალი „მოგზაური, 4. 19-1. გვ. 311-316. *ი. როსტომაშვილი*, სოფ. ბარალეთი, ჟურნალი „მოგზაური, 1, 1901.; *ი. როსტომაშვილი*, სოფელი კუმურდო, და მისი დიდებული ნაშთნი. ჟურნალი „მოგზაური" 2, 1901.

16 *თედო ჟორდანია*, ქრონიკები. ტ. 1. ტფ. 1892. ტ. 2 ტფ. 1897. Ф. Жордания, Надпись Ихтала, СМОМПК, вып. 13, отд. 1. Тифлис 1892. с. 128-130. თედო ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I. არტანუჯის წყაროები. 1. სერიის მთავარი რედაქტორი ბუბა კუდავა. თბ., 2004.

17 *Ив. Синаков*, Самсарские пещеры, СМОМПК, вып. XIII. отд. 1 Тифл. 1892 с. 128- 130.

18 *Е. Такайшвили*, Христианские памятники, МАК. XII М. 1909.

19 *კალისტრატე*, ჯავახეთიდამ. გაზეთი „ივერია". № 240/ 1890. *კალისტრატე*, საისტორიო მასალა. გაზ. „ივერია," №239. 1891.

20 *ვ. კოპტონაშვილი*, კოთელიიდამ. მწყემსი" 1887. №17. გვ. 6-7.

21 *ე. შილდელი*, სომხები ახალციხე-ახალქალაქის მხარეში, გაზ. „ივერია" 18. V 1895/ №103. იგივე. გაზ. საპატრიარქოს უწყებანი, 32 (156) 12-18. I. 2002, გვ. 12-13/

22 *ვინმე მესხი*, ჯავახეთიდამ, არხეოლოგიური შენიშვნები, გაზ. „დროება", 22. VII. 1882. №151.

ნაშრომს მოგზაურობის ხასიათი აქვს და იგი დაწვრილებით აღწერს ყველა იმ სიძველეს, რომელიც ამ დროს მოინახულა. მის თვალსაწიერში მოხვდა ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორიცაა ვარძია, წუნდა, კუმურდო, წყაროსთავი, განძანი, მირაშხანი, ფოკას ტაძრები და მათი წარწერები.

საინტერესოა ბროსეს დაკვირვებები წუნდისა და კუმურდოს ტაძრების შესახებ, რომელსაც ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე აკეთებს. ბროსეს თქმით, იმ დროს საკმაოდ კარგად იყო შემონახული წუნდის ეკლესია, რასაც ვერ ვიტყვით კუმურდოს ტაძარზეო. მიუხედავად ამისა, იგი აღნიშნავს, რომ „თავისი ლამაზი ფორმებითა და დიდი პროპორციებით, დიდებული მდებარეობითა და სწორი დაგეგმარებით საუცხოოდ შერჩეული და ლამაზად გათლილი ერთნაირი ფერის ქვებით, მაღალი ხელოვნებით შესრულებული ქვების წყობით, განსაკუთრებით კი მის კედლებზე შემორჩენილი წარსულის ნაშთებით, კუმურდო აღემატება ყველაფერს, რაც კი დღემდე მინახავს საქართველოში[23]“. მარი ბროსეს კუმურდოს ტაძრიდან გადმოუწერია 11 წარწერის ტექსტი, მათ შორის კუმურდოს მთავარი საამშენებლო წარწერის გრაფიკული მონახაზი. საგულისხმოა, რომ სწორედ, კუმურდოს წარწერების შინაარსის საფუძველზე გამოიტანა ბროსემ სწორი დასკვნა, რომ „ტაძარი აგებულია ეპისკოპოს იოანეს საფასით, აფხაზთა მეფის ლეონ მესამის (957-967 წწ) მიერ 964 წელს. ტაძარი რესტავრირებული და „გამდიდრებული“ იქნა ეპისკოპოსების იოანეს, ეფრემის, გრიგოლის და ზოსიმეს მიერ მომდევნო საუკუნეებში. რაც შეეხება კარიბჭეს, ბროსეს აზრით, „იგი აგებულია დედოფალ მარიამის მიერ, ელიზბალის საფასითა და ზოსიმეს ღვაწლით. მარიამს მარი ბროსე ბაგრატ IV-ის დედად მიიჩნევს. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დაზუსტებულია, რომ იგი იყო ქართლის მუსლიმი მეფის როსტომის (1632-1658 წწ) მეუღლე მარიამ დადიანი, რომელიც კუმურდოს სამრეკლოს ქტიტორი იყო.

ბროსეს მთელ ამ აღწერილობაში ყურადღებას იქცევს ისეთი დეტალები, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ეპიგრაფიკული, არამედ ჯავახეთის ეთნოკულტურული ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც. „კუმურდოს მივაღწიე 12 ნოემბერს, ოთხშაბათ საღამოს, საქმის დასაწყებად უკვე ძალიან გვიანი იყო და ადგილის დათვალიერებით დავკმაყოფილდი. მე ძალიან კარგად მიმიღეს სომხებმა, რომლებიც, მათივე თქმით, ემიგრირებული იყვნენ აქ ერზრუმიდან 1829 წელს. სწორედ ამ სომხებს კუმურდოს ეკლესიაში სომხურ სტილზე ჩაუშენებიათ პატარა საკურთხეველი“, – წერს ბროსე[24].

განძანი, რომელიც ფარავნის ტბის მახლობლად მდებარეობს, ბროსემ ვერ მოინახულა, მაგრამ თავადმა მიხეილ ბარათოვმა (ბარათაშვილმა) მას გადასცა განძანის ეკლესიის წარწერები, რომლებშიც დასახელებულია შალვა მანდატურთუხუცესი, რომელიც ასევე სპასალარისა და მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ატარებდა. მარი ბროსემ სამართლიანად მიიჩნია, რომ შალვას ერთი და გათხოვილი იყო მეფე დიმიტრი თავდადებულზე, ხოლო მეორე ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი მეორეზე. მსგავსი ისტორიული წიაღსვლები ხშირია ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომში, რაც კიდევ უფრო მეტ ღირებულებას აძლევს მის მოგზაურობას.

მარი ბროსეს მოგზაურობის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ თავად ბროსემ განსაზღვრა: „ამ ექსკურსიის მთავარი შედეგი იყო კუმურდოს, ზარზმის, ხერთვისისა და ჯულების, ტაიჭის, ვალეს, საფარის, ახალქალაქისა და ახალციხის ეკლესიების ნახვა. ეს დადებითი შედეგები დღეიდან მეცნიერების საკუთრებაა და ისინი განსაკუთრებულ ადგილს მოიპოვებენ იმ შრომებში, რომლებიც საქართველოს შესახებ დაიწერება. სხვათა შორის, პატარ-პატარა შენიშვნები, რომლებიც დღეს უმნიშვნელო ჩანან, ძალიან მნიშვნელოვანი გახდება დროთა განმავლობაში ქართული კვლევის განვითარებასთან ერთად.“

ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ივანე როსტომაშვილის წვლილი ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომები „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“, „ახალქალაქის მაზრა არქეოლოგიური კუთხით“, „სოფელი ფოკა და მისი ნაშთნი“, „სოფელი კუმურდო და მისი დიდებული ნაშთი“, „სოფელი ბარალეთი“, სტატიები, რომლებიც მან ჟურნალ „მოგზაურში“ გამოაქვეყნა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ჯავახეთის წარწერების

23 ვეყრდნობით მარი ბროსეს დასახელებული ნაშრომის პროფ. ვალერი სილოგავასეული თარგმანის ხელნაწერს.

24 იქვე.

შესწავლის თვალსაზრისით. მარი ბროსესაგან განსხვავებით, ივ. როსტომაშვილს თავის მთავარ ნაშრომში „Ахалкалакский уезд в археологическом отношении" შესწავლილი და წარმოჩენილი აქვს ჯავახეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა საისტორიო წყარო, რომელიც მაშინ სამეცნიერო მიმოქცევაში იყო. ამ მიმოხილვის შემდეგ ავტორს ანბანის რიგზე აქვს დალაგებული ჯავახეთის სოფლები და ის ეკლესია-მონასტრები და ციხეები, სადაც ეპიგრაფიკული ძეგლები დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ივ. როსტომაშვილის ეს ნაშრომი რუსულ ენაზეა, მასში ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოდგენილია ძველი ქართული ასომთავრული და შესაბამისი მხედრული ტრანსკრიფციით. ივ. როსტომაშვილი პირველი შეეცადა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ მეცნიერულად გამართული ნაშრომი შეექმნა, სცადა ტექსტების დადგენა-დაზუსტება, დათარიღება, მათი წაკითხვის ვარიანტებისა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის წარმოჩენა, ისტორიულ პირთა იდენტიფიკაცია და ა. შ. ბუნებრივია, მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული უნებლიე შეცდომებისა თუ უზუსტობებისაგან, რაც შემდგომი პერიოდის კვლევებმა დაადასტურეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაშრომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორიაში, ფაქტობრივად, იგი საეტაპო მნიშვნელობის, პირველი კონკრეტული კვლევა არის საქართველოს ამ ისტორიული რეგიონის და ზოგადად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. ნაშრომში დაცულია ინფორმაცია ჯავახეთის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ტაძრისა და მისი წარწერების შესახებ: აბულის, ალასტანის, ბარალეთის, ბურნაშეთის, ვარდციხის, განძანის, იხტისას, ჯიგრაშენის, ყაურმის, კუმურდოს, ლულალისის (კულალისის), მურჯახეთის, სალამოს, სამსარის, საროს, სათხის, ფოკას, ხერთვისის, ხორენიას, წუნდის, ახალქალაქის, გოგაშენის და ა. შ. წარწერები.

საყურადღებოა ქართული სიძველეების მკვლევრის ივანე გვარამაძის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ, რომელიც ზოგჯერ კალისტრატეს, ან ვინმე მესხის სახელით აქვეყნებდა სტატიებს.[25] ჩვენთვის საყურადღებოა მისი სტატიები გაზეთ დროებაში: „ჯავახეთიდამ, არხეოლოგიური შენიშვნები", „ჯავახეთიდამ" და „საისტორიო მასალა". სამივე პუბლიკაციაში დაცულია ჯავახეთის წარწერების შესახებ ინფორმაცია, მოცემულია ტექსტის შინაარსი და წარწერაში დასახელებულ ისტორიულ პირთა სავარაუდო იდენტიფიკაცია- დათარიღება.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი იყო თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომები, რომელთა პუბლიკაციებმა ფასდაუდებელი ცნობები შემოგვინახეს ჯავახეთის იმ წარწერების შესახებაც, რომლებიც ვერ მოხვდნენ ივ. როსტომაშვილის ნაშრომში.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის მეორე ეტაპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცავს საბჭოთა ეპოქას – XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით. ამ პერიოდის პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია: ს. კაკაბაძის[26], ნ. ბერძენიშვილის[27], ვ. ცისკარიშვილის[28], დ. ბერძენიშვილის[29], ვ. ბერიძის,[30] ლ. მუსხელიშვილის[31], ბ. მჭედლიშვილის[32], გ. ოთხმეზურის[33], შ.

25 *გ. მიქაძე.* ფსევდონიმების ლექსიკონი : რუსთველოლოგიური ლიტერატურისათვის. თბ., 1966, გვ. 11. *ი. იმედაშვილი.* ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი: სიტყვანი (ნუსხა) / ხელნაწერი. 1940 წ. გვ. 46, 74.

26 *ს. კაკაბაძე,* კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფ. 1920.

27 *ნ. ბერძენიშვილი,* სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. 5-6. თბ., 1940. *ნ. ბერძენიშვილი,* ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, საქართველოს ისტორიის საკითხები ტ 1. თბ., 1964.

28 *ვ. ცისკარიშვილი,* ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959. ვ. ცისკარიშვილი, განძანის წარწერების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 15. №6. თბ., 1954. *მისივე,* ციხე-ქალაქი თმოგვი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. 19-ბ. 1956. გვ. 97-105. *მისივე,* ხორენოსა და კარნეთის წარწერები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 19-ა. 21-ბ. 1957. გვ. 101-105. *მისივე,* ახალქალაქის დაკარგული წარწერის წაკითხვისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. 20-ბ. თბ., 1957. გვ. 79-84.

29 *დ. ბერძენიშვილი,* ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი. თბ., 1985.

30 *ვ. ბერიძე,* სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1956. *ვ. ბერიძე,* კუმურდოს ტაძარი 1000 წლისაა, კრებული ძეგლის მეგობარი, 2, თბ., 1964. *ვ. ბერიძე,* ძველი ქართველი ოსტატები. თბ., *1967. В. Беридзе,* Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века. Тб.,1967.

31 *ლ. მუსხელიშვილი,* ვაჭანის ქვაბთა განგება, თბ. 1939. ; *მისივე,* არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941.

32 *ბ. მჭედლიშვილი,* წუნდა, კრებული ძეგლის მეგობარი, 3, თბ.,1987.

33 *გ. ოთხმეზური,* XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

ონიანის[34]. ც. გაბაშვილის, გ. ბოჭორიძის[35], ს. ბურდილაძის[36], გ. გაფრინდაშვილის[37], ვ. კოპალიანის[38], კ. მელითაურის[39], ნ. შოშიაშვილის,[40] ს. მაკალათიას,[41] შ. ლომსაძის,[42] ვ. სილოგავას.[43] ზ. სხირტლაძის,[44] გ. ჩუბინაშვილის[45], ვ. ზუხბაიას,[46] შ. მესხიას[47] , დ. მუსხელიშვილის[48] და სხვათა პუბლიკაციები. აღნიშნული შრომების უმრავლესობა რეგიონის ისტორიულ გეოგრაფიას, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ან სხვა სიძველეებს შეეხება, მიუხედავად ამისა, მათში მოცემულია, ან საისტორიო წყაროდ არის გამოყენებული ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები. ზოგჯერ გვაქვს წარწერათა ახლებური იკითხვისებიც. საკუთრივ ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევას ეხება ნ. ბერძენიშვილის, ვ. ცისკარიშვილის, ნ. შოშიაშვილის, ვ. სილოგავას, გ. ოთხმეზურის ნაშრომები.

ნ. ბერძენიშვილმა თავის ნაშრომში „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური", რომლითაც 1937 წელს საანგარიშო მოხსენებით წარსდგა თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის წინაშე, კვლევის კონკრეტული მიმართულებები, ამოცანები და მიზნები დაუსახა მომავალ მკვლევრებს, არა მარტო ჯავახეთის წარწერების, არამედ ზოგადად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის საკითხში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ხელმძღვანელობდა და საზრდოობდა მომდევნო პერიოდის მკვლევართა დიდი ნაწილი.

ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბდა ქართული წარწერების კვლევის ახლებური მეთოდოლოგია. შემუშავდა წარწერათა ტექსტების კრიტიკული დადგენა-დაზუსტების, დათარიღების, გამოცემის, იკითხვისების მითითების და ა. შ. მეთოდიკა. გამოიცა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სამი ტომი. მათ შორის ორი ლაპიდარული და ერთი ფრესკული წარწერების კორპუსი. პირველ ტომში შევიდა ჯავახეთის V- X საუკუნეების ლაპიდარული წარწერები კუმურდოს, ყალა-ბოინას, სამსარის, ფიას წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ეკლესიების წარწერები[49]. ძირითადად აქ წარმოდგენილია რეგიონის იმ ეკლესიების წარწერები, რომელთა ქრონოლოგია

---

34 *შ. ონიანი*, ერთი ძველი კალამბურის შესახებ. კრებული. ძველი ქართული მწერლობის საკითხები. I. თბ., 1962. გვ. 239- 252.

35 *გ. ბოჭორიძე*, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

36 *ს. ბურდილაძე*, წარწერიანი მოჭიქული ჯამი ვანის ქვაბიდან, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 37- ბ, თბ.,1984. გვ. 152- 158.

37 *გ. გაფრინდაშვილი*, უცნობი წარწერა ვარძიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 12. №4. თბ.,1951. გვ. 147-154. გ. *გაფრინდაშვილი*, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები. თბ., 1957. *მისივე*, ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლის 1988 წლის ანგარიში, კრებ. ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე. ახალციხე. 2000. *მისივე*, ვანის ქვაბის განძი, კრებ. ძეგლის მეგობარი, 6. თბ., 1966.

38 *ვ. კოპალიანი*, რეცენზია *ვ. ცისკარიშვილის* ჯავახეთის ეპიგარფიკა, როგორც საისტორიო წყარო. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 34. თბ., 1962. გვ. 201-206.

39 *კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, ნ. ხანთაძე, გ. ჯამბურია*, ვარძია, გზამკვლევი თბ. 1955.

40 *ნ. შოშიაშვილი*, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. კრებ. შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 1966. *მისივე*, ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს) ტ. I. თბ., 1980.

41 *ს. მაკალათია*, მესხეთ-ჯავახეთი. ტფილისი, 1938.

42 *შ. ლომსაძე*, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

43 *ვ. სილოგავა*, ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში, მრავალთავი, 7. თბ.,1980. გვ. 167- 182. *მისივე* სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, მრავალთავი, 10. თბ.,1983. გვ. 264- 288.

44 *ზ. სხირტლაძე*, ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ტაძარში, მაცნე, ისტორიის ..... სერია, 2. 1992. გვ. 143-159; *მისივე*, ფრესკის ფრაგმენტი ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხეველზე, მაცნე, ისტორიის სერია, 3. 1988. გვ. 171-178.

45 *Г. Чубинашвили*, Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов в развитии барокального стиля в грузинском искусстве, Вопросы истории искусства. т. I. Тб., 1970.

46 *ვ. ზუხბაია*, მტკვარი საქართველოს დედა მდინარე. თბ., 1984.

47 *შ. მესხია*, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979.

48 *დ. მუსხელიშვილი*, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980.

49 ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს) ტ. I. გვ. 262-277.

მეხუთე-მეათე საუკუნეებს მოიცავს. კორპუსში პირველადაა გამართული ქართული წარწერების გამოცემის მეთოდოლოგია: არქეოგრაფიული აღწერილობა, დადგენილი და დაზუსტებული ტექსტი, ტექსტის დაზიანება, დაზიანების საფუძველი, დათარიღება, დათარიღების საფუძველი, გამოცემების სრული სია და ა. შ[50].

XII-XIII საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერების შესწავლა დაკავშირებულია გ. ოთხმეზურის სახელთან, რომელმაც ქართული ლაპიდარიუმის „ოქროს ფონდის“ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა და პალეოგრაფიული დახასიათება მოგვცა. მის ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ჯავახეთში მოძიებულ იურიდიულ აქტებსა და ხელის გამოსახულებიან სტელებს, დახასიათებულია ძველი ქართული სტელების სახეები, შესწავლილია ტერმინი „ჴელი“ და მისი მნიშვნელობა ძველ საქართველოში, სამეფო და საუფლისწულო მიწათმფლობელობა, წარწერებში დაცული ცნობები ქართულ სამოხელეო წყობაზე და ა. შ.[51]

მიუხედავად ამისა, მეორე ეტაპზე (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით) ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა ვ. ცისკარიშვილის მონოგრაფია „ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო“. ეს იყო აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა რეგიონის წარსულის შესახებ. შეიძლება ითქვას, გაბედული ნაბიჯიც მკვლევრის მხრიდან, რადგან საბჭოთა იდეოლოგია და მისი ცენზურა „გაურბოდა“ საქართველოს ისეთი ისტორიული რეგიონების, როგორიც იყო ჯავახეთი, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი“, ეპიგრაფიკული ძეგლების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. უფრო მეტიც, ეს თემა, ერთგვარად, ტაბუდადებულ საკითხადაც კი ითვლებოდა. ასეთ პირობებში „ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორც საისტორიო წყაროს“ გამოცემა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

ვ. ცისკარიშვილის ნაშრომში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში პირველად დაისვა საკითხი ქართული წარწერების კლასიფიკაციის შესახებ. ჯავახეთის წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ავტორმა მოგვცა კიდეც ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შინაარსობრივი კლასიფიკაციის პირველი დახასიათება და მათში გამოყო საამშენებლო, იურიდიული და მემორიალური წარწერები.[52] ნაშრომში შესწავლილია არეშის, კუმურდოს, ბურნაშეთის, ვარძიის, პრტენასა და საღამოს (ღრტილას), განძის, თმოგვის, ქარცების, კოთელიას და სხვა წარწერები. ცალკეა წარმოდგენილი პატარა, მცირე ისტორიული ღირებულების წარწერები. ავტორმა, ნ. ბერძენიშვილის შემდეგ, პირველმა სპეციალური კვლევის საგნად აქცია ხელის გამოსახულებიანი სტელები საქართველოში, რომელთაც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმა ეპიგრაფიკული აქტები უწოდა. ხელის გამოსახულებიანი სტელების კვლევის პროცესში ვ. ცისკარიშვილმა დააზუსტა, რომ ხელის გამოსახულებიანი სტელების რაოდენობა საქართველოში ცნობილი იყო 15. მათ შორის 14 ისტორიული ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდან არის, ხოლო ერთი მოძიებულია სამეგრელოში, თუმცა ეს უკანასკნელი, ვ. ცისკარიშვილის აზრით, სტელა არ უნდა იყოს და ნაგებობიდან უნდა იყოს გადმოღებული.[53]

საგულისხმოა, რომ ვ. ცისკარიშვილის პუბლიკაცია არ იყო „კორპუსის“ ტიპის გამოცემა, რადგან მასში, წარწერათა ტექსტების კრიტიკული დადგენისა და დაზუსტების გარდა, შესწავლილია წარწერების როგორც საისტორიო წყაროს ღირებულებაც, დაზუსტებულია წარწერებში დასახელებულ ისტორიულ პირთა ვინაობა, ძეგლის თარიღი და ა. შ.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ამ დროს დაიგეგმა ქართული წარწერების კორპუსის ტომეულების გამოცემა, რასაც მოჰყვა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სამხრეთ საქართველოში. ჯავახეთის რეგიონი სამხრეთ საქართველოს 1977 წლის ექსპედიციის კვლევის

50 იქვე.

51 *გიორგი ოთხმეზური*, XII- XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

52 *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. გვ. 4.

53 *იქვე*. გვ. 70.

არეალში მოჰყვა. ექსპედიციის ანგარიში გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ[54], თუმცა, კონკრეტულად, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ცალკე შესწავლა ამ დროს ვერ მოხერხდა.

ცნობილია, რომ 1932-1933 წლებში გიორგი ბოჭორიძემ შეისწავლა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები და სიძველეები, რომელთა მოძიებას ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ეწეოდა. აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ 1992 წელს გამოქვეყნდა[55] და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენია სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის 10 თემის 205 ძეგლის აღწერილობა. „მოგზაურობას სამცხე-ჯავახეთში" თან ახლავს ახალციხის და ახალქალაქის იმ ძეგლების სია, რომელიც ავტორმა მოინახულა და აღწერა. შესაბამისად, ნაშრომში მოხვდა ყველა სიძველე და ნივთი, რომელიც გ. ბოჭორიძემ სამცხე-ჯავახეთში მოიძია. საგულისხმოა, რომ გიორგი ბოჭორიძე აღწერს არა მარტო ისტორიულ ძეგლებს, არამედ აქ მცხოვრებ მოსახლეობას, მათ ეროვნებას, სარწმუნოებას, რაოდენობასა და გვარებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის მნიშვნელობასა და ღირებულებას. ნაშრომი ძალზე მდიდარ და ფასდაუდებელ მასალას გვაწვდის ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. ავტორის მიერ აღწერილია ყველა ძეგლსა და ნივთზე არსებული ქართული წარწერა, მოცემულია მათი ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ტრანსკრიფცია და შესაბამისი მხედრული ტექსტი, იძლევა წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას. განუზომელია ამ თხზულების ღირებულება ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რადგან აღნიშნული წარწერების ერთი ნაწილი დღეს დაკარგულია და ინფორმაცია მათ შესახებ მხოლოდ გიორგი ბოჭორიძის ნაშრომში არის დაცული. ნაშრომში წარწერათა აღწერილობისას გამოყენებულია ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები, იკითხვისები, ნაკითხვის შესაძლო ვარიანტები და ა. შ.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის III ეტაპი მოიცავს პოსტსაბჭოთა ეპოქას – 1991 წლიდან დღემდე. ამ ეტაპზე ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანია დ. ბერძენიშვილის[56], ვ. სილოგავას[57], გ. ჯავახიშვილის[58] და სხვათა შრომები. ეს პერიოდი ახალი აღმოჩენებით აღინიშნა. კერძოდ, აღმოჩნდა ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ხელის გამოსახულებიანი სტელები წარწერებით, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა რამდენიმე ახალი წარწერა, ვალერი სილოგავას მიერ გამოქვეყნდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელშიც ავტორმა გამოაქვეყნა მუზეუმის ექსპოზიციაში ფოტოსურათებითა და მულაჟებით წარმოდგენილი ქართული წარწერებიც. წარწერებს თან ახლავს არქეოგრაფიული აღწერილობა, პალეოგრაფიული და ეპიგრაფიკული დახასიათება, ისტორიული, ფილოლოგიური და ენათმეცნიერული შენიშვნები, ბიბლიოგრაფია – ძეგლის შესახებ არსებული ლიტერატურის დასახელება, კომენტარები და წარწერების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები ფოტოსურათებით[59]. წარწერების ერთი ნაწილი აქ პირველად გამოქვეყნდა, ან განსხვავდება სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული წაკითხვებისაგან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 2000 წელს დევი ბერძენიშვილის, ირინე ელიზბარაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ციცინო ჩაჩხუნაშვილის და ნინო ბაგრატიონის მიერ გამოცემული *საქართველოს მეგ ზური, ჯავახეთი – ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გ ზამკვლევი*. ნაშრომის მიზანი არ იყო

54 *ვ. სილოგავა*, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, მრავალთავი, 10. თბ.,1983. გვ. 264-288.

55 *გ. ბოჭორიძე*, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1992.

56 *დ. ბერძენიშვილი*, ახალქალაქი. ჯავახეთისანი, ჟ. „არტანუჯი", № 7, 1998.

57 ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994. *მისივე*, სათხის წარწერები, თსუ ახალციხის ფილიალის გაზეთი „მესხეთი". 17. 2. 1991. №4. გვ. 2-3. მისივე, ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჩუკთა შემოსევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში (მირაშხნის წარწერა), კრებ. ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე. ახალციხე., 2000. *მისივე*. სათხის წარწერები, კრებ. ჯავახეთი. ისტორია და თანამედროვეობა, თბ. ახალციხე. 2001. გვ. 119-127. *მისივე*, ზარზმის ეპიგრაფიკა. კრებ. ზარზმა, თბ., 2007, *მისივე*, X საუკუნის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი წმ. იულიტას ეკლესიაზე ქ. ახალციხე, ჟ. „ხვამლი". 2(16), 2007. *მისივე*, წინასწარი ცნობები რუსუდან მეფის უცნობი ხელის შესახებ ჯავახეთის გომანში, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მასალები. 2007 წლის 15 ნოემბერი, ახალციხე. 2007. *მისივე*, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. კატალოგი -გზამკვლევი. თბ. 2000.

58 *გ. ჯავახიშვილი*, ადრექრისტიანული ხანის ქართული სტელები. თბ., 1998.

59 *ვ. სილოგავა*, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. ახალციხე., 2000. გვ. 7.

ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიება ან კვლევა, მაგრამ ავტორებს ექსპედიციის დროს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებიათ ჯავახეთის რეგიონში ადრე კარგად ცნობილი თუ უცნობი წარწერები[60].

ამავე პერიოდში სომხურ ენაზე გამოქვეყნდა პარიურ მურადიანის, ალექსანდრე ქანანიანის, სამეულ კარაპეტიანის პუბლიკაციები ჯავახეთის სომხური და ქართული წარწერების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია 150 წელზე მეტს ითვლის, მათი მოძიებისა და კვლევის საკითხი დღემდე აქტუალურია. ყველა ზემოჩამოთვლილი ნაშრომი, ძირითადად, ლაპიდარულ წარწერებს ეხება და ყურადღების მიღმა არის დარჩენილი მრავალრიცხოვანი ფრესკული წარწერები (არაფერს ვამბობთ ჭედურ წარწერებზე), თუმცა ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათის სხვადასხვა პუბლიკაციაში არსებობს ინფორმაცია ცალკეული წარწერის შესახებ. ასეთ ნაშრომებს მიეკუთვნება ზ. სხირტლაძის „ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ტაძარში“,[61] „ფრესკის ფრაგმენტი ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხეველზე“[62] და ა. შ.

დღემდე არ არსებობს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, რომელშიც მოცემული იქნებოდა მოკლე ინფორმაცია ძეგლის ადგილმდებარეობის, არქეოგრაფიული აღწერილობისა და წარწერის ტექსტის შესახებ. რეგიონში არის ისეთი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც აღრიცხულიც კი არ არის და არსებობს მათი განადგურების დიდი საფრთხე. არ არსებობს ჯავახეთის რეგიონის ქართული, ბერძნული, სომხური და ოსმალური ეპიგრაფიკული ძეგლების ერთიანი კატალოგი, არ ჩატარებულა მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და სხვა. ასევე არ ჩატარებულა ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი ანალიზი, მათი კავშირი ადგილობრივ ონომასტიკასთან, კერძოდ ტოპონიმიკასთან, ეთნონიმებთან და ა. შ[63].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხში აუცილებელია იმ პრობლემების გადაჭრა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას:

1. ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების (ქართული, სომხური, ბერძნული, ოსმალური) სრული კატალოგის შექმნა;
2. ძეგლების შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის მოძიება და დაზუსტება;
3. ლაპიდარული წარწერების მოძიება, შეკრება, დასურათება, ტექსტების კრიტიკული დადგენა, არქეოგრაფიული აღწერილობა და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი;
4. ფრესკული წარწერების მოძიება, დასურათება, ტექსტების კრიტიკული დადგენა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი;
5. ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი;

ყველა ეს პრობლემა დღეს მწვავედ დგას ქართული ისტორიოგრაფიისა და ზოგადად, ქართველოლოგიის წინაშე და იგი სასწრაფოდ მოითხოვს გადაჭრას.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხში არსებული ხარვეზების შევსების მცდელობას წარმოადგენს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“, რომლის მიზანია ქართული ლაპიდარული წარწერების კატალოგის შექმნა, ტექსტების კრიტიკული დადგენა, წარწერათა ტექსტების პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების წარმოჩენა, ფილოლოგიური კვლევები და ა.შ.

---

60 ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედაქტორი: დ. *თუმანიშვილი*. ტექსტის ავტორები: ისტორია, ისტორიული გეოგრაფია: დ. *ბერძენიშვილი*; ნივთიერი კულტურის ძეგლები: *ირ. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი*. თბ., 2000.

61 ზ. *სხირტლაძე*, ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ტაძარში, გვ. 143-159;

62 ზ. *სხირტლაძე*, ფრესკის ფრაგმენტი ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხეველზე, გვ. 171-178.

63 ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს *მ. ბერიძის* ნაშრომები: ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992; *მისივე*, ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში, 1979). კრებ. ჯავახეთი, ტ. I. ახალციხე. 2002; *მისივე*, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის. თბ., 2008.

თავი III

ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები
(აღწერილობა, ტექსტები)

ვალერი სილოგავა, ლია ახალაძე

1. აბული, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
გალატოზის წარწერა. XI ს.

ასომთავრული; 3 სტრიქონი; ამოკვეთილია მოწითალო ფერის ტუფის ოთხკუთხა ფილაზე, რომელიც ჩასმულია ეკლესიის დასავლეთ კედელში, კარნიზის ქვემოთ. ფილის ზომები – 80X60 სმ. შუაში გამოსახულია სადგარზე მოთავსებული რელიეფური ჯვარი დაგრძელებული ქვედა მკლავით. ჯვრის თანმხლები წარწერა ამოკვეთილია ზედა მკლავის ორივე მხარეს. ჯვარი ჩასმულია შეწყვილებული ბრტყელი რელიეფური ზოლებით შედგენილ თაღედში. გალატოზის წარწერა ამოკვეთილია ფილის ქვედა მარჯვენა კუთხეში. უჭირავს ფართობი – 25 X 20 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი განივი, სწორი ხაზი; სურ. 1.

დათარიღება: წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით შეიძლება XI საუკუნით დათარიღდეს.

გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 29 (მხედრ. რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 108.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 122.
4. სილოგავა, 1980, გვ. 170, სურ. 3.
5. ჯავახეთი, 2000, გვ. 48.

ⴕ̄ⵊ ⵗ̄ⵙⵊ
ⵗ̄ⵊ ⵢ̄ⵊ ⵍⵞⵙ
ⵍⵋⵆ

ჯ(უარ)ი ქ(რისტეს)ი, / ქ(რისტ)ე, შ(ეინყალ)ე გ(უ)ზ(ა)ნ /გ(ალა)ტ(ო)ზ(ი).

2. აგანა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ბასილი აკნელის წარწერა. VI-VII სს.

ასომთავრული; ჩატანებულია არზრუმიდან XIX საუკუნეში გადმოსახლებული სომხური მოსახლეობის მიერ 1905 წელს აგებული ეკლესიის წყობაში. სამხრეთის კედელში მოწითალო ქვაზე 1973 წელს ჯერ კიდევ იკითხებოდა ასომთავრული წარწერის ნაშთი, რომელიც ახლა გადაშლილია. კუთხოვანი ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში „ბ“ თავშეკრული იყო, „ე“, „ლ“ კი დამატებითი ჰორიზონტალური ხაზის გარეშე.

დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა VI–VII საუკუნეებით უნდა დავათარიღოთ, ამ შემთხვევაში ყურადსაღებია შემდეგი ნიშნები: კუთხოვანი ასომთავრული, ბ-ანის თავშეკრული გრაფემა, ე და ლ გრაფემების დამატებითი, ჰორიზონტალური ხაზის გარეშე წარმოდგენა.

გამოცემები:

1. ჯავახეთი, 2000, გვ. 81.

ᲝᲫ᳀Ო Ი᳀Ო, Ყ᳀Ს᳀ᲖᲨ ᲡᲜ Ა ᲩᲜᲩᲘᲖᲨ ᲨᲨᲐ ᲧᲡᲨ ᲬᲡᲨ Უ...

უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო, ბ(ა)ს(ი)ლი პკ (ეპისკოპოსი?) ჲ აკნელი მ(ა)მ(ა)ჲ ესე შ[ეიწყალენ)].

სიტყვაში „აკნელი" საქართველოს მეგზურის ავტორები სოფელ აგანას ძველ ფორმას აკანა, აკანელს ვარაუდობენ, რაც, ჩვენი აზრით, რეალური უნდა იყოს. დ. ბერძენიშვილის წაკითხვით: **უფალო ღმერთო, ბასილი პკ (?) ჲ აკნელი მმი ესე შ...**[1]

3. აზავრეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
თევდორეს წარწერა. VIII ს.

ასომთავრული; 3 სტრიქონი; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ჩასმულია ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, შიგნით საკურთხევლის ჩრდილოეთ სვეტის რიგში ქვემოდან მე-7 წყობაში. ფილის ზომები – 47 X 53 სმ. წარწერა შესრულებულია ღრმა კვეთით. ასოების სიმაღლე – 4-8-13 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი განივი ხაზი. სურ. 2.
დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა VIII საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ[2].
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 30 (გრაფიკ. მხედრ. რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 135.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 122-123.
4. ჯავახეთი, 2000, გვ. 73.

ᲝᲫ᳀Ო Გ᳀Ბ
ᲗᲒᲗ᳀ᲡᲒ
Ყ᳀ᲩᲦ

უ(ფალ)ო, თ(ეო)დ(ორ)[ე] / მამ(ა)სა / შ(ე)წ(ი)ე.

ივ. როსტომაშვილის გადმონაწერის მიხედვით იკითხება:
უ(ფალ)ო, თ(ეო)დ(ო)ე/ჲ, ამ(ი)ს მ(ა)[შენებელი]/ შ(ე)წ(ყალ)ე.[3]

4. ალასტანი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
დაჩი საოლასძის წარწერა. X ს.

ნუსხური; 2 სტრიქონი; ამოკვეთილია მოვარდისფრო ქვის ფილაზე, რომელიც ჩასმულია აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა ნაწილში, ზემოდან ქვების მეორე ნაწილში და მარჯვენა კუთხიდან მეორე თაგში. ზომები დაახლოებით – 51 X 45 სმ. წარწერას უჭირავს ფართობი დაახლოებით – 51 X 20 სმ. ასოებს ზემოდან გადასმული აქვს თანამედროვე საღებავი წითელი ფერისა. ქვის განგებ ამოტეხის გამო ტექსტი დაზიანებულია. ასოების სიმაღლე – 3-5-6 სმ;

1 რადგან წარწერის ტექსტი ახლა უკვე გადაშლილია, მოკლე აღწერილობა და ტექსტის წაკითხვა შესრულდა წიგნიდან: საქართველოს მეგზური, ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, *თბ, 2000.* გვ. 81.

2 პალეოგრაფიული ნიშნებით დათარიღებას ამყარებს აზავრეთის ტაძრის VIII საუკუნით დათარიღება, *ვაჩეიშვილი, 2000,* გვ. 41–46.

3 Ростомов, 1898, с. 30 (გრაფიკული გადმონახაზი და მხედრული და რუსული ტექსტი). ეკლესიას ნ. ვაჩეიშვილი ათარიღებს VIII საუკუნით, *ვაჩეიშვილი, 2000,* გვ. 45.

დათარიღება: წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით დათარიღდება.
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 31 (მხედრ. რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 158.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 123.
4. სილოგავა, 1980, გვ.171, №2, სურ.5.
5. ჯავახეთი, 2000, გვ. 71.

ⴖსⴖ ⴠⴖ ⴆ̄ⴉⴠ ⴆ̄ⴑ
ⵝⵒⵡⴰⴰⵑⵑⵜ ⴖⴠ

ესე მე დ(ა)ჩ(ი)მ დ(ავ)ს(უ)ა /საოლასძემ(ან) .

5. ალასტანი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ნოშელის წარწერა. X ს.

ნუსხური, 4 სტრიქონი. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში ჩასმულია სამი წარწერიანი ფილა. ორი მათგანი მოთავსებულია სარკმლის წარბს ზემოთ ჩასმულ ბოლნურჯვრიანი ქვის მარცხნივ და მარჯვნივ ჩასმულ ფილებზე. მარცხენა ფილაზე გამოსახულია ბოლნური ჯვარი (ზომა – 28 X 28 სმ.), ჩასმული წრეში (d=36,5). ჯვრის ბუდეებში ჩასმულია ქვემოთ მარჯვნივ და ზემოთ მარცხნივ გვერდით ხელი. სხვა ბუდეებში რელიეფური წრეები. ფილის ზომები დაახლოებით – 42 X 64 სმ. წარწერა ამოკვეთილია მარცხენა ნაწილში, უჭირავს ფილაზე დაახლოებით – 16 X 17 სმ. ასოების სიმაღლე დაახლოებით – 1-1,5-2 სმ. განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. სურ. 4.
დათარიღება: დაჩი საოლასძის და ნოშელის წარწერები ერთი და იმავე ოსტატის ხელით უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად, ნოშელის წარწერაც X საუკუნით დათარიღდება.
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 31 (მხედრ. რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 158.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 123.
4. სილოგავა, 1980, გვ.171, №1, სურ.4.
5. ჯავახეთი, 2000, გვ. 71. სქ.

ⴖსⴖ შⴖ ⴢⴰ
ⵖⵔⵓⵛⵛⵑ
ⴆⵑⵔⴆⴖ
ⵜⵔⵒⴰ

ესე მე ნო/ შელმან/ დავდე /ქვაჲ.

წარწერა მოთავსებული ყოფილა წარწერის ტექსტის ზემოთ ჩასმულ ბოლნურჯვრიანი კედლის მარცხნივ, მაგრამ ამჟამად ისიც გადათლილია. ასევე გადათლილია წარწერის ტექსტი. მის მარცხნივ ჩასმულ არეში ბოლნური ჯვარი არის გამოსახული.

6. არაკალა. დიდი არაგალი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
წმ. თეოდორეს წარწერა. X ს.

ასომთავრული; 1 სტრიქონი; ამოკვეთილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ არაკალას დანგრეული ეკლესიის მახლობლად დაგდებულ ქვაზე.

გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 35 (გრაფ. მხედრ. რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 72.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 123.

წარწერაში იკითხება:

Ⴔ̄Ⴗ ⴉ̄Ⴢ

თ(ედორ)ე წ(მიდა)ჲ[4]


7. არეში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
გურგენ კურაპალატის ძის წარწერა. 881-891 წწ.

ასომთავრული; 3 სტრიქონი. უჭირავს ფართობი – 87 X 20 სმ.; ასოების სიმაღლე – 4-4,5 სმ. ქარაგმის ნიშანი – განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; წარწერა დაუმთავრებელია. მესამე სტრიქონში, რომელიც ფილის შუა ადგილას წყდება, უკანასკნელი ასო დ-ონის შემდეგ პატარა განივი ხაზია ამოკვეთილი. დ-ონის განივი ხაზის დონეზე; სავარაუდოდ, ის რომელიღაც ასოს ნანგრევს წარმოადგენს, რომლის ამოკვეთა ბოლომდე არ მიუყვანიათ. სურ. 5.

დათარიღება: წარწერა გურგენ კურაპალატის სიცოცხლეში – 881-891 წლებში უნდა იყოს შესრულებული. სავარაუდოდ, იმავე პერიოდს ეკუთვნის არეშის ქვაჯვარის სტელის წარწერები, სადაც ქვაჯვრის მშენებელ-ოსტატთა სავედრებელი წარწერებია ამოკვეთილი.

გამოცემები:

1. ჯავახიშვილი, 1944, გვ. 749.
2. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 7-9
3. შოშიაშვილი, 1980, გვ. 110-111. №39.
4. სილოგავა, 1980, სურ. 1,2.



ⴕⴗⴓ̄ⴡ ⵟⴕⴗⵍⴡ ⴣⴓⴕⴕⴕⵔⵓⵔⵚⵔⵒ[...]
ⵔⵔⴓⴡ [.]ⴉⴕⵔ ⵔⴕⵍⵒⵚ ⵓ̄ⵠⵔⴕⵔ ⴣⴓ
ⴕⵔⵛⵕⵔⵔⵔⵓ[...]

ძემ(ა)ნ გ(უ)რგ(ე)ნ კურაპალა/[ტი]სამ(ა)ნ [შ](ე)წ(ი)რა არ(ე)შტი ს(ა)ყდ(ა)რსა კ(უ)მრ/დ(ო)ბსა სად[(ი) დ(ე)ბლ(ა)დ ღმრთ(ი)სა].

4 მოკლე აღწერილობა და ტექსტი შესრულებულია ივ. როსტომაშვილის მიხედვით: *Ростомов*, 1898, с. 35.

8. არეში. ქვაჯვარი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
სამხრეთი კედლის წარწერები. XIს.

ასომთავრული; ორი წარწერა ამოკვეთილი თითო სტრიქონად, მოთავსებული კუმურდოს ტაძრის ეზოში დადგმული არეშის სტელის ბაზისის სამხრეთ კედელზე; კედლის ზომები – 88 X 68სმ. წარწერები ღრმა კვეთით შესრულებულ გრაფიტებს წარმოადგენენ; პირველი წარწერა ამოკვეთილია ოდნავ დახრით. მათ ზემოთ, ქვის შუა ადგილას ასევე დახრით ამოკვეთილია ჰერალდიკური ნიშანი. ასოების სიმაღლე – 7-8 სმ. ქვის ზედაპირის ატკეცვის გამო წარწერები უმნიშვნელოდ დაზიანებულია. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი. სურ. 6.
დათარილება: წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნისაა.
გამოცემები:

1. ჯავახიშვილი, 1944, გვ. 750-751 (ასომთ. მხედრ. გრაფ. მონახ.)
2. შოშიაშვილი, 1980, 41, გვ. 112, სურ. 39, ტაბ. 24, 2 (ასომთ. მხედრ. გრაფ. მონახ.; ფოტო);
3. სილოგავა, 1994, გვ. 81-82. №26. (ასომთ. მხედრ. გრაფ. მონახ.)

ა. გაბრიელის წარწერა

+ ⁻ⴗⵖ⁻ⴗⵍ⁻ⴖ [– – –]

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(ა)ბ(რიე)ლ, ა(მე)ნ.]

ბ. დემეტრეს წარწერა

+⁻ⴗ ⵖ⁻ⴗⵏ ⵔ⁻ⴗ

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ენ დ(ემეტრ)ე.

9. არეში. ქვაჯვარი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
დასავლეთი კედლის წარწერები. X ს.

ასომთავრული; 1 და 2 სტრიქონი; ამოკვეთილი ქვასვეტის ბაზისის დასავლეთ კედელზე. ბაზისი გათლილია მუქი ღვინისფერი ქვის მოზრდილი ბლოკისაგან. ამ მხარეს, მის ცენტრში, ღრმა კვეთით გამოყვანილია ჯვარი (ზომა – 34 X 50 სმ.) ქვედა მკლავზე ტარით. ჯვრის მარცხნივ და მარჯვნივ ამოკვეთილია გეომეტრიული ფიგურები (მარცხნივ – ჯვარი განივი მკლავებიდან მაღლა ამართული ხაზებით; მარჯვნივ – ჯვარი განივი მკლავებიდან დაბლა დაშვებული ხაზებით), რომლებიც შეიძლება ჰერალდიკურ ნიშნებს წარმოადგენდნენ. წარწერები ამოკვეთილია კედლის ზედა და ქვედა ნაწილებში, ჯვრის ზემოთ და ქვემოთ, მის ორივე მხარეს გამოსახულებები წარწერებით ჩასმულია ოთხკუთხა ჩარჩოში (ზომა – 75 X 53 სმ.) (ქვედა წარწერის ერთი სიტყვა „ამენ" ამოკვეთილია ჩარჩოს გარეთ). ქვის ზედაპირის ატკეცვის გამო, ჯვრის გამოსახულება და წარწერები ნაწილობრივ დაზიანებულია. ასოების სიმაღლე – 2-3, 5-5სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი. სურ. 7.
დათარილება: წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით X ს-საა; ყურადღებას იქცევს ბ-ანის და შ-ინის თავშეკრული და წ-ილის მუცელშეკრული გადმოცემა; გ-ანისა და ე-ნის გადმოცემა თავთან მარცხენა დამატებითი ხაზებით; მთლიანად ასოების ოთხხაზოვან ბადეში განლაგება.
გამოცემები:


1. ჯავახიშვილი, 1944, გვ. 750 (ასომთ. შრიფ., გრაფ. მონახ.)

2. შოშიაშვილი, 1980, გვ. 40, ტაბ. 24,1 (ასომთ. შრიფ.; მხედრ. ტრანსკ.; ფოტო)
3. სილოგავა, 1994, გვ. 80-81. №25. (ასომთ. მხედრ. გრაფ. მონახ.)

ა. წარწერის ფრაგმენტი

+ ⁻ᲨᲧ⁻ᲑᲧᲜᲮᲨ[...]ᲔᲨᲧᲫ

ქ(რისტ)ე, შ(ეი)წყ(ა)ლე[...] ნი შ(ინ)ა



ბ. გიორგი ბ⁻ერაისძის და ასათის წარწერა

+⁻ᲨᲧ⁻ᲗᲘ Უ⁻ᲣᲘ ᲧᲘᲨᲐᲘᲡ ᲐᲨᲒᲠᲗᲨᲩ
ᲠᲮᲠᲒᲠᲩ

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ეი გ(იორ)გი ბ ჲერ(ა)ჲის ძე; ამე]ნ / აკათ ა(მე)ნ.

10. აფნია (წარწერა ქარცებიდან), ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

ქარიძის წარწერა. XIV ს.

მხედრული რამდენიმე ასომთავრული გრაფემით; 4 სტრიქონი, შესრულებულია ღრმა კვეთით, ღია მოვარდისფრო ოთხკუთხა ფილაზე, რომელიც ჩასმულია ეკლესიისათვის დასავლეთით მიშენებული სათავსოს სამხრეთ კედელში, სარკმლის მარჯვნივ, ქვემოდან ქვების მე-3-4 წყობაში. ფილის ზომები – 59X35. ასოების სიმაღლე – 5,5-7-13,5. განკვეთილობის ნიშნები: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ: ქარაგმის ნიშანი: განივი სწორი ხაზი. წარწერიანი ფილა ქარცების ეკლესიიდან გადმოუტანიათ 25-30 წლის წინათ. ეკლესიაში მოკრებილი ცნობებით (მცველის ვასილი ევგენის ძე ნათენაძის ცნობით) მინაშენი აგებული ყოფილა ქარცების ეკლესიიდან მოტანილი ქვებით.
დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIV საუკუნით დათარიღდება.

† ⁻ᲐᲮᲡ ღ⁻[-]ᲐᲐ / მ ქრიძეს მისნი / Უდვანი შეუ/[ნ]ს ᲘთᲐ⁻Ჩ

† ძ(ლიე)რ(ი)ს(ა) ს(ახელითა) ღ[მერთ]მა(ნ) / მ ქ(ა)რიძეს მისნი / პ(ცო)დვანი შეუ/[ნდვნ(ე)]ს ღ(მერ)თმ(ა)ნ.

11. ახალქალაქი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

წარწერის ფრაგმენტი წმ. ნიკოლოზისადმი ვედრებით. XI ს.

ასომთავრული; შემორჩენილია 3 სტრიქონი. ამოკვეთილია ქვის ფილაზე , რომელიც აღმოჩენილია ახალქალაქში, არქეოლოგიური გათხრების დროს, XX საუკუნის II ნახევარში.[5] სურ. 8.
დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI საუკუნისაა.

[....ᲒᲩ] ᲩᲬᲥᲐ[ᲖᲜᲡ] [ᲒᲪᲩ]
ᲔᲩᲔᲪᲩ [ᲝᲩ ᲯᲐᲪ]
[Გ]ᲩᲩᲪᲩ †⁻ᲫᲚᲘᲪᲩ....]

5 ფოტო 1991 წლის 6 თებერვალს პროფ. პარმენ ზაქარაიამ გადასცა პროფ. ვ. სილოგავას.

[.... წ(მიდის)ა] ნიკო[ლ(ო)ზ(ი)ს(აძთა)] [წ(მიდა)თა] ხატთა [და ჯ(უა)რთ(ა)] [წ(მიდ)]ათა ქ(რისტ)ე[სითა....]

12. ახალქალაქი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
საამშენებლო წარწერის ორი ფრაგმენტი. XI ს.

ასომთავრული; 3 სტრიქონი; რელიეფური. შესრულებული ნაცრისფერი ქვის 2 ფილაზე. I ფილის კიდეები ჩამოტეხილია სამკუთხედის მსგავსად. მისი ზომებია – 52X35X19. II ფილის კიდეები ისეა ჩამოტეხილი, რომ გარკვეულ ფორმას არ იძლევა მისი ზომები – 43X48X14. II ფილა გატეხილია ორ ნაწილად. ორივე ფილის წარწერები შესრულებულია ერთიდაიმავე ხელით: კიდურწაისრული დამწერლობით. შეიძლება ორივე ფილაზე ამოკვეთილი ტექსტი ერთი წარწერის ფრაგმენტებს წარმოადგენდეს. ასოების სიმაღლე – 8-10 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. მეორე ფილა მთლიანად შემჭვარტლულია. სურ. 9,10.

გამოცემები:

1. სილოგავა, 1980, გვ. 175-176, სურ. 9,10.
2. სილოგავა, 2000, №32.

I ფრაგმენტის ტექსტი:

[...]
[...] ᲣᲮ[...] [...]
Ა[...] ᲝᲩᲚᲬ[-] [...]
[...] ᲢᲜᲦ

[--] / [...] პა[ტრონმან] (?)[...] /მ[...] დ(ა)ვ[დ(ე)ვ] ბ(ა)ლ(ა)[ვ(ა)რი]/ [...] ესე.

II ფრაგმენტის ტექსი:

[...]
[...] [-] Ქ [-]
[...] ᲤᲢᲝ [...]
[...] ᲮᲩ


[...] / [...] [-] გ [-]/ [...] ფედ [...]/[...] ა(მე)ნ

წარწერიანი ფილები ამჟამად ახალქალაქის ავტოსადგურის ტერიტორიაზე ჩადგმულია სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მშრალი წყობით აშენებული ნიშის კედელში. ეს ნიში აქ რამდენიმე წლის წინათ აუშენებიათ ბოშა ქალებს და დღესაც სალოცავად იყენებენ. აქვე მოთავსებულია დიდი ზომის ფილა, სტელის ფარგმენტი და არქიტექტურული დეტალები. ეს ქვები შორიახლოდან, სულაც ახალქალაქის ციხის ტერიტორიიდან უნდა იყოს მოზიდული, ან შეიძლება ამ ადგილას (თანამედროვე ავტოსადგურის ტერიტორიაზე) რამე ნაეკლესიარი იყო, რომელიც ავტოსადგურისათვის ადგილის გათავისუფლებისას გაანგრიეს და მოსპეს, ხოლო დარჩენილი ფრაგმენტებით ააშენეს ეს ნიში.

13. ახალქალაქი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ეკლესიის საამშენებლო წარწერა XII ს.

ასომთავრული; 6 სტრიქონიანი; წარწერა ამოკვეთილი იყო ახალქალაქის ფერისცვალების ეკლესიის ეზოში ერთ-ერთ ქვაზე. ფილის მარცხენა ნაწილი მომტვრეულია, რის გამოც არ იკითხება ტექსტის ეს ნაწილი. წარწერის გრაფიკული მონახაზი სავარაუდო გაშიფვრით გამოქვეყნებულია ივ. როსტომაშვილის მიერ. ექ. თაყაიშვილს წარწერის ფოტოსურათიც აქვს დაბეჭდილი, რომლის საფუძველზე წარწერის ტექსტის აღდგენა და პუბლიკაცია რამდენჯერმე განხორციელდა ლ. მუსხელიშვილის, გ. გაფრინდაშვილის, ვ. ცისკარიშვილის, ე. ჯანდიერის და სხვათა მიერ. სურ. 11.
დათარიღება: წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებისა და მასში დასახელებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის საფუძველზე, წარწერა XII საუკუნით უნდა დათარიღდეს.
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с.37-38. (მხედრ. რუს.)
2. Такаишвили, 1909, с. 24.рис.10 (с.24) (ნუსხ; რუს)
3. ცისკარიშვილი, 1955, გვ. 80. (ასომთ., რუს.), 83 (მხედრ.)
4. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 58-59.
5. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 54.
6. მუსხელიშვილი, 1941, გვ. 64.
7. ბერძენიშვილი, 1998, გვ. 18.
8. ჯავახეთი, 2000, გვ. 47.



[. . . . .]ᲘᲣ᾽ᲧᲩᲘ ᲗᲡᲘ ᲑᾺᲘ
[. . . . .]ᲡᲔ ᲝᲔ ᲩᲐ᾽ᲰᲡᲡᲘ[. . . . .]
ᲚᲐᲧᲜᲖᲡᲔ ᲐᲘᲒᲔ /
[. . . . .] ᲔᲐ᾽ᲒᲡ ᲡᲒ᾽ᲐᲩᲧᲡᲔ ᲧᾺᲔ
[. . . . .] [. . .]ᲥᲒᲫᲖᲝ ᲜᾺᲖᲡᲔ ᲝᲔ [. . . . .
Ე ᲦᲡᲝᲔᲚᲡ ᲧᾺᲝᲩᲘᲘᲗ᾽ᲩᲔᲔ᾽Ჩ

[† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაა)თა ა]ღვ(ა)შ(ე)ნე ესე წ(მიდა)ი/ [ეკლ(ე)სია მ(ე)ფ(ო)ბა]სა დ(ავითისას)ა და ამ(ი)რსპ[ასალარობასა ავაგისა]./ გ(ა)მ(რე)კ(ე)ლისა ძეთა:/ [კახას, ასიბას, და ლიპ]არ(ი)ტ(ი)ს პ(ა)ტრ(ო)ნ(ო)ბ(ა)სა შ(ი)ნა/[. . . . .][სალ]ოცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა და[. . . . .]/ა ისდ(ი)აგს შე(უნ)დ(ვე)ნ ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

14. ახალქალაქი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
მარიამის წარწერა. XI. ს.

ასომთავრული; 1 სტრიქონი; ამოკვეთილია ქვის ფილაზე[6], რომელიც აღმოჩნდა XX საუკუნის II ნახევარში არქეოლოგიური გათხრების დროს ახალქალაქის ნაქალაქარის კარიბჭეზე.
ქარაგმის ნიშანი სწორი განივი ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სურ. 12.
დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI საუკუნისაა.
გამოცემები:

1. ბერძენიშვილი, 1975, გვ. 109.

6 წარწერის ფოტო 1991 წლის 6 თებერვალს პროფ. პ. ზაქარაიამ გადასცა პროფ. ვ. სილოგავას.

2. Джанджиери, 1983, с.18.
3. ბერძენიშვილი, 1998, გვ. 15, 55. სურ. გვ.45.

[illegible]

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(არია)მ[7]

15. ბავრა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

სოფრონ ქორჩქოთელის წარწერა X ს.

ასომთავრული, რელიეფური, 1 სტრიქონი მოთავსებულია ქვიშაქვის ნაცრისფერ ოთხკუთხა ფილაზე, რომელიც ჩასმულია ეკლესიის დასავლეთ კედელში მარცხენა მხარეს. წარწერა ოთკუთხედად შემოუყვება გარშემო ფილას. ფილის ცენტრში გამოსახულია ბორჯღალი ჩასმული ოთხკუთხა ჩარჩოში და მის ორივე მხარეს თითო დისკი. ფილის ზომები – 45 X 20 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. სურ. 13

დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X საუკუნისაა.

გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 38 (გრაფ. მხედრ.რუს.)
2. Такаишвили, 1909, с. 29. (ნუსხ., რუს)
3. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 107.
4. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 122.
5. ჯავახეთი, 2000, გვ. 55.
6. სილოგავა, 2000, № 35.

[. . . . .] ⊂ ⊓⊕⊐⊔⊂⊃⊕⊂ ⊂⊐⊔⊙ ⊐⊔⊐ ⊐⊀⊐⊐⊔⊐⊂ ⊧⊃ [. . . . .] ⊔⊙⊬⊦⊓ †⊙⊓⊦⊕⊐⊔⊂⊂

[† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ]ა ღ(მრ)თისათა ა(ი)გო ესე ეკლესია წ(მიდა)ჲ [ხელითა] ს(ო)ფრ(ო)ნ(ი)ს ქორჩ(ო)თელ(ი)სა(თ)ა.

16. ბავრა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

სოფრონის წარწერა X სს.

ასომთავრული, 1 სტრიქონი. ამოკვეთილია ღია მოვარდისფრო ქვის ფილაზე დანიელის ლომებისა და აყვავებული ჯვრების რელიეფურ გამოსახულებებთან. ფილა ჩასმულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში. მისი მარცხენა კიდე ჩამოჭრილია ცერად. ფილის ზომები – 56 X 88. მის ცენტრში წარმოდგენილია დანიელი ლომების ხაროში. ხოლო ორივე მხარეს აყვავებული ჯვრები. წარწერა მოთავსებულია ფილის ქვედა კიდეზე. უჭირავს ფართობი – 51 X 10. ასოების სიმაღლე – 2, 5-5-7. განკვეთილობის ნიშნები არ აქვს; ქარაგმის ნიშანი განივი ხაზი. სურ, 14.

დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X საუკუნეს განეკუთვნება.

გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 39 (გრაფ. მხედრ.რუს.)

7 *ე. ჯანდიერის* აზრით, წარწერაში დასახელებული მარიამი უნდა იყოს ბაგრატ IV-ის დედა – საქართველოს დედოფალი - მარიამი. *Джанджиери*, 1983, с. 18. ამ მოსაზრებას *დ. ბერძენიშვილი* სხვა წყაროებითაც ამყარებს: „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის მიხედვითაც ბაგრატ მეფემ ააშენა ახალქალაქის ზღუდე“. *ბერძენიშვილი*, 1998. გვ. 15,/55. სურ. გვ. 45.

7. Такаишвили, 1909, с. 29. (ნუსხ., რუს). ფოტო 14 (с. 29)
2. Джанашвили, с. 102.
3. ბერძენიშვილი, 1933/1964, გვ. 107.
4. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 121.
5. ჯავახეთი, 2000, გვ. 55. ფოტო-ტაბულა 148.

+ ̄ᲨᲔᲝ ̄Შ ს ̄ᲪᲮ ̄Ჩ

ქ(რისტ)ე ა(დი)დე ს(ო)ფრ(ო)ნ.

17. ბავრა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
მგელაძის საფლავის ქვის წარწერა. XV-XVI სს.

ასომთავრული, რამდენიმე გრაფემა ნუსხური; 4 სტრიქონი; ამოკვეთილი ქვის სვეტზე – ნაცრისფერი ქვის საფლავის სვეტზე, რომელიც დგას ბავრის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის გასწვრივ, პირით დასავლეთისაკენ. წინა პირზე ამოკვეთილია დიდი ზომის რელიეფური ჯვარი. სვეტის ზომები – 185X57X33. წარწერა ამოკვეთილია ფილის ზედა ნაწილში; უჭირავს ფართობი – 47 X 20; ასოების სიმაღლე – 3-4, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი. ქარაგმის ნიშანი განივი ხაზი. წარწერა დაფარულია მღიებით. სურ. 15, 16.
დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XV-XVI სს. უნდა დათარიღდეს.
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 39 (გრაფ. მხედრ.რუს.)
2. Такаишвили, 1909, с. 30. (ნუსხ., რუს). ფოტო 15 (с.30)
3. ჯავახეთი, 2000, გვ. 55. ფოტო-ტაბულა 151.

† ᲦᲚᲩ ს ̄ᲥᲬ ̄ᲮᲩ ᲭᲦ ̄Წ
Შ ̄ᲮᲡ Ყ ̄ᲩᲜ *ᲜᲐᲜ* ᲒᲨ Ხ ̄ᲩᲜ
Ყ ̄Გ ̄Ჩ *ᲐᲜ* † ̄Ლ Ჯ ̄ᲜᲨᲨ Ყ ̄Ჩ
Ი ̄Ჩ

† ესე ს(ა)ფლ(ა)ვი მგ(ე)ლ(აძისი) / არს, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერ)თ(მა)ნ და ვ(ი)ნც(ა)/ შ(ეუნ)დ(ვე)ნ თქ(უა)ს, მ(ა) სცა შ(ეუნდვე)ნ /ღ(მერთმა)ნ.

18. ბარალეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
წარწერა ლაშას მეფედ დაჯდომის შესახებ. 1207/1210 წწ.

ასომთავრული, 9 სტრიქონი; ამოკვეთილია ქვის ოთხკუთხა ფილაზე, რომელიც ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ კედელში, სახურავის სამხრეთი კარნიზის ქვედა რიგში, ქვემოდან ქვების მე-11 რიგში და კედლის სამხრეთ კიდიდან მე-5-6 რუში. ზომების აღება არ ხერხდება. ფილის ზედა მარცხენა კიდე ცერადაა გადაკვეთილი კარნიზის ქვების რიგით. შესრულებულია ღრმა კვეთით პატარა ზომის ასოებით. ფილა ზომით დაახ. – 30X40 სმ. ასოები – 3-4-5 სმ. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი გამოყენებულია მხოლოდ ერთხელ – განივი, სწორი ხაზი. სურ. 17.
დათარიღება: წარწერა დათარიღებულია გიორგი IV ლაშას (1207/1210-1223 წწ) გამეფების თარიღით – 1207/1210 წწ.

გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 40 (გრაფ. მხედრ.რუს.)
2. ბერძენიშვილი, 1933/1964. გვ. 145.
3. ცისკარიშვილი, 1959, გვ. 52.
4. სილოგავა, 1980, გვ. 175. სურ. 8.
5. ოთხმეზური, 1981, გვ. 47; 107-109.
6. სილოგავა, 2000, №38
7. ჯავახეთი, 2000, გვ. 63.

†[...]ᲧᲘᲩᲔ ᲛᲙᲖ
ᲛᲚᲘᲔᲘ ᲛᲚᲘ ᲔᲔ
Ო ᲧᲔᲔᲝ ᲧᲘᲩᲔ
ᲝᲓᲛᲚ ᲖᲔᲧᲔ Ე
ᲛᲤᲛᲓ ᲓᲔᲔᲮ
ᲓᲔ ᲔᲓᲛᲓᲩ
Ი̃ᲝᲩ ᲝᲐᲩᲝᲜ[.]
[..]ᲝᲐᲛ[.]ᲝᲔ ᲧᲩ[..]
ᲚᲧᲓᲐᲩᲔ

† [აღ]შენა ეკლ/ ესიაი ესე მა /თ ჟამთ შინა / ოდეს ლაშა მ/ეფედ დავჳ/და. ადიდ(ე)ნ/ ღ(მერ)თ(მა)ნ ორთ(ა)ვ[ე]/[ცხ]ორე[ბ](ა)თა შ(ი)ნ[ა]/ ს(ა)ყდ(ა)რსა.

19. ბარალეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
პეტრე ხმალაძის საფლავის ქვის წარწერა 1855.

მხედრული; საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ივ. როსტომაშვილმა ბარალეთის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან ნახა.
დათარიღება: წარწერა დათარიღებულია 1855 წლით.
გამოცემები:

1. Ростомов, 1898, с. 41 (მხედრ.რუს.)
2. ჯავახეთი, 2000, გვ. 63.

ივ. როსტომაშვილის წაკითხვით ტექსტი ასეთია:
ლოდსა ქვეშე ამისა მდებარე არს გვამი მღვდელის პეტრე ხმალაძისა, რომელიც ჟამსა მახმედიანთაგან ქრისტიანეთა დევნულებისა, იყო შეძლებისამებრ შემწეელი და რუსეთის მთავრობის მოსვლასა, ძველთა ქრისტიანეთა ეკლესიის შეწყნარებისა ერთეული წინამძღვარი. აღმკითხველთაგან შენდობისა არს მოქენე, რათა თქვენცა დღესა განკითხვისასა მიემთხვინეთ შენდობასა. გარდაიცვალა წლისა 90-სა. სახსოვარი ესე აღაგეს მისთა მმადლობელთა შვილთა.

20. ბერთაყანა, ასპინძის მუნიციპალიტეტი
ზოსიმე კუმურდოელის წარწერა XI ს.

ნასოფლარი ბერთაყანა მდებარეობს მტკვრის ხეობის მარჯვენა კიდეზე, კუმურდოს მახლობლად. დ. ბერძენიშვილის აზრით, ეს სოფელი კუმურდოს საეკლესიო მამული უნდა ყოფილიყო, რასაც

უნდა ადასტურებდეს აქაურ გამოქვაბულში არსებული წარწერა XI საუკუნისა, ზოსიმე კუმურდოელის მოხსენიებით[8]. წარწერის ტექსტი ჩვენთვის უცნობია.

დათარიღება: წარწერაში დასახელებული ზოსიმე კუმურდოელი XI საუკუნეში მოღვაწე კუმურდოელი მღვდელმთავარი ზოსიმე უნდა იყოს.

გამოცემები:

1. ქსე. 2, 1977, გვ. 317. (ცნობა წარწერის შესახებ)
2. ბერძენიშვილი, 1985, 121. (ცნობა წარწერის შესახებ)

21. ბოჟანო (ლეკნარი), ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის[9] წარწერა. XII ს.

ასომთავრული; ამოკვეთილი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ერთ-ერთ ლოდზე, რომელზეც ჯვარია გამოსახული. წარწერა ნაკლულია.[10]

გამოცემები:

1. ბერძენიშვილი, 1975, გვ. 115;
2. ჯავახეთი, 2000, გვ. 80;

. . . ჰᲮᲝᲜᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡᲐ ᲯᲛ Კ. . . . ᲮᲡ ᲫᲛ

... ნათლისმცემელო, შ(ეიწყალ)ე კ.... ას ძე.

22. ბუზავეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ქვაჯვრის კვარცხლბეკების წარწერები. VIII ს.

ბუზავეთის დარბაზული ეკლესიის ეზოში მრავალრიცხოვანი სტელები და ჯვრის ბაზისებია შემორჩენილი წარწერებით. ერთ-ერთ მათგანზე ერთ-ერთ მათგანზე ამოკვეთილია წარწერა

გამოცემები:

1. ჯავახეთი, 2000, გვ. 52.

†ᲛᲦᲮᲡᲘᲐᲜᲘ [...]

ქ(რისტ)ე, გ(ანუ)სუენე [...]

23. ბურნაშეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ეკლესიის მაშენებელთა წარწერა. X ს.

ასომთავრული; 5 სტრიქონი; ამოკვეთილი მონაცრისფრო ფერის ქვის ფილაზე, რომელიც წარმოადგენს ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმლის ზედანს. ფილის ზომები – 7X93 სმ., ფილის ქვემოთ, შუა ადგილას ამოღებულია ნახევარწრიული (d–16) ფოსო, რომელიც ამაგრებს სარკ-

8 ბერძენიშვილი, 1985. გვ. 121.

9 დ. ბერძენიშვილის ცნობით, ბოჟანოში, მეფეთა სადგომის ნანგრევებთან, ყოფილა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რაც ამ ეკლესიის წარწერებიდან ჩანს. ტექსტები ჩვენთვის უცნობია.

10 წარწერა პირველად გამოსცა დ. ბერძენიშვილმა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 115).

მლის ჭრილს. ფილაზე გამოსახულია დანიელი ლომების ხაროში: ხელებაწეული დანიელის პირდაპირ (43) ორივე მხარეს წარმოდგენილია თითო ატოტებული ლომი (41). როგორც ჩანს, დანიელისა და ლომების გამოსახულებას გადასმული ჰქონდა სინგური, რომელიც ამჟამად ძალზე გადარეცხილია და გაფერმკრთალებული. გამოსახულების ქვემოთ მოთავსებულია სარკმლის წარბი შუაში გრძელი ორნამენტით. წარწერა მოთავსებულია გამოსახულების ზემოთ, სადაც მას უჭირავს ფილის მთელი სიგანე – 93X27 სმ. ფართობზე. შესრულებულია ღრმა კვეთით. ასოები რამდენადმე კუთხოვანი მოხაზულობის შთაბეჭდილებას ქმნიან. ასოების სიმაღლე – 3,5-4-6 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, სწორი ხაზი. შინი და ბანი მე-3 სტრიქონში თავშეკრულია. სურ. 18.

დათარიღება: პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X საუკუნისაა.

გამოცემები:

1. „ივერია“, №103, 1895.

კურაპალა[ტი]სამ(ა)ნ [შ](ე)წ(ი)რა არ(ე)შტი ს(ა)ყდ(ა)რსა [კუმ]რდ(ო)ბსა სად[(ი)დ(ე)ბლ(ა)დ ღმრთ(ი)სა]", წარწერიანი ქვაჯვრის კვარცხლბეკი დგას მელრეკის X საუკუნის ეკლესიის საკურთხეველში,[9] რომელიც ეკლესიისადმი ჯვრის შეწირვის აქტი უნდა იყოს. ასევე, ჯვრის აღმართვაზე არის საუბარი ხიზაბავრის X საუკუნის ეკლესიის ქვის ფილაზე.

თუმცა თავფარავნიდან 3-5 კმ-ზე აღმართულ 3 მ. სიმაღლის ქვაჯვარს განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ალბათ, იგი მნახველს მიანიშნებდა გზა-გადასასვლელს, საზღვარს, ან სხვის სამფლობელოს მიწაზე. ფარავნის სტელაზე ამოკვეთილ წარწერაში იკითხება: „შვილნო ღმრთისანო, ქრისტიანენო საწყალი დათვიაჲ ლოცვასა გევედივარ".

წარწერიან ქვაჯვრებს შორის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია არეშისა და ხუნამისის ქვაჯვრების წარწერები. არეშის წარწერა დამაჯერებლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კუმურდოს ტაძრის ადგილზე, 964 წლამდე გაცილებით ადრე, არსებობდა მაშინდელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სალოცავი. წარწერაში გარკვეული ცნობებია დაცული X საუკუნის ჯავახეთის მფლობელთა ვინაობის დადგენისათვის.[10] არეშის სტელისა და მისი კვერცხლბეკის წარწერები საინტერესო მასალაა IX საუკუნის საქართველოს ონომასტიკისა და ტოპონიმიკის კვლევის თვალსაზრისითაც.

ხუნამისის ქვაჯვარი IX საუკუნით, კერძოდ 895 წლით არის დათარიღებული, რომელიც იმ იშვიათ წარწერათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც თარიღის ზუსტი მონაცემები გვაქვს. წარწერაში დასახელებულია ადრეფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტერმინი „უფალი". ივ. ჯავახიშვილის აზრით, სანამ ქართულ მწერლობაში სიტყვა „პატრონი" შემოვიდოდა, მანამდის უკვე სხვა ადგილობრივი ქართული ტერმინი „უფალი" არსებობდა და მიღებული იყო.[11] „უფალი" გვხვდება ლეონტი მროველის, „მატიანე ქართლისაჲს" უცნობი ავტორის, ბასილი ზარზმელის, იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის და სხვა თხზულებებში. როგორც ვხედავთ, გარდა ქართული ჰაგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებებისა „უფალი" დადასტურებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც. ძველ ქართულში მას ჯერ უფროსის, ხოლო შემდეგ მმართველის მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს შემთხვევაში - ხუნამისის წარწერაში „უფალი" წარმოდგენილია როგორც სამოხელეო ტერმინი. ხუნამისის წარწერიდან ჩანს, რომ IX საუკუნის მიწურულს ჯავახეთს „უფლობდა" სულა ჯაფარიძე.

ქვაჯვრები, როგორც მამულის საზღვრის აღმნიშვნელი იურიდიული დოკუმენტი დადასტურებულია ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში".[12] ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობაა დაცული ათონის ერთ-ერთ ისტორიულ ხელნაწერში, რომელშიც ქვაჯვარი დასახელებულია, როგორც თორნიკეს მამულის საზღვრის აღსანიშნავად აღმართული დამადასტურებელი დოკუმენტი-იურიდიული აქტი.[13]

შესაძლოა, ქვაჯვრები საეკლესიო მიწისმფლობელობის, ან სამწყსოს საზღვრის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტიც ყოფილიყო. ძველი ქართული სამართლის ძეგლების ერთ-ერთ დოკუმენტში კუმურდოელის სამწყსოს საზღვრად ხავეთია დასახელებული.[14] „კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისიდან ზეით სულ ჯავახეთი, ხავეთამდი[15]", იქვე განსაზღვრულია კუმურდოს მოსაზღვრე ეპარქიის წყაროსთავის საზღვრებიც: „ წყაროსთუელის სამწყსო: ზავეთი და იმას ზეით

9 საქართველოს მეგზური, ჯავახეთი, ფოტო — ტაბ. 195.

10 *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. გვ.8-9;

11 *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბ., 1982. გვ. 257.

12 საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, 1882, გვ.

13 *ე. მეტრეველი*, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996. გვ. 34.

14 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970. გვ.245. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული *თედო ჟორდანიას* მიერ. ნ. II. ტფ., 1897. გვ. 53.

15 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. გვ. 245.

პალაკაციო კოლას სამძღურამდინ, მტკვარს აქეთი არტაანი"[16]. აქ აშკარად იკვეთება სურათი, რომ ხავეთი ნამდვილად წარმოადგენს ორი ეპარქიის სამწყსოს სასაზღვრო სოფელს.

სოფელ ხავეთის თავზე, დასავლეთით ორ კილომეტრზე, მდგარი ქვაჯვარი, ჩვენი აზრით, მიუთითებს კუმურდოელის სამწყსოს საზღვარზე. აქვე დგას მეორე ქვაჯვარიც, სადაც მთავრდებოდა წყაროსთავის სამწყსო. ხომ არ მიანიშნებს ეს იმ ფაქტზე, რომ ეს ქვაჯვარი იყო წყაროსთავის სამწყსოს საზღვარი, ხოლო დამთავრებულწარწერიანი ქვაჯვარი კუმურდოელის სამწყსოს დასაწყისი? ვფიქრობთ, ხავეთის ორი ქვაჯვარი ამ ორი სამწყსოს საზღვარს აღნიშნავდა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ქვაჯვართა ერთი ნაწილის, როგორც ეპიგრაფიკული საბუთისა.

ეპიგრაფიკულ აქტებს მიეკუთვნებიან ჭელის გამოსახულებიანი სტელები და მათი წარწერები. XX საუკუნის 90-იან წლებამდე ჯავახეთიდან ჭელის გამოსახულებიანი ორი წარწერიანი სტელა იყო ცნობილი, მაგრამ 1997 წელს ჯავახეთის ექსპედიციამ დევი ბერძენიშვილის, ნიკა ვაჩეიშვილის, ირინე ელიზბარაშვილის, ციცინო ჩაჩხუნაშვილისა და ნინო ბაგრატიონის შემადგენლობით, კუმურდოდან სამხრეთით 4-5 კმ-ზე, კუმურდო-ახალქალაქის გზაზე, ზრესკის ტბის სანაპიროზე 1996 წელს აგებულ პატარა სომხურ სამლოცველოში აღმოაჩინა ქვა, რომლის წინა პირზე, თაღოვან ჩაღრმავებაზე გამოქანდაკებულია ხელის გამოსახულება და ამოკვეთილია წარწერა: თ(ა)მ(ა) რ/ის ძის/ა გ(იორგი)ს ჭელ[ი]. ბუნებრივია, აქ საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი (1210-1223წწ) უნდა ვიგულისხმოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო ლაშა-გიორგის ორი ჭელი, გუნიაყალას[17] და პტენას (თამარისა და ლაშას ჭელი) და აი, აღმოჩნდა ლაშა-გიორგის კიდევ ერთი — მესამე ჭელი, ესეც ჯავახეთში. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ ჯავახეთის ნაწილი და თრიალეთი ლაშა-გიორგი საუფლისწულო დომენს წარმოადგენდა და მას ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები „ჯავახთუფლის" სახელითაც მოიხსენიებენ.

თრიალეთი და ჯავახეთის ნაწილი XII საუკუნის ბოლოდან, ვიდრე XIV საუკუნემდე სამეფო დომენია (ლაშა-გიორგის ერთმეფობამდე კი საუფლისწულო დომენად ჩანს), ამ ტერიტორიაზე მოპოვებულ ყველა ჭელიან სტელას აქვს ერთი საერთო ნიშანი — გაშლილი ხელის მტევანი, რაც მეფის ძალაუფლების სიმბოლოა.[18]

ლაშა გიორგის ერთმეფობიდან მოყოლებული ეს რეგიონი, როგორც ჩანს, სამეფო დომენს წარმოადგენდა. გ. ოთხმეზურის აზრით, ლაშა-გიორგიმ ეს მხარე აქცია სამეფო დომენად, რასაც მოწმობს რუსუდანისა და ულუ დავითის ჭელიანი სტელების აღმოჩენა.[19] ამ მოსაზრებას ამყარებს კიდევ ერთი ხელიანი სტელის აღმოჩენა ჯავახეთში. 2003 წელს ახალქალაქის სოფ. გომანში მცხოვრები-მიასნიკ ფილოიანის ეზოში აღმოჩნდა წარწერიანი სტელა, რომელშიც იკითხება: „ი(ს)უ ქ(რისტ)ე, ადიდე მეფეთ/მეფე რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ და ძე მ(ა)თი/ დ(ავი)თ"; ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჯავახეთი, XIII საუკუნის I მესამედში, საუფლისწულო დომენიდან სამეფო დომენად იქცა.

ამრიგად, ჯავახეთიდან დღეს ცნობილია ჭელის გამოსახულებიანი ოთხი სტელა წარწერებით: პტენას თამარისა და ლაშას ჭელი, ზრესკის ლაშას ჭელი, გომანის რუსუდან მეფის ჭელი და საღამოს დავით მეფის ჭელი.[20]

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი არის საამშე-

16 იქვე., გვ. 245.

17 გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1981. გვ. 21, 72-74.

18 იქვე, გვ. 46.

19 იქვე, გვ. 47.

20 საღამოს წარწერაში დასახელებული „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი მეფეთა მეფე დავით" სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია დავით VII (1247-1270) ულუდ (ვ. ცისკარიშვილი, გ. ოთხმეზური). თუმცა წარწერაში მისი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელ მეფედ დასახელება არარეალურია, რაც ვ. ცისკარიშვილმა შემდეგნაირად ახსნა: ქართველი მეფეები XIII-XIV საუკუნეებშიაც, როცა ისინი სინამდვილეში უკვე აღარ იყვნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეები, მაინც ატარებდნენ ხსენებულ ტიტულს."(ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 69.). მიუხედავად ამისა, დიდია ცთუნება იმისა, რომ წარწერის დავითი, დავით IV აღმაშენებლად მივიჩნიოთ (1089-1125 წწ).

ნებლო წარწერები, რომლებსაც ვხვდებით რეგიონის საკულტო დანიშნულების ძეგლების უმრავლესობაზე. საამშენებლო წარწერების დიდი ნაწილი ამოკვეთილია ტაძრებზე, მათი ქტიტორების, ხუროთმოძღვრებისა და ხელოსნების მიერ, რომელთა სახელები სამუდამოდ შემოინახა ქვაში ამოკვეთილმა ქართულმა დამწერლობამ. წარწერებში დასახელებულია ისტორიული პირები და მათი საქმიანობის ამსახველ მრავალრიცხოვან მასალას ზოგჯერ სხვა სახის ისტორიულ წყაროებშიც ვხვდებით, რაც გვეხმარება ამა თუ იმ ძეგლის მშენებლობის ქრონოლოგიის ზუსტ განსაზღვრაში. ზოგჯერ ლაპიდარული წარწერა თარიღიანია და იგი აზუსტებს ამა თუ იმ ისტორიული პირის მოღვაწეობის ეპოქას და ა. შ.

ქართული ლაპიდარული წარწერებისათვის დამახასიათებელია მეფეთა და ადგილობრივ მსხვილ ფეოდალთა, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა — ერისთავთ ერისთავთა დასახელების ფაქტები, რაც ამ რეგიონში მათ კტიტორულ-საარქმშენებლო საქმიანობას უკავშირდება. წარწერებში ჩანს, როგორც „აფხაზთა მეფეები", ასევე ტაო-კლარჯეთისა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სახელები : მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს ლეონ III „აფხაზთა მეფის" მოხსენიება კუმურდოს წარწერაში, რაც მიუთითებს, რომ ჯავახეთს ამ დროს დასავლეთ საქართველოს მეფე, X საუკუნის შემდეგდროინდელ საისტორიო წყაროებში „აფხაზთა მეფედ" წოდებული ლეონ III ფლობდა.[21] ტაო-კლარჯეთის მეფეებიდან ყალა-ბოინას წარწერაში ვხვდებით ბაგრატ II-ისა („ქართველთა მეფე") და დავით კურაპალატის სახელებს. გაერთიანებული საქართველოს მეფეებიდან ბაგრატ III (978-1014 წწ) დასახელებულია მაჭატიას წარწერაში, ზედა თმოგვის („გიორგი აფხაზი") და ყაურმის წარწერებში დასახელებულია გიორგი I (1014-1027 წწ) და „შვილნი მისნი", კუმურდოს და ზედა თმოგვის წარწერებში ბაგრატ IV (1027-1072 წწ) და დედამისი მარიამ დედოფალი, ღულალისის წარწერაში ბაგრატ IV (1027-1072 წწ) და გიორგი კურაპალატი (გიორგი II უფლისწულობაში), ფოკას წარწერაში მხოლოდ ბაგრატ IV, დავით IV (1089-1125 წწ) დასახელებულია ახალქალაქის წარწერაში, დემეტრე I (1125-1156 წწ) საროს ციხის საამშენებლო წარწერაში, თამარ მეფე პატენას, ვანის ქვაბების (იჩქით გურგენის ძის და ანტონ ჭყონდიდელის), დავით VIII (1293-1311 წწ) თმოგვის (სამინამის) წარწერაში, გიორგი V (1318-1346 წწ) განძის წარწერაში, დავით IX (1346-1360 წწ) თმოგვის მურვან კუთხას ძის 1350 წლის წარწერაში და ა. შ.

საქართველოს სამეფო კარის ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელეთა და ერისთავთ — ერისთავთა, ანუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა საქმიანობის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია დაცულია ჯავახეთის არაერთ ლაპიდარულ ძეგლში. ამ მხრივ საყურადღებოა ახალქალაქის, წუნდის, ვანის ქვაბების, მირაშხნის, ვარნეთის, ზედა ვარძიის, ზედა თმოგვის, კვარშას, კუმურდოს, წუნდის, მერედისის და ა. შ. წარწერები.

ბაგრატ IV-ის ეპოქის მოღვაწე ფარსმან ერისთავთ-ერისთავი, იგივე ფარსმან თმოგველი, ჯავახეთის გარკვეულ ნაწილს ფლობდა. იგი დასახელებულია ჯავახეთის სამ ეპიგრაფიკულ ძეგლში - მირაშხნის, სათხისა და ზედა თმოგვის ლაპიდარულ წარწერებში. ფარსმანის შესახებ ცნობები მოგვეპოვება სხვა საისტორიო წყაროებშიც. როგორც ჩანს, იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა და ასევე აქტიურ კტიტორულ საქმიანობასაც ეწეოდა თავის მამულში. ზედა თმოგვის წარწერაში ფარსმანი მეფე ბაგრატ IV-სთან და მარიამ დედოფალთან ერთად ზედა თმოგვის ეკლესიის კტიტორად გვევლინება, სათხის ეკლესია კი ფარსმანის სადიდებლად და მისი მშობლების სალოცველად არის აგებული. მირაშხნის წარწერა მოგვითხრობს ფარსმან ერისთავთ ერისთავის გმირობისა და ტრაგიკული დალუპვის ამბავს სულთან ალფ-არსლანის შემოსევის დროს. (დაწვრილებით იხ. მირაშხნის წარწერა გვ.).

XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დამდეგს, თამარის მეფობის დროს, წუნდა-თმოგვის მიდამოები ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – გურგენისძეთა მფლობელობაში ყოფილა. ჩვენამდე მოაღწია ამ საგვარეულოს უმთავრესი წარმომადგენლის იჩქით გურგენისძის სამმა წარწერამ. ისინი იმდროინდელი ფეოდალური საგვარეულოების ტიპიურ წარწერებს წარმოადგენენ. ერთი წუნდის ეკლესიაზეა, ხოლო ორი 1965 წელს აღმოჩნდა ვანის ქვაბების არქეოლოგიური გათხრების დროს.

21 აფხაზთა მეფეთა ტიტულატურის შესახებ იხილეთ: ლ. ახალაძე, ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა მეფეთა" ტიტულატურის შესახებ. ნელინდეული „საისტორიო ძიებანი", VII, თბ., 2004. გვ. 26-33.

წუნდის ეკლესიის წარწერა პირველად აკადემიკოსმა მარი ბროსემ გამოსცა 1850 წელს, ქრონოლოგიურად, შინაარსის მიხედვით, მას წინ უსწრებს ვანის ქვაბებში აღმოჩენილი წარწერები. ვანის ქვაბების *პირველი* წარწერის ტექსტი ასეთია: „† ესე არს სამკუდრებელი ჩუენ – გურგენათი. მე, იჩქითამან აღვაშენე; შეგვინდვნეს ღმერთმან". *მეორე* წარწერა უფრო ვრცელია და ზუსტ ქრონოლოგიურ მინიშნებასაც შეიცავს: „† იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთისშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმიდისა სჳმონისი; ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჴსენეთ". იჩქით გურგენიძის *მესამე* წარწერა, როგორც აღვნიშნე, წუნდის პატარა ეკლესიაზეა ამოკვეთილი: „† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმინდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათ

ჰს".

მეორე წარწერის მიხედვით ჩანს, რომ იჩქითი თამარის დროის მოღვაწეა, ხოლო პირველი და მესამე წარწერების მიხედვით თმოგვი თავისი მიდამოებით იჩქით გურგენისძის სამამულო სამკვიდრებელი ყოფილა, ასევე ვანის ქვაბთა მონასტერიც. როგორც ჩანს, იჩქითი უმემკვიდროდ გადაგებულა, მის შემდეგ ვანის ქვაბთა მონასტერი და მისი მიდამოები სამეფო მფლობელობაში გადასულა. ვანის ქვაბებიდანვე მოაღწია 1204 წლის კიდევ ერთმა წარწერამ, საიდანაც ჩანს, რომ მონასტერს კედელს უშენებს მეფის მოხელე, ვაზირი ანტონ ჭყონდიდელი[22].

იჩქით გურგენისძეს იერუსალიმის ქართველთა მონასტრისთვისაც გაუწევია სამსახური – შეწირულობა გაუცია. მონასტრის აღაპთა წიგნში, 24 ნოემბრისათვის მისი მოსახსენებელია ჩანერილი[23].

საგულისხმოა, რომ გურგენისძეთა ფეოდალური გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩანს XI საუკუნის ილორის ეკლესიის ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაში. მასში დასახელებული ისტორიული პირი - გიორგი გურგენისძე ილორის ეკლესიის საერო კტიტორი და ამშენებელი არის[24]. ილორის ეკლესიის წარწერები ქრონოლოგიურად საუკუნენახევარზე მეტი ხნით უსწრებენ წინ ვანის ქვაბების და წუნდის ეკლესიის წარწერებს. რაც მიუთითებს, რომ გურგენისძეთა ფეოდალური გვარი XI-XIII საუკუნეების ქართული საზოგადოების ერთ-ერთი დანინაურებული ფეოდალური გვარი იყო. იჩქით გურგენისძის სამი წარწერა კი არის ტიპიური ნიმუშები XII-XIII საუკუნეების ქართველ ფეოდალთა საამშენებლო- მემორიალური წარწერებისა.

ჯავახეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო ხერთვისის ციხე, ფარავნის წყლისა და მტკვრის შესაყარში აგებული უძლიერესი ციხე[25]. ხერთვისის ციხის პირველი მოხსენიება გვაქვს ლეონტი მროველთან, რომელიც ხერთვისს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლის ამბე-

22 დავით აღმაშენებლის დროიდან სამეფო მონასტრები მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სამეურვეო იყო. პირველ ასეთ მონასტრად მეფემ შიომღვიმის ღაერა აქცია. ამის შესახებ პირდაპირაა აღნიშნული დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი. მეფე წერს: შიომღვიმის მონასტერი „ან სუმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შეუვდრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოვდის, რომელსა ჩუენ ვერ მივინინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუაჲ მწიგნობართა-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის" (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. IX–XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშია-შვილმა*, თბ., 1984. გვ. 58:123-126); ხოლო მეორეგან აღნიშნულია – „გარეშე მონაზუნისა მწიგნობართა-უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს ღმრთის „რისხვაჲ ეწიენ" (იქვე, გვ. 59:147-148, 153). ამიტომ, რადგანაც თამარის მეფობის მე-20 წელს (1204) ვანის ქვაბთა მონასტერს კედელს უშენებს ანტონ მწიგნობართა-უხუცესი ჭყონდიდელი, ცხადია, ამ დროს ისიც სამეფო მონასტერია. *ნ. ბერძენიშვილს* ამის საბუთად მიაჩნდა მონასტრის „მისავალში ერთ-ერთი ეკლესიის საძირკველში დატანებული ქვა ასომთავრული წარწერით", რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში ინახება. მისი ტექსტი ასეთია: „ქრისტე, [ადიდე] ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ. წელსა მეფობისა მათისასა კ ჭყონდიდელისა მიერ აღუშენა ზღუდე ესე. შეუნდვენ ღმერთმან" (იხ. აქვე: გვ. 47).

23 „[თუესა ნოემბერსა კგ]. ამასვე დღესა აღაპი იჩქითისა, გურგენის ძისა, შეუნდვენ ღმერთმან"- *ელ. მეტრეველი*, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962. გვ. 86(№78), 141-142.

24 *ვ. სილოგავა*, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004.გვ. 274; *ლ. ახალაძე*, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 2005. გვ. 101.

25 *დ. ბერძენიშვილი*, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 92.

ბთან დაკავშირებით ახსენებს „შემდგომად ამისა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთუსი მტკურისა. .[26]" როგორც ჩანს, ეს ციხე ქართლის სამეფოს შექმნის დროს და შემდეგაც ფეოდალურ ხანაშიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ, თავდაცვით ფუნქციებს ასრულებდა. უდავოა, რომ ხერთვისსა და მის შემოგარენში წერილობითი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები იქნებოდა, მაგრამ ჟამთა სიავესა და ისტორიის ქარტეხილებს მხოლოდ ორმა გაუძლო. ხერთვისის ციხიდან ცნობილია ორი წარწერა: 985 წლით დათარიღებული ციხის ეკლესიის საამშენებლო წარწერა[27] და კოშკისა და გალავნის საამშენებლო წარწერა 1354 წლისა, რომელიც პირველად მარი ბროსემ გამოაქვეყნა, მაგრამ მან შემდეგ რამდენჯერმე შეასწორა წარწერის ტექსტი, რომლის საბოლოო წაკითხვა ეკუთვნის ექ. თაყაიშვილს. ხერთვისის ორივე წარწერა მნიშვნელოვანია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით. XIV საუკუნის წარწერაში დასახელებულია ქართული სამოხელეო წყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელო-მოლარეთუხუცესი. რადგან წარწერა დათარიღებულია-1354-1356 წწ., ჩვენ შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ გიორგი ბრწყინვალეს მემკვიდრის – დავით IX-ის (1346-1360 წწ) ეპოქაში სამეფო კარზე მოლარეთუხუცესის სამოხელეო ინსტიტუტის არსებობაზე. მოლარეთუხუცესი ზაქარია ქამქამისშვილი ადგილობრივი ფეოდალია ჯავახეთიდან მაგრამ, როგორც ჩანს, იგი დავით IX–ის სამეფო კარის მოხელე იყო.[28]

ჯავახეთის საამშენებლო წარწერებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ფოკას, განძანის, ვანის ქვაბების, იხტილას, ვაჩიანის, პრტენას, ქარზამეთის, ზედა ვარძიის, თმოგვის, ზედა თმოგვის, ზრესკის, კარნეთის, კვარშას, კაჭიოს, კულალისის, კუმურდოს, მაჭატიას, ფიის, მირაშხნის, მურჯახეთის, ნაისას, სათხის, სამსარის, სულდას, ქარცების და სხვა წარწერებს, რომლებშიც მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული საქართველოს ისტორიის შესახებ.

ჯავახეთის წარწერებში საინტერესო მასალაა დაცული ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ. წარწერებში დასახელებულია უძველესი ქართული სამოხელეო ინსტიტუტი — უფალი, უხუცესთა საგამგეო უწყების წევრი – გალატოზთუხუცესი, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის-სავაზიროს წევრები- მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. XIV საუკუნის ქართულ სამოხელეო აპარატში კი უკვე ჩანს მოლარეთუხუცესის სახელო, რომელიც დასახელებულია ხერთვისის 1354-1356 წწ. წარწერაში. XV–XVI საუკუნეებიდან ქართულ სამოხელეო აპარატში გაჩნდა ახალი ინსტიტუტი – გამგებელი. ქარცების წარწერაში იხსენიება გამგებელი ოქროპირ ალაბისძე და ა. შ.

დასახელებული სამოხელეო ინსტიტუტებიდან ყველზე ძველია – უფალი, რომელიც ადრეფეოდალური საქართველოს სამოხელეო წყობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელო იყო და სათავეს გვაროვნულ საზოგადოებაში იღებს. ჯავახეთის წარწერებში მოხსენიებულ სამოხელეო ინსტიტუტებიდან ქრონოლოგიურად მომდევნო უნდა იყოს გალატოზთუხუცესის სახელო, რომელიც, გარდა ლაპიდარული წარწერებისა, არ გვხვდება არცერთ სხვა სახის საისტორიო წყაროში. შოროთას სამონასტრო კომპლექსის ლაპიდარულ წარწერაში დასახელებულია გალატოზთუხუცესის სახელო დამოწმებულია კიდევ ორი ლაპიდარული წარწერის ტექსტში აფხაზეთიდან, კერძოდ

---

26 *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955. გვ. 17.

27 წარწერა იპოვა *დ. ბაქრაძემ*, და გამოაქვეყნა 1885 წელს გამოცემულ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის შესავალ ნაწილში გვ. 146.

28 ხერთვისის 1354-1356 წწ. წარწერის საფუძველზე, *ვ. ცისკარიშვილი* შეეცადა აეხსნა სამცხის რეალური დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან XIV საუკუნის 50-იან წლებში. „საქართველოსაგან განცალკავების შემდეგ, სამცხის ფეოდალების მიერ ათაბაგთა ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სამოხელეო წოდების ტარება აღარ იყო ადრინდელ რეალურ შინაარსს მოკლებული, მხოლოდ „დამამშვენებელი ტიტული". როგორც ჩანს ჯაყელები როგორც ვასალები ფაქტიურად დამოუკიდებელნი არიან (ე.ი. გამთავრებულნი), ხოლო როგორც მოხელენი — დამოკიდებულნი."იხ. *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. გვ. 114-115. ჩვენი აზრით, სამცხე დავით IX-ის ეპოქაში „განცალკავებით არ დგას", რადგან საქართველოს სამეფო კარის სამი უმნიშვნელოვანესი მოხელე (მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მოლარეთუხუცესი) სწორედ სამცხის ფეოდალები არიან. შეუძლებელია საქართველოს მეფეს სამეფო კარს „განკერძოებით მდგარი", რეგიონიდან ფიქტიური მოხელეები, მით უმეტეს მოლარეთუხუცესი ჰყოლოდა.

ბედიისა და დიხაზურგის ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის დროს ჩვენ შევეხეთ სამივე წარწერის, როგორც საისტორიო წყაროს ღირებულებას და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შოროთას, ბედიისა და დიხაზურგის წარწერების მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება ძველი საქართველოს „უხუცესთა" ინსტიტუტის სამოხელეო თანამდებობის აღმნიშნელი ტერმინი-გალატოზუხუცესი. ამ თვალსაზრისით სამივე წარწერა უნიკალურია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შესწავლისათვის.

საამშენებლო ხასიათის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად გვხვდება სიტყვა „გალატოზი" (ჯრუჭის, გომარეთის, ილორის წარწერები).სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „გალატოზი" ნიშნავს „კედლის მდგმელს, კედლის მგებელს"[29]. თუ გალატოზი კედლის მგებელი და მშენებელია, მაშინ გალატოზთუხუცესი მშენებელთა შორის უხუცესი და უფროსი უნდა იყოს. რაც შეეხება „უხუცესთა" ინსტიტუტს, საქართველოში სავაზიროს ჩამოყალიბებამდე არსებობდა ცალკეული საგამგეო უწყებები, რომელთა მეთაურებსაც უხუცესები ერქვათ. უხუცესის წოდება ემატებოდა ცალკეული დარგის მოხელეთა უფროსს, მაგალითად, მანდატურთუხუცესი, განმგებელთუხუცესი, მელვინეთუხუცესი და სხვ. მკვლევართა აზრით, „უხუცესები" ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული და რომ „უხუცესობის" ინსტიტუტი ჩვენში ძალიან ძველი მოვლენაა – ამის მაუწყებელია მათი მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში[30]. მცხეთაში, 1938 წელს სამთაუროს სამაროვანზე აღმოჩენილი IV-V საუკუნეების ბერძნული წარწერა-ეპიტაფია, რომელშიც მოიხსენიება „ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი"[31] მიუთითებს, რომ საქართველოში უხუცესთა ინსტიტუტი ძალიან ძველი მოვლენაა და რომ „უხუცესთა" ინსტიტუტი და ხუროთმოძღვრის თანამდებობა საქართველოში ანტიკურ ხანაშივე არსებობდა. ქრონოლოგიურად ავრელი აქოლისის წარწერის შემდეგ ტერმინი ხუროთმოძღვარი გვხვდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში", იმავე სერაპიონის ცხოვრებაში იხსენიება „გალატოზი", რომელიც ვ. ბერიძის აზრით, ქვითხუროს სინონიმი ჩანს. გალატოზი იყო თანაშემწე „ხელოვნებით განთქმული კაცისა" ხუროთმოძღვრისა. სერაპიონის ცხოვრების მეორე ადგილას „ხელოვნებით განთქმული კაციც" გალატოზადაა წოდებული ე.ი. არსებითად გალატოზი და ხუროთმოძღვარი აქ ერთსა და იმავეს ნიშნავს[32].

„გალატოზი" გვხვდება აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის ტექსტშიც. „ესე ბასილი იყო ქვითხურო, რომელსა ეწოდების გალატოზი"[33]. როგორც ვხედავთ, აქ გალატოზის განმარტება პირდაპირაა მოცემული და იგი, ისევე როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" აქაც ქვით ხუროს აღმნიშნელი ტერმინია. „სერაპიონის ცხოვრებისა" და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის ქრონოლოგიური შედარების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინ „გალატოზის" შინაარსობრივი დატვირთვა X-XIII საუკუნეების საქართველოში არ უნდა შეცვლილიყო.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, „გალატოზის" გარდა, გვხვდება ამ სახის სხვა ტერმინებიც, კერძოდ, „გალატოზთა ზედა მომგე" (რუისი, XVს), „ზედამდგომელი", ან „ზედამდგომი" (ოშკის წარწერა[34]) და ა.შ. გვიანფეოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს უმეტესად ოსტატს უწოდებს. მაგ: ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის და სხვა წარწერებში. მის პარალელურად როსტატს მეფის დროს ხმარებაში შემოდის სპარსული სიტყვა „სარაიდარი", რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა.

29 სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ილია აბულაძემ*, თბ., 1991. გვ. 130.

30 *მ. ლორთქიფანიძე*, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, მსკი, ნაკვ. 32, თბ. 1955. გვ. 68-69;

31 *თ. ყაუხჩიშვილი*, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ.,1951. გვ. 255; *თ. ყაუხჩიშვილი*, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2004. გვ. 30, 256. №236;

32 *ვ. ბერიძე*, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956. გვ. 7.

33 ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, „1233წ. ტექსტი გამოსცა *ლევან მუსხელიშვილმა*, თბ., 1941. გვ. 56.

34 *ვ. ბერიძე*, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 7.

ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს სამეფო კარის ხელისუფალთა ჩამოთვლისას ასახელებს ხუროთმოძღვარსაც: „ხუროთმოძღვარი, ამის ჴელისა იყო სრულიად ჴელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ჰიდთა და ფუნდუკთა“[35].

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში ხუროთმოძღვრის ინსტიტუტის აღსანიშნავად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემდეგი ტერმინები ჩანს: ჴელოვნებით განთქმული კაცი, გალატოზთუხუცესი, ხუროთმოძღვარი და სარაიდარი. აქედან სარაიდარის წარმოშობის ისტორიული პირობები ვიცით, იგი არაქართული სიტყვაა და ირანის პოლიტიკურ-კულტურული გავლენით გავრცელდა საქართველოში. რაც შეეხება ხუროთმოძღვარს, „ხუროსა“ და „მოძღვრის“ შეერთების საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვაა და მის შინაარსში იგულისხმება მრავალი ხუროს მოძღვარი და ხელმძღვანელი. აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის განმარტებით ვიცით, რომ ქვით ხურო იგივე გალატოზია, ხოლო გალატოზთა ხელმძღვანელი, ჩვენი ვარაუდით, „გალატოზთუხუცესი“ უნდა იყოს (აქაც ორი სიტყვის შეერთების საფუძველზე მიღებული ტერმინი გვაქვს „გალატოზი“+„უხუცესი“)[36].

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, როცა სერაპიონის ანდერძის თანახმად, განიზრახეს მეორე ეკლესიის აგება, წინამძღვარმა მიქაელმა „ჴელოვნებით განთქმულ კაცსა მოუწოდა – ქვეყნისაგან ბერძენთასა... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი სახელითა შუარტყლელი და ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლებელ სიმრავლეს მუშაკთასა“. ე.ი. „ჴელოვნებით განთქმული კაცი“ თანამდებობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გალატოზი, მაგრამ ორივენი იყვნენ მრავალი მშენებლის („მუშაკთა“) მოძღვარი და მასწავლებელი (გავიხსენოთ „ხუროთ+მოძღვარი“). აქ ფაქტობრივად, ორი მოხელის თანამდებობრივ გათანაბრებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში აკად. ვ. ბერიძეს, როცა განაცხადა, „აქ გალატოზი და ხუროთმოძღვარი არსებითად ერთსა და იმავეს ნიშნავს“. როგორც ვხედავთ, „სერაპიონის ცხოვრება“ მშენებელთა შორის სამ კატეგორიას ასახელებს: „ჴელოვნებით განთქმული კაცი“, „გალატოზი“ და „მუშაკნი“. ჩვენი აზრით, მოგვიანებით, ამ კატეგორიებს, უნდა დამატებოდა „გალატოზთუხუცესიც“.

ბასილი ზარზმელის ეპოქა, როცა არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტები, როცა საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა, ძირითადად, სასულიერო და კერძო პირთა ინიციატივითა და ენთუზიაზმით მიმდინარეობდა, არ საჭიროებდა სახელმწიფო მოხელის ფუნქციებით აღჭურვილ თანამდებობის პირს. მაგრამ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. სამონასტრო მშენებლობის ინიციატივა ამჯერად სახელმწიფომ აიღო ხელში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. აქ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ბაგრატ III-ის (978-1014) მიერ ფართოდ გაშლილი საეკლესიო მშენებლობა (ბედიისა და ბაგრატის ტაძრების, ასევე სვეტიცხოვლის მშენებლობის დასაწყისი და ა.შ.), რისთვისაც მას აუცილებლად დასჭირდებოდა სახელმწიფო მოხელის რანგში აყვანილი „ჴელოვნებით განთქმული კაცი“. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში X ს. II ნახევარში გაჩნდა კიდევ ერთი მოხელის „გალატოზთუხუცესის“ თანამდებობა[37]. ე.ი. ვახუშტისდროინდელი „ხუროთმოძღვარი“ ბაგრატ III-ის სამეფო კარზე უხუცესთა საგამგეო უწყებაში „გალატოზთუხუცესის“ ტიტულით შედიოდა, რომელსაც ქვეყნის მართვა-გამგეობაში ფუნქციები არ გააჩნდა, მაგრამ მთავარ როლს თამაშობდა ქვეყანაში გაშლილ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საეკლესიო მშენებლობაში. ჩვენს მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ „ხუროთმოძღვრის“ შესატყვისი სხვა ტერმინი ამ ეპოქის წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. შოროთას წარწერა ადასტურებს, რომ გალატოზთუხუცესის სამოხელეო ინსტიტუტმა XIII-XIV საუკუნეებამდე იარსება და შემდეგ იგი სხვა ინსტიტუტმა ჩაანაცვლა.

ამავე საკითხს ეხმაურება ჯავახეთის კიდევ ერთი წარწერა სოფელ ფოკიდან. ფოკის წარწერების

---

35 *ვახუშტი ბატონიშვილი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. თბ. 1973,. გვ. 23.

36 *ლ. ახალაძე*, აფახაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 29.

37 *შ. გლოველის* აზრით, „გალატოზთუხუცესის ინსტიტუტი აფხაზთა სამეფოში ჩამოყალიბდა. იხ. *შ. გლოველი*, აფხაზთა სამეფო, ავტორეფერატი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2004. გვ. 24

გაშიფვრის შედეგად ი. გაგოშიძემ და გ. გაგოშიძემ მიიღეს ტერმინი „ბანაქარსალარი“, რაც ავტორთა აზრით, ხუროთმოძღვარს უნდა ნიშნავდეს[38]. ფოკის წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ(რისტ)ე, ად(ი)დე მ(ი)ქ(ე)ლ ქ(ა)რთ(ლი)სა ბნქსლრი“. ბოლო დაქარაგმებულ სიტყვას მკვლევრები ხსნიან, როგორც „ბანაქარსალარი“. აღნიშნულ დაქარაგმებას ყველა მკვლევარი ხსნიდა, როგორც „სალარი“, რაც სპარსულად ნიშნავს „მეთაურს“, „თავს“, „უფროსს“. იგი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინების მაწარმოებელია ირანსა და ირანის გავლენის არეალში მოქცეულ ქვეყნებში. „რადგან „ბანა“ აღნიშნავდა პრაქტიკოს-არქიტექტორს, მშენებელს, ამიტომ მშენებელ-არქიტექტორთა ზედამხედველს სპარსული ენის კანონების სრული დაცვით, „ბანაქარ-სალარი“ უნდა ერქვას. მიგვაჩნია, – აღნიშნავენ ავტორები, – რომ ფოკას ეკლესიის ერთ-ერთ საამშენებლო წარწერაში დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელის, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესის ანუ „ბანაქარსალარის“ ტიტული[39].

ფოკის წარწერის ტექსტის დადგენის ამ ეტაპზე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ აღნიშნულ მოსაზრებას, შესაძლოა, ქართლში ბაგრატ IV-ის ეპოქაში, მელქისედეკ და ოქროპირ კათალიკოსების ზეობისას, მართლაც იყო ასეთი თანამდებობა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ იყო საქართველოს სამეფო კარის სამოხელეო თანამდებობა, რადგან სამეფო კარზე ამ დროს უკვე არსებობდა „გალატოზთუხუცესის“ სახელო.

შოროთას წარწერაში მოხსენიებული ისტორიული პიროვნება გალატოზთუხუცესი ნიკოლოზ ორბისძე, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობია; ვიცით, რომ იგი სამეფო კარის მოხელეა და მისი ხელმძღვანელობით აშენდა შოროთას სამრეკლო, რისთვისაც მოიპოვა სავედრებლის უფლება მემორიალურ წარწერაში.

ფოკის წარწერებს შორის საყურადღებოა ბაგრატ კურაპალატის წარწერა. მასში დასახელებული ბაგრატ კურაპალატი საქართველოს მეფე ბაგრატ IV(1027-1072) უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატ IV ჯავახეთის რამდენიმე წარწერაში არის დასახელებული. კურაპალატობა მისი პირველი ბიზანტიური ტიტული იყო. ლულალისის 1060 წლის წარწერის მიხედვით, იგი უკვე რანგით მომდევნო-სევასტოსის ტიტულის მატარებელია. ამიტომ ეს წარწერა 1027-1060 წწ. თარიღდება. თარიღი კიდევ უფრო დავიწროვდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოკაში იმავე ფილაზე, იმავე წესით მოთავსებულია სხვა, უფრო ვრცელი წარწერა ქართლის კათალიკოსის იოანე-ოქროპირისა(1033-1045,) რაც საშუალებას გვაძლევს ბაგრატ IV-ის ეს წარწერა და იმავე ფილაზე მოთავსებული სხვა წარწერების თარიღი 1033-1048 წწ. განვსაზღვროთ. როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ეს სევასტოსის ტიტული 1048 წელსაც, ლულალისის 1060 წლის წარწერაში მის პირველ დოკუმენტურად დაფიქსირებამდე ბევრად ადრე ჰქონია. მეტიც, 1031-1033წწ. დათარიღებულ მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში[40] სვეტიცხოველისადმი ბაგრატი ჯერ კიდევ კურაპალატის ტიტულით იხსენიება, ამიტომ მის მიერ სევასტოსის ტიტულის მიღების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1033 წლით შეიძლება განისაზღვროს.

ჯავახეთის წარწერებში ზოგჯერ ისეთი სახელები და გვარები გვხვდება, რომლებიც ქართულ ონომასტიკონში საერთოდ არ ჩანს, მაგალითად, მომწულისძის გვარი ფოკას წარწერაში, ბავრელი იმავე ფოკას წარწერაში. თუმცა აქ, უთუოდ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბავრა ძველი ისტორიული სოფელია ჯავახეთში და არსებობს დიდი ალბათობა რომ ეს სახელი სოფლის სახელწოდებიდან მომდინარეობს. როგორც ჩანს, წარწერის ავტორი ამ სოფლიდან იყო, რისი უტყუარი ნიშანია წარმომავლობის სუფიქსი-ელ. უცნაურია, რომ იგი თავის სახელს არ აღნიშნავს. მეცნიერებაში ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისია გამოთქმული: მიაჩნიათ, რომ იგი მაინც მშენებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბავრელი თავის თავზე აღნიშნავს: ღირს ვიქმენ ამ ეკლესიის შენებადო და საფუძველის დადგამასა თანა დავშვერიო. როგორც ჩანს,

38 *ი. გაგოშიძე, გ. გაგოშიძე*, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი, ლიტერატურა და ხელოვნება, №2-3, თბ., 1992. გვ. 190.

39 იქვე. გვ. 190.

40 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*. თბ., 1984. გვ. 20.

ბავრელი ფიზიკურადაც შრომობდა ეკლესიის საფუძვლის გაჭრაში და ეს თავმდაბლობა დამახასიათებელი მოვლენაა აღმოსავლური ქრისტიანობისათვის. ბავრელი ოქროპირ ქართლის (იოანე II ოქროპირი) კათალიკოსის ხელოსანი ყოფილა და მისი კათალიკოსობის წლების მიხედვით წარწერა 1033-1041 წწ. თარიღდება.

ზედა ვარძიის ეკლესიის შესასვლელის კარის თავზე ამოკვეთილი კიდურწაისრული წარწერა მოგვითხრობს, რომ კლდეკარის გულზვიად ერისთავს ლიპარიტ IV-ს, დიდი „გ(უ)ლსმოდ/გ(ი)ნებ(ი)თ" აუშენებია ზედა ვარძიის ეკლესია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1051-1057 წლებში „ქართლი და მესხეთი ლიპარიტს სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა".[41] როგორც ჩანს ბაგრატ IV–მ ამ კონკრეტულ დროს დაკარგა ჯავახეთზე ძალაუფლება და ლიპარიტის დასჯის შემდეგ კვლავ შეძლო მისი აღდგენა. ამ ფაქტზე მეტყველებს ჯავახეთის საამშენებლო წარწერების ერთი ნაწილი, რომელშიც ბაგრატ IV არის დასახელებული.

გარდა ეკლესიის საამშენებლო წარწერებისა ჯავახეთის წარწერებში გვხვდება სტოას, ციხის, კოშკისა და გალავნის, ეგუტერის საამშენებლო წარწერები. მათ შორის საყურადღებოა ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებული სტოას შესასვლელის ზემოთ ამოკვეთილი წარწერა, რომელშიც საქართველოს ისტორიაში ცნობილი ისტორიული პირი ივანე ათაბაგი არის დასახელებული. ივ. ათაბაგი 1391-1444 წწ. მოღვაწეობდა, წარწერის ტექსტის მიხედვით მან ვარძიის მონასტრისათვის სატრაპეზო ააგო. კ. მელიქთაურის აზრით, ივანე ათაბაგს დაზიანებული სტოას კედლის გასამაგრებლად ეს ბურჯი აუგია[42], მაგრამ წარწერაში საუბარია ტრაპეზის მშენებლობაზე და არა გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებაზე. მით უფრო რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ბროსეს დროს, რომელმაც ეს წარწერა ვერ იპოვა, ქვა იქ არ იდო, სადაც ახლა დევს და ადრე სადღაც უნდა ყოფილიყო მიგდებული. ამდენად, მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებული სტოას შესავლელის ზემოთ წარწერა XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს მეორედ გამოყენების დროს უნდა იყოს ჩაშენებული[43]. ვ. ცისკარიშვილის აზრით, წარწერაში მეფის მოუხსენიებლობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სამცხე-საათაბაგო გამოყოფილი იყო საქართველოდან და ათაბაგი არ ცნობდა მეფის უზენაესობას, მეფეს ვარძიაზე, ერთ დროს სამეფო მონასტერზე ხელი არ მიუწვდება.[44] მიუხედავად იმისა, რომ ივანე ათაბაგი სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალი იყო და ცდილობდა არამარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, არამედ სამცხე ეკლესიურადაც მოეწყვიტა ერთიანი საქართველოსაგან[45], აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ ალექსანდრე I-მა (1412-1442 წწ.) შეიპყრო განმდგარი ათაბაგი და სამცხე დაიმორჩილა.

საამშენებლო წარწერებში დასახელებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსები და უბრალო მღვდლები. ამდენად, საქართველოს ეკლესიის კათალიკოს – პატრიარქთა, მღვდელმთავართა და ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის, ასევე კტიტორული საქმიანობის შესასწავლად ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ძვირფას მასალას იძლევიან.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომელთა შესწავლა, ქრონოლოგიის დადგენა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა მნიშვნელოვანია ამ რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაანალიზებლად. საფლავის ქვის ეპიტაფიების ერთი ნაწილი იკითხება, ერთი ნაწილი გადაშლილია, ან საამშენებლო მასალად არის გამოყენებული XIX საუკუნეში ახალი ტაძრების მშენებლობის დროს.

41 *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი. II. თბ., 1983. გვ. 148.

42 *კ. მელიქთაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია*, ვარძია, თბ., 1955. გვ. 80.

43 იხ. *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 116; *ვ. სილოგავა*, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ექსპედიციის მიერ. მრავალთავი, X. თბ., 1983. გვ. 278.

44 *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 116;

45 *მ. რეხვიაშვილი*, სამცხის სამთავრო თბ., 1992. გვ. 45-46.

საფლავის ქვის ეპიტაფიები გვხვდება ვაჩიანის (ზურაბის XV ს. საფლავის ეპიტაფია), ბავრის (მგელაის XV–XVI სს. საფლავის ქვა), ბარალეთის (პეტრე ხმალაძის 1855 წლის ეპიტაფია), ეშტიის (XIს), ვარევანის (დარდაგანის საფლავის ქვა), ზედა თმოგვის (ზურაბის XVIII ს. ეპიტაფია) და ა. შ. წარწერებში როგორც ვხედავთ ჯავახეთში ყველა ეპოქის საფლავის ქვის ქართული ეპიტაფიები არის დაფიქსირებული. მათ შორის XIX საუკუნის ძეგლებიც..

ამრიგად, ჯავახეთის 200-მდე ლაპიდარული წარწერა მდიდარ საისტორიო წყაროს წარმოადგენს არამარტო ამ რეგიონის, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. უმნიშვნელოვანესია ჯავახეთის როგორც საამშენებლო, ასევე იურიდიული ხასიათის წარწერები, ანუ, ეპიგრაფიკული აქტები, რომლებიც კონკრეტულ იურიდიულ ნორმას აწესებენ. ეპიგრაფიკული აქტების სახით ჯავახეთის წარწერებში გვხვდება მამულის მფლობელობის დამადასტურებელი, ნასყიდობისა და შეწირულების ქვაზე ამოკვეთილი დოკუმენტები, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული რეგიონში არსებული მიწისმფლობელობის ფორმები და მისი ვარიაციები.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ზოგადი წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვა და მათი საერთო ისტორიულ კონტექსტში გააზრება ამ მხარის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი ისტორიის მრავალ საკითხს ჰფენს ნათელს და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ჯავახეთის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების ისტორიაში.

დარწმუნებულნი ვართ, მომავალი კვლევები ჯავახეთში მეტ სიახლესა და საინტერესოს გამოავლენს.

თავი VI

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფიული მიმოხილვა

ლია ახალაძე

ქართული დამწერლობის ისტორიის შესწავლა ქართველოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა. კაცობრიობის ისტორიაში წერითი ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების კვლევას სათავე უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლების, კერძოდ ლაპიდარული წარწერების შესწავლის პროცესით დაედო, რადგან წერის უძველესი ნიმუშები სწორედ მაგარ მასალაზე შესრულებული დამწერლობის ძეგლების სახით გვხვდება. ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლა შეუძლებელია დამწერლობის უძველესი ნიმუშების შესწავლის გარეშე, რომლებიც ეპიგრაფიკული ძეგლების, კერძოდ, ლაპიდარული წარწერების სახით არის შემორჩენილი. პალეოგრაფიული მეცნიერება ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების კვლევის დროს ლაპიდარულ წარწერებს როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას იყენებს. ამის ნათელი დადასტურებაა დ. ბაქრაძის, ი. ოქროპირიძის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, გ. წერეთლის, ი. აბულაძის, გ. დეეტერსის, ე. მაჭავარიანის, ვ. ბოედერის, რ. პატარიძის, ნ. შოშიაშვილის, ვ. ბარდაველიძის და სხვათა შრომები[1], რომლებშიც ქართული პალეოგრაფიის კარდინალური საკითხების კვლევისთვის ფაქტობრივ მასალად სწორედ ლაპიდარული წარწერებია გამოყენებული. ქართული ლაპიდარული ძეგლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება მომავალშიც არაერთ მკვლევარს მისცემს ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ დაფიქრებისა და ახლებური გაზრების საშუალებას.

საქართველოს ისტორიულ რეგიონებს შორის ჯავახეთიდან ლაპიდარული წარწერების სახით გამორჩეულად მდიდარი მასალა მოგვეპოვება. ბუნებრივია, ქართული წერილობითი კულტურის კვლევის დროს შეუძლებელია არ იქნეს გათვალისწინებული ის მრავალრიცხოვანი წერილობითი მასალა, რომელიც ჯავახეთმა შემოუნახა ისტორიას.

გარდა იმისა, რომ ჯავახეთში ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე ადრეული წერითი ნიმუშები გვხვდება, აქაური წერილობითი ძეგლები მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. კერძოდ, შუა საუკუნეებში ჯავახეთში შეიქმნა როგორც მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული, ასევე უძველესი ქართული ხელნაწერები. მრავალსახეობით გამოირჩევა საკუთრივ ეპიგრაფიკული ძეგლებიც: გვაქვს როგორც ლაპიდარული, ასევე ფრესკული და ჭედური წარწერების ნიმუშები. მათ შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ლაპიდარული წარწერები, რომლებიც, ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. ჩვენს ხელთ არსებული 200-მდე ლაპიდარული წარწერა ძვირფასი მასალაა ქართული პალეოგრაფიული მეცნიერებისათვის. ეს წარწერები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ ჯავახეთის, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოაზისის როლზე ნე-

1 *დ. ბაქრაძე*, Грузинская Палеография, Труды археологического V създа в Тифлисе. 1881. *И. Окропиров*, Об изобретении грузинского алфавита. Труды археологического V съезда в Тифлисе. 1881. С. 222-225; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII. ტომის რედაქტორი *ელენე მეტრეველი*. თბ., 1996; *კ. კეკელიძე*, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. „მნათობი“. №5/6. ტფილისი. 1929. *გ. წერეთელი*, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960. *Г. Церетели*, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. Эпиграфика Востока, т. III. Л. 1949. *ა. შანიძე*, ძველი ქართული გრამატიკა, თბ., 1976. *G. Deeters*, Das Alter der Georgische Schrift, "Orients Christianus", Hefte fur die Kunde des Christlichen Orients. 1955, Bd. 39. 56-65. *В. Бардавелидзе*, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957. *ე. მაჭავარიანი*, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982. *ილ. აბულაძე*, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი. თბ., 1973; *კ. დანელია, ზ. სარჯველაძე*, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1997. *რ. პატარიძე*, ქართული ასომთავრული. თბ., 1980. *თ. ჩხენკელი*, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა, საბჭოთა ხელოვნება, №8. თბ., 1977. გვ. 67-81.

რითი ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში. ბუნებრივია, ჩვენ ორასი წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებებზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან ეს მასალა საკმელად რამდენიმე თაობას ეყოფა – ეს არცაა ჩვენი მიზანი. ვეცდებით წარმოვაჩინოთ ის ძირითადი პალეოგრაფიული მახასიათებლები და ტენდენციები, რითაც ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები ხასიათდებიან.

ჯავახეთის ლაპიდარულ წარწერებში წარმოდგენილია ქართული დამწერლობის სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. გვხვდება გარდამავალი მხედრულით შესრულებული, ასევე ნუსხურნარევი ასომთავრული ეპიგრაფიკული ძეგლები. შესამჩნევად მცირე რაოდენობისაა მხედრულის ნიმუშები, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მონუმენტურ დამწერლობაში, ძირითადად ასომთავრულს იყენებდნენ. ნაწილობრივ ამან განაპირობა საამშენებლო თუ იურიდიული შინაარსის სხვადასხვა წარწერებში ასომთავრული ანბანის ხშირი გამოყენება.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების (ლაპიდარული წარწერების) ქრონოლოგია VI საუკუნიდან იწყება და გვხვდება ყველა მომდევნო ეპოქის წარწერები. მათ შორის XIX და XX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიები. რა თქმა უნდა, წარწერების უმრავლესობა გაერთიანებული საქართველოს – XI-XV საუკუნეების დროინდელია, ასევე სოლიდური რაოდენობაა IX-X საუკუნეებისა და XVI-XIX საუკუნეების წარწერებისა. XIX საუკუნიდან ჩვენამდე, ძირითადად, შემორჩენილია საფლავის ქვის ეპიტაფიები, ნაწილი ფრაგმენტულად.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, თითოეული ქვა, რომელზეც ლაპიდარული წარწერა არის ამოკვეთილი, მათ შორის საფლავის ქვის ეპიტაფიაც კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით და თითოეულ მათგანში ჩვენი წინაპრების, წერის ოსტატების – ქვის კალიგრაფების დიდი ხელოვნება, მონდომება და სიყვარული არის ჩადებული.

როგორც აღვნიშნეთ, ჯავახეთის წერილობით ძეგლებში უძველესია ლაპიდარული წარწერები, რომელთაც ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება გააჩნიათ - მათი უმრავლესობა ასომთავრული ანბანით არის შესრულებული. ასომთავრული დამწერლობა, ანუ მრგლოვანი ქართული ანბანი უძველესია ქართულ დამწერლობათა შორის.[2] აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჯავახეთში – უძველეს ქართულ პროვინციაში ქართული დამწერლობის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშებში უძველესი ქართული ანბანი - ასომთავრული დომინანტის სახით არის წარმოდგენილი.

გრაფიკული სტრუქტურისა და არქიტექტონიკის თვალსაზრისით, ასომთავრული მონუმენტური, ანუ კაპიტალური დამწერლობაა. მონუმენტური დამწერლობის უპირველესი ნიშან-თვისებაა გეომეტრიული გრაფიკა. ასეთ დამწერლობას scriptura monumentalis ეწოდება. მონუმენტური დამწერლობის ამოსავალი პრინციპია, როცა ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიდიდისაა და ასო-ნიშნები ორ პარალელს შორის თავსდება. ქართული ასომთავრული მონუმენტური და გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა. მისი ზოგადი პრინციპებია: ასო-ნიშნების გეომეტრიული მოხაზულობა, გრაფემების თანაზომიერი სიმაღლე და სწორხაზოვნება, რაც ქართული ასომთავრულის დამახასიათებელი ნიშანია.[3]

ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული სისტემა მარტივი გეომეტრიული ელემენტების – წრისა და სწორი ხაზისაგან არის ნაწარმოები. გრაფიკაში მოქმედი ელემენტები კი გარკვეულ პროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. ყველა ასოს მოხაზულობა ჩაწერილია უხილავ ჩარჩოში, რომელიც კვადრატს, ან მის ნახევარს შეადგენს[4]. სწორხაზოვნება და მკაცრად განსაზღვრული ორხაზოვანი საწერი ბადე ასომთავრულს სტილისტურად ერთიან გრაფიკულ სისტემად წარმოგვიდგენს. მიუხედავად მკაცრად განსაზღვრული სისტემისა, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ზოგჯერ მოგვეპოვება ასომთავრულის ისეთი ნიმუშები, რომლებიც ამოვარდნილია სწორხაზოვნებიდან და ორხაზოვანი საწერი ბადის სტრუქტურისაგან. მსგავსი შემთხვევისაგან არც ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები არის დაზღვეული - ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევისა და

2 *რ. პატარიძე*, ქართული ასომთავრული. თბ., 1980. გვ. 7.

3 იქვე, გვ. 141.

4 *ე. მაჭავარიანი*, მწიგნობრობაი ქართული, ასომთავრული, ნუსხური, მხედრული, თბ., 1989. გვ. 36.

ოთხხაზოვანი საწერი სისტემის დამკვიდრების ტენდენციები აქაც იგრძნობა. რაც ასომთავრულიდან ნუსხა-ხუცურის და ნუსხურიდან მხედრულის ჩამოყალიბების მყარი საფუძველი გახდა.

კლასიკური ასომთავრულისთვის დამახასიათებელი გრაფიკული სტრუქტურა დამახასიათებელია ახალქალაქის წარწერის ფრაგმენტების, ბურნაშეთის, განძის ზედა და ქვედა ეკლესიების შალვა მანდატურთუხუცესის, ნიკოლასძეთა, ვარძიის ივანე ათაბაგის წარწერის, ზედა ვარძიის ლიპარიტ-ერისთავთ ერისთავის წარწერის, თმოგვის სამინამის, კულალისის, კუმურდოს 964 წლის საამშენებლო წარწერების, საროს ციხის საამშენებლო წარწერის გრაფიკული მოხაზულობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარწერები სხვადასხვა ეპოქის წარწერებია, ისინი მონუმენტური ასომთავრულისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენენ. აქ მკაცრად არის განსაზღვრული ორხაზოვანი საწერი ბადე, გრაფემათა სწორხაზოვნება, ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ელემენტები: დიდი წრე, ხაზი, რკალი, საშუალო წრე, ხაზი და რკალი, პატარა წრე, ხაზი და რკალი; მიუხედავად ამისა, ასომთავრული ანბანით შესრულებულ ცალკეულ წარწერებში ზოგჯერ შეიმჩნევა ასომთავრულისთვის დამახასიათებელი ელემენტებისა და გრაფიკული სტრუქტურის რღვევა, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს მასალის ქვის ფილის დაუმუშავებელი ზედაპირით, მეორე მხრივ, იგი მიუთითებს დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებზე, კერძოდ ნუსხა-ხუცური და მხედრული ანბანისათვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების დამკვიდრებაზე დამწერლობაში. მსგავსი მოვლენა დამახასიათებელია საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების – კახეთის, აფხაზეთისა და ქართლის ლაპიდარულ წარწერებისთვისაც.[5]

ასომთავრული დამწერლობისთვის დამახასიათებელი ეს მოვლენა პირველად ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია და აღნიშნა, რომ ბ, ფ, ქ, წ და ვ ასოების ქვედა კიდურები უკვე ორ ხაზს შუა ველარ ეტევიან და ხან ოდნავ, ხან კი საგრძნობლად სცილდებიან. ეს საყურადღებო მოვლენა შემდეგში უფრო და უფრო ძლიერდება. ამ მხრივ საყურადღებოა გ-ანის კიბის მსგავსად გამოყვანილი კუდი IX ს. ძეგლთა დამწერლობაში[6]. მსგავს მოვლენებს ვხვდებით ეპიგრაფიკულ ძეგლებში, მათ შორის ჯავახეთის წარწერებშიც. კერძოდ, აბულის, არეშის, კაჭიოს, კვარშას, ზედა თმოგვის, იხტილას, მაჭატიას, ქარზამეთის წარწერებში.

დამწერლობაში მიმდინარე ეს მოვლენები ნ. შოშიაშვილმა თავის დროზე დაუკავშირა VIII-IX საუკუნეებში ქართულ დამწერლობაში მიმდინარე რეფორმებს. მასში აისახა ამ ეპოქის ასომთავრულისთვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებიც – წრეგახსნილი გრაფემები (ბ-ანი, შ-ინი, ყ-არი), გრძელი ბუნები და სხვა. აღნიშნულ ცვლილებათა გაგრძელებად მიაჩნია მკვლევარს ამ პერიოდის ასომთავრულში შემჩნეული თავისებურებანი. თუმცა IX-X საუკუნეების წარწერების დამწერლობაში შეიმჩნევა სხვა ცვლილებებიც. იწყება გრაფემების სტილიზაცია, ჩნდება კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულობა, გვხვდება ლიგატურა (შეწიაღება)[7].

ბუნებრივია, ჯავახეთი არ იდგა შორს დამწერლობაში მიმდინარე ამ ცვლილებებისაგან. ჯავახეთის წარწერებში უკვე თითქმის არ გვხვდება თავგახსნილი გრაფემები, თუმცა ასომთავრულისთვის დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევა, გრაფემათა სტილიზაცია და შეწიაღება-ლიგატურა, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით გვიანი პერიოდის წარწერებშიც კი ჩანს, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ზოგადად ქართულ წერილობით კულტურაში. მაგალითად, ლიგატურის განსაკუთრებული შემთხვევა გვაქვს თმოგვის მურვან კჯთხას ძის წარწერაში.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები ამჟღავნებენ ყველა

---

5 ფაქტობრივად ეს დამახასიათებელია საქართველოს ყველა ისტორიულ რეგიონში არსებული ლაპიდარული წარწერებისათვის. იხ. *თ. ბარნაველი*, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1962. *ლ. ახალაძე*, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ., 2005.

6 *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. გვ. 186-187. *ივ. ჯავახიშვილი*, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, გვ. 185.

7 ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. ლაპიდარული წარწრები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, გვ. 29. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების რღვევა ჯავახეთის ლაპიდარულ წარწერებში ზოგჯერ გაერთიანებული საქართველოს დროინდელ (XI-XII სს) და გვიანი პერიოდის წარწერებშიც შეიმჩნევა. ეს მოვლენა მხოლოდ დამწერლობაში მიმდინარე რეფორმებით არ უნდა აიხსნას.

იმ ნიშანს, რაც საქართველოს სხვა რეგიონების წარწერებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, გვხვდება ხელოვნებითი დამწერლობანი – კიდურწაისრული და კიდურწერტილოვანი ძეგლები. რაც შეეხება კიდურყვავილოვან დამწერლობას, იგი ქვაზე ამოკვეთილ და ამოკაწრულ წარწერებში იშვიათად, ან თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ჯავახეთის წარწერებში რამდენიმე ნიმუში მაინც გვაქვს.

ასომთავრულისათვის დამახასიათებელი კიდურწაისრულობა აქ უფრო სუსტად ჩანს, ვიდრე ეს ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აფხაზეთში გვხვდება. კიდურწაისრულობა, როგორც ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა პირველად ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია და დამწერლობის ამ სახეს ტყუბწვეტოვანი უწოდა. კიდურწაისრული დამწერლობის გავრცელების არეალსა და ქრონოლოგიურ საზღვრებზე თავისი მოსაზრებები გამოთქვა ლ. მუსხელიშვილმა. სვეტიცხოვლის გალავნის („გარეთა ბჭის") წარწერის განხილვისას მისი დაკვირვებით, დამწერლობის ეს სახე XI ს-ის დამდეგისთვის ჩამოყალიბდა, „შესაძლებელია შიდა ქართლში.[8]" თ. ბარნაველმა კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერების შესწავლისას ყურადღება მიაქცია ალავერდის, სამთავისისა და სვეტიცხოვლის წარწერების თავისებურებას – ყველა მათგანს კიდურებზე წყვილი ისრები ჰქონდა დამატებული. აღნიშნული წარწერების გრაფიკული მონახაზების შედარების საფუძველზე მკლევარმა მიიჩნია, რომ ეს წარწერები ტყუბწვეტიანია და თარიღდება XI საუკუნის I ნახევრით. დამწერლობის ამ თავისებურებას ლ. მუსხელიშვილმა, ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, „კიდურისრებიანი და ე. წ. ტყუბწვეტიანი მთავრული" დამწერლობა უწოდა[9]. ტერმინი კიდურწაისრული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა და პირველმა გამოიყენა ვ. სილოგავამ[10]. ამჟამად ეს ტერმინი საყოველთაოდაა დამკვიდრებული.

საკითხის კვლევის ადრეულ ეტაპზე ლ. მუსხელიშვილმა პირველმა განაცხადა, რომ უსათუოდ გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომელიც, დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, XI საუკუნის დამდეგამდე ჩამოყალიბდა ქართლში.[11]

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის არეალის გაფართოების საფუძველზე აღმოჩნდა, ეს მოვლენა მარტო ქართლისთვის არ იყო დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის შემდეგ, თვალნათლივ გამოჩნდა რომ ამ სახის ძეგლებით მდიდარია დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები. აფხაზეთიდან ცნობილია წებელდის, ბესლეთის ხიდის (ე. წ. თამარის ხიდის), ლუმურიშის, ანუხვის, ხუაფის კიდურწაისრული წარწერები. კიდურწაისრულობის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება ანუხვის გიორგი ბასილის ძის წარწერა. დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ამ ტიპის ძეგლებს მიეკუთვნებიან ნიკორწმინდის ქათამ-ვეშაპის, სირაქლემების, ფასკუნჯების, გამოსახულების განმარტებითი წარწერები, ჭიათურის რაიონში კაცხის იოჰანისა და ჯიკუაისძის წარწერები, ონის მრავალძალის ეკლესიის კეთილად მოღვაწეთა წარწერა და ა. შ[12].

ამ მონაცემებით ჩვენ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოში კიდურწაისრული, ქვის კალიგრაფიული სკოლის არსებობაზე, რომელმაც თავისებური მიმდინარეობა შექმნა ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ მოხაზულობაში, მაგრამ გრაფიკული სტრუქტურის მხრივ ამ სკოლას არ შეუცვლია ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ძირითადი არქიტექტონიკა: ორხაზოვანი საწერი ბადე და გრაფემების თანაბარი სიმაღლე. პირიქით, როგორც ჩანს, გრაფემათა მოხაზულობაში მან მკაცრად განსაზღვრა ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები, მაგრამ ასოებზე წყვილი ისრების დამატებით მეტი მოძრაობა და პლასტიკურობა, მხატვრულად რომ ვთქვათ, გამოცოცხლება

8 ლ. *მუსხელიშვილი*, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან, ქართული ხელოვნება (Ars Georgica) I თბ., 1942. გვ. 136.

9 იქვე, გვ. 111.

10 *ვ. სილოგავა*, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ღაიდარულ წარწერებში, „მაცნე", ისტორიის. . . . სერია, №4. თბ., 1974.

11 ლ. *მუსხელიშვილი*, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები, გვ. 136.

12 ლ. *ახალაძე*, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 194. იქვე შესაბამისი ლიტერატურა დასახელებული წარწერების შესახებ.

შეიტანა ქვაზე შესრულებულ წარწერათა მონუმენტურობაში. გრაფემების მოხაზულობათა მსგავსება აშკარად მიუთითებს, რომ აღნიშნულ სკოლას გააჩნდა მკაცრად დაკანონებული ქვის კალიგრაფიული ხელობის ტრადიციები, რომელიც ითვალისწინებდა დამწერლობაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.[13] როგორც შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, კიდურწაისრული ქვის კალიგრაფიულ სკოლას X საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთში და შემდეგ გავრცელდა დანარჩენ საქართველოში.[14] დღეს ამ სკოლის ნიმუშებს მკაცრად განსაზღვრული ქრონოლოგია აქვს – X-XI სს.

ჯავახეთის ლაპიდარულ წარწერებში კიდურწაისრული დამწერლობის განსაკუთრებულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს *ლიპარიტ ერისთავთ —ერისთავის წარწერა* ზედა ვარძიიდან, რომელსაც კიდურებზე ისრების გარდა, ზოგიერთ გრაფემაზე ყვავილებიც აქვს დართული. ქვაზე რელიეფური კვეთით საგულდაგულოდ გამოყვანილ წარწერაში თითქმის ყველა გრაფემა ხელოვნებითი დამწერლობით არის წარმოდგენილი – ზოგჯერ კიდურებზე წყვილი ისრების, ხოლო ზოგჯერ ყვავილის დამატებით. კიდურწაისრულობა ძირითადად დამახასიათებელია ა, მ, ნ, ე, თ, დ, გრაფემებისა და ქარაგმის ნიშნებისათვის, მაგრამ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის წარწერაში თითქმის ყველა გრაფემა კიდურებზე დამატებული ისრებით არის წარმოდგენილი, რაც ოსტატისა და დამკვეთის მაღალ ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე მიუთითებს.

კიდურწაისრული დამწერლობის თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს ვანის ქვაბების იჩქით გურგენის ძის 4 სტრიქონიანი წარწერა, ასევე ახალქალაქის წარწერის 2 ფრაგმენტი, სადაც კიდურწაისრულობის მისაღებად ორმაგი ხაზებია გამოყენებული. ამ სახის ლაპიდარული წარწერა იშვიათია და არც არის დამახასიათებელი ამ სკოლის კლასიკური ნიმუშებისათვის, ამ შემთხვევაში ცუთუოდ ოსტატის ფანტაზიასთან გვაქვს საქმე.

ჯავახეთის წარწერებში შედარებით ხშირად გვხვდება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მეორე მოვლენა: კიდურწერტილოვნება. ეს მოვლენა დამახასათებელია ქარცების, განძის, ზედა თმოგვის, იხტილას, ქარზამეთის, ასევე ვანის ქვაბების იჩქით გურგენის ძის ორსტრიქონიანი წარწერებისთვის, რაც აშკარად მიუთითებს საქართველოში ერთიანი ქართული წერილობითი კულტურისა და ლაპიდარულ წარწერებში ქვის კალიგრაფიის საერთო ტრადიციების არსებობაზე.

კიდურწაისრული წარწერებისაგან განსხვავებით კიდურწერტილოვან წარწერებს არ გააჩნიათ განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოები. ზოგიერთი წარწერა XI საუკუნით თარიღდება, ზოგი XII-XIII საუკუნეებით, ან მოგვიანო *პერიოდითაც*. ჯავახეთში კიდურწერტილოვანი დამწერლობის ერთ- ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს განძის შალვა მანდატურთუხუცესის წარწერა, რომელშიც ყველა გრაფემის კიდურები წერტილებითაა შემკული. თუ კიდურწაისრულ წარწერებს მკაცრად განსაზღვრული მონუმენტურობა და სიმეტრიულობა ახასიათებს ჯავახეთის კიდურწერტილოვან ლაპიდარულ წარწერებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონის ამ სახის წარწერებში, გვხვდება როგორც ასიმეტრიულობა, ასევე სწორხაზოვნების რღვევა და ორხაზოვანი საწერი ბადიდან ოთხხაზოვან საწერ ბადეში გადასვლის ტენდენციები. ასიმეტრიულობა დამახასიათებელია ვაჩიანის, ზედა თმოგვის გიორგი საფარელის, იხტილას გოგაისა და ჩქარაის, კარნეთის იოანე ოქროპირის, ბავრას სოფრონის წარწერებისათვის და ა. შ. ამ ტიპის წარწერები გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში, მაგ. ცნობილია უბისას ტაძრის კიდურწერტილოვანი წარწერები, ჯრუჭის წმ გიორგის ეკლესიის, მოქვის მონასტრის და ა. შ. აღნიშნული მოვლენაც ზოგადად დამახასიათებელია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის.

ლაპიდარული ნარწრების ტექსტების დადგენაზე მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება არაერთმა პალეოგრაფიულმა მახასიათებელმა მიიქცია. მათ შორის ორიგინალობით გამოირჩევა ჯავახეთის ორი წარწერა, მაჭატიის 1001-1008 წლების და ღულალისის 1060 წლის წარწერები, რომლებშიც ბაგრატ III და ბაგრატ IV მსგავსი სადიდებელი და სალოცავი ეპითეტებით არიან მოხსენიებულნი.

13 იქვე, გვ., 194.

14 *ლ. ახალაძე*, „ხელოვნებითი დამწერლობანი“ აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ეძღვნება აკად. ქეთევან ლომთათიძეს, კავკასიოლოგთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 2008. გვ. 3-15.

ღულალისის წარწერა (1060წ.): „[იესო ქრისტე], ა(დი)დ(ე) ბ(ა)გრ(ა)ტ/ აფხ(ა)ზთა და ქ(ა)რ(თ)ვ[ელთა]/ მ(ე)ფე ს(ე)ვ(ას)ტ(ო)სი და ძე მ(ა)თი გ(იორგ)ი კ(ურა)პ(ალა)ტი, /შ(ეე)წ(ი)ნ, დაუტკბ(ე)ნ თ(უალნ)ი [კე]თილ ექ(მ)ნ / ვპ(ა)ტ(ო)ს თოდ(ი)ს ძეს[ა]. რ(ომელ)თა/ [გა]ნსაძლ(ი)ე[რებლად] [ავაგე ესე] [ე]კლესია/ ქ(ო)რ(ონიკო)ნ(ი) იყო სპ.“

მაჭატიის წარწერა (1001-1008 წწ.): „ქ(რისტ)ე, ადიდე ბ(ა)გრ(ა)ტ კურ/(ა)პ(ა)[ლ(ა)ტ(ი)] [აფხ(ა)ზ]თა მ(ე)ფე და ძე მისი /. . . . . *[დაუ]ტკბენ თ(უა)ლ(ნ)ი*.. . [ბ(ა)გრ(ა)ტს].“

მეფეთა სადიდებელ ქართულ წარწერებში „ქრისტე ადიდე მეფეთა მეფე“, ან „ქრისტე ადიდე ბაგრატ“ და ა. შ. მიღებული ფორმაა და, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ღულალისისა და მაჭატიის წარწერებში ეს ფორმა ზედმიწევნით არის დაცული, მაგრამ აქ გვხვდება დალოცვის ორიგინალური ფორმა – *„დაუტკბენ თუალნი“*, რაც ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხოლოდ ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის წარწერებში გვხვდება. მსგავსი ფორმა დადასტურებულია კიდევ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სოფლის 978 -1014 წწ. წარწერაში.

ახალისოფლის წარწერა: „† წ(მიდა)ო მოწ(ამე)ო ბ(ა)გრ(ა)ტ, ად(ი)დე ბ(აგ)რ(ა)ტ აფ[ხ(ა)ზ]თა მ(ე)ფე და ა(დი)დე ს(უ)ლი გ(უ)რ(ან)დ(უ)ხტ დ(ე)დ(ო)ფ(ლი)ს(ა)ი წი(ნაშე) ღ(მრთი)სა. *დ(აუტ)კბე თ(უალნ)ი* ბ(აგრ)ა(ტი)ს(ნი მ(ო)ნ(ა)სა[15] {მ(ა)თსა} მ(ი)რ(ია)ნს“[16].

ეს წარწერა, ისევე როგორც მაჭატიის წარწერა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III ბაგრატიონის სადიდებლად არის შესრულებული, ხოლო ღულალისის საამშენებლო წარწერა ბაგრატ IV-ს განადიდებს. ეს ქრონოლოგიურად მთელ ეპოქას მოიცავს – X საუკუნის 70-იანი წლებიდან XI საუკუნის 60-ან წლებამდე. როგორც ჩანს, დალოცვის ეს ორიგინალური ფორმა მიღებული იყო X-XI სს. საქართველოში და იგი ქართულმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა შემოინახეს, რითაც ამ პერიოდის წარწერებისათვის თავისებური პალეოგრაფიული მახასიათებელი გახდა.

საინტერესო პალეოგრაფიული ფორმა დასტურდება თავფარავნის XII საუკუნის ქვაჯვრის წარწერაში: „შვილნო, ღმრთისანო, ქრისტიანენო, საწყალი დათვიაჲ ლოცვასა გვედივარ“. შენდობის და ლოცვის მიზნით გამოყენებული სიტყვა *„გვედია“* გვხვდება ადრინდელი, X-XI სს. ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში. დადასტურებულია ამ ზმნის სხვადასხვა პირისა და რიცხვის ფორმაში გამოყენება. შენდობის ფორმულა „გვედია“ ქართულ ხელნაწერებში გამოავლინა თამარ ხაჟომიამ, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა და დაასკვნა რომ სიტყვა „გვედია“ გვხვდება ჩვეულებრივ ერთსა და იმავე კონტექსტში სხვადასხვა ფორმით.[17] „მჩხრ(ე)კ(ა)ლი ამისი ი(ოა)ნე ლ(ო)ც(ვა)სა წ(მიდას)ა თ(ქვე)სა გვედია“[18]- ვკითხულობთ X საუკუნის ცნობილი მოღვაწის იოანე ზოსიმეს ანდერძებში. მსგავსი ფორმები გამოყენებულია X ს. მიწურულს გადაწერილ წმ. „სიმეონის ცხორების“ ანდერძის გადამწერის დოსითეოსის მიერ, XI საუკუნის გადამწერის დავით ჯაბიძის 1035 წლის ანდერძში, იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში, მარტვილის 1050 წლის ოთხთავის ანდერძში და ა. შ. ანდერძ მინაწერებში გვაქვს თავფარავნის წარწერაში დადასტურებული ფორმაც „გვედივარ“. მაგალითად, იმავე მარტვილის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „ლოცვასა წ(მი)დ(ა)სა თქ(ვე)ნსა გვედივარ“. მსგავსი ფორმა დადასტურებულია სხვა ანდერძ-მინაწერებშიც. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ქართული ანდერძ-მინაწერებისათვის დამახასიათებელ სპეციალურ ტერმინთან, რომელსაც მწიგნობრები აქტიურად იყენებდნენ. მაგრამ თავფარავნის წარწერამ აჩვენა, რომ ეს სიტყვა მხოლოდ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებისთვის არ იყო მიღებული ფორმა და მას აქტიურად იყენებდნენ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც. გარდა ამისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავფარავნის წარწერა ქვაჯვარზეა ამოკვეთილი და მას საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა.

X – XIII სს. წარწერების უმრავლესობა ქარაგმითა და განკვეთილობის ნიშნებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ადრეული პერიოდის წარწერებში პუნქტუაცია საერთოდ არ გვხვდება. ქართულ

15 *ნ. შოშიაშვილის* ნაკითხვით, მ(ი)წ(ა)სა. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს) , №143.

16 იქვე, გვ. 259. ტაბ. 98, 2.

17 *თ. ხაჟომია*, ანდერძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გვედია“, ქართული წყაროთმცოდნეობა, II. თბ., 1968. გვ. 23.

18 *ივ. ჯავახიშვილი*, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947. გვ. 58. №34. 123 ბ.

ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების საკითხს პირველად ივ. ჯავახიშვილი[19] შეეხო, მაგრამ მას სპეციალური ნაშრომი უძღვნა ც. ჭანკიევმა[20], რომელმაც სწორად შეამჩნია და განმარტა ქვის წერილობით ძეგლებში არსებული დაქარაგმების წესები: მხოლოასოიანი დაქარაგმების დროს შემოკლების მიზნით, წერდნენ სიტყვის მხოლოდ დასაწყის ასოს. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების დროს შესამოკლებელი სიტყვა წარმოდგენილია დასაწყისი და ბოლო ასოებით, ან მარცვლებით. . . . . უხმოვნო დაქარაგმების დროს ხდება ხმოვნების შემოკლება.[21] დასახელებული ფორმებიდან ჯავახეთის წარწერებში ქარაგმის სახით უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება, ძირითადად ხმოვნების ხარჯზე. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა სახის დაქარაგმების ნიმუშებიც.

ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო იმით, რომ წარწერაში გადმოსაცემი ამბის დატევა ხშირად ჭირდა, ამიტომ ოსტატი ცდილობდა სიტყვა შემოკლებით დაეწერა. საქართველოში ქვაზე წერის კულტურა იმდენად იყო განვითარებული, რომ სიტყვათა დაქარაგმების წესები შემუშავდა და დაკანონდა კიდეც. ანტონ კათალიკოსი ქარაგმის წესებში გამოყოფდა „უაღრესობით“ და „საყოველადო“ ფორმებს. უაღრესობითი ქარაგმები იყო ღვთაებისა, წმინდანებისა და სხვა ხშირად სახმარებელ საპატიო სიტყვებზე იწერებოდა, ხოლო საყოველადო საზოგადო სიტყვებზე მიღებულ ქარაგმებს ეწოდებოდაო.[22] „უაღრესობითი“ დაქარაგმების ფორმებს მიეკუთვნებოდა მაგალითად „უ(ფალ)ო, ი(ესო, ქ(რისტ)ე, შ(ეიწყა(ლ)ე, წ(მიდა)ო, შ(ეუნდვე)ნ, ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ და ა. შ., ასეთი დაკანონებული ფორმები ხშირია ჯავახეთშის ლაპიდარულ წარწერებში. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების ეს ფორმა დადასტურებულია წარწერების უმრავლესობაში აბულის, აზავრეთის, კვარშას, კაჭიოს, კარნეთის, ხორენიის, შოროთას და სხვა წარწერებში. დაქარაგმების ეს სახე, ძირითადად დამახასიათებელია გაერთიანებული ქართული სამეფოს დროინდელ წარწერებში, როგორც ჯავახეთში, ასევე საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში. გვაქვს უხმოვნო და მხოლოასოიანი დაქარაგმების ფორმებიც. ქვის კალიგრაფიის სირთულე ზოგჯერ ოსტატს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა და იგი ვეღარ ითვალისწინებდა დამწერლობაში არსებულ დაქარაგმების წესებს, რამაც ლაპიდარულ წარწერებში ქარაგმების სხვადასხვა ხერხების გამოყენება გამოიწვია. ამიტომ ქარაგმის გახსნა ზოგჯერ სათუოა და ტექსტის დადგენა ვარაუდით ხდება. მაგალითად, კარნეთის პატარა ეკლესიის წარწერაში გვხვდება „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ვრძ“. ასეთივე სიტყვა დაქარაგმებით გვხვდება ჰამამლუს XIII ს. მოსახსენებელში: „წ(მიდა)ა გრ(ი)გ(ო)ლ/ ზ(ღვრი)ს(ა)ა მცვ(ე)ლი, /ვრძ {ა}გ(ა)რ(ა)[კ]თა/ მზღვრ(ი)სა“[23]. აქ შესაძლოა საკუთარი სახელი იყოს ნავარაუდევი, ან ქარაგმა გაიხსნას, როგორც ვ(ა)რძ(იისა) და ტექსტი გასაგებ შინაარსს ღებულობს. მაგრამ თუ ჰამამლუს XIII ს. წარწერის შემთხვევაში ეს დასაშვებია, კარნეთის პატარა ეკლესიის XI ს. წარწერა ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა, თუმცა გამორიცხული არაფერია, ამიტომ დავტოვეთ ტექსტის წაკითხვის ეს შესაძლებლობაც: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ვრძ (ვარძია?)“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქვის ატკეცვის, ან დაზიანების შედეგად ტექსტის აღდგენის საკითხი. დაზიანებულ ადგილზე აღდგენილი სავარაუდო სიტყვა შინაარსობრივად უნდა მიესადაგებოდეს წარწერის დანარჩენ ტექსტს და ლოგიკურად იჯდეს წინადადების სიტყვათა წყობაში. სამწუხაროდ, ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების უმრავლესობამ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია და ტექსტის სწორი წაკითხვა და გამართვა დიდ დროს მოითხოვს. არის შემთხვევები, როცა ქვის

19 *ივ. ჯავახიშვილი*, დაქარაგმების ნიშნები და წესი, წიგნში: ქართული პალეოგრაფია, ანუ დამწერლობათმცოდნეობა. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IX. თბ., 1996. გვ. 140.

20 აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა მკლევლევარმა ნაშრომი „დაქარაგმება V-X საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებში“, პალეოგრაფიული ძიებანი, ტ.II. თბ., 1963.

21 *ც. ჭანკიევი*, დაქარაგმება V-X საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებში, გვ. 119.

22 *ივ. ჯავახიშვილი*, დაქარაგმების ნიშნები და წესი, წიგნში: ქართული პალეოგრაფია, ანუ დამწერლობათმცოდნეობა. გვ. 141.

23 *გ. ოთხმეზური*, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981. გვ. 92, №12, 3

დაზიანებას ადგილი არა აქვს, მაგრამ წარწერებში ზოგიერთი დაქარაგმებული სიტყვის ამოკითხვა შეუძლებელია. მაგ. ფიის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერის ფრაგმენტი სამხრეთ კარნიზზე: *„ახნნსფ“*, თორიის I ეკლესიის წარწერა *„ხლმაკი შ(ეიწყალ)ე ქ(რისტ)ე“*, ასევე გაუგებარი სიტყვა გვხვდება ზველის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში *„ელასვიგრელ ძევი“*, თუმცა მისი სავარაუდო წაკითხვა მკითხველს შევთავაზეთ და ა. შ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი დაქარაგმებული სიტყვის, ან დაზიანებული ტექსტის წაკითხვა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, მაგრამ მათი კვლევა მომავლის საქმეა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ წარწერათა დათარიღების საკითხზე. ქართული ეპიგრაფიკის კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ვთქვათ, რომ ძველ საქართველოში წარწერის შესრულების დროს თარიღის მითითება სავალდებულო ფორმა იყო, მაგრამ ამას ქვის ყველა ოსტატი არ, ან ვერ ითვალისწინებდა. ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვაქვს დათარიღების სამი სახე: ქორონიკონი, მეფის ინდიკტიონით და იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დასაბამითგან დათარიღების მითითება.

ჯავახეთის ლაპიდარულ წარწერებში, როგორც ჩანს, ტრადიციული იყო ქორონიკონით დათარიღების ფორმა,[24] ასევე ხშირია ტექსტში ამა თუ იმ მეფის დასახელება დამათარიღებელ საშუალებად. თუმცა არის წარწერები, სადაც ქორონიკონი და მეფის ინდიკტიონი ზედმინევნით არის მითითებული.

ქორონიკონით დათარიღების შემთხვევები გვაქვს ვარევანის *იოანესა და გაბრიელის 1020 წლის წარწერაში*: „ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაჲ)თა დ(აჲ)დვა ესე ბ(ა)ლ(ა)ვ(ა)რი ჴ(ე)ლ(ი)თა ც(ოდვ(ი)ლის/ [ი](ოვა)ნეს/ და გ(ა)ბრ(იე)ლ(ი)სათ(ა). „ქრ(ონი)კ(ო)ნი/იყო სმ“; ზედა *თმოგვის გიორგი საფარელის 1773 წლის წარწერაში*: „(ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე მონა შენი გი(ორ)გი, /ეე საფარელი/ მღვდელი. დაიწერა/ქრანიკონსა ჩლოგ“; *თმოგვის შურავან კჯთხას ძის 1350 წლის წარწერაში*: „შ)ეწ(ე)ვნითა დ(ა) ძლ(ი)ერ(ე)ბ(ი)თა ვარძი(ი)სა ღ(მრთი)/სმშ(ო)ბ(ე)ლ(ი)ს(აჲ)თა, ქ(ორონი)კ(ონ)ს ლე დავ(ი)წყე [ზ]ლუდე ესე მე, მეფ(ე)თ მეფე დ(ავი)თ(ი)ს ვ(ა)რძ(იელ)მან ს(ა)წოლის მწიგნ(ო)ბ(ა)რმ(ა)[ნ] თმ(ო)გ(უ)ს, მ(უ) რვ(ა)ნ კჯთხას ძ(ე)მ(ა)ნ. თ(ეოდორ)ე დ(ად)გა ა(მე)ნ“; *იბტილას (ლრტილას) რუსუდან ქვეშელის ქალის 1308 წლის წარწერაში*: „†. გათავდა ქვეშელისა ღ(ი)პ(არი)ტის ცოლ(ი)სა და თმოგუელთა ქალისა რუსუ/დანისგან შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. ქ(ორონი)კ(ო)ნი იყო ფკჱ ჭურვანისძესა ი(ოა)ნეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“; *ფიის წმ. თევდორეს ეკლესიის 995 წლის საამშენებლო წარწერაში*: „ს(ა) ხ(ე)ლითა ღ(მრთისაჲ)თა მე, ჩ/ქ(ა)რმ(ა)ნ და ძმ(ა)თ/ა ჩემთა დავ/დგით ესე ეკლესი(ა)ჲ ქრ(ონი)კ(ო) ნი იყო / სიე“ ; ღულალისის ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გიორგი კურაპალატის 1060 წლის წარწერაში: „[იესო ქრისტე], ა(დი)დ(ე) ბ(ა)გრ(ა)ტ/ აფხ(ა)ზთა და ქ(ა)რ(თ)ვ[ელთა]/ მ(ე)ფე ს(ე)ვ(ას)ტ(ო)სი და ძე მ(ა)თი გ(იორგ)ი კ(ურა)პ(ალა)ტი, /შ(ეე)ნ(იე)ნ, დაუტკბ(ე)ნ თ(უალნ)ი [კე]თილ ექ(მ)ნ / ეპ(ა)ტ(ო)ს თოდ(ი)ს ძეს[ა]. რ(ომელ)თა/ [გა]ნსაძლ(ი)ე[რებლად] [ავაგე ესე] [ე]კლესია/ ქ(ო)რ(ონიკო)ნ(ი) იყო სპ“ და ა. შ.

იშვიათად, მაგრამ წარწერებში გვხვდება დათარიღებისას მხოლოდ თვის მითითება. მაგალითად, ქარცების ეკლესიის XV-XVI სს ეკლესიის წარწერა გვაუწყებს: „გ(ა)ნ(ე)ს[რულა]/ თ(უესა) იეს/ შ(ეუ)ნ(დვე)ს ღ(მერთმა)ნ“.

არის დათარიღების განსაკუთრებული შემთხვევებიც, როცა წარწერა დათარიღებულია ზედმიწევნით დიდი სიზუსტით, მაგალითად კუმურდოს 964 წლის წარწერაში ტაძრის მშენებლობა დათარიღებულია ლეონ აფხაზთა მეფის ზეობის, ქოროკონისა და მთავარის მოქცევის კალენდრის მიხედვით: „შ(ე)ნ(ე)ვნ(ი)თა ღ(მრთ)ის(ა)თა. იოვ(ა)ნე ებ(ი)ს(კ)პ(ო)სმ(ა)ნ დ(ა)დვა ს(ა)ძ(ი)რკვ(ე)ლი ამ(ი)ს ეკლეს(იი)ს(ა)ჲ ჴ(ე)ლი ჩ(ე)მ ც(ო)დვ(ი)ლისა ს(ა)კოც(ა)რის(აჲ)თა, ლეონ მეფის ზჱ – ად(ი) დ(ე) ღ(მერთმა)ნ, ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა რპდ, თ(თუეს)ა მაის(ს)ა ა დღესა შ(ა)ფ(ა)თსა, ა მთუარ/ის(ა)სა,

24 მაგალითად, აფხაზეთის ლაპიდარულ ძეგლებში წარწერის ტექსტში დათარიღების მითითების არცერთი შემთხვევა არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ამ რეგიონში დათარიღების ფორმებს არ იცნობდნენ. ვფიქრობთ, ეს ამ რეგიონის ქვის წერილობითი კულტურის ტრადიცია იყო. გამონაკლისია ლიხნის ფრესკული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, რომელიც დათარიღებულია სამნაირად, თანაც თვისა და დღეების აღნიშვნით. დასაბამითგან, ქორონიკონით და ბაგრატ მეფის ინდიკტიონით. იხ. *ვ. სილოგავა*, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004. გვ. 199. *ლ. ახალაძე*. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, თბ., 2005. გვ. 166-167.

ერისთვობ(ა)სა ზუიასსა(ს); ესე ბ(ა)ლა(ჰ)ვ(ა)რი მ(ა)ნ დიდვა(ს); ქ(რისტ)ე, შე(ე)წ(ი)ე მ(ო)ნ(ა)სა შ(ე)ნსა, ა(მე)ნ“; მსგავსი დათარიღება გვაქვს თმოგვის სამინამის 1304 წლის წარწერაში: „აღმიშენებია ესე[ე]/ მცირე ეკლესიაი მ(ო)ნ(ა)სა შ(ე)ნსა სამინ(ა)მს მეოხ [მეყ]/ავ ორსავე შინა ცხორებასა აღუშე[ნა ესე]/ ეკლესიაჲ ქ(ორონი)კ(ონ)სა ფკგ ჴელმწი[ფობ]ა[სა] [. .]/ნისა [და] მეფობასა და[ვ]ითისსა, [ამენ]“.

წარწერის დათარიღებისას მხოლოდ მეფის დასახელება გვხვდება ახალქალაქის XII ს. I მეოთხედის წარწერაში: „[სახელითა ღმრთისაჲთა ა]ლვ(ა)შ(ე)ნე ესე წ(მიდა)ი [ეკლესია მეფობა]სა დ(ავითისას) ა და ამ(ი)რს[ასალარობასა ავაგისა], გ(ა)მ(რე)კ(ე)ლისა ძეთა: [კახას, ასიბას, და ლიპ]არ(ი)ტ(ი)ს პ(ა)ტრ(ო)ნ(ო)ბ(ა)სა შ(ი)ნა .....[სალ]ოცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა და ..... ა ისდ(ი)აგს შე(უნ)დ(ვე)ნ ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ“; ბარალეთის 1206 წლის წარწერაში: „† [აღე]შენა ეკლ/ესია ესე მა/თ ჟამთ შინა / ოდეს ლაშა მ/ეფედ დაჯ/და. ადიდ(ე)ნ / ღ(მერ)თ(მა)ნ ორთ(ა)ვ[ე]/ [ცხ]ორე[ბ](ა)თა შ(ი)ნ[ა]. ს(ა)ყდ(ა)რსა“; ვანის ქვაბების იჩქით გურგენიძის XII ს. წარწერაში: „ი(ეს)ჳ ქ(რისტ)ე, ად(ი)დე ორთ(ა)ვე შ(ი)ნა ს(უ)ფ(ე)ვ(ა)თა მ(ე)ფ(ე)თ /ა მ(ე)ფე და დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი თ(ა)მ(ა)რ, რ(ომ)ლისა ზე მე, / იჩქ(ი) თმ(ა)ნ, გურგ(ე)ნის ძემ(ა)ნ, ავ(ა)შ(ე)ნე კედ(ე)ლი ესე და და/ვ(ა)ს(უე)ნ(ე)ნ ხ(ა)ტნი: მ(ა)ცხ(ოვ)რისი, ღ(მრთი)სმშ(ო)ბლისაჲ, ნ(ა)თლ(ი)სმც(ე)მ(ე)ლ(ი)ს(ა)ჲ / და ჯ(უარ)ი წ(მიდ)ისა ს(უი)მ(ეო)ნისი. ვ(ი)ნცა ილ(ო)ცვ(ი)დ(ე)თ მ(ე)ცა მ(ო)მ(ი)ხს(ე)ნ(ე)თ“; ანტონ ჭყონდიდელის 1204 წლის წარწერაში: „†. ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, [შ(ეიწყალ)ე ორთ] (ა)ვე/ შ(ინ)ა ს[უფევათა] მ[ე]ფე/თა [მ(ე)ფე და დ(ე)დ(ო)ფ](ა)ლი/ თ(ა) მ(ა)რ. წე[ლსა მ](ე)ფობისა მ(ა)/ თის(ა)სა კ. ან[ტ](ო)ნ [ჭ(ყონდიდლი)სა მ](იე)რ/ აღუშე(ე)ნა ზღ(უ)დე ესე შ(ეუნდვე)/ნ ღ(მერთმა)ნ“ და ა. შ.

ზოგჯერ წარწერის დათარიღებისათვის გამოყენებულია მოცემული ეპოქის ძალზე მნიშვნელოვანი, ან ტრაგიკული მოვლენა, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თვითმხილველებზე. მაგალითად, დათარიღების ასეთი შემთხვევა გვაქვს სამსარის X საუკუნის წარწერაში, რომელიც საჯთა შემოსევისა და მცხეთის დაწვის ტრაგიკული მოვლენით აზუსტებს ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღს: „[†] აშ(ე)ნ(დ)ა [წ(მიდა)ჲ ესე ვანი ღ(მრთი)სმშ(ო)ბლ(ი)ს]/ [სამკუდ]რე, ოდეს [ქართველთა]/ მეფემან, კურაპალატმან დავით და ერმან]/[ყოველმან ესე ვანი [და კრებული]/ შეგიუბ]რალა, {მა}შინ დიდისა / [ჭირის]აგან გუიჴსნა, და/ უ(ფალ)ო] [მო]იჴსენენ იგიც[ა]/ [დღეს]ა მას განკი(თხ)ვი(ს)ასა./ [კ]ულა მაშინ დავწერე, ო[დეს]/ [საჯთა] მცხეთისა ეკლ(ე)სიაი და[წუეს]/ [და წ(მიდი)სა ნი]ნოის ჴელი ტ(ყუ)ედც(ა) წა(რ)ი[ტანეს]“. მსგავსი დათარიღება სხვა რეგიონის ქართულ წარწერებშიც ხშირია, მათ შორის ყველაზე ცნობილი მაგალითია ატენის სიონის 853 წლის წარწერა, რომელიც ბუღა თურქის შემოსევისა და მის მიერ თბილისის დაწვის შესახებ მოგვითხრობს.

ამრიგად, ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ზოგადი პალეოგრაფიული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ ეს რეგიონი საქართველოში წერილობითი კულტურის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული დამწერლობის ისტორიაში. ქვის კალიგრაფების მიერ ოსტატურად შესრულებული ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფია ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ისინი ქართული დამწერლობის განვითარების ერთიანი, უწყვეტი ხაზის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთმა, სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულად რთულ ისტორიულ ქარტეხილებს გამოატარა ქვაზე წერის ოსტატების მიერ საგულდაგულოდ შექმნილი არაერთი ძეგლი – 200-ზე მეტი წერილობითი ნიმუში, ვფიქრობთ, ეს უძველესი მხარე თავისი სიახლეებით არაერთხელ გააოცებს თავის ერთგულ მკითხველს.

თავი VII

ქართული ლაპიდარული ნარწერების სახისმეტყველება
(ჯავახეთის ეპიგრაფიკის მიხედვით)

ნესტან სულავა

ლაპიდარული და ფრესკული წარწერების წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს მათში დაცული ცნობების ღირებულება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, ისტორიული პირის, ტაძრის მშენებლობის და სხვა პოლიტიკურ-სოციალური ვითარების შესახებ. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა, ისტორიულ პირთა და ძეგლთა დათარიღება, ცალკეული წარწერის მნიშვნელობის განსაზღვრა. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფონდი ძალზე მდიდარია: ლაპიდარული, ჭედური, ფრესკული, ნაკაწრი და ნაქარგობებზე შესრულებული წარწერები; სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია ქართული წარწერების კლასიფიკაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით: საამშენებლო, მემორიალურ-მოსახსენებელი, იურიდიული, საყოფაცხოვრებო, ქრონიკალური შინაარსის და სხვა ტიპის წარნერები. ლაპიდარულ, ფრესკულ, ჭედურ, ნაკაწრ და ნაქარგობებზე შესრულებულ წარწერებს, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულებაც აქვთ. კერძოდ, ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებით, და, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ. ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ამ თვალსაზრისით კვლევამ საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიგვიყვანა.

წარწერებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომელსაც ამა თუ იმ წარწერის შესრულებისას ითვალისწინებდნენ. ბიბლიური და საღვთისმეტყველო საზრისის შემცველი წარწერები რამდენიმე ტიპისაა: 1. წარწერებში აღნიშნულია, თუ ვის, ღმერთს ან რომელ წმინდანს მიმართავს წარწერის შემსრულებელი თხოვნითა და სულის ხსნის ვედრებით; 2. სამყაროს ქრისტიანული აღქმა და მისი ამსახველი წარწერები; 3. ბიბლიურ-ევანგელური ეპიზოდების ასახვა და ალუზია; ბიბლიურ პერსონალიათა ხსენება; 4. სოფლისა და ზესთასოფლის მკვიდრთა სულიერი მომავალი; 5. შენდობისა და შეწყალების მოტივი; 6. ესქატოლოგიური თემა და განკითხვის დღის მოლოდინი; 7. კრულობისა და წყევლის თემა; წარწერებში შემონახულია პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისისა და ინფორმაციის შემცველი ცნობები, რომლებშიც ყველა ზემოჩამოთვლილი სახისმეტყველებითი ასპექტი წარმოჩნდება.

1. წარწერებში ხშირად გვხვდება ღმერთისადმი, ყოვლაწმინდა ღვთისმშობლისა და მფარველი წმინდანებისადმი მიმართვა. ზედა ვარძიის XI საუკუნის წარწერა, ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის წარწერა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, დედას ღვთისას, სთხოვს ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების მეოხებას, რათა „დღესა საშინელსა“ პირნათელი წარდგეს ღვთის წინაშე: „ქ. დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავსა ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა, დღესა საშინელსა რომელმან გულსმოდგინებით აღგიშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, ამენ“ (№ 53)[1]. განძის ქვედა ეკლესიის წარწერაც, ასევე, ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს მიემართება: „ქ. ღმრთივ გგრგჯნოსანი მეფობაჲ გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დაჲფარენ, დედაო ყოველთა მწყსნელისაო“ (№ 29). გავეთის X საუკუნის წარწერაში მისი შემსრულებელი წმ. გიორგი მთავარმოწამეს შესთხოვს ფოფისადმი მეოხებას ორსავე სოფელში: „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, მეოხ ეყავ ორთავე ცხორებათა ფოფს“ (№ 25). სოფელ ფარავანთან ახლოს მდებარე ქვაჯვარზე შესრულებული XII საუკუნის დათვიას წარწერა მოგვითხრობს: „შვილნო ღმრთისანო, ქრისტიანენო, საწყალი დათვიაი

1 ლიპარიტ ერისთავთ ერისთავის წარწერისა და სხვა წარწერების ნომრები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ტექსტშივე მითითებულია წინამდებარე გამოცემის მიხედვით.

ლოცვასა გვედივარ“ (168)[2]. აქ ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ დათვიას საწყლად მოხსენიება, არამედ ვედრების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული „გვედივარ“, იგი იშვიათ ზმნათა რიგს განეკუთვნება; საინტერესოა მისი გრამატიკული ფორმა. ამ სიტყვას ვხვდებით გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელშიც იერუსალიმში მყოფი მამები წმ. გრიგოლ ხანცთელს დედა ეფროსინეს ავედრებენ: „მამაო, გვედია ეფროსინე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყვარულისათჳს იკითხეთ...“[3].

2. ცნობილი ფაქტია, რომ ხუროთმოძღვრული ძეგლები სამყაროს სიმბოლურ არსს გამოხატავენ. ამიტომ ქრისტიანული ტაძრის ყოველი დეტალი, ყოველი გამოსახულება ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოჩენას ემსახურება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კუმურდოს ტაძრის ოთხი თითო სიტყვისაგან შემდგარი წარწერა: „ადამ“, „ევა“, „ცაჲ“, „ქუეყანაჲ“, რომლებშიც სამყაროს შექმნის პროცესი და ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა წარმოიდგინება. წარწერათა მეცნიერული აღწერილობა და პალეოგრაფიული ანალიზი მოცემულია ვ. სილოგავას მონოგრაფიაში „კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა“[4].

ვ. სილოგავას აღწერილობის თანახმად, X საუკუნის შუა წლების, კერძოდ, 964 წლის (ამ წლითაა განსაზღვრული კუმურდოს ტაძრის მშენებლობა) წარწერა **„ად//ამ“** „ამოკვეთილია ადამის თავის სკულპტურული გამოსახულების გარშემო. გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ ფასადის ნიშის ზედა ნაწილში. მას გარშემო 12 სხივიანი კონცენტრული რიგი დაუყვება. თავის გამოსახულება დაზიანებულია – ნასროლი ქვებით ძლიერ ატკეცილია მისი ზედაპირი. წარწერის 2-2 ასო ამოკვეთილია გამოსახულების ორივე მხარეს. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“[5]. დავიმოწმებ ევას გამოსახულებისა და წარწერის აღწერილობასაც ვ. სილოგავას მონოგრაფიიდან: წარწერა „ევ//ა“ „ამოკვეთილია ევას თავის სკულპტურული გამოსახულების გარშემო. გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ნიშის ზედა ნაწილში. გარშემო მას დაუყვება 26 სხივანას კონცენტრული რიგი. გამოსახულება დაზიანებულია – გამოქარგული და გადაცრეცილი. წარწერის 2 ასო ამოკვეთილია თავის მარცხნივ (აქედან პირველი გადასულია) და 1 – მარჯვნივ (ეს უკანასკნელი ფილის კიდეზეა, ისე, რომ აქ ჲ-სათვის ადგილი არ არის). განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“[6]. პრობლემის უკეთ წარმოჩენის მიზნით დავიმოწმებ ცისა და ქვეყნის სიმბოლურ გამოსახულება-წარწერათა აღწერილობასაც ამავე წიგნიდან: წარწერა **„ცაჲ“** „ამოკვეთილია ცის სიმბოლური გამოსახულების – ადამიანის სკულპტურული თავის, მარცხენა მხარეს. გამოსახულება ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთ (მარცხენა) ნიშის ზედა ნაწილში. მას ზემოდან დაუყვება 21 სხივანის კონცენტრული რიგი“[7], ხოლო **„ქუეყანაჲ“** „ამოკვეთილია ქვეყნის (დედამიწის) სიმბოლური გამოსახულების – ადამიანის სკულპტურული თავის, ორივე მხარეს – პირველი ასო მარცხნივ და ბოლო 2 ასო მარჯვნივ (აქედან უკანასკნელი, მესამე ასო ამჟამად გადასულია). სკულპტურული გამოსახულება ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილოეთ (მარჯვენა) ნიშის ზედა ნაწილში. მას ზემოდან დაუყვება 15 სხივანის კონცენტრული რიგი. წარწერას ქარაგმის ნიშნები არ ახლავს“[8]. იქვე მოცემულია გამოსახულებათა და წარწერათა ნახაზებიც.

ეს აღწერილობები საგანგებოდ მოვიხმეთ, რათა უკეთ წარმოჩენილიყო სიმბოლურ გამოსახულებათა შემოქმედისა და წარწერათა შემსრულებლის კონცეფცია; ვფიქრობ, რომ სიმბოლური გამოსახულებებისა და წარწერების საშუალებით ბიბლიური მსოფლშეგრძნება და სამყაროს აღქმის ერთ-ერთი ვარიაცია იკითხება. ცხადია, ადამისა და ევას გამოსახულებები შემთხვევით არ უნდა გაკეთებულიყო ცისა და ქვეყნის გამოსახულება-წარწერათა კონტექსტში. აქ შესაქმის თანდათა-

2 „გვედიას“ შესახებ იხ. თ. ხაჟომია, ანდერძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გვედია“, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 303.

4 ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 50-52.

5 იქვე, გვ. 50.

6 იქვე, გვ. 50-51.

7 იქვე, გვ. 51.

8 იქვე, გვ. 52.

ნობითი პროცესი იკითხება. ბიბლიის პირველსავე წიგნში მოთხრობილია ღმერთის მიერ ცისა და ქვეყნის შექმნა უდროჟამო სამყაროში. ასევე უდროჟამო სამყაროში მეექვსე დღეს შექმნა ღმერთმა ჯერ ადამი და შემდეგ ევა, როგორც სამყაროს გვირგვინი. შესაქმის იერარქია დაცულია, ადამიანის შექმნა სამყაროს შექმნის ბოლო ეტაპია. ადამის ცხოერებაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა, პირველია ევას გაჩენამდე სამოთხეში მისი მარტოდმყოფობის პერიოდი. მეორეა ევასთან ერთად სამოთხეში ცოდვით დაცემამდე ყოფნის პერიოდი, ხოლო მესამე არის სამოთხიდან განდევნის შემდგომი ცხოერება. ტაძრის ნიშებში ადამისა და ევას გამოსახვა და მათი სახელების წარწერა სიმბოლურად გამოხატავს ადამისა და ევას განახლებულ ცხოერებას ძე ღმერთის, მაცხოვრის სულიერი მისიის აღსრულებით, სამყაროს განმაახლებლად მოვლინებით, მის მიერ კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვით, „ახალი იგი კაცის" შემოსვით (ეფეს. 4, 24). ამიტომ იძენს ადამისა და ევას გამოსახულება-წარწერის გვერდით ცისა და ქვეყნის გამოსახვაც და წარწერაც სიმბოლურ ფუნქციას, რადგან მაცხოვრის მოვლინებამ შექმნა „ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი იგი ქუეყანაჲ წარჴდეს" (გამოცხ. 21, 1). ადამი, ღვთის ხატად ქმნილი, როგორც კაცობრიობის ფუძემდებელი, და ევა, როგორც სიცოცხლის წყარო, გამოსახულნი არიან კუმურდოს ტაძარზე; ადამი იყო „პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით... და ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისაჲ, შევიმოსოთ ხატიცა იგი ზეცისაგანისაჲ" (I კორ. 15, 47; 49). ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, ერთი მხრივ, ადამ, ევა, ცაჲ, ქუეყანაჲ ორი სამყაროს – ზესთასოფლისა და სოფლის ერთიანობის სიმბოლოებია, თვით ტაძარი ამ ორი სოფლის ერთიანობის სიმბოლოა, რაც ტაძარში მყოფ ლიტურგიული ცნობიერების ადამიანის სულს ზეცისაკენ მიმართავს; მეორე მხრივ, კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვარი საკოცარი არა მხოლოდ ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაში, არამედ, როგორც მოსალოდნელი იყო, ღვთისმეტყველებაშიც ღრმად განსწავლული და სახისმეტყველებითად მოაზროვნე პიროვნებად წარმოგვიდგება.

3. წარწერათა ნაწილი ეხმიანება ძველი აღთქმის ტექსტს: ლაპიდარულ წარწერებში მოიხსენიებიან ბიბლიური პერსონაჟები, რომელთა ხსენება სახისმეტყველებითი ფუნქციითაა დატვირთული. ბურნაშეთის წარწერა ასახავს დანიელის ხსნის, გადარჩენის ეპიზოდს ლომის პირისაგან დანიელის წინასწარმეტყველებიდან (დან. თ.6), რასაც წარწერაში ნახსენებ მაშენებელთა სულთა ხსნის გამო ღვთისადმი ვედრების მისია აკისრია: „უფალო, ვითარცა იჴსენ დანიელ პირისაგან ლომთაჲსა, ეგრე იჴსნენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ჴელთაგან ჯოჯოხეთისაგან" (№ 23).

წარწერების ნაწილი კი ახალი აღთქმის სიმბოლურ მინიშნებებს, ალუზიებს მოიცავს. ბიეთის წარწერაში წმინდა ზიარების თემაა ასახული: „მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ხორცი ჩემი თქოენთოის..." (ბიეთის წარწერა); წარწერა ეფუძნება მაცხოვრის სისხლისა და ხორცის ზიარების სახარებისეულ მისტერიას; მათეს სახარება გვამცნობს: „მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ; მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა" (მათე, 26, 26-28; შდრ.: ლუკა, 22, 15-20).

ფიის ტაძრის ტრაპეზის წარწერა X საუკუნისა იოანეს სახარების ტექსტს ეხმიანება და მაცხოვრის განთქმული სიტყვების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს: „მე ვარ ნათელი ქრისტეს სოფლისაჲ//რომელი შემომიდგეს მე, არა [ვიდოდის ბნელსა]" (170). წარწერასთან დაკავშირებული წყარო, იოანეს სახარება, მითითებული აქვს ვალერი სილოგავას. იოანე სახარებაში წერია: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აჰუნდეს ნათელი ცხორებისაჲ" (იოანე, 8, 12); „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად" (იოანე, 1, 9); „მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაათა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს" (იოანე, 12, 46). წარწერა შთაგონებულია ნათლის სიმბოლიკით, ნათლის ქრისტიანული გააზრებითა და ასპექტით.

4. წარწერებში ორსავე სოფელსა შინა სულიერი არსებობის მოტივს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. როგორც წარწერის დამკვეთი და შემსრულებელი, ასევე ის პირი, რომლის შესახებაც არის

საუბარი წარწერაში, მოელის ცხოვნებას ორსავე სოფელსა შინა: „† იესუ ქრისტე, დიდებულ-ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი, ამინ"[9]; „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებათა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა..." (№ 27). „აღეშენა ეკლესია ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა; ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხორებათა შინა..." (№ 18). კარნეთის წარწერაში ქართლის კათალიკოსის იოვანე ოქროპირის დიდებას ორსავე ცხოვრებასა შინა ევედრება მაცხოვარს წარწერის შემსრულებელი: „ქრისტე, ადიდე იოვანე-ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი, ორთავე ცხორებათა, იყავნ ამენ" (№ 80).

5. წარწერებში ჩვეულებრივია სულის შეწყალებისა და შენდობის მოტივის შემცველი შინაარსიც. იხტისლას ტაძრის წარწერის შემსრულებელი გოგაისა და ჩქარაის წყალობასა და დღეგრძელობას სთხოვს მაცხოვარს: „ქრისტე, შეიწყალე გოგაი და ჩქარაი და მოწყალე ექნენ და ადღეგრძელე" (№ 78).

საინტერესოა კუმურდოს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც სულის შეწყალებას ითხოვს, აწ უკვე გარდაცვლილი ადამიანის სულისა, რომელიც საფლავად მისულია, ხოლო სული მისი გამზადებულია ღვთის სამსჯავროზე წარდგომისათვის: „† ქრისტე, **შეიწყალე** --- დადებული, საფლავად მისული და **სული გამზადებული**"[10]. წარწერაში ესქატოლოგიური ხედვაც იკითხება.

საინტერესოა იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, რომელთაგან ორი ვანის ქვაბთა მონასტერშია, ერთი კი წუნდის ეკლესიის სამხრეთის კედელზეა შემონახული. ვანის ქვაბებში დაცული ერთი წარწერა მონასტრისათვის ხატების შეწირვის ფაქტს აღნიშნავს და მლოცველებს სთხოვს, რომ მისთვისაც ილოცონ, მისი სული მოიხსენიონ ლოცვებში: „† იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთისშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმიდისა სჯმონისი; ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჴსენეთ" (№ 40). მეორე წარწერაში იჩქით გურგენის ძე შენდობას ითხოვს: „† ესე არს სამკუდრებელი ჩუენ, გურგენთათი. მე, იჩქითმან აღვაშენე; შემინდვნეს ღმერთმან" (№ 39). იგი ფსალმუნთა სიტყვებითაა ნასაზრდოები და ეხმიანება დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე წარწერილ 131-ე ფსალმუნის მე-14 მუხლში გამოთქმულ მოსაზრებას: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე" (ფს. 131, 14). იჩქით გურგენის ძის მესამე წარწერა წუნდის ტაძრის მისი და მისი მშობლების სულის საოხად აშენებას გვაუწყებს: „† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმინდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს" (№ 206). ასეთივეა 1064 წლის მირაშხნის წარწერა ალფ-არსლანის შემოსევის შესახებ. იგი ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით გამორჩეულია, მასში წარწერის შემსრულებელი ცოდვილად იხსენიებს საკუთარ თავს და გვიამბობს ჯავახეთის ანყვეტის შესახებ. იგი უფალს შესთხოვს, რომ გოჰარის, ყველა მირაშხნელსა და თვით წარწერის შემსრულებელს, გიორგა ბერს შეუნდოს. წარწერაში ცოდვათა აღნიშვნისას პოლიტიკური საზრისი იკითხება. დავიმოწმებ მხოლოდ ბოლო მონაკვეთს: „უფალო, შეუნდვენ გოჰარის ცოდვანი, ამენ; და მირაშხნელთა ყოველთა შეუნდვენ, უფალო, ამენ; მეცა, ფრიად ცოდვილი მომიწსენეთ, გიორგა ბერი" (№ 125). ბავრის XV-XVI საუკუნეების წარწერაში, რომელიც მგელაის საფლავის ქვაზეა შესრულებული, აგრეთვე, შენდობაზეა საუბარი, ვინც შენდობას იტყვის, მასაც შეუნდოს ღმერთმა: „ქ. ესე საფლავი მგელაისი არს, შეუნდვენ ღმერთმან; და ვინცა შეუნდვენ თქუას, მასცა შეუნდვენ ღმერთმან!" (№17).

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარწერებში არეკლილია ესქატოლოგიური მოტივი. განკითხვის დღისა და ღვთისაგან შეწყალების მოლოდინი გამოსჭვივის კუმურდოს ტაძრის წარწერათა უმრავლესობიდან, რაც ხუროთმოძღვართა, ხელოვანთა, ხელოსანთა ქრისტიანულ მრწამსს გამოხატავს. სამსარის X საუკუნის წარწერა მცხეთის ეკლესიის დაწვის შესახებ დავით კურაპალატს დიდი გასაჭირისაგან მხსნელად მიიჩნევს და ღმერთს შესთხოვს, რომ განკითხვის დღეს, ღვთის წინაშე წარდგომისას წინ დაუხვედროს მისი ღვაწლი: „ქ. აშენდა წმიდაი ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკვიდრე, ოდეს

9 ვ. სილოგავა, კუმურდო, გვ. 87.

10 ვ. სილოგავა, კუმურდო, გვ. 84.

ქართველთა მეფემან, კურაპალატმან დავით და ერმან ყოველმან ესე ვანი და კრებული შეგუიბრალა, მაშინ დიდისა ჭირისაგან გუიხსნა, და უფალო მოიხსენენ იგიცა დღესა მას განკითხვისასა. კულა დავწერე, ოდეს საჯთა მცხეთისა ეკლესიაი დაწუეს და წმიდისა ნინოს ხელი ტყუედცა წარიტანეს" (№ 148). მაგალითები კუმურდოს ტაძრის წარწერებიდან: „† წმიდაო ეკლესიაო, შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშჩნებელნი შენნი, **დღესა მას საშჯელისასა** დაიფარენ და შეინყალე გლახაკი გიორგი ლოცვასა მომივსენეთ"[11]; „† ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი, ამისი ამშენებელი, **დღესა მას**"[12]. ფოკის წარწერა მაცხოვარს, იესო ქრისტეს იხსენიებს როგორც „სიტყვას ღმრთისას", რომელსაც ქართლის კათოლიკოსის იოანე ოქროპირის დიდებას ავედრებს ორთავე ცხორებასა შინა: „ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, ადიდე იოვანე-ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი, ორთავე შინა ცხორებათა, ამენ" (№179).

საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავს თმოგვში წმ. მარინეს ეკლესიაში შემონახული 1304 წლის წარწერა, რომელშიც წარწერის შემსრულებელმა სამინამმა საკუთარი თავი მოიხსენია, როგორც „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული", ე. ი. ცოდვილი; ქრისტეს ხატ-სახე წარმოაჩინა, როგორც „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი"; იგი ღმერთს მიმართავს, ეითარცა „ძალასა შემოქმედსა"; აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან მაცხოვარი და წარწერის შემსრულებელი, რაც საღვთისმეტყველო საზრისით დატვირთული ანტინომიური გამოთქმებითაა გამოხატული: **მაცხოვარი – „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი"**, ხოლო **სამინამი – „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული"**, რაც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული თაემდაბლობის მოტივის გამოხატულებაა. წარწერის შემსრულებელსვე აუშენებია ეს ეკლესია ღვთისაგან ხელდადებული წმ. მარინას მადლით წმინდანის სახელზე. ღმერთს შესთხოვს, რომ ღვთის მონას სამინამს მეოხი ეყოს ორსავე ცხოვრებასა შინა: „სახელითა ღმრთისაითა, ... ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელო, შენსა მიუცთომლობასა და ძალასა შემოქმედსა, [ქრის]ტე მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული შენი სამინამ რომლისათუის არა ვინ არს ხელისამპყრობელი თუინიერ შენ ღვთაებისაგან კიდე, წმიდაო მარინა, მადლისა მის საღმრთოისა რომლისათუისა სისხლნი დასთხიენ. სახელსა შენსა ზედა აღმიშენებია ესე მცირე ეკლესიაი მონასა შენსა სამინამს მეოხ მეყავ ორსავე შინა ცხორებასა. აღეშენა ესე ეკლესიაი ქორონიკონსა ფკგ ჭელმწიფობასა [ყაზა]ნისა და მეფობასა დავითისსა, ამენ" (№ 70).

7. წარწერებში ხშირია წყევლისა და კრულობითი ტექსტები, რომელთა საჭიროება იმით აიხსნება, რომ საღვთისმეტყველო კანონი და წარწერის დამკვეთის, შემსრულებლის ან ტაძართან// წარწერასთან დაკავშირებულ პირთა სურვილი არ დაირღვეს. ამ თემის ტრადიციას ასახავენ ძველი საისტორიო საბუთები და ხელნაწერები, რასაც ქართული მასალის საფუძველზე კვალიფიკაცია მისცა ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა"[13]. მასში გამოყოფილია სიგლის ნაწილები, რომელშიც კრულობით მოწმობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კრულობა წყევლა-კრულვას გულისხმობდა და იმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც სიგელით გათავალისწინებულ პირობას დაარღვევდა. სწორედ ამგვარი წყევლა და კრულობა გვხვდება ეპიგრაფიკულ წარწერებშიც, რაც იმას მოწმობს, რომ ერთნაირი ფორმები იყო შემუშავებული ხელნაწერი წიგნების გადამწერთა, ისტორიული საბუთებისა და ეპიგრაფიკული წარწერების შემსრულებელთა მიერ. სათხის წარწერაში მითითებულია, რომ გიორგი შაზელისძისა და მისი ძეების სახელზე დაწესდეს აღაპი და ვინც შემდგომში იქნება მწირველი, წირვა არავინ დააკლოს. ვინც არ აღასრულოს, მასზე კანონმა იმოქმედოს: „† გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზედაშე და სეფისკუერი გამოვიდეს, ბარბარობაჲ და მეორედ მოსლვაჲ, ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვაი, ჩუენმა მომავალმან; და ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს; ამენ" (№ 146).

ეფრემ ეპისკოპოსმა გაბრიელ კუმურდოელის სახელზე დაწესა აღაპი ყველიერის პარასკევს,

11 სილოგავა, კუმურდო, გვ. 83.

12 იქვე, გვ. 83.

13 ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თხზ., ტ. IX, თბ., 1996.

ხოლო აღაპის შემცველს წყევლა-კრულვას უთვლიან წარწერის დამკვეთიცა და შემსრულებელიც.

წყევლისა და შეჩვენების შემცველი სიტყვები წარწერის შემსრულებლის ან მისი დამკვეთის სურვილის შეცვლის მსურველთა წინააღმდეგ არის მიმართული: „† სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იოვანე ეპისკოპოსმან დაუდევ დღე ახუსებაჲ აღაპად ვაჩე ერისთავსა; ვინ შეცვალოს – კრულია ამით ხატითა ჩემითა ჯუარითა“[14]; „† დიდსა შაფათს – აღაპი მირდატისი; ქრისტეშობისი წინადღე – გოლიათისა; ვინ შეცვალოს, კრულია ღმრთისა პირითა“[15]. კუმურდოს ტაძარში, რომელიც ღვთაების სახელობისაა, მთავარ სალოცველ ხატად მიჩნეული იყო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ტიპი, ღვთაების ხატი, რომელსაც, საზოგადო წესისამებრ, სხვა ხატების მსგავსად, საგანგებოდ სწირავდნენ ძვირფასეულობას. კუმურდოს ერთ-ერთი წარწერა 1027-1072 წლისა სწორედ ამგვარ შეწირულებას გვამცნობს და იგი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ზოსიმე კუმურდოელის ეს წარწერა კრულვის სიტყვებით მთავრდება; წარწერა დავითის ხელითაა შესრულებული: „სახელითა ღმრთისაჲთა. მე ზოსიმე კუმურდოელმან შევმოსე საკურთხეველი, ბარძიმ-ფეშხუემი, ჯუარი და შევამკე ხატი ღმრთაებისაჲ ჴელითა დავითისაჲთა. დაუდევ სალოცველად ბზვობისა ე, კჳრიელესონითა; დეკანოზი შეუსუენებდეს წმიდასა სამებასა შესუენებითა. კრულია ამით ხატითა ვინ შეუცვალოს“[16]. საინტერესოა კუმურდოს ტაძრის XI საუკუნის წარწერა, ამბა პავლე მანგლელის სააღაპე წარწერა, რომლის მიხედვით წარწერის შემსრულებელი ამბა პავლესთვის ჟამისწირვისა და ლოცვის შეწევნას ითხოვს, ხოლო ვინც აღაპი არ გადაიხადოს, ღვთის წინაშე აგებს პასუხს: „იანვრისასა ამბა პავლესი აღაპი, მანგლელისი; ღმერთმან მის დღისა ჟამისწირვაი და ლოცვაი შეაწიენ. ვინ არა გარდაიჴადოს, ღმერთმან მისგან იძიენ; ამენ“[17].

განძის წმ. იოანეს ეკლესიაში დამოწმებულია წარწერა, რომელიც უჩვეულოა წარწერათმცოდნეობაში, თუმცა, შესაძლოა იგი სიგელებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების კრულობით ხასიათს ეხმიანებოდეს და ამ რიგის წარწერა-საბუთებში იყოს განსახილველი: „უფალო არ შეიწყალე“[18]. იგი პირველად გამოქვეყნდა წიგნში „ჯავახეთი“ (2000, გვ. 21).

8. ცალკე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წარწერა უთითებს, თუ ვის სახელზეა აგებული ესა თუ ის ტაძარი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგჯერ არაა შემონახული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის სახელზე იყო აგებული ტაძარი, ხოლო წარწერა ინახავს ამგვარ ცნობას. მაგალითებად დავიმოწმებ სამსარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წარწერასა და წმ. მარინას სახელობის ტაძრის წარწერას თმოგვში, რომელიც სამინამის სახელითაა ცნობილი.

ამრიგად, ლაპიდარული წარწერები მრავალმხრივი ღირებულების ცნობებს გვაწვდიან. ისინი, ისტორიული, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას. ლაპიდარულ, ფრესკულ, ჭედურ, ნაკაწრ და ნაქარგობებზე შესრულებულ წარწერებს ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულება აქვთ. კერძოდ, ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით და, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ, წარწერათა დამკვეთების, შემსრულებლების, ხუროთმოძღვართა აზროვნების დონესა და მსოფლმხედველობას წარმოაჩენენ, გვამცნობენ იმასაც, თუ ვისი სახელობისაა ტაძარი. წარწერებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომლებსაც ამა თუ იმ წარწერის შესრულებისას ეყრდნობოდნენ. აგრეთვე, ეს წარწერები ენის განვითარების ისტორიასაც ასახავენ და აჩვენებენ, რომ თითოეული მათგანი წარწერის შექმნის ეპოქაში არსებული სალიტერატურო-მწიგნობრული ენობრივი ნორმების შესაბამისად იქმნებოდა.

14 ვ. სილოგავა, კუმურდო, გვ. 84.

15 იქვე, გვ. 85.

16 იქვე, გვ. 64.

17 იქვე, გვ. 71.

18 ჯავახეთი, 2000, გვ. 21.

დამატება I

ახალქალაქის წარწერები

ვალერი სილოგავა

ახალქალაქის რაიონში ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის შემდეგ ასეთი სურათი გამოიკვეთა – გვაქვს წარწერების სამი ჯგუფი: 1. ადგილებზე დაცული წარწერები, 2. ახალქალაქის, ახალციხის და თბილისის მუზეუმებში გადატანილი წარწერები და 3. წარწერები, რომლებიც ამჟამად არ არსებობენ და რომელთა შესახებ ლიტერატურითაა ცნობილი – ზოგჯერ გამოქვეყნებული ტექსტის, ზოგჯერ მხოლოდ ცნობის სახით.

ცალკე გვინდა გამოვყოთ შესწორებები ა ბ უ ლ ი ს და ა ლ ა ს ტ ა ნ ი ს ეკლესიების წარწერათა ტექსტების არსებული პუბლიკაციებისა. გარდა ამისა, ამ წარწერების ლიტერატურაში მიღებული დათარიღებები, როგორც ჩანს, უნდა გადაისინჯოს.

სპეციალ ლიტერატურაში აბულის წარწერის შემდეგი წაკითხვაა მიღებული: „ჯუარი ქრისტესი. ქრისტე, შეიწყალე გალატოზნი"[1]. სინამდვილეში ეს წარწერა ასე იკითხება:

„ჯ(უარ)ი ქ(რისტ)ი. ქ(რისტ)ე. შ(ეიწყალ)ე გ(უ)ზ(ა)ნ გ(ალა)ტ(ო)ზ(ი)".

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII ს-საა. საკუთარი სახელი „გუზან" სხვა წყაროებითაც ცნობილია[2].

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალასტანის ეკლესიის ჯერ კიდევ მ. ბროსეს დროიდან ცნობილი ორი ნუსხური წარწერის ტექსტების დადგენას და დათარიღებას. ლიტერატურაში მიღებულია წარწერის ტექსტის შემდეგი წაკითხვა: „ესე მე დავდე... იასაულის ძემ. ესე მე როშელმა დავდე ქვაჲ"[3]. სინამდვილეში, ალასტანის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულია ორი დამოუკიდებელი წარწერა (3, 4[4]. კიდევ ორი, როგორც ჩანს, ამათი თანადროული სხვა წარწერის ტექსტები, ამჟამად პირწმინდად გადათლილია):

1.„ესე მე ნო|შელმან| დავდე| ქვაჲ" და **2. „ესე მე დ(ა)ჩ(ი)მ დ(ა)ს(უ)ი საოლისძემ(ა)ნ (ან: საულისძემან)".**

როგორც ვხედავთ, ორივე წარწერა შეეხება ქვის დასმას, რაც სხვა წარწერებითაც ცნობილი ფაქტია ძველი საქართველოსათვის. როგორც ქვის დასმის აღმნიშვნელი, მაშასადამე, ისინი ეკლესიის აგების თანადროული წარწერებია. ხოლო ალასტანის ეკლესია, განსაკუთრებით მისი დეკორი, ყველა ხუროთმოძღვრული ნიშნით (ისევე, როგორც აზავრეთის, ბურნაშეთის და სხვა ეკლესიები) X-XI ს-ის ძეგლია. ამ თარიღს პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება. ამრიგად, ალასტანის წარწერები, ნუსხური დამწერლობით შესრულებული ერთ-ერთ უადრეს წარწერებად და ამ დამწერლობის კარგ ეპიგრაფიკულ ნიმუშებად გვეევლინებიან. მრავალ საკითხს შორის, რომლებიც ამ

1 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 122. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, ნიგნი I, თბ., 1964, გვ. 108. „გალატოზნი"-ს წარწერა ნ. ბერძენიშვილს საეჭვოდ მიაჩნდა, ხოლო თარიღის შესახებ აღნიშნავდა, რომ „წარწერა XI-XII საუკუნის შემდეგი ხანისა შეიძლება იყოს მხოლოდ" (იქვე, გვ. 108).

2 მაგ., გუზან აბულასანის ძე (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 38) და გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49, 55, 56, 81, 141).

3 И. Ростомов, Ахалкалакский уъезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тифлис, 1898, с. 31. ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123 (ი. როსტომაშვილის მიხ.). ნ. ბერძენიშვილს ორივე წარწერა ცალ-ცალკე მოჰყავს; პირველ წარწერაში ისიც „როშელმან"-ს ჰკითხულობს და შენიშნავს: „აქ „როშელმან"-ის მაგივრად შეიძლება იკითხებოდეს ოშებმან: შეიძლება რა-ე სულ არ იყოს, არამედ სამკბილიანი ო-ნი" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158); ხოლო მეორე წარწერას კითხულობს შემდეგნაირად: „ესე მე დაჩიმ საოლისძემ (?)". წარწერების თარიღს შესახებ ის აღნიშნავს შემდეგს: „წარწერა დიდ სიძველეს ვერ დაიჩემებს. ის შეიძლება XIII საუკუნის შემდეგ ხანას ეკუთვნოდეს". სხვა გამოცემებში წარწერა დათარიღებული არ არის.

4 წარწერათა ნომრები აქაც და შემდეგშიც მითითებულია წინამდებარე გამოცემის მიხედვით.

წარწერებთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას, ამჯერად ყურადღება გვინდა მივაქციოთ მხოლოდ ერთს – ნ-არის დაწერილობას. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი დაკავშირებულია პირველ წარწერაში „როშელის“ ან „ნოშელის“ წაკითხვასთან და, მაშასადამე, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობი ტოპონიმის „ნოშა“-ს ან „როშა“-ს დადასტურებასთან.

ნ-არი წარწერაში გადმოცემულია ისეთი მოხაზულობით, რომ იგი ერთი შეხედვით შეიძლება ნუსხურ რ-აედ იქნეს მიჩნეული [ბერძნული ლამბდა], როგორც ეს მიუჩნევია მ. ბროსეს და რომლის მიხედვითაც პირველ წარწერაში მიღებული იყო წაკითხვა „როშელმა“[5]. მაგრამ ასეთი მოხაზულობის ასო გვაქვს მეორე წარწერის ბოლოს, სიტყვაში „საოლისძემან“, სადაც იგი მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის „მან“-ის ბოლო ასოა, რაც [ბერძნული ლამბდა] ნიშნის მიხედვით რ-აედ წაკითხვის შესაძლებლობას გამორიცხავს. საყურადღებოა ის, რომ ნ-არი ამ სიტყვაში ამოკვეთილია არა სიტყვის ბოლოს, არამედ ე-ნის თავზე, რადგან წარწერის შემსრულებელს მ-ანის შემდეგ ქვაზე ადგილი არ ეყო. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მ-ანი იქნა მიჩნეული ამ სიტყვის ბოლო ასოდ და მ. ბროსემ, ხოლო მის მიხედვით სხვებმა, „საოლისძემან“ წაიკითხეს როგორც „იასაულის ძემ“, ან „საოლისძემ“.[6] მაშასადამე, ზემოაღნიშნული ნიშანი არის ნ-არი და პირველ წარწერაში უნდა წავიკითხოთ არა „როშელმა“, არამედ „ნოშელმან“ და აქედან გამომდინარე, X-XI ს-ისათვის ჯავახეთში დასტურდება კიდევ ერთი ტერმინი **ნოშა**. საინტერესოა, რომ ზედა თმოგვის (ასპინძის რ-ნი) ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილ ერთ-ერთ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც XI ს-ით თარიღდება, „ნოშა“ დასტურდება, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი: **„ქ(რიტ)ე, შ(ეინყალ)ე ს(უ)ლი ნ(ო)შ(ა)სჲ“ „ესე კ(უ)თხი მ(ი)სია“.**[7]

ადრეც ცნობილი და ექსპედიციის მიერ ხელახალი შესწავლისას დაზუსტებული წარწერებიდან აღსანიშნავია ს ა მ ს ა რ ი ს და ბ ა რ ა ლ ე თ ი ს წარწერები. სამსარში აღრიცხული და შესწავლილია 6 ეპიგრაფიკული ძეგლი X-XI ს-სა. მათგან შევჩერდეთ ერთზე – წარწერაზე, რომელიც ამოკვეთილია კლდეში გამოკვეთილი ეკლესიის შესასვლელის ზემოთ გადმოშვერილ მოწითალო კლდის ქიმზე. ამ ადგილას კლდის მონგრევის გამო წარწერის ტექსტი ნაკლულია, მაგრამ ის, რაც შემორჩენილია, გარკვევით და მკაფიოდ იკითხება. წარწერა შესრულებულია სწორი ნუსხური დამწერლობით. თავისებური შესრულებით გამოირჩევა ასოები: **ნ, მ, ო, ც** და **ს**.

[...][8]
[...მ]აშინ დ[...][9]
[...]რელ ესე[...]
[...]მან კურ[...][10]
[5] **[...]ლმან**[11] **ესე ვანი[...]**
[...]რა მაშინ დიდისა
[...]გან[12] **გუ(ი)ჴს(ე)ნ**[13] **და**

5 ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; ნ. ბერძენიშვილი, როგორც აღინიშნა, კითხულობდა: „როშელმან“.

6 ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

7 გამოც.: 1) M. Brosset, II rapp. გვ. 155; 2) რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-B, 1947, გვ. 246. მ. ბროსე ამ წარწერებში სახელს კითხულობს ასე: „Nechi (?)“, ხოლო რ. გვერდწითელი – „ნეშისაჲ (ნიშისაჲ)“. რ. გვერდწითელის შენიშვნით, წარწერაში „ნახმარი სიტყვა „კუთხი“ ნიშნავს საკუთხეს ან კუთხის ქვას“ (დამოწმებულია ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი). „კუთხი“ ნიშნავს აგრეთვე „კიდეს“ (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 295). მართლაც, ეს წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის კედლის კიდესთან, რომლის აგების დონატორიც იყო, როგორც ჩანს, ნოშა.

8 ძნელია დანამდვილებით ითქვას შემორჩენილი ტექსტის წინ კიდევ იყო წარწერის სტრიქონები თუ არა.

9 „დ[აეწერეთ]“ (?).

10 „კურ[აპალატმან]“ (?), ან „კურ[თხეულმან]“ (?).

11 თუ სხვა სტრიქონებში მარცხენა ნაკლული ტექსტის მოცულობას გავითვალისწინებთ, თითქოს მე-3 და მე-4 სტრიქონები უშუალოდ არ უნდა ებმოდეს ერთმანეთს.

12 „[ჭირისა]გან“ (?).

13 ან: „გუ(ი)ჴს(ა)“, მაგრამ ქარაგმის ასე გახსნა ნაკლებმოსალოდნელი ჩანს, რადგან შემორჩენილ ტექსტში ბოლოკვეცილობითი დაქარაგმება არ დასტურდება.

[...მო]იჴსენენ იგიც[ა...]
[...დღ]ესა მას განკი(თ)ხ( )სასა[...]
[...]ულა მაშინ დავწერეთ
[10] [...][14] მცხეთისა ეკლ(ე)სიაი და [...][15]
[...ნი]ნოის[16] ჴელი ტ(ყუ)ეს წა[რიტანეს?][17]

წარწერა პირველად გამოსცა ი. როსტომაშვილმა, არაზუსტად და უსრულად[18]. წარწერის ბოლო სამი სტრიქონი, მცირეოდენი ორთოგრაფიული განსხვავებებით, გამოცემული აქვს გ. გაფრინდაშვილს[19]. მისივე აზრით, წარწერაში გადმოცემულია იგივე ცნობა, რაც „მატიანე ქართლისაჲში“ ფაღლა ქორეპისკოპოსის დროს სარკინოზთა შემოსევის შესახებ; თანაც, წარწერის ტექსტის მონაცემები არა თუ ეხმიანება მატიანის ცნობას, არამედ აზუსტებს კიდეც მას: „მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უჭმობდეს საჯობით, და მოტყუენეს კახეთი, და დაწუეს ჯუარი და მცხეთა, და შეიქცეს; და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედგათ სნება მუცლისა, და გულისხმა ყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნოთ. შეკრიბნეს ნაწილნი და წამოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და ალმართეს ადგილსავე თვისსა“[20]. ამის მიხედვით, გ. გაფრინდაშვილი წარწერას X ს-ის 20-30-იანი წლებით ათარიღებს[21]. აქ რამდენადმე ნაძალადევი ჩანს „მატიანე ქართლისაჲსეული“ „ჯუარი პატიოსანი დაჭრილის“ გაიგივება წარწერაში აღნიშნულ „წმიდისა ნინოის ჴელთან“. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ორივე წყაროში დაცული იყოს ჯვრის ტაძრის დაწვისა და აოხრების სხვადასხვა ფაქტი. აქედან გამომდინარე, წარწერის წარმოდგენილი კონკრეტული თარიღი მთლად დამაჯერებელი არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ეს ნუსხური წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით მეტად არქაულია და იგი შეიძლება X ს-ით დათარიღდეს. აქვე ვათავსებთ სამსარის ადრეც ცნობილი და გამოცემული მეორე წარწერის ფოტოს.

ბ ა რ ა ლ ე თ ი ს ეკლესიის ასომთავრული წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ დიდად საყურადღებო ეპიგრაფიკული ძეგლია, მთლიანად და ფოტოს თანხლებით აქამდე არ გამოცემულა. მართალია, ჩვენი შესწავლის შემდეგ წარწერის ცნობილ ტექსტს მხოლოდ ერთი სიტყვა დაემატა ბოლოში, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ სიტყვის ამოკითხვით გამოირიცხა ვარაუდი, რომ აქ შემორჩენილ ასოებში შესაძლებელია თარიღი ყოფილიყო მითითებული, თუმცა ლაშას მეფედ დაჯდომის აღნიშვნა უკვე ნიშნავდა თარიღის მითითებას. წარწერის ტექსტი მთლიანი სახით ასე იკითხება:

„აეშენა ეკლ|ესია ესე მა|თ ჟამთ(ა) შინა,| ოდეს ლაშა მ|ეფედ დაჯ|და; ადიდ(ე)ნ | ღ(მერ)თ(მა)ნ ორთ[ავე ც]|ხორ[ებ](ა)თა შ(ი)ნ[ა]. | ს(ა)ყდრ(ი)სა[...]“.[22]

აქვე მოვიყვანთ ახალქალაქში მიკვლეული და ზემოდასახელებული ფრაგმენტული წარწერების ტექსტებს და მათ სავარაუდო აღდგენებს:

I ფრაგმენტი
[...] | [...ქ(რონი)კ(ო)ნსა ს]ჲდ (?)[23] [დავ]დ(ე)ვ ბ(ა)ლ[(ა)ჰვ(ა)რი] ესე

14 „[...ოდეს]“ (?).

15 „და[წუეს]“ (?).

16 „[წ(მიდის)ა ნი]ნოის“ (?).

17 „წარიღეს“ (?).

18 И. Ростомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 98: „აღაშენა ... ოდეს... ესე ვანი... მაშინ დიდისაგან გვიხსენ და იხსენი... მაშინ დავწერე მუსხელისა (თუ მხსნელისა?) ეკლესია და ნოის ხელი...“

19 „...მაშინ დავწერე ოდეს მცხეთისა ეკლესია დაწუეს და წმიდა ნინოის ხელი ტყვედ წარიტანეს“ – გ. გაფრინდაშვილი, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, „ძეგლის მეგობარი“, 3, 1964, გვ.8.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265_{14-17}

21 გ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9. ადრე სამსარის წარწერებს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი X ს-ით ათარიღებდა (გ. გაფრინდაშვილი, კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი სოფელ პატარა სამსართან, ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების I სამეცნიერო სესია, 30. VI – 2. VII. 1959, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები თბ., 1959, გვ. 9, პუნქტი 5).

22 შეიძლება წარწერის ტექსტი შემდეგ ასე გრძელდებოდა: „ამის აღმშენებელსა [...] შეუნდოს ღმერთმან“.

23 ე. ი. 1064 წ.

II ფრაგმენტი
[...] | [...] გ [...] | [...] ფედ [...] | ა(მენ.

ექსპედიციის ერთ-ერთი საყურადღებო მონაპოვარია კათალიკოს იოვანე-ოქროპირის წარწერა, რომელიც ამოკვეთილი იყო კ ა რ ნ ე თ ი ს ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე. ტიმპანი დაფარული იყო ამ ეკლესიისათვის სამხრეთიდან მიშენებული, უშუალოდ მიბჯენილი მეორე ნაგებობის (როგორც ჩანს, ეკვდერის) ჩრდილოეთი კედლით. წარწერის ბოლო სტრიქონის ფრაგმენტები შეუმჩნევია ნ. ბერძენიშვილს 1933 წელს ჯავახეთში მოგზაურობის დროს[24]. ამჟამად, ეკლესიის კედლის ჩაქცევის გამო, ტიმპანის ფილა ამოპირქვავებულია და მასზე გარკვევით იკითხება შემდეგი წარწერა:

„ქ(რისტ)ე, ადიდე ⳙო(ჳა)ნე-ოქრ(ო)პ(ირ)ი, ქ(ართლისა) კ(ათა)ლ(იკო)ზი, ორთავე | შ(ი)ნ(ა) ცხ(ო)რებათა, ⳉყ(ავ)ნ ა(მე)ნ“.

წარწერაში დასახელებული ქართლის კათალიკოსი იოვანე-ოქროპირი სხვა წყაროებით, და მათ შორის ჯავახეთის წარწერებითაც, ცნობილი მოღვაწეა[25]. მისი კათალიკოსობის წლებს ნ. ბერძენიშვილი 1033-1048 წწ. განსაზღვრავს[26]. კარნეთის ეკლესიის აქ მოყვანილი წარწერაც ამ დროით უნდა დათარიღდეს; ამ თარიღს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები სავსებით ეთანხმება. წარწერა სხვა საინტერესო მონაცემებითაც იქცევს ყურადღებას, კერძოდ, „ქართლისა კათოლიკოზის“ დაქარაგმება „ქ˜კლზი“ ფორმით. ამ სიტყვებს სხვა წერილობით წყაროებში (საბუთები...) ზოგიერთი მკვლევარი „ქათალიკოზი“-ს ფორმით ხსნის, რაც სწორი არ არის. ასევე საყურადღებოა ფორმულა „იყავნ ამენ“ და წარწერის ზოგიერთი პალეოგრაფიული თავისებურება, მაგრამ ყველა მათგანის შესახებ აქ ვერ ალვნიშნავთ.

ბოლოს შევჩერდებით ი ხ ტ ი ლ ა ს (ძვ. ლრტილას) ტაძრის წარწერებზე. ამჟამად ტაძარზე მოთავსებულია სხვადასხვა დროის ხუთი ლაპიდარული წარწერა კედლების, როგორც გარეთა, ისე შიდა მხარეს. მეექვსეა საფლავის ქვის ასომთავრული წარწერა XIV-XV სს-სა, რომელიც ამოკვეთილია ტაძრის აღმოსავლეთ კედელთან ეზოში დაგებულ ქვის ფილაზე: „†ბალათ(უ)რს და |მისსა შვ(ი)ლ|სა გიორგის| შ(ეუნდვ)ნ ღ(მერთმა)ნ“[27].

იხტილას ტაძრის წარწერებიდან მკვლევართა ყურადღებას იქცევდა და რამდენჯერმე გამოცემულიცაა მხოლოდ ერთი წარწერა 1308 წლისა, ამოკვეთილი ტაძრის სამხრეთ კედლის კარნიზის დასავლეთ მონაკვეთზე. წარწერა, რომელშიც აღნიშნულია ლიპარიტ ქვეშელის ცოლისა და თმოგველთა ქალის რუსუდანის მიერ ეკლესიის აგების 1308 წელს „გასრულების“ შესახებ, სხვადასხვა დროს გამოცემული აქვთ მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას (ორჯერ), ვ. ციხისკარიშვილს და ნ. ბერძენიშვილს[28].

იხტილას ტაძრის შიდა კედელზე, ჩრდილოეთ მხარეს, ჩასმულია ფილები შემდეგი წარწერებით: 1. „† ჭ‌ურვა(ა)ნთ |რუს(უ)დანს შ(ეუნდვ)ნ ღ(მერთმა)ნ“ და 2. „†ნ(ი)კ(ოლო)ზ.“ ეს წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით XIII-XIV სს. მიჯნით თარიღდებიან და შეიძლება 1308 წლის ზემოდასახელებული წარწერის თანადროულადაც მივიჩნიოთ. ამას შეიძლება ისიც ადასტურებდეს, რომ 1308 წლის წარწერაში დასახელებულია, აგრეთვე, იოვანე ჭ‌ურვანის ძე, რომელთანაც, უდავოდ, დაკავშირებულია ტაძრის ჩრდილოეთი კედლის პირველი წარწერის ჭ‌ურვაანთ რუსუდანი.

იხტილას ტაძრის კედლებზე, გარდა დასახელებული წარწერებისა, ჩასმულია ფილები უფრო ადრინდელი წარწერებით. ერთი მათგანია ასომთავრული, რელიეფური წარწერა, შესრულებული ერთ სტრიქონად და მოთავსებული სვეტის თუ ჯვრის ბაზისის წინა პირზე. ბაზისი ჩასმულია ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში, ქვემოდან ქვების მე-5 წყობაში და წარმოადგენს 41X49X31 სმ. ზომის

24 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111: „დიდის წვალებით დუღაბის მცირე ნატეხი გამოვაგდე, ბალავერის ნაწილი თვალმისაწვდომი გახდა და ერთი ასომთავრული „ა“-ნიც შევნიშნე. მოჩანს ჯვარის ძირიც. ბალავერი ჯვრით ყოფილა შემკული, შემდგომმა წვალებამ კიდევ რაღაც ასო დამანახვა (ვერ გავარჩიე)“.

25 იხ. მაგალითად, ყაურმის და ფოკას წარწერები: ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, 95.

26 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

27 წარწერის ტექსტი უმნიშვნელო განსხვავებით გამოცემული აქვთ მ. ბროსეს და ვ. ციხისკარიშვილს (იხ. ვ. ციხისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94).

28 ვ. ციხისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; იხ., აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

კუთხის ქვას.[29] მის ერთ, ამჟამად სამხრეთით მოქცეულ პირზე წარმოდგენილია ბოლნური ჯვარის (ზომა – 29X20სმ.) რელიეფური გამოსახულება, რომელიც ჩასმულია ლილვებით შედგენილ კვადრატულ (40X40 სმ.) ჩარჩოში. წარწერა მოთავსებულია ჯვრის ქვემოთ, ჩარჩოს გარეთ. ბაზისი ადრეფეოდალური ხანის საკულტო-მემორიალურ ძეგლებს განეკუთვნება და მასზე მოთავსებული წარწერა, რომელიც არქაული პალეოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება, როგორც ჩანს, შესაძლებელია X ს-ით დათარიღდეს. წარწერის ტექსტი შედგება ერთი სიტყვისაგან და იგი წარმოადგენს საკუთარ სახელს: **„პეტრე“**. როგორც ჩანს, სვეტი, თავისი ბაზისით, რომელზედაც ეს წარწერაა მოთავსებული, ალმართული იყო ვინმე პეტრეს სახელზე, როგორც ეს არაერთხელ გვხვდება სხვა პირების მიმართ სხვა შემთხვევებშიც და უხვად დასტურდება ადრეფეოდალური ხანის საკულტო-მემორიალური ძეგლებით[30].

იხტილას ტაძრის მეორე წარწერა, რომელიც ტაძრის აგებაზე ადრინდელია და მის კედელში აღმოჩნდა წარწერიანი ფილის მეორედ გამოყენების დროს, მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთი მკლავის სარკმლის ზედაზე. ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია წვრილი, კიდურწერტილოვანი და ღრმად ჩაჭრილი ასოებით, რომლებიც ადგილ-ადგილ ორხაზოვანი ბადიდან „გადმოდიან“ და ნუსხურის შთაბეჭდილებას ტოვებენ. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI–XII სს-საა; მისი ტექსტი ასეთია:

„ქ(რისტე), შ(ეი)წყალე გოგაი და| ჩქარაი[31] და მ|ოწყალე ექნ|ენ(ი) და ადღე|გრძელე“.

წარწერაში წერია „ადღეჰრძელე“, ე. ი. გ-ანის ნაცვლად ამოკვეთილია ჰ-აე. როგორც ჩანს, აქ წარწერის შემსრულებელმა მექანიკური შეცდომა დაუშვა: დაბალი ტანის გ-ანის ქუსლი, ნაცვლად ძირს დაშვებისა, მაღლა ამართა და გ-ანის ნაცვლად გამოვიდა ჰ-აეს მოხაზულობის ასო; თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჰ-აე აქ მეტად გამოკვეთილად და თვალსაჩინოდაა გამოყვანილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰ-აე გ-ანის ნაცვლად სხვაგანაც დასტურდება XI ს-ის წერილობით ძეგლში; ესაა ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ნოველისიმოსის (ე. ი. ბაგრატ IV-ის) და სოფრონ ქველის ძე ერუშნელის ჭედური წარწერა საწინამძღვრე ჯვარზე მოწამეთას ეკლესიიდან. ჯვარი ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. მისი წარწერის დასკვნითი წინადადება ასეთია: **„ქ(რისტ)ე, ჰა(ნ)უს(უ)ენე სულსა მ§(ე)ცის(ს)ა“**[32]. ორივე შემთხვევაში – იხტილას ტაძრისა და მოწამეთის ჯვრის წარწერებში, სადაც გ-ანის ნაცვლად ჰ-აე წერია, როგორც ჩანს, შემსრულებლის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა რომელიმე გრამატიკულ კატეგორიასთან.

---

29 უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის ან სვეტის ბაზისები ბოლნური ჯვრების გამოსახულებით ჩაშენებულია ჯვახეთის თითქმის ყველა ძველი ეკლესიის კედლებში. ეს ბაზისები, თითქმის ყველა ადრეფეოდალური ხანისაა და ჩვეულებრივ V–VII სს. თარიღდებიან.; ხოლო ეკლესიები, რომელთა კედლებშიც ისინია ჩაშენებული, X–XI სს-საა; ე. ი. ეკლესიათა კედლებში მათი ჩაშენების დროს ეს ბაზისები ხელმეორედ გამოიყენეს, ამჯერად საშენ მასალად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეკლესიების ერთი ნაწილი მაინც აშენდა სწორედ იმ ადგილებში, სადაც ეს ქვა-ჯვრები, ან სვეტები იყო ალმართული თავიანთი ბაზისებით და მშენებლობის დროს ეს ბაზისები ჩააშენეს მათ კედლებში. ბაზისები ბოლნური ჯვრის გამოსახულებით ჩაშენებულია კუმურდოს (ორი ბაზისი – ერთი მათგანი ცალკე დგას თავისი სვეტით და მესამეა არეშის სტელა, გადმოტანილი ბოლო დროს), იხტილას, მურჯახეთის (ორი ბაზისი), ჩამდურას და სხვა ეკლესიებში. ერთი ასეთი ბაზისი დგას, აგრეთვე, ს. ხულგუმოს სასაფლაოზე; ხოლო ბაზისები სვეტებით ამჟამადაც დგანან გიორგიწმინდის (ზემო თმოგვიდან თმოგვისკენ მომავალ გზაზე), აგარის ეკლესიებთან და ზედა თმოგვის მიდამოებში. ეს უკანასკნელი ძეგლები გამოცემულია ნ. ჩუბინაშვილის მიერ და ისინი VI–VII ს-ის I ნახ.-ითაა დათარიღებული (Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, с. 108-113, таб. 79-84).

30 საკუთარი სახელი „პეტრე“ ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სინამდვილეში სხვაგანაც გვხვდება. იხ. უკანგორის ბაზისის წარწერა V–VI ს-სა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯვარი აღემართა ვინმე თათვარაზის მიერ „პეტრეს ხუცობასა“ (ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასაწყეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, №4, 1972, გვ. 146, შენ.15).

31 საკუთარი სახელი „ჩქარი“ ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს; ერთ-ერთი უადრესი წერილობითი ძეგლი, რომელშიც იგი დასტურდება, 995 წლის წარწერაა ფიის ეკლესიის საკურთხეველზე (გ. გაფრინდაშვილი, 995 წ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ნასოფლარ ფიაში, სმამ, XVII: 8, 1956, გვ. 763; ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26).

32 M. Brosset, XI rapp., გვ. 46 – მ. ბროსე კითხულობს ᲚᲔᲥᲡᲘᲜᲘ ე. ი. შეცდომის გასწორებით, თუმცა არ აღნიშნავს შეცდომის შესახებ; Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, с. 56. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, фото 299; მ. ნიკოლეიშვილი, ისტორიული მასალები, „მასალები“, III, თბ., 1978, გვ. 76. წარწერის ტექსტის გამოცემებში ნაცვლად „მ§ეცისსა“, წაკითხულია „მ§ეციძესა“.

კუმურდო

1. ტაძრის წარწერების შესწავლის ისტორია

კუმურდოს ტაძრის წარწერები სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 145 წლის წინათ, როდესაც 1847 წლის 13 ნოემბერს ტაძარი და მისი წარწერები ადგილზე შეისწავლა მარი ბროსემ (*Brosset*, II, rapp. pp. 166-172)[1]. საქართველოსა და სომხეთში მ. ბროსეს მიერ განხორციელებული არქეოლოგიური მოგზაურობის ანგარიშების მეორე წიგნში, რომელიც 1850 წ. გამოიცა, დაბეჭდილია კუმურდოს ტაძრის 13 წარწერა ტექსტების გაშიფრვით (ასომთავრულ ტექსტში მხედრული ასოების შერევით), მათი თარგმანით ფრანგულ ენაზე და მოკლე კომენტარებით. უკვე ამ პირველსავე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ტაძრის ყველა ძირითადი და უმთავრესი წარწერა; ესენია წინამდებარე გამოცემის 98-102, 109-115 და 118 წარწერები. წარწერების დათარიღება, სადაც ამის საშუალება ტექსტში თარიღის აღნიშვნის, ან წარწერის შინაარსობრივი მონაცემების მიხედვით, მ. ბროსეს მიერ სწორად არის მოცემული და ტაძრის საამშენებლო წარწერა (№98) დათარიღებულია 964 წლით, ხოლო ტაძრის მშენებლობის შემდგომი ეტაპის – მისი დასავლეთ მინაშენის („შტოის") საამშენებლო წარწერა (№114) ბაგრატ IV-ის დროით (1027-1072). ამაზე მეტად ამ უკანასკნელი წარწერის დავიწროებას ჩვენ ამჟამადაც ვერ ვახერხებთ (იხ. №114-ის აღწერა). წარწერათა ტექსტებიც ძირითადად სწორად არის წაკითხული და გაშიფრული; არსებითი ხასიათის კითხვასხვაობები არც დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ №101 წარწერაში ერისთავის სახელს ვაჩეს მ. ბროსე კითხულობს, როგორც ვანეს (სხვა კითხვასხვაობები აღნიშნულია თითოეულ წარწერასთან).

კუმურდოს წარწერების ეს პირველი პუბლიკაცია საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მან შემოგვინახა ტაძრის ამჟამად არარსებული ერთი წარწერის (№102) ტექსტი, რომელიც, როგორც ჩანს, ტაძრის წარწერების თავდაპირველ, უძველეს ფენას განეკუთვნება და ტექსტის მონაცემებით, XI ს-ის I ნახევრისა, ან შეიძლება 964 წლისაც იყოს.

სამწუხაროდ, მ. ბროსესთან ვერ ვხედავთ ამბა პავლე მანგლელის სააღაპე წარწერის (№118) პუბლიკაციას. იგი ამოკვეთილი იყო ტაძრის სამხრეთ შესასვლელის მარცხენა ანაყოლის ზედა ბოლო ფილაზე, ტიმპანის ფილის ქვემოთ (იხ. ტაბ. 78, 79). პირველად იგი გამოსცა ე. თაყაიშვილმა 1909 წელს. წარწერა მაშინაც იმდენად დაზიანებული და ნაკლული ყოფილა, რომ ე. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციაში ტექსტის მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტებია წარმოდგენილი. ნ. ბერძენიშვილმა წარწერა ადგილზე შეისწავლა 1933 წელს, ხოლო მისი ბოლო გამოცემა განახორციელა 1964 წელს. ნ. ბერძენიშვილს თავის ანგარიშში წარწერის ცალკეული ნაწყვეტები მოჰყავს და აღნიშნავს, რომ „წარწერის არსებითად აღდგენა არ ხერხდება" (*ბერძენიშვილი*, 1933/1964, გვ. 134). ასევე უმნიშვნელო ნაწყვეტები

---

1 მ. ბროსეს მიერ ტაძრის ადგილზე შესწავლამდე ცოტა ხნით ადრე, 1830 წელს, ამ ძველ ქართულ ისტორიულ ნასოფლარში, ტაძართან ახლოს და მის გარშემო დასახლდა და დამკვიდრდა ანატოლიიდან გადმოსახლებულ სომეხთა ერთი ნაკადი. მათ ტაძარში სომხური ეკლესიაც გახსნეს. ამ წელს თურქეთიდან, ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან სამხრეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში – ჯავახეთსა და სამცხეში, 1400 სომხური ოჯახის გადმოსახლებისა და ქართულ ნასოფლარებში დამკვიდრების შესახებ, გარდა საარქივო მასალებისა, შემონახულია ერთი საინტერესო სომხური წარწერაც. იგი ამოკვეთილია ტყვიის დაფაზე და მოგვითხრობს 1830 წელს არზრუმიდან ქ. ახალციხესა და მის მიდამოებში, ეპისკოპოს კარაპეტის წინამძღოლობით, 6000 სომხური ოჯახის გადმოსახლების შესახებ. წარწერის თანახმად, 1830 წელს ქ. ახალციხეში მათ მაცხოვრის სახელზე ეკლესიაც აუშენებიათ და მის საძირკველში, შთამომავლობისათვის სახსოვრად, ამ ამბების მომთხრობი ეს წარწერიანი დაფაც ჩაუტანებიათ. 1948 წელს ქ. ახალციხის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციასთან და კულტურის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ეკლესია აიღეს და მის საძირკველში მუშებმა იპოვეს აღნიშნული დაფა, რომელიც გადასცეს ახალციხის ისტორიულ მუზეუმს, სადაც ინახება ამჟამად (წარწერის ტექსტი და მისი ფოტოპუბლიკაცია იხ. *ნ. სუდაძე*, 1836 წლის ტყვიის დაფა ახალციხიდან, *ძმ*, 1986, №2, გვ. 70-71, 76, 79).

რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX ს-ის 20-იან-30-იან წლებში თურქეთიდან საქართველოში (ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში) სომხების (95 ათასი სული) გადმოსახლების შესახებ, დაწვრილებით და სათანადო დოკუმენტური წყაროების მოხმობით, იხ. *შ. ლომსაძე*, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 345-362.

და ტექსტის ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვებია წარმოდგენილი სხვა გამოცემებშიც.

შესაძლებელია მ. ბროსეს მიერ კუმურდოს ტაძრის წარწერების შესწავლის დროს ეს წარწერა უკეთ იყო დაცული და მისი პუბლიკაცია ამჟამადაც საეჭვო მიჩნეული ზოგიერთი ნაკითხვის საბოლოო დაზუსტებაში დახმარებას გასწევდა. მეორე მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ უკვე მ. ბროსეს დროსაც ამბა პავლე მანგლელის წარწერა იმდენად იყო დაზიანებული, რომ დარჩენილი ფრაგმენტებიდან აზრის გამოტანა არ მოხერხდა და მკვლევარმა იგი არ ჩართო კუმურდოს ტაძრის წარწერების მის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში.

ერთხანს ფილა ამბა პავლე მანგლელის სააღაპე წარწერით საერთოდ დაკარგული იყო. იგი კვლავ აღმოჩნდა 1980 წელს (დაწვრილებით იხ. №118-ის აღწერილობა).

კუმურდოს ტაძრის წარწერების მ. ბროსესეულმა გამოცემამ გარკვეული როლი შეასრულა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გახდა დასაყრდენი ამ წარწერების სხვა, მომდევნო პუბლიკაციებისათვის, კერძოდ, XIX ს-ის II ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში (მაგ., იხ. *ალბაზიშვილი*, 1877; და სხვ.), უფრო მეტიც, საგაზეთო წერილების გარდა, იმ დროის სპეციალურ ლიტერატურაშიც (მაგ., თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“) კუმურდოს წარწერები წარმოდგენილია მ. ბროსესეული პუბლიკაციის მიხედვით.

1850 წელს აკად. მ ბროსემ თბილისში გამომავალ გაზეთ «Кавказ»-ში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ვრცელი წერილი «Инстукция, с маршрутом, для археологического путешествия г. Димитрия Мегвинетухуцесова» (*Броссе*, 1850). წერილი წარმოადგენს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრების პირველ მეცნიერულ პროგრამას და იგი ამ თვალსაზრისით ცალკე მსჯელობის საგანია, რომლის გამართვის ადგილი, ცხადია, აქ არ არის. მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ინსტრუქცია-პროგრამა სახელმძღვანელოს, არა მარტო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, არამედ, საერთოდ, ქართული სიძველეების შესწავლისათვის.

ერთ-ერთი ასეთი ენთუზიასტი-მკვლევარი იყო საქართველოში რუსეთის ხელისუფლების მოხელე *ვასილ პერევალენკო*, რომელსაც, მ. ბროსეს მიერ შედგენილი ინსტრუქციის შესაბამისად (ამის შესახებ თვითონვე აღნიშნავს), 1850 წლის 5 ნოემბერს ადგილზე შეუსწავლია კუმურდოს ტაძარი და მისი წარწერები. ვ. პერევალენკოს იმ ხანად ახალქალაქში უმსახურია და სწორედ ამიტომ დაინტერესებულა იგი კუმურდოს წარწერებით; რაც განსაკუთრებით არსებითია, ეს წარწერები მას შეუსწავლია მანამ, სანამ ისინი პირველად იქნებოდა გამოქვეყნებული მ. ბროსეს მიერ მის ცნობილ «Rapports»-ში.

ვ. პერევალენკოს რამდენიმე პირის თანხლებით მოწყობილი არქეოლოგიური ექსკურსიის დროს აღურიცხავს ტაძარზე არსებული 14 წარწერა (იგი ზოგიერთი მათგანის ტოპოგრაფიასაც აღნიშნავს), ტაძრის გალავანში მოქცეული ერთ-ერთი კელიის ზემოთ ჩასმული წარწერა და ტაძრის ეზოშივე მდებარე საფლავის ეპიტაფია – სულ 16 ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელთა ასლები, მისივე ცნობით, მას მ. ბროსესათვის გაუგზავნია.

ვ. პერევალენკოს გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ ცნობები ამ წარწერების შესახებ მათი ტექსტების გარეშე. იგი არსად არ აღნიშნავს, რომ ეს წარწერები ქართულია (დამახასიათებელი ტენდენცია ამ მხარეში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისა). მისთვის უცნობია, როგორც ტაძრის აშენების დრო (თუმცა, ძალიან ძველიაო, აღნიშნავს), ისე სოფლის სწორი სახელწოდება – იგი მას Хумурду-ს უწოდებს (*Перевваленко*, 1850).[2]

---

2 ნიშანდობლივია, რომ სოფლის სახელწოდების დამახინჯება ამ მხარეში რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX ს-ში სომხების გადმოსახლება-დამკვიდრების დროიდან დაიწყო. მანამდე, X ს-დან დაწყებული XVIII ს-ის ჩათვლით, წერილობით ძეგლებში დოკუმენტურად დასტურდება ამ სოფლის ერთადერთი სწორი დასახელება *კუმურდო* და არა *ხუმურდო*, *ყუმურდო*, *გუმბურდო*, *გიმბირდო* და სხვა მისთანანი, რომლებმაც XIX ს-დან მოიკიდეს ფეხი და აქა-იქ ჩვენს დროშიც გვხვდება.

სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის ძველი ქართული ისტორიული ტოპონიმების წინასწარგანწირული და ხელოვნური დამახინჯება და მათი არმენიზებული ფორმით გადმოცემა დღესაც გრძელდება. მაგ., „ახალციხე“, რომლის მართლწერა არავითარ ეჭვს არ იწვევს, სემანტიკა აბსოლუტურად გამჭვირვალეა და წერილობით წყაროებში დოკუმენტურად დასტურდება სულ ცოტა XII საუკუნიდან მაინც, 1991 წელს ერევანში 100.000-იანი ტირაჟით რუსულ ენაზე გამოცემულ ენციკლოპედიაში «Армянский вопрос» შეტანილია «*Ахалцих*, Ахцхе, Ахалцихе» ფორმით.

XIX ს-ის II ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები ქართული სიძველეების და მათ შორის ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. ზოგჯერ ეს წერილები შეიცავს ამ ძეგლებზე არსებული ქართული წარწერების პუბლიკაციებსაც. ხშირად ამ პუბლიკაციებში წარმოდგენილია წერილების ავტორების მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული მასალა, მათ მიერ ადგილზე შესწავლილი ტექსტები. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ორი პუბლიკაცია: *ივ. გვარამაძისა* (1882) და ვარძიის მონასტრის მაშინდელი წინამძღვრის მღვდელ-მონაზონ *კალისტრატესი* (1891წ.).

XIX ს-ის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) ვრცელი წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „დროების" ორ ნომერში (№150, 151. 20, 22. VII. 1882). კუმურდოს ეპიგრაფიკული მასალა წარმოდგენილია პირველ წერილში. აქ გამოცემულია ტაძრის 13 წარწერა – იოვანე ეპიკოპოსის მემორიალური წარწერით (№100) დაწყებული და პატრონ ელისბალის წარწერით დამთავრებული (№120).მართალია, პუბლიკაცია მდარე ხარისხისაა, ტესქტები შეცდომებითაა გამოქვეყნებული (მაგ., ავტორს საამშენებლო წარწერის თარიღიც კი არ აქვს სწორად წაკითხული და გადმოცემული, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მ. ბროსესეულ პუბლიკაციაში ეს საკითხი გამორკვეული იყო) და ზოგი მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო წარწერა გამოტოვებულია (მაგ., ვაჩე ერისთავის სააღაპე წარწერა – №101), მაგრამ, როგორც აღინიშნა, მასალა ავტორის დამოუკიდებელი მუშაობის შედეგადაა მოპოვებული და სწორედ ამითაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი.

სამწუხაროდ, არც ამ პუბლიკაციაშია წარმოდგენილი ამბა პავლე მანგლელის წარწერა. მხოლოდ ცნობაა მის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ იგი XIX საუკუნის II ნახევარში უკვე დიდად დაზიანებული ყოფილა: „ერთი წარწერა იყო სამხრის კარის დასავლის ამყოლზედა და თავი მეტად წახოცი იყო და არ ავსწერე", – წერს ი. გვარამაძე მის შესახებ (*გვარამაძე*, 1882).

მღვდელ-მონაზონმა კალისტრატემ 1891 წელს გაზეთ „ივერიაში" (239) დაბეჭდა წერილი – „საისტორიო მასალა (II ნაწილი)", რომელიც კუმურდოს ტაძრის ორი წარწერის პუბლიკაციას შეიცავს. ერთია 964 წლის ტაძრის თავდაპირველი საამშენებლო წარწერა (№98), მეორეა X საუკუნის II ნახევრის გურანდუხტის რელიეფური გამოსახულების წარწერა (№105). წერილი საყურადღებოა სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც წარმოადგენს გიორგი II აფხაზთა მეფის ასულის, გურგენ აფხაზთა მეფის მეუღლის, ლეონ აფხაზთა მეფის დისა და ბაგრატ III-ის (975/978-1014) დედის დედოფალ გურანდუხტის გამოსახულების თანმხლებ წარწერას, პირველად აქ არის გამოცემული.

კუმურდოს ტაძრის 18 წარწერის პუბლიკაცია წარმოდგენილია *ივ. როსტომაშვილის* ნაშრომში „Ахалкалакский уезд в археологическом отношении" (СМОМПК, XXV, 1898). კუმურდოს ტაძრისა და მისი წარწერების შესახებ მან საგანგებო წერილიც კი დაბეჭდა ჟურნალ „მოგზაურში" (№2, 1901). წარწერათა ასომთავრული ტექსტები ივ. როსტომაშვილმა გამოსცა არაზუსტად გადმოხატული ასოების მეშვეობით, მხედრული ტრანსკრიფციით და რუსული თარგმანით. აქ, კუმურდოს წარწერები, იმ დროს არსებულ გამოცემებთან შედარებით, უკეთესად არის გამოცემული, ხშირად წაკითხვებით უფრო სწორია და ზუსტი. ეს გამოცემა ყურადღებას იქცევს იმით, რომ პირველად არის წარმოდგენილი ტაძრის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადების ნიშებში ჩასმული ადამიანთა რელიეფური თავების – სიმბოლური გამოსახულებების, თანმხლები წარწერების ერთი ნაწილი, კერძოდ 2 წარწერა (სულ იქ არის 4 გამოსახულება და 4 წარწერა – №106-110) – ადამისა და ცის გამოსახულებებისა (იხ. №106 და №108); ოღონდ, ცის სიმბოლური გამოსახულების წარწერას („ცაჲ") ავტორი შეცდომით კითხულობს, როგორც Ⴑა და შენიშნავს: «Не означают ли они Альфу и Омегу?» (СМОМПК, с. 92). გარდა ამისა, როგორც თავის დროზე ე. თაყაიშვილმაც აღნიშნა (СМОМПК, XXV, с. 92, прим. 1), მირდატისა და გოლიათის სააღაპე წარწერა (№112) ივ. როსტომაშვილთან გამოტოვებულია.

კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკის შესწავლის ახალი ეტაპი დაკავშირებულია *ე. თაყაიშვილის* სახელთან. 1902 წელს ჯავახეთში, ყარსის ოლქსა და არდაგანში მოწყობილი საგანგებო ექსპედიციისას შეკრებილი მასალები მან ცალკე გამოსცა МАК-ის XII ტომის სახით. ამ ტომში საკმაოდ მოზრდილი ადგილი აქვს დათმობილი კუმურდოს ტაძარს და, ძირითადად, მის წარწერებს. ტაძრის დაწერილებით აღწერასთან ერთად, აქ გამოცემულია მისი წარწერები კარგი ხარისხის ფოტოსუ-

რათების დართვით. ასომთავრული წარწერების ტექსტები (კუმურდოში მხოლოდ ასომთავრული წარწერებია) გამოცემულია ნუსხა-ხუცური შრიფტით (ავტორის შენიშვნით, ამის მიზეზია სტამბის პირობები), მხედრული ტრანსკრიფციით და გაშიფრვის გარეშე. ორიოდე უზუსტობასაც თუ არ მივიღებთ მხედველობაში (მარიამ დედოფლისა და ბაგრატ IV-ის ამოკვეთით შესრულებული წარწერა „შტოის" სამხრეთ კედელზე – №114, შეცდომით, რელიეფურ წარწერად არის დასახელებული და XI ს-ის წარწერა – №115, შეცდომით, XVI ს-ის დამდეგით არის დათარიღებული (ამის მიზეზია ის, რომ №114 წარწერასა და №120-ში დასახელებული ორი სხვადასხვა ზოსიმე კუმურდოელი ერთ პირად არის მიჩნეული), კუმურდოს ეს პუბლიკაცია, უდავოდ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცემას წარმოადგენს. სხვა თუ არა, ჩვენ მხოლოდ ამ გამოცემაში დაბეჭდილი ფოტოსურათის მიხედვით გვაქვს შესაძლებლობა რამდენადმე სრული სახით აღვადგინოთ ამბა პავლე მანგლელის სააღაპე წარწერა (№118) ტაძრის სამხრეთ კედელზე.

ამავე დროს, ე. თაყაიშვილს დაუცავს ცნობა კუმურდოს ტაძრის კიდევ ერთი წარწერის შესახებ, რომლის ტექსტი, სამწუხაროდ, მას არ მოჰყავს; იგი წერს: «Камень с надписью хуцури виден еще из окна внутри восточной стены армянской церкви (იგულისხმება კუმურდოს ტაძრის დასავლეთი მინაშენი – „შტოი", რომელიც XIX ს-ში აქ ჩამოსახლებულმა სომხებმა გადააკეთეს და გამოიყენეს ეკლესიად – ვ. ს.), но до него невозможно добраться» (*Такайшвили*, с. 1909, 43). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ის წარწერა, რომელიც 1980 წელს აღმოჩნდა ტაძრის დასავლეთ კედლის ნაშალ ქვებში (იხ. №116-ის აღწერილობა).

ამასთანავე, კუმურდოს ტაძრის წარწერების ე. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციას დართული აქვს გამომცემლის კომენტარები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ე. თაყაიშვილისეული პუბლიკაციიდან მხოლოდ 50 წლის შემდეგ, 1959 წელს განხორციელდა კუმურდოს წარწერების ხელახალი გამოცემა, რომელიც მოამზადა *ვ. ცისკარიშვილმა*. მას ეს წარწერები, ჯავახეთის სხვა წარწერებთან ერთად, აინტერესებდა როგორც საისტორიო წყარო, მისი მიზანი არ იყო ტაძრის ყველა წარწერის ერთად თავმოყრა და გამოცემა; წიგნშიც კუმურდოს ტაძრის 14 წარწერაა შერჩევით წარმოდგენილი. წარწერები აქ გამოცემულია ასომთავრული შრიფტით, მხედრული ტრანსკრიფციით და 3 წარწერის (№100, 115, 120) ფოტოსურათით. ამ გამოცემაში განსაკუთრებით ფასეულია ის შენიშვნები, რომლებიც ზოგიერთ წარწერას აქვს დართული. ამ შენიშვნებში ადრინდელი მკვლევრების ცალკეული მოსაზრებების გადასინჯვასთან ერთად, რამდენიმე ახალი თვალსაზრისიც არის წარმოდგენილი და დასაბუთებული (*ცისკარიშვილი*, 1959, გვ. 10-15, ტაბ. 1-3).

1933 წლის ივლის-აგვისტოში ჯავახეთის სიძველეები, და მათ შორის წარწერები, *ნ. ბერძენიშვილმა* ადგილებზევე შეისწავლა „ქართული წარწერების კორპუსისათვის" მასალების შეკრების მიზნით (*ბერძენიშვილი*, 1933/1964, გვ. 45-46). 1964 წელს გამოქვეყნდა მისი მოგზაურობის დღიური – ანგარიში, რომელშიც, სხვა მასალებთან ერთად, გამოქვეყნებულია კუმურდოს ტაძრის 15 წარწერა ტექსტების მხედრული ტრანსლიტერაციით და მათი მხედრული ტრანსკრიფცია-გაშიფრვით. როგორც *ნ. ბერძენიშვილი* აღნიშნავს, წარწერების ფოტოსურათები მას ვერ გადაუღია (*იქვე*, გვ. 131). წარწერათა ტექსტებს ბოლოში დართული აქვს მოკლე საერთო შენიშვნები, რომლებიც შეიცავენ პალეოგრაფიულ და საისტორიო წყაროთმცოდნეობით დაკვირვებებს: რელიეფური და ამოკვეთით შესრულებული წარწერების გავრცელების ქრონოლოგიის, კუმურდოს, როგორც საეპარქიო ცენტრის ჩამოყალიბების სავარაუდო დროისა და მიზეზების, მარიამ დედოფლისა და ბაგრატ IV-ის (ორთავეს) მეფობით მოხსენიების გარემოებათა (თუმცა, წარწერის ტექსტის ასე გაგება არ არის აუცილებელი – „მეფობასა მათსა" მიემართება სწორედ მეფე ბაგრატ IV-ეს და არა ორივეს – მას და დედამისს, მარიამ დედოფალს) შესახებ და სხვ.

1980 წელს „ქართული წარწერების კორპუსის" I ტომში გამოქვეყნდა ტაძრის უძველესი წარწერების ჯგუფიდან ოთხი (№1, 2, 3, 4) და არეშის ქვასვეტის ბაზისის წარწერები (№24, 25, 26). ტაძრის წარწერებიდან აქ გამოცემულია საამშენებლო (№98), იოვანე ეპისკოპოსის მემორიალური (№100), მაშენებელთა კვერექსი და გიორგის წარწერა (№99) და ვაჩე ერისთავის სააღაპე წარწერები (№101).

ყველამ ამ გამოცემაში და მათ შორის „კორპუსის" I ტომშიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი ტაძრის საამშენებლო წარწერის ის ადგილი, რომელშიც იხსენიება ზუია, თუ ზვა ერისთავი

და, როგორც ჩანს, მისი დამსახურება ტაძრის მშენებლობის საქმეში – წინა გამოცემის შემდეგი ნაწყვეტი: „ერისთავობასა ზუიაისასა; ესე ბალაჰვარი მან დადვა“.

XIX ს-ის და, აგრეთვე, შედარებით სხვა მდარე გამოცემებს (რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს იმეორებენ) არ შევეხები და დავიწყებ წარწერის ტექსტის ნაწყვეტის ნ. მარისეული პუბლიკაციით (1922). *ნ. მარი* საგანგებოდ შეეხო წარწერის ამ ადგილს ერთი ხუროთმოძღვრული ტერმინის („ბალავარი“) მნიშვნელობის გარკვევასთან დაკავშირებით (*Марр*, 1922, с. 290-298).

ნ. მარის მიხედვით, ერისთავის სახელი წარწერის ტექსტში დაქარაგმებით არის გადმოცემული და იგი უსათუოდ უნდა გაიხსნას, როგორც „ზჳიადისასა“, ხოლო მისი მომდევნო ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ: „ესე ბალავარი მაშინ დაიდვა“. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით (1933/1964) ერისთავის სახელი უნდა წავიკითხოთ, როგორც „ზჳასსა“, ხოლო მომდევნო ტექსტი – „ესე ბალავარი მან დაიდვა“. ვ. ცისკარიშვილის (1959) მიხედვით ერისთავის სახელი უნდა გაიხსნას, როგორც „ზჳაჲსასა“, ხოლო „კორპუსის“ გამოცემის, ანუ ნ. შოშიაშვილის მიხედვით (1980) – „ზუია(ჲ)ს(ა)სა“, ხოლო მომდევნო ტექსტი ამ ორივე უკანასკნელ გამოცემაში ერთნაირად არის წარმოდგენილი – „ესე ბალავარი მუნ დაიდვა“.

წარწერის ტექსტის ამ ადგილის ასეთი განსხვავებული წაკითხვების და ამის მიხედვით განსხვავებული ინტერპრეტაციების ერთ-ერთი მიზეზია, როგორც ჩანს, ისიც, რომ წარწერა შესრულებულია შეცდომით, თანაც, არა ერთი, არამედ – ორით. პირველი დაშვებული ერისთავის სახელის მართლწერაში და მეორე – ერისთავის მიერ ეკლესიის მშენებლობის დროს გაწეული დამსახურების აღმნიშვნელი სიტყვის გადმოცემაში, აქ ნაცვლად ერთისა მეორე ასოს გამოქანდაკებაში.

ამ წარწერის შემსრულებლისათვის შეცდომების დაშვება უცხო არ ყოფილა. მაშენებელთა კვერექსსა და გიორგის წარწერაში (№78), რომელიც იმავე ტიმპანის ფილის მარჯვენა მხარესაა №98 წარწერის გაგრძელება-დასასრულის სიმეტრიულად მოთავსებული და რომელიც უეჭველად საამშენებლო წარწერის შემსრულებელს ეკუთვნის, მას წარწერის შესრულების პროცესში შეცდომა დაუშვია მე-5 და მე-6 სტრიქონებში; შეცდომით გამოყვანილი რელიეფური ასოები გადაუფხეკია და საჭირო ასო გადაფხეკილი ადგილის უშუალო გაგრძელებაზე გამოუყვანია. ამიტომაა, რომ აქ ერთი სიტყვის ასოები [ყ(ოველ)||ნი] ასე შორი-შორსაა გამოყვანილი, მაშინ, როდესაც, მთელ ტექსტში ასოები და სიტყვები მიჯრით და განკვეთილობის ნიშნების გარეშეა წარმოდგენილი[3].

შეცდომები, რომლებიც წარწერის შემსრულებელს საამშენებლო წარწერის (№98) ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში დაუშვია, შემდეგია: ერისთავის სახელი, „ზჳას“ წავიკითხავთ აქ თუ „ზჳადს“, ჯ-ს შემდეგი ი-ს გარეშე უნდა ყოფილიყო გადმოცემული, როგორც ეს ქართული მართლწერის ნორმებით იყო მიღებული (*შანიძე*, 1976, გვ. გვ. 13-14, 18-19, 20-22). თუ დავუშვებთ, რომ ერისთავის სახელი იყო „ზუია“, როგორც ეს წარწერის ტექსტის „კორპუსის“ გამოცემაშია, და ჯ-ეთი წარწერის შემსრულებელმა გადმოსცა უ, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ასოთი (Ⴓძ) დაბოლოებული სიტყვების შუაკეცილობითი დაქარაგმებით გადმოცემის შემთხვევაში [მაგ. ი˜ჯ ← ი(ესო)ჯ], მაშინ ეს შეცდომად არ ჩაითვლება და ტექსტის ეს ადგილი მართლწერის ნორმებითაც გამართულია.

წარწერის ყველა გამომცემელი მასში დასახელებულ ერისთავს აიგივებს X-XI სს. მოღვაწე ზვიად ერისთავთან, მაგრამ ტექსტის გამოცემისას არც ერთი არ აღადგენს სახელში დ-ს (გარდა ნ. მარისა). X-XI სს. წყაროებში მოხსენიებული ზვიად ერისთავის შესახებ ცნობებს თავი მოუყარა ვ. ცისკარიშვილმა. მისი დასკვნით, ამ დროისათვის ორი ერისთავია ამ სახელის მატარებელი – ერთია თრიალეთის ერისთავი და მეორეა ზვიად მარუშიანი, რომელიც აფხაზთა მეფის მოხელედ

3 მსგავს მოვლენებთან გვაქვს საქმე 493 წლის ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაში, რომელიც, ისევე, როგორც კუმურდოს ტაძრის აქ განხილული ორივე წარწერა, რელიეფურია. ბოლნისის სიონის წარწერის შემსრულებელს შეცდომით გამოქანდაკებული, ან შესაძლოა წარწერის ტექსტის გამოყვანის დროს უნებლიეთ მის მიერვე დაზიანებული ასო გადაუთლია და საჭირო ასოს გამოყვანა მის გაგრძელებაზე დაუწყია. ამის გამო, ამ წარწერაშიც ერთი და იმავე სიტყვის ასოები ზოგჯერ მიჯრით, ხოლო ზოგჯერ ძალზე დაშორებითაა გამოქანდაკებული (დაწვრილებით იხ. *სილოგავა*, 1970, გვ. 87-88, 91; შდრ. *მუსხელიშვილი*, 1941, გვ. 14, შენ. 1). ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაში ეს მით უფრო შესამჩნევია, რადგან აქ დაქარაგმებული სიტყვები (გარდა ერთისა – „ღ˜ნ“ – „ღმერთმან“, ორ ადგილას) არ გვხვდება.

ჩანს ჯავახეთში და იხსენიება კუმურდოს წარწერაში (*ცისკარიშვილი*, 1959, გვ. 12-14)[4].

შემთხვევით არ უნდა იყოს, ერთი მხრივ, კუმურდოს წარწერაში ერისთავის სახელის გადმოცემისას დ-ონის გამოტოვება და, მეორე მხრივ, ტექსტის გამომცემელთა მიერ მისი სახელის გახსნა დ-ონის გარეშე. მართალია, ნ. მარი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ „ზჳიასსა" უნდა გაიხსნას როგორც „ზჳიადისასა", მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი მაინც სხვადასხვა სახელებად, უფრო ზუსტად სხვადასხვა პირის აღმნიშვნელ ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ფორმებად უნდა მივიჩნიოთ[5]. კუმურდოს წარწერის ზუია ერისთავი და X-XI სს. წერილობით წყაროებში დასახელებული სავარაუდოდ კიდევ სხვა ორი ზვიად ერისთავი სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ.

წარწერის შემსრულებლის მეორე შეცდომაა ეკლესიის მშენებლობაში ერისთავის მიერ გაწეული სამსახურის გამოცემა სიტყვით „დიდვა", ნაცვლად სიტყვისა – „დადვა". გამომცემელთა მიერ ამ სიტყვის განსხვავებულმა წაკითხვებმა განაპირობა მის წინ წარმოდგენილი „მ~ნ"-ის განსხვავებული გახსნა: „მაშინ" ნ. მარის მიხედვით, „მან" – ნ. ბერძენიშვილისა და სხვა გამომცემელთა უმრავლესობის, „მუნ" – ვ. ცისკარიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიხედვით.

ამ სიტყვის ასეთი განსხვავებული წაკითხვებიდან ვღებულობთ ტექსტის ამ ადგილის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს: ნ. მარის მიხედვით – „ესე ბალავარი მაშინ დაიდვა", ნ. ბერძენიშვილის მიხედვით – „ესე ბალავარი მან დაიდვა", ხოლო ვ. ცისკარიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიხედვით – „ესე ბალავარი მუნ დაიდვა".

წარწერის ტექსტის ამ ადგილის ნ. მარისეული წაკითხვიდან გამოდის, რომ ტექსტის წინა ნაწილში აღნიშნული თარიღი ბალავრის ქვის დადების თარიღს გადმოსცემს, რაც, ცხადია, სწორი არ არის, რადგან წინ არსებულ ტექსტში აღნიშნულია დავით ეპისკოპოსის მიერ ეკლესიის საძირკვლის დადების თარიღი, რაც, ცხადია, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი იყო და სავსებით იმსახურებდა კიდეც საგანგებო მინიშნებას, ვიდრე ზუია ერისთავის მიერ ეკლესიისათვის ბალავრის ქვის „დადების" ანუ შეწირვის (ამის შესახებ ქვემოთ) თარიღის აღნიშვნა.

ბუნდოვანია ვ. ცისკარიშვილისა და ნ. შოშიაშვილის წაკითხვით მიღებული ტექსტი – „ესე ბალავარი მუნ დაიდვა". რას ნიშნავს „მუნ", ანუ „იქ". სად იქ? ტაძრის შესასვლელის გარდა კიდევ სადმე სხვაგან?

სხვებზე მეტად გამართულია, მაგრამ მაინც არ არის ბოლომდე ნათელი ამ ადგილის ნ. ბერძენიშვილის მიერ წარმოდგენილი წაკითხვა – „ესე სახელზე დადვა, თავის მოსახსენებლად დაიდვა". აქ, ისევე, როგორც ვ. ცისკარიშვილისა და ნ. შოშიაშვილის წაკითხვებში, „დაიდვა" ფორმა შეწყნარებულია, დასაშვებად მიჩნეულია, ამ სიტყვაში შეცდომით გამოყვანილი *ი*-ს ერ შეელევის გამო. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სიტყვაში *ი*-ს შეცდომით გამოყვანა უნდა ვალიაროთ, სიტყვა წავიკითხოთ როგორც „დადვა" და არა როგორც „დიდვა", ან „დაიდვა", სხვაგვარად ტექსტის ბოლომდე გამართულ წაკითხვას ვერ მივიღებთ. ხოლო წაკითხვით „ესე ბალავარი მან დადვა" ტექსტი თავიდან ბოლომდე გამართულია. მით უმეტეს, ყველა სხვა შემთხვევაში წარწერების ტექსტებში აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ პირმა ბალავარი, ან ქვა დადვა და არა დაიდვა.[6]

---

4 ნ. შოშიაშვილი, როგორც ჩანს, სავსებით სწორად, თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ „მარუშიანთა საგვარეულო არ არსებობდა, მარუშიანი სახელია, რომელიც გვხვდება *ვარდანისძეთა, აფაქისძეთა, გარეგანისძეთა, ნიორისისძეთა, ფოლქოზისძეთა* და სხვა საგვარეულოებში... გვარად მარუშიანი არ არსებებს" (*შოშიაშვილი*, 1966, გვ. 58, შენ. 39). მოუხედავად ამისა, 1980 წელს გამოცემულ ნაშრომში კუმურდოს საამშენებლო წარწერის ზვიადს იგი უნოდებს „მარუშიანთა სახლის წარმომადგენელს" (ქნკ, I, გვ. 38), თუმცა, მარუში და მარუშიანი, წერილობით წყაროებში, მართლაც, მხოლოდ სახელის აღმნიშვნელად გვხვდება. ამიტომ, კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერის ზუიას, თუ ზვიადის მარუშიანობა უსაფუძვლო ჩანს.

5 აკად. ნ. მარის მოსაზრებით, «*Имя это есть грузинизованное в местной диалектической среде арабское Ziad, с таким же перерождением i в wi, какое наблюдаем в гур[ийском] mašwin тогда сравнительно с литературным mašin*» (*Марр*, 1922, с. 294, примеч. 4).

6 იხ. მაგ., „ესე ქვაი სხუისა დადვა" – დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა-გრაფიტი 914 წლის ახლო დროისა (ქნკ, I, გვ. 178, №82. „სხუისა" მიჩნეულია ხელოსნის სახელად); „ესე ბალაჰვარი მე, ტბელმან პატრიკმან, ძემან ქავთარისამან დავდევ" – X ს-ის შუა ხანების წარწერა ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიაზე (ქნკ, I, გვ. 180, №83); „ესე ბალაჰვარი დავდევ სანდამირმან" – X ს-ის წარწერა იმავე ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიაზე (ქნკ, I, გვ. 184, №92). ე. ი. ორივე შემთხვევაში „დავდევ" და არა „დავიდევ". ასევეა „საძირკვლის" დადების აღნიშვნის

მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ წარწერის ამ ადგილის სწორი წაკითხვისა და ინტერპრეტაციისათვის საჭიროა მთელი ტექსტის ერთიანად გააზრება, და მასში გადმოცემული ამბის ასე წარმოდგენა. რა არის ტექსტში აღნიშნული? მასში გადმოცემულია ორი პირის გადმოცემა: იოვანე ეპისკოპოსის მიერ ეკლესიის საძირკვლის დადება და ზუია ერისთავის მიერ ბალავარის დადება.

ზუია ერისთავის მიერ ბალავარის დადება ნიშნავს მის მიერ ამ საბალავრე ქვის – ნაგებობის ერთ-ერთი მთავარი ხუროთმოძღვრული დეტალის, დიდი ზომის ქვის ფილის მოპოვებისა და მისი მხატვრული შემკობისათვის (კუმურდოს ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანი მთლიანად დაფარულია ხალიჩისებური, მეტად ორიგინალური გრეხილი ორნამენტით, რომელსაც პარალელი სხვაგან არ ეძებნება) ხარჯების გაღებას: ამით ამ ქვაზე ამოკვეთილ, თუ მოთავსებულ საამშენებლო წარწერის ტექსტში მოხსენიების უფლების მოპოვებას. ეს უფლება მას, როგორც ადგილობრივ ხელისუფალს, შეიძლება ისედაც ჰქონდა, როგორც იგი ჰქონდა უმაღლეს ხელისუფალს, მეფეს, რომელიც დიდებით იხსენიება კიდეც წარწერის ტექსტში, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი დამსახურება მის მიერ გაწეული სამსახურით, ბალავრის ქვის „დადებითაც“ არის გადმოცემული.

რამდენადაც ზედმიწევნით დეტალურად არის წარწერის ტექსტში ეკლესიის საძირკვლის დადების თარიღი აღნიშნული, იმდენად ბუნდოვანია იგი გამოცემებში ტექსტის არასწორად წაკითხვის გამო. არსებულ გამოცემებში ტექსტს აბუნდოვანებდა სიტყვა „მთუვარისსა“-ს წინ არსებული ა, ერთადერთი ასო მთელ ტექსტში, რომელიც ამოკვეთითაა შესრულებული (მართალია, ამ მიზნით საგანგებოდ დატოვებულ რელიეფურ მართკუთხედზე, ერთგვარ „ბალიშზე“) და ასევე ერთადერთი, რომელსაც უზის ქარაგმის ნიშანი. უკლებლივ ყველა გამოცემაში, გარდა „კორპუსის“ გამოცემისა (ამის შესახებ – ქვემოთ) იგი რიცხვის აღმნიშვნელად იყო მიღებული და მას კითხულობდნენ, როგორც „პირველს“, „ათა(?)“, ან საერთოდ გამოტოვებდნენ ტექსტში (იხ. №98 წარწერის კითხვასხვაობები). ყველაზე მეტად გავრცელებულია ნაკითხვა „ა მთოარისასა“, რაც პირველ მთვარისას, ან მთვარის (ფაზის) ერთს აღნიშნავს[7].

„კორპუსის“ გამოცემაში ნ. შოშიაშვილმა წარმოადგინა წარწერის ტექსტის ამ ადგილის ახალი

შემთხვევებშიც: „მე, თევდორე თაფლაასძემან დაჟდე საძირკველი“ – 906 წლის საამშენებლო წარწერა ერედვის წმ. გიორგის ეკლესიაზე (ქნკ, I, გვ. 172, №76). მართალია, ზემნის ფორმა „დაიდვა“ დასტურდება სამშვილდის ტაძრის 777 წლის საამშენებლო წარწერაში („დაიდვა საძირკველი ჴელითა მათითა“ – ქნკ, I, გვ. 236, №123), ქორეთის ეკლესიის (საჩხერის რ-ნი) 1000 წლით დათარიღებულ საამშენებლო წარწერაში („ესე ბალაპვარი დაიდვა ქორონიკონსა ს,ჟ-სა“ – ქნკ, II, გვ. 37-38, №11) და სხვაგანაც, მაგრამ ის აქ გადმოსცემს საარსიო ქცევას და არა სათაოსოს (ძველ ქართულ ენაში საარსიო და სათაოსო ქცევების შესახებ იხ. *შანიძე*, 1976, გვ. 80-81, §143, 144).

7 „მთვარის ა“ იყო აღნიშნული მანგლისის ტაძარის, თუ მისი სამხრეთი კარიბჭის, კურთხევის თარიღად ამ ტაძრის ერთ, 1027 წლის წარწერაში (*ბარნაველი*, 1961, გვ. 20-21, №14. იქვე ლიტერატურა – მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილის გამოცემები). ეს წარწერა დაიკარგა ჯერ კიდევ XIXს-ის შუა ხანებში. თ. ბარნაველი წარწერის ტექსტის ამ ადგილს ასწორებს და იქ, სადაც მ. ბროსე და ე. თაყაიშვილი კითხულობდნენ „მთავრისა ა“ (მ. ბროსე – „le premier jour de la lune“), სავარაუდოდ, კითხულობს სიტყვას „მღვდელთმოძღვრობასა“. XI საუკუნისათვის, რა დროსაც მანგლისის ტაძრის ეს წარწერა განეკუთვნება, ამ სიტყვის ასეთი მართლწერა გამორიცხულია (სწორი ფორმით იქნებოდა „მღვდელთმოძღურობასა“). კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერის მიხედვით, თარიღში „მთვარისა ა“-ს მითითება სავსებით დასაშვები ჩანს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მანგლისის და მის წარწერებს მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით არ გაუმართლდა. მიუხედავად იმისა, რომ მ. ბროსემ 20-ზე მეტი პუბლიკაცია მიუძღვნა მათ (ИКОИМАО, III, 1913, с. 131), ცალკე წიგნადაც არის გამოცემული მანგლისის წარწერები (*ბარნაველი*, 1961) და მონოგრაფიაც არსებობს მის ხუროთმოძღვრებაზე (*დვალი*, 1974), მისი ეპიგრაფიკა მაინც არ არის სრულყოფილად შესწავლილი და გამოცემული. ამის მიზეზია ის, რომ XIX საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევრის დასასრულს სამხედრო ხელისუფალთა მიერ ჩატარებული რემონტის შედეგად (ტაძრის სიახლოვეს განლაგებული იყო გრენადერთა პოლკის ყაზარმები) ტაძრის ეპიგრაფიკა, მისი მრავალრიცხოვანი წარწერები, შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად განადგურდა, და არა მარტო ამ ტაძრის, არამედ, როგორც ჩანს, მანგლისის მიდამოებში მდებარე სხვა მცირე ეკლესიებისაც. სამწუხაროდ, რუს სამხედრო ხელისუფალთა მისწრაფებამ, აღედგინათ ეკლესია და მოქმედი გაეხადათ იგი, დათვური სამსახური გაუწია მეცნიერებას და ქართულ სიძველეებს.

მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ არსებული მასალების მოპოვებაში დიდი მუშაობა გასწია მ. დვალმა, რომელმაც რუსეთის სიძველეთსაცავებში გამოავლინა ძველი, XIX საუკუნის საარქივო მასალები სადღეისოდ დაღუპული, ან უფრო დაზიანებულად მოღწეული ამ წარწერების შესახებ.

ყოველივე ამის აქ აღნიშვნა იმიტომ გვინდება, რომ რაღაც ბოლომდე გაუცნობიერებელი, მაგრამ აშკარა საერთო არსებობს კუმურდოსა და მანგლისის ეპიგრაფიკას, ამ ორ ეპარქიას შორის (ორივეგან საალაპე წარწერების დიდი რაოდენობა, თარიღში მთვარის ფაზის აღნიშვნა, მანგლელის აღაპის კუმურდოში დაწესება...).

წაკითხვა „ახალ მთუარისასა“, თუმცა „ახალ“ კითხვის ნიშნით აღნიშნა. ასეთი წაკითხვის შემთხვევაში გამოდის, რომ ეკლესიის საძირკველი დაუდვიათ *რპდ* ქრონიკონს (ანუ 964 წელს), პირველ მაისს, შაბათ დღეს, ახალ მთვარეობას.

კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერაში ამ ადგილს, როგორც ჩანს მაინც, „ა მთუარისსა“ უნდა წავიკითხოთ და მთლიანად ტაძრის საძირკვლის ჩადების თარიღი ასე წარმოვიდგინოთ: „ქრონიკონსა *რპდ*, თთუესა მაისსა ა, დღესა შაბათსა, ა მთუარისასა“.

საქმე ის არის, რომ სიტყვა „მთუარისასა“-ს წინ ამოკვეთილ ა-ს უზის ქარაგმის ნიშანი, რაც ცალკე დასმულ ასოებში მათი რიცხვითი მნიშვნელობის მაჩვენებელია. ამასთანავე, სიტყვა „ახალ“-ის მხოლოსაოიანი დაქარაგმება წერილობით ძეგლებში არ დასტურდება. ასეთი დაქარაგმებით მხოლოდ ორი ფორმაუცვლელი სიტყვა გვხვდება: „რამეთუ“ (რ˜) და „ხოლო“ (ხ˜).[8] „ახალ“ ან „ახალი“, თუ სრული სახით არ წერია, დაქარაგმებულია, როგორც „ახ˜ლი“[9]. ამდენად, წარწერის ტექსტში ამ ადგილას ამოკეთილი ა (ისევე, როგორც იგივე ასო „თუესა მაისსა“-ს შემდეგ) შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „ერთს“ ან „პირველს“.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თარიღის გადმოცემისას მთვარის მოქცევის ფაზების აღნიშვნა გავრცელებული იყო საქართველოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. გარდა კუმურდოსა და მანგლისის ტაძრების ეპიგრაფიკული ძეგლებისა, ამის შემთხვევებს ვხვდებით სხვა სახის წერილობით ძეგლებშიც. ასე მაგალითად, მოქვის სახარების (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-902) 1300 წლის ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია:

„დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა *ხშდ*, – ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად *ბყ*ჱ; ქრონიკონსა *ფკ*; ზედნადებსა *მთოვარისასა ვ*; მცხრალსა ზ; ინდიკტიონსა *იგ*; ხუთეულსა ლ; ექუსეულსა *ლვ*; მზის მოქცევსა დ; მთოვარის მოქცევსა *ვ*“.[10]

როგორც ვხედავთ, ეს ჩანაწერი უხვ და მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს ძველ საქართველოში წელთაღრიცხვის შესწავლისათვის, რომლის განხილვას ცხადია, აქ ვერ შევუდგებით; ხოლო ჩვენი საკითხისათვის არსებითია ის, რომ თარიღის გადმოცემისას აქ აღნიშნულია მთვარის ზედნადებიც და მთვარის მოქცევის ფაზაც (*ვ*, ანუ 6).

მთვარის ფაზის მიხედვით ხშირად არის აღნიშნული სამცხის ათაბაგთა სახლის წევრების დაბადების ან გარდაცვალების ზუსტი დრო „მესხურ მატიანეში“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი S-947):

1. „დაიბადა თამარ აყნუჱრს, აპრილსა *იზ*, დღესა პარასკევსა დღისით, ჟამსა *ვ*, მთვარესა დ, ქ˜კსა *სმთ*“[11]; ე.ი. 1561წ.

2. „დაიბადნეს ბასილი და ბექაჲ-პავლე აგვისტოსა *იბ*, დღესა შაბათსა, ღამით, ჟამსა *ბ*, მთოვარესა *ვ*, ქ˜კსა *სნბ*, ციხისჯუარს“[12]; ე.ი. 1562წ.

3. „... დაიბადა პატრონის ყუარყუარეს ძე პატრონი ქაიხოსრო აყნუჱრს, გიორგობისთუჱ ცხრა, ორშაბათი დღე გათენდებოდა, ქათმის ყიულ: *მთუარესა იდ*, ქ˜კსა *სიბ*“[13]; ე.ი. 1573წ.

4. ქაიხოსრო ათაბაგის მოსახსენებელში მისი გარდაცვალება 1573 წელს ასეა აღნიშნული: „დაუტევა მდენი ესე საწუთო ენკენისთუჱს *კთ*, დღესა შაბათსა, ცხრა ჟამსა, *მთუარესა ბ* და მიიცვალა“.[14]

---

8 *ილ. აბულაძე*, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973, გვ. 403, 416. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, გარდა ამ ორი ფორმაუცვლელი სიტყვისა, მხოლოსაოიანი დაქარაგმებით შეიძლება შეგვხვდეს: ქ˜ („ქართლისა“), კ˜ („კათალიკოზი“), ჭ˜ („ჭყონდიდელი“), ე˜ („ერისთავი“), მაგრამ როგორც ნესი, მათ უთუოდ მოსდევს ბრუნვის ნიშანი, ან მასთან შერწყმული მომდევნო სიტყვა, რომელიც ბრუნვის ნიშნითვეა წარმოდგენილი [ქ˜კზი – „ქ(ართლისა) კ(ათალიკო)-ზი“], ე˜ეი [„ე(რისთავ)ი“] და სხვ. მხოლოსაოიანი დაქარაგმების შესახებ იხ.: *ი. ჯავახიშვილი*, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 143.

9 *ილ. აბულაძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 388.

10 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა. ტ. II, თბ., 1958, გვ. 314.

11 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები *ქრ. შარაშიძისა*, თბ., 1961, გვ. 37, №3.

12 იქვე, №6.

13 იქვე, გვ. 42, №22.

14 იქვე, გვ. 41, №20.

იმავე მატიანეში, ერთგან, ყუარყუარე ათაბაგის ქორწილიც ასეთი წესით არის მითითებული და დათარიღებული:

„ქ~სჳა ѕნბ, ივნისსა გ, დღესა სამშაბათსა, კზ მთუარისასა, შეწევნითა ღმრთისათა და წმიდის ნიკოლოზისათა, პატრონმან ყუარყუარე ქორწილი ქნა ოდიშს დადიანის ქალს მარეხთანა“.[15]

ვფიქრობ, ისიც საინტერესოა, რომ გვიან შუასაუკუნეებშიც, XVIII ს-ის ბოლოსაც, თარიღში მთვარის ფაზის აღნიშვნა ჯერ კიდევ მიღებული ყოფილა.[16] მაგ., ერთი ხელნაწერის მინაწერში (ხელნაწერთა ინტიტუტი, H-2946), მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების თარიღი ასეა აღნიშნული:

„მეფე ირაკლი ამ სოფლით გარდაიცვალა თებერავს ქალაქს, იანვრის თერთმეტსა, *მთვარისას ექვსსა*, ქორონიკონსა ოთხას ოთხმოცდა ექვსსა“; ე. ი. 1798 წ.[17]

მაშასადამე, კუმურდოს ტაძრის 964 წლის საამშენებლო წარწერაში თარიღის გადმოცემისას „ა მთუარისასა“-ს აღნიშვნა და წაკითხვა სავსებით მისაღებ და ერთადერთ სწორ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. ამის უეჭველი მაჩვენებელია ის, რომ ზემოთმოყვანილ მაგალითებში „ახალმთვარეობა“ კი არ არის აღნიშნული, არამედ მთვარის მოქცევის ფაზებია (2,4,6,7,14,27) მითითებული, რომელთაგან ერთ-ერთი ა, პირველიც იქნებოდა.

კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერაში თარიღის ზედმიწევნით ზუსტი აღნიშვნის მაჩვენებელია ისიც, რომ თანამედროვე გამოთვლითაც 964 წლის პირველი მაისი შაბათი დღე ყოფილა[18].

„კორპუსის“ გამოცემაში №2 წარწერაში დასახელებული გიორგი (მართალია, კითხვის ნიშნის დასმით) მიჩნეულია ხუროთმოძღვრად. თითქოს, საკოცარის გარდა, ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში დასახელებულია კიდევ სხვა ხუროთმოძღვარი.

კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვარი იყო საკოცარი[19] და ამის შესახებ პირდაპირ და არაორაზროვნად არის აღნიშნული საამშენებლო წარწერის (№98) ტექსტში იმ ფორმით, როგორითაც მაშინ იყო მიღებული: „იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ *ჴელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაჲთა*“. როგორც ვხედავთ, ტაძრის ამ უმთავრეს წარწერაში თხრობა მიმდინარეობს ეკლესიის ხუროთმოძღვრის საკოცარის მიერ, რაც თავისთავად ძალზე საინტერესოა, მაგრამ ამის შესახებ აქ მსჯელობას ვერ გავაგრძელებთ[20].

კუმურდოს ტაძრის №99 წარწერის გიორგის „საქმესა ზედამდგომობას“ მხარს უჭერს ისიც, რომ იგი დასახელებულია ეკლესიის „მუშაკთა და ყოველთა მაშენებელთა“ სახელზე შესრულებული კვერექსის ტექსტის ბოლოს, რომელთა უფროსიც, როგორც ჩანს, იგი იყო. ამდენად, მას ტაძრის ხუროთმოძღვრად, თუნდაც ერთ-ერთად და თუნდაც კითხვის ნიშნით, ვერ მივიჩნევთ[21].

---

15 იქვე, გვ. 37, №5.

16 უფრო მეტი, თვით XIX ს-შიც გვაქვს შემთხვევები თარიღის აღნიშვნისას მთვარის მოქცევის მითითებისა; იხ., 1835, 1836 და 1838 წლების მინანერები S-4748 ხელნაწერზე: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. VI, თბ., 1969, გვ. 100.

17 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექსია, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 230.

18 V. *Grumel*, La chronologie. («Traité d'études Byzantines», I), Paris, 1958.

19 არსებობს ამ სახელის მცდარი გადმოცემაც, როგორც „სახოცარი“ („საჯოცარი“) (*ლ. მენაბდე*, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, 2, თბ., 1962, გვ. 512), მაგრამ მისი წაკითხვა „საკოცარის“ ფორმით არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ეკლესიის ერთ-ერთი ხელოსნის საკუთარ სახელად „საკოცარს“, მისივე აღნიშვნით, პირობითად, კითხულობს ნ. შომიაშვილი ფიის (ნასოფლარი ასპინძის რ-ში, ვარძიის ახლოს, ხერთვისიდან 5 კმ-ზე) წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ კარნიზზე ამოკვეთილ X ს-ის ასომთავრულ წარწერაში (ქწკ, I, №152,3; გვ. 272-273). სახელის ასეთი წაკითხვა (სხვათა შორის, ისევე, როგორც სხვა სახეებისა ამავე წარწერაში – „ახოან, ოშან, იესე“), მართლაც, პირობითია, რადგან ძნელია ასოთა კომპლექსი „სოც“ (გამომცემლის მიერ მათი ასეთი დაჯგუფების სწორად მიჩნევის შემთხვევაშიც) გაიხსნას, როგორც „ს(ა)ოც(არ)“. უცნაურია ისიც, რომ ამ საკოცარს და კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვრულ საკოცარს – ორთავეს, გამომცემელი უწოდებს ხელოსანს (იქვე, საძიებელი, გვ. 329).

20 შდრ. ანალოგიური შემთხვევა სავანის ეკლესიის 1046 წლის ერთ-ერთ წარწერაში: „...დამაყენა მე, სულითა საწყალობელი ჰარაბაი აღსაშენებლად წმიდისა ამის საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, გიორგი ერისთავთა-ერისთავმან“ (*ბერიძე*, 1942, გვ. 91•; ქწკ, II, 1980, №39, გვ. 59-60).

21 საინტერესოა, რომ №99 წარწერის ტექსტში ჩართულია *„მაშენებელთა კვერექსი“*. უფრო ზუსტად იგი შედგენილია მის მიხედვით. მაშენებელთა კვერექსის ჩართვა საამშენებლო წარწერების ტექსტებში უძველესი დროიდანვე გვხვდება; მაგ., ბოლნისის სიონის დაფით ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერაში 493 წლისა (დაწვრილებით იხ.: *ვ. სილოგავა*, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994, გვ. 25-26, 44).

„კორპუსის“ გამოცემის ვაჩე ერისთავის წარწერის (№101) ბოლოს, როგორც ასომთავრულით, ისე მხედრულით დაბეჭდილ ტექსტებში, „ჯუარითა“ სიტყვის დასასრული „თა“ გადმოცემულია კლაკნილ კავებში ჩასმით – „{თა}“, რაც „კორპუსში“ მიღებული პირობითი ნიშნების მიხედვით ნიშნავს, რომ ეს ასოები („თა“) ადგილზე არ არის, არც იყო და დამატებულია გამომცემლის მიერ, როგორც აზრობრივად აუცილებელი – „წარწერის შემსრულებლის მიერ უნებლიეთ გამოტოვებული ასო“ (ქწკ, I, გვ. 325). სინამდვილეში, ამ რელიეფური, 964 წლის, ან მისი ახლო დროის მონუმენტური წარწერის ბოლო, მესამე სტრიქონის ორი უკანასკნელი ასო („თა“), რომელიც წარწერის შემსრულებელს ფილაზე არ დატევია, გამოყვანილია იქვე, ასევე რელიეფურად, მესამე სტრიქონის გასწვრივ, მის გაგრძელებად, ოღონდ, ტაძრის შესასვლელის მარჯვენა ანაყოლის ფილაზე, რაშიც ადვილად შეიძლებოდა დარწმუნება წარწერის ადგილზე შესწავლით (იხ. აქვე, ტაბ. 63).

დასახელებული პუბლიკაციის გარდა, კუმურდოს ტაძრის სხვადასხვა წარწერა, მათ შორის, განსაკუთრებით ტაძრის [illegible] წლის საძვენე

1977 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკულმა ექსპედიციამ, საგანგებო აღჭურვილობის მომარჯვებით, ადგილზე შეისწავლა კუმურდოს ტაძრის წარწერები. ჩატარდა ფიქსაცია ძეგლზე არსებული მთელი ეპიგრაფიკული მასალისა; ერთნაირი პრინციპით აღიწერა ყოველი წარწერა ცალ-ცალკე; თითოეული წარწერისათვის შედგა ბიბლიოგრაფია; დადგინდა წარწერათა ტექსტები; დამზადდა მათი ფოტოსურათები და გრაფიკული მონახაზები – პალეოგრაფიული ასლები და გადაწყდა მოპოვებული მასალის ამ სახით გამოცემა.

2. კუმურდოს ეპარქია. კუმურდოელი მღვდელმთავრები

კუმურდოს ეპარქია ერთ-ერთი უძველესია საქართველოს ეკლესიის სტრუქტურაში. ჯერ კიდევ 506 წლის დვინის ქართულ-სომხურ-ალბანური ეკლესიების კრების დადგენილების ხელმომწერთა შორის იხსენიება კუმურდოელი ეპისკოპოსი იოსები, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრაში იგივე წუნდის საეპისკოპოსო კათედრა შეიძლება იგულისხმებოდეს, მაშინ კუმურდოს ეპარქიის დაარსების დრო V ს-ში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში გადადის.

საერთოდ, ჯავახეთში – საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის ამ გზასაყარზე, საისტორიო წერილობითი წყაროების მიხედვით, თავდაპირველად ორი საეპისკოპოსო არსებობდა – წუნდისა და წყაროსთავისა (გვიან, XV-XVI სს-ებისათვის აქ უკვე ოთხი საეპისკოპოსო დასტურდება: კუმურდოს, წყაროსთავის, ერუშეთის და წურწყაბის). XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის (ზოგი ავტორი მას უფრო ადრეული ხანისად მიიჩნევს) ჯუანშერის ცნობით, როდესაც ქართლს „მოვიდეს კოსტანტინეპოლედ" ვახტანგ გორგასლის (V ს-ის II ნახ.) თხოვნით ანტიოქიის პატრიარქის მიერ ნაკურთხი „თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად", მეფემ, „დასუა ერთი ეპისკოპოსად ჯავახეთს, წუნდას" (ქ"ცა, I, გვ. 198).

ეს არის პირველი და ერთადერთი ცნობა თანამედროვე კუმურდოს ახლოს, ამჟამად ნასოფლარ და ანტიკური ხანის ნაქალაქარ წუნდაში საეპისკოპოსო ცენტრის დაარსების შესახებ საქართველოს თორმეტ (მცხეთის, ახიზის, არტანის, მანგლისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის) საეპისკოპოსოებს შორის (ქ"ცა, I, გვ. 198-199).

რამდენადმე განსხვავებულია ვახუშტი ბატონიშვილის (დაახ. 1696-1750) ცნობა, რომელმაც წუნდის (იგი მას წუნას უწოდებს[23]) არსებობაც იცის და კუმურდოს არსებობაც, და მიუხედავად ამისა, პირდაპირ და არაორაზროვნად წერს, რომ „წუნას ზეით, ჴრამის თავს, მინდორზედ, სამჴრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდ-ნაშენი, შვენიერად ნაშენი, რომელი აღეშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვის ზეითისა" (*ვახუშტი*, გეოგრ., გვ. 130:16-20; ვახუშტი, აღწერა, ქ"ცა, IV, გვ. 670:14-18).

მართალია, საეპისკოპოსო ეპარქიათა საზღვრები და სამფლობელოები რამდენადმე მტკიცედ იყო განსაზღვრული და დროთა განმავლობაში შედარებით ნაკლებად იცვლებოდა, მაგრამ „სრუ-

23 ეს ტოპონიმი „წუნდის" ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც „ახალი ქართლის ცხოვრების" ხელნაწერებში (იხ. ქ"ცა, I, გვ. 429 – „წუნდა" საკუთარ სახელთა საძიებელში; ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I, 1986, გვ. 320-231; II, 1986, გვ. 226), ისე „ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელ რედაქციის ოთხსავე ხელნაწერში (ანა დედოფლისეული, XVIIს., A-430, 17v; მარიამ დედოფლისეული, 1632-1637წწ.; S-409, 19v, 107r; ერაჯ ქალაშვილისეული, XVIIს., Q-904, 103v, 117r; მცხეთური, 1797წ., Q-1012, 117r, 24r). ასევეა იგი „ქართლის ცხოვრების" XIIს-ის სომხურ თარგმანში, რომელიც XIII-XIV სს. ხელნაწერებითაა მოწმეული (*ქ"ცა, ძვ. სომხ. თარგმ.*, გვ. 24:13,29; 23:15,13; 41:17,13; 61:12,13). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც" მას „წუნდა" ეწოდება (*ჯიქია*, დავთარი, II, 1941, გვ. 242), როგორც 8. ბროსეს საქართველოში მოგზაურობის ანგარიშებიდან ჩანს, XIXს-ის შუა ხანებშიც მოსახლეობა ამ ადგილს „წუნდას" (Tsounda) უწოდებდა (*Brosset, II, rapp. p. 165-166*). დღესაც ნაქალაქარ-ნასოფლარს, ტბას და იქვე მდგარ XIIს-ის მინურულს *იჩქით გურგენისძის* მიერ აშენებულ ეკლესიას მოსახლეობა „წუნდის" სახელით მოიხსენიებს. ასე, რომ გაუგებარია, თუ საიდან აიღო ვახუშტი ბატონიშვილმა ფორმა „წუნა". „წუნდის" შესახებ იხ., აგრეთვე *ბერიძე*, 1992, გვ. 25.

ლიად ჯავახეთის მწყემსად“ კუმურდოელი ეპისკოპოსი მაინც არ დარჩენილა. მისი საგანმგებლოს ნაწილი მოგვიანებით წყაროსთავის ეპარქიის შემადგენლობაში შესულა. საკუთრივ კუმურდოს ეპარქიის საზღვრები XVI ს-ის დასაწყისის ერთ საბუთში („კათალიკოზის ხელქვეითი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“) ასეა განსაზღვრული: „კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი, ხავთომდი“ (ქსძ, III, გვ. 245). მართალია, ეს ცნობა XVI ს-ის დასაწყისს განეკუთვნება, მაგრამ იგი, უთუოდ, ადრინდელი ვითარების ამსახველია.

ამიტომაც, მიჩნეულია, რომ „კუმურდოელი... ზემო ჯავახეთის მწყემსი იყო“ (*ბერძენიშვილი*, 1985, გვ. 120).

კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრის ასეთი სიძველით განპირობებულია კუმურდოელი ეპისკოპოსის მაღალი პატივი და ადგილი საეკლესიო იერარქიაში. XVI ს-ის დასაწყისის ზემოხსენებულ საბუთში, სადაც სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავრები და ეპარქიათა საზღვრებია დასახელებული, კუმურდოელი მეორე ადგილზეა მაწყვერელის შემდეგ ამ მხარის 13 ეპისკოპოსს (მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშნელი) შორის (ქსძ, III, გვ. 244-246).

ასევე მაღალი იყო კუმურდოელის მდგომარეობა ერთიანობის ხანის საქართველოს საეკლესიო იერარქიაში, რასაც მოწმობს მისი მერვე ადგილი 35 მღვდელმთავარს შორის დარბაზობის „განგებაში“, „რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა“. ამ დროს კუმურდოელი ზის (მართალია, უბალიშოდ და უნატოდ) მეფის მარცხნივ მეოთხე ადგილზე ისეთი მაღალი რანგის მღვდელმთავრების შემდეგ, როგორებიცაა ჭყონდიდელი, ალავერდელი და ქისიყელი (ქსძ, II, გვ. 48).[24]

კუმურდოელთა მაღალი სასულიერო რანგის მაჩვენებელია ისიც, რომ უკვე XII-XIII საუკუნეებიდან, სხვადასხვა დროს, მანგლელის, თბილელის, ალავერდელის, ბოდბელის, მაწყვერელის და რუსთველის მსგავსად, მასაც მოუპოვებია მთავარეპისკოპოსობა (*შოშიაშვილი*, 1969, გვ. 157, შენ. 2). ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XVIს-ის დამდეგიდან მათი მთავარეპისკოპოსობა დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია.

ალბათ, კუმურდოში, ყოველ შემთხვევაში კუმურდოელის შემავალ რომელიმე პუნქტში, რადგან „ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს“ (*„ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“*, ძქალძ, I, გვ. 287:10), გაიმართა IX ს-ის შუა ხანებში (*ჯავახიშვილი*, 1982, გვ. 52) ის ცნობილი საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მცხეთის კათალიკოსად *არსენის* ყოფნის საკითხი, როდესაც მას დაუპირისპირეს გრიგოლ ხანცთელის მეორე მოწაფე *ეფრემ მაწყვერელი*, შემდეგში ქართლის ეკლესიისათვის მირონის ხარშვის უფლების მომპოვებელი (ძქალძ, I, გვ. 287-288).[25]

IX ს-ის შუა ხანებში გამართული (ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იგი გაიმართა 102 წლის გრიგოლ ხანცთელის „ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა“, ანუ 861 წელს გარდაცვალებაზე (ძქალძ, I, გვ. 316: 34) ადრე) ამ საეკლესიო კრების დროს, ცხადია, კუმურდოს ამჟამადაც არსებული 964 წელს აგებული კათედრალური ტაძარი ჯერ კიდევ არ იყო, ასე რომ, მაინცდამაინც ამაზე დაყრდნობით კუმურდოში ამ კრების გამართვა შეიძლებოდა საეჭვოდ მიგვეჩნია, მაგრამ არეშის ქვასვეტის ბაზისის წარწერით ხომ დოკუმენტურად მტკიცდება, რომ კუმურდოში IX ს-შიც არსებულა საყდარი (და, ალბათ, ამაზე ადრეც), რომლის ადგილზე ააგო, როგორც ჩანს, იოვანე ეპისკოპოსმა 964 წელს ახალი საყდარი ხუროთმოძღვარ საკოცარის ხელით.

---

24 მართალია, ჩვენამდე მოღწეულ „დარბაზობის განგებაში“ (ხელნაწერები XVI და XVIIსს. თარიღდება), რომელიც მაინც რამდენადმე შედარებით გვიანდელი (XIIIს-ის შემდგომი, უფრო XIII-XIVსს.) ვითარების ამსახველი უნდა იყოს (ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიმოხილვა იხ.: ქსძ, II, გვ. 496-597), მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრებია დასახელებული. დასავლეთ საქართველოს იერარქიებიდან მხოლოდ ჭყონდიდელი იხსენიება, რომლის უპირატესი მღვდელმთავრობა იმთავითვე აღიარებული და განსაზღვრული იყო და აქაც („დარბაზობის განგებაში“) იგი მეორე ადგილზეა კათალიკოსის შემდეგ – კათალიკოზი მეფეს უზის მარჯვნივ, ხოლო ჭყონდიდელი მარცხნივ. საბუთში ვერ ვხედავთ დასავლეთ საქართველოს და სხვა მღვდელმთავრებს: ქუთაისელს, ბედიელს, მოქველს, ცაიშელს, დრანდელს, ხონელს, შემოქმედელს... მიუხედავად ამისა, მეფის კურთხევის ცერემონიალში კუმურდოელის მაღალი პატივი საეჭვო არ არის.

25 საისტორიო წყაროებს შემოუნახავთ ერთი ცნობა ჯავახეთში გამართული სხვა საეკლესიო კრების შესახებ, რომელიც ჩატარდა ღრმილაში (თანამედროვე იხტყილა, თურქული გამოთქმით, ახალქალაქის რ-ში: *ბერძენიშვილი*, 1933/1964, გვ. 147), ბაგრატ IV (1027-1072) დროს, სადაც გაიმართა „სიტყს-გებაჲ ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსნეთის მიმართ სომეხთა მოძღურისა“ (ტექსტი იხ. *საბინინი*, 1882, გვ. 615-616).

კუმურდოს ეპარქიის დაარსების საკითხზე თვალსაზრისი გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. 1933 წელს ჯავახეთში ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრების მიზნით მოწყობილი ექსპედიციის დღიურში, რომელიც გვიან, 1964 წელს გამოქვეყნდა, იგი წერს:

„X ს-ში იოანე ეპისკოპოსი აგებს კუმურდოს ტაძარს. ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ აქ ამ დრომდის არა იყო რა. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ეპისკოპოსი სწორედ კუმურდოს ეპისკოპოსია და კუმურდო აქამდისაც საეპისკოპოსო კათედრა იყო; რომ იოანეს მხოლოდ ჩვენამდის მოღწეული ტაძრის აგება ეკუთვნის და არა საეპისკოპოსო კათედრის შექმნა. კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრის შესახებ ჩვენ ამაზე ძველი ცნობა არა გვაქვს, სამაგიეროდ გვაქვს ცნობა წუნდის საეპისკოპოსო კათედრის შესახებ წუნდის საერისთაოსთან დაკავშირებით. ძნელი დასაჯერებელია წუნდის და წყაროსთავის, როგორც საეპისკოპოსო კათედრათა არსებობის პირობებში (და ეს კი ასე იყო) კუმურდო საეპისკოპოსო კათედრა ყოფილიყო. ამიტომ უნდა დავუშვათ: ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა იგულისხმება, ან კიდე წუნდასთან დაკავშირებით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა. საკითხის ასე დასმისას შესაძლებელია იოანე ეპისკოპოსი *კუმურდოელი* არც კი ყოფილიყო აქამდის, არამედ ამიერიდან ხდება ასეთად და ამ საქმეში მონაწილენი არიან ლეონ აფხაზთა მეფე და მისი მოხელე ზვია ერისთავი(?).

ასეთ შემთხვევაში კი – განაგრძობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ძნელი დასაშვებია, რომ კუმურდოში X საუკუნემდის რაიმე სამლოცველო არ არსებულიყოს... ამის უტყუარი მოწმეა კუმურდოს „ჯვარი“, ტაძრის შესასვლელთან რომ არის აღმართული და რომელსაც ქრისტიანული ემბლემის სახე ნაგვიანევად აქვს მიცემული... საფიქრებელია, ეს „ჯვარი“ განთქმული და ფართე თაყვანისცემის საგანი ყოფილიყო: საეპისკოპოსო კათედრის დაარსება მოწმობს ამ ადგილის დიდმნიშვნელოვნებას, როგორც საკულტო ადგილის“ (*ბერძენიშვილი*, 1933/1964, გვ. 136-137).

ამ ამონაწერში ნ. ბერძენიშვილს, როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო რამდენიმე მოსაზრება აქვს გამოთქმული (ამიტომაც მოვიყვანეთ იგი ასე ვრცლად).

ამონაწერის ბოლოს გამოთქმული ვარაუდი X ს-მდე კუმურდოში რაიმე სამლოცველოს არსებობის შესახებ, მალე, სულ რაღაც 9 წლის შემდეგ, შესანიშნავად დადასტურდა, როდესაც 1942 წლის აგვისტოში ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებმა კუმურდოს სამხრეთით ათიოდე კმ-ის დაშორებით ნასოფლარ არეშში აღმოაჩინეს ქვასვეტი ბაზისით, რომლის წარწერაში დასახელებულია კუმურდოს საყდარი. ბაზისი და წარწერა, რომელიც 881-891წწ. თარიღდება (იხ. აქვე, წარწ. №7), 80-ოდე წლით უსწრებს კუმურდოს ტაძრის აგების დროს (964წ.) და უტყუარ ცნობას შეიცავს იმის შესახებ, რომ კუმურდოში ამჟამად არსებული ტაძრის ადგილას ადრე სხვა საყდარი არსებობდა.

ამავე ამონაწერის დასაწყისში ნ. ბერძენიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კუმურდოში საეპისკოპოსო კათედრის არსებობაზე, ტაძრის წარწერების გარდა, სხვა უფრო „ძველი ცნობა არა გვაქვს“. როგორც ჩანს, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრების დადგენილებებს სხვა მღვდელმთავრებს შორის (დასახელებული საქართველოს ეკლესიის 24 იერარქი) ხელს აწერს კუმურდოელი ეპისკოპოსიც (*ეპისტოლეთა წიგნი, უხტანესი*). ხოლო ეს ცნობა კუმურდოს ტაძრის წარწერებს უსწრებს ოთხნახევარზე მეტი საუკუნით (ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით).

რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილის კიდევ ერთ მოსაზრებას, გამოთქმულს ამავე ამონაწერში, წუნდის და კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრათა ურთიერთმიმართების შესახებ – კერძოდ, ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში იგივე კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა უნდა ვიგულისხმოთ, ან წუნდის დამცრობა-დაცემის პირობებში მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს კათედრა, სავსებით მისაღები ჩანს, რადგან ჩვენამდე მოღწეული საისტორიო მასალების სიმცირე ამაზე კონკრეტული მსჯელობის გამართვის საშუალებას არ გვაძლევს.[26]

ცხადია, კუმურდოს ეპარქიის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ეპარქიის ისტორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი მმართველი მღვდელმთავრების პერსონალური შემადგენ-

26 ამავე საკითხზე იხ. *ბერძენიშვილი*, 1975, გვ. 86-89; *ბერძენიშვილი*, 1985, გვ. 119.

ლობა. კუმურდოელ მღვდელმთავართა შესახებ, მართალია, მწირი, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობები შემონახულია სხვადასხვა სახის ნერილობით საისტორიო წყაროებში:

1. ნარატიულ წერილობით ძეგლებში („ეპისტოლეთა წიგნი", VIIს., უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან", XI ს.);

2. ეპიგრაფიკულ ძეგლებში (კუმურდოს ტაძრისა და ბერთაყანის გამოქვაბულის წარწერები);

3. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში (ხელნაწერები: სინა-40, სინა-69/გრაცი 3, იერ.-13, იერ.-73, A-1737);

4. სააღაპე ჩანაწერებში (იერ.-24-25);

5. ისტორიულ საბუთებში (Hd-2082, Hd-2083, Hd-2130).

ვფიქრობ, ამ საისტორიო წერილობით წყაროთა კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კუმურდოს ეპარქიის ისტორიის ცალკეული კონკრეტული ეპიზოდების, ისე კუმურდოელ მღვდელმთავართა რიგის დადგენა, თუმცა, სამწუხაროდ, ცნობათა ფრაგმენტულობის გამო, ზოგიერთ შემთხვევებში დიდი ქრონოლოგიური წყვეტილებით.

1. პირველი კუმურდოელი ეპისკოპოსი, რომელიც ცნობილია საისტორიო წყაროებით, არის *„იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი"*. მის შესახებ ცნობა შემონახულია VII ს-ის სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლში „ეპისტოლეთა წიგნში", კერძოდ, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი.

ამ ეპისტოლეში აბრაამ კათალიკოსი, სხვა საკითხებს შორის, ჩამოთვლის იმ ქართველ მღვდელმთავრებს, რომელთაც ხელი მოუწერიათ დვინის 506 წლის საეკლესიო კრების დადგენილებისათვის.[27] აქ საქართველოს ეკლესიის 24 იერარქს შორის მე-14 ადგილზე დასახელებულია „იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი" (*ეპისტ.* წიგნი, 1968, გვ. 97).[28]

აბრაამ კათალიკოსის ეს მესამე ეპისტოლე შეტანილია X ს-ის სომეხი ისტორიკოსის *უხტანესის* ნაშრომში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან". აქ იგი რამდენადმე განსხვავებული რედაქციითაა წარმოდგენილი, მაგრამ იოსებ ეპისკოპოსი ისევ დასახელებულია სხვა მღვდელმთავრებს შორის (ოღონდ, მათი რიცხვი აქ 21-ია), იგი ისევ მე-14 ადგილზეა, მაგრამ, რაც არსებითია, უკვე უფრო ზუსტადაა გადმოცემული მისი ეპარქიის სახელწოდება – „იოსებ კუმურდოს ეპისკოპოსი" („Յովսեպ եպիսկոպոս կումրդա" – *უხტანესი*, 1975, გვ. 139).[29]

სხვა ცნობები VI ს-ის დამდეგის მოღვაწის იოსებ კუმურდოელის ეპისკოპოსის შესახებ არ მოგვეპოვება.

ასევე არ გაგვაჩნია არავითარი ცნობა კუმურდოელ მღვდელმთავართა შესახებ მომდევნო ოთხნახევარი საუკუნის განმავლობაში.

2. რიგით მეორე კუმურდოელი ეპისკოპოსი, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი, არის X ს-ის II ნახ-ის მოღვაწე *იოვანე კუმურდოელი*. მას 964 წელს, ლეონ აფხაზთა მეფის დროს და ზვიად ერისთაობისას, ხუროთმოძღვარ საკოცარის ხელით აუშენებია კუმურდოს კათედრალური ტაძარი (წარწ. №98,100). მასვე გაუჩენია „დღე ახუსებაჲ", ე. ი. აღდგომა, ალაპად ვაჩე ერისთავისათვის (წარწ. №101).

იოვანე კუმურდოელი იხსენიება ორი სინური ხელნაწერის – sin-40-ის და sin-69-ის ანდერძ-

---

27 დვინში, ძველი სომხეთის საკათალიკოსო რეზიდენციაში, 506 წ. ბიზანტიის ინიციატივით მოიწვიეს ქართლის, სომხეთის და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანებული კრება. კრებაზე დაგმეს აღმოსავლეთის ეკლესიაში იმ დროისათვის ფართოდ ფეხმოკიდებული *ნესტორიანელობა* (ამის შესახებ იხ.: *მამულია*, 1992) და მიიღეს ბიზანტიის კეისრის ზენონის (474–475, 476–491) ე. წ. „ჰენოტიკონი" („ერთობა") – დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შემრიგებელი მრწამსი. დვინის საეკლესიო კრების შესახებ იხ.: *ჯავახიშვილი*, 1979, გვ. 386; *ალექსიძე*, 1973, გვ. 145-166; *ქსე*, 3, 1978, გვ. 491-492.

28 ეპისტოლეთა წიგნის ეს ადგილი სხვადასხვა დროს განიხილეს ი. ჯავახიშვილმა (*ჯავახიშვილი*, 1979, გვ. 340, შენ. სქ. 3), ს. კაკაბაძემ (*კაკაბაძე*, 1924, გვ. 50-51) და კ. კეკელიძემ (*კეკელიძე*, 1930, გვ. 320). სამივე მათგანისათვის უეჭველია, რომ „კუხორდოსის" ეპისკოპოსში აქ იგულისხმება კუმურდოელი ეპისკოპოსი. ასეა ეს მიჩნეული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც (*ეპისტ.* წიგნი, 1968, გვ. 161).

29 ეპარქიის სახელწოდების ერთი ზუსტი ფორმით გადმოცემა ძეგლის გამომცემლის მიერ საკუთარი სახელების დაწერილობაში შეტანილი ცვლილებების შედეგია: Կումրտայ მას შეუსწორებია, როგორც Կումրդայ (*უხტანესი*, 1975, გვ. 11), მაგრამ ფაქტია, რომ ძველი, „ეპისტოლეთა წიგნისეული" Կռխրդայ-სთან შედარებით უხტანესისეული Կումրտայ ბევრად დაახლოებულია ადგილის ნამდვილ სახელწოდებას.

მინაწერებში.

sin-40-ის ანდერძ-მინაწერში გრიგოლ მღვდელი შემდეგს აღნიშნავს:

„სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა, და წმიდისა ნათლისმცემელისა, და მოციქულთაჲთა, და მეოხებითა მოსწსითა და ელიაჲსითა. მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ და უნარჩევსი ყოველთა მღდელთაჲ, ღირს-მყო ღმერთმან წმიდასა ამას შემოსლვად და დაჯდომად ადგილსა, სადა მოსე უფალი იხილა. და მუნ შინა მოვიგენ წმიდანი ესე იადგარნი გამოკრებულნი სასწავლად ჩემდა უცებისა და სალოცველად ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს შეუცვალებელთა და შეცვალებულთათჳს.

აწ გევედრები ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ, წმიდასა ლოცვასა თქუენსა მოგჳსენენით, და თქუენ უფალმან შეგიწყალენ, ამენ.

და რომელმან ამათი შრომაჲ თავს იდვა და მომიგნა, *იოვანე კუმურდოელი* ქრისტემან შეიწყალენ, ამენ“ (*ჯავახიშვილი*, 1949, გვ. 109; *სინურ ხელნ. აღწ.*, I 1978, გვ. 152).

მაშასადამე, გრიგოლ მღვდელს სინას მთაზე ყოფნის დროს მოუპოვებია („მოვიგენ“) გამოკრებული იადგარნი, საგალობლების კრებული. მაგრამ ხელნაწერი მას კი არ დაუწერია, ან მისი დაკვეთით კი არ გადაუწერიათ, არამედ იგი მისი იქ მისვლის დროისათვის უკვე არსებულა. ეს ხელნაწერი ადრევე ყოფილა დამზადებული, ჯერ კიდევ საბაწმინდაში და საბაწმინდელი ბერების სინას მთაზე გადასვლის შემდეგ მოხვედრილა იქ. ამას მოწმობს ხელნაწერის გადამწერის სვიმონ მგალობლის ანდერძ-მინაწერი, რომელიც მოთავსებულია გრიგოლ მღვდლის მინაწერის წინ:

„ესე იადგარი დაჩხრეკილნი თევდორე პალავრელმან დაყუდებულმან დამაწერინა მე, სჳმეონს მგალობელსა. და აწ, გევედრებით ჩუენ, ორნივე ცოდვილნი, ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ იადგართა ამათ, რაჲთა მოგჳსენოთ ჩუენ ცოდვილნი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, ამენ; და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენ, ამენ. დაიწერნეს საბაწმიდას შინა“ (*სინურ ხელნ. აღწ.*, I, 1978, გვ. 152).

მაშასადამე, გრიგოლ მღვდელი ხელნაწერ sin-40-ის მხოლოდ მომგებელია (თანაც მეორეგზის მომგებელი, პირველი იყო თევდორე პალავრელი დაყუდებული) იოვანე კუმურდოელის მეშვეობით („მომიგნა“-ო, წერს იგი მის შესახებ).

ძველი ქართული „მოგების“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „შეძენა, შოვნა, ყიდვა“ (*აბულაძე*, ლექსიკონი, 1973, გვ. 259-260). მაშასადამე, გრიგოლ მღვდელს ეს ხელნაწერი„სასწავლად“ მოუპოვებია, შეუძენია, უყიდია იოვანე კუმურდოელის დახმარებით, როგორც ჩანს, ამის მიერ გაღებული ხარჯით.

ვფიქრობ, იოვანეს წოდება „კუმურდოელი“ ეპისკოპოსის ხარისხს გულისხმობს. კუმურდოს ტაძრის წარწერებისა, იოვანე კუმურდოელის მოხსენიებით, და ხელნაწერ sin-40-ის სინქრონულობა, რომელიც ასევე X ს-ეს განეკუთვნება[30], საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორივე წერილობით ძეგლში ერთი და იგივე პირი იხსენიება.

მეორე ხელნაწერი, რომელიც კიდევ უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული იოვანე კუმურდოელის სახელთან, არის sin-69 ძველი, ალ. ცაგარელისეული აღრიცხვით და ამჟამად გრაცი-3. იგი XIX ს-ის ბოლოს, რამდენიმე სხვა ქართულ ხელნაწერთან და ხელნაწერების ფრაგმენტებთან ერთად, სინის მთიდან გაიტანა ერთმა მხატვარმა, ავსტრიაში მიჰყიდა ცნობილ ქართველოლოგ *ჰუგო შუხარდტს*, რომელმაც ანდერძით დაუტოვა გრაცის (ავსტრიაში) უნივერსიტეტს, სადაც ინახება ამჟამად (*შანიძე*, 1929, გვ. 344-345).

ხელნაწერი sin-69/გრაცი-3 შეიცავს ერთ ტექსტს, რომლის სათაურია: „ცხორებაჲ და განგებაჲ ამბა სჳმეონისი, რომელსა ეწოდა ღმრთისათჳს სულელ“.[31] ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები პირველად გამოსცა ალ. ცაგარელმა 1888 წელს და შემდეგ (1929) აკ. შანიძემ (*Цагарели*, 1888, №69; *შან-*

30 დაწერილეიით ამ მრავალმხრივ საყურადღებო ხელნაწერის შესახებ იხ. მისი აღწერილობა, რომელიც ეკუთვნის ლ. ხევსურიანს: *სინურ ხელნაწ. აღწ.*, I, 1979, გვ. 143-152.

31 ტექსტი სხვა ხელნაწერის (ბრიტ. მუზ. Add. 11281) მიხედვით გამოსცა ვ. იმნაიშვილმა (*მამათა ცხორებანი*, 1975, გვ. 285-311). სინა-69/გრაცი-3 XIს-ით თარიღდება, ამდენად XI ს-ის ბრიტანულ ხელნაწერზე ადრინდელია.

იძე, 1929, გვ. 345)[32]. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს მოეპოვება ამ ხელნაწერის მიკროფილმი. ამ მასალების მიხედვით ასეთი სურათი ჩანს: ალ. ცაგარელს გამოქვეყნებული აქვს ხელნაწერის ორი სხვადასხვა დროის ანდერძის ფრაგმენტები, აკ. შანიძეს გამოქვეყნებული აქვს ერთი ანდერძის ტექსტი, რომლის ფოტოც მისთვის გადაუციათ აღწერილობის მომზადებისას, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიკროფილმზე წარმოდგენილია როგორც აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ანდერძი სრულად, ისე მისი გაგრძელება, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე ფრაგმენტულია, რადგან ფოტოგრაფირების დროს მას სანახევროდ, მარჯვენა მხარეს გადაფარებია ფურცელი ბერძნული ტექსტით. ამდენად, სრული სახით ამ ხელნაწერის ანდერძის ტექსტი არც ერთ პუბლიკაციაში არაა წარმოდგენილი და არც მიკროფილმზეა ასახული. ცხადია, საჭიროა ხელნაწერის ადგილზე შესწავლა მისი ანდერძების სრულად გადმოწერის მიზნით. დღეს კი ჩვენს ხელთაა მიკროფილმზე ასახული ანდერძის შემდეგი ტექსტი (ნაწერის ერთ სვეტად, მაგრამ აქ ორ სვეტად წარმოვადგენ ორი მომდევნო გვერდის ტექსტს):

„და ძალი თ(ა)ნა მამით
და ს(უ)ლით წმიდითუ-
რთ უკ(უნით)ი უკ(უნისამდ)ე, ა(მე)ნ.
ესე თავი მე, თ(ევდორ)ე წყუ-
დელელმ(ა)ნ გავასრუ-
ლე წ(მი)დისა მთისა სი-
ნისათჳს, ღ(მერთმა)ნ დაგა-
ჯეროს, ვინ აღმო-
იკითხვიდეთ, ს(უ)ლი
ჩემი ცოდვილი მო-
იწყნენეთ წ(მიდა)სა ლოც-
ვასა თქ(უე)ნსა.
და ს(უ)ლი ი(ო)ვ(ა)ნე კუმ-
ურდჳელის(ა)ჲ[2].

რ(ომელმა)ნ ჴ[ელ-ჰყო ამისი]
შექმნ[აჲ...]
უ(ფალმა)ნ და[გაჯეროს]
ყ(ოველ)ნი მკ[ითხველნი და]
მსმენელ[ნი...]
და თუ ვ[ინმე წ(მიდას)ა მთასა მიი]-
წინეს.
(დაუწერელია 4 სტრიქონის ზომის ადგილი)
დაიწ[ერა...
ლ(ო)ც(ვა) ყ(ა)ვთ.

სხვა ანდერძი ამჟამად ხელნაწერს, თითქოს, არ მოეპოვება, აქედან კი ცხადია, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილი („ესე თავი"), გადაუწერია ვინმე თევდორე წყუდელელს და ხელნაწერის შექმნაში მონაწილეობა მიუღია იოვანე კუმურდოელს („რომელმან ჴელ-ჰყო ამისი შექმნაჲ").

ამ ანდერძის ფრაგმენტები სიტყვებამდე „ჴელ-ჰყო ამისი შექმნაჲ" მოჰყავს ალ. ცაგარელსაც, მაგრამ იგი დამატებით შემდეგს აღნიშნავს:

«Другим почерком прибавлено: შეიმოსა წმიდა ესე წიგნი... სინაწმიდასა ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისაჲთა, ბრძანებითა დეკანოზისა სინაწმიდისა... წელსა **ხჟპე** (981г.), ქ˜კსა **სა** (981г.)» (*Цагарели*, 1888, №69).

მაშასადამე, ხელნაწერის „შემოსვა" (ყდაში ჩასმა) მომხდარა 981 წელს, რაც, ცხადია, მისი შექმნის და ამ საქმეში იოვანე კუმურდოელის მონაწილეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ეს შემოსვა ხელნაწერის თავდაპირველ შემოსვას ნიშნავდეს და მასში შეიძლება მისი ხელმეორედ შემოსვა ვიგულისხმოთ, რაც ამ ხელნაწერის შექმნაში იოვანე კუმურდოელის მონაწილეობას რამდენიმე წლით უკან გადაწევს.

32 ხელნაწერი პატარა ზომისაა (11X10სმ.), თუმცა შეიცავს 164 ფურცელს (ალ. ცაგარელის მიხ.).

33 აქამდე ტექსტი გამოცემული აქვს აკ. შანიძეს (*შანიძე*, 1929, გვ. 345).

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ X ს-ის 70-იანი წლებიდან კუმურდოელ ეპისკოპოსად სხვა პირი ჩანს (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ვივარაუდოთ), რაც კარგად შეესაბამება იოვანეს საქართველოში მოღვაწეობის ბოლო წლების ქრონოლოგიას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადია, რომ იოვანე კუმურდოელს, კუმურდოს დიდებული კათედრალური ტაძრის აგების ინიციატორს, სიცოცხლის ბოლო წლები გაუტარებია ქრისტიანული აღმოსავლეთის წმ. ადგილებში, სადაც, როგორც განათლებულ და მწიგნობარ მოღვაწეს, მონაწილეობა მიუღია ქართული ხელნაწერების მოპოვებასა და შექმნაში.[34] სამართლიანად აღნიშნავს მის შესახებ ე. თაყაიშვილი, რომ «он приложил не мало труда к переписыванию и приобретению рукописей» (МАК, XII, с. 39).

სამწუხაროა, რომ X ს-ის II ნახ-ის ამ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის – იოვანე კუმურდოელის შესახებ სხვა უფრო კონკრეტული ცნობები არ შემონახულა.

ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ ის კუმურდოელი ეპისკოპოსები და მათი მოღვაწეობის ქრონოლოგია, რომლებიც კუმურდოს ტაძრის წარწერებში იხსენიებიან.

კუმურდოს ტაძრის წარწერებში დასახელებულია შემდეგი ეპისკოპოსები: *იოვანე* (№98,100-102), *ზოსიმე* (№114,115), *გრიგოლ* (№110,112), *გაბრიელ* (№117), *ეფრემ* (№116,117).[35] ამათგან იოვანე ეპისკოპოსი, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, გასაგებია, რომ X ს-ის 50-60-იანი წლების (შეიძლება ნაწილობრივ 70-იან წლებისაც) მოღვაწეა და ამ რიგში პირველია.

ზოსიმე კუმურდოელი (პირობითად, ზოსიმე (I) ორ წარწერაში იხსენიება და ერთ-ერთი წარწერის (№114) მონაცემების მიხედვით, მისი მოღვაწეობის დრო ასე თუ ისე განსაზღვრულია – დასავლეთ მინაშენის – „შტოჩს" ამ საამშენებლო წარწერაში მასთან ერთად დასახელებული ბაგრატ IV (1027-1072) და მისი დედა მარიამ დედოფალი. ამდენად, ზოსიმე (I) კუმურდოელის მოღვაწეობის დრო XI ს-ის შუა ხანებით შეიძლება განისაზღვროს (სამწუხაროდ, „შტოჩს" წარწერის 1027-1072წწ. უფრო ვიწრო დროით დათარიღების შესაძლებლობა არ არსებობს; იხ. №114-ის აღწერილობა).

ზოსიმე კუმურდოელის მეორე წარწერა (№115), ეკლესიის საკურთხევლის შემოსვის და ოქრომჭედელ დავითის ხელით ღმრთაების ხატის შემკობის შესახებ, ისეა ამოკვეთილი კედლის წყობაში უკვე ჩასმული ქვის ერთ-ერთ ფილაზე (იხ. ტაბ. 67), რომ მას შესრულების დროის მიხედვით უსწრებს გრიგოლ ეპისკოპოსის წარწერა გოლიათისათვის აღაპის დაწესების შესახებ (№110).

მაშასადამე, თუ პირობითად, ზოსიმე (I) კუმურდოელის ეპისკოპოსობის დროს X ს-ის შუა ხანებით განვსაზღვრავთ, გრიგოლ კუმურდოელის ეპისკოპოსობა, ასევე პირობითად, შეიძლება XI ს-ის I ნახ-ში ვივარაუდოთ.

კუმურდოს ტაძრის ერთ წარწერაში (№117), რომელიც ტაძრის კედელზე მდებარეობისა და შესრულების მიხედვით ყველა ზემოდასახელებული ეპისკოპოსის წარწერას უნდა უსწრებდეს ქრონოლოგიურად (ცხადია, იოვანე ეპისკოპოსის 964 წლის წარწერების გამოკლებით), ორი ეპისკოპოსია დასახელებული: *ეფრემი* და *გაბრიელი*. ამასთანავე, წარწერის ტექსტით, ეფრემი გაბრიელის სახელზე აღაპს აწესებს, ე. ი. მისი მოღვაწეობის დრო მოსდევს გაბრიელის ეპისკოპოსობას.

როგორც აღინიშნა, ეს წარწერა (№117) შესრულების ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით უსწრებს სხვა დანარჩენ წარწერებს. მაშასადამე, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, მივიღებთ ასეთ რიგს:

გაბრიელ→ეფრემ→გრიგოლ→ზოსიმე.

ამათგან, ზოსიმეს მოღვაწეობის დრო XI ს-ის შუა ხანებით განისაზღვრა, ხოლო გრიგოლისა – XI ს-ის I ნახ-ით. მაშინ გრიგოლისა და ეფრემისათვის, რომლებიც უთუოდ X ს-ის 50-60-იანი წლების მოღვაწე იოვანეს შემდეგ იყვნენ ეპისკოპოსებად (თუმცა, არ არის აუცილებელი იმის დაშვება, რომ მას მისდევდნენ), ადგილი რჩება, შესაბამისად, გაბრიელისათვის X ს-ის 70-80-იან წლებში და ეფრემისათვის – X ს-ის 80-90-იან წლებში.

ამრიგად, კუმურდოს ტაძრის წარწერების უძველეს ფენაში მოხსენიებული ეპისკოპოსებისა-

34 შდრ. *მენაბდე*, 1962, გვ. 512.

35 კუმურდოს ტაძრის ერთ-ერთ გვიანდელ წარწერაში (№122) იხსენიება მეორე ზოსიმე კუმურდოელიც (პირობითად, ზოსიმე II), მაგრამ იგი XVI ს-ის მოღვაწეა და მის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

თვის მივიღეთ მათი მოღვაწეობის შემდეგი დაახლოებითი ქრონოლოგია:

იოვანე – X ს-ის 50-60-იანი წლები,
გაბრიელ – X ს-ის 70-80-იანი წლები,
ეფრემ – X ს-ის 80-90-იანი წლები,
გრიგოლ – X ს-ის დასასრ. – XI ს-ის დასაწყისი, ან I ნახ.,
ზოსიმე – XI ს-ის შუა ხანები.

ცხადია, ეს ქრონოლოგია ვრცელდება ტაძრის იმ წარწერებზეც, რომლებშიც ისინია მოხსენიებული. თუ ამ წარწერებში მათ შესახებ მოცემულ ცნობებს მოვუყრით თავს, ასეთ სურათს მივიღებთ:

3. *გაბრიელ* – X ს-ის 70-80-იანი წლების მოღვაწე. წარწერის ტექსტიდან, თითქოს, ისე ჩანს, რომ იგი კუმურდოს მე-5(?) ეპისკოპოსია (იხ. №117-ის აღნერილობა). ეფრემ კუმურდოელმა ეპისკოპოსმა აღაპის დღედ დაუდო ყველიერის პარასკევი, წმიდათა მთავარანგელოზთა დღესასწაული (წარწ. №117). XIX ს-ის ავტორი პ. ცხვილოელი მიიჩნევს, რომ იგი შემდეგში გახდა კათალიკოსი და ცნობილია გაბრიელ III საფარელის (1065-1080) სახელით (*ცხვილოელი*, 1892, გვ. 2). რა ცნობებს ემყარება იგი, უცნობია.

4. *ეფრემ* – X ს-ის 80-90-იანი წლების მოღვაწე. გაუჩინა აღაპი გაბრიელ კუმურდოელს (№117) და უცნობ პირს, რომლის სახელი და ვინაობა არ შემონახულა წარწერის ფრაგმენტულობის გამო (№116). პ. ცხვილოელი მიიჩნევს, რომ ეფრემ კუმურდოელმა 1060-1070 წლებში კუმურდოს ტაძარში დააწესა აღაპი კათალიკოს გაბრიელ საფარელისათვის (1072-1089) (*ცხვილოელი*, 1892, გვ. 2). მისი არგუმენტაცია უცნობია.

5. *გრიგოლ* – X ს-ის დასასრ. – XI ს-ის დასაწყ., ან I ნახ. მოღვაწე. დაადგინა რამდენიმე აღაპი: გოლიათისათვის წმ. ეგნატეს დღე (წარწ. №116) და ქრისტეშობის წინა დღე (წარწ. "№111), მირდატისათვის – დიდი შაბათი (№111), მოლოზონისათვის – ბზობის პარასკევი, დღესასწაული მღვდელთმოძღვართა (წარწ. №112).

6. *ზოსიმე (I)* – XI ს-ის შუა ხანების მოღვაწე. მისი მღვდელთმთავრობის დროს, ბაგრატ IV (1027-1072) მეფობაში „აღეშენა" კუმურდოს ტაძრის „შტოა" – გარშემოსავლელი ღია გალერეის სახით (წარწ. №114). მასვე შეუმოსავს ტაძრის საკურთხეველი, დაუმზადებია ბარძიმ-ფეშხუმი, ჯუარი (როგორც ჩანს, საკურთხევლის წინამდებარე, ან სანინამძღვრე) და შეუმკია ტაძრის უმთავრესი სალოცავი – ღმრთაების ხატი დავით ოქრომჭედლის ხელით. მისთვის დაუწესებია აღაპის დღედ ბზობის *ე*, ე.ი. მეხუთე დღე, ანუ პარასკევი. ამ დღეს მას დაუწესებია აღაპი „კკრილეისონით", ხოლო მეორე მოსახსენებელი იმავე დავითისათვის დაუწესებია სამებობას, ე.ი. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს „შესუენებითა" (წარწ. №115). ზოსიმე კუმურდოელი მოხსენიებული ყოფილა ჯავახეთის კიდევ ერთ წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია ბერთაყანის (თმოგვის მახლობლად) ერთ-ერთი სახიზარი გამოქვაბულის კედელზე (ქსე, 2, 1977, გვ. 317). ალ. ცაგარელის ცნობაზე დაყრდნობით (*Цагарели*, 1888, с. 177) მიჩნეულია (*მენაბდე*, 1962, გვ. 513), რომ ზოსიმე (I) კუმურდოელის მინაწერები მოთავსებულია ჯვრის მონასტრის XI-XII სს. ერთ ხელნაწერზე (იერ. 116 – ალ. ცაგარელით, 73 – ბლეიკით: Blake, 1924, pp. 109, 112).[36] სინამდვილეში, ეს მინაწერი ეკუთვნის XVI ს-ის დამდეგის მოღვაწე კუმურდოელ მთავარეპისკოპოსს ზოსიმე (II) ნაუასძეს (იხ. ქვემოთ).

ასეთია რიგი ცნობები მათ შესახებ იმ კუმურდოელი ეპისკოპოსებისა, რომლებიც ტაძრის წარწერებში იხსენიებიან. თავისთავად ცხადია, არ არის აუცილებელი წარმოვიდგინოთ, რომ რიგი ეპისკოპოსებისა ზუსტად ასეთი იყო, ან რომ იგი სრულია. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის (მაგ. გრიგოლსა და ზოსიმეს შორის) მოღვაწეობდა კიდევ რომელიმე ეპისკოპოსი, რომლის სახელი ტაძრის წარწერებში არ აისახა. ასეა თუ ისე, ტაძარზე მოთავსებული წარწერების საშუალებით

36 ხელნაწერი წარმოადგენს ფსევდომაკარის თხზულებათა კრებულს. მისი ტექსტი და ხელნაწერის ახალი აღწერილობა (ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული როტოპირის მიხ.) გამოაქვეყნა გ. ნინუამ, (*ნინუა*, 1982, გვ. 52-54), მაგრამ ზოსიმე კუმურდოელის მინაწერის ტექსტი არც ამ აღწერილობაშია გამოცემული.

შესაძლებელი გახდა დაგვედგინა კუმურდოელ მღვდელმთავართა რიგი ერთი საუკუნის განმავლობაში – X ს-ის 70-იანი წლებიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე.

ამის შემდეგ, XI ს-ის 70-იანი წლებიდან (ზოსიმე (I) კუმურდოელის მოღვაწეობის დროიდან) XV ს-ის 50-იან წლებამდე, ე.ი. თითქმის 380 წლის განმავლობაში კუმურდოელ ეპისკოპოსთა შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები არ ჩანს.

პირველი კუმურდოელი მღვდელმთავარი, რომელიც XVს-ის შუა ხანებიდანაა ცნობილი, არის მთავარეპისკოპოსი *იოვანე (II) ლასურისძე*. მისი სახელი და მოღვაწეობის დრო ჩვენთვის ცნობილია ერთგულების წიგნის მიხედვით, რომელიც მას მიუცია ქართლის კათალიკოს დავითისადმი (1435-1439, 1443-1459) (იხ. *აქვე*, დამატება III, საბ. 1; *პალ*, II, 1993, გვ. 555).

ერთგულების წიგნი, მიცემული სხვადასხვა ეპარქიების მღვდელთმთავართა ან დიდი მონასტრების წინამძღვართა და არქიმანდრიტთა მიერ ქართლის კათალიკოსებისადმი, ქართული სამართლის წარმოებისა და ქართული დიპლომატიკის მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო ძეგლებია. ამ სახის საბუთების გაჩენა გამოწვეული იყო თავისებური ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებით, რომელიც გარკვეულ დროს შეიქმნებოდა ხოლმე ჯერ კიდევ ერთიანი, მაგრამ უკვე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის გზაზე შემდგარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ეპისკოპოსთა და მონასტრების წინამძღვართა ერთგულების წიგნები ქართლის კათალიკოსებისადმი, რომლებშიც ისინი პირობას დებენ, რომ მისი ერთგულები იქნებიან და სხვას არ დაემორჩილებიან, ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ასე მაგალითად, სხვადასხვა დროს – XV ს-იდან XVIII ს-ის ჩათვლით, ქართლის კათალიკოსებისადმი ერთგულების წიგნები მოუციათ მაწყვერელ, რუსთველ, კუმურდოელ, მანგლელ-ტფილელ, მტბეკარ, ვარძიის და ჯვრის მონასტრების წინამძღვრებს; ასევე, ცნობილია ჭყონდიდელის ერთგულების წიგნიც აფხაზეთის კათალიკოსისადმი და სხვ. (იხ. ქსძ, III, №24-27, 31, 38, 41, 42, 44, 49, 57, 60, 61, 68, 74, 129, 138, 174, 202, 203, 238, 245, 260).

ცხადია, ასეთი საბუთების წარმოქმნა გამოწვეული იყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის და ქვეყნის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცების ტენდენციით, როდესაც ეკლესია, მისი უმაღლესი ხელისუფლება, მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით – განკანონებისა და დაკრულვის მუქარით, ცდილობდა და, როგორც ისტორიული ფაქტებით ჩანს, წარმატებით ახერხებდა ერთიანობის შენარჩუნებას.

როგორც ცნობილია, ამ საქმეში განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს სამცხე-საათაბაგოს, ანუ იგივე სამცხის სამთავროს პოლიტიკურმა მესვეურებმა, რომლებმაც პოლიტიკურ სეპარატიზმთან ერთად საეკლესიო დამოუკიდებლობასაც მიჰყვეს ხელი. სამგზის – ივანე II ათაბაგის (1391-1444), ყვარყვარე II ათაბაგის (1451-1498) და მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515) დროს, შეეცადა სამცხის ხელისუფლება ამ კუთხის ეკლესიის საქართველოსთვის ჩამოცილებას, მაწყვერელის მეთაურობით ცალკე საეკლესიო მმართველობის შემოღებას, მაგრამ ქართლის კათალიკოსთა, განსაკუთრებით კათალიკოს დავით III გობელასძის (1435-1439, 1443-1459) ენერგიული წინააღმდეგობის გამო, მათი ცდები უშედეგოდ დამთავრდა.[37]

როგორც ცნობილია, სამცხის ეკლესიის ამ გამოყოფის ცდებში, მის ვითომცდა საეკლესიო სამართლის მიხედვით კანონიერებაში დიდ როლს თამაშობდნენ იერუსალიმისა და ანტიოქიის იმ დროისათვის (XV-XVIსს.) პოლიტიკურად და ეკონომიკურად მუსლიმთა მიერ დიდად შეჭირვებულ-დამცრობილი ეკლესიების მეთაურები, რომლებიც ზოგჯერ მატერიალური სახსრების შესაკრებად

37 როგორც იოანე ლასურისძე კუმურდოელის და ქერობინ აბელისძე ანწელი არქიმანდრიტის ერთგულების წიგნებითაა ცნობილი (ქსძ, III, №31, 38), დავით კათალიკოსი ყვარყვარეს ამ მოქმედების საპასუხოდ პირადად მისულა სამცხეში და დამდგარა „საფარის თავზედა"; ე.ი. საეკლესიო ცერემონიალი სამცხის გამდგარი ეპისკოპოსების „უჯუარობისა და შეუნდობლობისა" ჩაუტარებია ღია ცის ქეშ, რაც უფრო შთამბეჭდავი და ეფექტური იქნებოდა და არა დახურულ შენობაში, საფარის მონასტრის რომელიმე ტაძარში, ალბათ, ამ ამბის დამსწრე მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამოც (*შარაშიძე*, 1981, გვ. 92-93). „კათალიკოსის წყევლა-კრულვას უღრმესი შეძრწუნება გამოუწვევია სამცხის მორწმუნეთა შორის და ერთი დაკვრით ჩაუშლია ყვარყვარეს გეგმები" (*შარაშიძე*, 1981, გვ. 93). რა თქმა უნდა, კათალიკოსმა ამას მიაღწია იმის წყალობით, რომ მთლიანად სამცხის მოსახლეობაში დიდი იყო რწმენა ქვეყნის ერთიანობისა და სურვილი დედასამშობლოსგან განუყოფლობისა.

საქართველოში პირადად ჩამოსვლასაც არ თაკილობდნენ და გზად სამცხეში გავლისას იქაურ ხელისუფლებს მატერიალური გამორჩენის მიზნით ეკლესიის გამოყოფისა და დამოუკიდებლობის (მცხეთის ეკლესიისაგან) განტკიცების საქმეში იდეურ დახმარებას უწევდნენ. ასე მაგალითად, შემორჩენილია მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515) დროინდელი, ე.ი. XVI ს-ის დამდეგის ერთი ასეთი საბუთი, არაბულ-ქართული (ხი, Ad-503), რომლითაც *დროთეოს ანტიოქიის პატრიარქი მაწყურელს* ეპისკოპოსის კურთხევის უფლებას ანიჭებს („ებისკოპოსნი მისგან ეკურთხოდიან ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა ჰმორჩილებდენ და სჯულთა მას ერჩდენ და მისგან იმწყსებოდენ"). ხოლო თვითონ მზეჭაბუკ ათაბაგი ისეა წარმოდგენილი საბუთის ტექსტში, რომ, თითქოს ის იყოს მხოლოდ ნამდვილი, ჭეშმარიტი ნათლისღებით მირონცხებული ქრისტიანე („მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა") (*ქსძ*, III, 1970, №43).[38]

სამცხის ხელისუფალთა ამ მიმართულებით ბრძოლის პერიპეტიები და საეკლესიო პარტიკულარიზმის კრახი დაწვრილებითაა გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში (*ჯავახიშვილი*, 1948, გვ. 51-61, 164-167; *რეხვიაშვილი*, 1992, გვ. 45-48). არსებითია, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლებს ღრმა ეკონომიკური მოტივებიც გააჩნდა – საქართველოს ეკლესიას მთელს საქართველოში დიდძალი ქონება მოეპოვებოდა, რომლის დაუფლებასაც ასევე ცდილობდნენ ერთიანი ქვეყნიდან გამოყოფილი პოლიტიკური ერთეულების მესვეურნი.

ქრ. შარაშიძის სავსებით სწორი მოსაზრებით, „მესხეთის ეპისკოპოსების საერთგულო პირობის წიგნებში სრულიად ნათლად ჩანს დღემდის ჩრდილში დარჩენილი ერთ მუხლი, რომ მცხეთის „ძველთაგან საქონებელი და სამწყსო" საეკლესიო და სათავადო მამულების მოსარგებლე პირები, დიდი ხნიდან ტრადიციის ძალით („ვითა წესად ძეს"), უნდა ყოფილიყვენენ ქართლის კათალიკოსის „წლითიწლად მეძღუნენი და მოსამსახურენი" (*შარაშიძე*, 1961, გვ. 10).

მოკლედ, ამ ერთგულების წიგნებში თვალსაჩინოდ აისახა ცენტრალური ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესები სეპარატისტულად განწყობილი კუთხეების მიმართ.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის ერთგულების წიგნები, რომლებიც კუმურდოელ მღდელმთავრებს მიუციათ ქართლის კათალიკოსებისადმი. მათ შემოგვინახეს სამი კუმურდოელი მთავარეპისკოპოსის – იოვანე (II) ლასურისძის, გერასიმეს და ზოსიმე (II) ნაუასძის სახელები (ამ უკანასკნელის შესახებ სხვა წყაროც არსებობს).

7. *იოვანე (II) ლასურისძე* – მისი სახელი და კუმურდოელობა ჩვენთის ცნობილია იმ ერთგულების წიგნის მიხედვით, რომელიც მას 1451-1458 წწ. შორის უნდა ჰქონდეს მიცემული ქართლის კათალიკოს დავით III გობელასძისათვის (ხი, Hd-208. საბუთის დათარიღება იხ. აქვე, დამატ. III, სან. 1). შემონახულია ამ საბუთის დედანი იოვანე კუმურდოელის ერთწინადადებიანი მხედრული ხელრთულობით (იხ. ტაბ. XXXIV – წიგნში „კუმურდო"): „ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კუმურდოელ მთავარეპისკოპოსი იოვანე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა ზემოწერილთა მადლმან".

როგორც საბუთის ტექსტიდან ჩანს, იოვანე ლასურისძე ერთ-ერთი იმ მღვდელმთავართაგანია, რომლებიც „საფარისა თავზედა" დამდგარმა აკურთხა დავით კათალიკოსმა გამდგარი სამცხის ეპისკოპოსების სანაცვლოდ – „ესე წიგნი და პირი გაკადრეთ... ოდეს მაწყვერელი და სამცხისა ებიზკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაშნითა მაკურთხეთ"-ო, აღნიშნავს ის.

როგორც ჩანს, ასეთსავე ვითარებაში მოხდა მეორე სასულიერო ხელისუფლის – ანჩელი არქიმანდრიტის ქერობინ აბელისძის კურთხევა, რადგან მისი ერთგულების წიგნი, როგორც ეს ქრ. შარაშიძემაც აღნიშნა (*შარაშიძე*, 1961, გვ. 92), თითქმის, ხოლო ზოგჯერ ზუსტად, იმეორებს იმ ფორმულებსა და გამოთქმებს, რომლებიც გამოყენებულია ზოსიმე კუმურდოელის ერთგულების წიგნში.[39]

38 არსებობს ამ ორენოვანი საბუთის ქართული ნაწილის ორი გამოცემა (*ქსძ*, III, 1970, გვ. 240-241, 1155, №43). ქრ. შარაშიძის ცნობით, არაბული და ქართული ტექსტები ერთმანეთისათვის შეუდარებია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს რუსუდან გვარამიას (*შარაშიძე*, 1961, გვ. 96). სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის და სამცხის ისტორიის ამ დიდად მნიშვნელოვანი წყაროს არაბული ნაწილი ჯერაც გამოუქვეყნებელია.

39 როგორც ჩანს, ორივე ეს საბუთი ერთდროულად შედგა, ხელის მიხედვით – ერთი მწიგნობრის მიერ, რომლის სახ-

იოვანე კუმურდოელი პირობას აძლევს კათალიკოსს „ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული, მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვასა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ"-ო; შემდეგ – ყუარყუარე (ჯაყელი), სამცხის ათაბაგი, მანყუერლობას, ან სხუა რაიმე ჴელს შემოგვთავაზებს („გუაძლიოს"), თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად" „არა გამოვართოთ და არც არა ვუნდომო"-ო.[40] და ბოლოს – „ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძლუნენი და მოსამსახურენი"-ო, ანუ წესის მიხედვით ძლუენი მოგართვათ და გემსახუროთო.

როგორც ჩანს, იოვანე კუმურდოელის ეს და სხვა მისი მსგავსი ერთგულების წიგნები ინახებოდა მცხეთაში, საეკლესიო კანცელარიაში, ხოლო შემდეგ, XIX ს-ის ბოლოს თბილისში, საეკლესიო მუზეუმში. ამჟამად, როგორც აღინიშნა, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.[41]

8. გერასიმე კუმურდოელის სახელი ჩვენთვის ასევე ცნობილია მხოლოდ იმ ერთგულების წიგნის მიხედვით, რომელიც 1500-1503 წწ. შორის მიუცია მას ევაგრე ქართლის კათალიკოსისასთვის. ეს საბუთი, რომლის დედანმა მოაღწია ჩვენამდე, ცნობილი იყო ჯერ კიდევ მ. ბროსესათვის (*Brosset*, Rapp. VI, p. 6); იგი ასევე ცნობილი ყოფილა ე. თაყაიშვილისათვის, რომელიც მას საეკლესიო მუზეუმში გასცნობია. მაგრამ, ე. თაყაიშვილის საბუთის გამცემის გერასიმე კუმურდოელის სახელი გერმანედ წაუკითხავს (საბუთის ტექსტის ერთი ნაწილი მეტად გამკრთალებულია: იხ. აღწერილობა, *აქვე*, დამატ. III, საბ. №2) და XV ს-ის დასასრულისათვის ასახელებს სხვა წყაროებით უცნობ და, როგორც ჩანს, არარსებულ გერმანე კუმურდოელს (МАК, XII, с. 44).

საბუთს დართული აქვს გერასიმე კუმურდოელის შემდეგი ხელრთულობა: „მე, მთავარეფისკოპოსი კუმურდელი(!) გერასიმე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა ზემოწერილთა მადლმან". საბუთს ტექსტის მიხედვით, კუმურდოს საყდარი და ხელი გერასიმესათვის მზეჭაბუკ ათაბაგს (1500-1515) უბოძებია და ევაგრე კათალიკოსს (1480-1492, 1500-1503) უკურთხებია. გერასიმე კუმურდოელი, როგორც ეს მიღებული იყო ასეთი საბუთების დიპლომატიკური აგებულებით, პირობას აძლევს „თქუენგან შეუნდობელთა ეფისკოპოზთა გუერდი ჴამი არა ვწიროთ"-ო; „ვარძიისა და მისისა შესავლისა დიაკონი არა ვაკურთხოთ და არცა მათსა სამწყსოსა დავეცილოთ"-ო. თუ „ათაბაგი ყუარყუარე (იგულისხმება ყუარყუარე III 1515-1535) ან მათი შვილები მანყუერლობას, ან სხვა რაიმე ჴელს შემოგვაძლევენ და დაგუაპატიჟებენ, თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად არა გამოვართვათო." ფიცის ერთ-ერთი პირობაა – „ვითა წესად ძეს, წლითი წლად მეძლუნენი და მოსამსახურენი" ვიყოთ თქვენი საყდრისო.

ეს საბუთი საინტერესოა იმითაც, რომ მასში იხსენიება, როგორც ათაბაგი ყუარყუარე III (1500, 1515-1535), ისე მისი ძმისშვილი, ქაიხოსრო I-ის (1498-1500) ძე მზეჭაბუკი (1500-1515), რომელმაც ბიძას მისტაცა ათაბაგობა და საბუთის შედგენის დროისათვის ორივენი ცოცხლები ყოფილან.

ელი, სამწუხაროდ, საბუთების ტექსტში აღნიშნული არ არის (ეს არც იყო მიღებული ასეთი სახის დიპლომატიურ ძეგლში) და ჩვენთვის უცნობია (იხ. საბუთების დედნები – ხელნაწერთა ინსტიტუტი: Ad-512 და Hd-2082). ამიტომ, გაუგებარია რატომაა, რომ ბოლო გამოცემაში (ქსძ, III, 1970, №31, 38) პირველი საბუთი (იოვანე კუმურდოელისა) დათარიღებულია 1447-1459 წწ., ხოლო მეორე საბუთი (ანჩის არქიმანდრიტისა) – 1466-1479 წწ. მართალია, დავით გობელასძის კათალიკოსობის ქრონოლოგია, ძირითადი დასაყრდენი ამ საბუთების დათარიღებისათვის, შემდეგში დაზუსტდა, მაგრამ საბუთების ამ გამოცემაში მიღებული დათარიღებით მისი 40-წლიანი კათალიკოსობა 1447-1479 წწ. ისედაც წარმოუდგენელია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახელდახელო დკვირვებიდანაც ჩანს, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ერთგულების წიგნების დათარიღებები დასაზუსტებელია კვლევის ბოლო წლებში მიღებული ახალი შედეგების მიხედვით (ძირითადად, ვგულისხმობ, კათალიკოსთა ქრონოლოგიის არაერთგზის დაზუსტებას ქ-ნ ბაბილინა ლომინაძის მიერ; *ლომინაძე*, 1951, გვ. 67-74; *ლომინაძე*, 1966, გვ. 175-281; *ლომინაძე*, 1980, გვ. 317-319). კუმურდოელ მღვდელმთავართა ერთგულების წიგნების მიმართ ასეთ ცდას წიგნშიც აქვს ადგილი (იხ. *აქვე*, დამატ. III, საბ. №1,3).

40 სხვათა შორის, ამასვე წერს ანჩის ახალნაკურთხი არქიმანდრიტი (იხ. ქსძ, III, 1970, №38) და სხუა ყუარყუარეს მომსწრე გერასიმე კუმურდოლიც (იხ. *აქვე*, დამ. III, საბ. №2). როგორც ჩანს, ყუარყუარე მანყუერლობის შეთავაზებით და სამცხის ეკლესიის სათავეში ჩაყენებით (სულ ცოტა 12 ეპარქიის გამგებლობით: ქსძ, III, 1970, №46) ცდილობდა როგითი მღვდელმთავრების გულის მოგებას და თავის მხარეზე გადაბირებას.

41 იოვანე კუმურდოელის ამ საბუთის შინაარსი რუსულ ენაზე, ჯერ კიდევ 1881 წელს გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ: «1456 г. Кумурдский епископ Иоанн дает католикосу Давиду обязательство в том, что он всеми силами и средствами будет содействовать благосостоянию католикосской (Мцхетской) церкви и будет исполнять все его приказания» (*Пурцеладзе*, 1881, с. 105). თუ რას ემყარება საბუთის დ. ფურცელაძისეული პრინციპულად სწორი ქრონოლოგია (დღეს არსებული მასალებით იგი 1451-1459 წწ. თარიღდება) უცნობია.

სწორედ ამ ამოცანების და ევაგრეს კათალიკოსობის მიხედვით თარიღდება ეს საბუთი 1500-1503წწ. (დაწვრილებით იხ. *აქვე*, დამატ. III, საბ. №2).

სხვა ცნობები გერასიმე კუმურდოელის შესახებ არ მოგვეპოვება.

9. *ზოსიმე (II) ნაუსძე კუმურდოელის* შესახებ შემონახულია შემდეგი მასალა: კუმურდოს ტაძრის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანის წარწერა (№122), ერთგულების წიგნი ბასილი ქართლის კათალიკოსისადმი, მისი მინაწერები ხელნაწერებზე (A-1737 და იერ. 73), ჩანაწერი მის სახელზე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები 14 სექტემბერს.

ზოსიმე კუმურდოელს ცალკე ნარკვევები უძღვნეს ქრ. შარაშიძემ და ელ. მეტრეველმა. პირველმა XVI ს-ის დამდეგის სამცხის ათაბაგთა სახლის წევრთა ქრონოლოგიასთან დაკავშირებით (*შარაშიძე*, 1954, გვ. 212-213), ხოლო მეორემ – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში ზოსიმეს სახელზე აღაპის დაწესებასთან და იერუსალიმის ქართული კოლონიის წინაშე მის მიერ განეული ღვაწლის დახასიათებასთან დაკავშირებით (*მეტრეველი*, 1962, გვ. 81 (აღაპი №18), 122-123).

ქრ. შარაშიძე მიიჩნევდა, რომ ზოსიმე კუმურდოელს ჰყოლია ძმა ზებედე. ხელნაწერი კრებულის A-1737-ის გადამწერი, მაგრამ უფრო სწორად არის მიჩნეული (*მენაბდე*, 1962, გვ. 513, შენ. სქ. 3) ელ. მეტრეველის მოსაზრება, რომლის მხიედვითაც ზებედე ზოსიმეს ერისკაცობის სახელია და ამ სახელების ქვეშ ერთი პირი უნდა ვიგულისხმოთ (*მეტრეველი*, 1956, გვ. 0186, ქს. შენ. 3).

მაშასადამე, ზოსიმე კუმურდოელის შესახებ ზემოჩამოთვლილ მასალაში ქრონოლოგიურად სხვებს წინ უსწრებს ხელნაწერი კრებულის A-1737-ის მინაწერები. ზებედეს გადაწერილი ეს კრებული მცირე ზომის (14X19,5სმ.) ქაღალდის ხელნაწერია (249ფ.); იგი გადაწერილია ნუსხურით და ამჟამად რესტავრირებულია. ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ტექსტების – ლოცვების, ჰომილიების, საკითხავების (ძირითადად, მაინც ლოცვების) კრებულს. მას მოეპოვება გადამწერის, ზებედეს ორი ანდერძი:

1. „და ამისსა უცბად მჩხრეკალსა, ამა მორჭმულისა და ღმერთის მოყუარისა და გლახაკთ მოწყალისა პატრონისა გაზრდილისა *ნაუას ძესა ზებედეს* შეუნდვნეს ღმერთმან, და მისთა მშობელთა შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ, ამენ“ (137v).

2. „ამისსა უცბად მჩხრეკელსა *ზებედეს* და მშობელთა მისთა შეუნდნეს ღმერთმან, ამენ; და ვინცა შენდობით წარიკითხოთ, თქ(უ)ნცა შეგინდნეს ღმერთმან, ამენ“ (213r) (ქართ. ხელნაწ. აღწერ., A კოლექცია, ტ. V, 1955, გვ. 205).

1517 წლიდან ქართლის კათალიკოსის ტახტზეა ბასილი VI (1517-1528). სწორედ ამ დროიდან უნდა ვივარაუდოთ ზოსიმეს კუმურდოელობაც, რადგან ერთგულების წიგნში, რომელიც მას კათალიკოს ბასილისათვის მიუცია, წერს: „ესე წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ... მას ჟამსა, ოდეს კუმურდოველად(ი) ჴელნი დამესხენ და თქუენ მიერი კურთხევა მივიღეთ“-ო. ამ დროიდანვე უნდა ვივარაუდოთ ზოსიმეს მიერ კუმურდოს ტაძრის განახლებაში მონაწილეობის მიღება და შემდეგ მისი იერუსალიმს გამგზავრება, რადგან ტაძრის წარწერაშიც (№122) და იერუსალიმის ხელნაწერებშიც (იხ. ქვემოთ) იგი კუმურდოელად იწოდება.

ზოსიმე კუმურდოელის ერთგულების წიგნს (იხ. *აქვე*, დამატ. III, საბ. №3) დართული აქვს ზოსიმეს ერთსტუვიანი ხვეული ხელრთულობა („ზოსიმე“) (იხ. *აქვე*, ტაბ. XXXV). იგი პირობას სდებს „პატრონისა ათაბაგისა უზიანოსა საქმითა თქუენნი და თქუენისა საყდრისა გაუყრელნი და ერთგულნი ვიყოთ“-ო, „რაც მცხეთისა საყდრისა წლითი-წლად სამსახური გუმართებს“, არა დაგაკლოთო, „თქუენად შემოუკითხავათ სხუა ჴელი არა შევივლინოთ“-ო და სხვა ტრაფარეტული ფორმულებით შედგენილ დაპირებებს, რომლებიც ჩვეულებრივია ერთგულების წიგნების და მათ შორის ზოსიმეს წინამორბედი სხვა კუმურდოელების ერთგულების წიგნებისათვის.

იერუსალიმში ზოსიმე კუმურდოელს ჩაუტანია „საქონელი“ თავისი, მისი პატრონის ქეთაონ-ყოფილი ქრისტინას და ამ უკანასკნელის ასულის გულქანის სახელზე აღაპის დასადებად. მის შესახებ და, აგრეთვე, ფრანგთაგან გოლგოთის გამოხსნისათვის მის მიერ 400 ფლურის „გამოლებაზე“ ვრცელი და დაწვრილებითი ჩანაწერია შეტანილი ჯვრის მონასტრის სვინაქსარში 14 სექტემბრისათვის:

„მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი, მოიტანა ს(ა)ქონელნი მისიცა და პ(ა)ტრონის მისის(ა)ცა ქეთაონ-ყ(ო)ფილის(ა)ჲ ქრისტინესი და გულქანისი. მას ჟამსა ფრ(ა)ნგთა გოლგოთ(ა)ჲ წაგუარ-

თუჱს და მან დაჴსნა, ოთხასი ფლური გ(ა)მოიღო, დიდი საქმე ქნა, და ერთი კანდელი გოლგოთ(ა)ს და ერთი ჯ(უ)არს დაუკიდეთ სამუდამო. ვინ მოშალოს, ღმერთმან მისი ს(უ)ლი მოშალოს სასუფ(ე)ვ(ე)ლის(ა)გ(ა)ნ. პ(ა)ტრ(ო)ნსა ქრისტინეს შეუნდვნეს ღმერთმან. მისთ(ა)ჲ შევილთ(ა)ჲ იოთ(ა)მს და გ(უ)ლქ(ან)ს შეუნდვნეს ღმერთმან. ზოსიმე კუმურდოელს(ა)ჲ და მისთა მიცვ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლთა ყ(ოველ) თ(ა)ჲვე შეუნდვნეს ღმერთმან. მისს(ა)ჲ ხუცესსა ი(ო)ს(ე)ბს შეუნდვნეს ღმერთმან" (*მეტრეველი*, 1962, გვ. 81, ალაპი №18).

ელ. მეტრეველის გამოკვლევით, განსაკუთრებით გამწვავებულა ბრძოლა გოლგოთის გარშემო სწორედ XV-XVI სს. მიჯნაზე. დიდი ჯაფა გადახდომიათ ქართველებს იერუსალიმის ერთ-ერთ უმთავრეს წმინდა ადგილზე, გოლგოთაზე (სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს) ადრევე მოპოვებული უფლებების დასაცავად. მათ ამ საქმეში საქართველოდანაც, რომელიც ამ დროისათვის უკვე აღარ იყო წინანდებურად ძლიერი, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. ეს ჩანს ჯვარის მამად ენერგიული ბეენა ჩოლოყაშვილის გაგზავნით, რომელიც როგორც ხელჩართული ბრძოლით ისე სხვადასხვა საშუალებებით (მაგ., ღამის ორ საათზე ეკლესიისათვის კარების შებმით) ფრანგებს ერეკებოდა გოლგოთიდან და ცდილობდა იქ ქართველების უფლებების დაცვას. სწორედ ამ დროს ჩასულა იქ ზოსიმე კუმურდოელი და თავისი წვლილი შეუტანია გოლგოთის გამოხსნის საქმეში, რისთვისაც მის სახელზე ორი სამუდამო კანდელი დაუკიდიათ – ერთი გოლგოთის ეკლესიაში და ერთი ჯვრის მონასტრის ტაძარში.

ამ სააღაპე ჩანაწერს კიდევ ერთი პირის – იოსებ ხუცესის სახელი შემოუნახავს, რომელიც ზოსიმე კუმურდოელის, როგორც მღვდელმთავრის თანმხლები ხუცესი ყოფილა („მისსა ხუცესსაო", წერია ტექსტში) და, ალბათ, კუმურდოდან გაჰყვა მას იერუსალიმში. ამით კუმურდოს ტაძარში XVI ს-ის დამდეგს მომსახურე კიდევ ერთი პირის – იოსებ ხუცესის სახელი გახდა ჩვენთვის ცნობილი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, იერუსალიმში ყოფნისას ზოსიმეს ნუსხურით შესრულებული მინაწერი მოუთავსებია ერთ-ერთი ხელნაწერის (იერ. 73 ბლეიკით), ფსევდომაკარის თხზულებათა კრებულის, თავისუფალ გვერდზე:

„წ(მიდა)ო და ღუანწმრ(ა)ვ(ა)ალო, უძლევ(ე)ლო თ(ევდორ)ე მ(ო)წ(ა)მეო, შემიწყალე ს(უ)ლი|თა საწყ(ა)ლობ(ე)ლი, ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლი, ზოსიმე კუმურდოელი აქასა მსხემობ(ა)სა და მერმესა ს(აუ)კ(უ)ნ(ო)სა, კჳდრ(ა)დ მიჩინე, ა(მე)ნ: მე და ჩემნი მიც|ვ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლნი" (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფოტოპირების კოლექცია, იერ. 73 (ბლეიკით), 191v).

საინტერესოა ამ, ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო, მინაწერში ზოსიმე კუმურდოელის მიერ გამოყენებული გამოთქმა: „შემიწყალე... აქასა მსხემობასა და მერმესა საუკუნოსა". *მსხემობა* ნიშნავს *ყარიბობას*, უცხოობას (ერთ-ერთი მნიშვნელობით: *აბულაძე*, ლექსიკონი, 1973, გვ. 298). ზოსიმე კუმურდოელი ამ მინაწერს მართლაც უცხოეთში, იერუსალიმში აკეთებს, მაგრამ გამოთქმის აზრი უფრო სხვა რამეშია – აქა მსხემობა დაპირისპირებულია მერმე საუკუნოსთან, ე. ი. სააქაო საიქიოსთან, ანუ სააქაო ყოფა უცხოობად, ყარიბობად, დროებითად არის მიჩნეული საიქიო, საუკუნო ყოფის საპირისპიროდ. ზოსიმე კუმურდოელი ამ გამოთქმის გამოყენებით ერთგვარ სიტყვათა თამაშს, ფიგურულ ხერხს მიმართავს. სხვათა შორის, მსგავსი გამოთქმა („აქასა მსხემობასა მზეგრძელობით და მას საუკუნოსა მოწსენიებით") გამოყენებულია 1511 წელს, ზოსიმეს წრეში, ბანაში, ძელი ჭეშმარიტის მონასტერში გადაწერილი ერთი ხელნაწერის (საბაწმიდის ტჳპიკონი, A-647) ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერშიც ზოსიმეს პატრონის ქეთაონ-ყოფილ ქრისტინეს სადღეგრძელოდ („მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი") (*შარაშიძე*, 1954, გვ. 212).

10. წერილობით ძეგლებს შემოუნახავს ცნობები კიდევ ერთი კუმურდოელი მღვდელმთავრის – *სერაპიონ კუმურდოელის* შესახებ. ეს არის ერთი მინაწერი ხელნაწერზე იერ. 13 და ერთიც სააღაპე ჩანაწერი ჯვრის მონასტრის სვინაქსარში.

ხელნაწერი იერ. 13 (მარით) ქაღალდზე ნუსხა-ხუცურით გადაწერილი, XIV-XV სს. დათარიღებული მომცრო კრებულია. ხელნაწერის 4r გვერდზე მოთავსებულია მინაწერი:

„წ. ჯ(უ)არის მონ(ა)სტრისა ტრაპეზისა და ი(ოვან)ე მ(ა)ხ(ა)რებლის საყდრისა მეორედ აღმაშენებელსა, ამაღლებელსა(!), ყ(ოველ)თა ეპისკოპოსთა უნარჩევეს(ს)ა კუმურდოელსა სერ(ა)პიონს შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ, და მისთა დედაჲ-მ(ა)მ(ა)თ(ა)ცაჲ(!) შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(ერთმა)ნ, ა(მე)ნ" (*მარი*, 1955, გვ. 35).

ასეთივე ჩანაწერი, ოდნავ შემოკლებული ტექსტით, შეტანილია ჯვრის მონასტრის სვინაქსარში, სადაც სერაპიონ კუმურდოელის აღაპი დაწესებულია 19 სექტემბერს:

„ჯ(უა)რის პ(ა)ტრი(ო)სნისა ტრაპეზისა მეორედ სრულობით აღმაშენებელსა და ი(ოვან)ე მ(ა)ხ(ა)რებლისა საყდრის მეორედ აღმაშენებელსა, ამაღლებელსა, კუმურდოელსა სერაპიონს შეუნდვნეს ღ(მერთმა)ნ“ (*მეტრეველი*, 1962, გვ. 81 (აღაპი №21), 124).

სხვა მასალა სერაპიონ კუმურდოელის შესახებ საისტორიო წყაროებში არ ჩანს. როგორც ელ. მეტრეველი აღნიშნავს, „ხელის მიხედვით სერაპიონის აღაპი XV საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება“ (*მეტრეველი*, 1961, გვ. 124). ამიტომ სერაპიონი შეიძლება ზოგადად, XVI ს-ის მოღვაწედ მივიჩნიოთ. დიდია ცთუნება მისი გაიგივებისა *სერაპიონ მაწყვერელთან* იმ პირობით, რომ იგი შემდეგში მაწყვერელი გამხდარა, რომელიც ზარზმის მონასტრის სამრეკლოს 1577 წლის წარწერაში იხსენიება (*ბერიძე*, 1955, გვ. 125), მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდად შეიძლება დარჩეს.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, მივიღებთ კუმურდოელ მღვდელმთავართა შემდეგ რიგს:

1. *იოსებ* – 506 წლის ახლო დრო.

.....

2. *იოვანე* (I) – X ს-ის 50-60-იანი წლები.
3. *გაბრიელ* – X ს-ის 70-80-იანი წლები.
4. *ეფრემ* – X ს-ის 80-90-იანი წლები.
5. *გრიგოლ* – X ს-ის დასასრ. – XI ს-ის დასაწყისი, ან I ნახ.
6. *ზოსიმე* – XI ს-ის შუა ხანები.

.....

7. *იოვანე* (II) ლასურისძე – XV ს-ის შუა ხანები.
8. *გერასიმე* – XVI ს-ის დასაწყისი.
9. *ზოსიმე* (II) ნაუასძე – XVI 10-იანი წლების დასასრულიდან.
10. *სერაპიონ* – XVI ს-ის შუა ხანები.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც კუმურდოს ეპარქიასა და კუმურდოელ მღვდელმთავართა შესახებ შემოუნახავთ საისტორიო წერილობით წყაროებს.

3. კუმურდოელ მღვდელმთავართა ერთგულების წიგნები ქართლის კათალიკოსებისადმი

1
[1451–1459]. ერთგულების წიგნი იოვანე კუმურდოელისა დავით ქართლის კათალიკოზისადმი

დედანი; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2083; 1 ფურცელი; ქაღალდი; მხედრული; დაწერილი ფურცლის ორივე მხარეს; ზომა – 30X26,5სმ. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავნაკლული – აკლია შესავალი ნაწილის მე-3 და მე-4 სტრიქონი; გადანახევზე შეინიშნება ასოთა ქვედა ნაწილების კვალი. ტექსტი ნაკეცებზე უმნიშვნელოდ დაზიანებულია. რესტავრირებული ხელნაწერთა ინსტიტუტში.

საბუთს თარიღი არ უზის.

დ. ფურცელაძე (1881) საბუთის მოკლე შინაარსის მოტანისას რუსულ ენაზე, რაიმე არგუმენტაციის გარეშე, ათარიღებს 1456 წლით.

თ. ჟორდანიას მიერ დათარიღებულია, დავითის კათალიკოსობის მიხედვით, 1453-1459 წწ.

ამავე დათარიღებას იზიარებს ქრ. შარაშიძე. ი. დოლიძე საბუთს ათარიღებს 1447-1459 წწ. წარმოდგენილი დათარიღების საფუძველია კათალიკოს დავით III გობელაძის დაზუსტებული ქრონოლოგია. დავით III ორჯერ იყო ქართლის კათალიკოსად – 1435-1439 და 1443-145 წწ. (ქსე, 5, 1980, გვ. 318). რადგან საბუთში მოხსენიებულია ყუარყუარე II ათაბაგი (1451-1498), საბუთი, ცხადია, დავითის კათალიკოსობის მეორე პერიოდს განეკუთვნება და იგი, ამ მონაცემების მიხედვით, 1451-1459 წწ. უნდა დათარიღდეს.

გამოცემები:

1. Д. П. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары (грамоты), (Материалы для пятого Археологического съезда), Тиф., 1881, с. 105 (რუს., მოკლე შინაარსი).

2. თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, ტფ., 1897, გვ. 168 (შემოკლებით) (*ჟ*).

3. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები *ქრ. შარაშიძისა*, თბ., 1961, გვ. 25-27, №3 (*შ*).

4. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 196-197, 1150, №31 (*დ*).

[... ძელისა ცხოველ]|[2]ისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი ჩუენი ჴსნისათვის ჩუენისა;

თავს|[3]მდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მიქაელ და |[4] გაბრიელისითა, ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთათა;

თა|[5]ვსმდებობითა და შუამდგომლობითაწ(მიდ)ისა ი(ოვან)ე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედ|[6]ისა და ნათლისმცემლისათა და წმიდისა ი(ოვან)ე მახარებლისა და ღ(მრ)თისმ(ე)ტუელისათა;

|[7] თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა თავთა* მოციქულთა პე|[8]რეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა მოწაფეთათა, |[9] და წ(მიდა)თა** მოწამეთა: გ(იორ)გი, თეოდორა(!), დიმიტრი;

და უფროსღა ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის |[10] უაღრეს-უზეშთაესისა კათოლიკე დედაქალაქისა *მცხეთისა* საყდრისა და მას შინ ღ(მრ)თივ-აღმართებული|[11]სა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ(მერ)თმყოფელისათა;

და ყოვლად საში|[12]ნელისა *კუმურდოს* ხატისა თავსდებობით;

ამა ყოველთა ღ(მრ)თისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისა|[13]თა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, ესე წიგნი და პირი გკადრეთ, თქუენ, ქ(რისტ)ს |[14] ღ(მრ)თისა მ(იე)რ *ქ(ართლი)სა კ(ათალიკო) ზსა დავითს*, მე, *ლასურისძემან კუმურდოელმან ი(ოვა)ნე*, მის ჟამსა შედეგად, |[15] ოდეს მაწყუერელი და *სამცხისა* ებისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს *საფა*|[16]*რისა*** თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთხეთ.

აწ დღესითგან წაღმა, ჩემად |[17] დღედ სიკუდილამდი, ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული, მეფეთა მლოცველი და |[18] ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ.

ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნ|[19]დობელნი იყუნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ებისკო|[20]პოზთა გუერდი ჟამი არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყოსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან |[21] აჴსინითობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუიგიდეს. ვის სწყალოდეთ, ჩუენცა მისნი მლო|[22]ცველნი ვყუნეთ.

და თუ *ყუარყუარე* მაწყუერელობა ან სხუა რამე ჴელი გუაძლიოს და დაგუაპატი|[23]ჟოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა და დაემორჩილნენ, და რაზედაცა |[24] უწყრებით თქუენისა საყდრისა წესითა იგი ისრევე არა დაგეურვოს, რაგუარაც თქუენ და თქუე||[25]სა საყდარსა გმართებს, მით წესითა სხუა ჴელი არა გამოვრთო და არცარა ვინდომო |[26] თქუენად დაუმოწმებლად და შეუდობლად.

თქუენსა**** საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუ|[27]ნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველ-

ნი; ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძლუნენი |[28] და მოსამსახურენი.

ესე ასრე გაგითაოთ ღ(მრ)თმა)ნ, მამამან, ძემან და წმიდამან სულმან და |[29] იმა საშინელმა ხატმან *კუმურდოსამან*.

და რასაცა მიზეზისათუის ესე აღთქმა გიტყუო|[30]თ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ, ღ(მრ)თისა და მისთა |[31] წმიდათასა და კათოლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძუირისმოქ|[32]მედნი.

და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამან ვინ კაცმან შემინყნაროს, იგიმცა კაცი |[33] კრულია ღ(მრ)თისა დაუსაბამოსა პირითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა***** სადამდის თქუენვე არა |[34] შემინყალოთ.

ხელრთულობა (მხედრულით):

ჩუენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მიერ *კუმურდოელ* |[35] *მთავარებისკოპოზი ი(ოვა)ნე* ამა დაწერილისა გამთავე|[36]ბელი ვარ, ამა ზემოწერილთა მადლმან.|

---

* „თავთა“ ჩამატებულია სტრიქონებს შორის.

** აქედან ტექსტი დანერილია, მართალია, იმავე ხელით, მაგრამ უფრო წერილი კალმით და ოდნავ ბაცი მელნით.

*** ამის შემდეგ დამწერის მიერვე გადახაზულ-გადაშლილია ერთი სიტყვა.

**** ამის შემდეგ დამწერის მიერვე გადახაზულ-გადახაზულია რამდენიმე ასო.

***** „ზედა“, რომელიც საბუთის დამწერს გამორჩენია, მის მიერვე ჩანერილია სიტყვებს შორის.

1-13 *ძელისა*... შუამდგომელობითა – *ჟ*. 1-2 *ძელისა ცხოველისათა*]...ისათა *შ*. საბუთის ნაკლულ დასაწყისს ი. დოლიძე ასე აღადგენს: „[*ქ*. სახელითა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიმიასითა; ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისა ძელისა ცხოვრებ]ისათა“. 5 წ˜ისა ი˜ე *შ*, წმიდისა იოანე დ. 6 ნათლისმცემლისათა *შ*. 11 ღ˜თ˜მყოფელისათა *შ*. 12 ღ˜თისა *შ*. 13 და პირი – *ჟ*. ქრისტეს – *ჟ*. 14 ღტისა *ჟ*, ღ˜თისა *შ*. ბ˜რ *ჟ*. ქ˜სა კ˜ზსა *ჟ*. ყუმურდოელმა *ჟ*. იოანე *ჟ*, ი˜ე *შ*. შეგეგად (კორ.?) *ჟ*. 15 იყვნეს *ჟ*. 16-34 აწ... შემინყალოთ – *ჟ*. 19 იყვნენ *შ*. 24 რაგვარაც *შ* დ. 27 მეძულნენი *შ* დ. 28 ღ˜ნ *შ*. 29 მიზეზისათვის *შ*. ვიტყუოთ *შ*, გიტყუო დ. 30 ღ˜ისა *შ*. 32 საწყსომან დ. შეინყნაროს *შ*. 33 ღ˜თისა *შ*. 34 ქრისტეს ღმრთისა მიერ – *ჟ*. 35 მთავარებისკოპოზი *ჟ*. ი˜ე *შ*. გამთავებელი *ჟ*.

2
[1500–1503]. ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲙᲣᲛᲣᲠᲓᲝᲔᲚᲘᲡᲐ ᲔᲕᲐᲒᲠᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დედანი; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2130; 1 ფურცელი; ქაღალდი; მხედრული; ხელრთულობა – ნუსხური; დანერილი ფურცლის ორივე მხარეს; ზომა – 32X24სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავნაკლული – დასაწყისში აკლია შესავალი ნაწილის 2 ან 3 სტრიქონი. ტექსტი მარჯვენა მხარეს, ნახევარზე ცოტათი მეტზე, მეტად გამკრთალებულია და ადგილ-ადგილ გადასულიც. რესტავრირებული ხელნაწერთა ინსტიტუტში.

საბუთს თარიღი არ უზის.

პირველად დაათარიღა ქრ. შარაშიძემ ევაგრეს კათალიკოსობის წლების მიხედვით 1500-1509 წლებით. ეს დათარიღება გაიზიარა ი. დოლიძემ. ევაგრე ქართლის კათალიკოსად ორჯერ იყო: 1480-1892 და 1500-1503 წწ. (ბ. ლომინაძე, კათალიკოსი, ქსე, 5, 1980, გვ. 318). რადგანაც კათალიკოსად ყოფნის მეორე პერიოდს განეკუთვნება და იგი 1500-1503 წწ. უნდა დათარიღდეს, საბუთში მოხსენიებული ყუარყუარე უნდა იყოს ყუარყუარე III (1500, 1515-1535) – მზეჭაბუკის უფროსი ძმის, ათაბაგ

ქაიხოსრო I (1498-1500) ვაჟი, რომელიც 1500 წელს სამცხის ათაბაგი გახდა. მაგრამ მან იმავე წელს სამცხეში შემოჭრილ შაჰ-ისმაილის მარბიელ ლაშქარს ხულეფა-ბეგის მეთაურობით წინააღმდეგობა გაუწია და ათაბაგობა ბიძამისმა მზეჭაბუკმა (1500-1515) წაართვა. ასე რომ 1500 წლიდან სამცხეში მზეჭაბუკიც იყო ათაბაგი და რეალური ხელისუფალი და ყუარყუარე (მ. *რეხვიაშვილი*, სამცხის სამთავრო, თბ., 1992, გვ. 57-60). სწორედ ამიტომაა, რომ საბუთში ორივე იხსენიება.

გამოცემები:

1. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები *ქრ. შარაშიძისა*, თბ., 1961, გვ. 25-27, №3 (შ).

2. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 238-240, 1154, №42 (დ).

[...]თა, [მინ]დობითა და შუამდგო[მლობითა...] |[2] და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისითა, [...] |[3] ზეცისა ძალთათა, [...] |[4] ი(ოვან)ე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა და წ(მიდ)ისა [ი(ოვან)ე]|[5] მახარებელისა და ღ(მრ)თისმეტყუელისათა;

თავსმდებობითა და შუამდ|[6]გომელობითა წ(მიდა)თა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორთა [მო]|[7]ციქულთა და სამეოცდაათეულთა ქრისტეს მოწაფეთა და წ(მიდა)თა მოწამეთა: გ(იორ)გი, თ|[8]ეოდორა(!), დიმიტრი და პროკოპისითა;

და ყოველთა ჩრდილოეთის კედართა |[9] შორის უაღრეს-უზეშთაესისა კათოლიკე დედაქალაქისა *მცხეთისა* საყდრ|[10]ისა და მას შინა ღ(მრ)თივაღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუ|[11]ფოსა, და მირონისა ღ(მერ)თმყოფელისათა;

და ყოვლად საშინელისა *კუმურდოს* ხატი|[12]სა თავსდებობითა;

ამათ ყოველთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმ|[13]დებობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და პირი გკადრეთ და მოგ|[14]ახსენეთ თქუენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მიერ *ქართლისა კ(ათალიკო)ზსა ევაგრეს* მე, *კუმურ*|[15]*დოელ მთავაებისკოპოსმან გერასიმე*, მას ჟამსა, ოდეს პატრონმან *მზეჭაბუკ* |[16] შემიწყალა და *კუმურდოს* საყდარი* და ჴელი მიბოძა და თქუენს წინაშე საკურ|[17]თხეველად გამოგუზავნა და თქუენ შემიწყალეთ და მაკურთხეთ.

აწ დღესითგან |[18] წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი, ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული |[19] და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ|[20] მოგიხსენებდეთ.

ვინცა თქუენგან უჯუარო და შეუნდობელი იყოს, ჩუენგანცა |[21] უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ; თქუენგან შეუნდობელთა ეფისკოპოზთა გუერ|[22]დი ჟამი არა ვიწიროთ; *ვარძიისა* და მისისა შესავლისა დიაკონი არა ვაკურთ|[23]ხოთ და არცა მათსა** სამწყსოსა დავეცილოთ;

ვისცა უწყრებოდეთ, ჩუენგანც[ა შე]|[24]უნდობელნი იყუნენ; და ვისცა სწყალობდეთ, ჩუენცა მისი მლოცველნი ვიყუნეთ ||[25] და თქუენგან შეუნდობელსა შენდობა არა მივსცეთ, სადამდის თქუენგან აჴსინილობ|[26]ისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუვიდეს.

რაიცა თქუენისა საყდრისა*** [---]|[27]ო სამწყსო იყოს, მას ზედა ჴელი არა შევივლინოთ.

თუ ათაბაგმან *ყუარყუარე* და მათ|[28]თა შვილთა მაწყუერლობა ანუ სხუა რამე ჴელი გაუძლიოს და დაგუაპატიჟოს კურთ|[29]ხევისა მიზეზითა, სხუა ჴელი არა გა[მოვართუა და არარა ვინდომო თქუენად დაუ]|[30]მოწმებლად და შეუნდობლად.

თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და |[31] ერთგულთა**** მოყუარენი და მლოცველნი; და ვითა წესად ძეს, წლითი წლად მეძღუენი და |[32] მოსამსახურენი.

---

* თავდაპირველად ეწერა „საყდარსა“; *სა* გადაშლილ-გადახაზულია დამწერის მიერვე.

** თავდაპირველი „მათისა“ დამწერის მიერვე გადაკეთებულია „მათსა“-დ.

*** „საყდრისა“ წერია ორჯერ.

**** „ერთგულთა“ წერია ტექსტის დამწერის ხელით მის მიერვე გადაშლილ-გადახაზული სიტყვის ზემოდან, რომელიც ქრ. შარაშიძეს წაუკითხავს, როგორც „ყურისა“, ე.ი. თითქოს თავდაპირველად ეწერა „მო|ყურისა“.

და თუ ესე ასრე არა გაგითაოთ, ღ(მერთმა)ნ, მამამან, ძემან და წმიდამან [ს]||[31]ულმან და იმა საშინელმან ხატმან *კუმურდოსამან*, და რასაცა მიზეზისათა ესე |[34] აღთქუმა გიტყუოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე [ვიყუნ][35]ეთ; და ღ(მრ)თისა და მისთა წმიდათა და კათოლიკე ეკლესიისაგან განვიხსნეთ, ვითარცა |[36] ურჩნი და ძუირისმოქმედნი.

და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამან კაცმან შემი|[37]წყნაროს, იგიმცა კაცი კრულია ღ(მრ)თისა დაუსაბამოისა [პირითა ცათა და ქუეყა]||[38]ნასა ზედა სადამდის თქუენვე არა შემიწყალოთ.

ხელრთულობა (ნუსხურით):

მე, მთავარეფისკოპოსი |[39] *კუმურდელი*(!) *გერასიმე* ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა ზემო[ნ]||[40]ერილთა მადლმან.

1...თა][თავსმდებობი]თა დ. მინდობითა] [თავსდებობითა] *შ.* შუამდგომლობითა *შ.* 2. გაბრიელისითა+ც... *შ,* [ცხრა არვეთა და ცხრათავე] დ. 4 ი˜ე *შ,* იოანე დ. წ˜ისა *შ.* იოანე დ. 5 ღ˜თისმეტყუელისათა *შ.* და – *შ.* [და შუამდ]გომელობითა] [მინდობითა და] შუამდგომელობითა დ. 6 წ˜თა *შ.* 7 წ˜თა *შ.* გ˜გი *შ.* 10 თ˜თივაღმართებულისა *შ.* 11 ღ˜თმყოფელისათა *შ.* 12 ღ˜თისა *შ.* წ˜თა *შ.* 13 პირი და წიგნი *შ,* დ. 14 ღ˜თისა *შ.* კ˜ზსა *შ.* ევაგრის *შ* დ. 18 სიუდილამდე *შ* დ. 20 შეუნდობელნი დ. 27 მის *შ.* 30 და+მოყურისა *შ.* 35 ღ˜თისა *შ.* 37 პირითა ცათა შინა და]... *შ. შ*-სთან ხელრთულობა მიბმულია ძირითად ტექსტს. 38 მე]ჩუენ დ. მე+ღმრთისა მიერ დ. მთავარპისკოპოზი დ. 39 კუმურდოელი *შ,* კუმურდ[ო]ელი დ. გამათავებელი *შ* დ. [ნ]|ერილთა]|წე]რილთა *შ* დ.

3
[1519–1528]. ერთგულების წიგნი ზოსიმე კუმურდოელისა ბასილი ყოვლისა საქართველოსა პატრიარქ-კათალიკოზისადმი

დედანი; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2083; 1 ფურცელი; ქაღალდი; მხედრული; დაწერილია ფურცლის ცალ მხარეს; ზომა – 35X16სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. რესტავრირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

საბუთს თარიღი არ უზის.

თ. ჟორდანიამ საბუთი დაათარიღა 1519-1520წწ. ეს დათარიღება გაიზიარეს ქრ. შარაშიძემ და. ი. დოლიძემ. აქ წარმოდგენილი დათარიღების საფუძველია ბასილის კათალიკოსობის დაზუსტებული ქრონოლოგია (ბ. ლომინაძე, ქსე, 5, 1980, გვ. 318).

გამოცემები:

1. თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, ტფ., 1897, გვ. 345-346 (შემოკლებით – *ჟ*).

2. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები *ქრ. შარაშიძისა*, თბ., 1961, გვ. 30-31, №7 (*შ*).

3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 251-252, 1156, №49 (*დ*).

ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისა და წმიდ–ისა სულისათა.

|[2] ესე წიგნი გკადრეთ და მოგახსენე თქუენ, ყო|[3]ველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის

უაღრეს-უ|[4]ზენაეს-უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წ(მიდ)ასა[42*] კათოლ|5ლიკე(!) საყდარსა *მცხე-თას* და მას შინა ღმრთივა|ნღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფო|[7]სა და მირონსა ღმერთმყოფელსა და თქუენსა საჭ|8ეთმპყრობელსა, ქრისტეს მიერ *ყოვლისა საქარ*|[9]*თველოსა პატრიარქ–კ(ათალიკო)ზსა ბასილის*, ჩუენ *კუმურ*|[10]დოელ *მთავარეპისკოპოზმ(ა)ნ ზოსიმე*, მას უამს, |[11] ოდეს კუმურდოველად(!) ჴელნი დამასხენ და თქუენ|[12]მიერი კურთხევა მოვიღეთ, ასრე და ამა წესით:

|13 პატრონისა ათაბაგისა უზიანოსა საქმითა, თქუენნი და |[14] თქუენისა საყდრისა გაუყრელ-ნი და ერთგულნი ვიყუ|[15]ნეთ;

საღმრთოსა და სჯულიერთა საქმითა, რაც მცხეთ|[16]ისა საყდრისა წლითი-წლად სამსახური გუმართებს, |[17] როგორაც სხუათა სამცხისა ეპისკოპოზთა, რაც ოდენ ძალ-|18გუედვას, არც ჩუენ დაგაკლოთ;

და ვისაც სჯულისა |[19] საქმეზედა გაუწყრეთ და შეუნდობლად ამყოფილოთ, |[20] ჩუენგ(ა)ნც შეუნდობელი იყოს; და ვინც აკურთხოთ |[21] კურთხევისა მოწამენი ვიყუნეთ;

თქუენდად შემოუკითხა|[22]ვათ სხუა ჴელი არა დავაჭიროთ და არცა სად თქუენსა სამწყსო|23სა, უთქუენოთ ჴელი შევივლინოთ.

ვინც ესე გიტყუო|[24]ს, თქუენგ(ა)ნ უჯუარო იყოს, და წმიდათა მოციქულ|[25]თა და მამათა კა-ნონსა ქუეშემც მყოფ-არს.

ხელრთულობა (ხვეულად, მხედრულით):

ზოსიმე.

---

1 ქ. ... სულისათა – *ჟ.* წ˜ისა *შ.* 2 მოგაჴსენებთ *ჟ.* 2-8 თქუენ ... მიერ – *ჟ.* 6 წ˜ისა(!) *შ.* კათოლიკე *შდ.* 8 საქართველოს *ჟ.* 9 პატრიარქ-კათალიკოზსა] პატრიარქსა *ჟ.* 10 მთავარ-ეპისკოპოსმან *ჟ.* 11. კუმურდოელად *ჟ.* დამასხენით *ჟ.* თქუენ-მიერ *ჟ.* 13 ათაბაგის *ჟ.* 15 საღმრთოთა – *ჟ.* 16 გაუმართებდეს *ჟ.* 17 როგორც *ჟ.* 18 სჯულისა] სულისა *ჟ.* 19 საქმეზე *ჟ.* 20 ჩუენგანცა *ჟ.* ვინცა *ჟ.* 21 კურთხევისა მოწამენი ვიყუნეთ] კურ-თხეულ იყოს, მოწამეცა ვიყუნეთ *ჟ.* თქუენდა *ჟ.* შეუკითხავად *ჟ.* 22 არ *ჟ.* და – *ჟ.* არცა სად] არც სად *შდ.* 23 უთქუენოთ დ. ჴელი – *ჟ.* 24 წ˜თა *ჟ.* 25 ქუეშამცა *ჟ.*

---

42 * წ˜ისა *ნსხ.*

ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჯუკთა შემოსევის შესახებ XI ს. საქართველოში
(მირაშხნის წარწერა)

ვალერი სილოგავა

არტაანის მტკვრის ხეობაში, ვარძიის ცნობილი გამოქვაბულების დასავლეთით დაახლოებით ხუთ კმ-ზე, ოლონდ მდინარის მეორე, მარჯვენა ნაპირზე აღმართულია კლდე გამოქვაბულებით. მათ *ვერტაშის* გამოქვაბულებს, ხოლო თვითონ კლდეს *სამერცხლეს* უწოდებენ (სურ. 1). მათთან მდებარე უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფელი *მირაშხანი*, სადაც ამჟამად აჭარიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ. გამოქვაბულებს შორის ყველაზე მაღლა, მტკვრის დონიდან დაახ. 150 მეტრ სიმაღლეზე მდებარე გამოქვაბულში შესანიშნავ ძველ ქართულ წარწერას მიაკვლია ბ-ნმა *გივი გაფრინდაშვილმა*[1]. სამწუხაროდ, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მიკვლეული წარწერის ტექსტი დღემდე გამოუცემელია.

ბ-ნმა გაფრინდაშვილმა თავის დროზე (1953) გამოაქვეყნა წარწერის მოკლე შინაარსი და პატარა ზომის (8X5,5, სმ) ფოტო, რომელზედაც წარწერის ტექსტი წარმოდგენილია 6X4 სმ ზომაზე. იგი წერდა: „წარწერაში მოთხრობილია თურქების სულტანის ალფარსლანის შემოსევა საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში, ჯავახეთის ახალქალაქის ციხის აღება და აოხრება“, ხოლო სქოლიოში შენიშნავდა: „ვინაიდან ახალი ნავარძიევის წარწერის ამოკითხვა და გაშიფრა დამთავრებული არ არის და ამ წარწერაში, გარდა იმ საკითხისა, რასაც სტატიაში ვეხებით, მოსალოდნელია მესხეთის სხვადასხვა გეოგრაფიული სახელების ამოკითხვა, ამიტომ წარწერის ამოკითხული ტექსტი არ მოგვყავს“[2]. გამოქვეყნებული ფოტოს პატარა ზომის გამო მასზე წარწერის ტექსტის წაკითხვა, გარდა ცალკეული, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვებისა, შეუძლებელია და იგი მხოლოდ წარწერის დამწერლობაზე ქმნის ზოგად წარმოდგენას. რაც შეეხება წარწერის შინაარსთან დაკავშირებულ საკითხს, რომელსაც ავტორი სტატიაში ეხება, არის ის, რომ საისტორიო წყაროებით ჩვენთვის უცნობი იყო XI ს-ის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ერისთავთა ერისთავის ფარსმან თმოგველის ცხოვრების დასასრული; ხოლო ამ წარწერის ტექსტით გაირკვა, რომ იგი ყოფილა ახალქალაქის ციხის დამცველ მესხ აზნაურთა შორის და დაღუპულა ამ ციხის მტრისგან აღებისას. ამასთან, ავტორს მოჰყავს საისტორიო წყაროებში („მატიანე ქართლისაჲ“, „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“, ზედა თმოგვის წარწერები, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის ჩანაწერი) ფარსმან თმოგველთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცნობების ნაწყვეტები და ასკვნის: „წარწერაში მოთხრობილია ამბავი ალფარსლანის შემოსევისა. ამ მხრივ იგი ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლია, რომელიც, სხვა წერილობითი წყაროების გვერდით, დამატებით საინტერესო ცნობებს გვაძლევს და ამასთანავე კიდევ უფრო ამტკიცებს აღნიშნული შემოსევის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების სიზუსტეს“[3].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა მოგვიანებით, 1957 წელს ბ-ნმა გივი გაფრინდაშვილმა ალპინისტ *ა. ნემსიწვერიძის*, ექიმ *გ. ხეცურიანისა* და მწერალ *ლევან გოთუას* მონაწილეობით მოწყობილი ექსპედიციის დროს თრეხვის ქვაბებში (კასპის რ-ნი) მიაკვლია კიდევ ერთ წარწერას (1066 წ.), რომელშიც აღნიშნულია ალფარსლან სულტნის შემოსევის შესახებაც[4]. ამ წარწერას ქვემოთ

---

1 [1] გ. გაფრინდაშვილი, *ახალი ნავარძიევის წარწერა*, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 9, 1953, გვ. 35-36.

2 იქვე, გვ. 35.

3 იქვე, გვ. 36.

4 გ. გაფრინდაშვილი, *ლეონტი მროველის 1066 წ. საშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან*, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე“, I, 1961, გვ. 239-262, სურ. 1-6.

კიდევ დავუბრუნდებით.

რაც შეეხება მტკვრის ხეობაში აღმოჩენილ წარწერას და ადგილს, სადაც იგი აღმოჩნდა, გ. გაფრინდაშვილი „ახალ ნავარძევეს“ ან „ნავარძიევს“ უწოდებს, თუმცა, შემდეგში, მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილებში მას „მირაშხნის ქვაბის კედელზე ამოკვეთილ წარწერად“[5] ან „მირაშხნის ქვაბების წარწერად“[6] მოიხსენიებს. საბოლოოდ, ამ წარწერამ სამეცნიერო ლიტერატურაში „მირაშხნის წარწერის“, ხოლო გამოქვაბულმა, რომელშიც იგია ამოკვეთილი, „მირაშხნის გამოქვაბულის“ სახელი დაიმკვიდრა. ბუნებრივია, ჩვენც მას ამ სახელით მოვიხსენიებთ, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოქვაბულთან ყველაზე ახლოს სოფელი მირაშხანია.

წარწერის შესახებ, გარდა გ. გაფრინდაშვილის მიერ გამოქვეყნებული ცნობისა, სხვა მასალა უცნობი იყო. მისი დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის გამო, ამ ცნობის მიხედვითაც იგი სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელაა დამოწმებული[7].

1996 წლის ზაფხულში „ახალციხელი ეპისკოპოსის (ამჟამად ნეკრესელი მთავარეპისკოპოსი – ვ. ს.) მეუფე სერგის ლოცვა-კურთხევით ვარძიის მიდამოებში მოეწყო 3-დღიანი ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო წუნდის ტბის ფსკერისა და ვარძიის გარშემო მიუდგომელი გამოქვაბულების დაზვერვა“. ექსპედიციის წევრებმა, შეიძლება ითქვას, ხელახლა მიაკვლიეს მირაშხნის მათთვის უცნობ წარწერას და ამის შესახებ გამოაქვეყნეს ცნობა და წარწერის პატარა ზომის (5X4 სმ) ფოტოსურათი ახალციხის ეპარქიის გაზეთ „საფარაში“[8], ხოლო მათ მიერ მოპოვებული მასალა შესასწავლად გადმომცეს მე. ცხადია, ეს მასალა წარწერის მეტნაკლებად სრულყოფილი შესწავლისათვის საკმარისი არ იყო და ამ ჯგუფის წევრთა ერთი ნაწილის და კიდევ ახალ წევრთა მონაწილეობით იმავე წლის შემოდგომაზე წარწერა ადგილზე შევისწავლე[9].

გამოქვაბული, რომლის კედელზეც წარწერაა ამოკვეთილი, მარცხენა, აღმოსავლეთის განყოფილებაა რამდენიმე სექციისგან შედგენილი, როგორც ჩანს, ბერის საცხოვრებელი კოპლექსისა. გ. გაფრინდაშვილის მიხედვით, იგი „ძველად სამი სექციისგან ყოფილა შედგენილი. ქვაბულის ფასადი, რომელიც მტკვრის ხეობას გადმოჰყურებს, ჩამონგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ ქვით მიშენებული კედლის წყობის ნანგრევი“[10]. ასე ყოფილა ეს ნახევარი საუკუნის წინათ. ამჟამად მხოლოდ ორი სექცია, ანუ ერთიმეორის გვერდიგვერდ მდებარე ორი გამოქვაბულია შემორჩენილი, ხოლო „ქვით მიშენებული კედლების წყობა“, ისევე როგორც მესამე სექცია, არსად ჩანს.

წარწერა ამოკვეთილია მარცხენა, აღმოსავლეთით მდებარე გამოქვაბულის დასავლეთ კედელზე, ორი მეტრის სიმაღლეზე იატაკის დონიდან, ტექსტის ამოსაკვეთად საგანგებოდ გაპრიალებულ ზედაპირზე (სურ. 2 და ჩასაკეცი ტაბულა). კედლის ზედაპირი ამ ადგილას ოდნავ დაბლებულია და იგი მსხვილ ოთხკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩოს მარჯვენა მხარე, წარწერის სტრიქონების დასასრულთან ერთად, ჩამონგრეულია. წარწერის ტექსტის დასასრული ამოკვეთილია ჩარჩოს გარეთ, ზედა მარცხენა მხარეს, სამ მოკლე სტრიქონად (სურ. 3). წარწერის ძირითად

5 გ. გაფრინდაშვილი, *ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები*, კრ. „ძეგლის მეგობარი“, 3, 1964, გვ. 9.

6 იქვე, გვ. 8.

7 დ. ბერძენიშვილი, *ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, თბ., 1975, გვ. 103, 107; მისივე, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი–თორი, ჯავახეთი*, თბ., 1985, გვ. 91, 95, 115; მისივე, *„ახალქალაქი ჯავახეთისაჲ“*, ჟურნ. „არტანუჯი“, 7, 1998, გვ. 16.

8 *ექსპედიცია ვარძიის მიდამოებში*, „საფარა“, ახალციხის ეპარქიის გაზეთი, №5 (21), ივნის-ივლისი, 1996, გვ. 3.

9 გულითად მადლობას მოვახსენებ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს ბ-ნ **რამაზ ჯორჯიას**, ამავე ფაკულტეტის სტუდენტს (ამჟამად კურსდამთავრებულს) **ირაკლი სადათიერაშვილს**, ახალციხის ტელეკომპანია „ლომისის“ გენერალურ დირექტორს ბ-ნ **თამაზ პეტრიაშვილს**, ამავე ტელეკომპანიის ტელეოპერატორს **ბესარიონ ლაზარაშვილს**, რომელთა წინადადებით და დახმარებით, უშუალო მონაწილეობით და ხელშეწყობით შესაძლებლობა მომეცა 1996 წლის 30 ნოემბერს ადგილზე შემესწავლა მირაშხანის წარწერა. ამ ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალა, მათ შორის ვიდეოფირზე გადაღებული წარწერის შესწავლის პროცესი, მისი მთლიანი ხედი და ცალკეული დეტალები, ასევე ჩემ მიერ დადგენილი წარწერის ტექსტი, არაერთხელ გადაიცა ახალციხის ტელევიზიით და, ამდენად, ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის.

10 გ. გაფრინდაშვილი, *ახალი ნავარძიევის წარწერა*, გვ. 35.

ტექსტს, რომელიც ამოკვეთილია 11 სტრიქონად, ამჟამად უჭირავს ფართობი 60X50 სმ[11]. წარწერა დასაწყისში, განსაკუთრებით მე-3-10 სტრიქონებში ამოკვეთილია მოზრდილი ასოებით (სიმაღლე 1,5-4,5-5 სმ.), რომელთა ზომა მე-10-11 სტრიქონებში შედარებით მცირდება (სიმაღლე 0,8 – 1,5-2,5 სმ.). კედლის ზედაპირი გაშავებულია კვამლისაგან, ამიტომ ასოთა კვეთის ღარები, რომლებიც თეთრად ჩანს ზედაპირზე, მკაფიოდ იკითხება. ტექსტის დასასრული, როგორც აღინიშნა, ამოკვეთილია ძირითადი ნაწილის მარჯვნივ და ზევით. მას უჭირავს ფართობი – 27X15 სმ. იგი ამოკვეთილია ასევე დიდი ზომის (სიმაღლე 1-2-3,5 სმ.) ასოებით. აქ ტექსტი, ქვის ზედაპირის ატკეცვის და კედელზე ბზარის გაჩენის გამო, ძალზე ნაკლულია, თუმცა, მისი აღდგენა შესაძლებელია. ამდენად, მთლიანად წარწერა 14 სტრიქონისგან შედგება.

წარწერის ძირითადი ნაწილის პირველი ორი სტრიქონი სწორ ჰორიზონტალურ რიგადაა ამოკვეთილი; შემდეგი სტრიქონები, სამი უკანასკნელის გამოკლებით, ოდნავ გადახრილია მარჯვნისკენ. ტექსტი დაზიანებულია: იგი ნაკლულია მე-6 სტრიქონის დასაწყისში. ასევე, როგორც აღინიშნა, სტრიქონთა დასასრულები, დაახლ. 2-3 ასოს ზომაზე, გამოქვაბულია ფასადის ჩამონგრევის გამო, ნაკლულია. მთლიანი სახით, როგორც ჩანს, მხოლოდ ოთხმა სტრიქონმა მოაღწია (3, 7, 9, 11). განკვეთილობის ნიშნებად დასმულია ორწერტილი, რომელიც პირველ სტრიქონსა და მეორე სტრიქონის პირველ ნახევარში არ გვხვდება. ერთგან მე-8 სტრიქონში, სიტყვებს „მეფეს" და „მოკლეს" შორის, განკვეთილობის ნიშნად დასმულია სამწერტილი მარჯვნივ წაწვეტებით. ქარაგმის ნიშნად ორ ადგილას – მე-8 და მე-9 სტრიქონის ბოლო სიტყვებზე, დასმულია გრძელი, განივი სწორი ხაზი, ხოლო დარჩენილ შემთხვევებში – შედარებით მოგრძო ხაზები, ზემოთ ამართული დაკუთხული ბოლოებით. წარწერის დამწერლობა, რომელიც შერეული ხასიათისაა და ამის შესახებ ქვემოთ იქნება საგანგებოდ საუბარი, ასევე ქარაგმის ხაზები, კიდურწერტილოვანია. მთლიანად წარწერა მეტად აჟურულია და იგი წერტილებისა და კიდურწერტილოვანი ძაფებისაგან ნაქსოვი ბადის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მხრივაც მას ქართულ ეპიგრაფიკაში ანალოგი არ მოეპოვება.

პალეოგრაფიული დახასიათება. წარწერის დამწერლობა შერეული ხასიათისაა; იგი შედგება ასომთავრული, ნუსხახუცური, გარდამავალი მხედრული და მხედრული ასოებისგან. ამ მხრივ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ტრადიციულად პალეოგრაფიული მნიშვნელობის ასოები: *ანი, განი, დონი, ენი, ვინი, ინი, ონი.* არის თავისებური გრაფემაც, რომელიც ასეთი მოხაზულობით სხვა წერილობით ძეგლებში არ გვხვდება – *ყარი.* სხვა გრაფემებიც ხშირად ხელწერის ინდივიდუალური ნიშნებითაა აღბეჭდილი. ტაბულებზე (სურ. 4, 5, 6) წარმოდგენილია თითოეული გრაფემის ყველა შემთხვევა, რომელიც ტექსტში გვხვდება. სულ ტექსტში გვაქვს ძველი ქართული დამწერლობის 32 ასო; არ არის: ჱ, ჯ, ჩ, ძ და ჭ ასოები.

ანი წარწერაში დასტურდება ყველაზე მეტჯერ (26) და ყველაზე მეტი სახეობით. იგი წარმოდგენილია დამწერლობის ოთხი სახით – ასომთავრულით, ნუსხახუცურით, გარდამავალი მხედრულით და მხედრულით. ასომთავრულია *ანი* წარწერის მე-6, მე-7, მე-8 და მე-11 სტრიქონების სიტყვებში: „ასწყუიდა" (ბოლო, მეორე *ანი*), „დგა" და „და". ნუსხახუცური *ანი* დასტურდება წარწერის შემდეგ სიტყვებში: „გ`ა" (მე-3 სტრქ.), „მოვიდა", „და" (მე-4 სტრქ.) „ქრისტესა", „ახ`ლქლ..." (მე-8 სტრქ.), „წაიღო" (მე-6 სტრქ.), „ა`ზრი" (ე. ი. „აზნაური", მე-7 სტრქ.), „ასწ`დ..." (მე-8 სტრქ.), „ყ`ლთა" (მე-11 სტრქ.). გარდამავალი მხედრულია *ანი* სიტყვებში „ჟამს" (მე-2 სტრქ.), „გას" (მე-2 სტრქ.), „...იფა" (3-4 სტრქ.); ხოლო მხედრული მოხაზულობისაა *ანი* სიტყვებში: „ს`ხთა", „ღ`თითა", „დავ..." (1 სტრქ.).

ამათგან, დათარიღებისათვის, ცხადია, მნიშვნელობა აქვს გარდამავალი მხედრული და მხედრული მოხაზულობის *ანებს.* თუმცა, მირაშხნის წარწერაში წარმოდგენილი ასომთავრული *ანე*ბიც – ტანდაბალი და მრგვალი მოხაზულობის მუცლით, გრძელი, კიდურწერტილოვანი სწორი

11 გ. გაფრინდაშვილის ცნობით, წარწერა „ამოჭრილია კლდის ხორკლიანი ზედაპირის მოსწორებულ, 58,5 სმ.X50,5 სმ. ზომის სიბრტყეზე" (იხ. მისი, ახალი ნავარძიევის წარწერა, გვ. 35); ასეთი უმნიშვნელო განსხვავება ზომებში ყოველთვის მოსალოდნელია იმის მიხედვით, თუ გასაზომი სიბრტყის რომელი წერტილებიდანაა იგი აღებული. მე ავიღე სიგრძე-სიგანის უკიდურესი, მაქსიმალურად დაშორებული წერტილები.

განივი ხაზით, ამ ასოს განვითარების გარკვეული ეტაპისათვისაა დამახიათებელი და X-XI სს. წერილობით ძეგლებში გვხვდება.

მირაშხანის წარწერაში წარმოდგენილი გარდამავალი მხედრული *ანები* დასტურდება შემდეგ წერილობით ძეგლებში: ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. სიგელი ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი (სიტყვებში „გუი|მძიმდა“ – სტრქ. 15, „დაწყნარებისა“ – მეორე ა სტრქ. 17, „აღშენებუ|ლნი“ – სტრქ. 19 და სხვა)[12]. XI ს-ის შემდეგ წარწერა-გრაფიტოებში სვანეთიდან: სინელისათვის აუურის (ბიზანტიური წვრილი ვერცხლის ფულია) დათვლის წარწერა ადიშიდან („გუითვალეთ“)[13], ჯინჯეაღანის წარწერა აციდან „მთავარანგელოზო“ – პირველი და მეორე *ანები*)[14], ვახდაგ არმანიანის წარწერა იფრარიდან („ვახდაგ“, პირველი *ანი* და „არმანიანი“ ბოლო *ანი*. ეს წარწერა შესრულებულია 1096 წ-მდე)[15], წარწერის ორი ფრაგმენტი კალის „ლაგურკიდან“ („ივლიტა“)[16], უცნობი პირის წარწერა (ახელის ნაწილი დაფარულია 1140 წლის მხატვრობით) მაცხვარიშის „მაცხვარიდან“ („ამენ იყავნ“ – ორივე *ანი*),[17] ხარების წარწერა მუჟალის „თარინგზელიდან“ („ხარება“ – ორივე *ანი*)[18], ვახდანგ და იოვანე ერისთავების წარწერა მუჟალის „მაცხვარიდან“ („გარდაიცვალა“ – მეორე *ანი*)[19] და მრავალი სხვა.

ბანი წარწერაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება (მე-14 სტრქ. სიტყვაში „ბერი“). იგი სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა გამხედრებულებისკენ მიდრეკილებით. დამახასიათებელია მისი ქვედა მარყუჟის დაბოლოება ორკაპა თავით (სხვათა შორის, ასეთივე ორკაპია დასმული ასო *სანის* დაწერილობის ორიოდე შემთხვევაში – მე-3 და მე-8 სტრიქონებში). *ბანი* ასეთი მოხაზულობით ტიპიურია XI და ნაწილობრივ XII ს.-ის I ნახ-ის წერილობითი ძეგლებისათვის: იაკობის წარწერა და მისივე გრაფიტი სიმონეთის (თერჯოლის რ-ნი) ეკლესიიდან[20], მიქაელ ჩხიკვიანის მოსახსენებელი მაცხვარიშის „მაცხვარიდან“ („ცხორებასა“ – I სტრქ.)[21], ხუბასარის წარწერა (XI ს. II ნახ.) იმავე ეკლესიიდან („ხუბასარ“)[22] და სხვა.

განი, მსგავსად *ბანისა*, ასევე სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა გამხედრულებისაკენ მიდრეკილებით. წარწერის ტექტში ეს ასო ხუთჯერ გვხვდება და ყველა შემთხვევაში ნიუანსურად განსხვავებული მოხაზულობით. ამ ხუთ შემთხვევაში სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ასოს თავი დაკბილულია, ასოს თავის პირველი ნაწილი მომრგვალებულია და ასოს თავი სწორია, საიდანაც პატარა ვერტიკალური მორჩი ჩამოდის. სამივე ტიპს უამრავი პარალელი მოეპოვება XI ს-ის წერილობით ძეგლებში, განსაკუთრებით წარწერა-გრაფიტებში. მაგ., დაკბილული თავითაა *განი* წარმოდგენილი მჩიამის წარწერაში აცის „თარინგზელიდან“ („მთავარანგელოზო“ – 1 სტრქ.)[23], ერთკბილიანი მომრგვალებული თავით – მირაშხნის წარწერის მე-2 ტიპის *განის* მსგავსად სიტყვაში „გა˜ჲ“ – აცის თარინგზელის იოვანეს წარწერაში („მთავარანგე|ლოზო]“ – 1

12 *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ.I, IX-XIII ს.ს. საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 273. ბაგრატ IV-ის ამ სიგელის *ანები*, ისევე, როგორც მისი სხვა გრაფემები წარმოდგენილია ცალკე ტაბულაზე, რომელიც ერთვის სვანეთის წარწერა-გრაფიტების პალეოგრაფიულ გამოკვლევას (*სვანეთის წერილობითი ძეგლები*, II, გვ. 166). აქ მირაშხნის წარწერის გარდამავალი მხედრული *ანის* მოხაზულობისაა მეხუთე და მეექვსე მწკრივის *ანები*.

13 *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, II, *ეპიგრაფიკული ძეგლები*. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988, გვ. 235.

14 იქვე, გვ. 241.

15 იქვე, გვ. 267.

16 იქვე, გვ. 288, 289.

17 იქვე, გვ. 309.

18 იქვე.

19 იქვე, გვ. 401.

20 *ქართული წარწერების კორპუსი*, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX–XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ.111.

21 *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, II, გვ. 305.

22 იქვე, გვ. 314.

23 იქვე, გვ. 238.

სტრქ. დასასრული)[24] და სხვა. სწორი განივი ხახით და მასზე მიბმული პატარა მორჩისთავიანი *განი* შეიძლება დავადასტუროთ თვით ჭედურ წერილობით ძეგლებში; იხ. წმ. გიორგის გამოსახულების განმარტებითი წარწერა ნაკიფარის XI ს-ის წმ. გიორგის ხატზე[25]. სხვათა შორის, მირაშხნის წარწერაში ერთგან განის მუცლის ხაზი ქვემოთ, მომრგვალების ადგილას „გაწყვეტილია". ასეთ განს XI ს-ის წარწერებში რამდენიმე ზუსტი ანალოგი მოეპოვება. ერთ-ერთია განმარტებითი წარწერა გულიდის (ლენტეხის რ-ნი) მაცხოვრის ეკლესიის კანკელის წინ დასადგმელ ხის ჯვარზე, სადაც განის მუცლის ქვედა ხაზიც ასეთი სახითაა გადმოცემული[26].

დონი წარწერაში წარმოდგენილია ორნაირი მოხაზულობით: ასომთავრულით და გარდამავალი მხედრულით. ამ უკანასკნელი მოხაზულობით იგი გვხვდება ორ შემთხვევაში: „დაეწერე" (1 სტრქ.) და „ოდეს" (მე-2 სტრქ.). ყველა სხვა 16 შემთხვევაში დონი ასომთავრული მოხაზულობისაა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წარწერის შემსრულებელმა თავიდან დაიწყო დონის გადმოცემა გარდამავალი მხედრულით (პირველ ორ შემთხვევაში გადმოსცა კიდეც ასე), მაგრამ შემდეგ ასომთავრულით გააგრძელა. ნიშანდობლივია, რომ ის ორი გარდამავალი მხედრული დონი მომდევნო ასოსთან გადაბმულადაა ამ მოხაზულობით გადმოცემული, ხოლო დანარჩენი დონები, ბუნებრივია, ცალკეა, რომელიმე ასოსთან გადაბმის გარეშე ამოკვეთილი. გარდამავალი მხედრული დონები, ე. ი. ისეთი *დონები*, რომლებიც ოთხხაზოვანი ბადის შუა ხაზებშია განთავსებული, ტიპიურია XI საუკუნის წერილობითი ძეგლებისათვის. ერთ-ერთი *დონი* ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. სიგელში ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი[27]. წარწერა-გრაფიტებიდან მისი ზუსტი ანალოგიაა *დონების* ერთი წყება სინელის XI ს-ის წარწერაში ადიშის მაცხოვრის ეკლესიიდან („და" – 1 სტრქ; „დიდებით" – მე-4 სტრქ; „დიდთა", „დაჯდომასა" – მე-5 სტრქ.)[28] და სხვა.

მირაშხანის წარწერის მეორე, ასომთავრული დონი გადმოცემულია უყელო მოხაზულობით, ე. ი. ზედა განივი ხაზი, რომელიც ზოგჯერ სწორია და ზოგჯერ ოდნავ კლაკნილი, უშუალოდ ეკვრის, „დადებულია" ასოს მუცელზე. ეს უკანასკნელი არის არა მრგვალი, როგორც მიღებულია, ჩვეულებრივ, ასომთავრული დონების დაწერილობაში, არამედ ზემოდან ფართოდ გადაშლილი მოხაზულობისა. ითვლება, რომ ასეთი *დონი* არქაულია; მართლაც, იგი დასტურდება ურბნისის ტაძრის აბიათარ დეკანოზის X საუკუნის წარწერაში[29]. მაგრამ მირაშხნის *დონი* მისგან განსხვავებულია – აქ უფრო მეტადაა გადაშლილი *დონის* წრის თავი. ამ მოხაზულობით ეს ასო შუა საუკუნეების საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში გავრცელებული სპილენძის მრგვალ, ფართოპირიან ქვებს ჩამოჰგავს. ცხადია, ეს *დონებიც* ასეთი მოხაზულობით XI ს-ეს განეკუთვნება და შემსრულებლის ინდივიდუალური ხელწერითაა აღბეჭდილი. ლაპიდალური წარწერებიდან ასეთი *დონის* ზუსტი ანალოგია ორი *დონი* (მე-2 და მე-3 სტრქ.) იოვანე ბოლნელის ეპიტაფიიდან (IX ს.)[30].

ენი, მსგავსად *ბანისა* და *განისა*, ასევე სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა და მათსავით რამდენადმე განიერია და „გაბერილი". ორიოდე შემთხვევაში *ენის* განივი ხაზი მარჯვნივ ჩამოშვებული მცირე მორჩის გარეშეა წარმოდგენილი და ეს იმ შემთხვევებში, როდესაც იგი მის წინ ამოკვეთილ ასოს ებმის („მეწიფა" – მე-3 სტრქ; „მეტად" – მე-5 სტრქ. „მესხი" – მე-7 სტრქ).

ვინი, ასევე სწორი ეპიგრაფიკული მოხაზულობისაა. მისი თავი წარმოდგენილია ორი ვარიანტით: ერთ შემთხვევაში იგი სამკბილიანია, ისე, რომ ორი კბილი ბუნის მარცხნივაა და მომრგვალებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში ორკბილიანია – თითო მომრგვალებული კბილი ბუნის ორივე

24 იქვე, გვ. 244.

25 Т. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Иллюстрации, 1959, Тб., 229, 230. მ. ახალაშვილი, X-XV სს. ნარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987, გვ. 21.

26 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 114.

27 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973, გვ. XIV.

28 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 234.

29 ქართული ნარწერების კორპუსი, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 200.

30 იქვე, გვ. 153. ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები (ზოგადი მიმოხილვა), კრ. „დმანისი", II, თბ., 2000, გვ. 242, სურ. 8 (გვ. 286).

მხარეს. პირველი მოხაზულობის *ვინი* ჩვეულებრივია, როგორც რბილ საწერ მასალაზე შესრულებულ წერილობით ძეგლებში (იხ. ბაგრატ IV-ის სიგელი 1054-1072 წწ.[31]), ისე წარწერებში; ხოლო მეორე – უპირატესად გავრცელებულია ეპიგრაფიკაში: ზვიადის XI ს. წარწერა პერევისის ეკლესიიდან („ზვიად")[32], ყველა *ვინი* სიმონეთის ეკლესიის XI ს-ის სამ წარწერაში[33] და სხვა.

ზანი სწორედ ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა და რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა.

თანი ხუთივე შემთხვევაში მხედრული დამწერლობისაა. მას კარგი პარალელები მოეპოვება ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. სიგელში, თუმცა შემდეგ ხანებშიც (XII-XV სს.) იგი ასეთივე მოხაზულობისაა[34].

ინი ორი – ნუსხახუცური და გარდამავალი მხედრული, ანუ XI ს-ის მოხაზულობისაა. ეს უკანასკნელი გადმოცემულია მარცხნივ გახსნილი ნახევარწრის, ან მარჯვნივ წაწვეტებით მიერთებული და მარცხნივ გახსნილი ორი პატარა ხაზის სახით. მარცხნივ გახსნილი ნახევარწრის მოხაზულობითაა *ინი* გადმოცემული XI-XV სს. წერილობით ძეგლებში[35] და, მათ შორის, წარწერებში: იოვანე გიორგი ბერის ძის XI ს. წარწერა აცის „თარინგზელიდან" („ი~ე", „გ~ი", „ძეი")[36], მათეოს ხუცესის წარწერა (XI ს.) ნაკიფარის „ჯგრაგიდან" („დაიცვე", „ძმისწული")[37] და სხვა.

კანი აქ წარმოდგენილი მოხაზულობით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გრაფემაა პალეოგრაფიული თვალსაზრისით. ოდნავ დახრილი ორი ვერტიკალური ხაზი აქ ერთმანეთს უერთდება სწორი განივი ხაზით. ასომთავრულში ამ განივი ხაზის ნაცვლად წრე, ხოლო ნუსხახუცურში რომბია წარმოდგენილი. ცხადია, რომ მირაშხნის წარწერაში წარმოდგენილი *კანის* მოხაზულობა შუალედური ხასიათისაა ნუსხახუცურიდან მხედრულისაკენ განვითარების გზაზე და აქ გარდამავალი მხედრული მოხაზულობისად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ასეთი მოხაზულობის *კანი* ძალზე იშვიათია და გვხვდება სულ რამდენიმე წერილობით ძეგლში, რომლებიც გამოცემაში დათარიღებულია რამდენიმე საუკუნის განსხვავებით.

პირველად ასეთი მოხაზულობის *კანი* დაფიქსირდა უბისის ტაძრის (ხარაგაულის რ-ნი) აღმოსავლეთის ფასადის ერთ-ერთ წარწერაში. იგი ტექსტის თავში დასმულ გოლგოთაზე აღმართული ჯვრისა და ორი სიტყვისაგან შედგება: „† მავრიკ მ~ბლი". მეორე სიტყვას შიფრავენ, როგორც „მაშჩნებელი". მაშასადამე, „მაერიკ მაშენებელი".[38] ეს მავრიკი რ. შმერლინგმა მიიჩნია მის მიერვე IX ს-ის II მეოთხედით დათარიღებული უბისის ტაძრის მაშენებლად – იგი წერს: „წარწერა... გვამცნობს ეკლესიის მშენებლის – მავრიკის სახელს"[39]. ტექსტის დასაწყისში გოლგოთაზე აღმართული ჯვრის დასმისა და განკვეთილობის ნიშნად მარჯვნივ წაწვეტებული სამწერტილის გამოყენების გამო, ცხადია, რომ წარწერა რამდენადმე უფრო გვიანდელ დროს განეკუთვნება, მაგრამ არსებული სპეციალური პუბლიკაციის გავლენით იგი IX სს-ით დავათარიღე[40]. კიდევ უფრო გვიანდელ ხანას – XII ს. აკუთვნებდა წარწერას შ. ამირანაშვილი[41].

ცხადია, *კანის* ასეთმა უჩვეულო მოხაზულობამ რ. შმერლინგის საგანგებო ყურადღება მიიქცია და იგი წერდა: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გახსნილი ჩ-ს ორიგინალური მოხაზულობა, რომელსაც მსგავსი რედაქციით ვნახულობთ ქართული ეპიგრაფიკის კიდევ ერთ, სამწუხაროდ,

31 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV

32 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 108.

33 იქვე, გვ. 110-112.

34 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV

35 იქვე, გვ. XIV, XV

36 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 244.

37 იქვე, გვ. 335.

38 ქართული წარწერების კორპუსი, II,გვ. 29, ტაბ. 2

39 რ. შმერლინგი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XVI, №2, თბ., 1955, გვ. 170, 173.

40 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 29.

41 Ш. Амиранашвили, Убиси, Материалы по истории грузинской стенной живописи, Тифлис,1929, с. 1-4.

დაუთარიღებელ ძეგლზე"[42]. თუ რომელი იყო ეს ძეგლი, ასევე სამწუხაროდ, მას არ დაუსახელებია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს უნდა იყოს მაჭის (თორღას/თორღვას) ციხის (კახეთში) წარწერა, რომელიც გამოსცეს ჯერ მ. ჯანაშვილმა (1913), შემდეგ ზ. ედილაშვილმა (1947) და ბოლოს თ. ბარნაველმა (1961-1962)[43] და რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში[44]; ამის გამო მასზე ხელი ადვილად მიუწვდებოდა რ. შმერლინგსაც. წარწერა მოღწეულია მეტად დაზიანებულად. მის მე-3-4 სტრიქონებში იკითხება „ახსართან ქორეპისკოპოსი (?), რანთა და კახთა მფლობელი", რომელსაც კახთა მეფე აღსართან II-ედ (1102-1105) მიიჩნევენ და წარწერასაც ამის მიხედვით ათარიღებენ. საფუძვლად მოჰყავთ შემდეგი: წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ იგი შესრულებული უნდა იყოს XII საუკუნის ფარგლებში"[45]. „საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგის" ცნობით, „ძეგლი, მასში მოხსენიებული პირის მიხედვით, უნდა დათარიღდეს XI-XX საუკუნით"[46]. მეც ვთვლი, რომ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, რომელთა განხილვის ადგილი აქ არ არის, ძეგლი XI ს-ისაა და მასში მოხსენიებული უნდა იყოს კახეთის მეფე აღსართან I (ვახუშტის მიხედვით – 1058-1084)[47]. *კანი*, მირაშხნისა და უბისის წარწერების *კანის* მსგავსი მოხაზულობით, მასში დასტურდება მე-4 სტრიქონის ბოლო სიტყვაში „კახ[თა]"[48].

კანები მირაშხნის, უბისის და მაჭის წარწერების *კანების* მსგავსი მოხაზულობით დადასტურდა სვანეთის რამდენიმე წარწერა-გრაფიტშიც: იოვანეს მოსახსენებელი წმ. ეკატერინეს ფრესკასთან იფრარის (კალა) „თარინგზელში" („ეკატერინე" – 1 სტრქ.)[49], იოვანე ინასარისძის მოსახსენებელი კალის „ლაგურკიდან" („კრიკე" – 1 სტრქ.)[50], იოვანე და ბენდეს ორი სხვადასხვა წარწერა იმავე ეკლესიიდან (სიტყვებში „კ˜ე")[51], მიქაელის წარწერა ტვიბის (ჩოლური, ქვემო სვანეთი) „თარინგზელზე" („ჭიგოკი" მე-3 სტრქ.)[52], დერინეს წარწერა ფხოტრერის „თარგლეზერიდან" („ნაიკითხოს" მე-2 სტრქ.)[53] და სხვა. ყველა მათგანი XI ს-ით თარიღდება.

ასეთივე მოხაზულობის რამდენიმე *კანი* აღმოჩნდა ჭყონდიდის ტაძრის წარწერა-გრაფიტებში. მათ შორის ერთი გამოქვეყნებულიცაა[54], მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით XI ს-ის ეს წარწერა, რატომღაც XVI-XVII სს.-თაა დათარიღებული[55]. იგივე *კანი* დასტურდება იმავე ტაძრის XI ს-ის სხვა წარწერის ფრაგმენტში: „[...ვინ] წამიკით[ო]თ [და ლოც]ვა[სა] მომიჴსენო[თ...]"; ასევე ვინმე გიორგი კოროს XI ს. წარწერებში (ეს ორი წარწერა გამოუქვეყნებელია) და კატაის ერთ-ერთ წარწერაში, რომლის მხოლოდ ტექსტია გამოცემული[56].

ამრიგად, მირაშხნის წარწერის *კანის* მსგავსი *კანები* აღმოჩნდა უბისის ტაძრის, მაჭის ციხის

---

42 რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

43 კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა, თბ., 1961, გვ. 94 (იქვე მითითება წინა გამოცემებზე).

44 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ ილია აბულაძის ხელძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1970, გვ. 235.

45 თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 235.

46 კატალოგი, გვ. 13.

47 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 562-563.

48 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

49 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 269.

50 იქვე, გვ. 290.

51 იქვე, გვ. 292.

52 იქვე, გვ. 345.

53 იქვე, გვ. 361.

54 ბ. კუდავა, მარტვილის ტაძრის ნაკაწრი წარწერები, „მაცნე", ისტორიის... სერია, 3-4, 1993, გვ. 214, წარწერა №13.

55 იქვე, გვ. 210.

56 ვ.სილოგავა, „ნოქალაქევის ქვეყნის" ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან, კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989, თბ., 1993, გვ. 254, შენ., სქ. 10.

ეკლესიის, სვანეთის წარწერა-გრაფიტების და ჭყონდიდის ტაძრის წარწერებში. ყველა მათგანი XI ს-ით თარიღდება. უფრო მეტი, ყველა წარწერა, რომელშიც მსგავსი მოხაზულობის *კანი* დაფიქსირდება მომავალში, თუ რამე ანომალიასთან არ გვაქვს საქმე, უეჭველად XI ს-ით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება უბისის ტაძრის *კანიანი* მავრიკის წარწერის დათარიღებას IX ს-ის II მეოთხედით (რ. შმერლინგი), ან IX-X სს. (ვ. სილოგავა), მისმა თარიღმა აქეთ უნდა გადმოიწიოს (მაგრამ, არა იმდენად, როგორც შ. ამირანაშვილი მიიჩნევდა – XII ს.) და XI ს.-ით განისაზღვროს. მავრიკი, როგორც ჩანს, უბისის ტაძრის ერთ-ერთი შემკეთებელ-მაშენებელია XI ს-ში; როგორც ამას რ. შმერლინგიც აღნიშნავს, მისი წარწერა „ამოკვეთილია უკვე მოპირკეთებული კედლების წყობაში“[57].

ლასი. თუ რომელიმე გრაფემის შესახებ შეიძლება ითქვას მირაშხნის წარწერაში, გარდამავალი მხედრულიაო, ეს *ლასია*. მართლაც, აქ იგი მოთავსებულია ოთხხაზოვანი ბადის შუა ხაზებს შორის და ნუსხახუცური *ლასის* კიდეების მომრგვალების და ასოს ტანის რამდენადმე გამსხვილების შედეგად მიღებული მოხაზულობითაა გადმოცემული. მხოლოდ ერთ, პირველ შემთხვევაში („ქ˜ლეთ“ – მე-3 სტრქ.) ოდნავ ჩამოდის მისი ცხვირი შუა ხაზის დაბლა, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში (9-ჯერ) ლასის ტანი მთლიანად შუა ხაზებში თავსდება. ზომით და ცალკეულ შემთხვევებში რამდენადმე დაკუთხული კბილით, იგი განსხვავდება რბილ საწერ მასალაზე შესრულებული XI ს-ის ანალოგიური *ლასებისაგან* (იხ. ბაგრატ IV-ის სიგელი 1054-1072წწ.)[58]. მუცელი ამ დაკუთხულ კბილს მირაშხნის წარწერაში ორნაირად ებმის – მარყუჟი ან ზემოდან ქვემოთ ჩამოდის და შესაბამისად, შეერთების ადგილას ქვემოთკენაა გახსნილი, ან ქვემოდან ზემოთკენ ადის და გახსნილია ზედა მხარეს. ეს უკანასკნელი შემთხვევა წარწერაში ათიდან ორჯერ დასტურდება („ყ˜ლი“ მე-8 სტრქ; „ცოდ[ვი]ლი“ მე-12 სტრქ.). როგორც ერთი, ისე მეორე მოხაზულობის *ლასს* XI ს-ის წარწერებსა და წარწერა-გრაფიტებში ანალოგიებში მრავლად მოეპოვება: სამი *ლასი* პატარა ონის წმ. გიორგის ეკლესიის გიორგისა და გაბრიელის მოსახსენიებელ წარწერაში (გ˜ბლ“ 1 სტრქ., „ხლუგოისძე“ მე-2 სტრქ., „გ˜ბლ“ მე-4 სტრქ.)[59], შალვას წარწერა სიმონეთის ეკლესიაზე[60], იხნას გრაფიტი იმავე ეკლესიაზე („შვილნი“)[61] – ყველა ეს წარწერა XI ს-საა; ასევეა XI ს-ის წარწერა-გრაფიტებში ზემო სვანეთიდან[62].

მანი მირაშხნის წარწერაში მხედრულია – ასოს სწორ ნატს ებმის ძლიერ მოკაუჭებული თავი. იგი მსგავსია ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. დათარიღებული სიგელის *მანებისა*. თუმცა, ამ უკანასკნელში ასოს ტანი ოდნავ გადაბრილია მარჯვნივ[63]. ეს ერთგვარი თავკომბალა *მანები* მრავლად გვხვდება ზემო სვანეთის XI ს-ის წარწერა-გრაფიტებშიც: სინელის II წარწერა ადიშის „მაცხვარში“[64], შიო ანგალვიანის წარწერა აცის „თარინგზელში“[65], მჩიამის წარწერა (რომელიც კორექტ. შეცდომით XIII ს-თაა დათარიღებული) იმავე ეკლესიაში[66], ჯოდმესის წარწერა იქვე[67], ვარდანის წარწერა გულის „გაბრიელში“[68], ჩხუტის წარწერა მაცხვარიშის „მაცხვარში“[69], მიქაელის წარწერა იქვე[70],

57 რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

58 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

59 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 105.

60 იქვე, გვ. 113.

61 იქვე, 115.

62 იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თავი III. სვანეთის ნაკაწრი წარწერები (გრაფიტები), №1, 2, 3, 4, 6, 9, 11-15, 24-27, 46, 52, 53, 65, 68, 86-89, 92, 157, 161, 177ა, 186 (მელნით მიწერილი უშგულის „ლამარიის“ ჩრდ. კედელზე), 220, 225, 226, 231, 232, 250, 282 და სხვა.

63 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

64 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 234.

65 იქვე, გვ. 237.

66 იქვე, გვ. 238.

67 იქვე, გვ. 241.

68 იქვე, გვ. 249.

69 იქვე, გვ. 301.

70 იქვე, გვ. 303.

მიქაელ ჩხიკვიანის წარწერა იქვე[71] და მრავალი სხვ. ვფიქრობ, ასეთი მოხაზულობის *მანები* – დიდი თავით და განიერო ტანით, მაინც გარდამავალ მხედრულს უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა, მალევე, XII ს-ის დასასრულიდან *მანები* უკვე ტიპური მხედრულის მოხაზულობისაა[72].

ნარი წარწერაში წარმოდგენილია ორნაირი მოხაზულობით – გარდამავალი მხედრულით და ეპიგრაფიკული ნუსხურით. პირველი მოხაზულობით მისი გადმოცემის მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება პირველი სტრიქონის ფრაგმენტულად მოღწეულ სიტყვაში [ხ(უ)]ც(ეს)მ (ა)ნ". აქ *ნარი* გადმოცემულია პატარა, ოდნავ მსხვილი ტანით და მრგვალი, შეკრული მუცლით. ნიშანდობლივია, რომ ყველა დანარჩენ 11 შემთხვევაში *ნარი* განსხვავებული მოხაზულობისაა და, როგორც აღინიშნა, ეპიგრაფიკული ნუსხურის მოყვანილობისაა. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ზემოაღნიშნული სხვა შემთხვევა, როდესაც *დონი* წარწერის მხოლოდ პირველი და მეორე სტრიქონის ფარგლებშია გარდამავალი მხედრული მოხაზულობით გადმოცემული (ორი შემთხვევა), ხოლო შემდეგ ყველგან ასომთავრულია (16 შემთხვევა). ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთივე სურათი გვაქვს *ონის* შემთხვევაშიც – პირველი ორი სტრიქონის სიტყვებში (ორი შემთხვევა) იგი გარდამავალი მხედრულის მოხაზულობისაა, ხოლო ტექსტის დანარჩენ ნაწილში (11 შემთხვევა) ასომთავრულია.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აქ ერთგვარი კანონზომიერება შეიძლება გამოიკვეთოს და აღინიშნოს, რომ წარწერის შემსრულებელმა თავიდან დაიწყო ტექსტის ამოკვეთა მთლიანად გარდამავალი მხედრული დამწერლობით, ასეც მოიქცა პირველი ორი სტრიქონის ფარგლებში, მაგრამ შემდეგ 9 სტრიქონში ასომთავრულით შეცვალა ის ორიოდე (*ანი, დონი, ნარი, ონი*) გარდამავალი მხედრული ასო. ეს მთელ ტექსტში, როგორც წესი, ისე დასტურდება. რა მიზეზით მოხდა ეს, გაუგებარია. არა მგონია, რომ პირველი ორი სტრიქონის შემდეგ ტექსტის ამოკვეთა სხვა პირს გაეგრძელებინოს – მთლიანობაში წარწერის დამწერლობა მაინც ერთიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუ დავუბრუნდებით მირაშხნის წარწერის გარდამავალი მხედრულის *ნარს*, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მსგავსი მოხაზულობითაა წარმოდგენილი ბაგრატ IV-ის 1054-1072 წლების სიგელში[73] და მთელ რიგ წარწერებში XI ს-ისა: გიორგი ხაჭომიანის წარწერა ადიშის „მაცხვარიდან"[74], სინელის II წარწერა იმავე ეკლესიიდან[75], სინელის III წარწერა ადიშის „თარინგზელიდან"[76], წამრინის წარწერა აცის „თარინგზელიდან"[77] და მრავალი სხვა.

ჯოტი წარწერაში გვხვდება ერთხელ – მე-3 სტრიქონის სიტყვაში „გ~აჲ", ე.ი. „გ(იორგ)აჲ". წარმოდგენილია იგი გარდამავალი მხედრული მოხაზულობით – ოდნავ ამოტრიალებული და ზემოთ გახსნილი რკალის სახით; ამდენად, მკვეთრად განსხვავებულია ამავე წარწერაში წარმოდგენილი მხედრული, თუ გარდამავალი მხედრული *ინის* მოყვანილობისაგან, რომელიც, როგორც ასეთი, მხოლოდ დასტურდება წარწერის ტექსტში – მე-2 სტრიქონის ბოლოს („მოვი[და]").

ჩვეულებრივ, ითვლებოდა, რომ „მხედრულ წერას ხუცურისგან განსხვავებით, თავიდანვე აკლია სამი ასო ჩ, ჲ, ჭ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამათი შესატყვისი, მაგრამ შემდეგ ამათთვისაც შემუშავდა მხედრული სახეები: ⴡ, ⴢ, ⴣ (შესაბამისად)[78]. ანბანთრიგების, ანუ აბეცედარიების აღმოჩენისა და გამოცემის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეს ასოები მხედრულს და უფრო ადრე, გარდამავალ მხედრულს იმთავითვე, X-XI სს. მოეპოვებოდა[79]. ამდენად, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ძირითადად გარდამავალი მხედრულით შესრულებულ მირაშხნის წარწერაში აღმოჩნდა

71 იქვე, გვ. 305.

72 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

73 იქვე.

74 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 232.

75 იქვე, გვ. 234.

76 იქვე, გვ. 235.

77 იქვე, გვ. 246.

78 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 11.

79 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 222. ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), თბ., 1999, გვ. 42.

ჲოტი. იგი, როგორც ვხედავთ, კნინობითი ფორმით გადმოცემული ხმოვანფუძიანი ანთროპონიმის („გიორგა“) სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

ონი წარწერაში წარმოდგენილია სამი მოხაზულობით – გარდამავალი მხედრულით, განივი სწორი ხაზით და ასომთავრულით. გარდამავალი მხედრულით იგი დასტურდება სულ ორჯერ, წარწერის მეორე სტრიქონში („ოდეს“ და „მოვი[და]“) და ამოტრიალებული მოხაზულობისაა. ამ *ონის* შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა, ხოლო აქ დამატებით მოვიყვან მაგალითებს XI ს-ის წერილობითი ძეგლებიდან, რომლებშიც იგი ამ, გარდამავალი მხედრული მოხაზულობით გვხვდება; პირველ რიგში, ესაა ბაგრატ IV-ის 1054-72 წწ. სიგელი, რომელშიც იგი წარმოდგენილია ერთმანეთთან მიტყუპებული ორი ამოტრიალებული ნახევარრკალის სახით, რომელთაგან ერთი, მარცხენა ზემოდან მოხრილია[80]; მირაშხანის წარწერაში, როგორც ვხედავთ, ორივე რკალი ცალ-ცალკეა, მხოლოდ წვერებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული და, ამასთანავე, ორივე ფართოდაა პირგადაშლილი. ზუსტი ანალოგია ასეთი მოხაზულობის ო-ს მოეპოვება ს. გულის წმ. გაბრიელის ეკლესიის საღირ იოვანეს ძის წარწერაში („[მთავარ]რანგელოზ[ო]“)[81], ლატალის „მაცხვარიშის“ მიქაელ ჩხიკვიანის წარწერაში („საწუთროსა“ – მეორე ო)[82], უშგულის „ლამარიის“ ვინმე „მწარედ ცოდვილი“ გიორგის მოსახსენებელში და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს წარწერა ოდნავ მოგვიანო ხანისაა და XI-XII ან სულაც XII-XIII სს. თარიღდება; თუმცა, ერთი – მიქაელ ჩხიკვიანისა, კლასიკური XI ს-სა[83].

სწორი განივი ხაზის სახით ო მირაშხნის წარწერაში, როგორც აღინიშნა, ერთხელაა – სიტყვაში „მოვიდა“ (მე-4 სტრქ.), სადაც იგი წარმოდგენილია წინა *განთან* გადაბმით. მართალია, ასეთი ო განსაკუთრებით გავრცელებულია გვიან შუა საუკუნეებში, მაგრამ, თავისი წარმოშობით, როგორც ჩანს, იგი მაინც გარდამავალ მხედრულს უკავშირდება და როგორც ასეთი, რბილ საწერ მასალაზე შესრულებულ წერილობით ძეგლებში, პირველად „ქებაჲ-ქებათაჲს თარგმანების“ ტექსტის 1188 წლის ხელნაწერშია[84]. ეპიგრაფიკაში იგი გაცილებით ადრე გვხვდება: მჩიამის წარწერა აცის „თარინგზელიდან“ (XI ს., *მანთან* გადაბმაში)[85], მიქაელის წარწერა მუჟალის „მაცხვარიდან“ („მაცხოვარო“, მეორე ო)[86], მიქაელის II წარწერა იმავე ეკლესიიდან იმავე სიტყვაში[87] და სხვა.

რამდენადმე თავისებური მოხაზულობისაა ასომთავრული *ონი* მირაშხნის წარწერაში – ჩვეულებრივ სხვა შემთხვევაში წრიული მოყვანილობის ასოს მუცელი განზეა წაგრძელებული და მასზე დიდი ზომის, ასოს ტანის სიმაღლის ქუსლ-კაუჭია მიბმული. ცხადია, ასეთი მოხაზულობის ო X ს-ის ან უფრო ადრეული ხანის წარწერებში წარმოუდგენელია და არც გვხვდება, ხოლო რაც შეეხება XI ს-ის ან მომდევნო დროის წარწერებს, იგი დასტურდება ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთის ფასადის „მეორედ მოსვლის“ რელიეფური გამოსახულების განმარტებით წარწერაში (ორი ო)[88], წარწერის ფრაგმენტში ს. ქედისუბნის ეკლესიიდან (პირველი შესრულებულია კიდურყვავილოვანი, ხოლო მეორე – კიდურწაისრული დამწერლობით)[89], გიორგი ქოჩოლავას წარწერაში ილორის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (ორი ო წარწერის პირველ სტრქ.)[90] და სხვა. ყველა დასახელებული წარწერა XI ს-საა.

პარი წარწერის ტექსტში გვხვდება ერთხელ („პირ|ექ[მ]ნ[ა]“, მე-7 სტრქ.) და ოთხხაზოვანი ბადის შუა ხაზებში მოქცეული განივი, ორმაგად დაკბილული ხაზის მოხაზულობისაა. რბილ საწერ მასალაზე შესრულებულ წერილობით ძეგლებში ეს კბილები მომრგვალებულია და სხვადასხვა

80 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

81 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 249.

82 იქვე, გვ. 304.

83 იქვე, გვ. 303.

84 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

85 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 238.

86 იქვე, გვ. 409.

87 იქვე, გვ. 412.

88 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 99

89 იქვე, გვ. 118

90 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

ზომისაა (მარცხენა დიდია მარჯვენაზე)[91], ხოლო ნაკაწრ წარწერებში და, საერთოდ, ლაპიდარული დამწერლობის ძეგლებში მათი დაკუთხვა საწერი მასალის სიმაგრითაა გამოწვეული. XI ს-ის სვანეთის ნაკაწრ წარწერებში, სადაც სიტყვაში *პარი* გვხვდება, იგი ყველგან მირაშხნის წარწერის *პარის* მოხაზულობისაა: სინელის III წარწერა დიდთოვლობის შესახებ „თარინგზელში" („თავისპოვასა")[92], წარწერის ფრაგმენტი კალის „ლაგურკაში" („ეგაპტისა" <ენკრატისა, მონაზონი)[93], წარწერის ფრაგმენტი ლატალის „მაცხვარში" („დაპირე...")[94], მიქაელ გორელდიანის ჯელი მეფოველთა მიერ ქურდობის მიტოვების შესახებ („პარვა")[95] და სხვა.

ჟანი მირაშხნის წარწერაში წარმოდგენილი მოხაზულობით სხვაგან არ დადასტურდა. ცხადია, იგი გარდამავალი მხედრულის დამწერლობისად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც შემსრულებლის ინდივიდუალური ხელწერაა აღბეჭდილი. ძირს დაშვებული ცხვირით მას რამდენადმე მიაგავს *ჟანი* მაცხოვრის ეკლესიის გიორგი კვირიკესძის XI ს-ის წარწერაში („მოჟალვისა")[96], მაგრამ აქ იგი უფრო მოხდენილი და დახვეწილი გრაფიკისაა, ისევე როგორც მთლიანად ამ წარწერის სხვა ასოები.

რაე ტიპური გარდამავალი მხედრული მოხაზულობისაა; ოღონდ აქ წარწერის ტანი გამართულია, იგი ვერტიკალურად დგას – მასზე ქვემოდან მიდგმულია კლაკნილი ან სწორი მოკლე განივი ხაზი. ერთგან, მე-14 სტრქ. *რაე* თითქოს ასომთავრული მოხაზულობისაა, მაგრამ აქაც დაკუთხული მარჯვენა მარყუჟი ზედ ძირთანაა ასოს ბუნისათვის მიბმული; ასე, რომ აქაც გარდამავალი მხედრულისაკენ მიდრეკილების ტენდენციაა. მირაშხნის წარწერის *რაე* ჩვეულებრივია XI ს-ის გარდამავალი მხედრული დამწერლობის ძეგლებში, სადაც მას მრავალი პარალელი მოეპოვება: ბაგრატ „კარის მოქმედის" წარწერა (ხარაგაულის რ-ნი) ღმრთისმშობლის ეკლესიის ხის კარებზე[97], კვირიკე და იანვარ ძმების წარწერა სიმონეთის (თერჯოლის რ-ნი) ეკლესიაზე[98], ხოლო ნაკაწრი წარწერებიდან: სოანის წარწერა აცის „თარინგზელზე" (X ს. II ნახ.)[99], მიქაელის წარწერა თეკალის „მაცხვარზე"[100], ქარდის წარწერა (ორი რ) იმავე ეკლესიაზე[101] და მრავალი სხვა.

სანი, მართალია, საერთოდ პალეოგრაფიული მნიშვნელობით არ ხასიათდება, მაგრამ წარწერაში 19-ჯერ წარმოდგენილი *სანი* შეიძლება ზოგადად დახასიათდეს, როგორც გარდამავალი მხედრულის ნიმუში მაღალი ტანით და შედარებით მსხვილი მარყუჟით.

ტარი, რომელიც *ცანთან* და *ხანთან* ერთად, წარწერის სხვა გრაფემებთან შედარებით, დიდი ზომისაა, სამჯერ გვხვდება ტექსტში. იგი გადმოცემულია ფართოდ მომრგვალებული კიდურწერტილოვანი ქვედა მარყუჟით, რომელსაც ასევე დიდი ზომის ნახევარწრე, განზე გაწელილი ნახევარწრე ან ქვემოთ წაწვეტებული წრე აქვს მიბმული. ეს არის გარდამავალი მხედრულის ტიპური *ტარი* და იგი ასეთი შეკრული თავით დასტურდება ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის სიგელში[102]. XI ს-ის ნაკაწრ წარწერებში მისი პარალელებია: გიორგის წარწერა აცის „თარინგზელში"[103], წარწერის ორი დასაწყისი ფრაგმენტი წმ. იელიტასადმი მიმართვით კალის „ლაგურკიდან"[104] და სხვა.

ფარი გადმოცემულია წრეზე მიბმული გრძელი ტარის სახით. იგი ერთგვარ მრგვალ მარაოს ჩამოჰგავს გრძელი ტარით. ერთ შემთხვევაში ეს ტარი წრის შუაში „შედის" და კიდურწერტილით

91 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV

92 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 239.

93 იქვე, გვ. 289.

94 იქვე, გვ. 321.

95 იქვე, გვ. 338 და ჩასაკრავი ტაბულა.

96 იქვე, გვ. 392.

97 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 94.

98 იქვე, გვ. 113.

99 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 239.

100 იქვე, გვ. 255.

101 იქვე

102 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV

103 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 242.

104 იქვე, გვ. 288, 289.

ბოლოვდება. მიუხედავად *ტარის* ასეთი უჩვეულო მოხაზულობისა და თითქოს წარწერის შემსრულებლის ინდივიდუალური ხელწერით განპირობებულობისა, მას მაინც აღმოაჩნდა პარალელები XI ს-ის წარწერებში; ესენია: სოფელ სომიანეთის შეწყალების წარწერა სიმონეთის ეკლესიაზე (აქ სიტყვაში „სოფელი" *ფარის* თავი დაკუთხულია)[105], ფარსმანისა და მანანის წარწერა ქვაჯვრის სვეტზე ს. უდიდან[106], ქუველის წარწერა ჯვრის აღმართვის შესახებ ჯრუჭიდან[107], ცხავატის ერისა და ინა კალატოზის წარწერა ვინმე ნაფენაის მოხსენებით ცხავატის მაცხოვრის ეკლესიაზე[108] და სხვა.

ქანს ვერტიკალურ კიდურწერტილოვან ხაზზე, შუა ადგილის ოდნავ ზემოთ, დასმული აქვს ასევე კიდურწერტილოვანი კლაკნილი განივი ხაზი. ერთგან ეს ხაზი სწორია, ხოლო მეორეგან ბოლოები აქვს ჩამოშვებული.

ღანი გარდამავალი მხედრული მოხაზულობისაა – იგი გადმოცემულია ქვემოთკენ ორი ერთმანეთთან გადაბმული, მომრგვალებული ან დაკუთხული რკალის სახით. მომრგვალებული რკალებითაა *ღანი* წარმოდგენილი ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. სიგელში ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი[109] („ზღვარნი" მე-5 სტრქ., იგივე სიტყვა 9-ე სტრქ., „დღ~სა" 64-ე სტრქ. და სხვა)[110]. მირაშხნის წარწერის მსგავსი მოხაზულობითაა *ღანები* წარმოდგენილი სვანეთის XI ს-ის აღწერაგრაფიტებში[111].

ყანი მირაშხანის წარწერაში ერთობ ორიგინალური მოხაზულობისაა – მარჯვნივ გახსნილ ნახევარრკალზე ქვემოდან მიბმულია მარცხნივ მკვეთრად დახრილი სწორი ხაზი (ერთგან რკალი დაკუთხულია). ოთხიე შემთხვევაში იგი გვხვდება სხვადასხვა ბრუნვაში დასმულ სიტყვაში „ყოველი" („ყ~ლს" მე-5 სტრქ., „ყ~ლი" მე-7 სტრქ, მე-8 სტრქ., „ყ~ლთა" მე-11 სტრქ.). ეს გრაფემა ამ წარწერაში იმდენად თავისებური მოხაზულობისაა, რომ მის ამოცნობაში გვშველის თვითონ ის სიტყვა, რომელშიც იგია წარმოდგენილი.

შინი სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურის მოყვანილობისაა, ოღონდ მომრგვალებული ქვედა მარყუჟით და დაგრძელებული ტანით.

ცანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, *ტართან* და *ხანთან* ერთად ყველაზე დიდი და განიერი გრაფემაა წარწერის სხვა გრაფემებს შორის. იგი გადმოცემულია მარჯვნივ ძლიერ გაზიდული ქვედა მარყუჟით და სწორ ბუნზე „წამოცმული" მოკაუჭებული თავით. ცხადია, რომ ასეთი სახით იგი გარდამავალი მხედრული მოხაზულობისაა. ჩვეულებრივ, *ცანი* სწორედ ასეთი ფორმისაა XI ს-ის და ნაწილობრივ XII ს-ის წერილობით ძეგლებში; ესენია: ბაგრატ IV-ის 1154/72 წლის სიგელი[112], „ქებაჲ-ქებათაჲს თარგმანების" 1188 წლის ხელნაწერში[113], ხოლო ეპიგრაფიკული ძეგლებიდან: სინელის II წარწერა ადიშის „მაცხვარიდან" (ორი ც სიტყვებში „მაცხოვარო" და „ცოდვილი"; აქ ასო წახრილი მოხაზულობისაა)[114], გიორგი ჯავიანის წარწერა აცის „თარინგზელიდან" („იგიცა")[115] და სხვა.

წილი ასევე სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა; მისი თავი გადმოცემულია ორნაირად – „ჩატეხილი" რკალის სახით და სწორი განივი ხაზით, რომლისგანაც ორი პატარა ვერ-

---

105 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 114.

106 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ.139. აქ წარწერა დათარიღებულია X ს-ით; სპეციალურად ამ ქვაჯვარისადმი მიძღვნილ ნაშრომში მისი თარიღი განსახღვრულია (ა. შანიძე, უდეს სტელა, „ქართული ხელოვნება", 8, თბ., 1979, გვ. 116). მაგრამ ეს წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI ს-საა, ხოლო მასში მოხსენიებული ფარსმანი ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრია.

107 ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 155.

108 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 192.

109 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 166 – საბუთის დამწერის ხელის მიხედვით შედგენილი ანბანთრიგი.

110 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 275, 276, 270. რ. შმერლინგის მიერ შედგენილი მიერ შედგენილ ტაბულაზე (ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV) ამ საბუთის ღანი, რატომღაც, წარმოდგენილი არაა.

111 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 153, 169, 171.

112 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XIV.

113 იქვე.

114 სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 254.

115 იქვე, გვ. 248.

ტიკალური ხაზი ჩამოდის.

ბანი დიდი ტანისაა, სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობის. ერთ შემთხვევაში ასოს ბუნს ზედა მარჯვენა კიდესთან წანაზარდი გააჩნია („ბ˜რს˜ნი", მე-3 სტრქ.). მთლიანად ასოს ტანი დიდი ზომის ქვედა რკალით, გამართულია, ხოლო გრაფემა კიდურწერტილოვანია.

ჴარი წარწერის ტექსტში გვხვდება ერთხელ („მომიჴსე[ნეთ]", მე-13 სტრქ.) და იგი სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურის მოხაზულობისაა; რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა.

ჯანი ერთხელ გვხვდება წარწერის ტექსტში „ჯ˜ხს" (მე-4 სტრქ.), რომელიც უნდა გაიხსნას, როგორც „ჯავახეთს". აქ იგი სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურის, ან გარდამავალი მხედრულის მოხაზულობისაა თავისებურად გადმოცემული მარცხენა ხაზით, რომელიც ასოს ტანის შიგნითაა მორკალული. ჩვეულებრივ, იგი სწორი, ან მარცხნივ მიმართული ხაზის სახით გადმოიცემა, მაგრამ აქ წარმოდგენილი მოხაზულობის *ჯანსაც* მსგავსი ანალოგიები აღმოაჩნდა: სინელის II წარწერა ადიშის „მაცხვარიდან" („დაჯდომასა", მე-4 სტრქ.)[116], გიორგი ჯავიანის წარწერა აცის „თარანგზელიდან" („ჯავიანი", მე-2 სტრქ.)[117], იოვანე აბუჯოფარისძის წარწერა ლატალის „მაცხვარიდან"[118] და სხვა. ყველა დასახელებული წარწერა XI ს-ით თარიღდება.

ჰაე გადმოცემულია ოთხხაზოვანი ბადის შუა ხაზებს შორის მოქცეული სამგზის კლაკნილი სახით, რომლის თავი ძირსაა დაშვებული, ხოლო ბოლო მაღლაა ამართული, ზუსტად ასეა *ჰაე* გადმოცემული ბაგრატ IV-ის 1154/72 წწ. სიგელში, ოღონდ აქ ასოს რკალები ნაკლებ გაწელილია და მთლიანად მოხაზულობა უფრო მოხდენილი და დახვეწილი[119]. მირაშხნის წარწერაში ეს გრაფემა ორ სიტყვაში გვხვდება – „შეჰრისხ[და]" (მე-4 სტრქ.) და „გოჰარის" (მე-9 სტრქ.).

ჶ – წარწერის გრაფემებს შორის, *მანის* შემდეგ და მასთან ერთად, თუ რომელიმე გრაფემაზე შეიძლება ითქვას მხედრულიაო, ეს *ჶ*-ია. იგი წარწერაში სწორედ რომ კლასიკური მხედრული მოხაზულობისაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქართული დამწერლობის განვითარების და მათ შორის მხედრული დამწერლობის ისტორიისათვის, რადგან ითვლებოდა, რომ *ჶ* თავდაპირველად, ე. ი. XI ს-იდან მხედრულ დამწერლობას აკლდა ჱ-სა და ჲ-თან ერთად[120]. მაგრამ მხედრული, განსაკუთრებით გარდამავალი მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშების (X-XI სს. და XI ს.) გამოვლენა-შეკრებამ აჩვენა, რომ იგი მხედრული დამწერლობის ჩასახვისთანავე ჩამოყალიბდა; კერძოდ, მხედრული მოხაზულობის *ჶ* დადასტურდა გარეჯის მრავალწყაროს ერთ-ერთ ეკლესიაში 1995 წელს აღმოჩენილ X-XI სს. ანბანში[121], ადრიდანვე იგი ცნობილი იყო კორიდეთის IX ს-ის ბერძნული სახარების მოგვიანო ხანის (XI-XII სს.) ერთ-ერთ მდივანმწიგნობრულ მინაწერში[122], ივანე დოროთელისძის XI ს-ის ჭედურ, ასომთავრულ წარწერაში მაცხოვრის ხატზე[123], ხოლო ამჟამად, როგორც ვხედავთ, მირაშხნის წარწერაშიც, თუმცა, იგი გარკვეეით ჩანდა მის პატარა ფოტოზეც, რომელიც ჯერ კიდევ 1953 წ. გამოქვეყნდა[124].

მირაშხნის წარწერის პალეოგრაფია საინტერესოა ტექნიკური ნიშნებითაც. ტექსტის დასაწყისში დასმულია თავისებური *ქანწილი* – ოდნავ დახრილ, ორი სტრიქონის ზომის გრძელი ჯვრის შუა ადგილის ზემოთ დასმულია კიდურწერტილოვანი განივი ხაზი. ზემოდან გავლებულია გრძელი განივი ხაზი, რომელიც თვალსაჩინოდ აღემატება განივ მკლავებს. ქვემოთ, მარცხენა მხარეს, ვერტიკალურ ბუნს პატარა წანაზარდი მოეპოვება. ტექსტში, როგორც ზემოთ აღინიშნა, განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი. იგი, პირველი ორი სტრიქონის გამოკლებით, სისტემატურად დასმულია მთელ ტექსტში. პირველ და მეორე სტრიქონებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება – მეორე

116 იქვე, გვ. 234.

117 იქვე, გვ. 241,

118 იქვე, გვ. 311.

119 იქვე, გვ. 166.

120 ა. შანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 11. შდრ. აქვე, შენ. სქოლიოში 125.

121 ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან, გვ. 178-180, ტაბ. XXX

122 კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989, გვ. 18, ტაბ. 2.

123 მ. ახალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

124 ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 9, 1953, გვ. 35.

სტრიქონში („გას“ და „მოვიდ[ა]“ შორის). ეს პირველი ორი სტრიქონი, გარდა ცალკეული ასოების თავისებური მოხაზულობით გადმოცემისა, რომლის შესახებ ზემოთ იყო საგანგებოდ აღნიშნული, ამ ნიშნითაც (განკვეთილობის ნიშნად ორწერტილების არ დასმით) გამოირჩევა დანარჩენი ტექსტისგან. ერთ ადგილას განკვეთილობის ნიშნად, როგორც აღინიშნა, სამწერტილია დასმული მარჯვნივ წაწვეტებით. ეს ამ ნიშნის ერთ-ერთ უადრეს გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს.

ვფიქრობ, წარმოდგენილი პალეოგრაფიული დახასიათების შემდეგ, უეჭველია, რომ მირაშხნის წარწერა XI ს-ით თარიღდება, რაც დასაყრდენია ტექსტის დადგენისა და ანალიზისათვის.

ტექსტის დადგენა. წარწერის ტექსტის დასაწყისში დასმულია თავისებური მოხაზულობის *ქანწილი* (მისი აღწერა-დახასიათება იხ. ზემოთ); მას მოსდევს ასოთა კომპლექსი „სხ~თა ღ~თითა“, რომელიც, ცხადია, გაიხსნება, როგორც „ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრ)თი(საჲ)თა“. შემდეგ ამოკვეთილია ნაცვალსახელი „მე“ და ამის შემდეგ დაახლ. სამი ასოს ზომაზე ქვა მოტეხილია. ბუნებრივია, „მე“-ს მოსდევდა საკუთარი სახელის აღნიშვნა, რომელიც ამჟამად სრულებით არ იკითხება (შემორჩენილია მხოლოდ რომელიღაც ასოს ფრაგმენტი). მომდევნო სიტყვიდან დარჩენილია „ცმ~ნ“ და მის წინ კიდევ მარჯვნივ მომრგვალებული, რომელიღაც დიდმუცლიანი ასოს ნაწყვეტი. იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ტ-ს, ც-ს ან ხ-ს. ვფიქრობ, სიტყვის დარჩენილი ნაწყვეტის („ცმ~ნ“) მიხედვით, აქ სხვაზე მეტად ხ უნდა ვიგულისხმოთ და მაშინ მთელი სიტყვა ასე იქნება: „ხ]~ცმ~ნ“, ე. ი. „ხ](უ)ც(ეს)მ(ა)ნ“. რაც შეეხება ამ სიტყვის წინ ამოკვეთილ და მთლიანად გადასულ ხუცესის სახელის სავარაუდო აღდგენას, ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

მომდევნო სიტყვიდან გვაქვს პირველი სამი ასო – „დავ“, მართალია, „და“ და „ვ“ ზომაზე მეტად დაშორებულია ერთმანეთს, მაგრამ ასეთი შემთხვევები წარწერაში სხვაგანაც გვხვდება. როგორც ჩანს, მთლიანად სიტყვა უნდა აღდგეს, როგორც „დავ[წერე]“. რადგანაც მეორე სტრიქონის პირველი სიტყვა მას ბუნებრივად ებმის – დავ[წერე] | მას ჟამს“, უნდა ვიფიქროთ, რომ სტრიქონი აქ წყდებოდა და მას ბოლოში აკლია დაახლ. 2-3 ასო. ეს დაკვირვება – პირველი სტრიქონის ბოლოს ნაკლული ასოების დაახლ. რაოდენობის განსაზღვრა, შემდეგში განაპირობებს სხვა სტრიქონების ბოლო ნაკლულ ასოთა სავარაუდო რაოდენობის აღდგენას.

მეორე სტრიქონის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამოკვეთილია „მ(ა)ს ჟამს“. მას მოსდევს ასოები „გას“, რომელიც მომდევნო სიტყვისგან გამოყოფილია განკვეთილობის ორწერტილით. მაშასადამე, ეს „გას“ არის დამოუკიდებელი, ცალკე სიტყვა და გადმოსცემს ადგილის სახელს, ტოპონიმს, დასმულს მიცემით ბრუნვაში (ბრუნვის ნიშნით ს); ე. ი. ადგილის სახელად, ბრუნვის ნიშნის გარეშე დაგვრჩება „გ“. შეიძლება მის თავზე ამოკვეთილი იყო ქარაგმის ნიშანი, რომელიც პირველი სტრიქონის შუაში, ამ ადგილის გასწვრივ ამოტეხილ ქვას გაჰყვა. ამ „გას“, როგორც გეოგრაფიული სახელის სავარაუდო განსაზღვრას, ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით.

„გას“ მოსდევს სიტყვა „მოვი“ და მის შემდეგ რომელიღაც ასოს, როგორც ჩანს, *დონის* ფრაგმენტი – მისი ზედა განივი ხაზის მარცხენა ნაწილი. ამიტომ მთლიანად სიტყვა აღდგება, როგორც „მოვი[და]“. პირველი სტრიქონის ბოლოს ნაკლული ასოების რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე სტრიქონის ბოლოს აკლია კიდევ დაახლ. 2-3 ასო. მესამე სტრიქონის პირველი სიტყვების მიხედვით, რომელიც, როგორც ჩანს, ტექსტობრივად უშუალოდ ებმოდა მეორე სტრიქონის ამ ბოლო არმოღწეულ სიტყვას, აქ პირის საკუთარი სახელი, ანთროპონიმი უნდა ვიგულისხმოთ; ე. ი. „მოვი[და][...] ხროსანი ქალაქით“. მართლაც, მესამე სტრიქონის დასაწყისში ამოკვეთილი და განკვეთილობის ორწერტილით გაყოფილი ასოთა კომპლექსი „ხ~რს~ნი“: ქ~ლქთ“ ზემოთ წარმოდგენილი სახით უნდა გაიხსნას. მაშასადამე, წარწერის ეს მონაკვეთი – პირველი ორი სტრიქონი და მესამე სტრიქონის პირველი ორი სიტყვა, ასე წაიკითხება:

„† ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრ)თი(საჲ)ღა. მე [...] [ხ](უ)ც(ეს)მ(ა)ნ დავ[წერე] | მ(ა)ს ჟამს, ოდეს გას მოვი[და] [...] |ხ(ო)რ(ა)ს(ა)ნი ქ(ა)ლ(ა)ქ(ი)თ“.

როგორც ვხედავთ, ტექსტის ამ ნაწილს აკლია ორი სიტყვა – ერთი პირველ და ერთიც მეორე სტრიქონში, და ორივე საკუთარ სახელს, ანთროპონიმს გადმოსცემდა. ჩვენ მათ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

მესამე სტრიქონში ტექსტის მომდევნო ნაწილი იწყება მ-ით, რომელსაც მოსდევს ნაცვალსახელი „მე“. ე. ი. გვაქვს შორისდებულიანი წამოძახილი „ჰოი მე“, ან „ოჰ მე“[125]. შემდეგია განკვეთილობის ორწერტილებს შორის ჩასმული და თავზე ქარაგმის ხაზდასმული ასოთა კომპლექსი „გ~აჲ“. ვფიქრობ, ყველაზე მართებულია ის გაიხსნას, როგორც „გ(ორგ)აჲ. ე. ი. აქაც ადამიანის სახელი, ანთროპონიმი დაფიქსირდა. მის შემდეგ, ორწერტილებს შორის ჩასმული „ფ~დ“, ბუნებრივია, რომ უნდა გაიხსნას, როგორც „ფ(რია)დ“, ხოლო მომდევნო, ასევე ორწერტილებს შორის ჩასმული და ქარაგმის ნიშანდასმული „ც~დს“ – როგორც „ც(ო)დ(ვილ)ს“. ე. ი. მთლიანად აქ იკითხება: „მ მე, გიორგაჲ ფრიად ცოდვილს“.

მესამე სტრიქონის მომდევნო, როგორც ჩანს, ბოლო სიტყვიდან, სახეზეა „მეწ“, რომელიც მისი წინა სიტყვებიდან („ც~დს“) გამოყოფილია ორწერტილით და დაშორებულია საკმაო მანძილითაც (ჩანს, ამ ადგილას ქვის ხორკლიანმა ზედაპირმა შეუშალა ხელი წარწერის შემსრულებელს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ სტრიქონში „და“ და „ვ“ შორის სიტყვაში „დავ[წერე]“ და როგორც ამას ადგილი აქვს ქვემოთაც ტექსტის სხვა სტრიქონებში). „მეწ“-ის შემდეგ, თუ წარწერის პირველი და მეორე სტრიქონის დასასრულს გავითვალისწინებთ, ამ სტრიქონში წარწერის ტექსტი არ გრძელდებოდა, ან შეიძლება კიდევ ერთი ასო იყო ამოკვეთილი. მაშასადამე, გამოდის, რომ მეოთხე სტრიქონის დასაწყისში ამოკვეთილი „იფა“ ებმის მესამე სტრიქონის ბოლოს ამოკვეთილ „მეწ“-ს და ვღებულობთ სიტყვას „მეწ|იფა“, ან „მეწ[ო]|იფა“ (ან ნებისმიერი სხვა ხმოვნის ჩანაცვლებით). ჯერჯერობით გაუგებარი ამ სიტყვის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი ქვემოთ.

მეოთხე სტრიქონის პირველი დამოუკიდებელი სიტყვაა განკვეთილობის ორწერტილებს შორის ჩასმული და სრულიად შეუმოკლებლად ამოკვეთილი „მოვიდა“. მას მოსდევს „ჯ~ხს“, ჩასმული ორწერტილებს შორის და თავზე ქარაგმის ნიშნით. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს მისი ასეთი მეტისმეტი შემოკლება წარწერის სხვა სიტყვებთან შედარებით, როგორც ჩანს, „ჯ~ხს“ უნდა წავიკითხოთ, როგორც „ჯ(ავა)ხ(ეთ)ს“. ე. ი. წარწერის მესამე-მეოთხე სტრიქონში ამ ადგილას წერია: „მეწ|იფა (ან: მეწ[ო]|იფა) მოვიდა ჯავახეთს“.

მეოთხე სტრიქონის მომდევნო ნაწილში, სტრიქონის ბოლომდე იკითხება „და შეჰრისხ“. აქ „და“, მართალია, მომდევნო ასოებისგან ორწერტილით არ არის გამოყოფილი, მაგრამ იგი მაინც კავშირშია (ტექსტში სხვაგანაც არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კავშირი „და“ მომდევნო სიტყვისგან გამოყოფილი არაა). დარჩენილი „შეჰრისხ“ ზმნა „შერისხვის“ II სერიის წყვეტილია, რომელსაც აკლია სიტყვის ბოლო ა და აქ აღდგება „შეჰრისხ[ა]“. წარწერის წინა სტრიქონების დასასრულთა გათვალისწინებით ხ-ს შემდეგ თითქოს მხოლოდ ერთი ასოს ადგილი რჩება. არა მგონია, რომ აქ ეს ზმნა I სერიის უწყვეტლის ფორმით ყოფილიყო გადმოცემული („შეჰრისხ[და]“), რადგან ისეთი მსხვილი და განიერი ასოსთვის, როგორიც ამ წარწერის დონია, აქ ადგილი არ რჩება. თუმცა, ეს შეიძლება გადამწყვეტი არ იყოს და აქ ზმნის I სერიის უწყვეტელში დასმაც ვივარაუდოთ – „შეჰრისხდ[და]“.

მეხუთე სტრიქონის დასაწყისში ამოკვეთილია „ლ~ი“, შემდეგ ორწერტილი, ხოლო მის შემდეგ „ყ~ლს“. ეს უკანასკნელი უნდა გაიხსნას, როგორც „ყ(ოვე)ლს“, მაშინ მის წინ იქნება თავნაკლული „[ყ](ოვე)ლი ყ(ოვე)ლს“. მომდევნო სიტყვაა ორივე მხრივ განკვეთილობის ორწერტილებს შორის ჩასმული „ქ~ტსდა“, რომლის გახსნა, როგორც „ქ(რის)ტ(ე)სდა“ ყველაზე ლოგიკური ჩანს. მაშასადამე, ტექსტის ამ მონაკვეთში იკითხება: „და შეჰრისხ[ა] [ყ](ოვე)ლი ყ(ოვე)ლს ქ(რის)ტ(ე)სდა“, ე. ი. „შერისხა (ან: შერისხავდა) ყველა ყველას ქრისტესთვის“; მაგრამ ასეთ წაკითხვაში მაინც არ ვართ

125ა. შანიძე წერდა: ქართული ანბანის „უკანასკნელი ასოს სახელი ოჳ ძველ-ქართულია. შემდეგში მას უწოდეს ჰოე“ (იხ. მისი, ძველი ქართული ენის გრამატიკა („ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 18), თბ., 1976, გვ. 11). „უკანასკნელი ასოც (ჱ ოჳ) თავდაპირველად დიფთონგს გამოხატავდა და ოუ-ს უდრიდა. მისი სახელი იყო ოჳ და იშვიათად იხმარებოდა. იგი გვხვდება მაგ., წოდებითში დაყენებულ სახელებთან: ჱ დედაკაცო, ჱ ქალწულო. ბერძნული ომეგას ბადლად გვხვდება იგი სიტყვებში, როგორიცაა, მაგ. კლეშჱა (აკაცის სახელი იყო, იწერებოდა აგრეთვე კლეოპა), ჱსანა (იწერებოდა აგრეთვე ოსანა) (იქვე, გვ. 14). ამასვე წერს ამ ასოს შესახებ ზ. სარჯველაძეც (იხ. მისი, ძველი ქართული ენა, თბ., 1997, გვ. 18). ჱ-ის ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებს უნდა დაემატოს მისი, როგორც შორისდებულის მნიშვნელობა, რაც, ზოგიერთი სხვა წერილობით ძეგლთან ერთად, ნათლად ჩანს მირაშხნის ამ წარწერის მიხედვითაც. იგი დაახლოებით „ვაიმეს“ ან „უიმეს“ შესატყვისია.

ბოლომდე დარწმუნებული და იქნებ მე-5 სტრიქონის დასაწყისში „[ყ](ოვე)ლი“-ს ნაცვლად სხვა სიტყვა ენერა.

მეხუთე სტრიქონში ამის შემდეგ იკითხება „მეტ˜დ“, რომელიც, ბუნებრივია, უნდა გახსნას, როგორც „მეტ(ა)დ“; ასევე ბუნებრივია მისი მომდევნო ასოთა კომპლექსის „ახ˜ლ˜ქლ“ გახსნა, როგორც „ახ(ა)ქ(ა)ლ(ა)[ქ]“. ცხადია, აქ გეოგრაფიული სახელი ახალქალაქია ამოკვეთილი, მაგრამ ეს ადგილი წარწერაში სტრიქონის დასასრულია, აქ კიდე მოტეხილია და სიტყვა ბოლონაკლულია. ტექსტის სხვა სტრიქონების ბოლოს დაკლებული ადგილების ზომის გათვალისწინებით, აქ ერთი ასო უნდა აკლდეს. თუ რომელი ასო შეიძლება იყოს ეს და რა დასასრულით იყო სიტყვა „ახალქალაქი“ წარწერის ტექსტში წარმოდგენილი, ამისთვის უნდა მივმართოთ ტექსტის მომდევნო ნაწილის, ე. ი. მეექვსე სტრიქონის დასაწყისს. აქ წერია „წაიღო“, რომელიც მომდევნო სიტყვისგან განკვეთილობის ორწერტილითაა გამოყოფილი. მაშასადამე, მის წინ ადგილის გარემოება თანზე უნდა თავდებოდეს და ეს იქნება სიტყვა „ახალქალაქით“. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ სიტყვის ბოლოს მხოლოდ ერთი ასოს აღდგენის საშუალებაა და, ვფიქრობ, იგი წარწერის ტექსტში ასე იქნებოდა დაქარაგმებული: „ახ˜ლ˜ქლ[თ]“, ე.ი. „ახ(ა)ლქ(ა)ლ(აქი)[თ]“. ხოლო მთლიანად წარწერის ამ ადგილას იკითხება შემდეგი: „მეტ(ა)დ ახ(ა)ლქ(ა)ლ(აქი)[თ] | წაიღო“ თუ რა წაიღო „მეწიფამ“, ან მეორე სტრიქონის ბოლოს მტეხილ ნაწილს გაყოლილი სახელის პირმა, ეს ახლავე უნდა იყოს აღნიშნული, რომ მისი აზრი გამართულად გადმოიცეს.

მართლაც, მეექვსე სტრიქონში პირველი სიტყვა „წაიღო“-ს, ამოკვეთილს სრული, დაუქარაგმებელი ფორმით, მოსდევს ასოთა კომპლექსი „ას-ოიდა“, რომელიც ორივე მხრივ განკვეთილობის ორწერტილებშია ჩასმული, ქარაგმის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, ე. ი. მთლიანად წერია და რომლის შუაში დაახლ. 2-3 ასოს ადგილი დაზიანებულ-ამოტეხილია. ვფიქრობ, აქ უნდა ეწეროს სიტყვა „ას[წყ]უიდა“ უ-ს ო-თი მონაცვლეობის შემთხვევაში. ასეთ ფაქტს წარწერაში სხვაგანაც აქვს ადგილი, როდესაც ქვემოთ, მე-9 და მე-11 სტრიქონებში სრული სახით დაწერილი სიტყვა „შეუნდვენ“ წარმოდგენილია „შეონდვენ“ ფორმით (შეიძლება კიდევ მე-9 სტრიქონის დასაწყისში და მე-10 სტრიქონის დასასრულში ამოკვეთილი „უფალოს“ ო˜ო-თი გადმოცემა დაგვესახელებინა, მაგრამ ეს ამ სიტყვის ასე დაქარაგმების ტრადიციული და ქართულ წერილობით ძეგლებში საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა). რაც შეეხება საკუთრივ ზმნა „ასწყუიდა“-ს აღდგენას, მეტი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რადგან ეს სიტყვა კიდევ გვხვდება ცოტა ქვემოთ (მე-9 სტრქ. ბოლოს) წარწერის ტექსტში ბოლონაკლული სახით, მაგრამ კონტექსტით მისი „ასწყუიდა“-ს სახით აღდგენა აქ უეჭველია[126].

„ასწყუიდა“-ს მოსდევს კავშირი „და“ ორივე მხრივ ჩასმული განკვეთილობის ორწერტილებში. შემდეგია ასევე ორწერტილებში ჩასმული, მაგრამ დამატებით ქარაგმის ნიშანდასმული „ტ˜დ“. ვფიქრობ, კონტექსტიდან გამომდინარე აქ უნდა წავიკითხოთ შუაკვეცილობითი დაქარაგმებით გადმოცემული „ტ(ყუე)დ“. ასეთი შუაკვეცილობითი დაქარაგმება უკვე შეგვხვდა ტექსტში ორჯერ – „ფ˜დ“ ე. ი. „ფ(რია)დ“ (მე-3 სტრქ.) და ჯ˜ხს“ ე.ი. „ჯ(ავა)ხ(ეთ)ს“ (მე-4 სტრქ., ფაქტიურად „ჯავახეთი“ აქ წერია „ჯ˜ხ“-ს ფორმით, რადგან ბოლო ს ბრუნვის ნიშანია); ასევე „ც(ო)დ(ვილ)ს“ მესამე სტრიქონში გადმოცემულია ფაქტობრივად „ც˜დ“ ფორმით, რადგან სიტყვის ბოლო სანი აქაც ბრუნვის ნიშანია. ე. ი. „ტ˜დ“-ს, „ტყუედ“ წაკითხვა წარწერის საერთო ორთოგრაფიიდან გამომდინარე შესაძლებელია.

„ტყუედ“-ის შემდეგ მე-6 სტრქ. ბოლოს ამოკვეთილია „წაი“, რომელიც ბოლონაკლულია კედლის კიდის ჩამოტეხის გამო. ვფიქრობ, აქაც „წაი[ღო]“ უნდა აღდგეს და მაშინ მივიღებთ, რომ ამ სტრიქონის თავსა და ბოლოში ერთი და იგივე სიტყვა ეწერა ერთი და იმავე ფორმით – „წაიღო“. მაშასადამე, წარწერის ამ მონაკვეთში – მე-5 სტრქ. მეორე ნახევარსა და მთელ მე-^ სტრიქონში, იკითხება: „მეტ(ა)დ ახ(ა)ლქ(ა)ლ(აქი)[თ] | წაიღო; ას[წყ]უიდა და ტ(ყუე)დ წაი[ღო]“.

მეშვიდე სტრიქონის დასაწყისში ამოკვეთილია მომდევნო სიტყვისგან გამოყოფილი „ყ˜ლი“, ე.ი. „ყ(ოვე)ლი“. შემდეგი სიტყვაა „მესხი“, რომელიც სრულად, დაუქარაგმებლად წერია. მას მოს-

126 ი. აბულაძის განმარტებით, „ანყუედა“ არის მოსპობა, ხოლო „ნყუედა“ – დაკვლა, დახოცვა, „ცრვა“ (იხ. მისი ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 27, 555).

დევს განკვეთილობის ორწერტილებს შორის ჩასმული და ქარაგმის ხაზდასმული „აზ~რი", რომელიც, როგორც ჩანს, არის „აზ(ნაუ)რი". ასეთივე ტექნიკური ნიშნებით „აღჭურვილი" შემდეგი სიტყვაა „შ~გნ", ანუ „შ(ი)გ(ა)ნ". მას მოსდევს სრულად დაწერილი ზმნა „დგა". ე. ი. ტექსტის ამ მონაკვეთში იკითხება: „ყ(ოვე)ლი მესხი აზ(ნაუ)რი შ(ი)გ(ა)ნ დგა" (იგულისხმება ახალქალაქის ციხეში, ან ახალქალაქში).

ამ სტრიქონის შემდეგი სიტყვაა „ფ~სნ" – ჩასმული განკვეთილობის ორწერტილებში და თავზე დასმული ქარაგმის ნიშნით. როგორც ჩანს, აქ საკუთარი სახელი, ანთროპონიმი წერია და იგი უნდა წავიკითხოთ, როგორც „ფ(ა)რს(მა)ნ". მას მოსდევს ასოები „პირ" და აქ წყდება სტრიქონი. მისი გაგრძელება მე-8 სტრიქონის დასაწყისშია საძებნი.

მერვე სტრიქონის დასაწყისში ქვის ზედაპირი ამოტეხილია და წარწერა დაზიანებულია, ხოლო ტექსტი ნაკლულია, მაგრამ მაინც იკითხება „ექ-ნ-მ~ფს". ბოლო სიტყვის შემდეგ მარჯვნივ წაწვეტებული ამ ტექსტში ერთადერთი განკვეთილობის ნიშანია დასმული; მაშასადამე, წინა ასოთა კომპლექსები დამოუკიდებელ სიტყვას თუ სიტყვებს ქმნიან. მართლაც, „მ~ფს", როგორც ჩანს, უნდა წავიკითხოთ, როგორც „მ(ე)ფ(ე)ს". დარჩა მის წინ „ექ-ნ", რომელიც შეიძლება აღვადგინოთ, როგორც „ექ[მ]ნ(ა)". მაშასადამე, ტექსტის ამ მონაკვეთში იკითხება: „ფ(ა)რს(მა)ნ პირ|-ექ[მ]ნ(ა) მ(ე) ფ(ე)ს", რაც უნდა გავიგოთ, როგორც ფარსმანმა უერთგული („პირ-ექმნა"), პირობა არ გაუტეხა მეფეს, მხარში დაუდგა, არ უღალატა მას[127].

მომდევნო ასოთა კომპლექსია „მო~კს" – ისიც ცალკე სიტყვაა განკვეთილობის ორწერტილებში და თავზე ქარაგმის ნიშნით. ვფიქრობ, ეს კომპლექსი უნდა გაიხსნას, როგორც „მოლ(ლე)ს" და იგი მიემართება მის წინ ამოკვეთილ ფარსმანს.

მერვე სტრიქონის დარჩენილი სიტყვებია „და ყ~ლი ასწ~დ". ბოლო კომპლექსის შემდეგ კიდევ რჩება ერთი ასოს ადგილი, რომელიც კონტექსტით სანია და მთელი ეს მონაკვეთი ასე წაიკითხება: „და ყ(ოვე)ლი ასწ(ყუი)დ(ე)[ს]".

წარწერის მეცხრე სტრიქონი იწყება ტრაფარეტული, გავრცელებული მიმართვით: „ო~ო", ე. ი. „უ(ფალ)ო". მას მოსდევს მთლიანად, დაუქარაგმებლად დაწერილი სიტყვა „შეუნდვენ", ანუ „შეუნდვენ". აქ პირველი ნ დაზიანებულია და მას და დონს შორის საკმაოდ დიდი ადგილია ცარიელად დატოვებული. ეს ქვის ზედაპირის ხორკლიანობითაა გამოწვეული. სიტყვას „შეუნდვენ" მოსდევს სტრიქონის ბოლო და დაუზიანებლად მოღწეული სიტყვა „გოჰ~რის", რომელიც ადამიანის საკუთარი სახელი „გოჰრი"-ს მიცემით ბრუნვაში გადმოცემაა. მაშასადამე, ამ სიტყვაში ა დაქარაგმებულია და ამის ნიშნად სიტყვის თავზე ქარაგმის ხაზია დასმული; ე. ი. წარწერის ტექსტში ამ ადგილას იკითხება „გოჰ(ა)რის". როგორც აღინიშნა, მეცხრე სტრიქონი აქ მთავრდება.

მეათე სტრიქონის დასაწყისში, ნაწილობრივ ქვის ზედაპირის ამოტეხისა და ნაწილობრივ ხორკლიანობის გამო, შორი-შორს ამოკვეთილი ასოებით წარმოდგენილია სიტყვა „ცო[დ]ვან[ი]". ამის შემდეგ ერთი დაზიანებული ასოს ფრაგმენტია და მის მომდევნოდ ნ, გამოყოფილი შემდეგი სიტყვისაგან ორწერტილით; ე. ი. აქ უნდა ეწეროს „[ა]~ნ", ანუ „[ა](მე)ნ". მაშასადამე, წარწერის მთელ ამ მონაკვეთში იკითხება: „უ(ფალ)ო, შეუნდვენ გოჰ(ა)რის | ცო[დ]ვან[ი]]ა](მე)ნ".

ამ სტრიქონის მეორე ნახევარში, მის დასასრულამდე, იკითხება „და მირაშხნელ", ხოლო შემდეგ დაახლ. 2 ასოს ადგილი ჩამოტეხილია; მის აღსადგენად უნდა მივმართოთ მე-11 სტრიქონის დასაწყისს, სადაც წერია „ყ~ლთა", ე. ი. „ყ(ოვე)ლთა". იგი მოითხოვს, რომ მისი წინა სიტყვაც მრავლობითში იყოს დასმული და, მაშასადამე, მე-10 სტრიქონის ბოლოს უნდა აღვადგინოთ „მირაშხნელ[თა]".

„ყოველთა"-ს შემდეგ მე-11 სტრიქონის მომდევნო სიტყვაა „შეუნდვენ", ამოკვეთილი მთლიანად, დაუქარაგმებლად; მას მოსდევს „ო~ო", ე. ი. „უ(ფალ)ო", ხოლო სტრიქონის და მთელი წინადადების დასასრულია „ა~ნ", ე. ი. „ა(მე)ნ". მაშასადამე. მე-10 და მე-11 სტრიქონებში იკითხება კიდევ ერთი, ამჯერად მთელი სოფლის მოსახსენებელი: „და მირაშხნელ[თა] ყ(ოვე)ლთა შეუნდვენ, უ(ფალ)ო, ა|(მე)ნ".

127 სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „პირად ითქუმის პირობისა და პაემნის მიცემა", ხოლო „პაემანი: დროს პირობა, დროთა დაპირებული" (ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ი. აბულაძის გამოც., თბ., 1993, გვ. 613, 626).

ამით მთავრდება წარწერის ტექსტის ძირითადი ნაწილი, ამის შემდეგ ქვის ზედაპირის წარწერისათვის მომზადებულ ნაწილზე მცირე ადგილი რჩება, ისიც ტექსტის პატარა ზომის ასოებით ამოსაკვეთად, ამიტომ, ტექსტის გაგრძელება-დასასრული წარწერის შემსრულებელს მოუთავსებია მისგან მარცხნივ, პირველი სტრიქონების გასწვრივ[128]. აქ იგი ამოკვეთილია 4 სტრიქონად, მაგრამ ქვის ზედაპირის ამოტეხის გამო, ტექსტი ძალზე ნაკლულია – არ იკითხება საკუთარი სახელი. აშკარად სახეზეა „ფ(რია)დ ცოდ[ვი]ლი | მომიჴსე[ნეთ] | ბერი“. სახელი, როგორც ჩანს, ამოკვეთილი იყო „მომიჴსენეთ“-სა და „ბერი“-ს შორის. მისი აღდგენისათვის უნდა მივმართოთ წარწერის ძირითად ტექსტს. მისი თხრობა, როგორც ვხედავთ, პირველ პირში მიმდინარეობს. იგი აქ ორჯერ ასახელებს თავის თავს – პირველი სტრიქონის შუაში, სადაც წერია „ჲ მე, გიორგაჲ ფრიად ცოდვილს“. მაშასადამე, წარწერის შემსრულებლის სახელია გიორგა და იგი ასე უნდა აღვადგინოთ პირველ სტრიქონშიც: „მე, [გ(იორგ)ა] [ხ](უ)ც(ეს)მ(ა)ნ“. აქ სახელის პირველი გ-დან მუცლის მარცხენა ნაწილიცაა შემორჩენილი. ასევე, სახელი „გიორგა“ უნდა აღვადგინოთ წარწერის ბოლო სტრიქონში, რადგან ტექსტის ამ ნაწილშიც თხრობა პირველ პირშია („მომიჴსე[ნეთ]“) და შინაარსითაც იგი ძირითადი ტექსტის გაგრძელებაა; ყოველ შემთხვევაში, ლოგიკურად ებმის მას.

მაშასადამე, წარწერის შემსრულებელი გიორგა ტექსტში სამ ადგილას ასახელებს თავის თავს (პირველ, მე-3 და მე-13 სტრქ.). ბოლო წინადადება მისი მოსახსენებელია და იგი ასე იკითხება: „[მეცა] ფ(რია)დ ცოდ(ვი)ლი მომიჴსენე[ნეთ] | [გ(იორგ)ა] ბერი.“ ამ ბოლო წინადადების დასაწყისში „მეცა“-ს აღდგენა საჭიროა ტექსტის ორივე ნაწილის გადაბმისათვის, თუმცა, იგი შეიძლება აუცილებელი არც იყოს. ამავე დროს, მოსალოდნელი იყო და უფრო სწორია ბოლო წინადადებაში სიტყვების ასეთი წყობა: „[მეცა] მომიჴსე[ნეთ] ფრიად ცოდ[ვი]ლი [გიორგა] ბერი.“ ერთი სიტყვით, ეს გიორგა თავის თავს უწოდებს პირველ სტრიქონში „ხუცესს“ და ბოლო სტრიქონში „ბერს“; ხოლო ამ მრავალმხრივ საინტერესო წარწერის ტექსტს ამთავრებს სამი მოსახსენებლით – გოჰარის, მირაშხნელთა და თავის სახელზე.

ყოველივე ზემოალნიშნულის შემდეგ მირაშხნის წარწერის ტექსტი ასეთია:

„† ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრ)თი(საჲ)თა. მე, გ(იორგ)ა] ხ(უ)ც(ეს)მ(ა)ნ დავწ[ერე] | მ(ა)ს ჟამს, ოდეს გას მოვიდ[ა] [...] | ხ(ო)რ(ა)ს(ა)ნი ქ(ა)ლ(ა)ქ(ი)თ.

ჲ მე, გ(იორგ)აჲ ფ(რია)დ ც(ო)დ(ვილ)ს. მენ|იფა მოვიდა ჯ(ავა)ხ(ეთ)ს და შეჰრისხ[ა] | [ყ](ოვ)ლი ყ(ოვ)ლს ქ(რის)ტ(ე)სდა. მეტ(ა)დ ახ(ა)ლქ(ა)ლ(აქი)თ] | ნაილო. ასწყ|უიდა და ტ(ყუე)დ ნაი[ლო]. | ყ(ოვე)ლი მესხი აზ(ნაუ)რი შ(ი)გ(ა)ნ დგა. ფ(არ)ს(მა)ნ პირ|-ექ[მ]ნ[ა] მ(ე)ფ(ე)ს. მოკ[ლე]ს და ყ(ოვე)ლი ასწ(ყუი) დ[ე]ს|

უ(ფალ)ო, შეუნდვენ გოჰ(ა)რის | ცო[დვ]ან[ი], [ა](მე)ნ; და მირაშხნელ[თა] | ყ(ოვე)ლთა შეუნდვენ. უ(ფალ)ო, ა(მე)ნ; | [მეცა], ფ(რია)დ ცოდ[ვი]ლი | მომიჴსე[ნეთ], | [გ(იორგ)ა ბერი“.[129]

---

128 ძირითადი ტექსტის მიყოლებაზე არდატეული, ან შემსრულებლის მიერ გამორჩენილი ნაწყვეტის, ან საერთოდ ტექსტის გაგრძელელის მოთავსება ძირითადი ტექსტის მარცხნივ ქართულ პალეოგრაფიაში უცხო არ არის: კუმურდოს ტაძრის სამშენებლო წარწერა 964 წლისა (ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 11; ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 39-41); მცხეთის სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭის წარწერა 1029 წლისა (ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, ტ. I, თბ., 1942, გვ. 133-134, სურ. 1); ოქრობაგეთის (კლარჯეთში) ეკლესიის საამშენებლო წარწერა, რომელსაც ნიკო მარი 1466 წლით ათარიღებდა (Н. Я. Марр, Дневник поездка в Шавшетию и Кларджетию, ТР, СПб, VII, 1911, с. 8, рис. 1), მაგრამ ამჟამად მიღებულია მისი დათარიღება X ს-ით: 934 წლით (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 307-308), ან 938 წლით (ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), თბ., 1999, გვ. 118); კოშის წარწერა XIII ს-ის 30-იანი წლებისა (А. Г. Шанидзе, Грузинская надпись XIII века в сел. Кош, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, I, თბ., 1959, გვ. 8-ზე ჩაკრული ტაბულა; ე. მურადიანი, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა, ერევანი, 1977, გვ. 100-101 (სომხურ ენაზე); ირლანჩაის (სომხეთი) წარწერა რუსუდან დედოფლის (1233-1245) მოხსენებით (ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 165-166) და სხვა.

129 გამოცემის პირობითი ტექნიკური ნიშნების გარეშე წარწერის ტექსტი ასეთია:

„† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, გიორგ[ა] ხუცესმან დავწ[ერე] მას ჟამსა, ოდეს გას მოვიდ[ა] [...] ხორასანი ქალაქით.

ჲ მე, გიორგაჲ ფრიად ცოდვილს. მენიფა მოვიდა ჯავახეთს და შეჰრისხა ყოველი ყოველს ქრისტესდა, მეტად ახალქალაქი[თ] ნაილო, ასწყუიდა და ტყუედ წაი[ლო]. ყოველი მესხი აზნაური შიგან დგა. ფარსმან პირ-ექ[მ]ნ[ა]

ტექსტის ანალიზი. ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელი *ქანწილის* და საყოველთაოდ გავრცელებული ტრაფარეტული ფორმულის „სახელითა ღმრთისაითა“-ს შემდეგ, წარწერაში მოთხრობილია, რომ მე, გიორგა ხუცესმა დავწერე მას ჟამს, როდესაც გას მოვიდა ვიღაცა (მისი სახელი არ შემორჩენილა) ხორასანი ქალაქით.

ტოპონიმი გა არ დადასტურდა ქართულ სინამდვილეში, მათ შორის არც ჯავახეთში და არც მირაშხნის წარწერის ახლომდებარე ადგილებში. უფრო მეტი, ორი ასოთი შედგენილი ტოპონიმი საქართველოში სულ ორია წერილობით ცნობილი: წუ (ლაილაშის ს/თემი ონის რ-ნი) და ხე (კალის ს/თემი მესტიის რ-ნი)[130]. გაცილებით მეტია სამასოიანი ტოპონიმები, მაგრამ მათი რაოდენობაც ოცდაათს თუ აღწევს:

ალი (ხაშურის რ-ნი);
ანი (ელიაწმინდის ს/თემი, ახალციხის რ-ნი);
აში (ქვემო აში, დუშეთის რაიონი);
აცი (მესტიის რაიონი);
აჭე (ბარისახოს ს]თემი, დუშეთის რ-ნი);
აჭი (ორია: ლიხაურის ს/თემი, ოზურგეთის რ-ნი და ქაქუთის ს/თემი, ქობულეთის რ-ნი)
ახა (ყარაბულახის ს/თემი, დმანისის რ-ნი)
ახო (ცხმორისის ს/თემი, ქედის რ-ნი)
ბია (ხობის რ-ნი)
გდუ (ახალგორის რ-ნი)
დრე (ორია: ატენის ს/თემი, გორის რ-ნი და ორბეთის ს/თემი, თეთრიწყაროს რ-ნი)
ეკი (სენაკის რ-ნი)
ინო (მაღაროსკარის ს/თემი, დუშეთის რ-ნი)
ირი (წედისის ს/თემი, ონის რ-ნი)
ინა (ამბროლაურის რ-ნი)
ლია (წალენჯიხის რ-ნი)
მნა (კოშის ს/თემი, ყაზბეგის რ-ნი)
ნაა (ორია: ოჩამჩირის რ-ნი, გულრიფშის რ-ნი)
ონი (ქალაქი)
ოჩე (დიდი ჭყონის ს/თემი, მარტვილის რ-ნი)
სბა (შუა, ქვემო-რუვის ს/თემი, ჯავის რ-ნი)
სნო (ყაზბეგის რ-ნი)
ტბა (ბორჯომის რ-ნი)
უდე (ადიგენის რ-ნი)
ფია (ასპინძის –ნი)
ფცა (ქარელის რ-ნი)
ღრუ (ზემო, ქვემო – გდუს ს/თემი, ახალგორის რ-ნი)
ჩაო (ხულოს რ-ნი)
ცდო (ყაზბეგის რ-ნი)
წრე (ადიგენის რ-ნი)
წრუ (ხვწის ს/თემი, ჯავის რ-ნი)
ჭიე (გუდანის ს/თემი, დუშეთის რ-ნი)[131].

მეფეს, მოკლეს და ყოველი ასწყუიდ[ეს].
უფალო, შეუნდვენ გოჰარის ცო[დვ]ან[ი]. [ა]მენ; და მირაშხნელ[თა] ყოველთა შეუნდვენ, უფალო, ამენ; [მეცა], ფრიად ცოდ[ვი]ლი მომიხსე[ნეთ], [გიორგა] ბერი.“

130 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987, გვ. 230, 243.

131 იქვე, იხ. შესაბამისი გვ-ბი.

ამიტომ უნდა დავუშვათ ორი შესაძლებლობა: XI ს-ში ჯავახეთში არსებობდა ტოპონიმი გა ლუს და ხეს მსგავსად და მისი მდებარეობა დღეს ჩვენთვის უცნობია, ან გას სახით წარწერის შემსრულებელმა დაქარაგმებით გადმოსცა რომელიღაც ტოპონიმი, რომელსაც ასევე ძებნა სჭირდება დღეს არსებულ მასალებში. იგი რომ სიტყვების, მათ შორის ერთ შემთხვევაში ტოპონიმის ორასოიან, ანუ შუაკვეცილობით დაქარაგმებას მიმართავს, ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული: ტ˜დ–ტყუედ, ფ˜დ–ფრიად, ჯ˜ხს–ჯავახეთს, ც˜დს–ცოდვილს. ასე რომ, თითქოს არ ჩანს შეუძლებელი, ამ შემთხვევაშიც მას ტოპონიმი შუაკვეცილობითი დაქარაგმებით, ე. ი. პირველი და ბოლო ასოების აღნიშვნით გადმოეცეს.

თითქოს ყველაზე ბუნებრივი და კანონზომიერია გას გახსნა გ(იორგ)ას, ან გ(ოგას) ფორმით. გოგაშენი ამჟამადაც არსებული ტოპონიმია ჯავახეთში, მირაშხნის წარწერის მიდამოებში, ახალქალაქის რ-ნის ოკმის საბჭოში, რომელიც ჯავახეთის პლატოზე, მირაშხნის წარწერიანი გამოქვაბულის თავზე მდებარეობს. შეიძლება დავუშვათ, რომ XI ს-ში მას მხოლოდ გოგა ეწოდებოდა და შენ მსაზღვრელით შემდეგ გაფორმდა. მართლაც, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „დროთა განმავლობაში შენ ძირისაგან ნაწარმოები იქნა შენება ზმნა, ამასთან დაკავშირებით შენ სიტყვამმიმღეობის მნიშვნელობა მიიღო. „შენის ეს მნიშვნელობა შედარებით გვიანდელი ჩანს. მას წინ უსწრებს ადამიანთა საკუთარი სახელი, რომლის კარგი მაგალითია გოგაშენი"[132]. მაშასადამე, გოგაშენის თავდაპირველი სახელწოდება შესაძლებელია, რომ გოგა ყოფილიყო და იგი წარწერის შემსრულებელს დაქარაგმებული გ˜ა-ს სახით გადმოეცა.

გოგას გვიანდელი სახელი გოგაშენი დაფიქსირებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში"[133]. აქ იგი სოფელ ჭაჭკრის სათესველია. ე. ი. XVI საუკუნისათვის იგი გაუკაცრიელებული დასათესველად გადაქცეულა. როგორც ცნობილია, ჯავახეთის ბევრმა ისტორიულმა სოფელმა, ან თვით ნასოფლარის სახელმაც საერთოდ ვერ მოაღწია ჩვენამდე; მაგ., სოფელ არეშის (არეშტის) არსებობის შესახებ მხოლოდ IX ს-ის წარწერის მიხედვით ვიცით[134]. როგორც ჩანს, დაახლ. ასეთ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე მირაშხნის წარწერაშიც: გ˜ა, ანუ გოგა დაფიქსირდა მასში ადგილის სახელწოდებად XI ს-ში, რომელმაც გვიან გოგაშენი მოგვცა და დღესაც ასე იწოდება. მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება: როგორც ჩანს, ეს გა, ან გოგა მნიშვნელოვანი პუნქტი, ან ვრცელი ტერიტორია, ქვეყნის კუთხის სახელწოდება იყო, რომ წარწერის შემსრულებელმა საგანგებოდ მოიხსენია იგი, როგორც მტრის შემოსევის ადგილი. დღეს ძნელია ეს ვარაუდი თანამედროვე გოგა//გოგაშენზე გავავრცელოთ, რადგან ასეთი „მასშტაბის" სოფლები ათობითაა ჯავახეთსა და მირაშხნის მიდამოებში. ასე რომ, წარწერისეული გას განსაზღვრა მაინც მომავლის საქმედ რჩება.

შემდეგი ტოპონიმი, რომელიც წარწერის მონაკვეთშია დასახელებული, არის ხორასანი. იგი აღმოსავლეთ ირანის ძალზე ცნობილი პროვინციაა[135]; მირაშხნის წარწერის ავტორს, რატომღაც ქალაქი ჰგონია („მირაშხანი ქალაქით").

შემდეგ იწყება წარწერის ახალი მონაკვეთი, რომელშიც ავტორი დასტირის თავის თავს („ჶ მე") მტრის თავდასხმით გამოწვეული უბედურების გამო და უწოდებს მას „ფრიად ცოდვილს". თუ რა უბედურებაა ეს, ამას ეძღვნება წარწერის შემდგომი, შუა ნაწილი და უმთავრესი მონაკვეთი. აქ მოთხრობილია, რომ „მენიფა" მოვიდა ჯავახეთს და შერისხა ყოველსა და ყველას ქრისტესთვის („ქრისტესდა", ქრისტეს გამო. ცხადია, ქრისტიანული სარწმუნოებისთვის). მას მეტად ახალქა-

132 მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 88, 91.

133 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბ., 1958, გვ. 364, 525.

134 ა. ჯავახიშვილი, სტეღა ასომთავრული წარწერით ნასოფლარ არეშის მახლობლად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №7, თბ., 1944, გვ. 747-752; ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 77-79.

135 „ხუარასანი", როგორც ქვეყანა, ხშირადაა დასახელებული „ქართლის ცხოვრებაში" (იხ. ტ. II, გვ. 700). ასეთად იცნობს მას ბიზანტიური ისტორიოგრაფია, კერძოდ, XII ს-ის I ნახ-ის ცნობილი ავტორი ანა კომნენე (Анна Комнина, Алексиада, изд. Я. Н. Любарского, М., 1965, с. 310-312..., 526, прим. 706). იხ. აგრეთვე, Б. Н. Заходер, Хорасан и образование государства селджукидов, „Вопросы истории", №5-6, 1945. Hutz Cl., Khorasan, EI, II, S. 1037-1039. ხორასნის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა: В.В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, Соч., М. Л., 1971, с. 102-121.

ლაქით წაულია, გაუწყვეტია (ცხადია, იგულისხმება მოსახლეობა) და ტყვედ წაუყვანია. „ყოველი მესხი აზნაური“ ამ დროს ახალქალაქში მდგარა. ფარსმანს მეფისთვის მიცემული პირობა არ გაუტეხია, იგი მოუკლავთ და ყველანი გაუწყვეტიათ („ყოველი ასწყუიდეს“).

ცხადია, აღწერილი სურათი, რომელშიც ახალქალაქის დაპყრობა, მასში მესხი აზნაურების გამაგრება („დგა“), მათთან ფარსმანის ყოფნა და ბოლოს ყველას დაპყრობა და ამოწყვეტაა აღწერილი, როგორც ეს ჯერ კიდევ გ. გაფრინდაშვილმა აღნიშნა, ზუსტად შეესაბამება იმ სურათს, რომელიც გადმოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“ თურქ-სელჯუკთა სულტნის ალფარსლანის საქართველოში პირველი ლაშქრობის აღწერისას. კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲში“ ნათქვამია: „ლაშქარი სულტნისა... წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე; რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვლისათა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლით“[136].

უფრო დეტალურად და დრამატულად აღწერს ახალქალაქის აღების ამბებს XII ს-ის არაბი ავტორი სადრ ად-დინ ჰუსეინი. იგი წერს: საფიდარ-შაჰრის (აღჯაყალა, თეთრი ციხის) აღების შემდეგ „Султан направился к другому городу, под названием Ахал-кала. Стены этого города был в сто логтей в высоту, а в ширину еще более того. С восточной, западной и северной сторон город окружали горы, на вершинах которых были неприступные крепосты, а стены, о которых мы упоминали, находились на южной стороне. Перед этими стенами была полоса воды, такая, как Джейхун по глубине. Там был мост, но осажденные подняли его, и войска ислама потеряли надежду покорить этот город.

Султан Алп-Арслана раскинул свой шатер у ворот города, усердно молился и просил (Аллаха). Султанские войска навели большой мост, и сражение разгорелось. Тогда из города вышли два человека, которые стали взывать к милосердию и просить пощады. Они просили у Султана (дать им) справедливого эмира, который не позволял бы совершать преступления и не разрешал бы посягать на женщин. И султан направил к ним эмира Ибн Муджахида и Абу Сумру. (Но), когда они миновали первую стену, их окружили грузины и бросились на ных. Они оказались между двух огней – впереди них были мечи, а сзади – вода.

К султану вошел Саваб *ал-хадим* в то время, когда султан молился, и сообщил, каково положения, и (сказал), что грузины набросились на мусульман и те отступили. Однако султан не прервал молитвы и завершил ее с покорностью и смирением. Затем он вышел, сел на коня и хладнокровно бросился в бой и проливал кровь (врагов), пока не вступил в город и не очистил землю от их скверны.

В одной из башен этого города оставались смелчаки, сражавшиеся против султана с большим упорством. Султан приказал обложить башню дровами, поджечь ее, и они сгорели там, превратившись в золу.

Султан возвратился в своей шатер в самом лучшем состоянии и в радостном настроении. Воины ислама захватили столько добычи, что ее (количество) было ни определить, ни учесть.

Когда наступила ночь, подул сильный ветер. У башни остались горящие поленья, о которых мы упоминали, ветер раздул пламя, разнее по городу, и он сгорел долта.“[137]

---

136 მატიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 306:16-22. საინტერესოა, რომ თითქმის ანალოგიურად აღწერს ახალქალაქის აღებას 1486 წელს ირანის მბრძანებლის იაყუბ-ყაენის მიერ ბატონიშვილი ვახუშტი : „მოადგა ახალქალაქს და აოჩრებდა გარემოთა ქუეყანათა მოწყუედითა და ტყუე-ყოფითა“; „ყენებან... შემუსრა ახალქალაქი და გამოიყუანა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყუენი მრავალნი მუნ მყოფნი სრულად. მერმე მოწია ქალაქი“ („ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 707:19-20, 22-24).

137 Садр Ад-дин али ал-Хусаини, Ахбар ад-даулат ас-селджукийа (Сообщения о сельджукском государстве). Издание текста, перевод, примечания и приложения З. М. Буниятова, в., 1980, с. 50. სადრ ად-დინ ჰუსეინის ცნობები მისი თურქული თარგმანის მიხედვით ქართულად თარგმნა ნ. შენგელიამ: იხ. იდი, სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობების შესახებ, კრ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორი-

ასევე მეტად დრამატულია ის სურათი, რომელსაც სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი (XI-XII სს.) აღწერს ახალქალაქის აღებასთან დაკავშირებით; აბასლანმა (ე.ი. ალფ-არსლანმა), – წერს იგი, „სასტიკი ბრძოლებით ალყა შემოარტყა ახალქალაქს, რომელიც იერიშით აიღო. მან უმოწყალოდ, მახვილით მოსრა მთელი ქალაქი, კაცები, ქალები, ყველა მღვდლები, მონაზვნები და მთავრები. მთელი ქალაქი სისხლით მორწყო. სპარსეთში ტყვედ წაიყვანა უამრავი ჭაბუკი და გოგონები, ხელთ იგდო უამრავი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი“[138].

ახალქალაქში ეს ამბები დატრიალდა 1064 წლის ივნის-ივლისში[139].

სამი დღით ადრე თავის ოთხმოც ყრმა მოწაფესთან ერთად ახალქალაქიდან გავიდა და ქარ-თლისაკენ გაემართა წმ. გიორგი მთაწმინდელი (1009-1065)[140]. მისი ბიოგრაფის, გიორგი მცირის, ანუ გიორგი ხუცეს-მონაზონის ცნობით, „რაჟამს-იგი სამხილებელად ცოდვათა ჩუენთათჳს ლომი იგი მყვირალი, ბაბილონით აღმოსრული, სიმტკიცესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადული, მეორე ნაბუქოდონოსორ, უშჯულოჲ სურტანი გამოვიდა საზღვართაგან თჳსთა მოსრვად ნათესავსა ქრის-ტიანეთასა, მას ჟამსა შინა ვიყვენით ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა და მუნ ჰყვეს ყოველნივე იგი ობოლნი თჳსნი და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა. შუადღეს ოდენ განკჳრებაჲ დაეცა ჟამ რაოდენმე და მეყსეულად განკრთომის სახედ გვიბრძანა ყოველთა, ვითარმედ: „უწყოდეთ, რამეთუ რისხვაჲ ღმრთისაჲ მონევად არს ამას ქალაქსა ზედა!“ და ბრძანა აღკაზმვაჲ ყოველთაჲ. და იყო რაჲ მწუხრი, გამოვედით. და შემდგომად სამისა დღისა მოიწია რისხვაჲ იგი უგრძნულად, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ. რამეთუ არათუ ახალქალაქისა ოდენ მკჳდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეუფოჲსა ჩუენისანი ძჳრ-ძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს“[141].

როგორც ვხედავთ, საეჭვო არ არის, რომ ამ საისტორიო ცნობებსა და მირაშხანის წარწერაში ერთი და იგივე ამბებია მოთხრობილი. წარწერის ტექსტი მოვლენათა უშუალო გავლენით გაკეთე-ბული ჩანაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ, ვფიქრობ, იგი შეიძლება დათარიღდეს XI ს-ის II ნახ-ით, ან სულაც 60-იანი წლებით.

წარწერის ტექსტში ამ ამბების თითქმის ყველა მთავარი მონაწილეა დასახელებული, გარდა უმთავრესის – სულტან ალფ-არსლანისა. აქ ეს ამბები მიეწერება „მეწიფას“ (შეიძლება სულტნის სახელი აღნიშნული მეორე სტრიქონის ბოლოს, მაგრამ ეს ადგილი დაღუპულია). „მეწიფა“ ტე-ქსტში ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ იგი შეიძლება იყოს ან პირის საკუთარი სახელი, ან ზედსართავი სახელი, ან ხელისუფლების ტიტული (თითქოს, „ხელმწიფე“). ამჟამად არსებული მასალების მიხედვით გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

წარწერის ტექსტის ამ მონაკვეთშივეა დასახელებული ფარსმან, რომელიც „პირ-ექმნა მეფეს“. გ. გაფრინდაშვილმა იგი XI ს-ის საქართველოს ერთ-ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ ფიგურასთან, ერისთავთა ერისთავ ფარსმან თმოგველთან გააიგივა. მართლაც, სხვა ფარსმანს, რომელიც ამ დროს ამ მხარეში მოღვაწეობდა, მეფესთან იყო დაკავშირებული და წარწერის ტექსტში მისი მოხ-სენიება ავტორს საჭიროდ მიუჩნევია, ჩვენ არ ვიცნობთ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მეფე, რომელიც სახელის გარეშე იხსენიება წარწერის ტექსტში, არის საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072). წარწერაში აღნიშნულია, რომ

იდან“, თბ., 1976, გვ. 187-195.

138 მათეოს ურჰაეცი, 1892, გვ. 356 (სომხურ ენაზე).

139 ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 228. ქართულ ისტორიოგრაფიაში ალფ-არსლანის საქართველოში პირველი ლაშქრობის თარიღად მიღებული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი 1065 წელი (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზ. II, თბ., 1983. გვ. 152) და, ბუნებრივია, ამასვე იმეორებს გ. გაფრინდაშვილი (ახალი ნავარძიევის წარწერა, გვ. 35). ამჟამად საყოველთაოდაა მიღებული 1064 წელი, დადგე-ნილი ნ. შენგელიას მიერ მრავალრიცხოვანი წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 189; „საქართველო“, ენციკლოპედია, I, თბ., 1997, გვ. 116)

140 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1994, გვ. 85.

141 გიორგი მცირე, ცხორებაი გიორგი მთაწმინდელისაი. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, ნიგნი II (XI-XVსს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1971, გვ. 174:3-18.

ფარსმანი მას „პირ-ექმნა“, რაც ნიშნავს იმას, რომ ფარსმანმა მას პირობა არ გაუტეხა, უერთგულა. ვფიქრობ, ამ ფრაზაში ასახულია ის რთული ურთიერთობა, რომელიც მეფესა და მისი დროის სხვა დიდებულებს – ლიპარიტ ლიპარიტის ძეს, ივანე აბაზას ძეს, ფარსმან თმოგველს და სხვებს შორის არსებობდა და რაც დროისა და ეპოქის თავისებურებით იყო გამოწვეულ-განპირობებული.

კერძოდ, ბაგრატ IV-სა და ფარსმანს შორის რომ არაერთგვაროვანი და მერყეევი დამოკიდებულება იყო, ეს ნათლად და არაორაზროვნად აისახა საისტორიო წყაროებში. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ცნობით, XI ს-ის 40-იან წლებში, როდესაც ლიპარიტ ერისთავთა ერისთავსა და ბაგრატ IV-ეს შორის ურთიერთობა გამწვავდა, „ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცედ იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, თვინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისის ერისთავისა. გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“[142]. მაგრამ, უკვე XI ს-ის 60-იანი წლების დასაწყისისათვის ფარსმანი მეფის ერთგულია, როგორც ჩანს, მის მიერვეა აგებული ახალქალაქის ზღუდე და ამ ქალაქის მფლობელია (არა აქვს მნიშვნელობა რა პირობით – დროებით, როგორც ხელისუფალს, თუ მამულობით), არ ღალატობს მეფეს და თავს სწირავს ციხის სხვა დამცველებთან ერთად. ამიტომაც აღნიშნავს საგანგებოდ მის შესახებ წარწერის ავტორი „პირ-ექმნა მეფესო“.

ფარსმანის კვალი ჯავახეთში სხვაგანაც ჩანს, კერძოდ, იგი იხსენიება სათხის და ზედა თმოგვის ეკლესიების წარწერებში. ამჟამად ძალზე გადაკეთებულ, სახურავჩაქცეულ და კედლებმორღვეულ სათხის ეკლესიას რამდენიმე პირის მოსახსენებელი წარწერა შემოუნახავს – ი. როსტომაშვილის აღრიცხვით და გადმოცემით 6 წარწერა[143]. სამწუხაროდ, ამჟამად, გარდა ერთისა („ქრისტე, შეიწყალე ცხორება“) ყველა გადასულია, ან გადაშლილ-გადათლილია. მისივე ცნობით, ამ წარწერებს შორის, ეკლესიის სამხრეთ კედელზე მოთავსებული ყოფილა ფარსმან თმოგველის ვრცელი მოსახსენებელი: „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთა ერისთავი. აღაშენა ესე ეკლესია სადიდებელად მათდა და მშობელთა მათდა სალოცველად“[144].

ზედა თმოგვის ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილია წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთა ერისთავისაჲ, იოვანეს ძისაჲ, ჭიმჭიმელისაჲ“[145]. მაშასადამე, ამ წარწერის ცნობით, ფარსმანის მამას იოვანე ჰრქმევია და ისინი ჭიმჭიმელები ყოფილან. ჭიმჭიმელის ზედწოდებით იხსენიება კიდევ სხვა იოვანე, გიორგი III-ისა და თამარის ეპოქის ცნობილი პოეტი-ფილოსოფოსი[146]. ტოპონიმი ჭიმჭიმი, უფრო სწორად, ადგილი, სოფელი თუ დაბა, საიდანაც ყოფილან წარმოშობით საქართველოს ასეთი გამოჩენილი მოღვაწეები, ამჟამად საძებნია. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ერთი ცნობის მიხედვით, იოვანე „იყო ნათესავით ქართუელი, სანახებითაგან სამცხესა, დაბით ჭირჭიმით“[147]. მაშასადამე, ჭიმჭიმი ანუ ჭირჭიმი, ამ ცნობით, სამცხეშია[148].

გარდა ამისა, ზედა თმოგვის წარწერა შესრულებულია ფარსმან თმოგველის გარდაცვალების შემდეგ, რადგან ტექსტში მისი სულის შეწყალებაზეა საუბარი. იგი მისი სულის შეწყალებისთვისაა

142 მატიანე ქართლისა, გვ. 198:16-19.

143 И. П. Ростомов, Ахалкалакский уъезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тиф.,1898, с. 104-107.

144 იქვე. ვ. 106. შდრ. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, ვ3. 37-38.

145 რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XIV-B, თბ., 1947, გვ. 241.

146 ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა“, როგორც ეტყობა, დიდი ისტორიული პოემა დემეტრე I-ის შესახებ, ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს“ (იხ. მისი, თხზ., II, გვ. 308). იოვანე ჭიმჭიმელის და მის მიერ თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულებების შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 316-318.

147 „ძველი საქართველო“, ტ. II, 1911-1913, გვ. 40.

148 ჭიმჭიმის საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ე. თაყაიშვილი თავის ნაშრომში „სამუსულმანო საქართველო“ (1939). იგი წერს: „ამ მხარეში არის კიდევ დიდი სოფელი მაღალ ზეკარზე (უღელტეხილზე), იშხანის მახლობლად (სოფელ იშხანის სამუხტაროში შემოდის). სოფელში 208 სული მეხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის ჩილჩიმი, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია ჭიმჭიმი და მცხოვრებიც ასე გამოსთქვამენ მის სახელს“ (იხ. კრ. „დაბრუნება“, I, თბ., 1991, გვ. 223); ცნობილი ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი იოანე ჭიმჭიმელიც აქედან წარმოსდგებაო (იქვე).

ამოკვეთილი. მაშასადამე, იგი თარიღდება 1060-იანი წლების II ნახ.-ით. უფრო მეტი, ყოველივე ამის გამო, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ფარსმან თმოგველი ზედა თმოგვის ეკლესიაში იყოს დაკრძალული.

8 ივლისს, წმ. პროკოპის ხსენების დღეს, ფარსმან თმოგველისათვის აღაპი დაუწესებიათ ათონის ქართველთა მონასტერში:

„თუესა ივლისსა ჱ, წმიდისა პროკოპისი. აღაპად განგჳწესებია ფარსმან თმოგუელისადა. ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფზახთა მეფისა“[149].

ე. მეტრეველის დაკვირვებით, „ბაგრატ IV-ის დროინდელი თვალსაჩინო მოღვაწენი დიდ ინტერესს იჩენენ საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებისადმი“[150]. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ფარსმან თმოგველი, რომელსაც ბაგრატ მეფის წინაშე მრავალგზის გაუწევია შუამდგომლობა მონასტრისათვის. ელ. მეტრეველის ცნობით, ფარსმან თმოგველის აღაპი ათონის ქართველთა მონასტრის იმ აღაპების ჯგუფში შედის, რომლებიც დაწესებულია მონასტრისათვის „სოლიმნის შექმნისა“ და „დიმოსის მოწყუედის“ დიდ საქმესთან დაკავშირებით. დიდად საყურადღებოა, რომ ფარსმან თმოგველის აღაპთან ერთად ამ ჯგუფში შედის აღაპები: მარიამ დედოფლისა, ბაგრატ კურაპალატის, კონსტანტინე მონომახის, ძმების – პეტრიკისა და იოვანეს, სანანო ქველისძის და ევსტათი იკონომოსის სახელზე[151]. ხოლო „სოლიმნის საქმე“ და „დიმოსისა მოწყუედა“ დაკავშირებული იყო მონასტრის სახელზე წლების მანძილზე დაგროვებული ვალებისა და გადასახადების გადახდასა და მოხსნასთან[152].

საინტერესოა, რომ აღაპი ფარსმან თმოგველისათვის დაწესებულია წმ. მეომრის პროკოპის ხსენების დღეს[153], რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ფარსმან თმოგველი თავისი დროის გამოჩენილი სამხედრო პირი და მეომარი იყო.

ფარსმანისათვის, ელ. მეტრეველის დასკვნით, ზემომოყვანილი აღაპი დაუწესებიათ გიორგი მთაწმინდლის ათონზე წინამძღვრობის დროს[154]. ფარსმან თმოგველი და გიორგი მთაწმინდელი, როგორც ჩანს, პირადადაც იცნობდნენ ერთმანეთს – გიორგი მთაწმინდელმა ხომ ახალქალაქი სამი დღით ადრე დატოვა, სანამ იქ სხვა მეხიცოვნეებს შორის ფარსმან თმოგველიც დაიღუპებოდა.

ე. მეტრეველი ფარსმან თმოგველის აღაპის დაწესებას ათონის ქართველთა მონასტერში ერთგან ათარიღებს 1044-1048 წლებით[155], ხოლო მეორეგან – 1054-1056 წლებით[156]. ვფიქრობ, ამ განსხვავებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორივე თარიღი ფარავს გიორგი მთაწმინდლის ათონზე წინამძღვრობის წლებს – 1042-1056.

ფარსმან თმოგველის თანამედროვეა კიდევ ერთი ფარსმანი. ადრე მათ ერთმანეთში აიგივებდნენ[157], მაგრამ ჯერ კიდევ რუსუდან გვერდწითელმა გაარკვია (1947), რომ ისინი სხვადასხვაა და მეორე ფარსმანი ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წევრია[158], იგი წყაროებში არსენ ფარსმან-ყოფილის სახელით იხსენიება და ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვართაგანია[159]; აქ აღაპიცაა დაწესებული მის სახელზე.

149 ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 158.

150 იქვე, გვ. 233.

151 იქვე, გვ. 76-77.

152 იქვე, გვ. 73-75.

153 აღსანიშნავია, რომ წმ. პროკოპის ხსენება 23 ივნისს, 8 და 9 ივლისს შეტანილია X ს-ში შედგენილ იოანე-ზოსიმეს პალესტინურ-ქართულ საეკლესიო კალენდარში (G. Garitte, Le calendrier palestino-georgien, Bruxelles, 1958, pp. 74, 77, 257, 273, 274 (საინტერესოა, რომ 8 ივლისს მხოლოდ წმ. პროკოპის ხსენებაა დაწესებული).

154 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

155 იქვე, გვ. 232.

156 იქვე, გვ. 233.

157 რ. გვერდწითელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241 (იქვე საკითხის ლიტერატურა და მისი განხილვა).

158 იქვე, გვ. 242.

159 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომიო, გვ. 115-116.

არც ერთ წარწერასა და სხვა საისტორიო წყაროში ფარსმან თმოგველის შვილები არ იხსენიებიან. როგორც ჩანს, თმოგვის ციხისა და ჯავახეთის ამ ნაწილის მფლობელთა საგვარეულო მისით შეწყდა. ჰქონდა თუ არა მასთან ნათესაური კავშირი XIII ს-ის ზემოდასახელებულ კიდევ ერთ ჭიმჭიმელს, უცნობია[160].

მირაშხნის წარწერის ტექსტის ბოლო, დასკვნითი მონაკვეთია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამი მოსახსენებელი ვინმე გოჰარის, მირაშხნელთა და გიორგა ბერის სახელზე.

გოჰარის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება და თუ ვინ არის იგი ჩვენთვის, უცნობია. ეს ანთროპონიმი სპარსული სიტყვაა – „გოჰარნიქ"; იგი მარგალიტს, ან ზოგადად ძვირფას ქვას ნიშნავს.

შემდეგი მოსახსენებელი მირაშხნელთა სახელზეა. ამ მხრივ წარწერა მნიშვნელოვანია იმით, რომ სოფლის სახელად მირაშხანი ჯერ კიდევ XI ს-შია დოკუმენტურად დაფიქსირებული[161].

მესამე მოსახსენებელი, სავარაუდოდ, წარწერის ავტორ-შემსრულებლის გიორგი ბერის სახელზეა. იგი წარწერის ტექსტში კიდევ ორჯერ არის მოხსენიებული და ერთგან თავის თავს ხუცესს უწოდებს; მაშასადამე, იგი მღვდელ-მონაზონი ყოფილა. სხვა ცნობები ამ გიორგის შესახებ არ მოგვეპოვება.

ამრიგად, წარწერის ტექსტში ექვსი ტოპონიმი და ოთხი პირი (აქედან ერთი სამჯერ) იხსენიება. მასში მოთხრობილია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი დრამატული ფაქტის – 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა შემოსევის და ახალქალაქის აღების შესახებ. ცხადია, ერთი წარწერისათვის ეს ცოტა არ არის. წარწერაში დასახელებული ტოპონიმებია: ხორასანი, ჯავახეთი, ახალქალაქი, მირაშხანი, მესხეთი, გოგა (?) (გოგაშენი, „გა"); ხოლო პირთა სახელებია: გიორგა, ფარსმან, გოჰარი და კიდევ ერთი, არმოღწეული სახელი, რომელიც მეორე სტრიქონის ბოლოს იყო ამოკვეთილი.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში თურქ-სელჯუკთა შემოსევის შესახებ ნათქვამია კიდევ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში – თრეხვის ქვაბებში (კასპის რ-ნი) მიკვლეულ ქვაჯვრის წარწერაში; ეს ჯვარი დამზადებული ყოფილა წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე, როგორც ამას მოწმობს მისი წარწერა: „წმიდაჲ მიქაელ მთავარანგელოზი", ხოლო საკუთრივ წარწერის ძირითად ტექსტში ნათქვამია:

„მე, ლეონტი მროველმან, დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათჳს ღმრთაებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათჳს, ჟამთა შინა ალფარსლან სულტანისაგან ოჴრობისათა. ქრონიკონსა სპე" (1066 წ.).[162]

მართალია, ეს წარწერა მირაშხნის წარწერის აღმოჩენიდან ხუთიოდე წლის შემდეგ გახდა ცნობილი, მაგრამ გამოქვეყნდა გაცილებით მასზე ადრე, რადგან მასში ყველაფერი გარკვევით და ნათლად იკითხებოდა (იგი შესრულებულია ნუსხახუცური დამწერლობით) და, ამავე დროს, წარწერის ავტორი ლეონტი მროველი XI ს-ის ქართველ ისტორიკოსთან, „ქართლის ცხოვრების" ბირთვის შემქმნელთან იქნა დაკავშირებული. მართალია, წარწერის გამომცემლის გ. გაფრინდაშვილის ამ თვალსაზრისს მკვლევართა ერთმა ნაწილმა, რომელთაც ლეონტი მროველი უფრო ადრეული ხანის ავტორად მიაჩნდათ, წინააღმდეგობა გაუწია[163], მაგრამ მაშინაც და ახლაც მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ თრეხვის წარწერის ლეონტი მროველი და XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ერთი და იგივე პირია.

სხვათა შორის, ამის არაპირდაპირ საბუთად ამ ორი – თრეხვისა და მირაშხნის წარწერათა ტექსტების შედარებაც შეიძლება გამოდგეს. თრეხვის წარწერაში გარკვევით ჩანს გამოცდილი ის-

160 იქვე, გვ. 163, №110.

161 მირაშხანი მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში". XVI ს-ში აქ 11 კომლი მოსახლეობდა (ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 360)

162 გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა, გვ. 246-247.

163 იქვე, გვ. 248-257.

ტორიკოსის თვალთახედვა – იგი კონკრეტულად აღნიშნავს უმთავრეს ისტორიულ ფაქტებს – რა აშენდა, ვინ ააშენა, რისთვის ააშენა, რა იყო აშენების მიზეზი და როდის აშენდა. არაფერს ამას ადგილი არა აქვს მირაშხნის წარწერაში, სადაც გიორგა ხუცესი, მართალია, გადმოსცემს ახალქალაქის დაცემის შთამბეჭდავ სურათს, რასაც აღწევს ზმნების აქტიურ ფორმაში დასმით – მოვიდა (ორგზის), შეჰრისხა, წაიღო, ასწყუიდა (ორგზის), მოკლეს..., მაგრამ მისი თვალთახედვა მაინც შეზღუდულია, იგი ახალქალაქსა და მის მიდამოებს (ყველაზე დიდი – ჯავახეთს) არ სცილდება, მან ისიც არ იცის, რომ ხოროსანი მხარეა და არა ქალაქი; ასევე, ვინ არის მის მიერ დასახელებული „მეწიფა", რომელიც მოვიდა ჯავახეთს და რომელმაც ახალქალაქი დაიპყრო. ვიცით, რომ ეს არის სულტანი ალფარსლანი, მაგრამ როგორ შეიძლება მისი დაკავშირება სახელ „მეწიფასთან", თუ ტიტულ „ჴელმწიფესთან", ეს სრულიად გაუგებარია და სხვ.

ასეა თუ ისე, მირაშხნის წარწერის მნიშვნელობა მაინც დიდია. იგი ერთგვარი დოკუმენტური, ქრონიკალური ჩანაწერია, რომელიც მოგვითხრობს თურქ-სელჯუკთა საქართველოში 1064 წლის ზაფხულში პირველი ლაშქრობის შესახებ და ერთი დეტალით – ახალქალაქის აღების დროს ფარსმან თმოგველის დალუპვის ცნობით ავსებს ჩვენს ცოდნას ამ ამბებთან დაკავშირებით.

სათხის წარწერები

ვალერი სილოგავა

ისტორიული ქართული სოფელი სათხე მდებარეობს ჯავახეთში, რაიონულ ცენტრ ნინოწმინდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კილომეტრზე. ამჟამად იგი დასახლებულია XIX საუკუნის 30-იან წლებში არზრუმიდან გადმოსახლებული სომხებით. სოფლის სახელი გამჭვირვალეა და ტიპურია ქართული სინამდვილისათვის. „სა-ე აფიქსებით ნაწარმოები ცხოველთა და ფრინველთა აღმნიშვნელი ფუძეები გვხვდება ქართულ ტოპონიმიაში. ასეა წარმოქმნილი სა-ირმ-ე, სა-კაკბ-ე, სა-თახვ-ე... როგორც ჩანს, ჯავახეთის ეს მიდამოები ცნობილი ყოფილა თხის სიმრავლით და ამიტომ უწოდებიათ მისთვის სა-თხ-ე" (მ. ბერიძე).

სოფელში შემორჩენილია ძველი ისტორიული ძეგლები – ციკლოპური ციხის ნაშთები, რომელსაც მტკვარ-არაქსის ეპოქით (ძვ. წ. III ათასწლეული) ათარიღებენ მკვლევარები. აქვე დგას XI ს-ის ქართული ეკლესია. ციხის კედლების დიდი ნაწილი დარღვეულია – გადმოსახლებულებს მისი ქვები სახლების ასაშენებლად მოუხმარიათ, ხოლო სახურავაჩამოქცეული და ნაწილობრივ კედლებგადმორღვეული ეკლესია გაპარტახებულია და რესტავრაციას საჭიროებს. ქართული ეკლესიისათვის XIX ს-ის 70-იან წლებში სამხრეთიდან სომხური ეკლესია მიუშენებიათ, რომელიც ასევე მოუვლელია და დაზიანებული.

სათხის ქართულმა სიძველეებმა, თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობის გამო, ჯერ კიდევ XIX ს-ში მიიქციეს მკვლევართა ყურადღება. ამ სიძველეებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ამჟამადაც იწვევს ძველი ქართული წარწერები, რომლებიც მრავლად მოიპოვებოდა და მათი ცალკეული ნაშთები ახლაც იკითხება ეკლესიის კედლებზე. 1990 წელს ამ წარწერათა რიცხვს დაემატა უცნობი ერთი ვრცელი წარწერაც[1].

პირველი ცნობები სათხის სიძველეებისა და მათ შორის ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ 1898 წელს გამოაქვეყნა იმ დროისათვის ცნობილმა მკვლევარმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალ „მოგზაურის" რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა[2]. მისი ცნობით, ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე იკითხებოდა ორი წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე იერემია"** და **„ქრისტე, შეიწყალე ხარაისძე"**. დასავლეთ კედელზე ყოფილა წარწერები: **„ქრისტე, შეიწყალე გიორგი"** და **„ქრისტე, შეიწყალე ძე ბეშქენისა..."** მასვე მოჰყავს ეკლესიის სამხრეთის კედლის ორი წარწერა, რომელთაგან ერთში კითხულობს – **„ქრისტე, შეიწყალე ყოველნი"**, მაგრამ, როგორც ეს შემდეგში დააზუსტეს ე. თაყაიშვილმა[3] და ნ. ბერძენიშვილმა[4], უნდა წავიკითხოთ – **„ქრისტე, შეიწყალე იოვანე"**.

რაც შეეხება ეკლესიის სამხრეთ კედლის მეორე წარწერას, იგი განსაკუთრებით ძვირფასი იყო. შეიცავდა მნიშვნელოვან ცნობას და მისი ტექსტი ასე იკითხებოდა: **„ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთა ერისთავი; აღაშენა ესე ეკლესია სადიდებელად მათდა და მშობელთა მათდა სალოცველად"**[5]. გარდა ამისა, ეკლესიის ასევე სამხრეთის კედლის შიდა მხარეს ი. როსტომაშვილს წაუკითხავს

---

1 თსუ ახალციხის ფილიალის გაზ. „მესხეთი", 17.II.1991, გვ. 2-3. წარწერის არსებობა ჩემთვის ცნობილი გახდა თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის ბ-ნ მერაბ ბერიძის მიერ. იგი ადგილზე შევესწავლე (17.IX.1990) მამუკა ახალაშვილთან ერთად, რომელმაც დაამზადა პალეოგრაფიული ასლიც (ტაბ. 95).

2 И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тифлис, 1898, с. 104-107. სათხის წარწერები გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმაც (იხ. მისი, ჯავახეთის ეპირაფია, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, რედ. ნ. შოშიაშვილი, გვ. 37-39).

3 იქვე, გვ. 106, შენ. 1 სქოლიოში.

4 ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 71.

5 И. Ростомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

კიდევ ორი წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე ცხორებაჲ“** და **„ქრისტე, შეიწყალე გიორგი“**[6].

სამწუხაროდ, სათხის ეკლესიის კედლებზე, ცხორების წარწერის გარდა, ამჟამად არც ერთი ზემოდასახელებული წარწერა არ მოიპოვება.

1933 წელს, ქართული წარწერების შეკრების მიზნით ჯავახეთში მოგზაურობის დროს, 6 აგვისტოს სათხეში იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი. მის დროს ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი უმნიშვნელო ნაშთები აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე ამოკვეთილი წარწერებისა, ხოლო დანარჩენის კვალი უკვე მაშინ იყო მოსპობილი. გადაშლილ წარწერათა ბედის შესახებ ნ. ბერძენიშვილი მეტად სამწუხარო და ერთგვარი სარკაზმით შეზავებულ ცნობას გვაწვდის: „ჩვენი ამ მუშაობის დროს, – წერს იგი, –ვიღაც შუახნის კაცი მახლობელ სახლის ბანზე გადმოდგა და რუსულისმოყვარულობით უცნაური ღრეჭით გვაუწყა: „Ето письмо зачистил, раньше, Николай время“[7].

ამავე დროს, ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს ეკლესიის საკურთხევლის კედელზე, შიდა მხარეს ამოკვეთილი ორი წარწერა, რომლებიც ივანე როსტომაშვილს თავის დროზე შეუმნეველი დარჩენია: **„ქრისტე, შეიწყალე ცხორებაჲ“** და **„ქრისტე, შეიწყალე გიორგი“**[8]. ეს ორი წარწერა ეკლესიის კედელზე ამჟამადაც მოიპოვება, თუმცა, გიორგის წარწერა იმდენად დაზიანებულია ზემოდან დასმული ღრმა იარებით, რომ წინასწარ ტექსტის ცოდნის გარეშე მისი ამოკითხვა ჭირს.

როგორც ვხედავთ, სათხის ეკლესიის ამოკვეთილი წარწერები ორი კატეგორიისაა: ერთია სამშენებლო წარწერა ფარსმან ერისთავთა ერისთავისა და მეორეა მლოცველების – ცხორებას, გიორგის, იოვანეს, ხარაისძის, ბეშქენის ძის წარწერები შეწყალების ფორმულის ტრაფარეტული ტექსტებით. უკანასკნელ წარწერებს ნ. ბერძენიშვილი XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს. რაც შეეხება ფარსმან ერისთავთა ერისთავის წარწერას, მის შესახებ შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით.

როგორც ი. როსტომაშვილი გადმოგვცემს, ეს წარწერა ამოკვეთილი ყოფილა ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის ბალავრის ქვაზე. ქვა, შემკული წმინდანთა რელიეფური გამოსახულებებით და ჩუქურთმებით, ამჟამადაც ადგილზეა, მაგრამ წარწერა მასზე, სამწუხაროდ, გადათლილია.

წარწერის ტექსტის ცნობით, სათხის ეკლესია აუშენებია ფარსმან ერისთავთა ერისთავს. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში, სავსებით სწორად, გაიგივებულია ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროის ცნობილ მოღვაწესთან ფარსმან თმოგველთან. ჯავახეთში ფარსმან ერისთავთა ერისთავის სახელი, სათხის გარდა, კიდევ ორ წარწერაში იხსენიება – ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერასა და მირაშხნის წარწერაში. ამ უკანასკნელი წარწერის ცნობით, ფარსმანი 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა სულტან ალფ-არსლანის შემოსევისას, ახალქალაქის ციხის გარემოცვის, აღებისა და გადაწვის დროს დალუპულა[9]. ზედა თმოგვის წარწერის ცნობით, იოანე „იყო ნათესავით ქართუელი, სანახებითგან სამცხესა, დაბით ჭირჭიმით“[10]. მაშასადამე, ***ჭიმჭიმი*** ანუ ***ჭირჭიმი***, ამ ცნობით სამცხეშია.

გარდა ეპიგრაფიკული ძეგლებისა, ფარსმან ერისთავთა ერისთავის შესახებ ცნობა შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში“. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მას იხსენიებს XI ს-ის 40-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით. იგი გადმოგვცემს, რომ, როდესაც ლიპარიტ ერისთავთა ერისთავსა და ბაგრატ IV-ს შორის ურთიერთობა გამწვავდა, „ციხისა უფალნი კაცნი მტკიცედ იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისის ერისთავისა“[11]. მაშასადამე, ფარსმან თმოგველი, ამ ცნობით, მეფეს განდგომია.

---

6 იქვე, გვ. 107.

7 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

8 იქვე, გვ. 70.

9 ვ. სილოგავა, XI ს-ის ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჯუკთა შემოსევის შესახებ XI ს-ის საქართველოში (მირაშხანის წარწერა), კრ. „ასპინძა. სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე“, ახალციხე, 2000, გვ. 201-244 (რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე წარწერის ტექსტის თარგმანით). ფარსმანის შესახებ მირაშხანის წარწერაში აღნიშნულია: „ფარსმან პირ-ექმნა მეფეს, მოკლეს და ყოველი ასწყუიდეს“ (იქვე, გვ. 236).

10 „ძველი საქართველო“, ტომი II, ტფ., 1911/1913, გვ. 40.

11 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1959, გვ. 298.

არც ერთ წარწერასა და სხვა ისტორიულ წყაროში ფარსმანის შვილები არ იხსენიებიან. როგორც ჩანს, თმოგვის ციხისა და ჯავახეთის ამ ნაწილის მფლობელთა ერთი საგვარეულო მისით შეწყდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ათონის ქართველთა მონასტერში 8 ივლისს დაწესებული ყოფილა ფარსმან თმოგველის აღაპი და მოსახსენებელი: *„თთუესა ივლისსა , წმიდისა პროკოპისი. აღაპად განგკწესებია ფარსმან თმოგუელისადა, ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდინ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“*[12],

საინტერესოა, რომ აღაპი დაწესებულია წმინდა მეომრის პროკოფის ხსენების დღეს[13], რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ ფარსმან თმოგველი თავისი დროის გამოჩენილი სამხედრო პირი და მეომარი იყო. ინტერესს იწვევს ისიც, რომ სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, აღაპის დაწესებისათვის გაწეული სამსახური რაიმე კონკრეტული დახმარებით თუ შეწევნით არ არის განსაზღვრული, არამედ ზოგადად ნათქვამია – ბაგრატ აფხაზთა მეფის წინაშე მრავალ დახმარებას გვიწევდაო. აქედან ისიც ჩანს, რომ ფარსმან ერისთავთა ერისთავი ბაგრატ IV-თან დაახლოებული პირი ყოფილა. როგორც ჩანს, მეფესთან მისი დამოკიდებულება ერთობ ცვალებადი იყო, რაც ასე დამახასიათებელია იმ დროის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეებისათვის (მაგ. ლიპარიტ ბაღვაში და სხვ.). ერთი სიტყვით, ზემოდასახელებული წყაროების მიხედვით, ფარსმან თმოგველი XI საუკუნის 40-60-იანი წლების მოღვაწეა და მის მიერ აშენებული სათხის ეკლესიაც ამ დროით უნდა დათარიღდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სათხის ქართულ ეკლესიას XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთიდან სომხური ეკლესია მიუშენეს ისე, რომ ქართული ეკლესიის სამხ. კედელი გამოიყენეს სომხური ეკლესიის ჩრდილოეთ კედლად, ე. ი. ორივე ეკლესიას ერთი საერთო კედელი ჰქონდა. ქართული ეკლესიის სამხრეთის კედელი, როგორც სომხური ეკლესიისათვის უკვე შიდა კედელი, დაუფარავთ კირის სქელი ხსნარით. 1990 წლის გაზაფხულზე სომხური ეკლესიის სახურავი ჩრდილოეთ მხარეს ჩამოინგრა, ამის შედეგად ნაწილობრივ გაშიშვლდა ქართული ეკლესიის სამხრეთი კედელი, ჩამოიშალა კირის სქელი ფენა, ზოგი ჩამორეცხა წვიმამაც და აქ, დიდი ზომის ქვის ფილაზე ამოკვეთილი აღმოჩნდა ნუსხახუცური დამწერლობით შესრულებული ვრცელი ქართული წარწერა 11 სტრიქონად. წარწერის ტექსტი ასეთია[14] (იხ. ტაბ. 95):

† გ(იორ)გ(ი) შ(ა)ზ(ე)ლ(ი)სძ(ე)სა და ძეთა | მისთა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. დაიდვეს | ორი დღე აღ(ა)პი, რომე | არცა (!) ზედ(ა)შე და სეფ(ი)სკ(უ)ერი | გამოვიდეს, ბ(ა)რბ(ა)რობაჲ | და მეორედ მოსლვაჲ, ა|მა საყდ(ა)რსა შიგ(ა)ნ მყო|ფმა ვერ(ა)ვინ და(ა)კლ(ო)ს წი|რვ(ა)ი, ჩ(უ)ენმა მომ(ა)ვალმან; | და ვ(ი)ნცა და(ა)კლოს, კანონსა-მცა ქ(უ)ეშე არს; ამ(ე)ნ.

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII-XIII სს. თარიღდება. იგი, როგორც ჩანს, სათხის ეკლესიის სხვა, მლოცველთა XII-XIIIსს. წარწერების ოდნავ მომდევნო ხანისაა და ამ ასომთავრული წარწერებისაგან განსხვავებით, შესრულებულია ნუსხახუცური დამწერლობით. შინაარსობრივად ეს წარწერა საალაპეა. სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობ ვინმე გიორგი შაზელისძეს მისი და მისთა ძეთათვის ეკლესიისათვის ზედაშე (შესაწირავი ღვინო[15]) და სეფისკვერი შეუწირავს „რაჲცა გამოვიდოდესო“ (აქ წარწერის შემსრულებელს შეცდომა დაუშვია და „რაჲცას“ ნაცვლად ნაცვლად „არცა“ ამოუკვეთია). სანაცვლოდ, მოსახსენებლად ორი დღე – ბარბარობა და მეორედ მოსვლა (?!) დაუწესებიათ. პირველი საეკლესიო კალენდრით აღინიშნება რამდენჯერმე (3.XII; 4XII; 11.XII – ყველა

12 ათონის ივერთა მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 238, №89; ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 158.

13 G. Garitte, Le Calendrier Palestino-Georgien du Sinaiticus 34 (X^e siecle), Bruxelles, 1958, p. 77, 273-274; მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, რედაქტორი ე. ჭელიძე, თბ., 2001, გვ. 112.

14 ამ წარწერის ტექსტი, პირველად გამოქვეყნებული 1991 წელს (იხ. აქვე, სქ. 1), 2000 წელს გამოქვეყნდა წიგნში: „ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი („საქართველოს მეგზური“, I), თბ., 2000, გვ. 28, შენ. სქ-ში; ოღონდ აქ „მოსლვაის“ (სწორი ფორმა) ნაცვლად წერია „მოსვლაჲ“; დასაწყისშიც ჯვრის (†) ნაცვლად დასმულია ქ.

15 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1991, გვ. 278.

ძველი სტილით)[16], თუმცა, მთავარია 4/17.XII. მაგრამ, როგორ უნდა აღენიშნათ მათი მოხსენიება სააღაპე ტრაპეზით მეორედ მოსვლის დღეს – ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, ტექსტი შეიძლება ასეც გავიგოთ: სააღაპედ დაწესებულია ერთი დღე – *ბარბაროობა*, ხოლო *მეორედ მოსვლისას* ისინი მოხსენიებულ იქნან მართალთა შორის; მაგრამ წარწერის ტექსტში გარკვევით წერია: „დაიდვეს ორი დღე აღაპი... ბარბარობაი და მეორედ მოსლვაი".

ტექსტის ბოლოს მოყვანილია წყევლის ფორმულა („ვინცა დააკლოს, კანონსამცა ქუეშე არს") იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, ან აღაპის გადახდის წესს დააკლებს; მაშასადამე, ეს წარწერა იურიდიულ საბუთსაც წარმოადგენს. სააღაპე წარწერები და ეპიგრაფიკული საბუთები ჯავახეთის ძეგლებზე მრავლად მოიპოვება; საკმარისია აღინიშნოს კუმურდოს ტაძრის X-XI სს. რვა სააღაპე წარწერის[17], არეშის სტელის (IXს.)[18] და ბურნაშეთის ეკლესიის (XII-XIIIსს.) ეპიგრაფიკული საბუთების შესახებ. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი ეკლესიისათვის ყანის შეწირვას ეხება[19].

მაშასადამე, სათხის ეკლესიის კედლებს შემოუნახავს (ამჟამად, უკვე, ნაწილობრივ) სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა დანიშნულების მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები:

1. ეკლესიის მშენებლის, XI ს-ის შუა ხანებში ჯავახეთის მფლობელისა და 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა მიერ ახალქალაქის აღებისას დაღუპულის, ერისთავთა ერისთავის ფარსმან თმოგველის საამშენებლო კტიტორული წარწერა. ცნობილია, რომ მის მიერვეა აშენებული ზედა თმოგვის ეკლესია, რომელზედაც ასევე მრავალრიცხოვანი წარწერები მოიპოვება[20]. სათხის საამშენებლო წარწერა XI ს. 40-50-იან წლებით თარიღდება.

2. სხვადასხვა პირთა მოსახსენიებელი წარწერები შეწყალების ტრაფარეტული ფორმულით. ეს პირებია: ***ცხორება, გიორგი, იოვანე, ხარაისძე, ბეშქენის ძე.*** ისინი თარიღდება XII-XIII სს.

3. შაზელისძეთა სააღაპე წარწერა, რომელიც თარიღდება ასევე XII-XIII სს., მაგრამ, როგორც ჩანს, მეორე ჯგუფის წარწერებზე ოდნავ მოგვიანო ხანისაა.

16 G. Garitte, Le calendrier palestino-georgien du Sinaiticus 34 (X^e sieqle), Bruxelles, 1958, p. 77, 273-274; მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, რედაქტორი ე. ჭელიძე, თბ., 2001, გვ. 192, 195.

17 ვ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, №4, 13, 14, 15, 18, 19, 20, 21.

18 იქვე, გვ. 77-79, 113 (რუს. თარგმანი), 124 (ინგლ. თარგმანი).

19 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153; ვ. სილოგავა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. კატალოგი-გზამკვლევი, ახალციხე, 2000, გვ. 48 (№40), 119 (რუს. თარგმანი), 135 (ინგლ. თარგმანი).

20 რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე", XIV, თბ., 1947, გვ. 246 და შმდ.

განძანის წარწერის „მანგლაფას“ შესახებ

ვალერი სილოგავა

განძანი სოფელია ისტორიულ ჯავახეთში, დღევანდელ ნინოწმინდის რაიონში. იგი ორი – ზედა და ქვედა უბნისგან შედგება. ორივე უბანში დგას საშუალო ზომის თითო დარბაზული ეკლესია. ხელოვნებათმცოდნეები, უფრო ზუსტად – ქართული არქიტექტურის ისტორიის სპეციალისტები, მათ XIII-XIV სს. ათარიღებენ. ორივე ეკლესიაზე მოიპოვება რამდენიმესტრიქონიანი ორ-ორი ასომთავრული წარწერა. ისინი თითქმის თავდაპირველი და დაუზიანებელი სახითაა მოღწეული. სამ წარწერაში ერთი და იგივე პირი – შალვა იხსენიება, ხოლო მეოთხე წარწერა „ღმრთივგკრგკნოსან მეფე გიორგის“ ადორაციულ (განმადიდებელ) ტექსტს შეიცავს, რომელიც წირვის დროს წარმოსათქმელ ლიტურგიულ კვერექსსაც ჰგავს: „†ღმრთივგკრგკნოსანი მეფობაჲ გიორგისი, ლაშქარნი და სამეფოჲ (მისი) დაიფარენ, დედაო ყოველთა მწსნელისაო“, – ნათქვამია მასში.

ზემოთ ნახსენები შალვა განძანის ზედა უბნის ეკლესიის ორივე წარწერაში იხსენიება *მეჭურჭლეთუხუცესად*, ხოლო ქვედა უბნის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში – *მანდატურთუხუცესად* (ამ ეკლესიის მეორე წარწერა, როგორც ითქვა, გიორგი მეფეს ეკუთვნის). წარწერების მიხედვითვე, „ქებასა და ნიკოლას ძეებს“ ჯერ აუშენებიათ ზედა უბნის ეკლესია, როგორც ჩანს, მაცხოვრის სახელობისა, ხოლო შემდეგ – ქვედა უბნის ეკლესია, რადგანაც ამ უკანასკნელის წარწერაში აღნიშნულია – „ვაშენეთ მეორე წმიდაჲ საყდარი“ (*სურ.* 1); თანაც, ქვედა უბნის ეკლესიის მშენებლები მხოლოდ ნიკოლასძეებია – ქებასძეები მის წარწერაში არ იხსენიებიან. ცხადია, პირველად აშენებულ საყდრად აქ ზედა უბნის ეკლესია იგულისხმება. ამასთანავე, ეს მეორე საყდარი „დედა ღმრთისას“ სახელობისა ყოფილა, როგორც აღნიშნულია ამ ეკლესიის ამ მიზნით ცალკე ამოკვეთილ წარწერაში – „საყდარი დედისა ღმრთისაჲ“. გარდა ამისა, სწორედ ამ ეკლესიაზეა ის წარწერა, რომელშიც გიორგი მეფისა და მისი ლაშქრის მფარველობა ღმრთისმშობლისადმია („დედაო ყოელთა მწსნელისაო“) შევედრებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ეკლესიის მშენებლობის თანმიმდევრობაში ასახულია შალვას თანამდებობრივი წინსვლა – საქართველოს სამეფოს სავაზიროს იერარქიაში მანდატურთუხუცესობა, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, ქვეყნის საპოლიციო სამსახურის უფროსობა, ზოგჯერ შეთავსებული ამირსპასალარობასთან, ე. ი. სამხედრო უწყების ხელმძღვანელობასთან, მეჭურჭლეთუხუცესობაზე, ანუ სახელმწიფოს საფინანსო უწყების ხელმძღვანელობაზე წინ იდგა. ამ წარწერებშიც ასეა – შალვა, როგორც ითქვა, იხსენიება ჯერ მეჭურჭლეთუხუცესად, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესად. არც ის არის გამორიცხული, რომ ორივე საჭელოს იგი ერთდროულად ფლობდა.

განძანის წარწერები შედის იმ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების პირველ ჯგუფში, რომლებითაც დაიწყო ქართული ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლა და დანყებული აკად. *მარი ბროსე*-დან (1848) დღემდე, აგერ უკვე 160 წელია განძანის წარწერები შეისწავლება[1]. ამ ხნის მანძილზე, სხვადასხვა მკვლევართა მიერ, ეს წარწერები რამდენჯერმე დათარიღდა და გადათარიღდა იმის მიხედვით, მათში დასახელებულ გიორგი მეფეს და შალვა მეჭურჭლეთუხუცეს-მანდატურთუხუცესს, რომელ გიორგი მეფედ, ან რომელ შალვად მიიჩნევდნენ. ეს თარიღები მერყეობს ორასი

1 *Brosset*, 1850 – *M. Brosset*, Rapport sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, t. II, SPb., 1850:173-174; *И. Ростомов*, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тиф., 1898:48-52; *ცისკარიშვილი*, 1954:465-468; *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959:96-106; *ნ. ბერძენიშვილი*, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, იხ. *მისი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1933/1964:85-86; *ნ. შოშიაშვილი*, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ. *შოთა რუსთაველი*, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966:35-41; *გ. ოთხმეზური*, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981:99-105; *ჯავახეთი*. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი (*საქართველოს მეგ ზური*, I), თბ., 2000:20)

წლის ფარგლებში – მეფე გიორგი I-დან (1014-1027) მეფე გიორგი V ბრწყინვალის (1305-1346) ჩათვლით; ცხადია, დავიწყებული არ იყო არც მეფე ლაშა-გიორგი (1207-1222). აქედან, კვლევის გარკვეულ ეტაპზე, მეფე გიორგი I გამოირიცხა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს მეფის კარზე სავაზირო, წარწერებში ასახული ფორმით მაინც, მის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. რაც შეეხება შალვას, პიროვნება წარწერებში წარმოდგენილი თანამდებობებით, იყო მეფე ლაშა-გიორგის დროსაც და მეფე გიორგი ბრწყინვალის დროსაც. პირველ შემთხვევაში ესაა ცნობილი *შალვა თორელ-ახალციხელი*, ხოლო მეორე შემთხვევაში *შალვა ჯაყელ-ციხისჯვარელი* — მასზე უფრო ცნობილი და განთქმული მამის, სამცხის ათაბაგ ბექა I-ის უმცროსი შვილი (ქცა, II, 1959:965; ქცა, 2008:807).

რომელიმე თარიღისათვის გადამწყვეტი უპირატესობის მინიჭებაში არც წარწერების დამწერლობის პალეოგრაფიული ნიშნები გვშველის, რადგან, თუ ეს ნიშნები, ერთი მხრივ, საოცრად მსგავსია *კაბენის* წარწერების პალეოგრაფიული ნიშნებისა (*Brosset*, 1849:17; *Brosset*, 1851, taf.11,30; *Меликсет-Бекov*, 1925:34-35; *ოთხმე ზური*, 1981:93-94), რომლებშიც თამარ მეფეა დასახელებული („აეშენა წმიდაი ესე ეკლესიაი მეფობასა თამარისასა") და, ამის გამო, ისინი 1204-1207წწ. თარიღდება (*ოთხმე ზური*, 1981:93), მეორე მხრივ, ამ ნიშნების მიხედვითვე, რომელთა შორის დამახასიათებელია ამოტრიალებული ასომთავრული ა-ნი, ასოს მრგვალ ტანს მოშორებული ზედა სწორი განივი ხაზით, ისინი XIV ს-ის წერილობითი ძეგლების ჯგუფში დგას.

ბოლო დროს, განძანის ეკლესიების აშენების კონკრეტული წლებიც დასახელდა – 1334-1346 (*ჯავახეთი*, 2000:20). ვფიქრობ, ამ მონაცემებს (*ხუროთმოძღვრული თარიღი, წარწერების პალეოგრაფია*) მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს და მიუხედავად შალვა თორელ-ახალციხელის მოხსენიების სასარგებლოდ წარმოდგენილი ლოგიკური არგუმენტებისა (*ოთხმე ზური*, 1981:28-32), განძანის ეკლესიები და მათი წარწერები XIV ს-ის 30-40-იანი წლებით უნდა დათარიღდეს, რაც დაახლოებით ასე იყო ადრეც მიღებული (*ცისკარიშვილი*, 1959:104); ამასთანავე, მათში დასახელებული შალვა ჯაყელ-ციხისჯვარელად, წარწერებში ნაგულისხმევი მისი ძმა სარგისად, ძე აღბუღად, ხოლო გიორგი მეფე შალვას დისშვილ გიორგი V ბრწყინვალედ მივიჩნიოთ. წარწერების შესრულების ზედა თარიღი უნდა იყოს 1346 წ. – გიორგი V-ის გარდაცვალება – იგი მის განმადიდებელ წარწერის ტექსტში (ქვედა უბნის ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის არქიტრავზე) ცოცხლადაა ნაგულისხმევი, ხოლო ქვედა თარიღია შალვას უფროსი ძმის – სამცხის სპასალარისა და საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესის სარგის II-ის (1308-1334) გარდაცვალების წელი, რადგან იგი განძანის წარწერებში შალვას მიერ მის უახლოეს ნათესავებთან, ძესთან და ძმასთან ერთად (ეს ძმა ყვარყვარეა), არც ნახსენებია და არც ნაგულისხმევი (შალვას და მისი უახლოესი ნათესავების გენეალოგიური ტაბულა: *რეხვიაშვილი*, 1992:32).

მიუხედავად აქ წარმოდგენილი რამდენადმე მწყობრი სურათისა, ვთვლი, რომ ჯაყელ-ციხისჯვარელთა ქრონოლოგიის საკითხები ჯერ კიდევ შესასწავლია. წყაროებში მათ შესახებ ცნობები ზოგჯერ ბუნდოვანია და ურთიერთსაწინააღმდეგო (ამის გამო, ასევეა სხვადასხვა მკვლევართან). მაგ., შალვა მანდატურთუხუცესიც რომ იყო და მეჭურჭლეთუხუცესიც, ალბათ, საქართველოს სამეფო კარის სავაზიროსი, ეს მხოლოდ განძანის წარწერებიდან ჩანს, თუმცა, ეს არ არის ცოტა. ამჟამინდელი ჩვენი საკითხისათვის – „მანგლაფას" მნიშვნელობის გასარკვევად, ეს არსებითი არცაა. ამჟამად საკმარისია იმის კონსტატირებაც, რომ წარწერები XIV ს-ის 30-იანი წლების II ნახევრით და 40-იანი წლების I ნახევრით შეიძლება დათარიღდეს და მათში დასახელებული ან ნაგულისხმევი პირები ჯაყელ-ციხისჯვარელებია.

ზემოთდასახელებულ პირებთან ერთად, განძანის ქვედა უბნის პირველ წარწერაში, რომელშიც შალვა მანდატურთუხუცესად იხსენიება, შემოდის კიდევ ერთი პერსონაჟი – *მანგლაფა* (*სურ.* 2). კერძოდ, ამ წარწერის ბოლო წინადადება ასეთია: „შალვას მონასა მანგლაფას, მეოხ ექმენ ღმერთო ყოელთაო". სიტყვა „მანგლაფას", როგორც ანთროპონიმს, ან საერთოდ, როგორც ლექსიკურ ერთეულს, ქართული ენა არ იცნობს. შეიძლება სწორედ ამიტომ, როგორც მათთვის გაუგებარს, წარწერის ტექსტის ამ ადგილს, მკვლევარები სხვადასხვანაირად კითხულობდნენ: „შალვა, სიმონა,

სამან, ლაფას“[2], „შალვა სიმონას მანგზაფას“[3], „სამანგზაფას“[4] და მხოლოდ *ვასილ ცისკარიშვილმა*, როგორც ჩანს, მისი ნიგნის რედაქტორის – ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის მონაწილეობითაც, 1959 წელს წარმოადგინა სწორი წაკითხვა – „მანგლაფას“[5]. ასეთი წაკითხვა, როგორც უეჭველი, ძალაშია დღესაც. არც ერთი დასახელებული მკვლევარი „მანგლაფას“ არ შეხებია. რა შეიძლება იყოს იგი და ნიშნავს თუ არა რამეს?

მანგლაფა, როგორც ვხედავთ, წარწერაში იხსენიება შალვას მონად. *მონა*, XIII ს-ში, უფრო ადრეც და მერეც, იმასვე ნიშნავდა, რასაც დღეს – სხვისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი, სხვისი სრული მორჩილი[6]. მათი მოხსენიება შუა საუკუნეების წყაროებში არაა უცხო. მოვიყვან ერთ მაგალითს: XI ს-ის დამდეგის შესანიშნავ წარწერაში ს. სიმონეთიდან (ზემო იმერეთი, ისტორიული სამოქალაქო, ანუ ქუთაისის მიდამოები), რომელიც პირველ ქუთათელ მღვდელმთავარს, ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის თანამედროვე *ანტონ ქუთათელს* ეკუთვნის, მასთან ერთად იხსენიებიან „მონანი მისნი: ებანი, და კორეჭი, და გუარამბერი“[7]. ამრიგად, *მანგლაფა*, წარწერის ტექსტის მიხედვით, შალვა მანდატურთუხუცესის მონა, მისი სრული მორჩილი, მისი ნების უსიტყვოდ ამსრულებელი ყოფილა; ე. ი. ეს სიტყვა ანთროპონიმია და, უფრო სავარაუდებელია, რომ იგი კაცის სახელს აღნიშნავდა. სრული უეჭველობით შეიძლება ითქვას, რომ ასეთს არც ანთროპონიმს იცნობს ქართული ონომასტიკა. მაშასადამე, ფაქტია, რომ „მანგლაფა“ უცხო სიტყვაა, XIII-XIV სს-ის ქართულ ლექსიკაში შემოსული.

და აი, მან, ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ძიების გზაზე, *ალექსანდრე კაჟდანის* რედაქტორობით გამოცემულ „ოქსფორდის ბიზანტიურ ლექსიკონში“ იჩინა თავი. აქ, ალექსანდრე კაჟდანისავე სტატიაში ვკითხულობთ:

„*მანგლაფები* (μαγ<γ>λαβιτηζ) მანგლაფიონის წევრი (ლიტ. „ხელკეტი“ – მათრახი), საიმპერიო დაცვის დანაყოფი, პირადი მცველი. მანგლაფები ცერემონიალებზე ახლდნენ ხოლმე იმპერატორს. მათვე ევალებოდათ სასახლის ცალკეული ჭიშკრების გაღება ყოველ დილით, ხოლო საღამოს – დაკეტვა. ისინი აღჭურვილნი იყვნენ ხმლებით[8]. პირველად მოიხსენიებიან IX ს-ში, *ფილარეტოს მეციფულოსის ცხოვრებაში*, რომლის ვაჟი იოანე იყო სპათაროსი და მანგლაფი. ამ სიტყვის ეტიმოლოგია სხვადასხვანაირად განიხილება: *მ. კანარი*[9] მას არაბულ mijlab-ს, *მათრახს*, უკავშირებს; ხოლო სხვები – ლათინურ manus „ხელს“ და clava „ხელკეტს“ და მათგან მომდინარე კომბინაციას გვთავაზობენ[10]; ზმნა manglabizo გამოიყენებოდა *გაშოლტვის* მნიშვნელობით[11]. *დიაკონ იგნატიოსის ცხოვრებაში*[12] მოხსენებული ტერმინი rabdouochoi ანუ „ხელკეტის მატარებელნი“ შესაძლოა, იყო მანგლაფების სინონიმი.

მანგლაფები ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებას. ზოგჯერ უწევდათ საიმპერიო მრჩევლების მოკვლაც, ან დატუსაღება, ვინაიდან ეს უკანასკნელნი მმართველთან სიახლოვის გამო, დროდადრო მათ წინააღმდეგ შეთქმულებაშიც მონაწილეობდნენ. მანგლაფების მეთაურს *ეპი ტუ მანგლაფებს* ან *პროტომანგლაფებს* უწოდებდნენ. მათ, ზოგჯერ, მაღალი თანამდებობაც ეკავათ X საუკუნეში,

---

2 M. Brosset, Rapport sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, t. II, SPb., 1850:173.

3 И. Ростомов, Ахалкалакский уъезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тиф., 1898:49.

4 *И. Ростомов*, Ахалкалакский уъезд в археологическом отношения, СМОМПК, XXV, Тиф., 1898: :49 – *ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნა.*

5 *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959:100.

6 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *ერთტომეული*, მთ. რედაქტორი არნ. *ჩიქობავა*, თბ., 1986:324)

7 *ვ. სილოგავა*, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, 4. ანტონ ქუთათელის წარწერა, *მაცნე*, ისტორიის ... სერია, 4, 1990, გვ. 84-86.

8 Constantine Porphyrogenitus, De ceremoniis aulae byzantinae libri II / rec. Io. Iac. Reiskii, Bonnae, 1829:576.1.

9 Byzantion 21 [1951], 405.

10 Constantine Porphyrogenitus, De administrando imperio, Greek text ed. By Gy. Moravcsik, Engl. Transl. by R.S.H. Jenkins, Washington, 1967:51. 61-62.

11 Ph. Koukoules, Thessalonikes Eustathiou ta laographika, Athens, 1950, 2: 114.

12 Patrologia graeca, 105, ed. J.-P. Migne. 529C.

მაშინ, როცა უბრალო მანგლაფი, შესაძლოა, წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილიყო[13]. ნიკოლაოს ოიკონომიდესის[14] მიხედვით, საიმპერიო მანგლაფი გაქრა XI ს-ის ბოლოს. მეორე მხრივ, „დიდი ტაძრის" მანგლაფები XI-XIII სს-ის დასალუქი ბეჭდებიდანაა ცნობილი[15].

მაშასადამე, განძანის წარწერის „მანგლაფა" ბიზანტიური *სამოხელეო ტერმინი* – იმპერატორის პირადი დაცვის წევრის აღმნიშვნელი, რომელიც, საკუთრივ ბიზანტიაში გადავარდნის შემდეგ, ან იქნებ იქაც მოქმედებაში არსებობის დროს, როგორც *ანთროპონიმი*, გადმოსულა ქართულ სინამდვილეში და, როგორც ასეთი, იგი დადასტურდა XIV ს-ის 30-40-იანი წლების განძანის ერთ-ერთ წარწერაში.

შეიძლება საკითხი ასეც დაისვას – *მანგლაფა* ქართულ სინამდვილეშიც იმას ხომ არ აღნიშნავდა, რასაც ბიზანტიაში? მით უმეტეს, რომ ისეთი მაღალი რანგის მოხელეს, როგორიც შალვა მანდატურთუხუცეს-მეჭურჭლეთუხუცესი იყო, პირადი დაცვა უთუოდ ეყოლებოდა.

მაგრამ მაშინ, წარწერის ტექსტში ამ მანგლაფის სახელიც უნდა იყოს მოყვანილი – „შალვას მონასა (*ვთქვათ, ნიკოლოზ ან გიორგი...*) მანგლაფას, მეოხ ექმენ, ღმერთო ყოელთაო". მაგრამ ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ „მანგლაფა" თვითონაა შალვას მონის სახელი, როგორც *ებანი, კორეჭი* და *გუარამბერია* ანტონ ქუთათელის მონათა სახელები სიმონეთის ზემოთდასახელებულ წარწერაში.

თუმცა, არც ისაა მთლიანად გამორიცხული, რომ აქ შალვას პირადი დაცვის წევრიც იგულისხმებოდეს სახელის აღუნიშნავად – ამ წარწერაში ხომ შალვას არც ძის და არც ძმის სახელები არაა მოყვანილი, მაშინ როდესაც ტექსტში ისინი იგულისხმებიან („ადიდე... ძითა და ძმითა"); ასეა ეს ზედა უბნის ეკლესიის წარწერაშიც („ადიდე... ძითა, ძმითა"). შეიძლება, როგორც მონა, იგი ასრულებდა კიდეც შალვას პირადი დაცვის ფუნქციას.

მიუხედავად ამისა, „მანგლაფა" უფრო საკუთარ სახელად მიმაჩნია; ე. ი. ბიზანტიური სამოხელეო ტერმინი „მანგლაფა" ქართულ სინამდვილეში ანთროპონიმად დამკვიდრებულა. გვაქვს თუ არა საქართველოში სხვა ანალოგიური შემთხვევები, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამდებობის აღმნიშვნელი რომელიმე სამოხელეო ტერმინი კაცის პირად სახელად გადაიქცა? რა თქმა უნდა, გვაქვს და არა ერთი და ორი: *ბეგი, ემირი/ამირი, გამრეკელი, ამირეჯიბი*, მგონი – *მერჩულეც*[16], *ერისთავი* – თავისთავად და სხვა თანამდებობრივი ტერმინები საკუთარ სახელებად ან გვარებადაა გადაქცეული და ძველი დროიდანვე ქართულ სინამდვილეში ამ სახით დამკვიდრებული[17]. სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველი ონომასტიკოსების მიერ ისინი ცალკე აღრიცხული და შესწავლილი არაა. ერთ-ერთი ასეთია, ჯერ ბიზანტიური ტერმინი და შემდეგ ქართული ანთროპონიმი, *მანგლაფაც*.

13 Actes de Lavra, I, ed. par P. Lemerle, N. Svoronos, A. Guillou et Denis Papachryssanthou, Paris, 1970, I, no. 16.49. a. 1012

14 N. Oikonomides, Les Listes de preseance Byzantines de IXe et Xe siecles, Paris, 1972:328.

15 V. Laurent, Le corpus des sceaux de l'Empire byzantin, V, 1: L'Eglise, Paris, 19635.1, nos. 142-43; The Oxford Dictionary of Byzantium, 3 vol., New-York – Oxford, 1991, II:1284.

16 *პ. ინგოროყვა*, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954:17-18.

17 *ალ. ღლონტი*, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986:86,98,118.

საქართველოს ეკლესიის ორი სიწმინდე

ვალერი სილოგავა

(1. „ჯელი წმ. ნინოსი“, 2. „მარჯუენე წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისაჲ“)

1. *„ჯელი წმ. ნინოსი“*

ისტორიულ ჯავახეთში, ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 20-დე კმ-ზე, მდ. სამსარის წყლის ხეობაში, სოფელ სამსარის გარეთ, კლდეში გამოკვეთილია მომცრო სამონასტრო კომპლექსი. იგი შედგება კლდეშივე გამოკვეთილი გუმბათიანი ეკლესიისაგან და მის გარშემო ორ-სამ სართულებად განლაგებული გამოქვაბულების – ბერების საცხოვრებლებისაგან. მთელი კომპლექსი მიწისძვრისაგან ძლიერ დანგრეულ-დაზიანებულია. ეკლესია, და მაშასადამე მთელი კომპლექსი, ხუროთმოძღვრული ფორმებით, სავარაუდოდ, X ს-ით თარიღდება[1].

სამსარში რამდენიმე ძველი ქართული წარწერა მოიპოვება, რომელთაგან ორი შედარებით ვრცელია და მნიშვნელოვანი. ისინი 110 წელზე (1898 წ-დან) მეტია რაც ცნობილია, რამდენჯერმე გამოქვეყნებულიც და მათ გარშემო სოლიდური ლიტერატურაც შეიქმნა[2]. მართალია, ისინი შინაარსით საამშენებლო წარწერებადაა მიჩნეული[3], მაგრამ, მათში კონკრეტულად მშენებლობის შესახებ არაფერია აღნიშნული, თუმცა, მეტად თავისებური ტექსტით გამოირჩევიან. მაგ., ერთერთში ნათქვამია, რომ **„ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ოდეს აღეშენა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდა“**. დღევანდელი უტყეო ჯავახეთისათვის ასეთი ცნობა ძალზე აქტუალურია, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ წარწერა მაშინ გაკეთდა, როდესაც ამ ადგილებში ტყე უკვე აღარ იყო. თუმცა, შეიძლება ასეც ვიფიქროთ, რომ სხვაგან ტყე (ჯავახეთში?) არსად იყო და მხოლოდ ამ ადგილას იყო (დღეს ის არც იქაა). წარწერას X ს-ით ათარიღებენ[4].

ასევე მეტად ორიგინალურია სამსარის მეორე წარწერის ტექსტი, რომელმაც, განსხვავებით პირველისაგან, მეტად დაზიანებულად მოაღწია. იგი ამოკვეთილია 11 სტრიქონად, ნუსხურნარევი ასომთავრულით, ეკლესიის შესასვლელის (იგი ერთია და დასავლეთის მხარეს) ზემოთ გადმოშვერილ კლდის ქიმის ამ მიზნით საგანგებოდ მოპრიალებულ ზედაპირზე. კლდის ქიმის კიდეების ჩამოფშვნის გამო, განსაკუთრებით დაზიანებულია და ნაკლული წარწერის დასაწყისი სამი სტრიქონი, აგრეთვე, შედარებით ნაკლებად, სხვა სტრიქონების დასაწყისები და დასასრულები. არსებობს გამომცემელთა მიერ წარწერის ნაკლული ადგილების აღდგენის სხვადასხვა ვარიანტები[5]. ტექსტის დასასრული, რომელიც შედარებით სრულადაა მოღწეული და ბოლო გამოცემებში, თითქმის, ერთნაირი წაკითხვითაა წარმოდგენილი, ვფიქრობ, შეიძლება ასე შევავსოთ და აღვადგინოთ:

---

1 ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი (*საქართველოს მეგ ზური*, I), თბ., 2000, გვ. 67.

2 *И. Ростомов*, Ахалкалакский уъезд в археологическом отношении, СМОМПК, XXV, Тиф., 1898, გვ. 97-98; *ვ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 40-44; *ნ. ბერძენიშვილი*, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, იხ. *მისი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 150; *გ. გაფრინდაშვილი*, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, *ძეგლის მეგობარი*, 3, 1964, გვ. 8-10; *ვ. სილოგავა*, ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში, *მრავალთავი*, VII, 1980, 173-175; ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980, გვ. 274-275; *ვ. სილოგავა*, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, კატალოგი-გზამკვლევი, ახალციხე, 2000, გვ. 49-50; ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, 2000, გვ. 67.

3 *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 274, 275.

4 *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 274.

5 *ცისკარიშვილი*, 1959, გვ. 41; *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 275.

[ჯ]ოლშიჩ ჴ
[ნიო]ს[ჲ] ჯ[ს]ს ლ[ჩ]ჩ(ჱ)ჴ(ს)[ს]ჩ
[ს]ჲ[ა]ზ[ჲ] ჯ[ჩ]ყ[ჩ] ჭ[ჩ]ჲ[ჯ]ლ, ჲ[ჭ]ს
[ს[ჩ]ჯ[ჱ]ჩ] ჯ[ჩ]ლ[ჭ]ს[ჩ] ჳ[ს]ს(ჳ)ს[ჩ]ს ჭ[ჩ][ჯ[ჲ]ს
[ჭ[ჩ] ჯ(ჯ[ჭ]ს[ჩ] ჩ[ჳ]ჩ[ჲ]ს ყ[ჳ]ზ ჯ(ჩ[ჲ]ჳ ჯ[ჩ(ა)ჳ][ჯ[ჩ]ჩ].

მხედრული ტრანსკრიფციით, ქარაგმების გახსნით და ნაკლული ადგილების აღდგენით:

[მო]იწსენენ იგიც[ა]
[დღეს]ა მას განკი(თხ)ვი(ს)ასა.
[კ]ულა მაშინ დავწერე, ო[დეს]
[საჯთა] მცხეთისა ეკლ(ე)სიაი და[წუეს]
[და წ(მიდი)სა ნი]ნოის ჴელი ტ(ყუ)ედ წა(რ)ი[ტანეს].

მაშასადამე, წარწერის ამ ნაწილში (როგორც ჩანს, ტექსტი ქრონიკალური ჩანაწერი იყო, რაც ასე გავრცელებულია X-XI სს. ქართულ წარწერებში, და სამი მონაკვეთისაგან შედგებოდა, მაგრამ, ამის შესახებ სხვა დროს) მოთხრობილია თავდამსხმელთა, საჯთა შემოსევის შესახებ. მათ მცხეთის ეკლესია დაუწვავთ და წმ. ნინოს ხელი გაუტაცნიათ.

წინა გამოცემებთან შედარებით განსხვავებულ წაკითხვებს არ გამოვუდგები, აღვნიშნავ მხოლოდ უმთავრესის შესახებ. წარწერაში გარკვევით წერია „[მო]იწსენენ“ და არა „იწსენინ“, როგორც ეს „კორპუსის“ გამოცემასა და იქვე წარმოდგენილ არასწორ გრაფიკულ (პალეოგრაფიულ) ასლზეა[6]; „[კ]ულა“-ს ნაცვლად, რაც ძველ ქართულში ერთ-ერთი მნიშვნელობით გრამატიკული კავშირია და „კიდევ“-ს ნიშნავს[7], „კორპუსის“ გამოცემაში აღდგენილია, როგორც საკუთარი სახელი – [ს]ულა“; აქ სახელი აღდგენილია ბრუნვაში „სულამ“ (სწორი ფორმაა „სულამან“), ხოლო მომდევნო „მაშინ“-ის მ აღდგენილია (ჩასწორებულია) ფიგურულ კავებში, როგორც არ არსებული და გამომცემლის მიერ დამატებული.

სიტყვას „ოდეს“ ერთნაირად აღადგენენ გ. გაფრინდაშვილი და ნ. შოშიაშვილი, ოღონდ, პირველ აღდგენაში არ ჩანს რაა სახეზე და რაა ნაკლული, ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვა მთლიანად ჩასმულია აღდგენის კავებში, მაშინ, როდესაც სახეზეა პირველი ასო – პატარა ზომის ჲ(ო).

მომდევნო სიტყვაა, ჩემი აღდგენით, სტრიქონის დასაწყისში „საჯთა“ (ამის შესახებ ქვემოთ), ხოლო „კორპუსში“ აღდგენილია, როგორც „აგარიანთა“, გ. გაფრინდაშვილის გამოცემაში ამ ადგილას რაიმე აღდგენა უგულველყოფილია და არ ჩანს, თუ ვინ „დაწუა მცხეთისა ეკლესიაი“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველად გ. გაფრინდაშვილმა წარმოადგინა წარწერის ტექსტის ამ ადგილის პრინციპულად სწორი წაკითხვა (მცხეთის ეკლესიის დაწვის და წმ. ნინოს ხელის წარტაცების შესახებ), თუმცა, მას არასწორი განმარტება მისცა (წმ. ნინოს ჯვარი და წმ. ნინოს ხელი, რატომღაც, გააიგივა – ამის შესახებ ქვემოთ).

ამის შემდეგ ტექსტში წერია სამი ასო (ტედ) ქარაგმის ხაზის ქვეშ და მათ მომდევნოდ რომელიღაც ასოსგან დარჩენილი სწორი ვერტიკალური ხაზი. ეს სიტყვა გ. გაფრინდაშვილის მიერ წაკითხულია, როგორც „ტყვედ“, ხოლო „კორპუსში“, როგორც „ტ(ყუ)ედ(ა)ც“, ალბათ, იმ პირობით, რომ ვერტიკალური ხაზი ც-ს ნარჩენია. არც ერთი წაკითხვაა სწორი და არც მეორე – პირველი, როგორც ორთოგრაფიულად (უნდა იყოს „ტყუედ“), ხოლო მეორე ენობრივად („ტყუედაც“ ნიშნავს, რომ ხელი კიდევ რაღაცად წარუტანიათ, უნდა იყოს „ტყუედცა“ – თუ აქ ც-ს წავიკითხავთ) გაუმართავი. ტ˘ედ-ს შემდეგ დარჩენილი ასოს ნაწილი არანაირად არა ჰგავს ქვემოდან მე-5 სტრიქონის ბოლოს შემორჩენილ ც-ს, რომელიც არც ასომთავრულია და არც ნუსხური და მკვეთრად განსხვავდება ბოლოდან მე-2 სტრიქონის დასაწყისში (მეორე ასო) ამოკვეთილი გარდამავალი ხელის ც-საგან („მცხეთისა“). ამიტომ, ვფიქრობ, წარწერის შესწავლის ამ ეტაპზე, ტ˘ედ დავტოვოთ, როგორც არის, მეოთხე, ბოლო ასოს გარეშე და აქ „ტ(ყუ)ედ“ წავიკითხოთ.

ამის შემდეგ, წარწერის ბოლო სიტყვიდან დარჩენილი „წაი“, გ. გაფრინდაშვილის მიერ და

6 *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 274, სურ. 175.

7 *ი. აბულაძე*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1973, გვ. 205.

„კორპუსის“ გამოცემაში წაკითხულია ერთნაირად – „წარიტანეს“, ოღონდ გ. გაფრინდაშვილთან აღდგენების აღუნიშნავად, ხოლო „კორპუსში“ „წა“-ს შემდეგ მთელი სიტყვის აღდგენა – ქარაგმების გახსნით – „წა[რ(ი)ტ(ა)ნ(ე)ს]“. სინამდვილეში აქ „წა“-ს შემდეგ კიდევაა დარჩენილი ი და თუ „წარიტანეს“-ს აღვადგენთ, იგი ასე უნდა წავიკითხოთ: წა(რ)ი[ტანეს]. თითქოს, შეიძლებოდა „ტ˜ედც“ წაგვეკითხა, როგორც „ტ(ყ)ედ“ – ე.ი. „წმიდისა ნინოის ჴელი ტყედ წარიტანეს“, მაგრამ ასეთი წაკითხვა ნაკლებსავარაუდოა.

წარწერის ბოლო წინადადების წარმოდგენილი სახით წაკითხვისთანავე, იგი დააკავშირეს „მატიანე ქართლისაჲში“ გადმოცემულ თითქმის ანალოგიურ ამბავთან[8], რაც გაზიარებულ-იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში[9]. ამის შედეგად, პირველ შემთხვევაში წარწერა დათარიღდა X ს-ის 20-30-იანი წლებით[10], ხოლო მეორე შემთხვევაში – X ს-ით[11].

მართლაც, „მატიანე ქართლისაჲ“-ში ერთგან მოთხრობილია შემდეგი: „ამასვე ჟამსა (კახეთის მმართველად ფადლა კვირიკეს ძის დადგინების დროს – ვ.ს.) მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უჭმობდეს საჯობით, და მოტყუენეს კახეთი, და დაწუეს ჯუარი და მცხეთა, და შეიქცეს და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედვა სნებაჲ მუცლისაჲ და გულისხმა-ყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნებოდა. შეკრიბეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღჰმართნეს ადგილსავე თჳსსა“[12]. სხვათა შორის, ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ადგილას ერთგან აღნიშნულია „წაიტანეს ჯუარი თანა“[13]; ამიტომ, იქნებ წარწერისეული „წარიტანეს“-ში რ-ს აღდგენა ზედმეტი იყოს და აქაც შეიძლება „წაიტანეს“ იქნეს წაკითხული („წაიღეს“, ალბათ, ნაკლებმოსალოდნელია).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შემოსევა კახეთში ასეა დათარიღებული და განმარტებული: „X ს-ის 30-იან წლებში (936 წ.) კახეთმა აზერბაიჯანის მფლობელ საჯთა შემოსევა განიცადა“[14]. არსად წყაროში ამ ადგილას „აგარიანნი“ ნახსენები არაა, არამედ „საჯთა“ შემოსევაზეა საუბარი, ამიტომ, ვფიქრობ, ტექსტის ნაკლულ ადგილას ამ სიტყვის აღდგენა უფრო გამართლებულია.

სამწუხაროდ, წარწერის ტექსტის ამ ადგილს, როგორც აღინიშნა, თავიდანვე არასწორი განმარტება მიეცა: „სამსარის წარწერით ირკვევა, რომ აუოხრებიათ არა მცხეთა, არამედ დაუწვავთ მხოლოდ მცხეთის ეკლესია ჯვრისა, რადგან სწორედ იქ იყო წმ. ნინოს მიერ აღმართული „ჯვარი პატიოსანი“, რომელიც სამსარის წარწერაშიც ასევეა დასახელებული, როგორც „ნინოს ხელი“[15].

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ასეთი გაიგივებისათვის: სხვაა მცხეთის ეკლესია, სხვაა „წმიდისა ნინოის ჴელი“ (ორივე მათგანზე აღნიშნულია სამსარის წარწერაში) და სხვაა „მატიანე ქართლისაჲში“ დასახელებული „ჯუარი პატიოსანი“, რომელიც აღმართული ყოფილა მცხეთის ჯვრისავე სახელობის ტაძარში, დაუჭრიათ და წაუღიათ თავდამსხმელ საჯებს, მაგრამ შემდეგ იძულებულნი გამხდარან კვლავ დაებრუნებინათ. მათ იგი კვლავ „ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღჰმართნეს ადგილსავე თჳსსა“, როგორც ნათქვამია „მატიანე ქართლისაჲში“.

მაშასადამე, „პატიოსანი ჯვრის“ გარდა, მცხეთის ეკლესიაში არსებულა „წმიდისა ნინოის ჴელი“, ალბათ, მისი მოკვეთილი მკლავი ან ხელის მტევანი, როგორც უძველესი რელიკვია და რომელიც სწორედ როგორც ასეთი, გაუტაცნიათ, „ტყუედ წარუტანიათ“ თავდამსხმელებს.

---

8 *გ. გაფრინდაშვილი*, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, გვ. 8-9.

9 *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 274.

10 *გაფრინდაშვილი*, 1964, გვ. 8-9.

11 *შოშიაშვილი*, 1980, გვ. 274.

12 ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი *როინ მეტრეველი*, თბ., 2008, გვ. 261:22-262:4.

13 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ *სიმონ ყაუხჩიშვილის* რედაქციით, თბ., 1942, გვ. 168:1.

14 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, საქართველო IV-X საუკუნეებში, ტომის რედაქტორი *შოთა მესხია*, თბ., 1973, გვ. 399.

15 *გაფრინდაშვილი*, 1964, გვ. 9

საქართველოში, კერძოდ, მცხეთის ჯვრის ტაძარში, წმ. ნინოს ხელის, როგორც რელიკვიის და საეკლესიო სიწმინდის არსებობის შესახებ, ცნობა დაცულია მხოლოდ სამსრის X ს-ის წარწერაში. განსხვავებით მცხეთისავე „პატიოსანი ჯვრისაგან“, გატაცების შემდეგ თუ რა ბედი ეწია მას, უცნობია; საისტორიო წყაროებში ცნობები ამის შესახებ არ მოიპოვება და, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ისევე დაიკარგა, როგორც საქართველოს ეკლესიის მრავალი სხვა სიწმინდე, სხვადასხვა წმინდანთა ნაწილები.

ანალოგიური ვითარებაა საქართველოს ეკლესიის მეორე ასეთივე წმინდა რელიკვიის, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მოკვეთილი მარჯვენა ხელის, ეკლესიის ამ ძვირფასი სიწმინდის გარშემო, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

დავუბრუნდეთ წმ. ნინოს ხელს; შეიძლება ვინმემ საკითხი ასეც დასვას – რატომ არის წმ. ნინოს ხელის და მისი გატაცების შესახებ წარწერა ამოკვეთილი ჯავახეთში, ისიც არა ეკლესიაზე, არამედ ეკლესიის შესასვლელის ზემოთ გადმოშვერილ კლდის ქიმზე, სად მცხეთის ჯვარი და, სავარაუდოდ, იქ დაცული წმ. ნინოს ხელი, და სად ჯავახეთი, თუნდაც გეოგრაფიულად. ამის პასუხად არსებობს არანაკლებ ღირსშესანიშნავი ძეგლი ჯავახეთის მეზობელ სამცხის რეგიონიდან, ადიგენის რაიონიდან – სოფელ წყისის ქვაჯვარის კვარცხლბეკის (ბაზისის) წარწერა. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ძეგლია[16]. 1932 წ. აღმოაჩინა, დიდი წვალებით თბილისში ჩამოიტანა (ამჟამად ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ლაპიდარიუმში – №114[17]) გიორგი ბოჭორიძემ[18]. წარწერა აკ. შანიძის მიერ დათარიღებული 616-619 წწ.[19]. და აი, ამ ძეგლში დოკუმენტურად დაფიქსირებულია ფაქტი ადგილობრივი სამცხელი ფეოდალის – კოსტანტი სტეფანესა და გუდას ძის მიერ, მიწის სყიდვისა და მისი მცხეთის ჯვრისათვის შეწირვის შესახებ. უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულად ს. წყისი ბევრად უფრო შორსაა მცხეთის ჯვრისაგან, ვიდრე ს. სამსარი. მაგრამ, როგორც ცნობილია და აქ მოყვანილი ფაქტებითაც მტკიცდება, მცხეთის ჯვარი იმთავითვე (წყისის წარწერა მისთვის მიწის შეწირვის შესახებ ჯვრის ტაძრის მშენებლობის დასრულებიდან სულ 10-დე წლის შემდეგაა ამოკვეთილი) საერთოქართული, და, უფრო მეტი, საერთოკავკასიური ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული სალოცავი იყო (მანგლისის ტაძართან, თუ მანგლისის ჯვართან და ატენის სიონთან ერთად). ასე რომ, მცხეთის ჯვარს თავსდატეხილი უბედურების, იქედან ძვირფასი სიწმინდის – წმ. ნინოს ხელის გატაცების შესახებ ჯავახეთის რომელიმე სოფელში წარწერა რომ ამოეკვეთათ, ამაში გასაკვირი არაფერია, თუმცა, მოულოდნელია.

ამასთანავე, ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის ეკლესიაში წმ. ნინოს სელის შესახებ წარწერის მოთავსება ბუნებრივი ჩანს, თუ გავიხსენებთ საქართველოს ამ კუთხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წმ. ნინოსთან მიმართებაში – იგი ხომ სწორედ ჯავახეთიდან შემოვიდა საქართველოში: „თვესა მეოთხესა წარმოვემართე მთათა ზედა ჯავახეთისათა, რათა ვცნა, თუ სადაჲთ არს მცხეთა“, – უყვება წმ. ნინო სალომე უჟარმელს[20].

ვფიქრობ, წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებულ საქართველოს ეკლესიის სიწმიდეებს: 1) წმ. ნინოს ჯვარი (დაცული თბილისში, სიონის ტაძარში); 2) მაყვლოვნის პატარა ეკლესია სამთავროში; 3) მისი ბრძანებით აღმართული სამი ჯვარი; 4) ოთარაშენის ეკლესიაში უძველესი დროიდან დაცული წმ. ნინოს თმა და კვიპაროსის ხის ტოტის ნაწილი, იმ ხისა, რომელიც მირიან მეფის ბრძანებით მცხეთაში მოჭრეს წმ. ჯვრების დასამზადებლად (თმა და ტოტის ნაწილი ამჟამად ინახება საქართ-

16 *შოშიაშვილი*, 1980; გვ. 94; იქვე, ლიტერატურა.

17 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული *ა. ბაქრაძისა* და *ს. ბოლქვაძის* მიერ, *ილია აბულაძის* ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1953, გვ. 19, №16.

18 *გ. ბოჭორიძე*, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 61-63; ქართულ სიძველეთა მოძიების, აღმოჩენის და შესწავლის საქმეში მისი ღვაწლის შესახებ: *ვ. გურგენიძე*, ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, *მაცნე*, ისტორიის... სერია, 4, 1986, გვ. 165-167.

19 *ა. შანიძე*, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, I, ქრესტომათია, ტფ., 1935, გვ. 25, 108.

20 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს.), დასაბეჭდად მოამზადეს: *ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა* და *ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის* ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963/1964, გვ.116-117.

ველოს საპატრიარქოში); 5) წმ. ნინოს განსასვენებელი ბოდბეში[21], ამიერიდან შეიძლება დაემატოს წმ. ნინოს ხელი, სადღეისოდ დაკარგული.

2. *„მარჯუენე წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისაჲ“*

XI ს-ის შესანიშნავი ქართველი მწერლის გიორგი ხუცეს-მონაზონის, იგივე გიორგი მცირის თხზულებაში „ცხორებაჲ წმ. გიორგი მთაწმიდელისაჲ“, მოთხრობილია, რომ მას შემდეგ რაც გიორგი მთაწმინდელმა ათონის ქართველთა მონასტრის ივირონის „წინამძღვრობაჲ მიიღო“ (ეს მოხდა 1045 წელს[22]), წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის ნეშტი, ნათლისმცემლის ეკლესიიდან, სადაც იგი დაკრძალეს თავდაპირველად 1028 წელს, ღმრთისმშობლის ტაძარში გადაასვენა[23]. შემდეგ, მოთხრობილია, რომ „ამან მამამან (გიორგი მთაწმინდელმა) გამოიყვანა მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, რომელმან ჩუენ განგუანათლნა, და უქმნა გუადრუცი შუენიერი და მუნ შინა შთაუსუენა სხუათა წმიდათა ნაწილთა თანა... ამათ ყოველთა წმიდათა მარტყლთა თანა-დაუსუენა ჴელი მარჯუენე წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი“[24].

ეს მარჯუენე არის „განმაცხოველებელი მწერალი მაღალთა მათ ღმრთისმეტყუელებათაჲ“-ო, ეს ისაა, „რომელმან ჩუენ განგუანათლნა“ და ეფთვიმემაც ხომ „უმდიდრესნი და უღრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა წმიდისა მის მარჯუენისაჲთა განაპნა“-ო. ერთი სიტყვით, ეფთვიმეს მარჯვენა, რომლითაც მან ამდენი საღმრთო წიგნი თარგმნა და დაწერა, ბუნებრივია, რომ გიორგი მთაწმინდელს განსაკუთრებული თაყვანისცემის საგნად ექციაო.

მაშასადამე, გიორგი მთაწმინდელს, წმ. ეფთვიმე მთაწმიდლის ნეშტის თავდაპირველი დაკრძალვის ადგილიდან ახალ განსასვენებელში გადასვენების დროს, მისი მარჯვენა ხელი ცალკე „გუადრუცში“ მოუთავსებია და მისთვის სხვა წმინდანების ნაწილებიც ჩაუტანებია. „გუადრუცი“ კოლოფია, ყუთია, ყულაბაა, კიდობანია. ასეა იგი განმარტებული სულხან-საბა ორბელიანიდან მოყოლებული[25] დღემდე[26](აქ მას, *ყუთთან* ერთად *ქისაც* ეწოდება);). ნაწარმოებში იქვე დასახელებულია ის წმინდანები, ვისი ნაწილებიც მოთავსდა ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენა ხელთან ერთად „გუადრუცში“: „წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ, წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისაჲ, წმიდისა იაკობ დაჭრილისაჲ, წმიდათა კოზმან და დამიანეთა არაბიელთაჲ, წმიდათა ორმეოცთაჲ, წმიდისა პანტელეიმონისი და სხუათა მრავალთა წმიდათა ევლოგიები და ცხოველს-მყოფელისა საფლავისაჲ“[27]. უფრო მეტი, როდესაც გიორგი მთაწმინდელმა ცალკე კოლოფში ჩაასვენა ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენა, მას „თჳთ თავით თჳსით ჰმსახურებ, და ოდეს გზასა ვალნ, თჳთ უტჳრთავნ წმიდაჲ იგი გუადრუცი“-ო, განაგრძობს ავტორი. ე.ი. ეს კოლოფი, როგორც განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი, მუდამ თან დაჰქონდა რა გზებზეც არ უხდებოდა სიარული და ყოველთვის თვითონ აღუსრულებდა ღმრთისმსახურების წესსო. ამ სახით მან კინაღამ მთელი ქვეყნის „სახილველ და თაყუანის-საცემელ ყო“ წმ. ეფთვიმეს მარჯუენეო. იქვე, გიორგი მცირე ასახელებს ქვეყნებს, სადაც გიორგი მთაწმინდელს მისი მიმოსვლის დროს თან უტარებია ეს სიწმინდე: „მთაწმიდითგან ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა და იერუსალემსა და აღმოსავალადმდე“. „აღმოსავალი“, ანუ აღმოსავლეთი ეს იმდროინდელი ქართულ-ბიზანტიური წყაროე-

21 *ე. ბუბულაშვილი*, საქართველოს ეკლესიის სინწმინდეები, თბ., 2007, გვ. 219-226.

22 *გიორგი მცირე*, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ივანე ლოლაშვილმა*, თბ., 1994, გვ. 83.

23 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: *ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა* და *ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის* ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 130-131; *ლოლაშვილი*, 1994, გვ. 197.

24 *ძეგლები*, II, 1967, გვ. 132:7-9; *ლოლაშვილი*, 1994, გვ. 42.

25 *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო *ილია აბულაძემ*, თბ., 1991, გვ. 172.

26 *აბულაძე*, 1973, გვ. 97; *ზ. სარჯველაძე*, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001, გვ. 57; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, ა-ლ, *ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა* და *მზექალა შანიძის* რედაქციით, თბ., 2005, გვ. 189.

27 *ძეგლები*, II, 1967, გვ. 132:10-14; *ლოლაშვილი*, 1994, გვ. 198.

ბის საქართველოა. მაშასადამე, იგი მას თან უტარებია მთაწმინდაზე, ანუ ათონზე, შავ მთაზე, ასურეთში, იერუსალიმში და საქართველოში. ამ მოგზაურობას გიორგი მთაწმინდელი შეუდგა 1056 წელს, ივირონის წინამძღვრობისათვის საბოლოოდ თავის დანებების შემდეგ (პირველად წინამძღვრობა 1043 წელს მიატოვა, მაგრამ თავისი მოძღვრის გიორგი შეყენებულის მოთხოვნით 1045 წელს კვლავ დაუბრუნდა წინამძღვრობას), იმავე წელს იყო კონსტანტინეპოლში, 1057 წელს ანტიოქიის საპატრიარქოში, 1060 წელს ბაგრატ IV-ის მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში და 1065 წელს დაბრუნდა კონსტანტინეპოლში[28]. მანამდე, 1045 წლიდან 1056 წლამდე, გიორგი მთაწმინდელს რამდენჯერმე მოუხდა სხვადასხვა სამონასტრო საქმეებზე ათონის დედაქალაქ კარიესში და თვით კონსტანტინეპოლში მგზავრობა. მთელი ამ ხნის მანძილზე, როგორც გიორგი მცირე გადმოგვცემს, იგი თან დაატარებდა წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენას, როგორც უდიდეს სიწმინდეს და თაყვანისცემის საგანს. თანაც, გიორგი მცირისავე ცნობით, იგი ამ სიწმიდეს ჩუმად და დაფარულად კი არ დაატარებდა, არამედ სახილველად და თაყვანის საცემლად „მეფეთაგან და მთავართა, მღვდელთ-მოძღუართაგან და მღდელთა და ყოვლისა ერის“[29].

გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმინდელს წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენა საქართველოშიც ჩამოუტანია (1060), ცხადია, აქაც თან უტარებია და მეფის, მთავრების, მღვდელთ-მოძღვრების, მღვდლების და „ყოველი ერისთვის“, როგორც სიწმინდე და თაყვანისცემის საგანი წარუდგენია; მაგრამ, 1065 წელს კონსტანტინეპოლში დაბრუნების და იმავე წლის 29 ივნისს, ოთხშაბათ დღეს, მისი იქვე გარდაცვალების შემდეგ, ამ სიწმინდის კვალი იკარგება. როგორც ცნობილია, გიორგი მთაწმინდლის ნეშტი, ხან ზღვით და ხან ხმელეთით, მისმა მხლებლებმა ათონზე, ივირონში გადაასვენეს, სადაც მომდევნო წლის (1066) 24 მაისს ღმრთისმშობლის ეკლესიაში დაკრძალეს[30]. უნდა ვიფიქროთ, რომ წმ. ეფთვიმეს მარჯვენასაც მასთან ერთად ივირონში თან წააბრძანებდნენ, თუმცა, თითქოს, მისი კვალი არსად ჩანს. იქნებ, ივირონის სიძველეთა, განსაკუთრებით სიწმინდეთა, რომლებიც მონასტერს დიდი რაოდენობით მოეპოვება და საგანგებო ვიტრინებშია ჩალაგებულ-გამოფენილი, გულდასმით დაჩხრეკისას, წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენაც აღმოჩნდეს და იგი, როგორც უძვირფასესი რელიკვია და სიწმინდე, კვლავ თაყვანისცემის ობიექტად შეიქნას, როგორც ამ ცხრანახევარი საუკუნის წინათ.

მაშასადამე, ძველ საქართველოში, ისევე, როგორც ეს მიღებული იყო მთელს ქრისტიანულ სამყაროში, განსაკუთრებით გამორჩეული ეროვნული წმინდანების ხელის, მათი გარდაცვალების და დაკრძალვიდან გარკვეული ხნის შემდეგ ცალკე გამოყოფა, „აღმოყვანება“, და, როგორც სიწმინდის თაყვანისცემა, მიღებული და გავრცელებული ყოფილა. წერილობითმა ძეგლებმა ცნობები შემოინახა ორი ასეთი რელიკვიის – წმ. ნინოს ხელის (IV ს.) და წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის მარჯვენა ხელის (XI ს.) შესახებ. სამწუხაროდ, ამჟამად ორივე თვალსმიფარებულია და არსად ჩანს.

28 *ლოლაშვილი*, 1994, გვ. 83-85.

29 *ძეგლები*, II, 1967, გვ. 132:22-23; *ლოლაშვილი*, 1994, გვ. 198.

30 *ძეგლები*, II, 1967, გვ. 200-201.

რუსთველური ლექსი-წარწერა სამცხიდან (1103 წ.)

ვალერი სილოგავა

ისტორიულ სამცხეში, მდ. ქვაბლიანისწყლის ხეობაში, ადიგენის რაიონის მოხის სასოფლო თემის სოფელ *ციხისუბანში*, აღმოჩნდა მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ქართული წერილობითი ძეგლი – ქვაზე ამოკვეთილი 1103 წლის წარწერა-ლექსი.

რუხი ნაცრისფერი დიდი ზომის ქვა (116X68X45 სმ.) ჩასმული იყო სოფელ ციხისუბნის მცხოვრების *ერმილე შავაძის* საცხოვრებელი სახლის დასავლეთ კედლის ქვედა სართულში. აქ იგი გადმოუტანიათ დიდი ხნის წინათ, ისე რომ სახლის პატრონს აქ გადმოსვლისას ასევე დახვედრია. ქვის ფილა სახლის პირველი სართულის კედლის წყობაში თავდაღმა იყო ჩასმული; მაშასადამე, ხელმეორედ იგი გამოიყენეს, როგორც სამშენებლო მასალა (კედლის კუთხის ქვა). წარწერიანი ქვა 1985 წლიდან, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორის ქ-ნ *ციური ლაფაჩის* დიდი მცდელობით, გადატანილია ახალციხის მუზეუმში.

ქვის ერთ მხარეს, საგანგებოდ გათლილ ზედაპირზე, საშუალო სიღრმის კვეთით და ოდნავ კუთხოვანი, მოზრდილი (2-4 სმ.) ასომთავრული ასოებით, ამოკვეთილია 9-სტრიქონიანი წარწერა. წარწერის მერვე სტრიქონის მეორე ნახევარი, რომელიც ოთხსტრიქონიანი ლექსის დასასრულია, ქვის კიდის ჩამოტეხისა და ატკეცის გამო, ამჟამად გადაშლილია. სხვა მხრივ, წარწერა შემონახულია მთლიანად, დაუზიანებლად და ტექსტი თავისუფლად იკითხება:

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე, ასვ(ა)თ, ძმანი მ(ი)ს|ნი.
ავაგე ესე კოშკ|ბი, დავდგი ლაგამა|დ მტერთათ(ჳ)ს,
ყ(ოვე)ლგ(ა)ნ დ(ა)სა|ხედ(ა)ვ(ა)დ, ყ(ო)ველთა მრავ(ა)ლფ|ერთ(ა)თ(ჳ)ს,
შ(უე)ბ(ა)დ, შ(ა)ჰვ(ა)დ და სან(უ)თ|რ(ო)დ ლხინ(ა)დ ადამ(ი)ს ერთათ(ჳ)ს,
და გოლიათ(ა)დ |ნაგები მიუვალია მტერ|თათჳს.
ქრ(ონი)კ(ონ)ი იყ(ო) ტკგ.

თარიღის აღმნიშვნელი ბოლო, მეცხრე სტრიქონი – „ქრ(ონი)კ(ონ)ი იყ(ო) **ტკგ**“, ამოკვეთილი მთელი დანარჩენი ტექსტის მარცხნივ, ქვის თავისუფალ ზედაპირზე, სრული, დაუზიანებელი სახითაა მოღწეული. ეს ბედნიერი შემთხვევაა, რადგან ტექსტის ბოლოს ამოკვეთისას, ალბათ, მასაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც ლექსის მეოთხე სტრიქონის მეორე ნაწილს – იგი გადათლილ-გადაშლილია. ამ სტრიქონის წარმოდგენილი აღდგენა პირობითია, ტექსტის საერთო შინაარსს და მასში მიღებულ სალექსო ზომას ემყარება. სავსებით შესაძლებელია აღდგენის სხვა ვარიანტიც.

ნაკლული მე-4 სტრიქონის აქ წარმოდგენილი აღდგენის ერთ-ერთი სუსტი მხარეა ის, რომ მისი ბოლო სარითმო სიტყვა – „მტერთათჳს“ ისეთივეა, როგორიც პირველი სტრიქონის ბოლოს. მაღალი რანგის პოეზიაში, ცხადია, ასეთი მაგალითები არ გვხვდება. გარდა ამისა, ასეთი აღდგენით („ნაგები მიუვალია მტერთათჳს“) იგნორირებულია სიტყვა „გოლიათად“ ის შემდეგ შემორჩენილი ასოები **დ მ ნ ა** – მათ ადგილას აღდგენილია „ნაგები“. „დმნა“, თითქოს, შეიძლება გაიხსნას, როგორც „დამნა[ხავს]“, – ოქროს კვეთა მოითხოვს, რომ აქ სამმარცვლიანი სიტყვა აღდგეს; ვითომ, ამ ციხის, როგორც გოლიათის დამნახავს? შემდეგ, ტექსტი როგორ უნდა გაგრძელდეს – სარითმო სიტყვას „ერთათჳს“ სჭირდება სამი მარცვალი; „დამნახავს“ და „ერთათჳს“ შორის უნდა აღდგეს ხუთმარცვლიანი სიტყვა, მაგრამ, რომელი? აი, სწორედ ეს სიტყვაა მომავალში საძებნი.

წარწერის ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქართული კულტურისა და კერძოდ, ქართული ლექსწყობის ძირეულ საკითხებს უკავშირდება.

აქვე იმასაც დავსძენ, რომ თარიღის შემცველი სტრიქონი წარწერის შემსრულებელმა იმიტომ

ამოკვეთა ცალკე და დანარჩენი ტექსტის მარცხნივ, რომ მისთვის ქვის ქვედა კიდეში ადგილი არ დარჩა; ხოლო ტექსტის გაგრძელების (ან გამორჩენილი ნაწილის) მარცხნივ (და არა მარჯვნივ) ამოკვეთა ქართულ წარწერებში ჩვეულებრივია და ბევრგან დასტურდება (*ოქრობაგეთის* ეკლესიის წარწერა 938 წლისა, *კუმურდოს* ტაძრის წარწერა 964 წლისა, *მცხეთის სვეტიცხოვლის* გალავნის კარიბჭის წარწერა 1029 წლისა, *კოშის* წარწერა ივანე მანდატურთუხუცესისა – XIII ს. შუა ხანები და სხვ.).

ციხისუბნის წარწერას დასმული აქვს ქართული ქრონიკონითი წელთაღრიცხვით აღნიშნული თარიღი **ტკგ** – 323+780 – 1103 წ.

ლექსის ბოლო სტროფის დასასრული – თორმეტი მარცვლის მოცულობის ტექსტი, ამჟამად გადაშლილია და ქვაზე აქ მხოლოდ ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ასოები, ან ასოთა ფრაგმენტები გაირჩევა, მაგრამ ტექსტის უეჭველი აღდგენა შეუძლებელია. აქ სიტყვა „გოლიათად"-ის შემდეგ, როგორც აღინიშნა, კიდევ იკითხება დ, მ, ნ; შემდეგ დიდ ფართობზე ლაკუნაა; სტრიქონის ბოლოს, ლექსის სარითმო მარცვლები „თთს", ე. ი. „(...)თ(ა)თ(ჯ)ს", წინა სტროფების ანალოგიით შეიძლება აღვადგინოთ: „(...)ერთათჯს".

წარწერა, თავისი შინაარსით საამშენებლოა და კოშკების აგების ფაქტს გადმოგვცემს. ვინმე *ასვათს*, ქვაბლიანისწყლის ხეობაში, როგორც ჩანს, სოფელ ციხისუბნის მიდამოებში, აუგია სათვალთვალო („ყოველგან დასახედავად") კოშკები სხვადასხვა („მრავალფერთათჯს") მტრების შემოსევების, თუ თავდასხმების შესაჩერებლად და მოსაგერიებლად („ლაგამად მტერთათჯს"). თუ გავიხსენებთ, რომ ეს სტროფი ეკუთვნის 1103 წელს, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ არაა გაერთიანებული (ჯერ კიდევ წინაა კახეთის შემოერთება – 1104 წ., ქვემო ქართლის ციხეებიდან სელჯუკების განდევნა – 1110-1118 წწ., თბილისის განთავისუფლება – 1122 წ.) და ადგილი აქვს თურქ-სელჯუკთა თავდასხმა-შემოსევებს, მათ შორის, სამცხის მხრიდანაც, სავსებით რეალური ჩანს ლექსის ეს სიტყვები.

მაგრამ ჩვენთვის წარწერა პირველ რიგში ძვირფასია იმით, რომ ეს ფაქტი, თავისთავად საყურადღებო და მნიშვნელოვანი (ბოლოსდაბოლოს ჩვენ ცოტა გვაქვს, და ამის მაგალითებს ქვემოთ მოვიყვან, ციხის, ან კოშკის აშენების შესახებ წარწერები), გადმოცემულია თექვსმეტმარცვლიანი ლექსით, ანუ *შაირით*, რომელსაც საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდებით „რუსთველური" ეწოდება და რომლითაც დაწერილია გენიალური „ვეფხისტყაოსანი". როგორც ვხედავთ, ციხისუბნის წარწერა-ლექსში ეს საზომი (შაირი) გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნამდე" ასი წლით ადრე.

ციხისუბნის წარწერაში გამოყენებულია თექვსმეტმარცვლიანი ლექსის *დაბალი შაირი*, რომელიც, როგორც ეს აკად. გ. წერეთელმა დაადგინა, „ოქროს კვეთის", ანუ „ღვთაებრივი პროპორციის" პრინციპზეა აგებული. ციხისუბნის წარწერა-ლექსის დაბალ შაირში სახეზეა სტრიქონის, ანუ კარედის სეგმენტად დაყოფის ის ხერხი, რომელსაც აკად. გ. წერეთელი „ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილ ხუთმარცვლიან სეგმენტს" უწოდებს. იგი ჩვენს ლექსში დასტურდება კატრენის პირველ და მესამე კარედში (3-2-3//2-3-3), ხოლო კატრენის მეორე კარედი ოქროს კვეთის კლასიკური – სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სიტყვებით (3-5//3-5) არის წარმოდგენილი. კატრენის მეოთხე კარედი, ანუ სტროფის მეოთხე სტრიქონიც დაბალი შაირის სეგმენტებით იქნებოდა შედგენილი, რადგან „მაღალი და დაბალი შაირის სეგმენტების მონაცვლეობა ნახევარკარედის, სტრიქონის, ან მთელი სტროფის ფარგლებში გამორიცხულია. ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან მხოლოდ სტროფების მიხედვით".

სტროფის მეოთხე სტრიქონის პირველი სიტყვაა „გოლიათად" (4 მარცვალი; მის წინ დასმულია ე. წ. „ზედმეტი და", რომლის შესახებ იხ. ქვემოთ). ოთხმარცვლიანი სიტყვა მხოლოდ ორ შესაძლებლობას იძლევა ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად, 1+4 ან 4+1. ამიტომ ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ: „თუ დაბალ შაირში ოთხმარცვლიანი სიტყვა გვხვდება, მას ან წინ უნდა მიუძღოდეს ერთმარცვლიანი სიტყვა, ან ბოლოს „მისდევდეს". ე. ი. „გოლიათადის" შემდეგ უნდა გვქონდეს ერთმარცვლიანი სიტყვა, ხოლო მის შემდეგ სამმარცვლიანი, რომ სეგმენტი, ანუ პირველი ნახევარკარედი შეიკრას: 4+1+3; მართლაც, „ვეფხისტყაოსანში" ყველა 41 შემთხვევაში, როდესაც დაბალ შაირში ოთხმარცვლიანი სიტყვის შემდეგ ერთმარცვლიანი სიტყვა გვაქვს, მას

მხოლოდ სამმარცვლიანი სიტყვა მოსდევს (სტროფები 3, 78, 82, 234 და სხვ).

თუ როგორ იყო წარმოდგენილი ციხისუბნის წარწერაში მეოთხე სტრიქონის მეორე, მარჯვენა კარედი, ამის დანამდვილებით დადგენა ამჟამად შეუძლებელი ჩანს. აქ არ გვშველის სარითმო კლაუზულის („ერთათჳს“) აღდგენაც, რადგან არ ვიცით იგი რომელიმე სიტყვის დასასრულია (როგორც ეს უეჭველად გვაქვს პირველი ორი სტრიქონის შემთხვევაში), თუ ცალკე სიტყვაა (ფუძით „ერი“); თუ ამ უკანასკნელ შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ მის წინ აღსადგენია 5 მარცვალი; ხოლო ეს მარცვლები რა სიტყვებად დანაწილდეს, ეს მხოლოდ ვარაუდით შეიძლება.

მაშასადამე, მივიღეთ, რომ ციხისუბნის წარწერაში დაბალი შაირი, ანუ ოქროს კვეთა წარმოდგენილია შემდეგი სეგმენტებით:

3-2-3//2-3-3
3-5//5-3
2-2-4//2-3-3
5-3//5-3

აკად. გ. წერეთლის დასკვნით: „ქართულ ლექსში ასეთი შეფარდების გამოყენების ცალკეული შემთხვევები (იგულისხმება პოეზიაში რვამარცვლიანი ლექსის დაყოფა ხუთ და სამმარცვლიანებად – ვ.ს.) რუსთაველამდეც გვხვდებოდა. ასეთი რიტმით არის ნაწერი ორი სტროფი ჩახრუხაძის თამარიანში, ცნობილია აგრეთვე რამდენიმე სტრიქონი თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი“ და სხვ. ამ რიტმს ემყარება ძირითადად ხეცსურული ხალხური პოეზია. მაგრამ ყველაფერი ეს ინტუიციის ხასიათს ატარებს. რუსთაველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის პოეტური ნაწარმოები“.

როგორც ცნობილია, დაბალი შაირისთვის დამახასიათებელია ხუთმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები. აქედან ხუთმარცვლიანი რითმა გვხვდება ძალზე იშვიათად – „ვეფხისტყაოსანში“ სულ ერთი შემთხვევაა („სამს ალებისა“), ისიც ავტორისეულად საეჭვო სტროფში. ციხისუბნის წარწერა–ლექსში სამმარცვლიანი სარითმო კლაუზულა – „ერთათჳს“ გვაქვს. საინტერესოა, რომ ასეთი რითმა „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც დაბალი შაირის, ანუ ოქროს კვეთის რითმების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება (1587 სტროფში 883 რითმიდან 392 მაღალ შაირშია, ხოლო 490 – დაბალ შაირში), დასტურდება. ეს ფაქტი ძველი ქართული პოეტური ძეგლების რითმათა სიმდიდრის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ასევე აღსანიშნავია, რომ ციხისუბნის წარწერაში დაბალი შაირი, დამახასიათებელი ხალხური პოეზიის ეპიკური, მდორე, დინჯი და ზომიერი თხრობისათვის, დასტურდება არა პროფესიონალი პოეტის, როგორც დღეს ვიტყოდით, არამედ ხალხური შემოქმედის მიერ შექმნილ ნაწარმოებში, „ვეფხისტყაოსნამდე“ ერთი საუკუნით ადრე, რაც კიდევ ერთი საბუთია რუსთველის შემოქმედების მთელი წინა პერიოდის ქართული კულტურიდან და, პირველ რიგში, ხალხური პოეზიის წყალუხვი მდინარიდან ამოზრდისა (*ნიკო მარი*).

წარწერის ტექსტი თავისი შინაარსით, ლექსიკით, ფორმით, აგრეთვე, როგორც წერილობითი ძეგლი, – პალეოგრაფიული ნიშნებით, მრავალ საკითხს უკავშირდება. როგორც ჩანს, იგი ამ და, ალბათ, კიდევ რომელიმე სხვა კუთხით შესწავლის საგანი მომავალშიც არაერთხელ გახდება (სხვათაშორის, არ არის გამორიცხული წარწერის აქ წარმოდგენილი ტექსტის ცალკეული ადგილების სხვათა დაკვირვებით სხვაგვარი წაკითხვა, ან გააზრებაც). მაგრამ, ზოგი საკითხის შესახებ, აქაც შეიძლება აღინიშნოს.

როგორც მტკიცედ დათარიღებული წერილობითი ძეგლი, წარწერა განსაკუთრებულ პალეოგრაფიულ ღირებულებას და მნიშვნელობას იძენს. *ქართული ლაპიდარული დამწერლობა*, ე. ი. დამწერლობა ქვაზე შესრულებული წერილობითი ძეგლებისა, ჯერ კიდევ შესასწავლია და მომავლის სამუშაოდ რჩება. ამიტომ, ყოველი თარიღიანი წარწერის პალეოგრაფიულ ნიშნებს დამწერლობის განვითარების საფეხურების დასადგენად, რომელიმე საფეხურისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოსაყოფად და, ამის მიხედვით, უთარიღო წერილობითი ძეგლების, პირველ რიგში, წარწერების დასათარიღებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ციხისუბნის წარწერაც, როგორც თარიღიანი ძეგლი, ამ მხრივაც გვაწვდის გარკვეულ მასალას.

ყურადღებას იქცევს წარწერაში ასო ო-ს დაწერილობა, რომელიც ასომთავრულ ტექსტში სამჯერ გვხვდება (სიტყვებში: „კოშკები", „გოლიათად" და „იყო") და სამივეჯერ ნუსხური მოხაზულობით; უფრო ზუსტად, სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით. ასევე დამახასიათებელია ამ წარწერაში *დონის* ორნაირი გადმოცემა: მრგვალ წრეზე მაღალი ყელით დაკავშირებული განივი ხაზით – უმეტეს შემთხვევაში აქ *დონი* ასეთი მოხაზულობისაა და ოთხ შემთხვევაში (ორჯერ სიტყვაში „დავდგი" და სიტყვებში „გოლიათად" და „და") განუსხურებისაკენ მიდრეკილებით. ყურადღებას იქცევს ასევე მ-ანის გადმოცემა ასოს ტანის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით წაგრძელებული ზედა განივი ხაზით. საერთოდ, წარწერაში ჯერ კიდევ არა გვაქვს *ხვეული ხელის*, ან *შეწიაღების* (ასოთა ერთმანეთში ჩასმის, ან გადახლართვის) მაგალითები. მთლიანად, ასომთავრული ასოები ოდნავ წაგრძელებული (და არა ადრეული ეტაპებისათვის, თუნდაც X ს-ის და ზოგჯერ XI ს-ის ძეგლებისათვის დამახასიათებელი მრგვლოვანი) მოხაზულობისაა.

ცალკე ყურადღებას იქცევს ტექსტის დასაწყისში დასმული ნიშანი: სამკუთხედზე აღმართული ჯვარი. ჯვრის დასმა ტექსტების დასაწყისში ჩვეულებრივი შემთხვევაა, მაგრამ იმ სახის ჯვრის დასმა, როგორიც ამ წარწერაშია, სხვაგან არსად გვხვდება. აქ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ეს ჯვარი შედის წარწერის პირველი სიტყვის შემადგენლობაში, როგორც სიტყვა „ქრისტე"-ს პირველი ასო; მსგავსი მაგალითები, მართალია, გვხვდება (მაგ., *კუმურდოს, კაზრეთის, განძანის* და სხვ. წარწერები), მაგრამ წერილობით ძეგლებში მაინც იშვიათია. ასეთივე მოხაზულობის ნიშანი ქვაზე დასტურდება კიდევ ორ ადგილას – მარცხნივ, წარწერისგან თავისუფალ ფართობზე. შეიძლება იგი მიჩნეულ იქნას „გოლგოთის ჯვრებად", თუმცა, იგი, როგორც წესი, საფეხურებიან კვარცხლბეკზე დასმული გადმოიცემოდა. არ არის გამორიცხული ისიც, რომ იგი *ჰერალდიკური ნიშანი* ასვათის და მისი სახლის *საგვარეულო ემბლემაც* იყოს. ქართული ჰერალდიკური ნიშნები მთლიანად შეკრებილი და შესწავლილი არაა (ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანია), მაგრამ წერილობითი ძეგლების შემსწავლელებს ხშირად უხდებათ მათთან შეხვედრა. ამ ნიშნების ერთად თავმოყრა და შესწავლა მომავალში, უთუოდ საინტერესო შედეგს მოგვცემს. ციხისუბნის წარწერის ეს ჯვარიც, სავარაუდოდ, შეიძლება ასეთ ნიშნებს მივაკუთვნოთ.

წარწერის ტექსტის ლექსიკიდან შევჩერდები სამ სიტყვაზე – „კოშკი", „შუება" და „შაჰვა". პირველი სიტყვა იმ მნიშვნელობით, როგორითაც აქ დასტურდება, ძველი ქართულის იშვიათი სიტყვების ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება – ზოდიაქოს ბურჯის მნიშვნელობით იგი დასტურდება ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ"-ში. ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუში მისი დადასტურებისა გვაქვს XI ს-ის ისტორიულ საბუთში „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი". აქ, მიქაელ მემღვიმე (ე. ი. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, მისი მამასახლისი) აღნიშნავს: „დავდგი ჴევისა კერძოდ უკეთესი კოშკი, შიგნით, და გარეთ – უკეთესი სახიზნო ცხენებელთა ჰქონდეს". შემდეგი წერილობითი ძეგლი, სადაც „კოშკი" ციხის შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობით დასტურდება, ყარსის ციხის 1238 წლის წარწერაა; აქ ყარსის ამირა აღნიშნავს, რომ „აღვაშენე კოშკი ესე მეფობასა რუსუდანისასა". წარწერაში შხეფის ციხეზე (თანამედროვე სენაკის მახლობლად) აღნიშნულია: „კოშკი ესე, კარისთუვალი, შედან აღაშენა" (ეს შედანი XVI ს-ის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე შედან ჭილაძეა). გვაქვს გვიანდელი მაგალითიც – 1811 წლისა, *ვაშლოვანის კოშკის* წარწერა, სადაც ნათქვამია: „კოშკი ავაგე სალხინოდ, მე, თამაზ ორბელიანმა".

ნ. მარის მოსაზრებით, „კოშკი" ქართულში სპარსულიდან ზეპირი გზით შემოვიდა XII ს-ზე უწინარეს. ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ასევე განიხილა ეს სიტყვა, მისი შემოსვლის თარიღის შესახებ კონკრეტულად არაფერს აღნიშნავს. ციხისუბნის წარწერის მიხედვით, იგი ქართულში წერილობით დასტურდება XII ს-ის დამდეგიდან, ხოლო „ფავნელის დაწერილის" მიხედვით – XI ს-დან. მ. ანდრონიკაშვილის დასკვნით, სიტყვა „კოშკი" (*საშ. სპარსული* kōšak „სასახლე", *ახ. სპარს.* „სასახლე, ციხე, პავილიონი, კიოსკი", *არაბ.* gausak სასახლე) ფართოდ არის გავრცელებული მრავალ ენაში (*ქურთული, ოსური, თურქული, უბიხური*).

წარწერა-ლექსის მესამე სტრიქონის აქ წარმოდგენილი წაკითხვის სწორი გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს „შუება" და „შაჰვა" სიტყვების გააზრებას. „შუება", ილ. აბულაძის მიერ განმარტებულია, როგორც „განცხრომა", „მხიარულება", „ფუფუნება" და სხვ; არაბული სიტყვა „შაჰვა",

მართალია, ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მაინც ცნობილია. ასე მაგალითად, იგი შვიდჯერ დასტურდება XII ს-ის ხელნაწერით მოღწეულ ასტროლოგიურ თხზულებაში „ეტლთა და შჯდთა მნათობთათჳს". აკ. შანიძის მიერ ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „გულისთქმა, დიდი სურვილი, ვნება". ინტერესს მოკლებული არ იქნება ორიოდე საილუსტრაციო მაგალითის მოყვანა აღნიშნული თხზულებიდან: კაცი, რომელიც *სასწორის* „ეტლსა ზედა იშვას, იყოს... დედათა მოყუარე და სიძჳსა მოყუარე, შაჰვის მოყუარე, მლალობელი"; „კაცი, რომელიც *ვერძის ეტლსა* ზედა იშვას... უხჳი იყოს და შაჰვისა და ტანის სამოსისა კეკლუცის მოყუარე"; „კაცი, რომელიც *წყლის საქანელის ეტლსა* ზედა იშვას, იყოს პირ-კეკლუცი და წურ-კეკლუცი, შაჰვის მოყუარე და მხიარული, მომღერალი და მრავლის მოყუარე" და სხვ. ეს სიტყვა დასტურდება გიორგი მთაწმინდლის ერთ-ერთ შენიშვნაში, რომელიც ერთვის ოთხთავის ხელნაწერს (Q-900, 249v). „აღწერილობაში" იგი წაკითხული იყო, როგორც „ბაჰვა" (გრაფიკულად მსგავსი ნუსხახუცურ ბ-ს და შ-ს აღრევის გამო), პირველად გაასწორა ა. შანიძემ, რომლის მიხედვით, აქაც „ძლიერ სურვილს, გულის თქმას" ნიშნავს. მან ამ სიტყვას საგანგებო წერილი მიუძღვნა და დაასკვნა, რომ „უადრესი ხმარება შაჰვა ანუ შავა სიტყვისა დადასტურებულია XI საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის ნაწერში, უგვიანესი კი – XVIII საუკუნეში". როგორც ვხედავთ, იგი ასევე დასტურდება ციხისუბნის 1103 წლის წარწერა-ლექსში.

„შუებად" და „შაჰვად" სიტყვებს ლექსის მე-3 სტრიქონში მოსდევს „საწუთროდ ლხინად". მაშასადამე, მთელი ამ სტრიქონის აზრი ასეთია: კოშკები, გარდა თავდაცვითი დანიშნულებისა („ლაგამად მტერთათჳს") აგებულია („ავაგე") ამ საწუთროში ლხინის, განცხრომის, გულისთქმის, დიდი სურვილისა და ვნების დასაკმაყოფილებლად. ეს ერთობ უცნაური ფუნქცია კოშკისა, ცხადია, წინაალმდეგობაშია, როგორც კოშკების სამხედრო ნაგებობების დანიშნულებასთან. მაგრამ, აქ უსათუოდ უნდა მოვიხმოთ კიდევ ერთი წარწერა-ლექსი, მართალია, ციხისუბნის წარწერასთან შედარებით ძალზე გვიანი ხანისა, 1811 წლისა, რომელიც მოთავსებულია ქვემო ქართლში, ვაშლოვანის კოშკზე. იგი ოთხსართულიანია, აუშენებია ერეკლე II–ის შთამომავალს თამაზ ორბელიანს (1811). კოშკის საამშენებლო წარწერა-ლექსში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ერთგან ნათქვამია – „კოშკი ავაგე სალხინოდ მე, თამაზ ორბელიანმა". ვაშლოვანის კოშკის არქიტექტურა სპეციალურად შეისწავლა *ლ. რჩეულიშვილმა*. მისი დასკვნით, „ვაშლოვანის კოშკი წარმოადგენს კოშკური კომპოზიციის ნაგებობას, რომელსაც აქვს საბრძოლო-საფორტიფიკაციო შენობებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები (სათოფურები, სალოდეები და სხვა), მაგრამ მთლიან აღნაგობაში იგი საგრძნობლად განსხვავდება უკანასკნელისაგან. მისი დეკორატიულობა, ფართო სადგომები და აივნები შორდება საფორტიფიკაციო შენობათა სპეციფიკას. ეს მხარეები უფრო საცხოვრებელი და დასასვენებელი „მხიარული გართობის" დანიშნულების შენობებისთვის არის მიზანშეწონილი".

ზუსტად ასევე, ციხისუბნის წარწერაში აღნიშნულია, რომ კოშკები საბრძოლო დანიშნულებასთან ერთად, აგებულია „შუების, შაჰვისა და ლხინისათჳს".

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ „კოშკებს" ორმაგი ფუნქცია გააჩნდათ და ციხის კომპლექსში ისინი, გარდა სამხედრო-თავდაცვითი ფუნქციისა საცხოვრებელ, სალხინო და დროის გასატარებელ ფუნქციასაც ითავსებდნენ. ამ ორი წარწერიდან აშკარაა, რომ ეს მართლაც ასე იყო. ამიტომ, კოშკის, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობის თანამედროვე გაგებას უნდა დაემატოს მისი, ამასთან ერთად, საცხოვრებელი და დროისგასატარებელი („სალხინო") ნაგებობის მნიშვნელობა.

ლ. რჩეულიშვილის დასკვნით, ვაშლოვანის კოშკი „ძველი ფეოდალური ხუროთმოძღვრების კოშკური ნაგებობის ევოლუციური განვითარების „ჩამკეტი" ძეგლია. მასში აშკარად ჩანს ადრინდელი საქმიანი დანიშნულების ფუნქციების დაკარგვა და ახალი „სალხინო" დანიშნულების ჩართვით მისი ევოლუციურ ჩიხში შესვლა".

ციხისუბნის წარწერის მიხედვით, კოშკის ორმაგი ფუნქცია – თავდაცვითი და სალხინო-საცხოვრებელი, უძველეს დროსვე (სულ ცოტა – XI ს-დან) დასტურდება, რაც მან, როგორც ჩანს, ბოლო დრომდე შეინარჩუნა. ამიტომ, „ვაშლოვანის კოშკის" ხუროთმოძღვრებაში იგი იმთავითვე განხორციელდა, როგორც ასეთი ფუნქციების მქონე.

წარწერის ტექსტის ზოგიერთ გამოცემაში მესამე სტრიქონის სიტყვები დასმულია მოთხრობით

ბრუნვაში და იკითხება: 1) „შეებამ, შაჰვამ და საწუთრომ, ლხინმა მამისა ერთათვის“; 2) „შეებამ, შაჰვამ და საწუთრომ – ლხინმა მისართა ერთათვის“; არც ერთია სწორი და არც მეორე ორი მიზეზის გამო:

1) წარწერაში *დონი* ორნაირი დაწერილობითაა გადმოცემული – ერთია, ჩვეულებრივი ასომთავრული, საყოველთაოდ ცნობილი, მიღებული და გავრცელებული მოხაზულობისა (თუნდაც, მაგალითად, წარწერის მე-5 სტრიქონის სიტყვაში „დასახედავად“, სადაც იგი სამგზის გვხვდება) და მეორეა, *განუსხურებისაკენ მიდრეკილების* მოხაზულობისა, სადაც იგი, ბუნებრივია, ჩამოგავს ასომთავრულ *მანს* (როგორც წარწერის პირველი სტრიქონის სიტყვაში „ძმანი“); მაგრამ, იგი დონად რომ უნდა წავიკითხოთ, ეს უეჭველია წარწერის მე-8 სტრიქონის თავში დასმული კავშირიდან „და“ (და არა „მა“).

2) წარწერის (უფრო ზუსტად – ლექსის) ტექსტი ისეა აგებული, რომ იგი ერთი აზრითაა დატვირთული, ერთი წინადადებაა. ამ წინადადების ზმნებია (ამ შემთხვევაში, როგორც წინადადების წევრი – შემასმენელია) „ავაგე“ და „დავდგი“. თუ მათ მე-3 სტრიქონის სიტყვებს ჩამოვაშორებთ, მივიღებთ, რომ „შეებამ, შაჰვამ და საწუთრომ“ ავაგე და დავდგი კოშკები, რაც, ცხადია, უაზრობაა. გარდა ამისა, ასეთი წაკითხვით ეს წინადადება შემასმენლის გარეშე რჩება, რომელსაც ვერც ვიგულისხმებთ სხვა რომელიმე სიტყვით მასში.

ერთი სიტყვით, წარწერა-ლექსის მე-3 სტრიქონში წაკითხვა „შეებად, შაჰვად და საწუთროდ“ უეჭველია და იგი ასევე უნდა დარჩეს.

ასვათის წარწერა-ლექსის მესამე სტრიქონთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ დავით გურამიშვილის (1705-1792) დიდი მხატვრული ზემოქმედებით დატვირთული სტრიქონები, თქმული ვახტანგ VI გარდაცვალების (1737) გამო:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო“.

ეს გასაოცარი დამთხვევა თუ თანხვედრა მხატვრული სახეებისა („შვებად, შაჰვად და საწუთროდ ლხინად“ და „ლხინი, შვება და სიამე“), სრულიად განსხვავებული, დიამეტრალურად საწინააღმდეგო გრძნობების გადმოსაცემად (პირველ შემთხვევაში – დიდი სიხარულის, ხოლო მეორედ – უზომო მწუხარების) XII და XVIII სს. პოეზიის ნიმუშებში, მაჩვენებელია, ერთი მხრივ, ქართული პოეზიის მხატვრული სახეების განვითარების უწყვეტი ჯაჭვისა, და, მეორე მხრივ – როგორც შოთა რუსთველის, ისე დავით გურამიშვილის პოეზიის ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირისა, მისგან ამოზრდისა, მასზე დაფუძნებისა.

ამ პარალელების შემდეგ, მეტი სითამამით შეგვიძლია დავიმოწმოთ სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც, ტარიელის პოვნის შემდეგ არაბეთს შემოქცეულ და თავის ახლობლებთან შეყრილ ავთანდილზე, ნათქვამია:

„მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლაღი, შვებული“ (676, 1957 წ-ის გამოც.).

აქაც – „მორჭმული, ლაღი, შვებული“, ისეთივე გრადაციაა, თითქმის ისეთივე ლექსიკით, როგორიც ასვათის ლექსში – „შვებად, შაჰვად და საწუთროდ ლხინად“, ან დავით გურამიშვილთან – „ლხინი, შვება და სიამე“ (გრადაცია, საერთოდ, ხშირადაა „ვეფხისტყაოსანში“ და ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული ხერხია რუსთველის პოეზიისა; მაგ.: „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“; „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ და სხვ.

ეს ადგილი „ვეფხისტყაოსანში“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ ასეა ჩასწორებული: „მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმით ლაღი და შვებული“ (673, 2008 წ-ის გამოც.); ვფიქრობ, ტყუილად – იკარგება გრადაცია, თანდათან გაძლიერება, ზეასვლა. აქ რომ ეს სტილისტური ხერხია გამოყენებული და რომ იგი უფრო გამართლებულია, ჩანს ასვათის ლექსის და დავით გურამიშვილის მაგალითებით.

საყურადღებოა, რომ ლექსში ბოლო სტრიქონი ე. წ. „ზედმეტი და“-თი იწყება; მართალია, ამ სტრიქონს მთლიანი სახით არ მოულწევია, მაგრამ შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ ეს „და“

ამოკვეთილია ტექსტის „გარეთ“, წარწერის სხვა სტრიქონების დასაწყისი კიდეებისაგან განცალკევებით. ციხისუბნის წარწერაში ზედმეტი „და“-თი სტროფის ბოლო სტრიქონის დაწყება მხარს უჭერს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ამგვარ ტრადიციას. ასეთივე შემთხვევა დასტურდება ქვაზე ამოკვეთილ კიდევ ერთ ლექს-წარწერაში, რომელიც, როგორც ასეთი (ქვაზე ამოკვეთილი ადრეული ხანის ლექსი) „ასვათის ლექსის აღმოჩენამდე“ ერთადერთი იყო. იგი თარიღდება XIII ს-ის შუა ხანებით, ამოკვეთილია ქობერში, მხარგრძელთა ფეოდალური სახლის წევრების (შაჰანშეს და ხუაშას) საფლავის ქვაზე:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდ – ქმნილნი და გამომკრთალნი;
გულსა ცეცხლი მომდებია, ამომდიან პირით ალნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჯის ნაფერთალნი,
და კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი“.

როგორც ვხედავთ, ეს სტროფიც დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი ლექსით, ოღონდ *მაღალი შაირით*. იგი რუსთველის მომდევნო ხანისაა და თუ მისი შექმნა აქამდე რუსთველური ლექსის გავლენით შეიძლებოდა ახსნილიყო (ამ ვარაუდის გამორიცხვა არც ახლა ჩანს აუცილებელი), ციხისუბნის წარწერის აღმოჩენამ მისი დამოუკიდებლად, ხალხური პოეზიის ნიმუშად არსებობაც შესაძლებელი გახადა.

„ზედმეტ და“-სთან დაკავშირებით, რომელსაც ზოგიერთი „და“ კავშირსაც უწოდებს, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: ნ. მარის მიხედვით (1919/1947), თავის დროზე „და“ კავშირი კონსტრუქციული იყო, ე. ი. მას თავისი ფუნქცია გააჩნდა და ლექსის „სტროფის“ ორგანული ნაწილი იყო; შემდგომში იგი დეკორაციული გახდა, ე. ი. ფუნქცია დაკარგა და სტროფის მხოლოდ ტექნიკური გაფორმების დანიშნულება შერჩა. იგი წერს: „ეს კავშირი „და“ გადმონაშთი დანამატია, დეკორატიულია შოთასთან; ხოლო ხალხური ზომისთვის, საიდანაც იგი რუსთველმა შეითვისა, კონსტრუქციული იყო“. „ვეფხისტყაოსანში“ და-ს ხმარების საკითხს საგანგებო სტატიები უძღვნეს *ვუკ. ბერიძემ, კ. დანელიამ, ს. ჩხაიძემ*. ვუკ. ბერიძის დასკვნები ამ საკითხზე ასეთია: ვეფხისტყაოსანში ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონი, მცირე გამონაკლისის გარდა, *დასკვნითი ხასიათისაა;* „და“ აერთიანებს დასკვნას წინა ნაწილთან, ამიტომ, იგი უთუოდ კონსტრუქციულია, ლექსის არსებითი ნაწილია; და კავშირის გამოყენებით შოთა ქართული ხალხური ლექსის პოზიციაზე დგას. კ. დანელიამ, საკითხის დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის და ვეფხისტყაოსნის გამოცემებში „დას“ გამოყენების ისტორიის გადმოცემის (*გ. ავალიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, მ. ბროსე, ზ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ი. მეუნარგია, პ. ბერაძე, ს. გაჩეჩილაძე, მ. ჩიქოვანი, გ. იმედაშვილი, პ. ინგოროყვა...*) შემდეგ, ასკვნის, რომ „და“ ხალხური მეტყველებიდან არ მოდის და იგი არ არის კონსტრუქციული; „და“ არ შედის პოემის ორგანულ ქსელში; მისი დართვა მხოლოდ იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სრულდება ერთი სტროფი და იწყება მეორე, ე. ი. იგი სტროფთა გასამიჯნად გამოიყენება – იგი სტროფთა სამიჯნავი ტექნიკური საშუალებაა. ს. ჩხაიძის დასკვნით, „და“ კავშირი პოემის რიტმული, რითმული, აზრობრივი და გრამატიკულ-სინტაქსური სტრუქტურის გარეშე დგას. ამის გამო, მთარგმნელთაგან არავინ მოითხოვს მის სხვა ენაზე გადატანას, თუმცა, იგი არც შეიძლება ითარგმნოს.

ნიშანდობლივია, რომ აკად. გ. წერეთლის ნაშრომში – „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ და მისივე რედაქციით გამოცემულ ამავე სახელწოდების კრებულში (იხ. ზემოთ), დაბალი და მაღალი შაირის საკითხების განხილვისას და ვეფხისტყაოსნიდან სტროფების მოხმობისას, მთლიანად უგულვებელყოფილია „და“ კავშირი – საერთოდ დუმილითაა გვერდავლილი ეს საკითხი. ფაქტია, რომ *გ. წერეთელი* და მეცნიერთა ჯგუფი (*გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი*), რომელმაც მისი ხელმძღვანელობით აღნიშნული კრებული მოამზადა, „და“ კავშირს ვეფხისტყაოსნის სტროფების ორგანულ ნაწილად არ თვლიდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ დავით გურამიშვილი „და“ კავშირს „ანუ ზედმეტ დას“ არსად არ იყენებს თავის შემოქმედებაში.

„ზედმეტ და“-სთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციისა-

გან განსხვავებით, ციხისუბნის წარწერა-ლექსში მეოთხე სტრიქონის დასაწყისის „და“ სტრიქონის ორგანულ ნაწილია; მის მარცვალთა რაოდენობაში შედის. იქნებ ეს „და“ „ვეფხისტყაოსნიდან“ იკიდებს ფეხს ქართულ 16-მარცვლოვან პოეზიაში (XIII ს-ში, რომ იგი უეჭველად არსებობდა, ამას ცხად-ჰყოფს ზემოთმოყვანილი ქობერის წარწერა-ლექსი) და მანამდე მე-4 სტრიქონი უამისოდ იყო წარმოდგენილი. ამ მხრივ ნიშანდობლივია კიდევ ერთი 16-მარცვლოვანი ლექსი, რომელმაც XI ს-ის ხელნაწერით მოაღწია (H-1741, 1048 წ.; დასტურდება უფრო გვიანდელ ხელნაწერშიც) და სახარებისეულ „კანონთა“ საძიებლის გალექსვაა:

„უთქვამს პირველი კანონი ოთხთა ბრძნად გამოკულეული;
სამი სამ-სამთა ორგან ჰრთავს, ძედ ქალწულისად წუეული,
ხუთთაგან ცხრამდე ორ-ორსა, ვითა ვინ იყო ჩუეული,
მეათისათჳს თჳსთჳსად მეტყუელებს თჳთოეული“.

როგორც ვხედავთ, აქ მე-4 სტრიქონი „დას“ გარეშეა წარმოდგენილი. ასეთივე სურათი ჩანს, აქ მოცემული წაკითხვით, ციხისუბნის წარწერა-ლექსშიც, თუმცა, მისი მეოთხე სტრიქონის ეს წაკითხვა, ტექსტის ნაკლულობის გამო, საბოლოო მაინც არაა.

ვინ არის ციხისუბნის წარწერაში დასახელებული *ასვათ*, რომელსაც კოშკები აუგია და რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა ლექს-წარწერაში? სამწუხაროდ, სხვა ცნობები მის შესახებ არ გაგვაჩნია, გარდა ერთი შემთხვევისა, რომლის შესახებ აქვე შევჩერდები.

ციხისუბნიდან 3-4 კმ. დაშორებით, *ს. კეხოვნის* მიდამოებში, რომელსაც *ამხე* ეწოდება, ქვაბლიანისწყლის შენაკადის – ამხისწყლის, ანუ კუჭაურისწყლის ნაპირზე, შემაღლებულ ადგილას, მდგარა ეკლესია, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულ-შემოძარცულია; მისი ქვები სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ მის მახლობლად ძველადვე აგებული სახლებისათვის. ეს სახლები დაუტოვებიათ უკვე 50 წელზე მეტია და მათ ჩაქცეულ, დანგრეულ კედლებში აქა-იქ ჩანს ეკლესიის სუფთად გათლილი და ზოგჯერ ჩუქურთმიანი სამშენებლო ქვები. როგორც ჩანს, ამ ეკლესიაში, ან ეკლესიასთან იდგა მოწითალო ქვისგან გამოთლილი დიდი ზომის ქვა-ჯვარი (ერთიმეორეში ჩადგმული კვარცხლბეკი, სვეტი და ჯვარი). 2,5 მ. სიმაღლის მის შუა ნაწილზე – ქვის ოთხკუთხა სვეტზე, მოთავსებულია ცხრა სტრიქონად შესრულებული რელიეფური ასომთავრული წარწერა. ქვის ეს სვეტი, გატეხილი სამ ნაწილად, იდო სხვადასხვა ადგილას. წარწერის ტექსტი, მთლიანი და თითქმის დაუზიანებელი, მოთავსებული იყო ორ ფრაგმენტზე. ამ წარწერის ტექსტი ადრე გამოქვეყნდა ძეგლთა დაცვის სამმართველოს ფოტოსურათის მიხედვით. კეხოვნის წარწერა 1985 წლიდან გადატანილია ახალციხის მუზეუმში. მისი ტექსტი ასეთია: „წმიდაო იოვანე, შეიწყალე საურმაგ, ბერძენი, ქობულ, პაზარიჩლ, გაბრიელ, ასვათ“. პალეოგრაფიულად წარწერა ციხისუბნის წარწერის თანადროულია. როგორც ვხედავთ, მასში ჩამოთვლილია სახელები, რომელთაგან ბოლოს დასახელებულ პირს ჰქვია „ასვათ“. სავსებით დასაშვებია, რომ ეს ასვათი დავუკავშიროთ ციხისუბნის წარწერაში დასახელებულ ასვათს, ხოლო აქ ჩამოთვლილი სხვა პირები მივიჩნიოთ იმავე ციხისუბნის წარწერაში სახელების გარეშე აღნიშნულ ასვათის ძმებად („ქრისტე, შეიწყალე ასვათ, ძმანი მისნი“).

როგორც ჩანს, ასვათსა და მის ძმებს, XII ს-ის დამდეგს, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, სამცხეში ფართო საალმშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ; გარდა იმისა, რომ აუგიათ კოშკები, აუშენებიათ დიდი ეკლესია, რომლის ნანგრევები ახლაც შთამბეჭდავია თავისი ზომითა და მასშტაბებით, ამის შესახებ შაირით დაწერილი საამშენებლო შინაარსის ლექსი მოუთავსებიათ ციხის კედელზე. როგორ წარიმართა ამ ფეოდალური სახლის შემდგომი ბედი, სად შეწყდა, ან გაგრძელდა მისი განვითარება, ამის შესახებ ცნობები არ შემონახულა.

სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ

ვალერი სილოგავა

ისტორიული სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად საქართველოს შემადგენლობაშია, 1977-1980 წლებში მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიცია. ტერიტორია, სადაც ექსპედიცია მუშაობდა, შეადგენს საქართველოს ისტორიული პროვინციების – ჯავახეთის, სამცხის და მესხეთის ნაწილს და თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ნინოწმინდის (ძველი ბოგდანოვკის), ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებს. 1977 წელს ექსპედიცია მუშაობდა ახალქალაქის რაიონში, 1978 წ. – ასპინძის რაიონში, 1979 წ. – ნინოწმინდის, ხოლო 1980 წ. – ახალციხის და ადიგენის რაიონებში. ამით ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგაფიკულმა ექსპედიციამ დაასრულა წინასწარი შესწავლა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა – წარწერათა აღწერილობები, გადმოწერილი ტექსტები, მათი ფოტონეგატივები და ფოტოსურათები, გრაფიკული მონახაზები, – დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოპირებისა და ფოტონეგატივების ფონდში. ეს ფონდი ინსტიტუტში 1975 წელს ჩამოყალიბდა და მისი შევსება ძირითადად წარმოებს ინსტიტუტის ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალებით.

წინამდებარე წერილში ჩვენ საუბარი გვექნება იმ ძირითად შედეგებზე, რომელიც ექსპედიციამ მოიპოვა 1978-1980 წლებში, ე. ი. ასპინძის, ნინოწმინდის (ბოგდანოვკის), ახალციხის და ადიგენის რაიონებში მუშაობის დროს. 1977 წლის, ე. ი. ახალქალაქის რ-ში მუშაობის ანგარიში გამოქვეყნებულია და მას ჩვენ არ შევეხებით. ოღონდ, ამ თემაზე საუბრის დასრულების მიზნით, აქვე აღვნიშნავთ შემდეგს: 1980 წელს ექსპედიციამ ახალქალაქის რაიონში, კუმურდოს ტაძარზე შეისწავლა სამი წარწერიანი ფილა, რომლებიც ამ წელს აღმოჩნდა ტაძარში ჩატარებული განმენდითი სამუშაოების დროს. ამ სამუშაოებს აწარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ჯგუფი (ხელმძღვანელი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. პ. მარგველაშვილი).

ეს წარწერიანი ფილები აღმოჩნდა კუმურდოს ტაძრის დასავლეთ კედლის ნაშალ ქვებში. ორი მათგანი, როგორც ჩანს, ერთი წარწერის ფრაგმენტს წარმოადგენს, ხოლო მესამე – დამოუკიდებელი წარწერის ტექსტის შემცველია. პირველი წარწერის ტექსტი, როგორც ჩანს, ამოკვეთილი იყო 2 სტრიქონად, თანაბარი ზომის მრგვალოვანი ასომთავრული ასოებით (სიმაღლე – 5 სმ.), ერთიმეორის გვერდით ჩასმულ რამდენიმე ფილაზე. ამათგან, როგორც აღინიშნა, ამჟამად სახეზეა ორი ფილა (ზომები – 1. 45X29X21 სმ; 48X31X21 სმ), რომლებიც ერთმანეთს გვერდი-გვერდ ედგმის და ტექსტი ერთგან გაბმულ სახეს იღებს (წარწ. 116, ტაბ. 74, 75).

წარწერის მეორე სტრიქონის შემორჩენილ ნაწილში საუბარია „სრული ფასის აღებაზე“ [„ავ(ი) ღ(ე)თ [ფ](ა)სი სრ(უ)ლი]“, რაც კუმურდოს ტაძრის სხვა წარწერების ანალოგიით მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქაც სააღაპე დადგენილების განმსაზღვრელ წარწერასთან უნდა გქონდეს საქმე. წარწერის პირველ სტრიქონში ტრაფარეტული „სახელითა ღმრთისაჲთა“-ს შემდეგ, თითქოს „[მე ეფ(რემ)]“ უნდა წავიკითხოთ. კუმურდოს აქამდე ცნობილ წარწერებში, მართლაც, გვხვდება ეფრემ ეპისკოპოსი, რომელიც გაბრიელ კუმურდოელ ეპისკოპოსს ყველიერის პარასკევს, – მთავარანგელოზთა დღესასწაულის დღეს, აღაპს უწესებს. საინტერესოა, რომ ამ წარწერაშიც ეფრემ ეპისკოპოსი საგანგებოდ აღნიშნავს აღაპის დაწესებისათვის „სრული ფასის აღების“ შესახებ. აღსანიშნავია, რომ იგივე ფორმულა – „ფასი სრული ავიღეთ“, გვხვდება კუმურდოს ტაძრის კიდევ ერთ წარწერაში, რომელიც წარმოადგენს გაბრიელ კუმურდოელის დადგენილებას მოლოზონისათვის ბზობის პარა-

სკევს აღაპის დაწესების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ახლადმიკვლეული წარწერის ტექსტი შეიძლება შემდეგი სახით შევავსოთ დანაწილობრივ აღვადგინოთ:

[† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ]ა ღ(მრთისა)ჲთა || [მ]ე, ეფ[რემ ეპისკოპოსმან დაუდევ აღაპად < ამას და ამას > დღე < ესა და ეს >] ...|... ავ(ი)ღ(ე)თ || [ფ](ა)სი სრ(უ)ლი, [რომლითა შევჯერდით].

რაც შეეხება მესამე წარწერიან ფილას, როგორც აღინიშნა, მასზე დამოუკიდებელი წარწერაა, რომელიც შემორჩენილია ძალზე დაზიანებული ტექსტის რვა სტრიქონის სახით. ეს ის წარწერიანი ფილაა, რომელიც თავდაპირველად მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ზედა მარცხენა კუთხეში, როგორც ეს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ფოტოზეა წარმოდგენილი. შემდეგ ეს ფილა საკმაო ხანს დაკარგული იყო და 1980 წელს კვლავ აღმოჩნდა, ოღონდ იგი უკვე უფრო მეტად დაზიანებულია. მასზე ამჟამად წარწერის მხოლოდ რვა სტრიქონია წარმოდგენილი (თავდაპირველი 10 სტრიქონის ნაცვლად – გადაჭრილია პირველი 2 სტრიქონის ადგილი) და ისიც გვერდებჩამოთლილი და შიგადაშიგ ატკეცილი სახით. აღსანიშნავია, რომ სამივე ახლადაღმოჩენილი ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის პირველ ეტაპებს განეკუთვნება და ისინი X-XI სს. თარიღდებიან.

ოთხი წლის განმავლობაში მუშაობის შედეგად ექსპედიციის მიერ სამხრეთ საქართველოში შეკრებილ და შესწავლილ იქნა 300-მდე ქართული წარწერა. ეს წარწერები ქრონოლოგიურად ნაწილდება VII-VIII სს-დან XVII-XVIII სს. ჩათვლით. წარწერების უდიდესი ნაწილი ლაპიდარულია, ე. ი. ქვაზე, ან რაიმე სხვა მაგარ საწერ მასალაზეა შესრულებული ამოკვეთით, ან გამოქანდაკებით, ე. ი. რელიეფურად. რაც შეეხება ფრესკულ, ე. ი. ეკლესიების კედლების შელესილობაზე საღებავით შესრულებულ წარწერებს, მათი მნიშვნელვანი რაოდენობა შემონახულია მესხეთის ძეგლებზე (ზარზმა, საფარა, ჭულე) და ისინიც შედარებით მოგვიანო ხანისაა (XIV და მომდევნო საუკუნეების). ჯავახეთსა და სამცხეში ასეთი წარწერები ძალზე იშვიათია და ამიტომ მით უფრო აღსანიშნავია, რომ ერთი ფრესკული წარწერა X-XI ს-ისა მოგვეპოვება ს. ფიის ერთ-ერთ ეკლესიაში (ასპინძის რ-ნი) (იხ. ქვემოთ).

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მთელი მასალა – ლაპიდარული და ფრესკული წარწერები შეიძლება სამ ჯგუფად დავაჯგუფოთ: 1. ადრეც ცნობილი წარწერები, 2. წარწერათა ტექსტები, რომლებიც ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ჩვენი შესწავლის შემდეგ დაზუსტდა და შესწორდა, 3. უცნობი წარწერები, რომელთა ტექსტებიც პირველად ექსპედიციის მიერ იქნა შესწავლილი (შეიძლება რომელიმე მათგანი სხვა მკვლევარების მიერაც იყო ჩვენს დროში შესწავლილი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში და ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, ისინი უცნობია). ექსპედიციის მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან წინამდებარე ანგარიშში ჩვენ შევეცდებით თითოეული ჯგუფიდან წარმოვადგინოთ რამდენიმე დამახასიათებელი და შედარებით მნიშვნელოვანი ნიმუშები. გარდა დასახელებულისა, არსებობს კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი წარწერებისა, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია ადრინდელი პუბლიკაციებით, ხოლო დღეს კი ისინი აღარ არსებობენ. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ 985 წლის წარწერა ხერთვისის ეკლესიაზე, XII ს. წარწერა ახალქალაქის ციხის ეკლესიიდან თითქოს ამირსპასალარ გამრეკელისა და მისთა ძეთა მოხსენიებით, 1354-1356 წწ. დათარიღებული წარწერა ხერთვისის ციხის შესასვლელზე და სხვ. სამწუხაროდ, ამით და აგრეთვე, ალბათ, ჩვენთვის უცნობმა სხვა წარწერებმა სამხრეთ საქართველოდან, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი უძველესია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ხ ვ ი ლ ი შ ა ს ტაძარზე, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X სს. ადრინდელია და შეიძლება ტაძრის აგების დროს, ანუ VII-VIII სს. განეკუთვნებოდეს. წარწერა ამოკვეთილია კარნიზის ფილის ფრაგმენტზე, რომელიც ამჟამად თავის თავდაპირველ ადგილას არ ზის და ჩასმულია ტაძრის სამხრეთი კედლის ქვების წყობაში. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 3):

ქ(რისტ)ე, თოდოჲტი შ(ეიწყალ)ე.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წარწერის ტექსტში საკუთარი სახელი სხვადასხვაგვარადაც წავიკითხოთ. ცნობილია, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, რომელთაც ხვილიშას წარწერა უთუოდ განეკუთვნება, და მათ შორის წარწერებში, განკვეთილობის ნიშნები, ანუ სიტყვების ერთმანეთისგან გამომყოფი წერტილები არ გვხვდება. ჩვენი დაკვირვებით, ზოგჯერ უძველეს ქართულ წარწერებში სიტყვების ცალ-ცალკე დაჯგუფების და მათი ურთიერთგამიჯვნის ფუნქციას ასრულებს ქარაგმის ხაზი, რომელიც ხშირად დასმულია დაქარაგმებული სიტყვების მთელ სიგრძეზე.[1] ხვილიშას ტაძრის წარწერის ამ მოკლე ტექსტში ქარაგმის ნიშანი გვაქვს სამ ადგილას – პირველი სიტყვის „ქ~ე"-ს, ბოლო სიტყვის „შ~ე"-ს და ბოლოდან მეორე სიტყვის თავზე. ამ უკანასკნელ ადგილას იგი დასმულია სამი ასოს – „ი~ტი"-ს მთელ სიგრძეზე, ისე რომ ასოთა კომპლექსს აშკარად ცალკე ადგილი აქვს მიჩენილი წარწერის მთელ ტექსტში. მართლაც, თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ აქ ცალკე, დამოუკიდებელი სიტყვაა ამოკვეთილი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხვილიშას ტაძრის წარწერის ტექსტი შედგება არა ოთხი, არამე ხუთი სუტყვისაგან და იგი შეიძლება ასეც წავიკითხოთ: **„ქ(რისტ)ე, თოდო ჲ(ო)ტი შ(ეი)ნყალე."** ასეთ შემთხვევაში „ჲ(ო)ტი", ანუ „მცირე" თოდოს ეპითეტად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ მივიღებთ, რომ წარწერა თოდო იოტის, ანუ თოდო მცირეს შეწყალებას შეიცავს. აქ უჩვეულოა თვითონ ეპითეტი „ჲოტი", რომელიც ასეთ კონტექსტში სხვაგანარსად გვხვდება, მარგამ ამავე დროს, „ი~ტი"-ს თავზე დასმულ ქარაგმის ნიშანსაც თიტქოს სხვა ახსნა არ ეძებნება.[2]

ნასოფლარ ფ ი ა ს ეკლესიები და მათი ლაპიდარული წარწერები, განსაკუთრებით 995 წლის წარწერა ქვის სვეტზე, რომელიც ეკლესიის საკურთხეველის ქვას უნდა წარმოადგენდეს, სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ძეგლებია.[3] ამჯერად კი ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ზედა ეკლესიის საკურთხეველში შემონახული მაცხოვრის გამოსახულების ფრესკულ წარწერაზე. ეკლესიის მხატვრობა ძალზე დაზიანებულია – ჩამოშლილია მთლიანად შელესილობითურთ, გარდა მაცხოვრის გამოსახულებისა საკურთხეველის კონქში. აქ წარმოდგენილია მაცხოვარი მთელი ტანით, ტახტზე მჯდომარე, ფართოდ გაშლილი ფეხებით, მაკურთხებელი მარჯვენით და გაშლილი წიგნით, რომელსაც მარცხენა ხელით მარცხენა ფეხისავე მუხლზე იმაგრებს (სურ.4). შედარებით კარგად არის შემონახული გაშლილი კოდექსის გამოსახულება, რომლის ორივე გადაშლილ გვერდებზე, თეთრი საღებავით, ამჟამად გაშავებულ (ჭვარტლისაგან?) ფონზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა – მარცხნივ 5 და მარჯვნივ 4 სტრიქონად. წარწერის ტექსტი, რომელიც იოვანე 8,12-ის ტექსტს შეიცავს, იხ. გვ. 269 (სურ.5).

ყურადღებას იქცევს ამ წარწერის ტანდაბალი, მსხვილი ასოები, რომლებიც არქაულ იერს ატარებენ: უყელო დონი, ანის შეკრული და არა ფართოდ გადაშლილი პირი, დაბალყელა და მსხილმუცლიანი ლასი, მანის გადმოცემა შემკვრელი ხაზის მარჯვნივ გადასვლის გარეშე საშუალებას გვაძლევს, დასახელებული პალეოგრაფიული ნიშნებით, წარწერა X ს-ის ბოლოთი და XI ს-ით დავათარილოთ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შინის გადმოცემა შეკრული თავით. მართალია, იმ დროისათვის, რა დროითაც ეს წარწერა თარიღდება, შინის ასეთი სახით გადმოცემა დამახასიათებელი არ არის და იგი მხოლოდ ადრეულ (VI-VII სს.) დაწერილობის გადმონაშთად შეიძლება

---

1 შდრ. ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", 2, 1980, გვ. 156-157, შენ. 45. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანტონის ორი წარწერა 945 წლისა ატენის სიონზე (თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 37) და ნოშას წარწერა ზედა თმოგვის ეკლესიაზე (რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, სსმმ, ტ. XIV, გვ. 246, სურ. 7; შდრ. ტექსტისთვის – „მრავალთავი", VII, 1980, გვ. 173).

2 მ. ბროსეს ნაკითხვით წარწერის ტექსტი ასეთია: „ქრისტე თოდოჲნი შეიწყალე" (Rapp., II, p, 177), ხოლო ე. თაყაიშვილის მიხედვით: „ქრისტე თეოდორეჲ ნშიდაი შეიწყალე" (МАК, XII, М., 1909, გვ. 15).

3 ლიტერატურა მათ შესახებ და ხელახალი პუბლიკაცია დასახელებული წარწერისა იხ. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 25-26. საგულისხმოა, რომ ეს წარწერა ზუსტი და სრული სახით ჯერ კიდევ 1882 წ. გამოუქვეყნებია ივ. გვარამაძეს (გაზ. „დროება", 1882, VII, 22). მასვე გადმოუნერია სამხრეთ საქართველოს 30-ზე მეტი ეკლესიის 80-მდე ქართული ლაპიდარული წარწერა. მისი ეს გამოუქვეყნებელი მასალა – „ალნერა თითო-ოროლა ეკლესია-მონასტრებისა" და „მგზავრობა", დათარიღებული 1906 და 1909 წ., დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2786, H 2787), ამ მასალის ერთი ნანილი (საფარის, ზარზმის, ვალეს, ბიეთის და სხვა ეკლესიები წარწერები) მის მიერ გამოქვეყნებულია გაზ. „დროებაში" (1879. IV. 25, 26; VIII. 24; 1882. VIII 13, 14).

მივიჩნიოთ.[4] წარმოდგენილი წარწერა ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად თავისი ტექსტით, ან პალეოგრაფიული თავისებურებებით, არამედ როგორც დღეისათვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი ნიმუში ფრესკული, ე. ი. საღებავით შესრულებული წარწერისა სამხრეთ საქართველოს ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებში.

XIV და მომდევნო საუკუნეების ფრესკული წარწერები სამხრეთ საქართველოს ძეგლებზე, განსაკუთრებით საფარასა და ზარზმაში მრავლად მოგვეპოვება. მათი დიდი ნაწილი, კერძოდ ისინი, რომლებიც ისტორიულ პირთა პორტრეტულ გამოსახულებებს ახლავს, გამოცემულია. ჩვენ ამ წარწერებიდან ნიმუშის სახით მოვიყვანთ ჭ უ ლ ე ს ტაძრის ერთ ფრესკულ წარწერას, რომელიც ტაძრის ერთ-ერთი თაღის შელესილობაზეა მოთავსებული და სამხრეთ საქართველოს ფრესკული წარწერების შესახებ მსჯელობასაც ამით დავასრულებთ. ეს წარწერა ტაძრის კტიტორული ფრესკული წარწერის[5] თანადროული ჩანს და იგი XIV ს. განეკუთვნება. მისი ტექსტი მთ. 25,41-ის ნაწყვეტს წარმოადგენს და წარწერასაც ჩვენთვის მხოლოდ პალეოგრაფიული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს. ამავე დროს, რადგან ჭულეს ტაძარი დაზიანებულია, ხოლო მისი გამაგრება, ან რესტავრაცია დიდად ჭირს მიუდგომლობის გამო და შესაძლებელია ამ წარწერის ტექსტი ადვილად დაიღუპოს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოყვანა ფოტოსურათით (იხ. სურ. 6)[6].

როგორც ვხედავთ, წარწერის ტექსტი თავშიც და ბოლოშიც ნაკლულია:

„[...]საუკ(უ)ნოსა, რომელი გ(ა)ნმზადებულ-არს ეშმაკისათ( )ს და მს(ა)ხურთა მისთა“.[7]

X და XI სს. საინტერესო წარწერები, ან წარწერათა ფრაგმენტებია შემონახული ურავლის ხეობის აგარის დიდი სამონასტრო კომპლექსის მთავარ ეკლესიაზე და სატრაპეზოს შენობაზე.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმლის ზედანად ჩასმულია ფილა, რომელზედაც წარმოდგენილია რელიეფური კომპოზიცია – მთელი ტანით გამოსახული კტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში ვედრების პოზით მიმართულია ფილის მარჯვენა ნაწილში გამოსახული მაცხოვრისაკენ (სურ.7). მაცხოვარი წარმოდგენილია მთელი ტანით, ტახტზე მჯდომარე, მაღლა შემართული მარჯვენით, რომლითაც იგი კურთხევის ნიშნად ეხება ეკლესიის მოდელს. ფილის მარჯვენა მხარეს, კტიტორის უკან, დატოვებულია განიერი არშია (სიგანე – 17 სმ.), რომელზედაც ამოკვეთილია ასომთავრული, კიდურწერტილოვანი წარწერა 11 სტრიქონად, წარწერის ბოლო სტრიქონი დაუყვება ფილის ქვედა ჩარჩოს მთელ სიგრძეზე. სამწუხაროდ, წარწერის ტექსტი ფილის ზედაპირის ატკეცვის გამო დაზიანებულია და მისი ბოლოც ნაკლულია. თუმცა, აზრობრივად მისი აღდგენა შესაძლებელია (სურ. 8):

ს(ა)ხელითა | ღ(მრთისა)მთა მე, | თ(ევდორ)ე აღვა|შენე ესე | სტოაჲ[8] |ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ | ამის ად|გ(ი)ლისა უ(ფლის)ა |თ(ევ)დ(ორესა)თჳს, ღ(მერთმა)ნ | აკ(ურთ)ხ(ე)ნ და ყ(ოველ)ნი შვილნი ამის ეკ|ლ[ეს(ი)სანი შ(ეიწყალე)ნ].

---

4 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფიის ამ წარწერის თარილიანი თანადროული ძეგლებიდან შინი ასევე შეკრული თავით გვხვდება ერთგან ქორეთის ეკლესიის 1000 წლით დათარილებულ ლაპიდარულ წარწერაში (ქართული წარწერების კორპუსი. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, №11).

5 ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 150-151.

6 ეს წარწერა მკრთალად გაირჩევა ვ. ბერიძის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფოტოზე. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 73.

7 სრული ტექსტი ასეთია: „ნარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათჳს და მსახურთა მისთა“ (მთ. 25, 41). ჭულეს ტაძრის მეორედ მოსვლის ფრესკული კომპოზიციის თანმხლები ეს და ამჟამად დალუპული სხვა წარწერები იხ.: Е. Такаишвили, АЭРЗ, I, 1900, გვ. 106.

8 წარწერის ტექსტი მხედრული ტრანსკრიფციით გამოცემული აქვს ნ. ჩუბინაშვილს (იხ. მისი, Церковари, Тб., 1976, გვ. 47) გ. გაფრინდაშვილისეული წაკითხვით: „სხ–ლითა ღ–მთა მე თ–ე აღვაშენე ესე სტოაჲ სლც–ულდ ამის ადგილისა |ც(ვ)თ–თჳს ამენ. აკ–ხნ და ყ–ნი შვილ(ნ)ი იმის ეკლესიისა“.

როგორც ტექსტიდან ჩანს, ვინმე თევდორეს აუშენებია სტოა.[9] აქედან აშკარაა, რომ წარწერიანი ფილა თავის თავდაპირველ ადგილას არ ზის და იგი აქ – ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე, მისი მეორედ გამოყენების შედეგადაა მოხვედრილი.

აგარის ტაძრის ეს რელიეფი და მისი წარწერა X ს-ით თარიღდება. იგი X ს-ის იმ რელიეფების ჯგუფში თავსდება (ოპიზა, ბრეძა, ახაშენი, ოშკი, ჯოისუბანი, ქოროლო, ფეთობანი, კვაისა-ჯვარი), რომლებზედაც წარმოდგენილია კტიტორების გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში და ასეთი კომპოზიცია დამახასიათებელი ჩანს სწორედ აღნიშნული დროის ქართული მონუმენტური სკულპტურისათვის.

გარდა ამისა, აგარის მონასტრის მთავარ ტაძარზე გამოუცემელი წარწერებიც იქნა შესწავლილი და აღრიცხული. ერთი მათგანი (სურ. 9) მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, ქვემოდან ქვების მე-10 რიგში ჩასმულ ფილაზე. მისი ტექსტი ფილის ზედაპირის გამოფიტვის შედეგად ძალზე დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთი რამის წაკითხვა მაინც მოხერხდა:

სამებ(ა)ო წ(მიდა)ო, ადი|დე [...].

მეორეა, ასევე ძალზე ნაკლული წარწერა, რომელიც ტაძრის სამხრეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილაზეა ამოკვეთილი მსხვილი, ტანდაბალი ასომთავრული ასოებით, ეს წარწერიანი ფილა, როგორც ჩანს, აქ მოხვდა მისი ხელმეორედ გამოყენების დროს – ტექსტი გადაჭრილია მარცხენა მხარეს, მაშინ როდესაც მარჯვნივ ფილაზე საკმაოდ დიდი ნაწილია დარჩენილი. შემორჩენილი ტექსტი ასე იკითხება (სურ. 10):

[ს(ა)ხ]ელი [თა]| ღ(მრ)თ(ისა)ი(თა) ესე | [ქვაჲ მე] დავს(უ)ი | [...] ტრამა.

როგორც ვხედავთ, წარწერაში საუბარი ყოფილა ქვის დასმის შესახებ. სამწუხაროდ, ქვიშაქვის ფილის ზედაპირის გამოქარვის შედეგად, წარწერის ტექსტის დაზიანების გამო, ქვის შემწირველის სახელის სრულად წაკითხვა არ მოხერხდა.

აგარის მონასტრის მთავარი ეკლესიის ზემოგანხილული წარწერები X ს-ითა და XI ს-ის დასაწყისით თარიღდება. ამაზე ცოტა გვიანდელი ხანისაა დაXI-XII სს. მიჯნას განეკუთვნება ის ცნობილი წარწერა, რომელიც მოთავსებულია მონასტრის სატრაპეზოს შესასვლელის ტიმპანზე. წარწერა პირველ რიგში საინტერესოა ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა – ბეშქენისა და მურვანის მოხსენიებით, რომლებიც, როგორც ჩანს, შეიძლება გავაიგივოთ კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში დასახელებულ ბეშქენსა და მურვანთან.[10] წარწერა ამოკვეთილია ღვინისფერ ქვის ბლოკზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს სატრაპეზოს შესასვლელს (იგი ჩრდილოეთი მხრიდან აქვს ნაგებობას) ტიმპანს. წარწერის პირველი რვა სტრიქონი ამოკვეთილია ფილის ცენტრში ზედაპირის დადაბლებით შექმნილ ოთხკუთხა ჩარჩოში, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი – ჩარჩოს ქვემოთ და მის გარეთ.[11] წარწერის ტექსტი ასეთია:

† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისა)ჲთა და მ(ო)|ხ(ე)მ(ი)თა წ(მიდ)ისა ი(ოვა)ნე ნ(ა)თ(ლი)სმც|მლ(ი)ს(ა)თა ე(რისთავთ)-ე(რისთავ)თა ბეშქენ | და მ(უ)რვ(ა)ნის მლოცველმ(ა)ნ, მე, ეფრემ ჴ|ელ-ვყ(ა)ვ შენებ(ა)დ | ტრ(ა)პ(ე)ზსა ამ(ა)ს და გ|ამიკუეთეს ალაპი | | ს(აუ)კ(უ)ნ(ო)ჲ ს(ამე)ბობ(ა)ჲ; და ვინცა შემიცვ(ა)ლოს, | კრ(უ)ლ-მცა არს ღ(მრთ)ისა პირითა.

როგორც ვხედავთ, ბეშქენ და მურვან ერითავთ-ერისთავთა მლოცველს ეფრემს აგარის მონასტრისათვის აუშენებია სატრაპეზო (ანუ „ტრაპეზი", როგორც წარწერაშია), რისთვისაც მისთვის

9 Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, ИИАН, 1911, №4, V. 211-240, ტაბ. I–VIII, სურ. 1-6.

10 ზომები – ტიმპანის ფილისა – 148X79X32 სმ; ოთხკუთხა დადაბლებისა ფილის ცენტრში წარწერის ტექსტით – 43X47 სმ; ბოლო ორი სტრიქონის ფართობისა – 98X16 სმ. ასოების სიმაღლე – 3-7-10 სმ.

11 იგი მოძრავი დღესასწაულია და დამოკიდებულია აღდგომაზე. ადრინდელ გამოცემებში (ვ. ბერიძე, აგარის მონასტრის ტრაპეზი, სმამ, VIII: 1-2, 1947, გვ. 97-104; მისივე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 166) წარწერის ტექსტში ამ ადგილას წაკითხულია „საბობაჲ". სხვა კითხვასხვაობებზე, რომლებიც ძირითადად ორთოგრაფიულია, არ შევჩერდებით. წარწერის ტექსტის პირველი ნაწილი სიტყვებამდე „და გამოკუეთეს" იხ.: კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955, გვ. 34.

დაუწესებია საუკუნო ალაპი სამებობა დღეს, ე. ი. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.[12]

სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკის ერთ-ერთ საყურადღებო თავისებურებას შეადგენს ის, რომ აქ ჩვენ მოგვეპოვება შედარებით მოგვიანო ხანის – XIV, XV და XVI სს. მტკიცედ დათარიღებული წარწერები, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო მათი ცნობებით, არამედ ქართული დამწერლობის განვითარების თვალსაზრისითაც და უთარიღო ეპიგრაფიკული ძეგლების პალეოგრაფიული ნიშნებით დასათარიღებლად. აქ ჩვენ შევჩერდებით მათგანზე; ისინი ადრეც გამოქვეყნებულა; კერძოდ, ასეთია თ მ ო გ ვ ი ს ციხის (1350წ.), ვ ა რ ძ ი ი ს სატრაპეზოს (1391-1444), პ ა ტ ა რ ა ს მ ა დ ი ს ეკლესიის (1467წ.) და ვა ლ ე ს ტაძრის (1561-1564 წწ.) წარწერები.

თმოგვის ციხის წარწერა შედარებით ახალმიკვლეული ეპიგრაფიკული ძეგლია და სამეცნიერო წრეებისათვის იგი ცნობილი გახდა 1953 წლის ზაფხულიდან.[13] მუქი ნაცრისფერი ქვის ფილა (ზომა – 77X43X17 სმ), რომელზედაც ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია 5 სტრიქონად (სტრიქონებს შორის გავლებულია პარალელური, განივი ხაზები: მანძილი მათ შორის 7,5-8 სმ, ხოლო ასოების სიმაღლე 6-6,5 სმ შეადგენს), ამჟამად დაცულია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ქვის ძეგლების საცავში, სამონასტრო კოპლექსის ერთ-ერთ გამოქვაბულში. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 12):

[†] [მ]ენ[ე]ვნითა და ძლ(ი)ერ(ე)ბ(ი)თა ვარძი(ი)სა ღ|[მრ)თ(ი)სმშ(ო)ლ(ი)ს(აჲ)თა ქ(რონი)კ(ონ)ს ლ
დავ(ი)წყე | [ხ]ლუდე ესე მე, მეფეთ-მეფი[ს] | დ(ავი)თ(ი)ს ვ(ა)რძ(იელ)მ(ა)ნ ს(ა)ხლის მწიგნ(ო)ბ(ა)რმ(ა)[ნ], | თმოგ(უ)ს, მ(უ)რვ(ა)ნ კ თხ(ი)სძ(ე)მ(ა)ნ; თ(ევდორ)ე დ(ად)გა.

როგორც ტექსტიდან ჩანს, თმოგვის ციხის ერთ-ერთი ზღუდე აუგია დავით მეფეთ-მეფის (1346-1360) ვარძიელ მესაწოლე მწიგნობარს მურვან კჯთხისძეს „ქრონიკონს ლ“, ანუ 1350 (1312+38) წელს.

შემდეგი წარწერა – პატრონ ივანესი, რომელიც მკვლევართა საერთო აზრით, ივანე ათაბაგია ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოდან, მოთავსებულია უკვე თვითონ ვ ა რ ძ ი ი ს სამონასტრო კომპლექსში და ამოკვეთილია ანდეზიტის დიდი ზომის ქვის ფილაზე (ზომა – 173X60 სმ.), რომელიც ჩასმულია მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებული სტოას შესასვლელის ზემოთ და მის ტიმპანს წარმოადგენს. მაგარი ჯიშის ქვაზე ხუთ სტრიქონად შესრულებული წარწერა შედარებით კარგად არის დაცული და მისი ტექსტი ასეთია (სურ. 13):

ჩ ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ვ(ა)რძ(იი)სა ღ(მრთი)სმშობელო, ადიდე ორთ(ა)ვე შინა ს(უ)ფ(ე)ვ(ა)თა დიდისა
ამის ტრ(ა)პ(ე)ზისა ალმშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი პ(ა)ტრ(ო)ნი ივანე; ას(უ)ფ(ე)ვე და ც(ო)დვ(ა)ნი მ(ა)თნი შ(ეუ)ნ(დო)ს
ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ.

საისტორიო წყაროთა მონაცემებით, ივანე ათაბაგი 1391-1344 წწ. მოღვაწეობდა და წარწერაც ამ დროით უნდა დათარიღდეს.[14] როგორც ტექსტიდან ჩანს, ივანე ათაბაგს მონასტრისათვის „დიდი ტრაპეზი“ (ანუ სატრაპეზო) აუგია. აქედან გამომდინარე, სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეკლესიის სტოის შესასვლელი წარწერიანი ქვის თავდაპირველი მდგომარეობის ადგილი არ უნდა იყოს და იგი აქ გვიან, მისი მეორედ გამოყენების დროს ჩანს ჩასმული.[15]

12 კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, გვ. 37, სურ. 14 – აქ მურვანის გვარი წაკითხულია,როგორც „კითხაის ძე“; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 106-107.

13 ტექსტი მცირე ორთოგრაფიული განსხვავებით პირველად გამოცემულია გზამკვლევში „ვარძია“, თბ., 1953, გვ. 80, სურ. 49.

14 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 118.

15 ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

დამატება II

ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიიდან

მერაბ ბერიძე

ტოპონიმების მეცნიერული შესწავლა მიზნად ისახავს გეოგრაფიული ნომენკლატურის მყარი ენობრივი სისტემების შიგნით ისტორიული და გვიანდელი ხანის წარმონაქმნ ერთეულთა გამოვლენას და მათი გავრცელების არეალის დადგენას. ტოპონიმები ენის განვითარებას ასახავენ, მათში შემონახულია არქაული დიალექტური ლექსიკა, ცალკეულ კილოთა კვალი, ზოგჯერ უცხო ენათა გავლენა. ტოპონიმიკის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ მას შეუძლია ამა თუ იმ ეთნოსის თავდაპირველი საცხოვრისის, ან შიდა თუ გარე მიგრაციის მიმართულებისა და ახალ სამოსახლოზე დაფუძნების დადგენა. ამით ის, ფაქტობრივად, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს, ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას და მხარეთმცოდნეობას.

ქართული ტოპონიმიის ფუძემდებლურ ნაშრომად ითვლება ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც პირველად მარი ბროსემ გამოსცა 1882 წელს და რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სერიაში მეოთხე ტომად გამოაქვეყნა სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტოპონიმიკური მასალის დიდი ნაწილია წარმოდგენილი იოანე ბატონიშვილის შრომებში – „კალმასობასა“ და „ქართლ-კახეთის აღწერილობაში“.

ქართული ტოპონიმიის მეცნიერული შესწავლა დაიწყო XIX საუკუნის ბოლოდან, გრძელდებოდა XX საუკუნეში და მიმდინარეობს ამჟამადაც. ძირითადად, როგორც სამეცნიერო დარგი, ჩვენში იგი XX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა, რადგან კვლევა ადრეულ ეტაპზე ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ძიებებით შემოიფარგლებოდა. ივანე ჯავახიშვილმა განსაზღვრა ტოპონიმთა მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიისათვის და აღნიშნა, რომ გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიური კვლევისას და მისი პირველადი მნიშვნელობის დადგენისას მკვლევარმა უპირველეს ყოვლისა უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებები, ღრმად ჩაუკვირდეს სხვა მსგავს გეოგრაფიულ სახელთა აგებულებასა და მნიშვნელობას.

საქართველოში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთიანობის საფუძველზე შექმნილი ტოპონიმია სხვადასხვა სახისაა. გენეტიკური თვალსაზრისით ქართულ-ქართველური ტოპონიმების გვერდით თანაარსებობენ არაქართული ტოპონიმებიც. ზოგჯერ ისეა დიალექტში შემოსული უცხოური ფუძის მიხედვით შექმნილი ტოპონიმი გაქართულებული, რომ მისი ძირის მიკვლევა საკმაოდ რთულ ეტიმოლოგიურ ძიებებს მოითხოვს. ასევე დიდი ცვლილებები განუცდია ქართულ ძირებს და სახელებს სხვა ენათა გავლენის შედეგად. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტოპონიმიის კვლევა, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჯავახეთის, როგორც საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო მხარის, ტოპონიმიას. მას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აკისრია, ამიტომ საშურია თითოეული ტოპონიმის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოდგენა და გააზრება.

ახალქალაქი

ზედსართავი სახელი ***ახალი*** ტოპონიმიაში ცალკე, მარტო არ იხმარება. იგი მხოლოდ რომელიმე საზღვრულთან ერთად გვხვდება. ***ახალშენი, ახალდაბა, ახალციხე, ახალქალაქი, ახალგორი*** და სხვა. ძველისა და ახლის მონაცვლეობა ყოველთვის ყოფილა და იქნება. ძველთან, წარსულთან დაპირისპირება მხოლოდ ამ ფორმით შეიძლებოდა. ახალი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ძველის უარყოფას არ ნიშნავდა. შეიძლება ძველსაც გაეგრძელებინა არსებობა და ახალიც ყოფილიყო.

ხშირ შემთხვევაში ახალი ქალაქების წარმოქმნა ძველთა არსებობასაც ნიშნავდა.

„IX-XI საუკუნეები საქალაქო მეურნეობის სწრაფი ზრდით ხასიათდება. ფეოდალიზაციით შექმნილმა ახალმა ეკონომიკურმა ყოფამ წარმოშვა პირობები ქალაქების განვითარებისათვის. ეს არის პერიოდი ფეოდალური ქალაქების წარმოშობისა, ახალ სოციალურ გარემოში ახალი ქალაქების გაჩენისა. ეს არის ხანა „ახალქალაქებისა“. ახლად გაჩენილი ქალაქების ერთი ნაწილი „ძველი ქალაქების“ (ანტიკური ქალაქების) ნანგრევებზეა აღმოცენებული, ნაწილი კი ფეოდალიზმის პირმშოა“[1]. ასე წარმოიშვა ***ატენი, თელავი, დმანისი***. განახლდა და ახალი ქალაქების ფუნქცია შეიძინეს ძველმა ქალაქებმა: ***რუსთავმა, სამშვილდემ, ხუნანმა*** და სხვა[2].

სამხრეთ საქართველოში ასეთი „ახალი“ წარმოშობილი ქალაქებია ***ახალქალაქი*** და ***ახალციხე***. ისედაც ნათელია, რომ ახალციხე ახალი აშენებული ციხის გამოა შერქმეული და ქალაქი აგრძელებს სიცოცხლეს. არის მოსაზრება, რომ მას სხვა სახელი, ***ლომსიაც*** ერქვა. თუ ასეა, მაშინ ახალი ციხის გამო სახელი გადავიდა მთელ ქალაქზე, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს სიახლე, მიუხედავად იმისა, რომ ციხე-სიმაგრე ციხე-ქალაქსაც ნიშნავდა. რაც შეეხება ახალქალაქს, იგი ანტიკური ქალაქის წუნდის დაცემის შემდეგ იქმნება და მისი „ახალი“ ქალაქობაც „ძველი“ ქალაქის – ***წუნდის*** გამოა განსაზღვრული.

შენიშნულია, რომ „***ახალქალაქი***, როგორც სახელიდანაც ჩანს, აღორძინების ხანაში წარმოშობილი ქალაქია. იგი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა XI საუკუნიდან. ამ დროიდან იგი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე პროვინციის, ჯავახეთის ცენტრია, ძველი ცენტრი ***წუნდა*** დაცემულია, მის ნაცვლად ხდება ახალი პუნქტის წამოწევა“[3].

ძველი ქალაქის ნაცვლად ორი ახალი პუნქტი იქმნება. წუნდა ანტიკური ქალაქი იყო, ამიტომ იგი თავისი სიდიდით გამოირჩეოდა. მის დაცემას მოჰყვა იქვე, მის ტერიტორიაზე, წარმოქმნა ***ნაქალაქევისა***. როგორც ჩანს, ძველ ქალაქთან მიმართება ახალმა სახელმა მშვენივრად დაადასტურა.

თავად ***წუნდაც*** აგრძელებს არსებობას, რასაც ადასტურებს მე-12-მე-13 საუკუნეების წმინდა გიორგის სახელობის მშვენიერი ეკლესია იჩქით გურგენისძის შესანიშნავი წარწერით, მაგრამ იგი ქალაქი აღარ არის, არის მხოლოდ დასახლებული პუნქტი.

წუნდის „ქალაქობა“ გრძელდება „ახალქალაქის“ სახით. წუნდა არტაანის მტკვრის ნაპირზე თუ ნაპირებზე იყო გაშენებული. იგი ანტიკურ პერიოდში ჯავახეთის საერო და სასულიერო ცენტრსაც წარმოადგენდა. ტოპონიმიამ ასახა დინამიკა ჩვენი ისტორიისა. კერძოდ – სახელი „ნაქალაქევი“ აღარ გულისხმობს წუნდის რაიმე ცენტრობას. იგი უკვე წარსულ დროშია წარმოდგენილი. ასევე წარსულ დროშია აქვე, წუნდაში დადასტურებული „ნასოფლარი“[4]. ხოლო წუნდის ადმინისტრაციულ ნაწილში ჰეგემონიას აგრძელებს ***ახალქალაქი***, სასულიერო მხრივ კი ცენტრი ხდება ***კუმურდო***.

ასე „დაიშალა“ ***წუნდა***, ერთი ცენტრი – ცენტრებად.

მტკვრის ჩავარდნილი ნაპირებიდან გადადის ქალაქი შედარებით მაღლა. „ახალქალაქის წარმოშობაში და ქალაქად ქცევაში ძირითადად მაინც მისი გეოგრაფიული ფაქტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი. ქალაქი გაშენებულია ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შეერთებამდე, მაღალ, კლდოვან მასივზე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი ***ხერთვისია***, ძლიერ წააგავს ***დმანისს*** და ***სამშვილდეს***“[5]. ხერთვისი დღეს რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ჰქვია. იგი ზოგადი სახელი იყო ძველ საქართველოში. როგორც სულხან-საბა წერდა: ***ხერთვისი*** „ესე არს წყალთა და ზღვათა საშუალ ჴმელი ადგილი, ჭალაკი ჴევთ შესაყარი“[6], რაც ნიშნავს, რომ დღევანდელ კუნძულს ან ნახევარკუნძულს ჰქონდა ერთი სახელი და ეს იყო ***ხერთვისი***.

---

1 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1970, გვ. 82.

2 იქვე, გვ. 83.

3 იქვე, გვ. 87.

4 დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბილისი, 1975, გვ. 91.

5 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 88.

6 ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, IV$_2$, 1966, გვ. 419.

გეოგრაფიული ფაქტორი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია. ეს კარგად ჩანს წუნდის მაგალითზე, რომელიც დაბალ, ჩავარდნილ და შედარებით გაშლილ ფართობზე იყო გაშენებული. ხერთვისების დრო შედარებით გვიან, ფეოდალურ ხანაში დგება. თუმცა ხერთვისებს, როგორც თავდაცვით ნაგებობებს დიდი მნიშვნელობა მანამდეც ჰქონდათ. ასეთი იყო ხერთვისი „ფარავნის წყლისა და მტკვრის შესაყარში აგებული უძლიერესი ციხე"[7]. ლეონტი მროველის ცნობის ფონზე მას წუნდის გვერდით დიდი მნიშვნელობის სიმაგრედ სახავს"[8]. ახალქალაქი კი აშენდა ხერთვისზე.

როდის უნდა დანყებულიყო ახალქალაქის მშენებლობა?

როგორც უკვე ითქვა, „ახალქალაქი ჯავახეთის ცენტრი ხდება მისი ადმინისტრაციული ცენტრის (წუნდის – მ. ბ.) დაცემის შემდეგ. წუნდა წერილობითი წყაროებით მხარის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საეკლესიო ცენტრიც იყო. წუნდის დაცემის შემდეგ საეპისკოპოსო ცენტრად ხდება ***კუმურდო***. ეს უკანასკნელი მისივე სამხრეთის კედელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით აშენებულია 964 წლის მახლობლად. ადვილი მოსალოდნელია, საეკლესიო ცენტრის კუმურდოში გადატანას ემთხვევა ადმინისტრაციული გამგებლობის ახალქალაქში გადასვლა, რაც ქალაქმშენებლობის და, პირველ რიგში, ციხის აგების დაწყებას მოასწავებდა"[9].

ჯერ კიდევ კირშეუმშრალ კედლებს არფასანი მოადგა. ქალაქს ***ფარსმან თმოგველი*** იცავს. მემატიანე წერს: „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ***ახალქალაქს***, რამეთუ ***მესხნი აზნაურნი*** და ***ზემოსა კერძისანი*** ძლიერად დგეს ***ახალქალაქს***, და ბრძოდეს სამი დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახულისათა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტეანეთანი. აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი. და ***შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა***"[10].

შემორჩენილი იყო ახალქალაქის წარწერა, რომელიც დაკარგულად ითვლება. საბედნიეროდ, იგი ორჯერ არის გამოქვეყნებული ივ. როსტომაშვილისა[11] და ე. თაყაიშვილის[12] მიერ 1898 და 1909 წლებში. შემოგვრჩა ფოტოსურათები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ წარწერა XIII საუკუნისაა. ეს წარწერიანი ქვა მოთავსებული ყოფილა ახალქალაქში ფერისცვალების ეკლესიის ეზოში[13].

ახალქალაქი კომპოზიტური წარმომავლობისაა. იგი აშკარად იყოფა ორ ნაწილად ***ახალი*** და ***ქალაქი***. ჩვენ ვრცელი მიმოხილვა გვქონდა იმ ისტორიული პასაჟებისა, რომლებიც თან ახლდა ამ ქალაქის ქალაქად ქცევას, ახალქალაქი მარტო არ არის, მას დიდი ისტორიული კატაკლიზმები დაჰყვა თან, რომ მასიურად ხდებოდა ახალი ქალაქების შექმნა და ეს აღმავალი ფეოდალიზმის თანმხლები მოვლენა იყო.

საინტერესოა, რომ სიტყვა ***ახალი||ახალ*** ტოპონიმებში მხოლოდ ისეთი სინტაგმის წევრია, რომლის მეორე ნაწილი ძირითადად დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს: ***ახალქალაქი, ახალსოფელი, ახალდაბა, ახალციხე*** და სხვა, ან ისეთ დასახელებულ პუნქტს, რომლის განახლებაც ხდება. იყო სახელი და მისი ახალი ვარიანტი იქმნება, რომელიც შემდგომ იქცევა ტოპონიმად. ***გორი*** და ***ახალგორი*** „ეტყობა, ასეთი შემადგენლობის სინტაგმა – პირველი ნაწილი – ახალი, მეორე ნაწილი – დასახლებული პუნქტის (შენი, სოფელი, დაბა...) მნიშვნელობის ფუძე, საერთოდ, ფართოდ გავრცელებულია ტოპონიმიაში. ასეთივე მნიშვნელობის არის იგი სხვა ენებშიც, კერძოდ სომხურსა და აზერბაიჯანულში. ჯავახეთის სომხურ სოფელთა ახალ უბნებს ყველას ***ნორაშენი*** ჰქვია. შდრ. აგრეთვე ***თაზაქენდი*** (ახალი სოფელი) ასპინძის რაიონის ნასოფლარი (სახელი თურქულენოვანმა მოსახლეობამ შეარქვა); ***ნოვგოროდი*** და სხვა"[14].

7 დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 92.

8 იქვე, 1975, გვ. 92.

9 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 99.

10 „მატიანე ქართლისაჲ", გვ. 306.

11 И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, 1898, ст. 37.

12 Материалы по археологии Кавказа, вып.XII, 1909, ст. 24-25.

13 ე. ცისკარიშვილი, ახალქალაქის დაკარგული ნარწერის წაკითხვისათვის, გვ. 53.

14 მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 88.

ამიტომ, თითქოს არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ამ გამჭვირვალე სახელის ეტიმოლოგია, რომ **ახალს** ახლავს *ქალაქი*, სიტყვა, რომელიც უძველეს ქართულ ტექსტებშია დამოწმებული იმ მნიშვნელობით, დღეს რომ ვხმარობთ: „დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი“[15].

როგორც წესი, ქალაქი უპირისპირდება ***სოფელს, დაბას***, შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტებს, რეგიონებს, დღევანდელი ტერმინოლოგიით, და ქვეყნებს, როგორც ძველად უწოდებდნენ, თითო ქალაქი, უფრო სწორედ, დედაქალაქი აუცილებლად ჰქონდათ.

„ქალაქი რაოდენობისა, მდებარეობისა ღირსებისა და მნიშვნელობისდაგვარად იწოდებოდა ან ***„დიდ ქალაქად“*** ან პატარად, ან ***„სამეუფო ქალაქად“, „ქალაქად სამეფოდ“, „სახლად სამეუფოდ“, „საჯდომლად დიდთა მეფეთა“***, ან თუ ქალაქი ზღვის პირას იდო, მას ეძახდნენ „ქალაქსა ზღუს კიდისასა“[16].

ქალაქი ქალაქის მნიშვნელობით უკვე ბიბლიურ წიგნებში, კერძოდ სახარებაში გვხვდება: „წარიყვანა იგი... წმიდასა მას ქალაქსა“; „ქალაქად –ქალაქად რომელი მოვიდეს“; „მიითრევდეს იასონს ქალაქის მთავართა წინაშე“; „მოვიდეს... დაბა-ქალაქთა“[17]... ასევე უძველეს ტექსტებში გვხვდება მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები: ***დედაქალაქი, თანა-მოქალაქე, მზის-ქალაქი***, თვით ***ახალქალაქი*** გვხვდება ***ახალ ალთქმაში*** არა როგორც ადგილის სახელი, არამედ როგორც ზოგადი სახელი: „მივისწრაფედ... ხვალისაგან ახალქალაქად“[18].

ახალქალაქის ქალაქობა უკვე მე-16 საუკუნისათვის მოშლილია. კარგა ხანს გრძელდება მისი დამცრობა როგორც ქალაქისა, მაგრამ, როგორც ციხე-სიმაგრე იგი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს.

მეთვრამეტე საუკუნის 40-იან წლებში დაცლილი ახალქალაქი დაუსახლებია და ახლიდან აუშენებია შავშეთის ბეგს, „ახალ მცხოვრებთა დიდი ნაწილი მაშინ აქ ქართლიდან გადმოსულა“[19].

ერეკლე II-მ რამდენჯერმე სცადა ახალქალაქის ციხის აღება, მაგრამ ვერ მოახერხა, სამაგიეროდ ეს მოახერხა პასკევიჩმა 1828 წელს. ახალქალაქს მაშინ იცავდა არტაანის მფლობელი ***ფარსად ხიმშიაშვილი***. რაც იყო, ისიც დაინგრა, ამიტომ მე-19 საუკუნის შუა წლებში მისი პერსპექტივის გათვალისწინებით კავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭომ მიანიჭა ქალაქის სტატუსი[20]. ასე რომ, თავისი სემანტიკით, წარმოშობით, სახელდებით ***ქალაქი*** ცდილობს ქალაქობის დამტკიცებას.

დღეს ხომ ჩვენ ტოპონიმიაში ვაცოცხლებთ ისტორიას, არამარტო ადგილის ისტორიას, არამედ სიტყვის ისტორიასაც. როგორც ტოპონიმის – ***ახალქალაქის*** ისტორია არის ტრაგიკული, ასევე სიტყვის თავგადასავალიც მძიმეა. მძიმე გზა გაიარა სახელმაც და ადგილმაც.

მე-16 საუკუნეში ***ახალქალაქი*** დაიპყრეს ოსმალებმა. მძიმე ბედი აქვთ დედაქალაქებს, კუთხეთა ცენტრებს. შეიძლება რომელიმე პატარა სოფელმა ათასწლეულები იარსებოს ისე, რომ სახელი კი არა, სახეც კი არ იცვალოს, მაგრამ კუთხეთა ცენტრები, მეთაური ქალაქები, ყოველთვის დარტყმის ქვეშ იყო და ხშირად ბოლოს სოფლისხელაც ძლივს რჩებოდა, ასე მოუვიდა წუნდას, მისგან ნასოფლარიღა შემოგვრჩა. ასე მოსდის ახალქალაქსაც და ოსმალების შემოსვლის ჟამს იგი დაცემული ქალაქია, მაგრამ ტრადიციაა, მეთაური ქალაქის ხსოვნა გრძელდება და მთელ რაიონს (ლივას) ***ახალქალაქის ლივას*** უწოდებენ. დაეცა ჯავახეთი, დაეცა ახალქალაქი, მაგრამ გაუტეხელი ჯავახები კვლავ იტყვიან თავიანთ თავზე: „ჯავახეთი ოთხმოცჯერ ნახდენილა, ოთხმოცდაათჯერ აღშენებულა“ (ივანე როსტომაშვილი). ასევე მოსდის ახალქალაქს. ასეთივე დანგრეული და აღმდგარია თავად სახელიც. ჯერ კიდევ XII საუკუნეში არაბი ავტორი ***სადრ ად-დინ ჰუსეინი***, რომელიც არფასლანის შემოსევასა და ახალქალაქის აღებას აღწერს, ახალქალაქს ***ახალ-კალას*** უწოდებს“. აშკარაა, რომ

15 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1962, VIII, გვ. 243.

16 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, 1983, გვ. 15.

17 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 451.

18 იქვე, 1973, გვ. 27.

19 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1965, გვ. 173.

20 იქვე, გვ. 476.

ქალაქი ალმოსავლურ ***კალად*** აქცია ისტორიკოსმა, რაც მისთვის გასაგებ ენაზე ციხეს ნიშნავდა და არა ქალაქს, მართალია, მე-12 საუკუნის ავტორი კომპოზიტის პირველ ნაწილს არ შეეხო და ***ახალი*** ხელუხლებლად დატოვა, მაგრამ ეს შეიძლება შემდეგ საუკუნეებში მოხდა, როდესაც ***ახალ*** ნაწილი სიტყვისა გაიაზრეს ***თეთრად–აკჯა***-დ, ხოლო ქალაქი, რა თქმა უნდა, მათთვის არის კვლავ ***კალე, ციხე***, ამიტომ გვაქვს ჩვენ ***აკ-კალე***, რომელიც დიალექტში ახ-კალე-ს გვაძლევს[21].

სომეხ ტოპონიმისტებს თავმოყრილი აქვთ ყველა ვარიანტი, რომელიც კი ვინმეს უწოდებია ახალქალაქისათვის: ***ახალკალაკ, ახალქალაკ, ალახ, ახალ, ახალგოლარ, ახალგორ, ახალქალექ, ახალქალაქ, ახალქელექ, ახლქალაქ, ახელქელექ, ნორ ქალაქ*** (Ախալքալաք, ալախ, ախալ, ախալգոլա, ախալգոր, ախալքաղաք, ախալքալեք, ախալքալաք, ախալթլեք, ախալքալաք, ախալթլեք, նոր քա քաղաք[22]).

სამწუხაროდ, მათ მითითებული არა აქვთ ქართული ფორმა ***ახალქალაქი***, რომელიც ბევრ უცხოურ და სომხურ ტექსტებში არის მათთვის ხელმისაწვდომი. მაგალითად მხოლოდ Ахалкалаки ფორმა აქვს ლინჩს დამოწმებულ წიგნში Армения[23].

ყველა შემთხვევაში დაკლებულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ ქართული ტოპონიმების ქართულობისათვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

თუმცა არიან სხვა მეცნიერები, რომლებიც ახალქალაქზე სიმართლესაც ამბობენ, მაგალითად XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფი ახალქალაქზე ამბობს, რომ ***„ახალქალაქი*** ქართული სიტყვაა“[24], ასევე „სავსებით ზუსტად აქვს მოცემული ***ახალქალაქის*** სახელი აგრეთვე ცნობილ თურქ ლექსიკოგრაფსა და ენციკლოპედისტს“ მე-19 საუკუნეში –კჰალკალაკი[25].

საერთოდ, ტოპონიმთა თარგმნა ცნობილი ამბავია და ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამჯერად კიდევ ერთ გადააზრებასა და თარგმანზე გვინდა მივუთითოთ, რომელიც საბოლოოდ მთელი რაიონის სახელად აქციეს ოსმალებმა. მათ მიერ ***„ახალქალაქ“*** სიტყვის პირველი ნაწილი ***„ახალ“*** გააზრებულია, თურქულ დიალექტურ ***ახ –„თეთრ“*** სიტყვად, ხოლო მეორე ნაწილი „ქალაქი“ თარგმნილია, ამგვარად აიხსნება უთუოდ ის გარემოება, რომ ***ახალქალაქის ნაჰიეს*** ნაცვლად ჩვენ გვაქვს ***„აყ შაჰირ***-ის ***ნაჰიე“***[26]. ***აკშეჰირის ნაჰიემ ახშაარის ნაჰიეც*** მოგვცა. რომ არა შემდეგი პერიოდი, რომ არა ის, რომ ***ახალქალაქი*** დღიდან მისი დაარსებისა იმავე ადგილზეა, რომ დღეს კვლავ იგივე სახელი ჰქვია, რომლითაც გაჩნდა ამ ქვეყანაზე, შეუძლებელია ვინმეს ***ახშაარში*** ან ***აკშეჰირში*** ამოეცნო ახალქალაქი. აკშეჰირს თურქების გარდა სპარსებიც უწოდებდნენ: „სპარსი ისტორიკოსის ***ჰასან რუმლუს*** ისტორიაში ახალქალაქი იხსენიება როგორც ***„აყ შაჰირი“***. „სპარსეთის ამირები შურაგელის გზით გაემართნენ ***აყ შაჰირისაკენ*** და იმ ქვეყნის მხარეებს მოედნენ, როგორც ცით მოვლენილი მოულოდნელი უბედურება“ (ჰასან რუმლუ). ***ისკანდერ მუნშის*** თხზულებაშიც ახალქალაქი ასევე ***აყ შაჰარად*** იხსენიება და მთელი ჯავახეთიც ***„აყ შაჰარის ოლქად“*** (ისკანდერ მუნში) არის დაწერილი. XVIII ს-ში გიულდენშტედტსაც შეუნიშნავს, რომ თურქები და ზოგი სხვა ერის შვილები ახალქალაქს დამახინჯებულად უძახდნენ „ახელქელექს“[27].

თურქი მეცნიერების აზრი, ოლონდ ერთგვარად მოდიფიცირებული, განმეორებულია სომეხ ტოპონიმისტებთანაც. კერძოდ ნათქვამია, რომ ***ახალქალაქი*** სპარსულად ნიშნავს ***„თეთრ ქალაქს“***, ხოლო ქართულად ***„ახალ ქალაქს“***[28].

შეიძლება სხვადასხვაენოვანი მოსახლეობა სხვადასხვა სახელს უწოდებდეს დასახლებულ პუნქტს და ახალქალაქს ამ შემთხვევაში, მაგრამ ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა ენაზე რომ

21 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 305.

22 Թ. Խ. Հակոբյան Ա. Տ. Մելիք - Բախշյան Հ. Խ. Բարխուդարյան Հայաստանի հարավից ըրջանների տեղանունների բառարան հ. I Երեվան 1986, էջ. 110-111.

23 Армения. Путевые очерки и этюды Х.Ф.Б. Линча, Тифлис, 1910, გვ. 95.

24 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 305.

25 იქვე. გვ. 305.

26 იქვე, გვ. 307.

27 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 473.

28 Թ. Խ. Հակոբյան Ա. Տ. Մելիք - Բախշյան Հ. Խ. Բարխուդարյան Հայաստանի հարավից ըրջանների տեղանունների բառարան հ. I Երեվան 1986, էջ. 111.

(ყოველგვარი ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობის გარეშე) სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს, არ უნდა იყოს სწორი.

როგორც უკვე აღინიშნა, ***ქალაქი*** უძველეს ტექსტებსა და წერილობით ძეგლებში გვხვდება. ისიც აშკარაა, რომ თავისი ფორმით ქართული წარმომავლობისა არ ჩანს, თანაც მისი შესატყვისი არ მოიპოვება ქართველურ ენებში.

ამ სიტყვის ისტორიას და ნაწილობრივ ეტიმოლოგიას ადგილი დაუთმო თავის ლექსიკონში ***აჭარიანმა***, რომლის მიხედვით, ***ქალაქი*** ერქვა ასურეთის დედაქალაქს, გაშენებული იყო ნინეადან სამხრეთისაკენ ტიგროსზე და ხალდების დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ასურეთის ცხოვრებაში"[29]. ქალაქი თავდაპირველად საზოგადო სახელი იყო და შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ტოპონიმიაში ასეთი რამ ხშირად ხდება, ვთქვათ ***გორი***... და ქალაქი გორი. ასევე ქალაქის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები, როგორც ამას ჰრ. აჭარიანი მიუთითებს, შეიძლება იქცეს ადგილის სახელად ან შევიდეს იმ კომპოზიტის შემადგენლობაში. რომელშიც ადამიანის საკუთარი სახელიც იქნება, ვთქვათ ***პოლისი*** – „ქალაქი" და ***კონსტატინეპოლისი***. თავდაპირველად, ეტყობა, ქალაქის აღმნიშვნელი სიტყვა „მაღლობის ან სიმაგრის მნიშვნელობისა იყო" (ჰრ. აჭარიანი).

ქალაქს უკავშირებენ აგრეთვე არაბულ გალა – „სიმაგრე" და მისგან ნასესხები მაზანდარული (სპარსული დიალექტი) „ქალაქი" „სოფელი" გალა და სპარსული კალატ[30] „სიმაგრე". როგორც ჩანს, კალაკ ნასესხებია სემიტურიდან. მართალია, ასურეთის დედაქალაქს კალაკ ერქვა, მაგრამ ზოგადად ასურულად კირხუ ან კირ-ხუ ჰქვია „სიმაგრეს, ციხეს, ციხე-სიმაგრეს"[31].

კიდევ ერთხელ მინდა მივუბრუნდე ზემოთ დამოწმებულ არაბი ავტორის ***სადრ ად-დინ ჰუსეინს*** ახალქალაქისათვის XII საუკუნეში რომ ***ახალ-კალა*** უწოდებია. ***ქალაქისა*** და ***კალას*** საერთო წარმომავლობა მას ამის საშუალებას აძლევდა. ერთი რამ აშკარაა, რომ ადგილს ***ახალქალაქი*** ჰქვია. ასე რომ, შემდეგი დროის თურქი ავტორების მიერ დამახინჯებულ ფორმას აქვს საერთო წყარო, რადგან ოსმალური კალსა-ც[32] და თურქული კალე-ც არაბულიდან მოდის და ციხე-სიმაგრეს აღნიშნავს[33].

მესხურ დიალექტში შემოსული თურქული სიტყვა კალე-ს თავკიდური კ წარმოდგენელია მხოლოდდამხოლოდ ყ ბგერით, რაც დასტურდება ტოპონიმებში: ***ალთუნყალა ყალაჯული, ალჯაყალა*** და სხვა. რაც შეეხება ქალაქს, აქ მხოლოდ ქ გვაქვს თავში და არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. რომ ყოფილიყო ახკალა, ან აღყალა, უნდა გვქონოდა ***ახყალა*** ან ***აღყალა***.

ზემოდასახელებული კალა ფორმა ან ხელოვნურია, ან მხოლოდ „განათლებული", წიგნიერი ვარიანტი. ისევე როგორც აშკარაა ქალაქისა და სომხური (ქაღაქ-ის) საერთო წარმომავლობა. ყოველ შემთხვევაში ასურეთის დედაქალაქის სახელთან სიახლოვეს ქართული უფრო ამჟღავნებს.

გაუგებრობაა ახალქალაქისათვის ***ალახ-ის, ახალ-ის, ახალგოლარ-ის, ახალგორ-ის*** წოდება. ახალქალაქის შემთხვევაში ნაწილობრივად არის თარგმნილი სახელი, ხოლო სრულად უთარგმნიათ ***ნორ-ქალაქის*** შემთხვევაში. ეს ყველაფერი ხდება ძალიან ახლო წარსულში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა არასწორი და დამახინჯებული ფორმის საფუძველია 1064 წელს ზღუდედანგრეული და დღევანდლამდე მოღწეული ქართული კომპოზიტური სახელი ***ახალქალაქი***.

დანკალი

ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის რაიონში, სოფ. გოგაშნის აღმოსავლეთით ნასოფლარ ***არეშამდე*** არის ნასოფლარი ***დანკალი***, დღევანდლამდე კარგად შემონახული ძველი ნასახლარებით, ქუჩებით, პურის ორმოებით და სხვა. ნასოფლარის თავში დგას ადრეფეოდალური ხანის ორნავიანი ბაზილიკა, რომელიც აშენებულია დიდი ზომის კვადრებით. ეკლესიას ჩამოქცეული აქვს სახურავი.

29 Հր. Աճառյան, Հայերեն արմատական բառարան, հ. IV, 1979, էջ. 542.

30 იქვე, გვ. 543.

31 იქვე.

32 Ferit Devellioğlu Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik LUGAT, Ankara, 1993, გვ. 489.

33 Atatürk Kültür, Dil ve Tarihi Yüksek Kurumu Türk Dili Kurumu Türkçe Sözlük, Ankara, 1988, II, გვ. 766.

დანკალი გადასცქერის *ბერთაყანის ქვაბებსა და თმოგვის ციხეს*. მის გარშემო მსხვილი ერთეულები, ნასოფლარებია: **არეში** და **ჯიუტმაილა**, რომელიც ალბათ დანკალის უბანი იყო თავის დროზე. არეშსა და დანკალს შორის ჩადის უწყლო ხევი, რომელიც სათავეს იღებს დიდ ტბიდან, ჩაივლის ჯიუტმაილას და ჩადის ბერთაყანას.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს დანკალი გაუკაცრიელებული სოფელია[34], როგორც ჩანს, მე-16 საუკუნის ბოლოს აქ აღარავინ ცხოვრობს.

ნასოფლარი დღევანდელი გოგაშენის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამიტომ მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ სოფლელთა მონათხრობს: „ამ სოფელში (იგულისხმება დანკალი) ცხოვრობდა 42 ოჯახი, მერე თურქეთის შემოსევის შემდეგ განდევნეს ეს ხალხი, როგორც გოგაშენი განდევნეს, როგორც სხვა სოფლები განდევნეს, შემოვიდნენ თურქები და დასახლდნენ. 44 წელში ესენიც გადასახლდნენ და მერე გოგაშნიდან გამოყვეს 82 ოჯახი, გაყვეს გოგაშენი, გადმოიყვანეს და დასახლდნენ. ცხოვრობდნენ სანამ საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდებოდა ოკამში. იყო ოთხწლიანი სკოლა. რომ დაამთავრებდა მოსწავლე, გადმოვიდოდა გოგაშენში, აგრძელებდა სწავლას“.

მონათხრობის მიხედვით, „თურქეთის შემოსევის“ შემდეგ თითქოს ქართული მოსახლეობა განუდევნიათ დანკალიდან. სინამდვილეში თავიდანვე აქ მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ, რომლებიც გადაასახლეს. 1944 წელს: „44 წლის ოქტომბრის თვის რომელი რიცხვი იყო? მე მახსოვს რო გადაასახლეს მაჰმადიანები, გვარებს ვერ გეტყვი. ლაპარაკობდნენ თათრულად. მე ვიტყვი სიმართლეს. ცხრა წლისა ვიყავი რო გადაასახლეს. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ გოგაშნელებს და დანკალელებს, ამათზე უკეთესი, ჩვენებურად რო ვთქვათ, დოსტობა იცოდნენ“...

მაჰმადიანი ქართველების გასახლების შემდეგ, მათ ადგილზე მეზობელი სოფლებიდან გადაიყვანეს მოსახლეობა. ეს პროცესი ნიშანდობლივია ჯავახეთისათვის. ასახლებენ მაჰმადიან ქართველებს, მათ ნასახლარზე ძალად მოჰყავთ მეზობელი სოფლებიდან, ისინი ვერ ეგუებიან, უფრო სწორედ არ ეგუებიან „ახალ“ ადგილს და საბოლოოდ იფანტებიან ჯავახეთიდან.

ასე იყო ოკამის შემთხვევაში. ოკამში გადმოასახლეს ქილდელები. საბოლოო ჯამში დაცარიელდა ქილდა, იქცა ნასოფლარად, არც ოკამს შერჩა მოსახლეობა. ასეთმა გადასახლებებმა არ გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე რეგიონი იყო, სოფლები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდნენ, დანკალში გადასული გოგაშნელები წავიდ-წამოვიდნენ და აღარც გოგაშენში დაბრუნებულან. დანკალი სოფლად ითვლებოდა 1975 წლამდე და აფნიასთან ერთად გოგაშენის სასოფლო საბჭოში შედიოდა.

თმოგველები ამ სოფელს მხოლოდ დანკალის სახით იხსენიებენ. გოგაშნელები დამკალს აძლევენ უპირატესობას. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მის ეტიმოლოგიზირებას. ამ სიტყვამ ბევრ გადმოცემას თუ ლეგენდას დაუდო სათავე. ერთი ასეთი ლეგენდა ყველაზე პოპულარულია სამხრეთში: „თმოგვის ციხე ალყაშემორტყმული იყო. სარგის თმოგველი დამშვიდებით უცქეროდა მტრის უშედეგო ცდას, მაგრამ ამირსპარსალარის ლამაზი ცოლის გული მტრის სარდალმა მოხიბლა. ვერაგმა ქალმა მას მაწვნის ქილით ციხის გასაღები მიაწოდა. მტერმა ციხის კარები გააღო და მოულოდნელად თავს დაესხა მეციხოვნეთ. სარგის თმოგველი დამარცხების შეურაცხყოფას ვერ შეურიგდა. თავის მერანს თვალები აუხვია და მოახტა, ქარაფებზე გადმოეშვა და მტკვრის კლდოვან ფსკერზე ჰპოვა სიკვდილი. გამარჯვებულმა სარდალმა შეჰკრიბა თავისი ლაშქარი და შეეკითხა: „ვინ იყო უკეთესი, მე თუ – სარგის თმოგველიო“. პასუხად მიიღო, რომ უკეთესი იგი (მტრის სარდალი) იყო. სარდალი ამ პასუხს არ დასჯერდა და იგივე კითხვა მისცა თავის თორმეტ ბრძენს. დიდი ბჭობის შემდეგ ბრძენთა კრებულმა გამოუცხადა: „სარგის თმოგველი გჯობდაო“. მხედარი მივარდა მოლალატე მეუღლეს და დანით აკუწვა დაუწყო – სადაც ჩემზე უკეთეს სარგის თმოგველს ულალატე, მე რაღას მიზამო“. ხანგრძლივი ტანჯვის ასაცილებლად ქალი ეხვეწებოდა: „დამკალი, დამკალიო“. ამის გამო თმოგვის გაღმა სოფელს დამკალი დარქმევია“[35].

ამ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ა. მარტიროსოვს 1946 წლის

34 ს. ჯიქია, 1958, გვ. 357.

35 ც. გაბაშვილი, ვარძია, თბ., 1948, გვ. 34.

დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ჩაუწერია: „თმოგვში მოსულან ირანელები. დასევიან მას, მაგრამ ვერაფერი გზით ვერ შესულან. ერთ ქალ ასე მოუწყვია: დაუკეტია ციხის კარები და მაწვნის ქილით გაუგზავნია ფაშასთვის. ჯარი დაკეტილში შეიმწყვდია ფაშამ, ციხეს ცეპი შემოარტყა და ააოხრა ეს თმოგვი. მეფე, ვინც ციხეში იყო ადგა და კლავის ძალით გაარღვია ეს ცეპი და გაიქცა“ ...შემდეგ ფაშამ შეკრიბა... და დასვა კითხვა ვინ ჯობდა... ბოლოს ფაშა იტყვის: „მაშ ამ ქალმა რო მაგისთანა ვაჟკაცი დაღუპაო, მე რა კარგ დამაყრისო! ფაშამ მოაბმეინა ცხენის კუდზე ეს ქალი და სუ ასე ათრევინა. ქალი ეხვეწებოდა ფაშას – დამკალო და ცხენის კუდზე ნუ მიმაბემო. ამ სოფელს ჰქვიან *დანკალი*“[36].

იგივე ლეგენდა, ოღონდ დამკალის ძახილის გარეშეც არის ჩაწერილი: „...მაშინ ფაშამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ რახან ის მჯობდა და ამ დედოფალმა კი იმას უღალატა და მე შემიყვარაო, მაშვინ ეს მეც მიღალატებს და სხვას შეიყვარამსო, დედოფალი ყათირ გამოაბა კუდზე და გაქანებულ ყათირ დააგლეჯინა“[37]. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი, რადგან სხვა ყველა შემთხვევაში, როდესაც მომხვდური ხან სპარსია, ხან – თურქი, დამხვდური კი ქართველი, მეფე ან დიდებულია და უეჭველად ფიგურირებს თმოგვის ციხე, მოქმედება ყოველთვის იქ ხდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დამკალის ძახილი მიტმასნებულია და იგი გვიან არის შექმნილი, გამოწვეულია სოფლის სახელით – დანკალი და მისი ხალხური ეტიმოლოგიის შედეგია. სამწუხაროდ, არც ერთი გადმოცემა გოგაშენში ან დანკალში არ არის ჩაწერილი, ყველა თმოგვში ან ბარის ჯავახეთშია ფიქსირებული, თორემ გეოგრაფიული ობიექტები უფრო ზუსტად იქმნებოდა მითითებული, ეტყობა ამან განაპირობა აზრიც, რომ სოფელ თმოგვში არის ადგილი, რომელსაც დამკალი ეწოდება“[38]. დანკალი თმოგვში არ არის, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არეშსა და გოგაშენს შორის მდებარეობს.

ჩვენი აზრით, გადმოცემა თმოგვის ციხის აღებაზე და ლეგენდა დანკალის შესახებ სხვადასხვაა და სულ ბოლო დროს დაუკავშირდა ერთმანეთს.

ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ფიქსირებულ მასალას, რადგან მასში შესული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეკრებილია ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თსუ ახალი ქართული ენის კათედრის წევრთა საენათმეცნიერო ექსპედიციის დროს. მასში მონაწილეობდნენ ჯავახი სტუდენტები და მით უფრო სანდოა მათ მიერ ჩაწერილი გადმოცემა „თმოგვის ჩამორთმევა თათრის დროს“. ჩვენ დანკალში გოგაშენელებისგან ჩავიწერეთ: „თურქებმა დაიჭირეს ლამაზი გოგო, დაუწყეს წამება, გაუპატიურება, წვალება, ნუ მაწამებთ, ბარემ დამკალითო, იხვეწებობა გოგო. ხო და დაერქვა სახელი. დაკლეს, თუ რა ქნეს, არავინ იცის, დაერქვა დამკალი და არა დანკალი. დანკალი არ არის ახლოს სახელწოდებასთან“.

მთქმელის პოზიცია ნათელია, რადგან „დანკალი არ არის ახლოს სახელწოდებასთან“, შეუძლებელია მისი ხალხური ეტიმოლოგია, ამიტომ დაუინებით უჭერენ მხარს დამკალს. გვხვდება სხვა ვარიანტებიც: Танкал, Дамгал და Данкала[39] რომელთაგან არცერთი სწორი არ არის. პირველ შემთხვევაში T-ს არსებობა ან გაუგებრობაა, ან ორთოგრაფიული ლაფსუსი. არის Дамгал არმენიზებული ფორმა, Данкала არის კვლავ ხალხური ეტიმოლოგია, რომ სახელი დაუკავშირონ თურქულ კალას – ციხე. სამცხე-ჯავახეთში, სადაც კი ადგილობრივი ციხე თარგმნეს თურქულად, ყველგან გამჭვირვალეა სახელი (შდრ. ოქროსციხე → ალთუნკალა).

ჩვენი აზრით, ყველაზე ძველი და სწორი ფორმა არის *დანკალი*, რომელიც უნდა მოდიოდეს ფორმიდან *დანკანი*, სადაც -კან ფალაური სუფიქსი უნდა იყოს, –კან სუფიქსი ჯავახეთში გვხვდება სახელში მურჯიკანი[40]. საკვლევია დან- ძირი.

36 ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ, 1984, გვ. 142-143.

37 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 807.

38 გ. ჭურასბედიანი, მესხური თქმულებები, თბ., 1997, გვ. 8.

39 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 357.

40 მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 85-86.

თავფარავანი

კარგა ხანია შენიშნულია, რომ ჯავახეთის ტბათა უმრავლესობას სახელი მათ ნაპირზე მდებარე სოფელთა მიხედვით აქვთ შერქმეული. „ტბის სახელად თითქოს სოფლის სახელი გამოიყენება: სოფ. ფარავანი → ფარავნის ტბა... სოფ. ტაბისყური → ტაბისყურის ტბა... სოფ. საღამო და საღამოს ტბა. ამავე ტბაზე სოფ. დუმა და დუმის ტბა“[41].

ზოგიერთი ტბა სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. უფრო სწორად, სხვადასხვა სოფლის სახელი დაერქმევა ხოლმე. ვახუშტი წერს: „ჯავახეთის მტკურის სამჭრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა, დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“[42]. ასევე კარწახის ტბად არის შეტანილი ს. ჯიქიას „დავთარზე“ თანდართულ რუკაზე, ხოლო ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ რუკაზე და ძველ რუსულ რუკებზე არის ხოზაპინის ტბა, ამავე ტბას ე. თაყაიშვილი უწოდებს ქარნაბელისას (კარნაბელი)[43]. კარწახი, ქარნაბელი, ხოზაპინი ტბის გარშემო სოფლებია.

ინტერესს მოკლებული არ არის თანამედროვე, ცოცხალი პროცესი. სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არის მადათაფის ტბა. ეს არის ოფიციალური სახელი ტბისა. ტბის გარშემო დღეს დუხობორთა სოფლებია: ეფრემოვკა და კალინინა. ეს უკანასკნელი სახელი სოფელს 1935-36 წლებში დაერქვა – ტროიცკოე. კალინინა უფრო ოფიციალური სახელია სოფლისა, მოსახლეობა კვლავ ძველ სახელს უწოდებს. კალინინელები უწოდებენ ეფრემოვკის ტბას (Ефремовское озеро), ხოლო ეფრემოვკელები-ტროიცკოეს ტბას (Троицкое озеро). ტბას რაიმე სამეურნეო დანიშნულება აღარ გააჩნია, იგი თითქმის ჭაობად არის უკვე ქცეული. ალ. ჯავახიშვილის რუკაზე ამ ტბას გოლის ტბა ჰქვია. ეს თურქულის გავლენა უნდა იყოს. გბლ (ტბა), აქედან-გოლის ტბა.

როგორც უკვე ითქვა, ჯავახეთის უდიდეს ტბათაგან უმრავლესობას სახელი მიღებული აქვს მის ნაპირზე ან სიახლოვეს მდებარე დასახლებული პუნქტების მიხედვით. რა განაპირობებს ჰიდრონიმთა ასეთ მიმართებას ოიკონიმებისადმი? ენობრივი, გეოგრაფიული, სოციალური თუ სხვა რამ ფაქტორი? ფარავნის ტბის გარშემო არის რამდენიმე სოფელი: ფოკა, ვლადიმირსკოე (პუპლიკანი), ასპანა, ტამბოვკა, როდიონოვკა (თავფარავანი). არც ერთი ამ სოფელთაგანის სახელი, გარდა თავფარავანისა, არ ქცეულა საერთო სახელად.

რა მიმართება არსებობს ჰიდრონიმ ტბასა და ოიკონიმებს შორის? რომლის სახელი რომელს ეწოდა?

ფარავნის ტბა თავისი ფონეტიკური ვარიანტებით არაერთხელ იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში. უპირველესად ლეონტი მროველთან: „ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“[44]. „ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე“[45]. ვარიანტებში არის: ფარავნითგან, ფანვარიდან, ფანამრამდე, ფანავრამდენ[46].

ლეონტი მროველი ძირითად ტექსტშიც კი გვაძლევს განსხვავებულ ვარიანტს: „მისცა ფანვარითგან ვიდრე არსიანთამდინ“[47]... „ტასისკარამდე და ფანვარადმდე“[48]. „ტბასა დიდსა გარდამდენარესა, რომელსა ჰქვიან ფარავნა“[49].

ჯუანშერი ხმარობს ფარავანს: „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზლუამდე სპერისა“[50].

41 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 341.

42 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ.669

43 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 110.

44 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი მომზადებული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 10.

45 იქვე, გვ. 10.

46 იქვე, გვ. 10.

47 იქვე, გვ. 24.

48 იქვე, გვ. 24.

49 იქვე, გვ. 85.

50 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 205.

სქოლიოში მითითებულია ვარიანტები: ფარვანითგან, ფანავარითგან, ფანვარიდან.

„ფანვარს ააშენა სოფელი მახაროვანი“[51]. „მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა“... [52].

„... და მიერ არბევდიდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავნამდე“[53].

„გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმანისი“[54].

ვახუშტი „აღწერის“ დროს ხმარობს ფარავანს:

„... მთა ბარძიმისა და ფარავანის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“[55]. ასევე-გვიანდელი, „შაჰაბაზის“ ამბების გადმოცემისას: „ამისთჳს წარმოუგზავნა შაჰაბაზ სპანი და მოეწივნენ ბარათას ფარავანსა ზედა“[56]. დანარჩენ შემთხვევაში – ყველგან ფანავარს: „ბოცის მთამდე და ფანავარამდე“[57]. „ლიხის მთამდე და ფანავრამდე თრიალეთი“[58]. „მტკვრის აღმოსავლეთით „ფანავრამდე“[59]. „გაჩიანს ზეითი ფანავრამდე“[60]. „მტკურის აღმოსავლეთი „ფანავრამდე“[61]. „მოვიდა ჯავახეთს ტბასა ფანავარსა“[62]. „ტბის პირსა ფანავრისასა“[63]. „მივიდა და დადგა ფანავარსა“[64]. „ტაშისკარს ზეითი ტბისყურ-ფანავრისამდე“[65]. „კუალად გიორგი მეფე შეიპყრა ყუარყუარე ათაბაგმან ფანავარსა“[66]. „საშუალ ფანავრისა და ტბის-ყურისა“[67]. „ეს ჯავახეთის მტკუარი გამოსდის ფანავრის ტბას“[68] და სხვ.

როგორც ჩანს, ვახუშტი უპირატესობას ფანავარს ანიჭებს. ქართულ ისტორიულ წყაროებში ფარავანი ყველგან ტბად იხსენიება. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „ფარნავის“ ფორმას იყენებს და ზღვას უწოდებს მას: „მოვედი ფარნავის ტბას და დავინახე იქ მეთევზენი ტბაში და მწყემსები ზღვის ნაპირზე“[69]. ზღვად არის მოხსენიებული იგი ერთ ხალხურ ლექსშიც:

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა
ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა...
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოლმა კელაპტარობდა“[70].

სოფლისა და ტბის სახელთა მიმართების საკითხს დაწვრილებით მიმოიხილავს ს. ჯიქია: „ამ სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო „ფარავანი“, რომელიც ჩვენ შემონახული გვაქვს ამ ტბისავე

51 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 290.

52 სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 376.

53 ჯამთამღწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 265.

54 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 346.

55 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 318.

56 იქვე, გვ. 428.

57 იქვე, გვ. 350.

58 იქვე, გვ. 50.

59 იქვე, გვ. 50.

60 იქვე, გვ. 57.

61 იქვე, გვ. 57.

62 იქვე, გვ. 76.

63 იქვე, გვ. 48.

64 იქვე, გვ. 286.

65 იქვე, გვ. 292.

66 იქვე, გვ. 299.

67 იქვე, გვ. 320.

68 იქვე, გვ. 669.

69 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 80.

70 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 29-30.

ძალიან გავრცელებულ სახელში თავფარავან"[71]. „თავფარავანი უნდა მოდიოდეს" „ტბა-ფარავან" ან „ტაბა-ფარავან" შესატყვისობისაგან... ოლონდ, მართალია ი. როსტომაშვილი, რომელიც ამბობს, რომ называлось оно (озеро) так по имени села Парвана. აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ ჯერ დასახლებული პუნქტის სახელი ჩნდება და მერე ეს სახელი შეერქმევა ხოლმე ტბას. ტაბა-ფარავანი სიტყვა შემდეგში „გაცვდა", შეიკუმშა...

ტაბა-ფარავანი → ტაფარავანი → თავფარავანი. ან არადა, უფრო შესაძლებელია, რომ „თავფარავანი" ტბა-ფარავანი-საგან იყოს მიღებული"[72].

„ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე გააზრებულად წარმოგვიდგება თაფარავნის მეორე ვარიანტი... ამ შემთხვევაშიც „თაფარავნელი გააზრებულია თავფარავნელად"[73]. ს. ჯიქია უარყოფს ლ. მელიქსეთბეგის აზრს ტბის თავში სოფლის არსებობის შესახებ, რადგან „ფარავანი სწორედ ტბის თავზე არ არის".

ფარავნის ტბა, როგორც უკვე ითქვა, თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობდა. მიუხედავად ამისა, ტბა თავისი ფართობისა და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქმნიდა საკუთრივ ფარავნის რაიონს. „როგორც ფოკანი (თუ ფოკა), ისე სხვა სოფლებიც ფარავნის ტბის პირზე (ასფარა, მახაროანი, თავფარავანი...) ძველი წყაროების მიხედვით ცალკე, ჯავახეთისაგან გამოყოფილ რაიონს წარმოადგენენ – ფანავრას რაიონს. ეს ეგრე ესმის მელქისედეკ ქართლის კათალიკოზს XI ს-ში. ასევე ესმის ეს მცხეთის საკათალიკოზო სოფლების სიის შემდგენელსაც XV ს-ში"[74].

ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დ. ბერძენიშვილმა და მიკროქვეყნების ასეთ წარმოქმნას ჯავახეთში გეოგრაფიული საფუძველი დაუდო: „გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს... ამიტომ აქ მცირე ქვეყნები „ხევობით" არ გამოიყოფა. სამაგიეროდ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთაგორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე, ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკრო ქვეყნებს. ძირითადი ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება"[75].

ასეთ მიკრო ქვეყნებს ჯავახეთში გარდა ფარავნისა ქმნიდნენ საღამოს ტბა, ორლოვკის, ბუღდაშენის, მადათაფის, ხანჩალის ტბები[76].

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია მთავარი აზრი, რომელსაც ადგას თითქმის ყველა მითითებული მეცნიერი, რომ დასახლებული პუნქტის სახელი ვრცელდება ტბაზე და არა პირიქით. ფარავნის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ცოტა სხვაგვარად უნდა გვქონდეს საქმე.

მოყვანილი ვრცელი ამონაწერიდან და წყაროთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ტბას და სოფელს ძირითადად ერქვა შემდეგი სახელები: ფარავანი (ვარიანტებით), თაფარავანი და თავფარავანი. წყაროთა ჩვენებით უძველესია ფარავანი (ვარიანტებით), ე. ი. იმ დროს, როდესაც ფარავნის ტბაზე ლაპარაკობდნენ „ქართლის ცხოვრების" მემატიანეები, ტბა-ფარავანი რომ ყოფილიყო, გვექნებოდა ტბა ტაბ-ფარავანი, ხოლო ტბა ფარავანი რომ ყოფილიყო ტბის სახელად, საჭირო იყო ჰიდრონიმული ტერმინის დართვა კვლავ ტაბ ტბაფარავანი, შდრ.: ტბა ტაბისყური, რაც აგრეთვე არა გვაქვს. ამიტომ გვრჩება ერთი გზა, რომ ტბის სახელი იყო ფარავანი, საიდანაც მიიღო სოფელმა სახელი თავფარავანი (→ თაფარავანი) და შემდეგ დაუბრუნდა სოფლის სახელი ტბას. თავის მხრივ, ფარავნის ტბიდან გამომდინარე წყალს ეწოდა თაფარავნის (თავფარავნის წყალი), ისტორიული ჯავახეთის მტკვარი.

71 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 345.


72 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 345-386.

73 ს. ჯიქია, 1958, გვ. 347.

74 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 99.

75 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 83.

76 იქვე, გვ. 83-84.



წინააღმდეგობას ქმნის, ერთი შეხედვით, ის აზრი, რომ „ფარავანი სწორედ ტბის თავზე არ არის". ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „თავფარავნელი ჭაბუკის" ჩვენებას თავთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უეჭველად სოფელი იგულისხმება, რადგან ბალადის შექმნის ადგილი ლოკალურია და ტბის პირას ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს მდებარე სოფლები თავფარავანი და ასპანა იგულისხმება. როგორც ჩანს, ფარავანი და თავფარავანი პარალელურადაც იხმარებოდა სოფლის სახელად, როგორც შემდეგ ტბის სახელად. თავი ამ შემთხვევაში, ცენტრს, მეთაურ სოფელს უნდა გულისხმობდეს „ფარავნის ქვეყნისას".

სოფელი ტბის გარშემო მდებარე სოფელთაგან გამოირჩევა ისტორიულ ძეგლთა სიმრავლით. ჩვენამდე შემორჩა ორი ეკლესია, ხოლო სოფლის ტერიტორიაზე არსებული ქარვასლის პერან-გშემოცლილი კედლები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯავახეთიდან თრიალეთ-ქართლის მიმავალი გზაც თავფარავანზე გადიოდა.

მნიშვნელოვანია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" ჩვენება: ფარავნის ტბის გარშემო სოფლები ნასოფლარებად არის მითითებული 1595 წელს, ე. ი. იქ მოსახლეობა აღარ არის, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებს მაინც ალუწერიათ და დაუბეგრავთ. სოფლები, ჩანს, არც ისე დიდი ხნის გაუკაცრიელებულია და თავფარავნის (ფარავნის) პრიორიტეტი, მისი თავობა, ცენტრობა კვლავ იგრძნობა. მთავარ ორიენტირად ეს სოფელია გამოყენებული:

„54. სოფ. ფოკა – სოფელი ფარვანასთან..."

„56. სოფ. შაორი – სოფელ ფარვანასთან..."

„57. სოფ. მახარო – სოფელ ფარვანასთან..."

„58. სოფ. ასფარა – ფარავნის ტბასთან..."[77].

კიდევ ერთი გარემოება: გარდა ფარავნის ტბისა, ყველა სხვა ტბის გადასახადი თევზზე „ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს" (ე. ი. აკშეჰირის რაიონს ახალქალაქის ლივაში, ასეთებია: „უშური სალამოს ტბის თევზისა", „გამოსაღები ისკუნდრიეს ტბის თევზზე" და „გამოსაღები ხანჩერის ტბის თევზზე"[78]. ხოლო სოფელ ფარვანაზე ნათქვამია: „სოფელი ფარვანა – ფარვანის ტბის თევზის უშურითურთ"[79].

ამრიგად, ფარავნის თავობა, ვფიქრობთ, შესაძლებელი ჩანს ამ მიკრო ქვეყანაში.

ამიტომ თავ-ში მითოლოგიური საფუძვლის ძებნა არ უნდა იყოს გამართლებული. თავფარავანი უეჭველად ადგილის სახელია, საწინააღმდეგოდ იმ აზრისა, რომ „შეიძლება სიტყვა „თავფარავ-ნელში" სახელი გვქონდეს მოცემული, ხოლო „თავი" წარმოადგენდეს უძველესი მითოსის ნიშანს"[80]

77 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 234-235.

78 იქვე, გვ. 235.

79 იქვე, გვ. 234.

80 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 334.

და რომ „სიტყვა „თავფარავნელშიც“ ასეთსავე მომენტთან გვქონდეს საქმე, რომ ჭაბუკის თავი ყოფილიყოს გადაქცეული საკრალურ მოვლენად“[81].

თავ- კომპონენტიანი სახელები მესხეთის ტოპონიმიაში გეხვდება. თავკალო (სოფ. კოთელია, ნაკალოარი), თავიჭალები (მინდორი, სოფ. ერკოტა), თავუკვარი (სოფ. ჭობარეთი, ნასოფლარი), ყველა შემთხვევაში თავ- სიტყვას ადგილობრივთათვის გამორჩეულის, მეთაურის მნიშვნელობა აქვს.

ასპანა

ლეონტი მროველი რამდენიმეგზის ხმარობს *ასპანას*: „მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა და დედულად სპარსი *ასპანელი*“.

„შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსას *ასპანს*“.

„და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსვლა *ასპანისა*“[82].

„ქართლის ცხოვრების“ ასპანში იგულისხმება *ისპაჰანი*[83].

ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,

ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა“[84].

ამ ლექსში ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტია ნახსენები – *თავფარავნელი* და *ასპანა*. თავფარავანი წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტით: მთაფარავნელი, თაფარავნელი, თამარაშნელი და სხვა[85].

ს. ჯიქიას სწორ ფორმად მიაჩნია *ასფარა* და ფიქრობს, რომ ასპანის მაგივრად უნდა იყოს *ასფარაო*. რადგან ხალხურ ლექსში ძირითადად *ასპანა* იხმარება (ექ. თაყაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი), ჩვენი აზრით, ძირითადი ვარიანტი *ასპანა* უნდა იყოს. ამ სოფლის სახელად გვხვდება *ასპარაც*. ასეც რომ არ იყოს და ასპანა გადააზრების შედეგად იყოს მიღებული, უნდა იგულისხმებოდეს ამ სახელის მქონე გეოგრაფიული პუნქტი, ისევე, როგორც ასპინძის ან თამარაშენის შემთხვევაში. *ასპანის* (სახელის) გაჩენის ორი გზა არსებობს: 1. შემოვიდა მზა გეოგრაფიული სახელი, ირანიდან – ისპაანის სახელი შემოიტანეს, ან ადგილობრივ შეიქმნა და ამოსავალი ფუძე არის სწორედ ზემოთ დასახელებული ასპ.

ვარძია

ეკლესია-მონასტრები უდებენ სათავეს ახალ ტოპონიმებს. ქრისტიანული ძეგლებით იქმნება ქრისტიანული პერიოდის ტოპონიმია, მაგრამ არის ტაძრები, რომელთა მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს მატიანე თუ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. სახელი არსებობდა, ერქვა ადგილს და ამ ადგილზე აშენდა ტაძარი. ასეთი ერთ-ერთი უპირველესი ძეგლი არის **ვარძია**.

ვარძია სამია საქართველოში. სამივე ჩვენი კულტურისა და საეკლესიო ცხოვრების ისტორიასთან არის დაკავშირებული. ერთი მათ შორის არის სოფელი იმერეთში, ხარაგაულის რაიონში, მდინარე ბორიმელის მარცხენა მხარეს, რაიონის ცენტრიდან 18-კმ-ის დაშორებით. „სოფლის ტერიტორიაზე ყოფილა მონასტერი, რომლისაგანაც 1790 წლისათვის დარჩენილა ეკლესია და სამრეკლო. ამ წელს ლეკებს გადაუწვავთ სოფელი და ეკლესია დაუნგრევიათ. ძველი ეკლესიის ადგილზე ააგეს თეთრი თლილი ქვით მოპირკეთებული დიდი გუმბათოვანი ეკლესია, დასავლეთის მხარეს მოაშენეს და სარკმლის კედლებში ჩატანებულია ძველი ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები, რის მიხედვითაც ჩანს, რომ მონასტრის ეკლესია დაახლოებით XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნებოდა. სამრეკლო,

81 იქვე, გვ. 335.

82 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 20-21.

83 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 18.

84 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 29.

85 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 347-48.

წარწერის თანახმად, 1777 წ. ალუდგენია ნიკოლოზ ყიფიანს, ნათლისმცემლის უდაბნოს ყოფილ წინამძღვარს, რომელიც შემდეგ ვარძიის მონასტრის (იმერეთში) წინამძღვარი გამხდარა"[86]. ზემო იმერეთში არის აგრეთვე სოფელი **პატარა ვარძია**, მდინარის სახელი **ვარძიულა, ვარძიღელე** და სოფლის სახელი **ვარძალეთი**[87].

ორი ვარძია მტკვრის ხეობაშია, მის მარცხენა ნაპირზე, ერუშეთის ფერდობებზე, რომელიც დაქანებულია მტკვრისაკენ. ზედა ვარძია ვიწრო ხეობის თავშია. ზედა ვარძიის წყალი მოედინება ამ ხეობაში და ერთვის კორისხევთან მტკვარს.

ისტორიულად ზედა ვარძია იყო სოფელი, რომლის ხუთი კომლი დაფიქსირებულია მე-16 საუკუნეში. დღეისათვის ზედა ვარძიაში არის დედათა მონასტერი.

ზედა ვარძიის მშვენებაა ამავე სახელწოდების ეკლესია, რომელსაც კარის თავზე მოთავსებული აქვს წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქ. დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ-ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულმოდგინებით აღგიშენა წმინდაჲ ესე ეკლესიაჲ"[88]. წარწერაში მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი არის ბაგრატ IV-ის დროინდელი კლდეკარის ერისთავი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ ანტონად იწოდებოდა[89].

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ერისთავთ-ერისთავი იყო ლიპარიტ IV ბაღვაში. იგი თავდაპირველად გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის აქტიური თანამებრძოლია. მე-11 საუკუნის 30-იან წლებში დაუპირისპირდა ბაგრატ მეოთხეს, ბიზანტიის იმპერიის აქტიური მხარდაჭერის წყალობით არაერთხელ დაამარცხა ის და აიძულა ბიზანტიაში გახიზნულიყო, მაგრამ იმპერიამ საბოლოოდ ბაგრატი ცნო საქართველოს მეფედ. მათ შორის დაპირისპირება არ ამოიწურა, ბიზანტიის მხარდაჭერას მოკლებული ლიპარიტი ადვილად დაამარცხა ბაგრატმა და ბიზანტიაში გააძევა, სადაც ბერად აღიკვეცა. სიცოცხლის ბოლო წლებში ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას[90].

წარწერაში მოიხსენიება მხოლოდ ლიპარიტი, მეფე არაა მოხსენებული, „რაც იმის მაჩვენებელია, რომ წარწერის ავტორი მეფესთან ცუდ დამოკიდებულებაშია და ფაქტიურად არ სცნობს მის უზენაესობას" (ვ. ცისკარიშვილი).

ამგვარად, წარწერა და ტაძარი ეკუთვნის XI საუკუნის პირველ ნახევარს.

ზედა ვარძია დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, რადგან მის სანაცვლოდ შენდება შემდეგ ქვემო ვარძიაში ქვაბთა ქალაქი, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ დაეტეოდა ვიწრო ხეობაში.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ამის შესახებ მოგვითხრობს: „ესევითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეყვარებულმან ღმერთმან **თამარსა**, გარნა არცა ის უდებ იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისათჳს ჴელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა-კურთხეულისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა, **ზემო ვარძიის ქვემო ვარძიითა მიცვალებითა**, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა . ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ"[91].

ვარძიას „დიდმან ამან" შესწირა მრავალი სოფელი, რომ მდიდარი ყოფილიყო მონასტერი და მართლაც „შეჰკაზმა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი". შეიქმნა იმდენად ძლიერი მონასტერი, რომ ყველაფრის მოთხრობა თვით მემატიანისთვისაც ძნელია, ხოლო, „თუ ვისმე ნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილნი"[92].

ვარძიის მშენებლობა იმდენად რთული და ძნელი საქმე იყო, რომ ვერ დაასრულა გიორგიმ, ხოლო თამარისაგან მშენებლობის ბოლომდე მიყვანა, მონასტრის შექმნა, მისთვის შემოსავლის

86 ს.მ.ე.ელ., 2007, გვ. 324.

87 საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, 1987, გვ. 76.

88 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 35.

89 იქვე, გვ. 35.

90 ი. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 418. ი.

91 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 90-91.

92 იქვე, გვ. 91.

დაწესება, განსაკუთრებით ადიდებდა მეფეს – „ამისათჳს უმეტეს პირველთა იდიდა მეფობა მისი".

ყველაფრის საფუძველი და სათავე იყო ზედა ვარძია, საიდანაც, ნმინდა მადლის გადმოსვლის გარდა, მოედინებოდა წყალიც ვარძიისათვის. სავარაუდებელია, რომ ზედა ვარძიის ანალოგიით უნდა აშენებულიყო იმერეთის ვარძიაც, ალბათ უფრო ადრე, ვიდრე თამარის ვარძია. ლ. მენაბდის აზრით, იმერეთის ვარძია ჯავახეთის ვარძიის დუბლიკატი ტოპონიმია. ჯავახეთიდან წასულთ დაუარსებიათ იგი[93].

„ქვემო ვარძიაში გრანდიოზული სამუშაოების ჩატარება უკვე სახელოვანი სალოცაველის (ზედა ვარძიის – მ. ბ.) გადმოტანას უფრო შეესატყვისებოდა... უნდა ვიფიქროთ, ვარძიის დიდი ტაძრის აგება-მოხატვას ჯერ ძველი ჯვარ-ხატების გადმოტანა მოყვებოდა, შემდეგ – ზემო ვარძიის მონასტრის მოშლა, ეკლესია კი სოფელს შერჩებოდა"[94].

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ვარძიის მნიშვნელობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „იმ მაღალს და ნაყოფიერს გონებრივს განვითარებას, რომელიც მეცნიერების აყვავებით და საერო პოეზიის წარმოშობით დაგვირგვინდა, ქართული ხელოვნების (ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ოქრომჭედლობისა და მხატვრობის) სამაგალითო და საუცხოო ქმნილებანიც მჭერმეტყველებით ამტკიცებენ. ამ დროს მაგ. ააგო დავით აღმაშენებელმა დიდებული გელათის ტაძარი და თამარის დროს აშენებული იყო **ვარძიის განმაცვიფრებელი,** კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, რომლის მშვენიერებით აღტაცებული იყო შაჰ-აბაზის დროსაც კი გამოჩენილი სპარსეთის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში და თვით ირანის მბრძანებელი"[95].

სულთნის „არა-საკადრებელი" წერილის შემდეგ „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიის ღმრთისმშობლისა წინაშე, და ცრემლითა შევედრა სოსლან დავით და სპა მისი და დროშა მისის სკანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით"[96].

ბასიანის ბრძოლას რომ იგებს ქართველთა ლაშქარი, ამაში დიდია ვარძიის ღვთისმშობლის როლი. ასევე შეავედრა ვარძიის ღვთისმშობელს ქართული მხედრობა თამარმა სპარსეთში ლაშქრობის დროს.

თამარის განსაკუთრებული დამოკიდებულება ვარძიისადმი ბუნებრივია, რადგან მისი აშენებული და სრულყოფილი იყო იგი. თამარის მიერ ქვეყნის ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში იქ ჩაბრძანება და ლოცვა ღვთისმშობლის წინაშე სხვაგვარად შემორჩა ხალხის მეხსიერებას. ყველაზე გამორჩეულ ქვაბს ვარძიისას **თამარის ოთახი** ჰქვია. ასევე დაუკავშირა ხალხმა თამარის სახელს ვარძიის სახელის ეტიმოლოგიაც. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ პატარა თამარი დაიკარგა ვარძიაში და მის საძებნელად წამოსულთ **აქ ვარ ძიაო** – უთხრა თამარმა.

ჩვენ ვნახეთ, რომ ვარძია დიდი ხნით ადრე, XI საუკუნის პირველ ნახევარში, უკვე არსებობდა ზედა ვარძიის სახით, ამიტომ ეს ლეგენდა ლამაზი გადმოცემაა მხოლოდ.

ილია მაისურაძის აზრით, **ვარძია** იყოფა ორ ნაწილად – ვარძ-ია, რომელშიც ვარძ- არის ძირეული ნაწილი, ხოლო -ია – დაბოლოება[97]. ვარძია „ვარძ- ძირისაგან – ია სუფიქსის დართვით მიღებული მამაკაცის სახელი უნდა იყოს (მსგავსი წარმომავლობისაა სხვა სახელები: მამია, ვაჟია, დათია, ვეფხია, კაცია) თავისი შინაარსით (მამრობითობის ცნებაზე მითითებით) „ვარძია" ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმ ფაქტზე, რომ ამ მონასტერში სასულიერო მამათა საძმო იყო დასადგურებული . . . მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ **ვარძ** – ძირი ვერძთან იყოს პირდაპირ კავშირში და ამ სახელის სახელდება წინაქრისტიანული რელიგიური ცნებით ვერძის კულტო დანიშნულებით იყოს განსაზღვრული"[98].

93 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 504.

94 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2006, გვ. 119.

95 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 301. ი.

96 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 91.

97 ი. მაისურაძე, ვარძიის ეტიმოლოგიისათვის, გაზ.: „ბორჯომი", 1967, № 4.

98 იქვე, 1967.

ამ მოსაზრებას გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს. –ია სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებს აფორმებს, მაგრამ საქართველოში –ია დაბოლოებიანი არც ერთი ტოპონიმი არა გვაქვს, ადამიანის სახელი რომ ედოს საფუძვლად. ამ შემთხვევაში სხვა სუფიქსებს იყენებს და იყენებდა ენა, ვთქვათ: ქობული – ადამიანის სახელი და ქობულეთი ადგილის სახელი. თამარ – და თამარ-ის-ი და ა.შ.

ასევე საეჭვოა ვარძიის **მამათა მონასტრის** გადამწყვეტი როლი მისი სახელწოდების შინაარსის განსაზღვრისას და, ამდენად, ტოპონიმის სემანტიკის მამაკაცთან დაკავშირება, რადგან ვიდრე მშენებლობა დაიწყებოდა, სახელი მანამდე არსებობდა, როგორც უკვე დავინახეთ, ზედა ვარძია, რომლის გამოც და რომლის „მიცვალებითაც“ აშენდა ქვაბთა ქალაქი და შეიქმნა იქ მამათა მონასტერი.

ვარძიის ეტიმოლოგიის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ვარძიის ეტიმოლოგიის დაკავშირება ვარდციხესთან, ვარძციხესთან და საერთოდ აპელატივებთან, ამიტომ ასკვნის მეცნიერი, რომ „ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი „ვარძიის“ ახსნა-განმარტება რომელიმე ტომობრივ სახელწოდებაში ვეძიოთ“[99].

ლ. მელქისეთ-ბეგის ვარაუდით, ვარძია მიღებულია ორძ-ძირისაგან ისევე, როგორც ოძრჯე და ოცხე. მეცნიერის აზრით, ორძიადან ვარძია მივიღეთ ო-ს „კანონზომერი“ გაშლით და ვარძია ისეთივე წარმოშობისაა, როგორც „ივერია“, „ალბანია“, „არმენია“, „გურია“ ე.ი. „ბერძნულ-ლათინური დაბოლოება –ია-ს მეშვეობით“[100].

ასეთ ახსნას სერიოზული ფონეტიკური და ისტორიული წინააღმდეგობები ახლავს[101].

ვარძია რომ ისეთი ლოკალობის ტოპონიმი ყოფილიყო, როგორიც ოძრჯე (შდრ. ლეონტი მროველი, სადაც ოძრჯოსი უფლოსთან და ჯავახოსთან ერთად მცხეთოსის შვილადაა გამოცხადებული), სამცხე, ან თუნდაც ხორძენე, ე. ი. სახელი რომ გამოყენებულიყო არა მხოლოდ დასახლებული პუნქტის, არამედ მთელი პროვინციის, „მაზრის“ აღსანიშნავად, ის უეჭველად იქნებოდა მოხსენიებული ქართულ (და არამარტო ქართულ) წყაროებში. **ვარძია,** კი ჩვენი ისტორიისათვის ცნობილი ხდება მას შემდეგ, რაც იქ ციხე-ქალაქის მშენებლობა იწყება, მანამდე არსებობდა **ზედა ვარძია**. როგორც უკვე ითქვა, ასევე არის **ვარძია** ზემო იმერეთში. ამგვარად, ვარძია ჩვეულებრივი, რიგითი ტოპონიმი იყო საქართველოში. აქ აღმოჩნდა ისეთი ბუნებრივი პირობები, რომ აშენებულიყო ისტორიული ძეგლი.

ვარძიისმაგვარად –ძია დაბოლოებანი აქვს სხვა სახელებს საქართველოში: **ტანძია, ალანძია, ტორნაძია, ხორძია, ხურძია** და სხვა.

ზოგ შემთხვევაში –ძია კომპონენტს აქვს პარალელური ფორმა – ძა. მართალია, ნასოფლარს ასპინძის რაიონში ალანძია ჰქვია, მაგრამ მის მიკროტოპონიმაში არის სახელები, რომლებიც მიგვანიშნებს –ძა კომპონენტის არსებობაზე – **ალანძის** წყალი და არა ალანძიის წყალი, **ალანძიხევი**. ვფიქრობ, ამავე რიგში უნდა ჩადგეს ტრანძა. ასევე არის სოფლები საქართველოში, რომელთაც – ძა დაბოლოება გააჩნიათ: **ბრეძა, ბანძა, წყორძა** და სხვ. ნასოფლარის სახელია ახალქალაქის რაიონში – ვარძა, ვარზა (შდრ. გვარი ვარძელაშვილი, სადაც აგრეთვე ვარძა ფორმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ვარძიელაშვილი). იგივე **ვარძა** ფორმაა ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ **ვარძაგარაში**[102].

„ვარძაგარა თავისი მდებარეობით კარგად შეესატყვისება ჰამამლუს სოფლის ტერიტორიას“[103]. დ. ბერძენიშვილი გვაძლევს ვარძაგარის ეტიმოლოგიას, რომელიც უკავშირდება ვარძიასაც. კერძოდ მეცნიერი წერს: „ვარძაგარა შედგენილი სახელი ჩანს ისევე, როგორც დმანისხევის მეორე სოფლის სახელწოდება სამაგარა, ან წინაგარა მეჯუდის ხეობაში. ამ სიტყვის მეორე ნახევარში მოჩანს

---

99 ლ. მელქისეთ-ბეგი, ტოპონიმიკური შტუდიები, ხუნანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის, „მარქსისტული ენათმეცნიერება“, თბ., 1934, გვ. 160.

100 იქვე, 1934, გვ. 160.

101 მ. ბერიძე, ტოპონიმ „ვარძიის“ ეტიმოლოგისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 2, გვ. 78-80.

102 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 55.

103 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 101.

აგარა, ე.ი. ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ველი. **ვარძ** ფუძე თავს იჩენს ტოპონიმებში: **ვარძა, ვარძია** და **ვარძანეთი,** ასევე სიტყვაში **სავარძელი.** ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ძველად ვარძ – ვერძი მამაკაცის და მამალი ცხოველის გამომხატველი ყოფილა"[104]. საბოლოოდ **ვარძაგარაში** ვარძნაწილს დ. ბერძენიშვილი უკავშირებს მინერალური წყლის აღმნიშვნელ ვეძა – **ვერძა** ფორმას. ე. ი. ვეძა // ვერძა გვაძლევს ვარძას და ეს უკანასკნელი კი – **ვარძაგარას**[105].

ვარძია გამოქვაბულთა სინონიმია საქართველოში. ხერთვისიდან ნაქალაქევისკენ მიმავალი გზის პირას კლდეს, რომელსაც ქვაბთა თხრის კვალი ამჩნევია, ჰქვია **ნავარძიები.** მთქმელმა ასეთი განმარტება მოგვაწოდა: „აქ **ვარძია** უშენებიათ, მაგარი ყოფილა და დაუგდიათ, მერე გადასულან ვარძიას".

საფარიდან მიმავალი სატალაოს გზიდან ჩანს ურავლის მარჯვენა ნაპირის გამოქვაბულები, რომელთაც ღრელელები **სავარძიებს** უწოდებენ. ამ სახელს აქვს ვარიანტები – **სავარძები, სავარწე, სავარძე. ვარძობა** ნიშნავდა კლდის გამოჭრას, კვეთას. სახვრეტ კეტს მათხაფი ერქვა. მათხაფი ჰქონდათ სხვადასხვა ზომისა. იგი იყო ბრტყელპირიანი რკინის გრძელი საჭრეთელი, რომელიც ეკავა ერთ კაცს, ურტყამდა მეორე უროს. ვარძობა ორი კაცის საქმეს, მუშაობას ნიშნავს.

მართალია, ინფორმატორთა მტკიცებით, იარაღს, რომლითაც კლდეს კვეთდნენ, მათხაფი ერქვა და ვარძობა ორი კაცის მუშაობას გულისხმობდა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მათხაფი ახალი სახელია ლითონის იარაღისა, რომელსაც მანამდე ვარძი უნდა რქმეოდა.

სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს **ვაზრი** – „მახვილია ცელივით". იქვე უთითებს მის ფონეტიკურ ვარიანტს – **ვარზი.** ამ ორთაგან რომელი რომლის ვარიანტია, ძნელი გასარკვევია, თვით სულხან-საბაც სვამს კითხვას – ვაზრი თუ ვარზიო[106]. ამავე სიტყვას სულხან-საბაზე დაყრდნობით და იერემია წინასწარმეტყველის დამოწმებით ერთმანეთის ვარიანტებად განმარტავს დავით ჩუბინაშვილი – „მახვილი ცელივით"[107].

ძველი ქართული ძეგლების მიხედვით ილია აბულაძეს განმარტებული აქვს **ვაზრი** – საფხეკი, ქლიბი, კეტი, კომბალი[108]. ივანე გვარამაძეს **ვარზი** აქვს განმარტებული, როგორც „ცელისნაირი მახვილი" 1907 წელს შედგენილ ლექსიკონში (გვ. 101).

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ვარზი** და **ვარძი** ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. შდრ. ზროხა და ძროხა[109]; ზრახვა – ძრახვა; ზორვა – ძორვა[110] და სხვა.

ვარძიის ქვაბებში ბევრგან ეტყობა ვარძით თუ ვარზით ნამუშევარი, გრძელი ნაკვეთი რომ გადასდევს ჭერს. ეს ნაკვეთი იქცევა ხოლმე ხალხის ფანტაზიის წყაროს სათავედ. თითქოს ისეთი ძლიერი კლდის მკაფავები იყვნენ მაშინდელი მუშები, რომ ერთი მოქნეული წერაქვით დიდი მანძილი გაჰქონდათ. სინამდვილეში ეს ვარძით ნაკაფი კლდეა. ერთს ეჭირა ხელთ იარაღი, ხოლო მეორე უროს ურტყამდა. იარაღიც განსაკუთრებული ფორმისა იყო – გრძელი ცელისნაირი პირით, რომელსაც შედარებით მოკლე ტარი ჰქონდა. იქნებ სწორედაც ეს სიტყვა დაედო საფუძვლად ვარძიის სახელდებას?!

ვანის ქვაბები

ვარძიას ტოლს არ უდებს თავისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით მასზე უფრო ადრე აშენებული, კლდეში ნაკვეთი შესანიშნავი ძეგლი **ვანის ქვაბები.**

ვანი გავრცელებული სიტყვაა ქართულ ენაში. მისი მნიშვნელობა იყო: სადგომი, „სახლი",

104 იქვე, გვ. 107.

105 იქვე, გვ. 107.

106 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 256.

107 ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984, გვ. 499, 502.

108 ი. აბულაძე, ქართული ენის ..., გვ. 153.

109 იქვე, გვ. 169.

110 იქვე, გვ. 168.

დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი, „საყოფელი“, „ბუნაგი“[111]. სულხან-საბას მიხედვით: სადგომი, სავანე[112]. მისი პარალელური ფორმაა **ვანა** – სადგომი[113].

ვანისაგან არის წარმოქმნილი **სავანე** – „სადგური“, სადგომი, ქარვასლა, ბანაკი[114], **სავანის დადება**- დაბინავება, სავანის-ყოფა – დადგომა, ბინის დადება[115]; **დავანება**- „დადგინება“, „ყოფა“, „დადგრომა“, დადგომა, დასახელება, დაბინავება; დავანებული – „დაბანაკებული“[116].

ასევე ბევრია ამ ფუძისაგან ნაწარმოები ტოპონიმები საქართველოში: **ვანი** არის სოფლების სახელად აჭარაში, გურიასა და იმერეთში (ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონებში). **ვანათი** (ცხინვალის რ.), **ვანეთი** (თეთრიწყაროს რ.), **ვანელი** (ჯავის რ.), **ვანთა** (თელავის რ.). დაასავლეთ საქართველოშია ვანის რაიონული ცენტრი ქ. ვანი. სოფლები: **ვანისქედი** (ოზურგეთის რ.), **ვანისჭალა** (წყალტუბოს რ.), **სავანე** (საჩხერის რ.), **სავანისუბანი** (ხაშურის რ.). „ტაოშიც ყოფილა **ვანისხევი**, ჭოროხის ხეობაში (პარხალის სამხრეთით)“[117].

ისტორიულ მესხეთში იყო სოფ. **ვანი** ერუშეთის მთებში, შოლოს წყლის სათავეებში, ბუზმარეთთან ახლოს. ვანში დღევანდლამდე შემორჩენილია წარწერიანი ეკლესიის ნანგრევი. ბოლო დრომდე იქ სოფ. ხიზაბავრის ფერმა იყო. მე-16 საუკუნეში ვანში **8** კომლი ცხოვრობდა[118]. ეს ის ვანია, რომლის შესახებაც ლ. მუსხელიშვილი წერს: „ვანი არის კიდევ მდინარე ტაშლიყაშიას (მტკვარს მარცხნიდან ერთვის ტოლოშთან) ზემოწელზე, თმოგვიდან ჩრდილო-დასავლეთით. არ ვიცი, არის აქაც ქვაბები თუ არა“[119]. ამ ვანის სიახლოვეს ქვაბები ნამდვილად არ არის.

ერთი ვანის დაარსების შესახებ მოგვითხრობს გიორგი მერჩულე: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰქვიან **გუნათლეს ვანი**“[120].

ბორჯომის ხეობაში სოფ. ფაფასთან ახლოს აღწერილი აქვთ ოსმალებს სოფ. **ვანთა,** რომელიც იმ დროსვე გაუკაცრიელებული იყო, მაგრამ გადასახადი მაინც შეწერილი ჰქონდა[121]. სოფელი **ვანისხევი** ვარძიის ხეობაში მდებარეობდა და მისი სახელი დაკავშირებული ჩანს ვანის ქვაბებთან. იგი, მართალია, ნასოფლარის სახელითაც კი არ მოღწეულა ჩვენამდე, მაგრამ „დავთრის“ შედგენის დროს სამკომლიანი სოფელი იყო. ასევე დაფიქსირებულია, როგორც სოფელი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში[122]. კიდე უფრო მეტია ვან – ფუძიდან მიღებული სახელები მიკრო ტოპონიმიაში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. **ვანი** ცნობილი სახელია აღმოსავლეთ თურქეთში. იგი მდებარეობს ვანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. მის ადგილას მდებარეობდა ძვ. წ. IX-VI სს-ში ურარტუს ხელმწიფოს დედაქალაქი **ტუშფა,** რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან ცნობილია ვანის სახელწოდებით. სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით ვანის სახელი მოდის ეპიგრაფიკულ წარწერებში დადასტურებული **ბიაინილის** სახელწოდებიდან. ხალხური გადმოცემით, ვანის დაარსება მიეწერება ასურეთის დედოფალს შამირამს. სინამდვილეში კი ის დაუარსებია ურარტუს მეფე სარდურს.

მ. ანდრონიკაშვილი **ვან** სიტყვას საშუალო ირანულიდან შემოსულად მიიჩნევს: „იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში თუ სომხურის მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემთხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ

111 იქვე, გვ. 153.

112 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 257.

113 იქვე, გვ. 257.

114 ი. აბულაძე, ქართული ენის..., გვ. 356.

115 იქვე, გვ. 356.

116 ი. აბულაძე, ქართული ენის..., გვ. 108.

117 ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბ., 1939, გვ. 9.

118 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 300.

119 ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 11.

120გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნიგნში: ქართული პროზა, I, თბ., 1982, გვ. 232.

121 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 487.

122 იქვე, გვ. 365.

საშუალო-ირანულ ბგერათა გადმოსაცემად"[123]. საშუალო ირანული ვანი წარმოდგენილია ვაჰან (ვაჰან) ფორმით[124]. „საშუალო სპარსულში გადმოცემულია ჰ და ხ თანხმოვნით. მეტწილ შემთხვევაში კი იკარგვის"[125].

ქართული ტოპონიმია საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ამ სიტყვის ქართულში შემოსვლის პროცესს და დავადასტუროთ სამივე ფორმა – როგორც ხ-ანიანი, ისე ჰ თანხმოვნით და ამ თანხმოვნის გარეშე. მხედველობაში გვაქვს ვარძიის ხეობაში, ვარძიამდე ორ-სამ კილომეტრში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე **ვაჰანის,** ანუ **ვანის** ქვაბები. ვანის (ვაჰანის) ქვაბები VII-IX საუკუნეთა ძეგლია. IX-XI საუკუნეებში ხდება მონასტრის გაფართოება, ახალი ქვაბ-სენაკებითა და ცენტრში წმ. გიორგის ტაძრის გამოკვეთით. ორასამდე გამოქვაბული 16 იარუსად არის განლაგებული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულოები იყვნენ ვანის ქვაბების პატრონები, კერძოდ: გურგენისძენი, თმოგველთა საგვარეულო, მხარგრძელები, ღარიბასძენი და რჩეულიშვილები[126]. 1204-1234 წლებში ერისთავთერისთავ მხარგრძელს შეუდგენია ამ მონასტრის ტიპიკონი – „ვაჰანის ქვაბთა განგება". სხვა მოსაზრებით – 1225-1230 წლებში[127].

ს. ჯიქია წერს: „ვანის ქვაბი საქართველოს სამონასტრო ისტორიაში კარგად ცნობილი ვაჰანის ქვაბია. „ვაჰანის ქვაბთა განგების" გამომცემელმა ლ. მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ **ვაჰანის ქვაბებს** უკვე მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში **ვანის ქვაბებს** უწოდებენ. ჰ დაიკარგა და ორი ა-ს შერწყმით მიღებულია „ვანის ქვაბები"[128]. შესაძლებელია, ამ ადგილს უკვე „განგების" შედგენის დროსაც აღარ უწოდებენ ვაჰანის ქვაბებს და წესდების დამდებნი ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს. ასეა თუ ისე, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში" შემონახულია ჩვენთვის საინტერესო ირანული ფორმა **ვაჰანი,** უფრო ძველი, ვიდრე სომხურსა და ქართულში შესული **ვანი.**

ვფიქრობთ, ვაჰანი უნდა იყოს ამოსავალი ხარაგაულის რაიონის სოფ. **ვახანისათვის,** სადაც სპარსული ჰ გადმოცემულია ქართულში ხ-დ. ხ ქართულში უფრო მდგრადი აღმოჩნდა, ამიტომ ეს სახელი დღესაც ამ ფორმით იხმარება. ვაჰანისა და ვახანის სახელთა იგივეობაზე მიუთითეს თ. ჟორდანიამ და „ვაჰანის ქვაბთა განგების" გამომცემელმა ლ. მუსხელიშვილმა. „ვაჰანი" საქართველოში დღეს აღარსად ჩანს. მხოლოდ იმერეთში არის ვახანი, ვახანის ციხე და ჩხერიმელას შემდინარე ვახანის ხევი. თ. ჟორდანია ჰფიქრობდა, რომ **მესხეთში თურქების გაბატონების შემდეგ** (ხაზი ჩვენია – მ. ბ), ძველი ვაჰანიდან ჩხერიმელას ზემო წელში გადმოსახლებულებმა „ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი"[129].

ვანის ქვაბებიდან ნასულთა მიერ ვახანის დაარსებას ისტორიული საფუძველი აქვს მოძებნილი. 1551 წელს შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრების შემდეგ თურქთა გაბატონების გამო ეკლესია-მონასტრები შეევიწროებისა და დევნის შედეგად ცარიელდებოდა, მლვდელ-მონაზვნები იმერეთსა და ქართლს აფარებდნენ თავს. „ხარაგაულის რაიონში არსებობს სოფელი ვარძია, სადაც დაცულია სამრეკლო და ეკლესია. აქვე ახლოსაა **ვახანიც.** ეს ორი მონასტერი ვარძიისა და ვანის ქვაბებიდან გახიზნული ბერების მიერ დაარსებულად უნდა ვიგულისხმოთ"[130].

1393 წლის ერთ-ერთი თარიღიანი მინაწერის მიხედვით ვაჰანი უკვე ვანის სახით მოიხსენიება[131].

მე-15–მე-16 საუკუნეებში მხოლოდ ვანის ქვაბებად იწოდება ვაჰანი: „ორშაბათს ვანის-ქუაბს მივადექით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ", – ვკითხულობთ „მესხურ მატიანეში"[132]. ასევე მხოლოდ

123მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 168.

124იქვე, გვ. 168.

125იქვე, გვ. 214.

126საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007, გვ. 322.

127ი. ტალახაძე, „ვაჰანის ქვაბთა განგების ხელნაწერი (აღწერილობა, შესწავლის ისტორია, დათარიღება), კრებ.: მესხეთი, III, 1999, გვ. 27.

128ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 365.

129ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 9.

130კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955, გვ. 73.

131ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 10.

132სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტი, პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ.

ვანის ქვაბის სახელით მოიხსენიებს ვახუშტი ამ ადგილს. შაჰ თამაზის შემოსევის შესახებ წერს იგი: „ჩამოვიდა ყეენი, აღიღო ვარძია, თმოგვ, **ვანის ქუაბნი**, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი“[133].

ასე რომ, ვაჰანიდან მისი სეხნია (ფონეტიკური ვარიანტი) ტოპონიმი ზემო იმერეთში თურქთა შემოსევამდე ბევრად ადრე უნდა წარმოქმნილიყო, ან მაშინვე, როდესაც ვაჰანის ქვაბებში მონასტერი იყო, ან – მანამდე, თუ იგი საერთოდ დამოუკიდებლად შექმნილი სახელი არ არის.

კომპოზიტის მეორე ნაწილი არის **ქვაბი (ქუაბი)**, რომელიც ცნობილი სახელია, როგორც ძვ. ქართულში, ისე ტოპონიმიაში. ქუაბი, სულხან-საბას მიხედვით, არის „კლდე გამონაკაფი“[134], ხოლო ძვ. ქართულში – „გამოქვაბული, ბუნაგი“[135], მისგან არის ნაწარმოები ქუაბოვანი, – გამოქვაბულები, ქვაბნარი[136].

ქვაბი მრავალი ადგილის სახელდებაში მონაწილეობს როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა კომპოზიტის შემადგენლობაში. სამცხეში ცნობილი მდინარე **ქვაბლიანი** (←ქვაბულიანი). ასევე ქვაბლიანი ჰქვია ნასოფლარს ადიგენის რაიონში[137]. ცნობილი სახელია **ქვაბისხევი** და სხვანი.

მე-19–მე-20 საუკუნეებში მესხურ დიალექტში ქვაბი, გამოქვაბულის მნიშვნელობით, შეცვალა **მალარამ**, რომელმაც მრავალი ადგილის სახელი წარმოქმნა სამცხე-ჯავახეთში.

ამგვარად, ქრისტიანული ძეგლები სამცხეში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავიანთი სარწმუნოებრივი მისიით, ისტორიულ–კულტურული დანიშნულებით, არამედ დიდი ონომასტიკური დატვირთვითაც. სამცხეში ამოუწურავია ქრისტიანობის ეპოქაში შექმნილი ტოპონიმები და ისეთი სახელები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს ენობრივ და ისტორიულ წარსულთან.

სამსარი

ამ სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მუშაობა განაპირობა ჯავახეთში 2005 წელს მომხდარმა ინციდენტმა, რომელიც სამსართან იყო დაკავშირებული. მოვიყვან ამონაწერს ახალქალაქისა და კუმურდოს ეპისკოპოსის მეუფე ნიკოლოზის ხელნაწერი შრომიდან – „მისიონერული პრაქტიკა პოლიეთნიკურ გარემოში“: „ექსპედიცია არ შედგა. სტუდენტები გამოქვაბულში არ შეუშვეს. მიზეზი იყო სომხური ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ ორგანიზებული ნაციონალური ხასიათის დაპირისპირება, რომელშიც, სამწუხაროდ, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებმაც ითამაშეს არც თუ უმნიშვნელო როლი. უკიდურესი დაძაბულობისას მათ განუცხადეს, რომ ეს არის XII საუკუნის სომხური მონასტერი, რაც გახდა საფუძველი ქართველი სასულიერო პირების, მონაზვნებისა და სტუდენტების მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფისა სოფლის მოსახლეობის მხრიდან. მოგვიანებით პრესამ გამოაქვეყნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს ერთობლივი განცხადება, სადაც სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს მეთაურმა გულწრფელი წუხილი გამოთქვა და ბოდბიში მოიხადა დაზარალებულთა წინაშე სოფლის მოსახლეობის არასწორი ინფორმირებისათვის“.

ბოდბიში ყოველთვის საქმეს ვერ შველის. სოფლის მოსახლეობის აგრესია **სამსრის მონასტერს** მანამდეც არ აკლდა, ოღონდ ისინი ძეგლს უპირისპირდებოდნენ როგორც ქართული კულტურის კუთვნილებას, ახალი აგრესია კი გამოიხატა ქართველთა მიერ „სომხური ძეგლის მითვისების“ გამო. იმისათვის, რომ ჭეშმარიტება ყველასათვის ნათელი იყოს, გადავწყვიტეთ სამსრის შესახებ ინფორმაციისათვის მოგვეყარა თავი და დაგვედგინა სახელის ეტიმოლოგია.

სოფ. **სამსრის** ისტორია შეისწავლა ს. ჯიქიამ. მე-16 საუკუნეში ორი სამსარი იყო – **ზემო** და

შარაშიძისა, 1961, გვ. 14.

133ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 716.

134ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 235.

135ი. აბულაძე, ქართული ენის..., გვ. 456.

136იქვე, გვ. 456.

137ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 155.

ქვემო[138]. ორივე სამსარი დაცლილია მოსახლეობისაგან[139].

ორივე სამსარი მთებშია ჩაფლული. ამიტომ უშუალოდ მხოლოდ სოფ. **მერენია** ესაზღვრება მას ჩრდილოეთიდან. „პატარა სამსარი მდებარეობს ტაბაწყურის მხარეს და იქით მთები შედარებით დაბალია. **დიდი სამსარი** მარჯვენა მხარეს, აქედან რო მივალთ, ხევის გამოღმა არის და რაკი სამსრის მთები მაღალია, ამიტომ დიდ სამსარს უძახიან. სოფელს აქვს ტბა, რომელიც არ შრება, ჭალები და მრავალი წყარო, რადგან სამსრის მთებზე გვიან შრება თოვლი, ის თოვლი იჟურება და წყალი მუდმივი არის“ (ვ. ხუციშვილი 84 წლის, სოფ. კოთელიის მკვიდრი).

ტყიანი ჯავახეთის ეს ადგილები, სადაც **სამსრები** მდებარეობდნენ, ეტყობა, რაღაც დიდი უბედურობის გამო განსაკუთრებით დაცარიელდა მოსახლეობისაგან. ოსმალებმა სამსრების გარშემო ნასოფლარად ქცეული 33 სოფელი აღწერეს. აი, ისინიც: **ქვემო სამსარი, აკარანთა, ტაბისყური, შვიდეკლესია, ვარგავი, ქურდოვანი, გულუსუბანი, ოლდანი, ჭარული, მოლითი, ხუმრისი, ზაქარწმინდა, ოძისი, გელთუბანი, ქადისხევი, ზემო სამსარი, ქართაშენი, ხარიანი, კურაშენი, ბალანთა, წინუბანი, მოდეგანი. ზეოტა, ზერეონია, ხანჯაური, სესი.** დანარჩენი ექვსი სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხდა[140].

ვახუშტი ბატონიშვილი სამსრებს ცალკე სოფლებად არ აღწერს, იგი წერს: „ჯავახეთის მტკუარს მოერთვის ჩრდილოეთიდამ **ბარალეთის მდინარე**, რომელი გამოსდის **ფარავნის ტბასა** და **სანსრების** შორისს მთას და მოდის აღმოსავლეთად“[141]. ვახუშტის მიერ სანსრებად მოხსენებული ადგილი მე-16 საუკუნეში ოსმალების მიერ აღწერილი **სამსრებია.** ე. ი. სწორი ფორმა ეს უკანასკნელია[142]. მ-ნ-ს მონაცვლეობა ჯავახურ დიალექტს ახასიათებს, ამიტომ, როგორც ჩანს, **სამსარის** ნაცვლად **სანსარი** ხალხურ მეტყველებაში ჩვეულებრივი ამბავია, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისში დაადასტურა ალ. ფრონელმა[143].

ზემო და **ქვემო სამსრების** ნასოფლარებზე 1830 წელს ერზრუმიდან ჩამოსახლებული სომხები დასახლდნენ. ნასოფლარებს ზემოსა და ქვემოს ნაცვლად **დიდი** და **პატარა სამსარი** დაერქვათ.

მე-19 საუკუნის ბოლოს სამსრები მოინახულა და აღწერა ი. როსტომაშვილმა. მან დააზუსტა სოფლების მდებარეობა, რომ ახალქალაქიდან 20 ვერსის დაშორებით მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს **სამსარი**, ამავე სახელის მდინარეზე, რომლის ნაპირებზეც ჩაყოლებულია სამსარის ქვაბები. აქვეა შესანიშნავი ეკლესია და მონასტერი[144].

ი. როსტომაშვილი წუხს, რომ ეკლესია ძალიან არის დაზიანებული მასზე გადმომდინარე წყლის გამო. წყალი გამჟდარია კლდის ნაპრალებსა და კედლებში, რის გამოც და ნესტიანებულა გამოქვაბული[145].

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სამსარი მოიხილეს ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯიქიამ: „1933 წელს პროფ. ნ. ბერძენიშვილი და მე ბარალეთიდან გავემგზავრეთ, გზად გავიარეთ სოფელი **ღრტილა (იხტილა)** და ავედით სოფ. სამსარში. აქ ჩვენ დავათვალიერეთ მაღაროებიანი მონასტრის ნანგრევები. კლდეზე, რომელიც ეკლესიის ყოფილა, ცნობილი წარწერაა ამ ადგილებში ტყეების არსებობის შესახებ. ეს და სხვა წარწერები შეისწავლა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა“[146].

„მონასტრის სამხრეთის მხრით მდინარე ჩამოუვლის. ის აქვე **სამსრის მთებიდან** გამოდის. არც ამ მდინარეს აქვს სახელი. ვახუშტი მას **ბარალეთის წყალს** უწოდებს, ვფიქრობთ, უმართებულოდ. **ბარალეთი** ამ მდინარის არც გამოსავალშია, არც შესართავში. აქ არც ბარალეთის წყალი გაუგონიათ.

138იქვე, გვ. 286.

139იქვე, გვ. 206, 208.

140ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 206-209.

141ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 670.

142ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 208.

143ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1991, გვ. 159.

144И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, с. 97.

145იქვე, გვ. 97.

146ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 287.

გადასახლებულმა ჯავახებმა თან წაიღეს ქვეყნის ტოპონიმიკაც. მოსულთ კი ახალი სახელების დარქმევა ვერ მოუხერხებიათ. როგორც ჩანს, ეს არც თუ ადვილი საქმეა და ამას ვგრძნობ ყველგან ჯავახეთში"[147]...

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ აღვწერთ სამსრისა და ბარალეთის წყალს. ბარალეთის წყალი სათავეს იღებს სოფ. **ბეჟანოსთან**, გამოივლის **ალათუმანს, კოჩიოს**, ნასოფლარ **სირგვის** ქვემოდან ჩამოდის **ბარალეთში**, რომლის შემდეგაც ერთვის მას **ღრტილის** (იხტილის) წყალი, შემდეგ **მერენიის წყალი**, შემდეგ ჩადის სოფ. **ზაკეში, არაგვაში**, სადაც სოფელს შუაზე ჰყოფს ბარალეთის წყალი, ჩავა **ორჯვაში**, სადაც ატრიალებს წისქვილებს და **ორჯვის ხიდთან** უერთდება **ჯავახეთის მტკვარს** მარჯვენა ნაპირიდან, **ბარალეთის წყალი** არის პირველი შენაკადი ახალქალაქის ქვევით. ბარალეთის წყალს სხვა სახელიც აქვს, ადგილობრივთა თქმით, **„კოთელიელები** ამ წყალს ვეტყვით **დიდწყალს**, დორეთ რომ მიდის და ღრმა არის, ამიტომ ჰქვია დიდწყალი. დიდი წყალი მდორე წყალი არის, ლამაზათ მიდის და კარგი საბანაო არის, ქვა შიგ არ არის".

სწორედ ბარალეთის წყლის მარცხენა შენაკადის **მერენიის წყლის** შენაკადია **სამსრების წყალი**, რომელიც სათავეს იღებს **სამსრების მთებიდან**, გამოივლის სამსრის ტბას და შემდეგ შემოდის დიდ და პატარა სამსრებში, რომელთა გავლის შემდეგ უერთდება **მერენიის წყალს** და მასთან ერთად ერთვის **ბარალეთის წყალს**.

თავისთავად **სამსარი** რიგითი ჯავახური სახელი იქნებოდა, რომ არა კლდეში ნაკვეთი ტაძარი, ქვაბები და წარწერები, მათ შორის, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარწერა, რომელიც გვამცნობს: „სახელითა ღვთისაითა, წმინდისა ღმრთის მშობლისაითა, ესე წმინდაი ეკლესიაი ოდეს აშენდა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩანდა"[148].

კარგად აღწერს ჯავახეთის უტყეობას მე-19 საუკუნის ბოლოს ილია ალხაზიშვილი: „ურემი გავაჩერეთ, სერზე გადმოვდექით და გადმოვხედეთ ჯავახეთის დაცემულ, უტყეო ვაკეს, ტიტველა მთებით შემოზღუდულს"[149]. მოგზაური ტაბაწყურისაკენ მიდიოდა და სწორედ ჩვენთვის საინტერესო მიდამოებს დასცქეროდა, დასვენება რომ მოუნდა ხე ვერ იპოვა, ქვის ჩრდილს შეეფარა და დაწერა: „მართლა და რა უბედურებაა ეს მოტიტვლებული მთები! ჩვენი ცოდო ეკითხოს, ვინც აქაური ტყეები გაჩეხა და ძირიან-ფესვიანად ამოაგდო! აბა, რაა! კაცი ერთ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეაფაროს. აბა, ამისთანა ბუნებამ რა კეთილი გავლენა უნდა იქონიოს აქ მცხოვრებთა ხასიათზე, სულიერ მხარეზე!"[150]

დღეს ჯავახეთი უტყეოა, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ჯავახეთის იმ ნაწილს, სადაც სამსარია, **ტყიანი ჯავახეთის ლივა** (ანუ რაიონი) ერქვა, რაც დამაჯერებლობას მატებს წარწერებში დადასტურებულ ფაქტს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ტყე აღარ იყო, მაგრამ შემორჩენილი იყო დაბალი ბუჩქნარი: „დღევანდელ ჯავახეთში მხოლოდ ტყეები აღარაა, აქა-იქ მოიპოვება მხოლოდ ჯაგნარი, მაგალითად, **სანსარის მთის** და ციხისჯვრის ფერდობსა და ძირობებზე"[151].

იმავე პერიოდში ჯერ კიდევ იყო ხსოვნა სამსარის მიდამოების ტყიანობისა: „მე ჩემი თვალით მინახავს ს. **იხტილაში** თავხე, იქვე, სოფლის ახლო შეთხელებულ ფრთონის ტყეში მოჭრილი. კოთელიელები ამბობდნენ, რომ ტყეები ჯავახეთში არზრუმიდან მოსულმა სომხებმა ამოაგდესო. რაკი სამშობლოში ტყის მოვლა-პატრონობა არ იცოდნენ და თვალითაც კი არ ენახათ, აქ რომ დაბინავდნენ, მიესივნენ ტყეებს და სულ გაანადგურეს. ჯირკებსა და დიდრონ ხის ფესვებს ახლაც ვპოულობთ ხვნის დროსო"[152].

147ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 150.

148И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, с. 99.

149ი. ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, თბ., 1978, გვ. 37.

150იქვე, გვ. 72.

151ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 159.

152იქვე, გვ. 160.

მე-20 საუკუნეში, როდესაც სატყეო მეურნეობები ფუნქციონირებდა, ამ მიდამოებში ფიჭვის კორომები გაშენდა. ფიჭვმა კარგად იხარა.

დღევანდელ ჯავახეთში რამდენიმე სოფლის მიხედვით მოიხსენიება ტყე. ესენია **მერენიის ტყე**, რომელიც არის ახლად გაშენებული დიდი ტყე ფიჭვისა. ტრადიციულად კი მოიხსენიებოდა **აგანის ტყე, სამსრის ტყე** და **იხტილის (ლრტილის) ტყე**. ადგილობრივთა თქმით: „აგანაში ტყე იყო, ტყე იყო სამსარში, ტყე იყო იხტილი ზემოდან და მანდ ეტყობა ძველი ფესვები... ჩვენ რო მთებში მივდიოდით, გზის პირს ამოდიოდა ფესვები და მოჭრილ ფესვებზე დგებოდა ურემი....

სათხილეს ვეძახდით, თხილის საკრეფათ მიდიოდნენ გვიან შემოდგომით ბავშვები, თხილი მოჰქონდათ, მაგრამ არ იყო დამწიფებული“ (ვ. ხუციშვილი, 84 წლის).

სამსარის წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ძეგლი X–XII საუკუნეებით დათარიღდეს[153].

მე-19 საუკუნეში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობის დამოკიდებულება ძეგლისადმი ყოველთვის უარყოფითი იყო. ისინი არა თუ არ უფრთხილდებოდნენ ძეგლს, იყო მისი შეგნებული დაზიანების ფაქტებიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში (ბერიძე, 2002:381). არც მე-20 საუკუნის ბოლოს ჩანს უკეთესი მომავალი ეკლესიისთვის: „ერთ დროს მოხატული ეკლესია ახლა სავალალო მდგომარეობაშია. მის ავარიულობაზე ჯერ კიდევ ასი წლის წინ მიუთითებდა ივ. როსტომაშვილი. მიუხედავად ამისა, ტაძარმა ჩვენამდე მოაღწია, თუმცა დაბზარული კედელ-კამარა და გუმბათი მას კარგს არაფერს უქადის[154].

სოფლების სიახლოვის გამო შეერქვა **სამსრის ქვაბები, სამსრის მთები** და ა.შ.

„სოფელმა მისცა სახელი ქედს და მდინარეს, რაც ამ დასახლებული პუნქტის მნიშვნელობაზე და ქედთან სიახლოვეზეც მიუთითებს“[155].

„შემომეყარა ყივჩალის“ ჯავახური ვარიანტი **სამსრის მინდორსაც** მიგვანიშებს: „შემომეყარა ყივჩაღი მინდორსა სამსარისასა“...

სომეხი ტოპონიმისტები სამსარს მიუთითებენ სამსორ[156] ფორმითაც, როგორც მთის მწვერვალს.

დიდი და პატარა სამსარის შესახებ სომეხი ტოპონიმისტები წერენ, რომ ძირითადი ნაწილი მოსახლეობისა გადმოსახლებულია **ერზრუმის** სოფლებიდან. **ძირითადი ნაწილი**, ამ შემთხვევაში, პირობითია, რადგან ადგილზე მათ არავინ დახვედრიათ. როგორც ვნახეთ, ოსმალებმა ეს სოფლები აღწერეს როგორც ნასოფლარები, ხოლო მე-16 საუკუნის შემდეგ თუ ვინმე ჩამოსახლდა აქ, ამის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ არსებობს. ამგვარად, ამ სოფელში მცხოვრებნი მთლიანად ჩამოსახლდნენ ერზრუმიდან და მე-19 საუკუნეში ააგეს კიდეც წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია[157].

ეტყობა, ეს არის „1891 წ. აგებული დარბაზული ეკლესია ძველქართულ ნაეკლესიარზე დაშენებული და მის ფრაგმენტებს შეიცავს. ეკლესიის ეზოში ძველი სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ყოჩებისა და ცხენის ქანდაკებანი“[158].

კლდეში ნაკვეთ ქართულ ეკლესიას სომეხი ტოპონიმისტები უწოდებენ უმზეოს[159], ასევე მიუთითებენ, რომ ხევში არის წმინდა ადგილები, რომლებიც ხშირად დაზიანებულია მინისძვრისაგან. სამწუხაროდ, არ აღნიშნავენ იმას, რომ ეს არის ქართული ეკლესია და არაფერს ამბობენ წარწერებზე.

სამსარის ორი ეტიმოლოგია დამოწმებული აქვს ს. ჯიქიას. 1846 წლის ერთ დოკუმენტში სამსარი მოხსენებულია, როგორც ...Самисхар-ი, რაც სამი წყარო უნდა იყოს, ხოლო კ. განი სამსარს უკავშირებს **სამსალს**. ორივე ეტიმოლოგია სამსარის დამახინჯებულ ფორმად არის მიჩნეული[160].

153ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 44.

154ჯ.ი.ხ.გ., 2000, გვ. 67.

155იქვე. გვ. 67.

156მ. ხ. ჰაკობიან, Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան, 1998.

157მ. ხ. ჰაკობიან, Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան, 1998 გვ. 489.

158ჯ.ი.ხ.გ., 2000, გვ. 67.

159მ. ხ. ჰაკობიან, Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան, 1998, გვ. 498.

160ს. ჯიქია, 1958, გვ. 287.

ადგილობრივ სომეხთა განმარტებით სამსარში გამოიყოფა **-სარ**, რომელიც მთას ნიშნავს სომხურად. ეს განმარტება სიმართლისაგან შორს დგას, რადგან მაშინ ვღებულობთ ქართულ-სომხურ კომპოზიტს **სამ-სარი**. ასეთი კომპოზიტი ოიკონიმიაში (და საერთოდ) არ გვხვდება. თანაც იმ დროს, როდესაც სამსარი გვაქვს დაფიქსირებული, აქ სომხური მოსახლეობა არ ყოფილა.

სამსარი კომპოზიტური წარმომავლობის სახელი ჩანს. მისი პირველი ნაწილი არის სამი, ხოლო სარი ე-ს პროგრესული, დისტანციური ასიმილაციის გზით მიღებული **სერია.**

ამგვარად, **სამსარი←სამსერი**. ამ ტიპის ასიმილაციის მსგავსი მაგალითებია: **სამახარაბლო**[161]. **გარამოება** (გარემოება)[162]. **სანახვე, საყუდბელი**[163].

რიცხვითი სახელი **სამი** რეალური რიცხვის აღნიშვნით თუ საკრალური მნიშვნელობით ცნობილია ტოპონომიაში, ხოლო სერის შესახებ სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „სერს უწოდებენ მოგრძოდ წამოზიდულს გორასა“[164].

ასეთივე კომპოზიტია **სამგორი** (დაბა, გარდაბნის რაიონი), რომლის მეორე ნაწილიც აგრეთვე რელიეფთან არის დაკავშირებული.

სამი კომპოზიტის შემადგენლობაში კარგავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს, გარდა სამსარისა და სამგორისა, სხვა შემთხვევაშიც: **სამწყარო, სამჩანჩქერი**[165], **სამსარეკი, სამკაკლები** და სხვა.

გეოგრაფიულმა ტერმინმა **სერი** დაუდო საფუძველი სოფლის სახელწოდებას: **სამი სერი სამსარი**, საიდანაც მივიღეთ **ზემო სამსარი, ქვემო სამსარი, დიდი სამსარი, პატარა სამსარი, სამსარის ქედი, სამსარები სამსრები, სამსარის წყალი, სამსარის მინდორი** და სხვ, გვაქვს დიალექტური, რედუცირებული და ნარიანი ვარიანტები: **სანსრის ქედი, სანსრის წყალი** და სხვა, რომელიც პარალელურ ფორმებად იხმარება.

ს ა თ ხ ე

სოფელი სათხე მდებარეობს ნინოწმინდიდან თავფარავნისაკენ მიმავალ გზაზე 5 კმ-ის დაშორებით. იგი არის სასოფლო საბჭოს ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედის დიდი და პატარა არაქალები და ოროჯალარი.

სოფლის შუაში გადის მდინარე, რომლის ერთი ტოტი სათავეს იღებს **ბულდაშენის ტბის** მიდამოებიდან, ხოლო მეორე – **ხანჩალების მთებიდან**, ისინი ეფრემოვკასა და გორელოვკას შორის ერთდებიან. ამ მდინარეს სათხელები **ღარაღალა ჯურს** უწოდებენ. **ღარაღალას** სათხელები უწოდებენ აგრეთვე სპასოვკას, რადგან მდინარე, ვიდრე სათხეში მოვა, გამოივლის სპასოვკას, ანუ ღარაღალას, სახელიც აქედან შერქმევია მდინარეს. მდინარის მეორე სახელია **ჩაი**. ღარაღალა არის თურქული, მისი არმენიზებული ვარიანტი, რომელიც ქართველებმა მესხურ დიალექტში მიიღეს კარაკალა, როგორც **ყარაყალა** ნიშნავს „შავ ციხეს“. ასევე თურქულია მდინარის მეორე სახელი **„ჩაი“** და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჯავახეთის სომეხთა მეტყველებაში ჭარბობს თურქული ლექსიკა, რომლითაც არც მესხური (ჯავახური) დიალექტი არის ღარიბი. ეს სახელები ახალი შერქმეულია, რადგან, როდესაც 1933 წელს ნ. ბერძენიშვილმა მოინახულა სათხე. ამ მდინარეს **უსახელო მდინარეს** უწოდებს და კითხვის ნიშნით გვთავაზობს ბულდაშენი წყალს[166] თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინ გამოჩენილ მეცნიერს არ ჩაუწერინეს რაიმე ცნობა სოფლის შესახებ. „აქ არაფერი სიძველეები არაა, რა სიძველეები უნდა იყოს აქ, ჩვენ არაფერი ვიცით“, – უთხრეს მას.

ბულდაშენის წყალი მართლაც ამ მდინარის ერთ-ერთი ტოტის სათავეა, კერძოდ, იმ ტოტისა, რომელიც სათავეს იღებს **ბულდაშენის ტბიდან**. ამავე მდინარეს **მადათაფის წყალს** უწოდებს სათხის

161შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 134.

162ს. ჟღენტი, გურული კილო, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965, გვ. 284.

163მ. ბერიძე, ჯავახეთი, 1992, გვ. 75.

164ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 84.

165ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, თბ., 1981, გვ. 64.

166ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 69.

მკვიდრი არტუშ სანოსიანი (Ասատյան, 1992:174).

აქვე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არის ორი მთა – ყარაჩალი და ყარათაფა. შავი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შეიძლება მთებს შეერქვას რელიური ფერის გამოც და გადატანითი მნიშვნელობითაც.

1829 წელს სათხის მოსახლეობა გადმოასახლეს არზრუმიდან, კერძოდ, როგორც სომეხი ტოპონიმისტები მიუთითებენ, სოფლებიდან: **სოგიუთლიდან, ნალკიდან** და **ჯენიდან** (Կարապետյան 2006:430).

სომეხთა ჩამოსახლება და ადგილობრივ მუსლიმ ქართველთა გასახლება ხდებოდა ადმინისტრაციული წესით და არა სტიქიურად. ვიდრე სომხებს შემოასახლებდნენ, რუსეთის ხელისუფლებამ მოამზადა საფუძველი, ყველაფერი გააკეთა, რომ ადგილობრივ მაჰმადიანებს, ვინც არ გაიქცა, გაეყიდათ მამულები. ცნობილია, რომ ახალქალაქის ხანჯაყ-ბეგმა მიუთიბეგ ფალავანდიშვილმა ჯავახეთის 29 სოფელი ხაზინას 3600 მანეთად მიჰყიდა[167]. მისი შთამომაელები სოფ. ხოსპიოში მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე ცხოვრობდნენ.

1830 წ. მაისში დაიწყეს გადმოსახლება არზრუმის სომხებმა. მათ მიიღეს რუსეთის ფარგლებში შემოსასვლელი პასპორტები. გადმოსახლებულ არზრუმელებს და ბაიაზეთელებს გამოუძღვნენ მათი მწყემსმთავრები: არზრუმელი არქიეპისკოპოსი **კარაპეტ** და არქიმანდრიტი **სერაფიმ**. არზრუმელი კოლონისტები ერთხანს მდ. არფაჩაიზე გააჩერეს, სადაც გაიარეს კარანტინი – აქვე მიიღეს განაწესი, თუ ვინ სად დასახლდებოდა. გადმოსახლების დაწყებისთანავე კომიტეტმა ახალციხეში მიავლინა კაპიტანი ჭილაევი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა წესრიგისათვის, მართლაც გადმოსახლების დროს შეიქმნა მკაცრი წესრიგი..... ბოქაულ ჭილაევს (ჭილაშვილი) დაევალა მიეზომა კოლონისტებისათვის მიწა. მასვე მიჰყავდა გადმოსახლებულები შერჩეულ ადგილზე და სოფლებს აბარებდა ოქმით[168].

ასეთ პირობებში რაიმე ტოპონიმურ ან ონომასტიკურ ინიციატივაზე, როგორც ეს შემდეგ რუსეთიდან ჩამოსახლებულებმა დუხობორებმა გააკეთეს, ლაპარაკი ზედმეტი იყო. საორიენტაციო, სამისამართო ფუნქცია გაუცხოველდა ცარიელ სოფელთა სახელებს. სოფლები, სადაც ხდებოდა კოლონისტების შესახლება, ბარდებოდა მათ სახელითა და ოქმით.

შემდგომისათვის მოხდა ბევრი ახალი სახელის შექმნა, მაგრამ ეს შეეხო ზოგიერთ მთას, მინდორს, ან ითარგმნა სახელები. ვთქვათ, **შავმთა** გახდა **ყარათაფა** და სხვა. ან **ამირანის გორას** დაერქვა **ტავაშანთაფა**. ახალი, რაც იქმნებოდა, იყო მიკროტოპონიმია.

ჯავახეთი, მართალია, წყალუხვი მხარეა, ბევრი მდინარე და ტბა არის მის ტერიტორიაზე, მაგრამ საწისქვილე ადგილი ნაკლებია. სათხის მიდამოებში კი შვიდ ნაწისქვილარს მიუთითებენ, რომელთაგან მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ერთი კვლავ მოქმედებდა. ასე შეიქმნა მიკროტოპონიმიაში წისქვილთა სახელები, რომელთა კომპოზიციის დროს მსაზღვრელად გამოიყენებოდა მეპატრონის გვარი:

სანოსიენც ჯალაცკნერ (ორი წისქვილი იყო).
ღაფოენც ჯალაცკ (Ղაֆոենց ջաղացկ)
ასოენც ჯალაცკ (Ասոենց ջաղացկ)
ანანიგენც ჯალაცკ (Անանիգենց ջաղացկ)
ცარუგენც ჯალაცკ (Ցարուգենց ջաղացկ)
სიქასენც ჯალაცკ (Սիքասենց ջաղացկ)
დერდერანც ჯალაცკ (Դերդերանց ջաղացկ)
ხანოენც ჯალაცკ (Խանոենց ջաղացկ)

მიკროტოპონიმიის შექმნისას მდინარისპირა დასახლებებში, ბუნებრივია, წისქვილის სახელებთან ერთად სჭარბობს ხიდების სახელები. ცენტრალურ გზაზეა ხიდი, რომელიც სათხის ტერიტორიაზეა, გაკეთდა 1941 წელს, იგი ჯარისკაცებმა გააკეთეს, ამიტომ მას სალდედინ კარმუჯს (Սալդեդին կարմուջս) უწოდებენ („**სალდათის ხიდი**“).

167შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 353.

168იქვე, გვ. 356.

გომრულნ კარმუჯ, სალდიდინ კარმუჯიდან მდინარის დინების საწინააღმდეგოდ არის გადებული. მას აქვს პარალელური ფორმა **გომურიც**. სათხელების მეტყველებაში გომური არის საქონლის სადგომი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იქ ფერმები იყო საქონლისა.

ჯეჰკოიანებს გაუკეთებიათ ხიდი, ამიტომ ამ ხიდს **ჯეჰკოიენც კარმუჯ** ჰქვია. გამკეთებლებიც ხიდთან ახლოს ცხოვრობენ. ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხიდი სოფელში არის ხიდი, რომელიც სკოლასთან ახლოს არის და საბჭოს შენობასთანაც, მაგრამ მას **დებროცინ კარმუჯ** ჰქვია, რაც „სკოლის ხიდს“ ნიშნავს. ასევე არის ხიდები, რომელთაც გამკეთებელთა გვარების მიხედვით ჰქვია: **ძარუგენც კარმუჯ** და **სიქსიენც კარმუჯ**.

წყაროების სახელებიც ან მათი გამკეთებლის გვარის მიხედვით არის შერქმეული ან საცხოვრებლის სიახლოვის გამო. აი, სოფლის წყაროთა სახელები: **ღაბაენც ახპურ, სუქსიენც ახპურ, ღაფოენც ახპურ** და სალდიდინ კარმუჯთან არის წყარო, რომელსაც **სალდიდინ ახპურ** („სალდათის წყარო“) ჰქვია. მოტივაცია სახელდებისა ადვილი ასახსნელია, რადგან წყაროც ისევეა „სალდათების“ მიერ გაკეთებული, როგორც ხიდი.

მიკროტოპონიმები, რომელიც წარმოვადგინეთ, ჩაწერილია მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. მაშინდელი ინფორმატორები იყვნენ: ხაჩატრიან ხაჩიკ ავეტისის ძე, დაბ. 1934 წ; საირატიან კარაპეტ საირატის ძე, დაბ. 1921 წ; ბროიან ჰარუთიუნ ზორიგის ძე, დაბ. 1927 წ.

შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც მოვიდნენ არზრუმიდან კოლონისტები და გამოანაწილეს სათხეში, მათ უკვე აღარავინ დახვდათ ადგილობრივ მოსახლეთაგან, რადგან არც ერთი გაუმჭვირვალე მიკროტოპონიმი არ შეგხვედრია. ყველა სახელი შექმნილია ჩამოსახლების შემდეგ. რატომ არ შეიცვალა სოფლის სახელი? როგორც უკვე ითქვა, ადმინისტრაციული ხასიათის მიგრაციებს ახასიათებთ ასეთი რამ – რჩება აბორიგენთა ოიკონიმია, ისპობა მიკროტოპონიმია.

რა შეიძლება ითქვას სოფლის ისტორიის შესახებ? სათხე მოხსენიებული არ არის ამ მხარისათვის ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორიცაა ოსმალეთის მიერ 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, მაშინ როდესაც მის გარშემო არსებული სოფლები აღწერილია დეტალურად? პასუხი შეიძლება შემდეგნაირად გაეცეს ამ კითხვას: ან გამორჩა ოსმალო მოხელეს, ან თავისთვის „შეინახა“, ე. ი. სოფლიდან აკრეფილ გადასახადს უმალავდნენ ხელისუფლებას. სოფელი რომ გაუკაცრიელებული ყოფილიყო, „დავთარში“ აისახებოდა სათანადო ფორმით ისე, როგორც მრავალი ნასოფლარი. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს იმავე ოსმალთა მიერ შედგენილი „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“ რომელიც 1694-1732 წლების პერიოდს მოიცავს და, სადაც აკშეჰირის ნაჰიჲეს ახალქალაქის ლივაში სათხე ჩვეულებრივ არის აღწერილი[169]. ხომ არ გაჩნდა სოფელი. 1595 წლის აღწერის შემდეგ? ამ კითხვასაც უარყოფითი პასუხები უნდა გაეცეს, რადგან მის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ.

სახელის ფორმა და მნიშვნელობა იწვევს გარკვეულ ინტერესს, რადგან იგი რამდენიმე სახით არის შემონახული. მისი ძირითადი ფორმა არის **სათხე**, რომლის რუსული რუკების ვარიანტები დამოწმებული აქვთ სომეხ ტოპონიმისტებს **სატხეს** სახით. გვაქვს აგრეთვე ფონეტიკური ვარიანტი **სათხა** და რუსული ფორმა **სატხა**. ასევე ფონეტიკური ვარიანტებია: **საბხა, სადხა, სათლა**. (Ա. Ալոյան, Մեհրաբխչյան, Բախտիյան 1998:463). აშკარაა, რომ სახელი საქართველოს ფაუნის სამყაროს უკავშირდება, კერძოდ ამოსავალი არის **თხა**, რომელიც გაფორმებულია სა-ე აფიქსებით თხა სიტყვისგან საქართველოს ტოპონიმიაში მრავალი ტოპონიმია ნაწარმოები: მოვიყვანთ მაგალითებს „საქართველოს ტოპონიმიის (მასალები)“ III ტომიდან, (2003 წ.), რომელშიც მოცემულია ქვემო იმერეთის ტოპონიმები: **თხამაკლა** (საძოვარი) **თხადაწვია** (სახნავი, ტყე) **თხაწითელა** (საძოვარი), **თხებისკლდე** (ტყე)...

აფიქსებით ნაწარმოები სახელებიც იმავე არეალში გვაქვს: **სათხებიო** – სახნავის და **სათხია** – მაღლობი. ჩამოვთვლით **სა–ე** აფიქსებით ნაწარმოებ ცხოველ-ფრინველთა სახელებს, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება იმავე არეალში და არ მივუთითებათ გვერდებს, რადგან შრომას ლექსიკონის სახე აქვს და მოძებნა არ გაჭირდება, ასევე არ მივუთითებთ ობიექტის სახელებს, რადგან ისინი

169 აბულაძე, სვანიძე, ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, გვ. 139.

ძირითადად ტყის, მინდვრის, მთათა და სავარგულების სახელებია. აფიქსებს გამოვყოფთ და ამით გამოიყოფა შესაბამის ცხოველ-ფრინველთა სახელები: **სა-არჩვ-ე, სა-ფუტკრ-ე, სა-ქათმ-ე, სა-ქორ-ე, სა-გუგულ-ე, სა-ირმ-ე, სა-იხვ-ე, სა-მტრედ-ე, სა-სირ-ე, სა-წურბლ-ე, სა-ღორ-ე, სა-კალმახ-ე, სა-კვერნ-ე, სა-შაშვ-ე, სა-ცხენ-ე, სა-ნიწილ-ე, სა-ჭი-ე, სა-ხარ-ე.** იმავე მნიშვნელობით, ხშირად პარალელურ ფორმად გვერდიგვერდ არის გამოყენებული **სა—ია** აფიქსები: **სა-ბატ-ია, სა-ტურ-ია, სა-ქორ-ია, სა-შაშვ-ია, საბზიკ-ია, სა-გველ-ია, სა-ყანჩ-ია, სა-გოჭ-ია, საჩ-ხიკვ-ია, სა-მგლ-ია, სა-თიკნ-ია, სა-ირმ-ია, სა-წურბლ-ია, სა-ღორ-ია, სა-ლეკვ-ია, სა-მამლ-ია, სა-მაჩვ-ია, სა-ჩიტ-ია, საკვატ-ია, საკვერნ-ია, სა-კურდღლ-ია, სა-კატ-ია, სა-კამბეჩ-ია, სა-კაკბ-ია, სა-თაგვ-ია, სა-დათვ-ია. სა-მერცხლ-ია, სა-მტრედ-ია...** გვაქვს სხვა აფიქსებითაც ნაწარმოები, მაგრამ აღარ გავაგრძელებთ. **სა—ე** აფიქსების პარალელურად გვხვდება **სა—ა** აფიქსები იმავე დანიშნულებისა: ბუსაგან არის ნაწარმოები სოფლის სახელები **სა-ბუ-ე** ახმეტისა და ყვარლის რაიონებში. ქვემო იმერეთის „მასალებში“ კი გვხვდება როგორც **სა-ბუ-ე**, ასევე **სა-ბუ-ია** და **სა-ბუ-ა**. ფუტკრისაგან – **სა-ფუტკრ-ე** და **სა-ფუტკარ-ა**. გველისაგან – **სა-გველ-ა-ს** წყარო[170]. არის მაგალითები, სადაც ფრინველ-ცხოველთა გარდა გხვდება სხვაგანაც **სა—ა** მწარმოებლები იმავე „მასალებში“: **სა-რეკ-ა, სა-რეკ-ი, სა-რეკ-უბ-ი, სა-ბზეურ-ე, სა-ბზეურ-ა; სა-ბეკ-ა** (ბეკი ფერდობი); **სა-თიბ-ე, სა-თიბ-ა; სა-გრიალ-ა** და სხვა. ჩვენ შემოვიფარგლეთ ძირითადად იმ ტოპონიმური მასალით, რომელთაც პარალელური ფორმები გააჩნიათ.

ამგვარად, **სა-თხ-ე** და **სა-თხ-ა**, ორივე ერთი და იმავე ენობრივი არეალის ფარგლებში განიხილება, ორივე ერთი და იმავე დანიშნულების **სა-ე** და **სა-ა** აფიქსებით არის გაფორმებული. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია ტოპონიმიაში. ვთქვათ, იმავე ჯავახეთის ცნობილი სოფელი **ბარალეთი** გვხვდება როგორც **ბარალეთის**, ასევე **ბარალისის** ფორმით. არ არის გამორიცხული თურქული ენის გავლენაც. მაგალითად, თურქებმა **-ე** ხმოვანზე დაბოლოებული ცნობილი ქართული სახელი **ახალციხე** აქციეს **ახსხად, ახელცხად**[171].

სხვადასხვა ოჯახთა ენების შეხვედრის დროს, როდესაც ერთი ენის ფონეტიკური არსენალი განსხვავდება მეორისაგან, ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია, მით უმეტეს, თუ ენობრივ ფაქტორებს დაემატება ადმინისტრაციული ზეწოლაც.

გზიდან შორიდანვე ჩანს სოფლის შუაგულში 1877 წელს აგებული სომხური გუმბათიანი ეკლესია[172]. იგი 1830-იან წლებში გადმოსახლებულმა სომხებმა ააშენეს. სომეხი ტოპონიმისტები ამის შესახებ წერენ, რომ სოფელში ძველი ეკლესიის ადგილას აშენდა ახალი ეკლესია. მის გვერდზე 1875 წელს მოქმედებდა დაწყებითი სკოლა 55 მოსწავლით. ძველ ეკლესიაში თუ 1830-იანი წლებიდან 1875 წლამდე რამე იყო აშენებული, ალბათ ის იგულისხმება. კარგი იყო მითითებულიყო სულ სხვა რამ, რომ „სოფელში შემორჩენილია ძველი ისტორიული ძეგლები -ციკლოპური ციხის ნაგებობა, რომელსაც მტკვარ-არაქსის ეპოქით (ძვ. წ. აღ.-ით III ათასწლეული) ათარიღებენ მკვლევარები. აქვე დგას XI საუკუნის ქართული ეკლესია. ციხის კედლების დიდი ნაწილი დარღვეულია, გადმოსახლებულებს მისი ქვები სახლების ასაშენებლად მოუხმარიათ, ხოლო სახურავჩაქცეული და ნაწილობრივ კედლებგამორღვეული ეკლესია გაპარტახებულია და რესტავრაციას საჭიროებს, ქართული ეკლესიისათვის XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთიდან სომხური ეკლესია მიუშენებიათ, რომელიც ასევე მოუვლელია და დაზიანებული[173].

1933 წელს სათხეს დასცქეროდა უზარმაზარი ციხის ნანგრევები, რომლის ქვებსაც სამშენებლოდ იყენებდნენ. ამ ციხის სახელად ნ. ბერძენიშვილს ჩაწერილი აქვს **იშყალა**[174].

ქართულ ეკლესიაზე თავის დროზე იყო ბევრი ქართული წარწერაც. თითქმის იმავდროულად, როდესაც აშენებენ სომხურ ეკლესიას, სათხეში იწყება ქართული ეკლესიისა და წარწერების მეცნიერული შესწავლა.

170 საქართველოს ტოპონიმია, 1989, გვ. 156.

171 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 42.

172 ჯ. ი. ხ. გ. 2000, გვ. 26.

173 ვ. სილოგავა, სათხის წარწერები, კრებ.: ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2002, გვ. 127.

174 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 72.

შეიძლება ამაზე არც გამახვილებულიყო ყურადღება, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, როდესაც ლამის მთელი ქართული ეკლესიები ცხადდება არაქართულად და სომეხთა მიერ მითვისებულად, საინტერესოდ გვეჩვენება სათხის წარწერების ბედი. ჩვენს მიზანს, რა თქმა უნდა, არ შეადგენს სათხის წარწერების ანალიზი, მაგრამ მივუთითებთ კიდევ ერთხელ იმ წარწერებზე, რომლებიც მე-19–მე-20 საუკუნეებში დააფიქსირეს ქართველმა მეცნიერებმა: ი. როსტომაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ვ. ცისკარიშვილმა და ვ. სილოგავამ: **„ქრისტე შეიწყალე ერემია“, „ქრისტე შეიწყალე ხარაისძე“, „ქრისტე შეიწყალე გიორგი“, „ქრისტე შეიწყალე ძე ბეშქენისა“, „ქრისტე შეიწყალე იოვანე“, „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ ერისთავი: აღაშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცავად“; „ქრისტე შეიწყალე ცხორებაი“.**

„სამწუხაროდ, სათხის ეკლესიის კედლებზე, ცხორებას წარწერის გარდა, ამჟამად არცერთი ზემოთდასახელებული წარწერა აღარ მოიპოვება[175]. 1979 წელს კი ჯერ კიდევ იყო გიორგის წარწერაც.

ზემოთ ჩამოთვლილი წარწერებიდან ერთი, ფარსმან ერისთავთ ერისთავისა, არის სამშენებლო წარწერა და ეკუთვნის XI საუკუნის ცნობილ მოღვაწეს, ბაგრატ IV-ის დროინდელ ფარსმან თმოგველს, რომელსაც უკავშირდება ამ მხარეში კიდევ ორი წარწერა ზედა თმოგვისა და მირაშხნისა, რომლის ცნობით ფარსმანი 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა სულთან ალფ-არსლანის შემოსევისას, ახალქალაქის ციხის გარემოცვის აღებისა და გადაწვის დროს დაილუპა[176], ამგვარად, ვიცით, ვინ არის ეკლესიის მშენებელი და როდის არის აშენებული, ვიცით აგრეთვე „მლოცველების – ცხორებას, გიორგის, იოვანეს, ხარაისძის, ბეშქენის ძის წარწერები“, რომლებიც მე-11–მე-12 საუკუნეებში ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ამ ტაძარში. სათხის ტაძარს მლოცველები ჰყავდა, ვიდრე გამუსლიმდებოდა ჯავახეთი, ხოლო შემდეგ მუსლიმები არ ანგრევენ თავიანთ წინაპართა სალოცავს და ისე გადასახლდებიან ჯავახეთიდან 1829 წელს, რომ ტაძარი და წარწერები ცოცხლობს. თავდაპირველად არც ჩამოსახლებული კოლონისტები ახლებენ ხელს ქრისტიანულ ტაძარს, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ნადგურდება ძირითადად სათხის ეპიგრაფიკა.

1933 წელს ჯავახეთში მოგზაურობის დროს ნ. ბერძენიშვილი წერს: „სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ აქ მრავალი წარწერა განზრახ ამოუფხეკიათ. ზოგი მათგანი ივ. როსტომაშვილის აქ ყოფნის უწინარეს უკვე ამოფხეკილი ყოფილა. მას არ მოჰყავს ის წარწერანი, რომელთა ნაკვალევი აშკარად ჩანს, ეტყობა ეს სამწუხარო ფაქტი მას ვერ შეუნიშნავს... მაგრამ ასეთი საქმიანობა ამ მკვლევარს აქ ყოფნის შემდეგაც გაგრძელებულა და მის მიერ გადმოლებულ წარწერათა უმრავლესობა ამოშლილ-განადგურებულია[177].

ქართული ეკლესიის სამხრეთის კედელზე მიშენებულმა სომხურმა ეკლესიამ ერთი სასიკეთო შედეგი გამოიღო. გადაარჩინა ვრცელი წარწერა, რომელიც მაშინ შელესეს. „1990 წლის გაზაფხულზე სომხური ეკლესიის სახურავი ჩრდილოეთ მხარეს ჩაინგრა, ამის შემდეგ ნაწილობრივ გაშიშვლდა ქართული ეკლესიის სამხრეთი კედელი, ჩამოიშალა კირის სქელი ფენა, ზოგი ჩამორეცხა წვიმამაც და აქ, დიდი ზომის ქვის ფილაზე ამოკვეთილი აღმოჩნდა ნუსხა-ხუცური დამწერლობით შესრულებული ქართული წარწერა 11 სტრიქონად“[178].

საბედნიეროდ, მე-20 საუკუნის მიწურულს სათხის ინტელიგენტმა ადამიანებმა არ იკადრეს წარწერის გადაფხეკა და შესაძლებელი გახდა მისი წაკითხვა. წარწერა გამოსცა პროფესორმა ვ. სილოგავამ. წარწერის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოვიყვანთ მას სრულად. ქარაგმების გახსნითა და გამომცემლისეული წაკითხვა-შესწორებებით: „გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე რაჲცა ზედაშე და სეფისკუერი გამოვიდეს, ბარბარობაჲ და მეორედ მოსლვაჲ, ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვაჲ, ჩუენმან მომავალმან და ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს; ამენ“.

წარწერა XII-XIII საუკუნის მლოცველთა წარწერების ოდნავ მომდევნო ხანისაა[179]; თითქოს გული

175 ვ. სილოგავა, სათხის წარწერები, გვ. 128.

176 იქვე, გვ. 129.

177 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 70.

178 ვ. სილოგავა, სათხის წარწერები, გვ. 131.

179 იქვე, გვ. 131.

უგრძნობდათ გიორგი შაზელის ძესა და მის შვილებს ტაძრის მომავალთან დაკავშირებით, რომ სააღაპე წარწერა წყევლით დაამთავრეს: „ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს“.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. თანდათან ხდება არა მარტო ქართული ეკლესიის წარწერების საბოლოო კვალის წაშლა, კეთდება სომხური წარწერები. 1979 წელს უკვე გაჩნდა ახალი სომხური წარწერები ქართული ეკლესიის დასავლეთის კედლის თავზე. ისინი ასე იკითხება: 1. მოიგონებდით პოღოსიან ბაგრატს; 2. მოიგონეთ ბეროიან სარქის. „ტრადიციად მკვიდრდება სათხეში შესასდობრის თხოვნა ქართული ეკლესიიდან, რადგან ერთი ქვა, რომელიც დაბლა დაუმუშავებიათ, ე. ი. ამოუკვეთიათ საკმაოდ ღრმად და შემდეგ შეუდგამთ კედელზე, უკვე დაძველებულა“, ხავსი მოსდებია (თუმცა შეიძლება პერანგის ქვაც იყოს), ხოლო მეორე ჯერაც ახალია, ჩაცემენტებისას გადმოლვენთილი ცემენტი ისევ თეთრი ფერისაა. ჩვენ ბაგრატისა და სარქისის შენდობის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ერთ დროს საეჭვოა, სამტკიცებელი არ გახდეს უძველესი ეკლესიის ქართულობა“[180].

თითქოს ყველაფერი ნათელია, სოფლის სახელი **სათხე** გამჭვირვალეა, მაგრამ არის ზოგი გამრუდებული შეხედულება სახელის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, რაზეც გვინდა მივუთითოთ: **ე. ლალაიანი** (1864-1931) კარგად იცნობდა ჯავახეთს. იგი მოღვაწეობდა ახალციხესა და ახალქალაქში. ახალქალაქში მასწავლებლად ყოფნის დროს, 1880 წელს შეაგროვა მასალა ჯავახეთის შესახებ. პირველად სწორედ ე. ლალაიანმა აღწერა სათხე და მოგვცა სახელის ხალხური ეტიმოლოგია. მისი თქმით, თვითონ სოფლელები ამბობენ, რომ ბატონს რქმევია სახელი **სათლ**, საიდანაც ეწოდა სოფელს სახელი. სოფელში სომხური მოსახლეობა გაჩნდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. 50 წლის შემდეგ ე. ლალაიანს ჩამოსახლებული კოლონისტები აწვდიან სოფლის სახელის ეტიმოლოგიას, რომელიც თურქების მიერ დაფიქსირებულია მე-18 საუკუნის დასაწყისში და, რომლის ტერიტორიაზე მდგომი ქართული ეკლესია XI საუკუნისაა, მას აქვს სამშენებლო წარწერა იმ პერიოდის, ამიტომ ეს ეტიმოლოგია არის გულუბრყვილო ხალხური გააზრება სახელისა.

სათხის ე. ლალაიანისეული ეტიმოლოგია გაიმეორა **სამველ კარაპეტიანმა**, რომლის მიხედვითაც ადგილობრივებმა სოფელს სახელი უწოდეს ადამიანის სახელის მიხედვით.

სტეფანოს ორბელიანი (სტეფანოს განძაკელი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-13 საუკუნეში (1258-1309). მას ეკუთვნის ცნობილი თხზულება „ცხოვრება ორბელიანთა“. სტეფანოს ორბელიანი ცნობილია აგრეთვე სივნიელის სახელითაც, როგორც სივნიეთში ანუ სისასაკანში მოღვაწე ეპისკოპოსი. სტეფანოს ორბელიანის თხზულების ქართული თარგმანი შემონახულია მე-18 საუკუნის ნუსხებით, მათ შორის დედანთან ახლოს დგას 9-3428 ნუსხა, რომელიც 1682 წლის ნუსხიდანაა გადმოწერილი[181].

ორბელები საქართველოში ფეოდალური საგვარეულო იყო XII-XIII საუკუნეებში. მამულობით ფლობდნენ ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი. ორბელთა დაცემა დაკავშირებულია მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხებასთან. ორბელთა ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი კი სამშობლოდან გააძევეს. ორბელიანთა ნაწილი გასომხდა, ზოგიერთი კი თამარ მეფის დროს საქართველოში დაბრუნეს და ორბეთი და სხვა მამულიც დაუბრუნეს (ივ. ჯავახიშვილი).

1177 წელს გიორგი III-მ შეძლო აჯანყების ჩახშობა. განსაკუთრებით სასტიკად მოექცა იგი ორბელებს. როგორც უკვე ითქვა, დემეტრე უფლისწული დასაჯეს და თვალები დასთხარეს.

სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ქართულ თაგმანში ამ ფაქტის შესახებ ვკითხულობთ: „ხოლო გიორგი მეფემან შურითა აღმოხოცნა იგინი ნათესავითურთ ქვეყანისაგან ქართლისა, რამეთუ აღმოხოცნა სახელნი მათნი ცხოვრებათაგან თვისთა და ყოველთაგან წიგნთა და ეკლესიათაგან“[182].

180 მ. ბერიძე, ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში, 1979 წელს), ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, 2002, გვ. 380.

181 სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 19.

182 იქვე, გვ. 30.

ა. სანოსიანი ამ აჯანყების დეტალებზე მსჯელობისას ცდილობს სათხის ლოკალიზაციას. თითქოს გიორგი მეფე **სათხეში (სათხაში)** იმყოფებოდა, როდესაც დემნას (დემეტრე დავითის ძე) აჯანყება მზადდებოდა.

სტეფანოს ორბელიანი წერს: „ხოლო ასაკოვნობასა ჭაბუკობისა დიმიტრისას მჯდომარე იყო იოვანე ძმითა და ძითურთ თვისით აგარაკად, სახელდებულსა მას დარბაზს და მხიარულ იყვნენ ერთობით. და მოვიდნენ მისა დიდთა დიდებულთაგანი და მოვიდა დიმიტრიცა და ეტყოდა მას: „მოიხსენე იოვანე, აღთქმა შენი და ფიცი, რომელ ეფუცე მეფესა დავითს და ნუ თანა-წარხდები აღთქმასა. რამეთუ აჰა მოწევნილ არს ჟამი მეფობად ყრმისა დიმიტრისა, და გიორგი მჯდომარე არს მცხეთას კაცთა მიერ მცირეთა და ჩვენ ყოველი მტკიცე ვართ ფიცსა მას ზედა, რომელ ვეფუცეთ მამასა ამისა“[183].

მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი ზის მცხეთას „კაცთა მიერ მცირეთა.“ ხოლო შეთქმულები, კერძოდ, იოვანე ორბელი „მჯდომარე იყო“ „აგარაკად სახელდებულსა მას დარბაზს და მხიარულ იყვნეს ერთობით“. სად იყო ეს აგარაკად წოდებული დარბაზი? 1123 წელს ბრძოლებში დამსახურებისათვის დავით აღმაშენებლისაგან, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, „მიეცა მას მეფისაგან ლორე სოფლითა და აგარაკითა თვისითა და ადგილად დარბაზისა სამშვილდე“[184]. შეთქმულებისათვის სამშვილდეში სადარბაზო პირობები იყო. სამშვილდე საქართველოს ისტორიაში ცნობილი ციხე-სიმაგრეა. ლეონტი მროველის ცნობით, სამშვილდე გაშენებული იყო სამკუთხა კონცხზე, რომლის ზედაპირი ვაკეა. გვერდების, ღრმა ხეობებში მდინარეები მიედინება, სამხრეთით ხრამი და ჩრდილოეთით – ჭივჭივა[185].

მოქმედება ხდება თბილისისა გარშემო მცხეთასა და სამშვილდეში.

სამშვილდეში შეკრებილი შეთქმულების „ესმა განზრახვა ესე შეურაცხსა ერთსა, ყრმასა და წარვიდა ღამე და ამცნო მეფესა. ხოლო იგი ამხედრდა ცხენსა და ილტვოდა მყის, და შევიდა ტფილისს, და მუნ მტკიცე იქმნა“[186].

თხრობა მარტივი და დამაჯერებელია სამშვილდიდან მცხეთაში ერთ ღამეში ჩადის „ყრმა“, გიორგი მეფის კაცი, შეატყობინებს შეთქმულების ამბავს და გიორგი მეფე გამაგრდება თბილისში, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდება აჯანყების შემდგომ ბედზე.

დამაჯერებელი არ არის და საფუძველს მოკლებულია შემდეგი მტკიცება: „დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მეფე იმყოფებოდა თავის სამფლობელოში, თავის ციხეში, რომელიც მდებარეობდა ჯავახეთში. ეს ციხე სწორედ „სატხე“ იყო, რომელსაც ამჟამად „სათხა“ ეწოდება“[187].

ზემოთ მოყვანილი აჯანყების ეპიზოდის თარგმანი ქართულად ორი ნუსხით არის მოღწეული. პირველში, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, გიორგი მეფე აჯანყების მომენტში ზის მცხეთაში, ხოლო მეორე ნუსხაში ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „აჰა, მოწევნილ არს ჟამი მეფობისა ყრმისა ამის დემნასი, და გიორგი ზის სახატესა მას მცირედითა კაცითა და ჩუენ მტკიცედ ვართ ფიცისა მამისა ამის ზედა“[188].

დედნის ტექსტს ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად იმეორებს მეორე ვარიანტი. დედანში არის **სახატე**[189].

როგორც ჩანს, პირველი ნუსხის მთარგმნელმა თუ გადამწერმა გიორგი მესამის ადგილსამყოფელი დააზუსტა უფრო ცნობილი ტოპონიმით, როდესაც **სახატე** შეცვალა **მცხეთით**, სახატე ნიშნავს ხატის ადგილს, წმინდა ადგილს. მართალია, დღეს ამ სახელის გეოგრაფიული პუნქტი მცხეთაში არ შემოგვრჩენია, სამაგიეროდ გვაქვს **ხატის ქედი**. მცხეთა-საგურამოს შორის[190]. ამავე რაიონში გვაქვს

183იქვე, გვ. 44.

184იქვე, გვ. 39.

185ა. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002, გვ. 61.

186სტეფანოს ორბელიანი, გვ. 45.

187სანოსიანი 1992:176.

188სტეფანოს ორბელიანი, გვ. 44.

189იქვე, გვ. 122.

190ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 76.

ხატიკარი ნასაყდარი **ხატიკრის ქედზე**. **ხატიკრის ქედი ხატის ქვა**, სალოცავი და სხვა[191]. სახატე ისევეა ნაწარმოები, როგორც იმავე მიდამოებში უძველესი ტოპონიმი **სარკინე**.

აუხსნელია, როგორ შეიძლება დაუკავშირდეს სახატე **სატახეს**, როგორც ეს მითითებული აქვს ბატონ ა. სანოსიანს. რამდენად მისაღებია ასეთი ბგერათა გადასმა. ქართულში ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან აბსოლუტურად იცვლება სიტყვის სემანტიკა. სახატე თუ ნიშნავს ხატის ადგილს, სატახე არის ტახის ადგილი, ამიტომ მსგავსი მეტათეზისი ქართულს არ ახასიათებს.

ვფიქრობ, ეს დაკავშირება ხელოვნურია და მიზანმიმართული, რომ როგორმე სათხეს დაუკავშირდეს სატახე და ბოლოს ითქვას, რომ სათხე იგივე სატახეა.

ასევე არის **სატახა** და ბოლოს **სათხა**, რომელიც დამოწმებულია თითქოს სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში. რეალურად სათხა ამ წყაროში არ არის დამოწმებული. მცდარია ლოკალიზებაც. შეუძლებელია, რომ რაგინდ კარგი ცხენი ჰყავდეს, სათხიდან ყრმა ჩავიდეს თბილისში, გაიაროს ერთ ღამეში 150 კილომეტრზე მეტი.

ამგვარად, სოფელ სათხის სახელი გამჭვირვალეა, იგი მიეკუთვნება ქართულ გეოგრაფიულ სახელთა რიგს, დარქმეულია ქართველთა მიერ, რასაც სოფლის ტაძრის ეპიგრაფიკა უეჭველს ხდის.

აწყური

მიუხედავად იმისა, რომ აწყური ტერიტორიულად სამცხეში მდებარეობს, პრობლემატიკით ენათესავება სათხეს. ზოგიერთი უცხოელი მეცნიერის მოსაზრებით, აწყურის ისტორია-ეტიმოლოგია ისევეა გაყალბებული, როგორც სათხისა, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ აქვე დაგვემოწმებინა შემდეგი იგავ-არაკი:

„ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ, წავიდნენ გზასა, გასავალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო.

კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმან უპასუხა: რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინოთო.

კუმ დაიყურყუმელავა და მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო“.

ეს იგავი დიდ ქართველ მწერალსა და ლექსიკოლოგს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის. მართალია, ძნელად თუ დააჯერებ ზოგიერთ სომეხ ჟურნალისტს, რომ ორბელიანები ქართველები არიან, მაგრამ ეს ასეა.

ორბელთა (ორბელიანთა) ფეოდალური საგვარეულო XII-XIII საუკუნეების საქართველოში ფლობდა ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი[192]. **ორბეთი** გამჭვირვალე სახელია, ორბების სახელს დაერქმეოდა ხოლმე. მასში – **ეთ** გეოგრაფიულ სახელთა მწარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩამოსცილდება ტოპონიმს, თუ მას დაერთვის წარმომავლობის სუფიქსი –ელ-ი. ვთქვათ: კახეთი და კახელი, იმერეთი და იმერელი, ბანძა (სოფელი), აქედან გვარი ბანძელაძე. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, თვით დიდი სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანი, წერს ამის შესახებ: „განუტეხელი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო ჴელითა ქართლოსისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა ადგილად სიმაგრისად... დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ციხისა მისგან მრავლით ჟამითგან **ეწოდნეს ორბელიანნი**, ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილსათა სახელისდებათ მთავართა, ვითარცა მთეულთა – მთეულნი, მრაჭველთა – მრაჭველნი და ჰერელთა – ჰეროსთონი, და ჯავახთა – ჯავახნი, და კახთა – კახნი და ლიხელთა – ლიხელნი და სხვანი მრავალნი“[193].

191ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, 2007, გვ. 174.

192ივანე ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 508.

193სტეფანოს ორბელიანი, გვ. 28-29.

ტოპონიმთა დამახინჯება სამწუხარო ტენდენციაა[194]. ტენდენციურობა შეიძლება განაპირობოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გადაჭარბებულმა შეფასებამაც და მეზობელი ხალხების, ქვეყნების წარსულისა და დღევანდელობის შეუფასებლობამაც. ტოპონიმთა ეტიმოლოგიის არასწორი ინტერპრეტაცია ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ზოგიერთ მეცნიერს. ჯავახეთის სოფელ სათხის ტენდენციური ეტიმოლოგიის შემდეგ აქვე საჭიროდ ვცანით სამცხის ერთი უძველესი ტოპონიმის შესახებაც საუბარი, რადგან დამოკიდებულება ქართული ტოპონიმების მიმართ საერთოა და ასევე საერთოა რეგიონი სადაც ეს ორივე ისტორიული სოფელი მდებარეობს. მინდა მივუთითო ფაქტზე, როგორ ცდილობს ორი მეცნიერი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელი, თავიანთი ქვეყნების ენობრივ-კულტურულ არეალში მოაქცეს ქართული სოფლის სახელი, **აწყური**. აზერბაიჯანელი მეცნიერი წერს: „Также с гурами связаны названия сел Азгур (по-груз. Ацкури) в Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г.Телави. Именно в этом регионе в IV-VI вв. действовали и проживали упоминавшиеся сабиры[195].

ამ მეცნიერისათვის მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის ფუძეს, მწარმოებლებს, საერთოდ, ლინგვისტურ მორფემებს. სიტყვის ნებისმიერ ნაწილში თუ დაინახავს ბგერათა მისთვის მისაღებ თავყრილობას, იმ წუთში მისთვის სასურველ ეტიმოლოგიაზე იწყებს მსჯელობას. ა. იუნუსოვი მიუთითებს, საიდან აიღო ფორმა Азгури (არ არის გამორიცხული, რომ თავადვე შექმნა), რომელშიც გამოყოფს гур-ს და მას უკავშირებს თურქული მოდგმის ტომებს საბირებს, რომლებიც, თურმე მაინცდამაინც აწყურში ცხოვრობდნენ IV-VI საუკუნეებში. მათ დაარქვეს აწყურს სახელი. гур-ს კი გამოყოფს, მაგრამ რადგან მისთვის სასურველ ფორმას ყოფს 2 ნაწილად, აღარაფერს ამბობს Аз- ნაწილზე. ეტყობა, მასში გულისხმობს Азербаиджан-ს, რომლის ცნობილ შემოკლებასაც წრმოადგენს Аз- ელემენტი.

მისი აზრით, Азгур-ის ქართული ვარიანტი არის Ацкури. ოღონდ არაფერს ამბობს, რატომ დასჭირდათ ქართველებს Азгури-ის Ацкур-ად ქცევა. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა (განსხვავებით აზერბაიჯანულისაგან, რომელიც ვერ შეძლებს **აწყურის** წამოთქმას), წარმოთქვას **აზგურიც** და **აცკურიც**, მაგრამ არ სჭირდება ამის გაკეთება, რადგან ეს ფორმები მეორადია, ერთი მოგონილია, ხოლო მეორე (აცკური) რუსული ტრანსკრიფციის შედეგია და მას ქართულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა მოვუსმინოთ სომეხ მეცნიერს: „Топоним Ацкур, несомненно, армянского происхождения. Как мы полагаем, это сложное слово состоящее из корней Ац и Кур"[196]. იქვე მიუთითებს პატივცემული მეცნიერი, რომ ასებობს თურმე Ацкур-ის გაქართულებული ფორმა Аскурет(и) თუ Сокурет(и). ეს ფორმები ქართულ საისტორიო წყაროებში არის თითქოს დადასტურებული. ეს არის რეალური ფაქტების დამახინჯება, რადგან ქართულ სინამდვილეში აწყურს აქვს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი თავისი არსებობის განმავლობაში: **აწყური, აწყვერი, აწყუერი.**

ა. სანოსიანის აზრით, მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ აწყურში და მათვე დაარქვეს სახელი ამადგილს. ამ ორი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მცდარი ეტიმოლოგიები ამახინჯებს ისტორიას და ქათველებისთვის ადგილს აღარ ტოვებს. ორივესთვის მთავარი ფონეტიკური პრობლემა არის **ყ** ბგერა, რომელიც ამ ტოპონიმის ფუძეში უმნიშვნელო როლს არ ასრულებს. ეს ბგერა არც სომხურს, არც აზრბაიჯანულს, არც სხვა თურქულენოვან ენებს ფონემის სახით არ გააჩნიათ. ამიტომაც მათი ეტიმოლოგიის მთავარი შეცდომა არის ის, რომ кур – არასოდეს ყოფილა აწყურის ფუძეში. არც კლავდიოს პტოლემეოსს შეეძლო აწყურად დაეწერა ეს სახელი თავის რუკაზე, რადგან არც მას ჰქონდა თავის ენაში **ყ** ბგერა,ამიტომ წერს იგი აცკურ-ს. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას ჰქონდა საშუალება აცკურ-ი გადმოეტანა ასკურად.

სამწუხაროა, რომ ამ გეოგრაფიულ სახელს ბევრი თავისებურად „კითხულობს" და აკეთებს

194 ასეთი რამ არც თუ იშვიათად გვხვდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ა. სანოსიანის სტატიების კრებული [**Саносян,** 2006], რომელშიც დამახინჯებულია ქართულ-სომხური ურთიერთობები.

195 Юнусов А. Ахыскинские (месхетинские) турки: Дважды депортированный народ /Центральная Азия и Кавказ. #1(2) 1999. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml.

196 Саносян А., Еще и белый геноцид. Ереван. 2006, გვ. 35.

შესაბამის „დასკვნებს“, რომ სახელი დაურქმევიათ თურქებს ან სომხებს. თურქებთან დაკავშირებით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ აწყურში თურქებს არასოდეს უცხოვრიათ. რუსულ აღწერის დავთრებში (1907) მოხსენიებულ აქაურ თურქებში იგულისხმებიან გამაჰმადიანებული ქართველები. ისინი მე-19 საუკუნეში ქართველებად იწოდებოდნენ. მათი „თურქობა“ მხოლოდ ოსმალურ-რუსული პოლიტიკის შედეგია.

Ацкур, Аскур, Азгур ფორმები მეორადია, ყველა მიღებულია ქართული **აწყურიდან**, რომელიც, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის ცნობილი[197]. აწყური დაიშლება ასე: ა-წყურ-ი,რომელშიც ა – არის პრეფიქსი[198], ხოლო წყურ – ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია წყ – ძირი. ეს ძირი გვხვდება წყალთან დაკავშირებულ ისეთ ქართველურ სიტყვებში, როგორებიცაა: **წყალი, წყარო, წყარ-, წყუ-, წყორ-**[199]. იგივე **წყ** ძირი გვაქვს სიტყვებში: ნე-რ-წყ-ვ-ი, რ-წყ-ევ-ა[200].

აწყური ნიშნავს **წყლიან ადგილს, წყლის ადგილს**. ორი აწყურია საქართველოში და ორივე მდინარის პირას მდებარეობს. სამცხის აწყური, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, დღეს მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ასე იყო ოდითგანვე, როგორც ეს ბოლო დროის არქეოლოგიურმა გათხრებმაც დადასტურა და არა ...„на правом берегу р. Куры“, როგორც ეს ა. სანოსიანს ჰგონია. ასევე მდინარე ბერხევის ორივე ნაპირზეა გაშენებული მეორე აწყური, რომელიც ახმეტის რაიონში მდებარეობს.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანში, არც თურქეთში მსგავსი ტოპონიმი (თუნდაც მათთვის სასურველი სახელის ვარიანტით) არ მოიძებნება. არც ის არის შემთხვევითი, რომ, როგორც ეს ა. სანოსიანისა და ა. იუნუსოვის წერილებიდან ჩანს, თავიანთ საისტორიო წყაროებში ვერავითარი ინფორმაცია აწყურის შესახებ ვერ მოიძიეს, რადგან იქ ასეთი ინფორმაცია არ არის. ერთადერთი ფაქტი, რომელიც დასტურდება, ეხება სომეხ ოვანეს აწყურელს, რომელიც წარმოშობით აწყურიდან იყო და მე-15 საუკუნეში მოღვაწეობდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით სომეხი მეცნიერი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „И город, и крепость Ацкур всегда были заселены армянами. В дальнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки“[201].

ამ „ფაქტთან“ დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ. ისინი, მტრების მიერ დარბეულნი, სამშობლოდან გამოქცეულნი, ხშირად შემოგვეკედლებოდნენ ხოლმე. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი განსაკუთებით აქტიურად სახლდებოდნენ ქალაქ ადგილებში, სადაც ებრაელებთან ერთად მისდევდნენ ვაჭრობას. დღეს რომ აწყურში სომხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ, ამას თავისი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აწყურის მოსახლეობა დაიცალა ქართველთა დიდი ნაწილისაგან. ზოგი ომში დაილუპა, ზოგიც საზღვარგარეთ წავიდა. „1830 წელს აწყურში დასახლდა არზრუმელი სომხების 166 ოჯახი“... მათ დახვდათ 461 კომლი ქართველი მაჰმადიანი და 31 კომლი ებრაელი[202]. „ახლად დასახლებული კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას არ შერევიან. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდა, ხოლო ახალჩამოსახლებულები მტკვრის მარცხენამხარეს“[203].

„სომხები და ებრაელები ეწეოდნენ მხოლოდ ვაჭრობას, ისინი მეურნეობის არც ერთ დარგს არ მისდევდნენ. არ ჰყავდათ არც საქონელი, გარდა ცხენებისა და სახედრებისა, რასაც თავიანთ

197 მ. ბერიძე, აწყურის ეტიმოლოგიისათვის, ქართული მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008. მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბ., 2010.

198 Н. Марр. Избранные работы, т. 5. გვ. 163.

199 ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 657; ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2006, გვ. 147.

200 მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003, გვ. 370.

201 Саносян А. Еще и белый геноцид. Ереван. 2006, გვ. 36.

202 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 487.

203 იქვე, გვ. 487.

სავაჭრო საქმიანობებში იყენებდნენ...

1840-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხის საფაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა და გაუქმდა სანჯაყები, აწყვერი აბასთუმნის უბანს დაემორჩილა და მისი ბურუჟუაზიულ ქალაქად გადაქცევის პერსპექტივებიც შეწყდა. აწყვერში ჩასახლებული სომეხი ვაჭარ-ხელოსნები 40-იან წლებში აიყარნენ და ახალციხეში გადასახლდნენ. აწყვერიდან ახალციხეში გადავიდნენ ებრაელი ვაჭრებიც. ამის შემდეგ აწყვერი სამცხის ტიპურ სოფლად გადაიქცა"[204].

სამწუხაროდ, არც ერთი ზემოთ მოხმობილი აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერი არ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ აწყური არ იყო მხოლოდ ციხე და ეკლესია, იგი იყო საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სასულიერო ცენტრი. **აწყურის საეპისკოპოსო საქართველოს ეპარქიათა შორის ერთ-ერთი უძველესია.** აწყურის ეპისკოპოსი იწოდებოდა **მაწყვერელად.** პირველი ეპისკოპოსი, ვისმა სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის იოსები, რომელიც მოღვაწეობდა მე-6 საუკუნის დასაწყისში[205]. ბოლო ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ვიცით, იყო გედეონი, რომელმაც უკვე სულთნისგან მიიღო აწყურის კათედრა[206].

ეპისკოპოსთა შორის გამორჩეულია ეფრემ დიდი მაწყვერელი (იგი კათედრას უძღვებოდა 855-895 წლებში), გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათოლიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხეულა ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა"[207]. ა. იუნუსოვის მიხედვით, როდესაც **გურებმა აზგური** დააარსეს, საბირები ცხოვრობდნენ მთელ მესხეთში და, რა თქმა უნდა, აწყურშიც. საინტერესოა, საეპისკოპოსო ცენტრში რა სარწმუნოებისანი იყვნენ საბირები ან რა ენაზე საუბრობდნენ? აწყურის საეპისკოპოსოში, ბუნებრივია, მრევლიც ქართველი ქრისტიანი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი საბირებისა და გურების კვალდაკვალ ქართველების ადგილს აღარ ტოვებს ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე. ისინი ცდილობენ უგულებელყონ, რომ ოსმალების ან რუსების მიერ აღწერილია არა მარტო საქართველოს ესა თუ ის კუთხე, არამედ იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობაც. სამწუხაროა, რომ ბატონი ა. სანოსიანი ქართველ მეცნიერზე, აკადემიკოს ს. ჯიქიაზე ასე წერს: „В 1595 г. здесь была произведена перепись населения и составлен налоговый реестр дымов (семей). В реестре приводится имена представителей семей, в большинстве своем армянские. «Большой давтар (реестр) Гюрджистанского вилайета» перевод с турецкого на грузинский и издал в 1941 г. С. Джикия. Сей ученый муж не пожалел сил и стараний, *дабы извратить армянские имена*, сделать их грузинскими, а если не удавалось – непонятными"[208].

ამ საკითხში ზოგიერთი სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მეცნიერი მეტად ტენდენციურია. ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ოსმალებმა კარგად იცოდნენ, ვინ ცხოვრობდა საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ იქ მცხოვრები სომხები მიგრანტები იყვნენ. მიგრანტთა შთამომავლები არიან დღევანდელ სამცხე-ჯავახეთის მოსახლე სომხებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხემ შეიკედლა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და გადაარჩინა ცნობილ გენოციდს.

ოსმალები, როდესაც აღწერდნენ გურჯისტანის ველაიეთს, დიაკრეტიულ ნიშნებს იყენებდნენ მათთვის გაუგებარი ქართული ბგერების აღსანიშნავად, რამაც საშუალება მისცა ს. ჯიქიას, სწორად წაეკითხა და გადმოეცა სახელები.

ა. სანოსიანი აცხადებს:„Как я уже сказал, большинство имен и топонимов армянские: (1. Купра? 2. Манвел, его брат. 3. Вардзел. 4. Мазман. 5. Егия. 6. Геворк и др.)"[209]. ჩამოთვლილი

204იქვე, გვ. 488.

205ПЭ, IV. Москва, 2002, გვ. 221.

206იქვე, გვ. 222.

207გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 97.

208Саносян А. Еще и белый геноцид. Ереван. 2006, გვ. 36.

209იქვე, გვ. 37.

სახელებიდან (კუპრა, მანველი, ვარძელი, მაზმანი, გევორქი) გამოსაყოფია გევორქი, რომელიც, მართლაც, ჰქვია სომხებს, მაგრამ 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს აწყურის რაიონი ახალციხის ლივაში, ამ სახელის ადამიანი აწყურში არ ცხოვრობდა[210]. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრის“ მიხედვით აწყურში სომხური ეთნოსის წარმომადგენელი ჩანს ერთი ოჯახი, რომლის უფროსის სახელიც ამოუკითხავია, მამით კი არის ტერ-აკოფას ძე, დასახელებული არის აგრეთვე ტერსიმონი, რომელიც სომხური წარმომავლობის უნდა იყოს.

რატომღაც ა. სანოსიანმა კითხვის ნიშანი დაუსვა კუპრას. ამ სახელის მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია. „კუპრა“ ქართული ანთროპონიმია, ცნობილი სახელია. მისგან გვაქვს ცნობილი ქართული გვარები: **კუპრავა, კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრეიშვილი** და სხვა. მე-9 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერქვა **კუპრა,** რის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშე დედოფლისა და მის შენდობისა თხოვა“[211].

მე-13 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა **კუპრას ძე.** „დავით ნარინის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტერს (1260-1270 წწ)[212]. შემდეგ საუკუნეებში გვხვდებიან **კუპრაძე ბერა, კუპრაძე დათუნა, კუპრაძე ნასყიდა, კუპრაძე პაატა** და სხვანი. მე-17 საუკუნეში მოხსენიებულნი არიან: **კუპრაშვილი გიორგი** – „მოწმე მთაწმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულობუდახისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა“; **კუპრაშვილი გოგია** – „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო აგიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა გიორგი მეფემ ვახტანგ აგიაშვილს“[213] და სხვა. ასე რომ, „კუპრა“ ნამდვილად არ არის ს/მხური სახელი. „კუპრაში“ -ა არის სუფიქსი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. **„კუპრა“** „კუპრადან“ მომდინარეობს. **კუპრა** შეერქმეოდა ხოლმე ადამიანს შავი ფერის გამო ისევე, როგორც **შავ-ა** (შავაძე, შავიშვილი, შავიანიძე, შავიძე...)[214]. ა. სანოსიანი არც იმ ფაქტს აქცევს ყურადღებას, რომ კუპრა **კაკას** ძეა. ცხადია, კაკაც გაუგებარი სახელი იქნებოდა მისთვის. შორს წაგვიყვანს იმ ქართველთა ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა დროს და ერქვათ კაკა ან იყვნენ კაკაშვილები, კაკაურიძეები და სხვა. ამ სახელისაგან ნაწარმოები ბევრი ტოპონიმია საქართველოში, მათ შორის დავასახელებ საქართველოში კარგად ცნობილ **კაკას ხიდს,** რომელიც მესხეთიდან იმერეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასევე გამორჩენია პატივცემულ მეცნიერს კაკას ერთ-ერთი შვილის სახელი, **ყვავილა.** კუპრა რომ სომეხი ყოფილიყო, თავის შვილს ყვავილას კი არ დაარქმევდა, არამედ **წალიკას,** როგორც ჰქვია და ერქვა ბევრ სომეხს.

ა. სანოსიანი სომხურ სახელად მიიჩნევს კუპრას მეორე შვილის სახელს, **მანველს.** მანველი არის ფონეტიკური ვარიანტი ძველებრაული **ემანუელ/ემანუილისა.** მისგან არის წარმოქმნილი ქართული გვარები: მანველაშვილი, მანველიშვილი, მანელიშვილი, მანველიძე, მანელიძე[215].

ასევე სომხურ სახელად აცხადებს ა. სანოსიანი ისეთ ქართულ სახელს, როგორიცაა **ვარძელი.** „ვარძიას“ ჰქონდა ფონეტიკური ვარიანტი „ვარძა“ („ვარძია“ ერთადერთი სახელი არ არის მესხეთში). „ვარძელი“ ნიშნავს ვარძიიდან წამოსულს და მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი ვარძელაშვილი ისევე, როგორც კახეთიდან წამოსული არის *კახელი* და მისგან გვარი – *კახელიშვილი,* იმერეთიდან წამოსული – *იმერელი* და მისგან ნაწარმოები *იმერლიშვილი* და სხვა მრავალი.

„მაზმანი“ აღმოსავლური სიტყვაა, შემოსულია ქართულში როგორც ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ მაზმანი არის „ბალნის მრთველი“.

210ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 89-90.

211გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 108.

212პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., 1999, გვ. 540.

213იქვე, გვ. 540.

214შდრ. ქერისფერი>ქერა, ღვინისფერი>ღვინა (ღვინაძე, ღვინიაშვილი...), შვინდისფერი>შვინდა, სვილის-ფერი>სვილა და მრავალი სხვ.

215ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 2003, გვ. 151-152.

ბალნის თოკის მგრეხელად განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი. მაზმანი არი მესაბლე. ამგვარად, „გურჯისტანის დიდ დავთარში“ დადასტურებული *მაზმანი* არ უნდა იყოს სახელი, ის აღნიშნავს ხელობას. ოსმალო მოხელე წერს, რომ აწყურში ცხოვრობდა **მაზმანი გიორგი,** ე. ი. მესაბლე გიორგი, ბალნის თოკის მგრეხელი გიორგი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაზმანი არ შეიძლება ქცეულიყო სახელად. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები დაერქმეოდა ადამიანებს სახელებად ან მეტსახელებად და შემდეგ ვიღებდით მისგან გვარებს. ასე გვაქვს მიღებული გვარი მაზმანიშვილი. როგორც, ვთქვათ, მენაღარე და მენაღარიშვილი. ზ. ჭუმბურიძე წერს: „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი,ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, მენაბდე, მეტივიშვილი, მეცხარიშვილი, მეხრიშვილი, მებაღიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი (საბელი – „თოკი“, მესაბლე – „თოკის მგრეხელი“), მაზანაშვილი (მაზმანაშვილი). მაზმანი საბას განმარტებით „ბალანის მრთველი“[216]... ხელობის აღმნიშვნელი გვარებიდან ზოგი ქართული იყო, ზოგიც ხელობასთან ერთად შემოსული ტერმინი და მისგან აღებული გვარები. ასეთი ტერმინები შედიოდა სომხურშიც და ვიღებდით ერთფუძიან გვარებს. მაგ., ხარატიშვილი და ხარატიანი, მაზმანიშვილი და მაზმანიანი, დალაქიშვილი და დალაქიანი და ა. შ.

ქართულ გვარებში არანაკლებ პროდუქტიულია –იან სუქფიქსი, ამიტომ ხშირად არა მხოლოდ ფუძეთა დამთხვევა ხდება, არამედ მთლიანად გვარისაც. მაგ.: დავითიანი შეიძლება იყოს სომეხიც და ქართველიც, ამ შემთხვევაში ოჯახმა და გვარმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის – სომეხი თუ ქართველი.

აწყურის მცხოვრებლებში დადასტურებულ კიდევ ერთ სახელზე მიუთითებს ა. სანოსიანი. ეს არის *ეგია*. შეიძლება, ავტორმა ვერ ამოიკითხა სახელი *ელია* და საქმე გვაქვს არასწორ დაწერილობასთან, რადგან ასეთი სახელის კაცს მე-16 საუკუნის ბოლოს აწყურში არ უცხოვრია.

„დავთარში“ სხვა ქართული სახელებიც გვხვდება. მაგ., იგი გვამცნობს, რომ ვენახი **დედისიმედისა** და **მაწყვერელი ბერისა** გადავიდა მაჰმადიან დიდგვაროვანთა ხელში[217]. **დედისიმედი** მესხეთში გავრცელებული სახელია. **მაწყვერელი** აწყურის მკვიდრის, სასულიერო პირის წოდებაა, რაც, რა თქმა უნდა, გვიჩვენებს, რომ სასულიერო და საერო ფენების წარმომადგენლები ქართველები არიან.

ამგვარად, ზოგიერთ სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერს აერთიანებს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის არცოდნა, რის გამოც ეადვილებათ მათ მათთვის სასურველი დასკვნების გამოტანა. აწყური, მისი ისტორია, ეტიმოლოგია, ქართული ენისაგან, საქართველოს ისტორიისაგან განუყოფელია.

საროს ციხე და ტაძარი

სოფელი სარო მდებარეობს ჯავახეთის ზეგანის განაპირა ქარაფის პირას, ვაკეზე. სამხრეთიდან მას ესაზღვრება სოფელი **ნიჯგორი,** რომელიც იყო საროს ბაღები და სოფლად იქცა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, როდესაც საროს მოსახლეობა ჩავიდა და დაემკვიდრა იქ. ჩრდილოეთიდან საროს ესაზღვრება სოფელი **ხიზაბავრა,** ხოლო აღმოსავლეთიდან – **ვარგავი.**

სოფელში, როგორც ნიკო ბერძენიშვილი იტყოდა, „მოსახლეობა ძველ ჯავახურია“, ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **გიორგაძე** (გორანაანი, აბუშაანი, ღვინიაანი, ტიმოონი, კაკაბესაანი), **ბერიძე** (კიკოლაანი), **მალრაძე** (ბერვიენი), **ლონდარიძე** (ჭიჭიკაანი, კორიკაანი, კოტიენი, ტატაანი, ბრიშოონი), **ასპანიძე** (მანძულაანი, მღვდელიენი), **სანდოძე** (იესაანი), **წითლანაძე** (მამულაანი, თავრიენი), **იველაშვილი** (იველაანი), **გურგენიძე** (მოსიენი, კახმიხაანი). **მჭედლიშვილი** (მჭედლიენი), **ხუციშვილი, ზედგინიძე, ივანიძე, დიასამიძე.**

დღევანდელი საროს მცხოვრებთა წინაპრები მე-16 საუკუნეში 30 კომლად ცხოვრობდნენ.

216 იქვე, გვ. 87.

217 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 90.

სოფლის ტერიტორიები ზეგანის გარდა ვრცელდება მტკვრის ხეობაში, ალბათ, **ორმოცის** მიმართულებით, რადგან ნიჟგორში უფრო მეტი იყო მოსახლეობა. ვენახებს უკვე დაპატრონებიან მაჰმადიანები: „ვენახი ცნობილი ვარძიელის ენუქასძისა 3 ნაკვეთი, აწ ხენდანის მფლობელობაში მყოფი, ოჯარის წესით წელიწადში 6 ახჩას იძლევა"[218]. სხვა მიწაც გადადის ახალი პატრონის ხელში: „მიწა ჩაირითურთ 1 ნაკვეთი, ვარძიელის მიწად ცნობილი, აწ ზემოხსენებული ზაყიმ ხენდანის მფლობელობაში მყოფი იძლევა ყუშურს"[219].

ოცივე ოჯახი საროში იხდის გადასახადს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ოსპზე, სელის თესლზე, შირაზე და კაკალზე. ასევე იხდიან გამოსაღებს იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ცხვარზე, ღორზე, ბოსტანზე, ხილზე, იალაღზე და საქორწინოდ, თუკი ცოლის მოყვანას მოინდომებენ[220].

სოფლის მოსახლეობა მთლიანად ქართულია, რასაც ადასტურებს მათი სახელები და მამის სახელები. სარო ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, სადაც **ბერიძეთა** გვარის ხალხი ან სათავის დამდებნი ცხოვრობენ. აქაურია **გულა ბერისძე** (შდრ. გვარი გულაბერიძე), რომელსაც გამოჰყოფია ცალკე ოჯახად მისი შვილი **ვარძელი**[221].

მართალია, ნათქვამია, რომ **გულაბერ** არის „ვარდის შვილი", აქედანაა გვარი გულაბერიძე[222], მაგრამ საროში მცხოვრებ ოჯახის უფროსს სახელად აქვს გულა და მამის სახელად, გვარად, ბერიძე.

ერთი ოჯახის უფროსია **შალიკა**, რომლის მამის სახელი ამოუკითხავია და ასევე არ იკითხება შვილის სახელი, რომელიც ცალკე ოჯახის უფროსია. საროში უფროს თაობაშიც ყოფილა ეს სახელი გავრცელებული. ერთი ოჯახის უფროსი არის **პაპუნა შალიკაძე**. ასე რომ, ორი **შალიკა** ყოფილა იმ დროს სოფელში.

შალიკა არის ქართული სახელის **შალვას** მოფერებითი ფორმა. შალვა შეიძლება **„შაველგ-ის** ვარიანტს წარმოადგენს... **შალვა-ს** ადრინდელი ფორმა **შაველა** → **შაელა** შემონახულია გვარებში: **შავლაძე, შაველიძე, შაველაშვილი, შავლიშვილი.** შალვა თორელთა საგვარეულო სახელი იყო. ცნობილია თამარ მეფის დროინდელი გამოჩენილი მეომარი და სარდალი შალვა თორელი (ახალციხელი)... შალვას მოფერებითი ფორმებია: **შალიკა, შალიკო, შალუტა.** ამათგან ნაწარმოებია გვარები (ზემოხსენებულთა გარდა): **შალვაძე, შალვაშვილი, შალიკაშვილი, შალიკავა, შალიკაძე, შალიკიანი, შალუტაშვილი**"[223].

უშუალოდ შალიკადან მოდის **შალიკაშვილი**, რომელიც მაღალ ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა მესხეთში და რომელთა საპატრონოც იყო **ოთა.** შალიკაშვილი „მსხვილი ფეოდალური საგვარეულო ძველ საქართველოში. წინარე გვარი როჭიკაშვილი ყოფილა, „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ (ვახუშტი)"[224].

ერთ-ერთი ოჯახის უფროსი არის **პაპუნა,** რომლის მამასაც შალიკა რქმევია და ის არის **შალვასძე** (შდრ. გვარი შალიკაძე). პაპუნა ძველი ქართული სახელია პაპ–ფუძისაგან ნაწარმოები, – **უნ-ა** სუფიქსით. პაპუნას ჰყავს მეორე ძმა – **ბაბუჩა,** რომელიც აგრეთვე ძველი ქართული სახელია და გაფორმებულია –**უჩ-ა** სუფიქსით. ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები სახელები **ბაბუნა** (შდრ. გვარი ბაბუნაძე, ბაბუნაშვილი), **ბაბულა** (შდ. ბაბულაშვილი), **ბაბილა** (შდრ. ბაბილაშვილი), **ბაბუცა, ბაბუტა** და სხვა.

ერთ **პაპუნას** მამა ზეინკალი ჰყოლია, ამიტომ მისთვის მამის სახელის ნაცვლად მამის ხელობა

218 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 188.

219 იქვე, გვ. 188.

220 იქვე, გვ. 188.

221 იქვე, გვ. 187.

222 ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, გვ. 144.

223 იქვე, გვ. 210-211.

224 ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990, გვ. 188-189.

ჩაუთვლიათ უფრო მნიშვნელოვნად და **ზეინკლიშვილად** ჩაუწერიათ[225].

მესხეთში გავრცელებული სახელი იყო იმ დროს **ვარძელი** (ვარძიია → ვარძა → ვარძელი), თითქმის ყველა სოფელშია ამ სახელის კაცი. აქედანაა გვარი **ვარძელაშვილი, ვარძელაძე.** ვარძფუძეს უკავშირდება აგრეთვე გვარები: ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი[226].

გულა ბერისძეს ჰყავდა შვილი ვარძელი და ერთ ვარძელს თავისი შვილისათვის დაურქმევია, უკვე მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელი იალღუზა.

სპარსული სიტყვა **შაქარი**[227] უძველესი დროიდან არის შემოსული ქართულ ლექსიკაში, ამიტომ მისგან ნაწარმოები ქართული გვარ-სახელები ასევე ძველია. საროში ცხოვრობდა **რომანოზი,** რომელიც იყო **შაქარასძე.** ამ სიტყვამ მოგვცა შემდეგ აგრეთვე საკუთარი სახელი **შაქრო.** მისგან არის მიღებული გვარები **შაქარაშვილი, შაქარიშვილი და შაქარაძე.** სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება დასავლეთ საქართველოში ეს სიტყვა, როგორც გვარსახელი: **შაქარა, შაქრი, შაქარ[2], შაქარია, შაქარიტა** და სხვა[228].

მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სახელის მატარებელი ოჯახის უფროსებია მაშინდელ საროში: **ბასილა არსენასძე, იოსებ მოსესძე.** ქრისტიანული და აღმოსავლური სახელები შერეულია ერთსა და იმავე ოჯახში, ასეთებია: **ნურყულ პავლესძე, მირალი პეტრესძე.** მხოლოდ ერთი მამაშვილია, რომელთაც ორივეს მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელი ჰქვიათ – **ყანდურალი მირზასძე.**

მე-16 საუკუნეში საროში ფუნქციონირებდა ეკლესია, მრევლს ჰყავდა თავისი მღვდელი, რომელსაც **ზაქარა** ერქვა, ამიტომაც იგი, როგორც ოჯახის უფროსი, მითითებულია, **ზაქარა მღვდლის შვილი.**

მე-16 საუკუნის საროს მოსახლეობა, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" არის დაფიქსირებული, მნიშვნელოვანია ამ სოფლის ონომასტიკის შესწავლისათვის.

დღეისათვის სოფელში შემორჩენილია მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და ციხე. ეკლესია „ორნავიანი ტაძარია გარედან შეთეთრებული და ინტერიერგალესილი". „ეს დიდი ტაძარი მორთულიც იყო. დღემდეა დარჩენილი სამხრეთი ფასადის ბურჯის დიდრონი კაპიტელი, გვიან გაფართოებული სარკმელების მორთულობა, მათგან ერთ-ერთი ყორე გალავანში უკუღმაა ჩატანებული. აღსანიშნავია დასავლეთის ძველი ხის კარი ხისავე გასაღებიანი უცნაური საკეტით"[229].

1933-1934 წლებში გ. ბოჭორიძე ჯავახეთში მოგზაურობისას წერს, რომ საროს „მთავარანგელოზის ეკლესია 12,8 X 7,2 მ. ნაგებია თლილი ქვისაგან, ახურავს კრამიტი ღარისებური, კარი აქვს დასავლეთით 1, სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით სარკმელი 1 და სანათურიც 1, დასავლეთით სარკმელი 1 და სანათური 1, დასავლეთით სარკმელი 1. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით, იატაკი თლილი ქვაა, ტრაპეზი სამია, საკურთხევლის ტრაპეზი დაცილებულია კედელს"[230].

ამ აღწერაში უცნაური და მნიშვნელოვანი არის ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხევლის მთავარი ნაწილის ტრაპეზის სიმრავლე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ლეგენდა აქვს ჩაწერილი ივ. როსტომაშვილს მე-19 საუკუნის ბოლოს საროში, რომ ოდესღაც სოფელში უცხოურია სამ ძმას, ძლიერ თავადიშვილებს, რომელთაც აუშენებიათ როგორც ციხე, ისე ეკლესია. რადგან თითოეულს ცალ-ცალკე მოძღვარი ჰყავდა, გაუკეთებიათ სამი ტრაპეზი, რომ ცალ-ცალკე შეესრულებინათ ღვთისმსახურება[231]. იმავე როსტომაშვილის მიხედვით ეკლესიაში იმ დროს ყოფილა ხატი 1747 წლის წარწერით: „იესო ქრისტე, ადიდე შენ მაცხოვარო, მადიდებელი

225 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 188.

226ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 64.

227ქ.ე.გ.ლ., 1962, გვ. 633.

228ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006, გვ. 74.

229ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, 2000, გვ. 86.

230გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 225.

231И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, с. 102.

შენი აბაშიძე ლეონი"[232]. მკვლევარი უკავშირებს ერთმანეთს ხატის წარწერაში მოხსენიებულ აბაშიძეს სოფ. **თოკში** მცხოვრებ აბაშიძეთა გვარს.

ნიჯგორსა და საროს შორის არის საცალფეხო-საჭაპანო გზა, რომელიც **პირჯერისაწერის** შემდეგ ორი მიმართულებით მიდის: ერთი არის **ეკლესიის გზა**, ხოლო მეორე – **ციხიყელის გზა. ციხიყელი** ის ადგილია, ქარაფს რომ ავიელით, ვიდრე ციხის ტერიტორიაზე შევალთ. საროს ციხე მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობაა. იგი ქარაფის პირზე არის აშენებული, გადასცქერის ერუშეთის მთებსა და მტკვრის ხეობას.

საროელთა მტკიცებით ციხიდან ჩადიოდა დარანი **ქვაბიკარში**, კერძოდ, **საწველელას გამოქვაბულში**. ეს დარანი გამოირჩეოდა ოთახების სიმრავლით და სიფართოვით. იმდენად ფართო იყო დარანი, რომ ურემი გაეტეოდაო, – იხსენებენ სოფლის მცხოვრებნი. 1933 წლის ექსპედიციის დღიურში ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საროს მეტად საინტერესო ადგილია ისტორიულ-არქეოლოგიურად. მტკვრის პირიდან ჯავახეთში შემავალი გზის ჩამკეტავი უძველესი ციხეები (სამი), მღვიმე – „სახიზრები" უეჭველია საინტერესო ისტორიულ გადმოცემებთან იქნება დაკავშირებული"[233]. 1933-1934 წლებში გ. ბოჭორიძემ აღწერა საროს ციხე: „ეკლესიის დასავლეთით არის ორი ციხის ნანგრევი. იგი ნაშენია უზარმაზარი ლოდებისაგან. პირველში არის კირით გალესილი ორმო, ამ შენობებს კირი არა აქვს. ეკლესიის ჩრდილოეთით არის კოშკი ქვითკირით ნაშენი, მასზედ არის 12-ბათმანიანი ქვევრი, ქვის სარქველით. აქედან ჩამოგდებულია წარწერიანი ქვა. ეს კოშკი დგას ციცაბო კლდეზე, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხევები. მის ქვემოთ არის მრავალი მაღარო კლდეში. ზოგი ქვითკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები"[234]. დღეისათვის ციხის ნანგრევებიდან შემორჩენილია „ზურგიანი კოშკი, რომლის მომრგვალებული მხარე ხეობიდან ამომავალ გზას გადაჰყურებს; სამი მოზრდილი ოთხკუთხა დარბაზიდან, ერთი ოროთახიანია. ციხე-სიმაგრის კედლები 3 მ-მდე სისქისაა, ზოგან მშ რალი ნაწყობი, ზოგან კირხსნარზე. აქვეა დარნები და ხაროები"[235].

მნიშვნელოვანია საროს წარწერა, რომელიც, მ. ბროსედან მოყოლებული, რამდენიმეჯერ გამოიცა. ეს წარწერა პირველი ციხის კედლიდან ჩამოვარდნილი ეგდო კედლის ძირშივე, როდესაც ივ. როსტომაშვილმა ნახა მე-19 საუკუნის ბოლოს. იმავე ადგილზე ნახეს იგი მე-20 საუკუნის ექსპედიციების დროს ნ. ბერძენიშვილმა და გ. ბოჭორიძემ. ბოლოს წარწერა 1958 წელს გადაიტანეს თბილისში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. წარწერა მიჩნეულია XII საუკუნეში შექმნილად[236].

ჩვენთვის საინტერესოა წარწერაში დადასტურებული საკუთარი სახელები. მეფეთა მეფე დემეტრე პირველის მოხსენიება საროს წარწერაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მისი დათარიღებისათვის. არსებობს წარწერის სხვადასხვა წაკითხვა. ყველაზე ბოლო ეკუთვნის დევი ბერძენიშვილს: **„ქრისტე, ადიდე ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რჯული მამულობით გჯობოძა და მაჭას მამული. მას ჟამსა ესე ციხე ავაგეთ. მე ვაჩე დავწერე ძმით გურგენისამან"**[237].

საროს წარწერის გამომცემელი ვ. ცისკარიშვილი **რჯულსა და მაჭას** ჯავახეთის გარეთ არსებულად მიიჩნევს: „საროს წარწერაში მოხსენებული **რჯული და მაჭა** სხვა წერილობითი წყაროების მიხედვით ამ მხარეში არ არის ცნობილი"[238].

საროს ძველ სახელად **რჯული** მიიჩნია ნ. ბერძენიშვილმა: „წარწერიდანვე ჩანს, თითქოს, რომ ამ ადგილს მაშინ **რჯული** ეწოდებოდა. ვინ არის წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ ერისთავი (შეიძლება კახა?), ვინ არის ეს დამწერი ვაჩე ან ეს **მაჭა** – არ ვიცი"[239].

232იქვე, გვ. 103.

2336. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 172.

234გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 225.

235ჯავახეთი, გზამკვლევი, გვ. 86.

236ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 46.

237ჯავახეთი, გზამკვლევი, გვ. 86.

238ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 45.

2396. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 173.

რეჯი საროს სიახლოვეს არსებულ ადგილად მიიჩნია დ. ბერძენიშვილმა: „საროს ციხის წარწერაში ნათქვამია, რომ მეფეთა მეფე დემეტრემ ვაჩეს უბოძა **რეჯი** მამულობით, მან კი ციხის შესავლად აქცია მამული – წარწერა XII საუკუნისა უნდა იყოს, **რეჯი** კი შესაძლოა საროსთან ადგილის მახასიათებელი სახელწოდება ყოფილიყო. რეხი – ქვიანი გზაა კლდოვან კალთებზე"[240].

სხვაგან **რეხი, რეხა** მიჩნეულია გეოგრაფიულ ტერმინად: „რეხი, რეხა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულია როგორც დამოუკიდებელი სახელწოდება: ქართლში რეხულასა და ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში, ჯავახეთში (იხ. საროს ციხის წარწერა), თრიალეთში. იგი ჩანს შედგენილ სახელებშიაც: **წინარეხი, შუარეხი, გუდარეხი**... უკვე ამიტომაც ის ადგილის დამახასიათებელი, ზოგადი ტერმინი ჩანს. მართლაც ქართულ კილოებში იგი ქვიან გზას, მთის კლდოვან კალთებს აღნიშნავს[241].

თუ რომელიმე ადგილს ერქმეოდა რეხი, რომელიც თავისი სემანტიკით კაპანს ენათესავება, ოლონდ მეტია კაპანზე (მძიმე ქვიანი გზა, ურემს რომ გავლა უჭირს; ქვიანი ადგილი, უფრო გზაზე იტყვიან; მთის კლდოვანი კალთები[242], უნდა იყოს გზა ნივჯგორსა და საროს შორის ხევი და **ქვაბიკარი**, რომელსაც ივ. როსტომაშვილი **საროს ხევს** უწოდებს, რომელშიც ხმაურით ეშვებოდა ღრმა და დიდი ჩანჩქერი და რომლის გარშემოც მიუწვდომელი ქვაბები იყო[243]. ციხის კოშკიც დგას იმ ციცაბო კლდეზე, "რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხევები, მის ქვემოთ არის მრავალი მაღარო კლდეში, ზოგი ქვითკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები"[244]. ეს მიდამოები უნდა ყოფილიყო **საროს რეხი**, რომელიც მეფეთა მეფე დემეტრემ უბოძა მამულობით ვაჩეს. ეს ადგილები კი იქნებოდა **ნივჯგორის ხევის** (ქვაბიკარის ხევის) ბოლოს – ნივჯგორი, სადაც იქნებოდა აგრეთვე **მაჭას მამულიც.**

მაჭა -ა სუფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელია. მაჭ- ფუძე პროდუქტიულია ქართულ ანთროპონიმიკაში. ალ. ღლონტს დადასტურებული აქვს ამ ფუძით ადამიანის საკუთარი სახელები ძირითადად დასავლეთ საქართველოში:

მაჭ-ი
მაჭ-ა
მაჭ-იჭ-ა
მაჭ-უ-კაც-ა[245]

რომელთაც დაემატება ა. ჭანტურიას მიერ ჩაწერილი შემდეგი სახელები:

მაჭ-ა-ჭუა
მაჭ-იჭ-ი
მაჭ-უ
მაჭ-უჭ-ი
მაჭ-უჭ-ია[246]

ჩამოთვლილთაგან –ა, -იჭ-ა, -უ, -იჭ, -უჭ, -ჭ-ია საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსებია, რომლებიც სხვა ფუძეებთანაც გვხვდება.

მაჭ- ფუძიანი საკუთარი სახელები გავრცელებული ყოფილა ჯავახეთში იმდენად, რომ მისგან ნაწარმოებია ტოპონიმი **მაჭატია**. მასში გამოიყოფა **მაჭ-** ფუძე **-ატ,** კნინობითობის სუფიქსი და **— ია** ტოპომაწარმოებელი.

მაჭატია ახალქალაქის რაიონში მდებარე სოფელია. მე-16 საუკუნეში რამდენიმე მაჭატია (დიდი, პატარა) იყო. "მაჭატიებში არზრუმიდან გადმოსახლებულთა დაბინადრების შემდეგ უკვე ერთი

240 ჯავახეთი, გზამკვლევი, გვ. 86-87.

241 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 72.

242 ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 452.

243 И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд..., с. 101.

244 გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 225.

245 ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 159.

246 ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, გვ. 49.

მაჭატია ჩანს. ამჟამად ადმინისტრაციული დაყოფის თვალსაზრისით მაჭატიის ვითარება ასეთია (იგულისხმება 1951წ. – მ.ბ.): მთავრობის დადგენილებით „არაგვის""სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები **მაჭატია**, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს – სოფ. ოლაევრდი და შეიქმნა მათგან მაჭატიის სასოფლო საბჭო ცენტრით მაჭატიაში"[247].

მაჭატიას არმენიზებული, თურქიზებული ფორმაა მაჯადია, როგორც დღევანდელი სომხები უწოდებენ მას[248].

ამგვარად, საროს ციხის წარწერაში დასახელებული **მაჭა** გავრცელებული სახელია საქართველოში. **მაჭას მამული**, რომელიც რეხთან ერთად უბოძებია დემეტრე მეფეს მე–13 საუკუნეში სარველებისათვის, რასაც საროს ციხის აგება მოპყოლია, სოფლისავე სიახლოვეს მდებარეობდა.

შეიძლება, მე-13 საუკუნის გამოძახილია, რომ საროს ნიჯგორსა და ორმოცზე ჰქონდა პრეტენზია[249].

სოფლის სახელი **სარო** დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეულობასთან. საროს სხვაგვარად **ლაშქარა** ჰქვია. მას რუსები **окопник кавказский** –ს უწოდებენ. ქართლურ, მესხურ, ჯავახურ, რაჭულ, ლეჩხუმურ დიალექტებში ლაშქარას **სარო** ჰქვია. კახეთში -**პატარძალა**, მთიულურში– **წენგარა**, ქალბატონები, პატარძლის კაბებ (ამ მცენარის ყვავილებს უწოდებენ ასე), თუშურში – **შალდაყი**, ფშაურსა და ხევსურულში – შალარი, შალანი, მეგრულში – **სარო**, სვანურში **მელენი**[250]. არის აგრეთვე **ტყის სარო**, რომელსაც **ფუტკარაც** ჰქვია. ეს ისეთი მცენარეა, რომელსაც გვირგვინი გრძელბოლოიანი აქვს[251].

სულხან-საბა საროს ორნაირ განმარტებას იძლევა: 1. ბალახი (არ მიუთითებს, როგორი და რომელი ბალახია -მ.ბ.) და 2. კვიპაროზი[252]. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით სარო შემოსულია სპარსული ენიდან, („სარე იგივეა რაც **კვიპაროსი**"[253]). ქართულში საროს აქვს სხვა მნიშვნელობაც: „კარგად მოყვანილი წერწეტი (ტანი)" და კუთხ. (რაჭული, ლეჩხუმური, ჯავახური, მესხური) იგივეა, რაც **ლაშქარა**[254].

კვიპაროსთან არის დაკავშირებული კომპოზიტი საროტანი „ტანად საროს მსგავსი, – მაღალი და კარგი, ტანადი, ტანწერწეტი (ჩვეულებრივ ქალზე იტყვიან)"[255]. ცნობილია აგრეთვე ავთანდილის რუსთველისეული დახასიათება, რომელიც აგრეთვე კვიპაროსს უკავშირდება: „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა".

ჯავახეთის სოფელ საროს ეტიმოლოგია ვერ იქნება დაკავშირებული საროს იმ მნიშვნელობასთან, რომელიც კვიპაროსს გულისხმობს, რადგან ეს მცენარე არც არასოდეს ყოფილა ამ მხარეში.

სარო უნდა უკავშირდებოდეს ბალახის მნიშვნელობას. გრიგოლ ბერიძის მიხედვით, „სარო" ბალახია, ჭრილობის წამლად ხმარობენ. "გაჭრილისთუნ სარო კარგია, ხელათ მოურჩენს"[256]. ბალახის სახელის შერქმევა ამავე არეალში უცხო არ არის. მაგალითად, ასპინძის რაიონში ნასოფლარ **ლობიეთის** სიახლოვეს არის სერი, რომელიც იწყება"ლობიეთის განაპირა დასავლეთით და ჩადის მტკვრის პირამდე. სერს აქვს ორი სახელი, ერთი – **ჩაგრძელა//ჩაგძელა**, შერქმეული აქვს ყანების გამო, რადგან ეს ყანები ეშვება ზევიდან მტკვრისაკენ და მეორე სახელი **ძაღლისენა** მცენარის, კერძოდ, ბალახის გამო დაერქვა. **ძაღლის ენას ოსეროც** ჰქვია რუსულად მას **чернокорень**-ს, **собачник**-ს ეძახიან. ამ მცენარეს მესხეთში სხვა სახელითაც, **მგლისყურათი, ლოსტოკით** იცნობენ.

247 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 313.

248 იქვე, გვ. 312.

249 შდრ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 252.

250 ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 43.

251 იქვე, გვ. 70.

252 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 54.

253 ქეგლ VI, 1960, გვ. 786.

254 იქვე, გვ. 787.

255 იქვე, გვ. 287.

256 გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 113.

ამავე მცენარეს სხვა დიალექტში **ფუტკარაც** ჰქვია. ტოპონიმიამ შემოგვინახა მცენარის სახელი, რომელიც დღეს აღარ არის ცნობილი მესხეთში, მაგრამ გვხვდება სხვა დიალექტებში.

სარო მცენარეს დაუკავშირეს ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის „ჯავახეთის" ავტორებმა: „სარო სპარსულიდან შემოსული სიტყვაა კვიპაროსის აღსანიშნავად, მაგრამ სამხრეთ ქართულ კილოებში მცენარესაც აღნიშნავს; ალბათ, ამიტომ დაერქვა სოფელსაც ეს სახელი (შდრ. ნაი-ნაისა)"[257]. ჩვენ შევეცადეთ მის დასაბუთებას.

ბოგა და ბოგთა

1940 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა (დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი) მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია სამცხის სოფლებში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მართლმადიდებლები, კათოლიკენი და მაჰმადიანები. მაჰმადიანი მესხებით იყო დასახლებული სოფელი ბოგა, რომლის მცხოვრებმაც – 120 წლის **ყორი სულეიმან-ოღლი ზაუტაძემ**, ი. პაპისიმედოვს ჩააწერინა ერთი მშვენიერი ლეგენდა: „ამ სოფელში წინეთ ტყე ყოფილა, მოსულა მონადირე, მოუკლავს ირემი ხომის რაიონში და იქ წყალი ვერ უშოვია, ამოსულა აქ წყაროსთან, მოსწონებია. ამას უთქვამს, მოდი, აქ **ბოგას გავკრავ** და დავსახლდებიო. ამის შემდეგ ამ სოფელს დარქმევია ბოგა." ხელნაწერი დღესაც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. იქნებ შემთხვევითია ქართულის ცოდნა ზაუტაძისაგან? ამავე სოფელში მოგზაურობს ცნობილი მეცნიერი, მესხეთის დაუღალავი მკვლევარი ილია მაისურაძე, რომელიც ბოგას შესახებ წერს: „მდებარეობს ქ. ახალციხიდან ჩრდილოეთით 8 კმ-ის მანძილზე. სოფელ სვირიდან მოშორებულია 2 კმ-ით (აღმოსავლეთით). აქ ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 96 კომლი. შენახული აქვთ ქართული ენა. გვარები: ზაუტაძე, სარალიძე, ჩიხლაძე, ლოლაძე, ცეკვაძე, კოჭაძე, მეწყარიძე."

ამგვარად, ბოგაში ჩაწერილი ლეგენდა მონადირის შესახებ სანდოა და ქართულის კარგი მცოდნისგან არის მოთხრობილი.

მონადირესთან არის დაკავშირებული მესხეთის სოფელთა გარკვეული ნაწილის ან აღმოჩენა ან სახელის შერქმევა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან უცხო ადგილებს, ახალ მიდამოს შორს წასული მონადირე თუ გადაეყრებოდა, თორემ გუთნისდედა სოფლის გარშემო ტრიალებდა მუდამ. შიდა მიგრაციები, სოფლიდან გადასახლება-გადმოსახლებანი დამახასიათებელი იყო ბევრი სოფლისთვის. ეს უკავშირდებოდა ნაყოფიერი მიწების ძიებას, ომებს, თავდასხმებს, წყალს და სხვა. ამ შემთხვევაშიც მონადირეს უნახავს კარგი წყარო, მოსწონებია და **ბოგას გავკრავო**, უთქვამს.

რა არის ბოგა? არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოსული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" ბოგას და ბოგირს სინონიმებად წარმოგვიდგენს: „ბოგა განმარტებულია როგორც „პატარა ხიდი," ხოლო ბოგირის თაობაზე ნათქვამია: „ხის პატარა ხიდი (ჩეულებრივ მიწადაყრილი)."

სულხან-საბა ორბელიანი ბოგას „მცირე ხიდს" უწოდებს. როგორც ჩანს, განმარტებითი ლექსიკონი იმეორებს სულხან-საბას განმარტებას.

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) 1907 წელს შედგენილ ლექსიკონში ბოგას ასე განმარტავს; „პატარა ხიდი მინაყრილი." ბოგა ბოგირის მნიშვნელობით შემორჩენილია იმერულსა და გურულ დიალექტში (ალ. ღლონტი).

მესხურ დიალექტში (სამცხურსა და ჯავახურში) ეს სიტყვა არ შემონახულა. ბოგირიც ახალი შემოსულია და შემოჰყვა იმერული მოსახლეობის შემოსვლას. სამაგიეროდ შემოგვინახა ტოპონიმიამ. ზემოთ მოყვანილი ლეგენდის შინაარსი გასაგები ხდება, ბოგის მნიშვნელობას როდესაც ვეცნობით. წყაროზე მონადირემ პატარა ხიდი „გაკრა", გააკეთა და ადგილიც სასოფლოდ მოეწონა. მართალია, სინამდვილეში სხვაგვარია ნომინაცია, მხოლოდ მონადირის ნათქვამზე, როგორც ეს ლეგენდაშია მითითებული, არ ხდება სახელის შერქმევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოგა დამახასიათებელი ყოფილა წყლიანი სოფლისთვის და მართლაც ამიტომ მომხდარა სახელდება. სიტყვა ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე იქცა ტოპონიმად. არც ეს არის უცხო ტოპონიმიაში. ბოგასთან ახლოსვეა სოფელი, რომლისთვისაც კლდე შეურქმევია ქართველ კაცს. ბოგას შემთხვევაში გარკვეული როლი

257 ჯავახეთი, გზამკვლევი, გვ. 87.

ითამაშა სახელის -ა ხმოვანზე დაბოლოებამ, რომელიც გაგებულ იქნა როგორც ტოპომაწარმოებელი.

ბოგა ძველი სოფელია. მე-16 საუკუნეში ოსმალებმა აღწერეს იგი. მასში სულ 6 კომლი ცხოვრობდა, რა თქმა უნდა, ისინი ქართველები არიან. აი, მაშინდელი მამაკაცების სახელები: შოშია, წამალა, ივანე, გიორგი, მანასე, მამისა, აზარია, ნასარა, ზასელა, გუბელა.

1886 წელს რუსებმა აღწერეს ბოგა და 1893 წელს გამოაქვეყნეს მასალები ამ აღწერის თაობაზე. მაშინდელ ბოგაში 22 ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის 95 მამაკაცი და 91 ქალი. ისინი ქართველი მაჰმადიანებია, როგორც რუსი სტატისტიკოსები წერენ.

1944 წლის ნოემბერში ბოგაში ჩამოასახლეს მოსახლეობა დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ხარაგაულის რაიონის სოფლებიდან: **ჭარტალიდან, მოლითიდან, წიფიდან, ნებოძირიდან.** შემდეგ მათ შეემატნენ სხვა რეგიონებიდანაც და დღეს სოფელში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **ლაფაჩი, ყიფიანი, ავალიშვილი, ფცქიალაძე, ცუცქირიძე, მჭედლიძე, უჩიძე, გოგოლაძე, მოჟაძე, კვერნაძე, ქურდაძე, ლომსაძე, გაჩეჩილაძე, ლაცაბიძე, ცნობილაძე, კვირიკაშვილი, ფოცხვერაშვილი, ალხაზიშვილი, გობიანი, კვიჟინაური, გორგაძე, კობახიძე, ქალიაშვილი, ცერცვაძე, გრიგოლაშვილი, მჭედლიშვილი, ხალაძე.**

ბოგასთან კიდევ ერთი სოფლის სახელია დაკავშირებული. თუ ბოგა ფერსათის მთების სამხრეთ კალთებს არის შეფარებული, ბოგთა ჯავახეთის, ანუ ბაკურიანის მთების ფერდობის ნასოფლარია სოფ. ოთის თავზე. ბოგთასთან ახლოს იყო ზემო ოშორაც. ბოგთაც ცნობილი იყო საუკეთესო წყლით. ერთი მათგანი დაფიქსირებულია მე-19 საუკუნეში და მას მეფის წყარო ჰქვია (ს. ჯიქია).

მე-16 საუკუნეში არსებობდა ზემო და ქვემო ბოგთა. ორი პატარა სოფელი, უფრო სწორედ, ერთი სოფლის ორი პატარა უბანი. ზემო ბოგთაში ორი კომლია, ქვემოში – 3, როგორც ამას სერგი ჯიქია მიუთითებს. ზემო ბოგთაში ორი ძმა ცხოვრობდა: „სახელად ზურაბა“ და „ოსია ძმა მისი,“ ხოლო ქვემო ბოგთაში ერთ-ერთი რამაზა ილარიონისძეა, რომელსაც თავად არაბული წარმოშობის სახელი ჰქვია. ეს სახელი გავრცელებულია დღესაც ჩვენს მოსახლეობაში. მისგან არის ნაწარმოები გვარები რამაზიშვილი, რამაზაშვილი (ზ. ჭუმბურიძე), ასევე პოპულარულია ბერძნული წარმოშობის სახელი ილარიონი, რამაზას მამას რომ რქმევია. მის პოპულარობას, გარდა იმისა, რომ მისგან ნაწარმოებია გვარი ილარიშვილი (ზ. ჭუმბურიძე), ადასტურებს ნოდარ დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. ქრისტიანული სახელის მქონე საბას მამა ჰყავდა, რომელსაც ოსმალური სახელი ფარაზიზი ერქვა. ეტყობა დამპყრობის სახელები შემოდის უკვე მოდაში.

მე-19 საუკუნეში რუსი მოხელე ასე აღწერს ბოგთას: „Бокта – пустошь, казенная, при роднике Мепис-цкаро.“ სოფელი დაცლილა, მაგრამ მთავარი მახასიათებელი, რითაც ის გამორჩეულია, არის წყარო ისევე, როგორც ბოგაში. ბოგაში თუ ერთი „ბოგა გაიდო“, ბოგთაში რამდენიმე ბოგა ყოფილა, რასაც გვაფიქრებინებს მრავლობითი რიცხვის სუფიქსი **-თ(ა).** სწორედ ამ სუფიქსის ყრუ თანხმოვანმა **თ-მ** მოახდინა ფუძისეული – **გ** ბგერის ასიმილაცია და მივიღეთ **ქ.** ბოგაში აშკარაა, რომ **-ა** ფუძისეული არ არის წარმოშობით. ამის ნათელი მაგალითია ბოგის სინონიმი ბოგირი, რომელშიც **-ირ** ისევე არის სუფიქსი, როგორც **-ა** ბოგაში. ბოგასა და ბოგირში ერთი და იგივე ძირია **-ა** და **-ირ** სუფიქსებით გაფორმებული. ამგვარად, ბოგთა→ბოქთა.

სამწუხაროდ, ბოგთა დიდი ხანია ნასოფლარად არის ქცეული. მისი ლამაზი მიდამოები ტყით არის დაფარული. დღეისათვის ამ სახელით მხოლოდ ნასოფლარი არ აღინიშნება, ბოგთა ჰქვია ტყესაც, რომელსაც ხან საზღვრულის გარეშე მოიხსენიებენ, ხან კი **ბოგთის ტყეს** უწოდებენ, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აბუნდოვანებს სახელის სემანტიკას.

მითოლოგიური გმირი და „ამირანის გორა“

ამირანის ეპოსი ყველაზე გავრცელებული ეპოსი იყო საქართველოში. ამ თქმულების მთავარი პერსონაჟი არის ამირანი, რომელიც, როგორც მითონიმი, აინტერესებს ონომასტიკას.

ამირანი, როგორც პოპულარული მითოსის მთავარი პერსონაჟი, გამოირჩეოდა მითის ასაკის გამო, გავრცელებულობის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ვარიანტების სიმრავლის გამო.

შემთხვევითი არა არის, რომ ქართველებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაქრისტიანული სახელია ამირანი. ამ სახელიდან მოდის გვარი ამირანაშვილი.

ამირანის გორა სამცხე-ჯავახეთში ორია – ახალციხესა და ახალქალაქში, რომელთაგან ტრადიციულია ახალქალაქის ამირანის გორა, ხოლო ახალციხის თაობაზე ნათქვამია: „ახალციხის **ამირანის გორა,** რომელიც აღმოჩნდა 1955 წელს მესხეთ-ჯავახეთში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვის დროს, მხოლოდ ერთი იმ ძეგლთაგანია, რომელიც ამ რაიონში მცხოვრებ მოსახლეთა ერთ-ერთ უძველეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს"[258].

ახალციხის ამირანის გორის „აღმოჩენა" ცოტა უცნაურად ჟღერს, რადგან ეს გორა ყოველთვის იდგა იმ ადგილზე, სადაც დგას დღეს, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მის შესასვლელში. ეს სახელი არა მარტო ახალი შერქმეულია, ხელოვნურიც არის.

ახალქალაქისა და ახალციხის **ამირანის გორებს** სახელთა გარდა აერთიანებს ის, რომ ორივე მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს და ორივეს შერქმეული აქვს უახლესი თურქული სახელი ტავშანთაფა (თავშანთაფა). ეს უკანასკნელი სახელი არა მხოლოდ თურქულად ეწოდებოდა. ახალციხეში ტავშან თოფასთან ერთად, რომელიც თარგმანია ქართული **კურდღლის გორისა,** ქართული ვარიანტიც იხმარება. ახალციხეში უპირატესობა ქართულს ენიჭება. ახალქალაქში პოპულარულია თურქული ვარიანტი.

თუ ახალქალაქის **ამირანის გორა** მდებარეობს ჯავახეთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ახალციხის ამირანის გორა მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. ძეგლი მოქცეულია ფოცხოვის ხეობის სწორედ იმ მონაკვეთზე, რომლის ჩრდილო-დასავლეთით გაერთიანებულია მესხეთის სამი დიდი ხეობა (ფოცხოვი, ქვაბლიანი და ობრე)[259].

ახალციხის ამირანის გორას ვიდრე კურდღლის გორა დაერქმეოდა, ერქვა **ლომისი,** რომელსაც ალბათ კავშირი აქვს ახალციხის ძველ სახელთან – **ლომსია.** ლომისის სალოცავი იყო მთის წვერზე, სადაც დღეს ჯვარი დგას. ლომისის სალოცავში დადიოდა ამ გორის გარშემო და დღევანდელი საბარგოს დასახლების, სასაფლაოს მიდამოების ძველი მოსახლეობა. გადმოცემით, ეს მოსახლეობა ძირითადად უნდა გამქრალიყო ახალციხის აღების დროს, 1828 წელს, რადგან ბრძოლის ეპიცენტრში მოხვდნენ. მესხეთში დღესაც იხსენებენ, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ბრძოლის დროს გამოიყენეს ლომისის დასახლების მიწური შენობების ძელები. საღვთოს დაკვლის დროს მოხუცების დალოცვა დღესაც ახსოვთ არლელებს: „ლომისის მადლო და ძალო, შენ შეეწიე..." (რეზო ანდღულაძე, 60 წლის).

როგორც უკვე ითქვა, ახალციხის **ამირანის გორის** სახელი ახალია და ახალქალაქის ანალოგიაა, გადატანილი სახელია. ეს გადატანა მოტივირებულია არქეოლოგიური ინტერესით და იმითაც, რომ გარეგნულად ეს გორები გვანან ერთმანეთს, მას არავითარი კავშირი ამირანთან არა აქვს და ამიტომ ჩვენ საუბარი გვექნება მხოლოდ ახალქალაქის შესახებ.

ჯავახეთი მდიდარია მთაგორიანი რელიეფით. **სამსრის მთებისა** და **აბულის** ფონზე **ამირანის გორა** მართლაც გორაა მხოლოდ, იგი მომცრო მთაა. მაგრამ გამოირჩევა არქეოლოგიური სიძველით. მისთვის დამახასიათებელია უძველესი კულტურული კვალი ადამიანის ცხოვრებისა.

ამ გორას, როგორც ითქვა, ჰქვია მეორე სახელი – **ტავშან თაფა,** რომელიც, როგორც ტოპონიმი, დადასტურებულია 1898 წელს[260] სამხრეთ საქართველოში ამ სახელით ბევრი ადგილი გვხვდება. ბუნებრივია, სადაც კურდღელი ბევრი იყო, ყველგან შეიძლებოდა ასეთი სახელის გაჩენა. ტავშანთაფას პარალელურ ვარიანტად აქვს ტავშანკა. „-К(а) სუფიქსის დართვა მსაზღვრელზე, როდესაც დაკარგულია საზღვრული, რუსულისათვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქვს ახალქალაქის რაიონში ორი **ტავშანთაფა – ახალქალაქსა** და **განძაში.** ორივეს პარალელური ფორმა

258 ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 8.

259 იქვე, გვ. 15.

260 И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд..., с. 31.

არის ტავშანკა. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით"[261].

ამ ორ სახელს (ამირანის გორასა და ტავშანთაფას → ტავშანკა) არავითარი კავშირი ერთმანეთთან არა აქვს. სხვადასხვა ენობრივი გარემოს მიერაა შერქმეული და მათში კარგად ჩანს თვით ამ გარემოს ეროვნული, ენობრივი ისტორია. ასევე ნიშანდობლივია ტოპონიმის გამძლეობა, ოღონდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ონიმის ფიქსაციას. დღეისთვის არგუმენტირებული მტკიცებების გარეშე ჯავახეთის ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციული ქართული სახელი არაქართველთათვის მიუღებელი და უცნაურია, უძველესი სახელის **ამირანის გორის** გაუაზრებლად, გაუთვალისწინებლად შეერქვა შემდეგში ტავშანთაფა, ბოლოს კი შეიქმნა პარალელური რუსული ფორმა **ტავშანკა.** რომ ყოფილიყო რაიმე ურთიერთკავშირი, რუსული ვარიანტი გამოიყენებდა ქართულ სახელს და არა თურქულს. რომ არა ქართული სახელის ფიქსირება, იგი ისევე დაიკარგებოდა, როგორც დაიკარგა ბევრი რამ ჯავახეთში.

თურქული და რუსული სახელები გამჭვირვალეა ეტიმოლოგიურად. რაც შეეხება ქართულს, შეიძლება გვეფიქრა, რომ ვინმე ამირანის სახელთან არის დაკავშირებული, როგორც, ვთქვათ, გოგიას **ციხე,** პეტრეს **ციხე** და სხვა, მაგრამ რეალურად ეს არის მითონიმი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ქართული მითოლოგიური გმირის **ამირანის** გამო ადგილის სახელდებას.

ჯავახეთის **ამირანის გორა** პირველად დაფიქსირებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მე-18 საუკუნეში, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი ამირანისა და ამირანის გორის ურთიერთმიმართების შესახებ:

ახალქალაქი „იყო ქალაქი მოზლუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა აწ ალაშენა კუალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ. ამ ახალქალაქს ზევით არს **ამირანის გორა** მტკუარის სამჴრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარსა ზედა ჴიდი"[262].

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) არმაზის, ზადენის, აპოლინის გვერდით მოიხსენიებს ამირანის კერპს. ამირანი, მისი თქმით, იგივე სამირომია. **„ამირანს** (სამირომს) ჰმსახურობენ **ახალქალაქის გორაზედ.** მით დღესაც ამირანის გორას უწოდებენ, ამის ნაშთი კლდე, ბალავარი არის... ზღაპრად დაშთენილი, ამირანი და ჩრდილოელი დანაძლებულან და შამბნარი ველის (შაბონიბელის) მთითგან შურდულით გამოუსროლიათ. **ამინარს** შურდული გასწყვეტია, მით ვალის ფოტოროებში დაცემულა და ჩრდილოელისა კი უფრო შორს დაცემულა **ჭიხელს**"[263].

ამ ტიპის შეჯიბრები ეპოსის გმირებს შორის ჩვეულებრივი ამბავია, ოღონდ ივ. გვარამაძეს, მართალია, **ამირანის გორა** აქვს მითითებული, ასევე მინიშნებულია, რომ იქ რაღაც „ბალავარი" არსებობს ამირანის კერპის კვალის დასტურად, მაგრამ გარემო აღრეულია და, ვფიქრობ, უადგილოა **ვალის ფოტოროების** ან **შაბონიბელის** (ალბათ შაბანებელი – მ. ბ.) საასპარეზო ადგილად მოხმობა.

ივ. გვარამაძისეული კერპი ამირანი და მითოლოგიური ამირანი რომ ერთი და იგივეა, ამას ამტკიცებს სხვა ადგილი „ქართლის ცხოვრებისა", სადაც ავტორს ჩაწერილი აქვს ამირანის ეპოსის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი:

„სანადიროდ გაემართნენ ამირან და ყმანი მისნი,
მთას ირემი წამოუხდათ, ოქრო იყო რქანი მისნი,
ამირანმან ბოძალი ჰკრა, გაიხეჩა მხარნი მისი,
გაექცა და დაედევნენ, სრულ არ გაწყდა კვალი მისი,
ცხრა მთა გარდაარბევინეს, მეათე არს ასურისი,
მინდორს ერთი კოშკი ჰპოვეს, ცას სწვდებოდა წვერი მისი,
გარ-მოუარეს, უპოვნეს, დაკლიტული კარი მისი,
ამირანმა წიხლი დაჰკრა, შეანტვრია კარი ისი"[264]...

ცას მიმწვდომი კოშკი, ავტორის აზრით, ბაბილონის გოდოლია, ამირანი სამირომია, რომელიც

261 მ. ბერიძე, ჯავახეთი, გვ. 117.

262 ბატონიშვილი ვახუშტი, 1973, გვ. 671.

263 ივ. გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, 1882, გვ. 116-117.

264 იქვე, გვ. 47–48.

მაპმადიანთ მფლობელთ **ამირაზედ** გარდაუცვლიათ[265] ".

აშკარაა, რომ მკვლევარის აზრით, ამირანის მოქმედების პერიოდი ბაბილონს უკავშირდება, ამის შესახებ ივ. გვარამაძე განმარტავს: „სახალხო ლექსში ჩანს, რომ მისი განადირებისა და ქვეყნის მპყრობელობისათვის ირემი წინ უძღვებათ სვე-ბედად, მნიშვნელი ზროხისა, მის წინამძღვრობით გარდადის 9 მთას იქით, ცად მიმწდომ კოშკს აწყდება (ბაბილონს), აქ ამარცხებს დევსა და ფეხს იდგამს იქაც, სხვა ადგილებივით გამარჯვებითა"[266].

მიუღებელია **ამირანის** და **სამირომის** გაიგივება, რადგან ამირანის სახელი და ღვთაება უკავშირდება მითრას, ხოლო სამირომი არის მითრას საპირისპირო, ბოროტი ღვთაება, რაც გამორიცხავს მათ იგივეობას.

ამირანის ეპოსს ახალქალაქის **ამირანის გორა** დაუკავშირა 1898 წელს აგრეთვე ივ. როსტომაშვილმა და მანვე მოიყვანა ამ თქმულების ერთ-ერთი უძველესი ჯავახური ვარიანტი[267].

მოვიყვანთ ამირანის თქმულების ჯავახურ ვარიანტს, რომელშიც კარგად ჩანს **ამირანის გორის** სახელდების მოტივაცია: „ამირანი დიდი გმირი ყოფილა. ამირანი ქრისტეს მონათლული იყო. მევრე ისე გათამამდა, რო თავი ნათლიასთანაც კი დიეჭიდა და ნათლიამ მევრე ამ გორაზე მიაბა და იეხლა იქ არი მიჯაჭული. იმას ერთი პიტიკა ყამს, ლოკამს, ლოკამს ე პიტიკა ამ ჯაჭვს და გაწყვეტაზე რო მიდის, მიდიან მჭედლები და ისევ ასქელებენ.

ერთხელ ერთმა კოთელიელმა კაცმა დამირჩები წაიყვანა, რო უნდა გიენთავისუფლებინა, მაგრამ წესი იესე იყო: გზაში არც უკან-ნა მიეხედნათ, არც ვისმე-ნა დაჰლაპარაკებოდნენ.

ამირანის გორის კარი ხუთშაბათს იღება და, ამ დღეს ცოლი რო გააბრაზამს ამ კაცს და დაუწყენს კითხვას, – რა გინდა, კაცო, სად მიდიხარო? – მევრე კაცი იძულებული გახდება, ხმა გიეცა თავი ცოლისთვის და, ამირანი გორასთან რო მივლენ, ამ კაც და დამირჩებ კარი დაკეტილი დახვდათ.

იემანდ, ახალქალაქთან, **ამინარი გორას** რო ეძახიან, იეხლა მანდ არი ამინარი მოქცეული. იესე შეაცდინა ი კაცი და დამირჩები თავი ცოლმა და იმი შემდეგ **ამინარი გორა** ახლაც დაკეტილია"[268].

ამირანის თქმულების ერთი ვარიანტით ამირანს გადადგმული აქვს გორა, რომელსაც ცოცხლად წარმოადგენს ხალხი:

ამირანი „ერთხელ მივიდა გორასთან:

–გორაო, შენ გორა ხარო, მე ვერ დაგეჭიდებიო, გორაო ეს ღონე საიდან მამეციო?

გამოიქვაბა გორა, შევიდა ამირანი, იარა და ნახა, რო შიგ ერთი გამოქვაბულია და მჭედლები იარაღს ჭედებენ"[269].

ამ გორაზე მიაჯაჭვებენ მჭედლები ამირანს, რომელსაც შემდეგ მონადირეც ვერ უშველის: „დღესაც ამბობენ, რო ამინარ გორა ადგიაო, ახალქალაქში რო გორა არი, იმ გორაშიო"[270]....

ამირანის თქმულების შემქმნელთათვის ჯავახეთის არც სხვა გეოგრაფიული პუნქტები იყო უცხო: „ამინარის საომარი ალაგები იყო **თავფარავანის ტბაზე** და **აბულის მთაზე**"[271]

სადავო არ არის, რომ ამინარი ამირანია და მეტათეზისის გზით არის მიღებული. მთქმელი ერთ შემთხვევაში მჭედლებს მოიხსენიებს. მჭედლები მიდიან და „ისევ ასქელებენ", ხოლო შემდეგში შემოაქვს თურქული სიტყვა „დამირჩი", რაც ასევე მჭედელს ნიშნავს.

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, სახელი დაერქვა მითოლოგიური გმირის გამო. ჯავახი კაცის ფსიქოლოგიაში კავკასიონი ძალიან ზოგადი და შორეული მთები იყო მითოლოგიური გმირის ცხოვრების ადგილის, გარემოს შესაქმნელად. როგორც ითქვა, არც სიდიდით

265 იქვე, გვ. 47.

266 იქვე, გვ. 109.

267 И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, с. 32.

268 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 337.

269 გ. ზედგინიძე, ამირანის ლეგენდის ჯავახური ვარიანტი, კრებ.: თედო სახოკია, თბ., 1969, გვ. 155.

270 იქვე, გვ. 157.

271 იქვე, გვ. 154.

არის გამორჩეული ეს გორა. თუ ჩვენ ანალოგიის გზას მივყვებით, რომ კავკასიონზეა მიჯაჭვული ამირანი, სხვა რომელიმე მთა უნდა აეღოთ სახელმდებლებს **ამირანის გორად თუ მთად**, ვთქვათ, **აბული, გოდორები, თავკვეთილი** და სხვა, რატომ მაინცდამაინც ახალქალაქის თავში მდებარე ეს გორა იქცა მითოსის ობიექტად?

ამირანის გორა გამონაკლისი არ არის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს თავისი გორა აქვს ამირანის თქმულებასთან დაკავშირებით. მაგალითად: თუშები და კახელები ამირანის მიჯაჭვის ადგილს **ამირანის მთას** უწოდებენ (მ. ჩიქოვანი), ხოლო მყინვარწვერის მახლობლად ბეთლემში, არის მ. ჩიქოვანის მიხედვით, **ამირანის ქოხი.** სხვაგან კი **საყორნის მთაზე** მიუჯაჭვავთ ამირანი[272] „ლაშხეთში უჩვენებენ უზარმაზარ კლდეს – **ჭითხაროს,** რომელიც **ამბროლაურსა** და **ლაშხეთს** შორის მდებარეობს. ამბობენ თითქოს ამ კლდეში იყოს ამირანი დაბმული"[273].

ამგვარად, ჯავახეთის ამირანის გორა უეჭველად უკავშირდება ამირანის მითოსს. როდის შეიქმნა თქმულება ამირანზე?

ამირანის თქმულება ასახავს ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდს. იგი „ლითონის წარმოების ხნის ეპოსებია, სადაც პოეტურად ასახულია ადამიანთა მიერ საწარმოო მიზნებისათვის ცეცხლის გამოყენება"[274].

ამირანის ეპოსი იმ მასშტაბისაა, რომ შეუძლებელია მას, გარდა ლიტერატურისა და ზეპირი გადმოცემებისა, არქეოლოგიაში არ დაეტოვებინა თავისი კვალი, მართლაც ამირანის თქმულებას მივყავართ იმ ძეგლებთან, რომელნიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლით თარიღდება: მცხეთის ბრინჯაოს სარტყელი, თრიალეთის ვერცხლის თასი, ყაზბეგის განძი და სხვა[275].

მითონიმი ამირანი არის თუ არა ის სახელი, რომელიც შეიქმნა მითის შექმნასთან ერთად? ამ საკითხს სპეციალურად შეეხო **ივ. ჯავახიშვილი.** მისი აზრით, რადგან თქმულებაში თითქმის ყველა მოქმედი პირის თავდაპირველი სახელი შეცვლილია და დამახინჯებული, „იქნებ თვით მიჯაჭვული გმირის სახელიც წინათ ამირანი კი არა, არამედ სულ სხვანაირი იყო?"[276]. ირანული **აჰრიმინი** არ მიაჩნია **ივ. ჯავახიშვილს** შესაძლო წინა სახელად. მისი აზრით, შესაძლებელია **ამიპრანი, მიპრანი,** რომელიც შეიძლება **მითრადან** მოდის, ყოფილიყო ამირანის წინა სახელი[277]. ასევე სამეგრელოში დადასტურებული **არამ-ხუტუ** შეიძლება ყოფილიყო ამირანის წინა სახელი[278].

მითრას კულტს საქართველოში სპეციალური შრომა მიუძღვნა სერგი მაკალათიამ. მითრას კულტი არ იყო უცხო საქართველოსთვის, მით უმეტეს, რომ „მითრაიზმი წარმართული მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო; მისი მკვლევარნი ერთხმად გვარწმუნებენ: წარმართულ მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა **მითრას** ინამებდაო"[279].

მითრასა და ამირანის ღვთაებათა კავშირის ივ. ჯავახიშვილისეულ ვარიანტს კიდევ უფრო აძლიერებს ს. მაკალათია და მითრა-ამირანის და წმ. გიორგის საერთო წარმომავლობას ამტკიცებს. ამგვარად, ამირანი, როგორც მითონიმი, მოვიდა ჩვენამდე ამირანად, ხოლო როგორც ღვთაება – წმ. გიორგის სახით. **ამირანის მითრას** სახელის ვარიანტები ჩვენს ისტორიაში დასტურდება **მიპრანის, მირიანის,** სომხურში **მპერის** სახით (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია), მათ დაემატება ქართული მითოლოგიური პანთეონის **მითრაც**[280], აგრეთვე – **მიპრ-დატ, მიპრ,** და „ჩვენში დამკვიდრებული თვის სახელიც „მიპრაკანი" – მითრას, მიპრის თვე" (პ. ინგოროყვა)[281].

მთავარია, რომ ამირანის წინა სახელი მხოლოდ ფონეტიკური წინა ვარიანტია და არა

272 მ. ჩიქოვანი, ხალხური შემოქმედების ისტორიის საკითხები, თბ., 1986, გვ. 42.

273 ო. ონიანი, ამირანის ლეგენდის სვანური ვარიანტი, კრებ.: თედო სახოკია, თბ., 1969, გვ. 152.

274 ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 13.

275 Мифы народов мира, 1998, с. 68.

276 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 198.

277 იქვე, გვ. 199.

278 იქვე, გვ. 199.

279 ს. მაკალათია, ჯეგე-მისარინის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1937, გვ. 3.

280 იქვე, გვ. 19.

281 იქვე, გვ. 18.

განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვა.

ჯავახეთის **ამირანის გორა** იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მითონიმი ამირანი ტოპონიმიაში დასტურდება დოკუმენტურად მე-18 საუკუნეში და ამის შემდეგ უწყვეტად არსებობს ეს სახელი, ხოლო ქართულ სინამდვილეში „ამირანის თავგადასავალი ყველაზე ადრე XII საუკუნის მწერლის **მოსე ხონელის** „ამირან-დარეჯანიანში“ არის დაფიქსირებული (მ. ჩიქოვანი), თუმცა ეს არის ლიტერატურულად გადამუშავებული და განსხვავებული ვარიანტი.

რაც შეეხება ამირანის მსგავს ბერძნულ-კავკასიურ სიუჟეტებს, მათ ბევრად უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს.

„ცნობილია, რომ ბერძენთა და ქართველთა თქმულებები მიჯაჭვული გმირის შესახებ დასჯისა და მიჯაჭვულობის ადგილად კავკასიონის მთას ასახელებდა. ბერძენ ავტორთა მოწმობიდან ჩანს, რომ ასეთი გადმოცემა უკვე V ს. ქ. წ. არსებობდა, ხოლო II ს. ქ. წ. იმ ადგილსაც ასახელებდნენ და ნიშანდობლივ უჩვენებდნენ კიდევაც, სადაც კავკასიონის მთავარ ქედზე ეს გმირი იყო მიჯაჭვული“ (ი. ჯავახიშვილი).

შ. ნუცუბიძის მიხედვით, ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის პოეტი **აპოლონიოს როდოსელი** მიუთითებს, რომ საბერძნეთიდან ჩამოსული მოგზაური **პრომეთესთან** ერთად უკვე იცნობენ **ამირანის** სახელს და **ამარანტის** მთაში კითხულობს ამირანის სახელს[282].

შ. ნუცუბიძეზე დიდი ხნით ადრე, 1849 წელს, **ამარანტი ამირანის მთას** დაუკავშირა სულხან ბარათაშვილმა გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიაში[283].

ამირანის სიუჟეტის მსგავსი ამბავი მოთხრობილი აქვს VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს **მოსე ხორენელს**, რომლის მიხედვით ამირანის ნაცვლად სომეხთა მეფე არტავაზდია მიჯაჭვული მასისის (არარატის) მთაზე (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ეს ჩვენს მითონიმს არ ეხება, რადგან, როგორც სიუჟეტის ელემენტები, ასევე სახელი განსხვავებულია.

ამირანის თქმულების სხვა ქვეყანათა სიუჟეტებთან დაკავშირებით კიდევ მრავალი აზრია გამოთქმული ქართულ ამირანოლოგიაში. საკითხის კვლევის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სიუჟეტის კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, ხოლო სახელისა – სპარსულთან, გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. ეტყობა, ეს სიუჟეტი არც სპარსულისთვის იყო უცხო. „საქართველოში ერთნი ბერძნული თქმულების ანარეკლად წარმოადგენენ, მეორენი – სპარსულისა, მესამენი კი ქართული წარმოშობისად თვლიან. შედარებითმა კვლევა-ძიებამ საკითხი სულ სხვაგვარად მოაბრუნა. აღმოჩნდა „მოარულ ფაბულათა“ მთელი წყება, რომელიც მთელ ქვეყანაზე არის გავრცელებული და ძნელია ჯერ გადაწყვეტით იმის თქმა, **თვითჩასახვის გზით** შეიქმნა ასეთი მსგავსება თუ არსებობდა რაიმე პრა-სამშობლო, საიდანაც ხალხთა წასვლა–წამოსვლასთან დაკავშირებით ეს ფაბულაც შეიქმნა“[284].

ასეთ სიძველეებთან არის დაკავშირებული ჯავახეთის **ამირანის გორა**.

აგარა

მესხეთში, ასპინძასა და ოთას შორის, შეიქმნა **აგარის დედათა მონასტერი**, მშვიდმა და წყნარმა სამონაზვნო ცხოვრებამ დაისადგურა ძველ ნასოფლარსა და ტაძარში. მრავალი რამის მომსწრეა ეს ხეობა, სადაც გამარტოვებულა ორი მონაზონი და ორიც მორჩილი მოღვაწე მონაზვნის დედა ქეთევანის (მელაძე) წინამძღვრობით. სამშენებლო საქმიანობა ადრე დაიწყო, მაგრამ მონასტრად 2006 წელს იკურთხა. თითოეული მონასტრის ისტორია მისი სახელიდან იწყება, სახელს კი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასულიერო და საერო ცხოვრებაში. ადგილის სახელის გაშიფვრა და ენობრივი კუთვნილების დადგენა ხშირად დიდ სიღრმეებში მიდის და გადაგვიშლის ჩვენი ისტორიის საინტერესო ფურცლებს. **აგარა** ადგილის სახელად ბევრგან გვხვდება დღევანდელ და ისტორიულ საქართველოში. გვქონდა **აგარის მონასტერიც** ურავლის ხეობაში მდინარის მარჯვენა

282 ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 11.

283 მ. ჩიქოვანი, ხალხური შემოქმედების ისტორიის საკითხები, გვ. 43.

284 ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, თბ., 1967, გვ. 336-337.

ნაპირზე, სადაც შემორჩენილია მთავარი ეკლესია, ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ბაზილიკა საქართველოში. იგი მოხატული ყოფილა X-XI საუკუნეებში. შემონახულია აგრეთვე სამრეკლო, საცხოვრებელი სენაკები, საკულტო და სამეურნეო შენობები[285]. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მხოლოდ აჭარაში, ბათუმის რაიონში ორი **აგარა** გვაქვს. თითო აგარაა ახალციხის, ქარელის და ხულოს რაიონებში. ადგილის სახელად გვაქვს აგარისაგან –**აკ** სუფიქსით ნაწარმოები სახელი **აგარაკი** გუდაუთის, ოზურგეთის და გარდაბნის რაიონებში. ერთ სოფელს ხაშურის რაიონში **აგარები** ჰქვია. დღეს მესხეთში მხოლოდ ახალციხის რაიონში დასტურდება აგარა სოფლის სახელად, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე რკინიგზის ხაზის გაყოლებით. ეს აგარა გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილთან: „ამის ზეით (იგულისხმებ აწყური და აწყურის ხიდი მტკვარზე – მ. ბერიძე) მტკუარს მოერთვის **ზიკილიის ხევი**, ჩრდილოდამ, **აგარას**, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით"[286]. ისტორიული გარემო, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ხატავს XVIII საუკუნეში, დღესაც იგივეა და აგარაც იმავე ზიკილიის ხევზე მდებარეობს, რომელსაც **წინუბნის ხევიც** ჰქვია. ეს სოფელი გაუკაცრიელებული ყოფილა XVI საუკუნეში. მის შესახებ ს. ჯიქია წერს: **„აგარა – დედისიმედის წინუბანთან** ამ დროს უკვე გაუკაცრიელებული სოფელია. აგარის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელია დედისიმედის წინუბანი. დედისიმედის წინუბანი უნდა რქმეოდა იმ წინუბანს, რომელიც იმავე აწყურის ნაპიერი 27-ე სოფლად და გურკელთან ახლომდებარედ არის აღწერილი. ამ სოფ. წინუბნის მინაწერში იგულისხმება დედისიმედის ვენახი და ბაღი. . . უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დასახელებულ უკაცრიელ სოფელ **აგარაში** შემდგომ ხანებში მოსახლეობა გაჩნდა და ამჟამად იგი წინუბან, გურკელ და ზიკილია სოფლებთან ერთად აგარის სასოფლო საბჭოში შედის"[287]. XIX საუკუნეში გამაჰმადიანდნენ აქაური მესხები, რომლებიც გაასახლეს და მათ ადგილზე ჩამოასახლეს მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კიდევ ერთი ნასოფლარი იყო XVI საუკუნეში ამ მიდამოებში ქვაბისხევსა და ზოვრეთს შორის, რომელსაც ს. ჯიქია **დემოთიის აგარას** უწოდებს[288]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგარა, სადაც დედათა მონასტერია, ისტორიულ ნაფუძარზე დგას. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს, რომ „ამას ზეით (იგულისხმება სუელის ხევი – მ. ბერიძე) ერთვის მტკუარს **ასპინძის ხევი** აღმოსავლეთიდამ, გამოსდის **კოდიანისას** ანუ **ჯავახეთის მთას.** ამის შესართავთან არს **ხიდი** მტკუარსა ზედა. ასპინძის თავს და **აგარის** ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძას ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, არს **მგელ-ციხე**, მაგარი, დიდშენი. ამავ ხევზედ, **ოთას** არს კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-დიდნი,სახიზრად. ოთას ამ ხევს ერთვის **ჯაბოეთის ხევი**, გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძის ხევის სათაეზედ, მთის ძირში, არს **შორაპანს** მონასტერი უგუმბათო,შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი"[289]. განვიხილოთ თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე აგარის გარშემო. ვახუშტი არ ამბობს, თუ რამხელა სოფელი იყო აგარა, როგორი ეკლესია იდგა სოფელში, ვინ ცხოვრობდა იქ და ა. შ. როგორც ჩანს, არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია. სხვაგვარი მდგომარეობა იყო XVI საუკუნის ბოლოს. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ბევრი აგარაა დაფიქსირებული, მათი ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით ს. ჯიქია ახლომდებარე მნიშვნელოვანი პუნქტების მიხედვით მოიხსენიებს, ამიტომ **ასპინძის აგარას** უწოდებს მას. რა თქმა უნდა ასპინძის აგარა არასოდეს ყოფილა მისი რეალური სახელი. მას, როგორც სხვა ბევრს, აგარა ერქვა მხოლოდ და იგი იმ დროისათვის ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო. მას გააჩნდა ცალკე სათიბი, რომელსაც **ოთარაშენი** ერქვა."ასეთი დიდი სოფელი შედარებით მოკლე ხანში უნდა იყოს მიტოვებული, რომ იგი XIX საუკუნის სამხედრო თუ სხვა დანიშნულების რუკებზე არ არის აღნიშნული"[290]. „დავთარმა" შემოგვინახა იმ ოჯახის უფროსთა სახელები, ვინც მაშინდელ

285 ს მ ე ე ლ, 2007, გვ. 18.

286 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 662.

287 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 141-142.

288 იქვე, გვ. 145.

289 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 666-667.

290 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 200.

სოფელში ცხოვრობდა. სოფლის მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ტრადიციული ქართული და ქრისტიანული სახელების გვერდით უკვე შემოსულია აღმოსავლური სახელები, რომელთაც უფრო მეტი გავრცელება შემდეგი დროის საქართველოში ჰპოვეს, ზოგიც გვარებში შემოგვრჩა როგორც ძირეული სიტყვები ან სულაც დაიკარგა.

XVI საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით მესხეთში, ახლო ნათესავებში უყვარდათ ისეთი სახელების დარქმევა, რომლებშიც მარცვლები მეორდებოდა ხოლმე. მაშინდელ აგარაში ცხოვრობდა ორი ძმა, ერთს ერქვა **ზანდარა,** ხოლო მეორეს – **ლონდარა**[291]. თავისი არაქართული ფორმის და გაურკვეველი შინაარსის გამო, ვინმეს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, რომ ამ სახელთა მატარებელი ადამიანები ქართველები არ იყვნენ. ჯერ ერთი ამ სახელებისაგან შემდეგში მივიღეთ ქართული გვარები: **ზანდარაშვილი** და **ლონდარიძე,** მეორეც – მათ ჰყავდათ მესამე ძმა, რომელსაც **გოგიბერა** ერქვა. გარდა იმისა, რომ ამ სახელისაგან შემდეგ მივიღეთ გვარები **გოგიბერაშვილი** და **გოგიბერაშვილი, გოგიბერიძე, ბერ-** ფუძე მრავალ ამ ტიპის გვარში შედის, ისეთებში, როგორიცაა: **გულაბერიძე, შალამბერიძე, ლოსაბერიძე, ჯანბერიძე** და მრავალი სხვა. არ არის გამორიცხული, ლონდარა მოდიოდეს **ლომდარასაგან,** რაც კიდევ უფრო სხვაგვარად დაგვანახებს პრობლემას და, რაც მთავარია, ზანდარას, ლონდარას და გოგიბერას ჰყავდათ მამა, რომელსაც ერქვა **მაცხონა.** მაცხონას მამას, როდესაც შვილისათვის ეს სახელი დურქმევია, იმედი ჰქონია, ცხონების შეთვლისა და შენდობისა, თავად მაცხონას კი სულის ცხონებაზე ნაკლები უფიქრია და მოდაში შემოსული ზოგიერთი სახელი გაურევია შვილების სახელდებისას. მაცხონა ნამყო წყვეტილის ზმნისაგან არის მიღებული, გავრცელებულია მთელ საქართველოში, გვაქვს მისგან ნაწარმოები გვარი **მაცხონაშვილი.** ზმნური ფუძეებით არის კიდევ სამი სახელი მაშინდელ აგარლებში, ესენია: ერთი **აღდგომელი** და ორი **მახარებელი.** აღდგომელი არის **იმანას** ძე. ერთი მახარებელი **კუპარას** ძეა, ხოლო მეორის მამის სახელი არ იკითხება. დღეს **იმანა** ოფიციალურ საკუთარ სახელად არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მეტსახელად. მესხეთში რამდენიმე იმანა ცხოვრობს. სახელდების მოტივაციას ასე ხსნიან მათ გარშემო, ხშირად ხმარობს **იმან** სიტყვასო. ასევე იმან ნაცვალსახელი უნდა იყოს ამოსავალი მიმართვის ფორმაში – **იმანო,** იმერულ დიალექტში. გვყავს კიდევ ერთი იმანა, რომელსაც შვილი ჰყავს **მაცაცა.** ამ სახელს დღეს კაცებს არ არქმევენ, მაგრამ არქმევენ მაცაცას **-ო** დაბოლოებიან ფორმას, **მაცაცოს,** ოღონდ ქალებს[292]. აღდგომელის მამის სახელი **კუპარა,** შეიძლება ვიფიქროთ, რომ დღევანდლამდე მოღწეული **ყუფარა** უნდა იყოს, რომელიც გვხვდება გვარში – **ყუფარაძე. კუპარაში -ა** არის ფორმანტი, რომელიც აღნიშნავს ან კნინობითობას ან მსგავსებას. კუპარ ფორმა გვხვდება ჟამთააღმწერელთან, „ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი **კოხტას თავსა,** იმერნი, ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, **კუპარი** შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი"[293]. კუპარად შოთა კიდევ ერთხელ იხსენიება იმავე ავტორთან იმავე გარემოში[294]. არის მოსაზრება, რომ შოთა კუპარი არის **შოთა რუსთველი.** კუპარად შოთას მოხსენების შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „შოთას აბრალებდნენ მანის მოძღვრების მიმდევრობას და სარწმუნოებიდან განდგომილად სთვლიდნენ. გასაგები ხდება ამის შემდეგ, თუ რად არის ეს კლერიკალურად განწყობილი ისტორიკოსი განსაკუთრებული მტრობით გამსჭვალული შოთასადმი"[295]. ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არაბულიდან შემოსული სიტყვა ქცეულა საკუთარ სახელად და დაურქმევიათ მაშინდელ **აგარაში** ორი კაცისათვის. ერთი მათგანის შესახებ, რომლის შვილსაც მახარებელი ერქვა, ვისაუბრეთ, ხოლო მეორე კუპარას თავისი შვილისათვის **სელმანი** დაურქმევია, მოდაში შემოსული ახალი აღმოსავლური სახელი. აქვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჟამთააღმწერის ზემოთმოხმობილი ციტატა სხვა რამითაც არის მნიშვნელოვანი. ადგილი,

291 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 145.

292 გ. ხორნაული, შვილთათვის დასარქმევი სახელები, თბ., 2010, გვ. 31.

293 ჟამთააღმწერელი, გვ. 215.

294 იქვე, 219.

295 პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, 1963, გვ. 126.

სადაც მონღოლების წინააღმდეგ მიმართული **კოხტასთავის შეთქმულება** მოხდა 1245 წელს, რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ჩვენს აგარას სამხრეთიდან. იგი მდებარეობს სოფელ **ტამალის** თავზე, მას დღესაც **კოხტას თავი** და **კოხტის ციხე** ჰქვია. ქართული სახელი **პაპუნა** აგარაში სამ კაცს ერქვა. უკვე აქტიურად შემოსული აღმოსავლური სახელის მატარებელ კაცს, **ასმანას,** დაურქმევია თავისი შვილისათვის **პაპუნა,** ასევე **გიორგის** ჰყავს შვილი **პაპუნა** და ერთი ოჯახის უფროსი არის "სახელად **პაპუნა**". ამ სახელის შესახებ ზ. ჭუმბურიძე წერს: **„პაპუნა** (ქართ.) „პაპისა". წინათ გავრცელებული იყო და ზოგჯერ ახლაც გვხვდება ამ სახელის მრავალფეროვანი ვარიანტები: **პაპა, პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპენა პაპინა**"[296] ცნობილი ქართული სახელის მქონე კაცს **იმედას** თავისი შვილისათვის დაურქმევია **ფირიჯანი.** იმედასაგან ნაწარმოებია ქართული გვარები: **იმედაშვილი, იმედაიშვილი, იმედაძე, იმედიძე**[297], ხოლო, რაც შეეხება, ოსმალეთის მესხეთში მომძლავრების გამო შემოსულ **–ჯან** კომპონენტიან სახელებს – ყულიჯანს, ველიჯანს, ამირჯანს და სხვას, მომავალში, მართალია, მათ სახელებად იშვიათად არქმევდნენ,სამაგიეროდ გვარებმა შემოგვინახა ისინი. ასურულიდან არის შემოსული ადამიანის საკუთარი სახელი **სარგისი**[298]. ამ სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირი, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან,ამიტომ ეს სახელი რომ პოპულარული ყოფილიყო სამცხეში, აგარაში, არაფერია გასაკვირი. სოფელში ცხოვრობდა **3 სარგისი,** სამივე უფროსი თაობის წარმომადგენელი, მამა, იყო: **ასითა სარგისის ძე, ელიაზარ სარგისისძე** და **მასურა სარგისისძე**[299]. XVI საუკუნის **აგარაში** ცხოვრობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ნათლობის სახელების ნაცვლად კნინობითი სახელებით იცნობდნენ და საგადასახადო დავთარშიც ასე დააფიქსირეს: **იმარინდოს** ჰყავდა სამი ძმა, რომელთაგან ერთს სპარსული სახელი **ამირბარი** ერქვა, სხვებს კი **მიქელა** და **გულია.** ამ სახელებიდან მივიღეთ შემდეგ გვარები: მიქელაძე, გულიაშვილი და სხვა. ერთი ოჯახის უფროსს **გაბრიელის** ნაცვლად **გაბო** ერქვა, მოფერებითი, კნინობითი ვარიანტი. სოფელში ცხოვრობდა ორი **დავითა** და ა. შ. ამგვარად, შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ სოფელ აგარაში XVI საუკუნის ბოლოს მთლიანად ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა.

ეს დიდი სოფელი რაღაცა დიდმა უბედურებამ, რომელიც მას დაატყდა თავს XVII საუკუნეში, აქცია ნასოფლარად, ამიტომ აღარაფერს ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი მისი მოსახლეობის შესახებ. იგი მდებარეობდა ცნობილ სოფლებს, ასპინძასა და ოთას, შორის. ასპინძასა და ოთაში იყო ძლიერი ციხეები. ასპინძის ციხეს თავისი რაბათიც ჰქონდა, ციხის გარშემო დასახლება, ციხის უბანი. შეიძლება, სწორედ ამ სოფლებს შეეფარა აგარიდან გაქცეული მოსახლეობა. ერთ დროს ძლიერი სოფელი დაცარიელდა. ვახუშტის დროს მესხეთში ჯერ კიდევ არ იყო გამაჰმადიანებული გლეხობა, მათი სარწმუნოების შეცვლა ძირითადად XIX საუკუნეში მოხდა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, საკუთარ სახელებში სპარსულ-არაბულ-თურქული ლექსიკა ადრიდანვე არ იყო უცხო ქართველებში, გამაჰმადიანების შემდეგ კი თურქულმა ენამ მეტყველებაშიც იმძლავრა, ამას ხელი შეუწყო სომხების შემოსახლებამაც, რადგან სომხები შემოასახლეს ღრმა ოსმალური პროვინციებიდან და მათთან საურთიერთობო ენად თურქული ენა იქცა. როდესაც სოფელი ნასოფლარად იქცევა, მისი სახელი ადვილად ქრება, რჩება ეკლესია ან ნაეკლესიარი, ამიტომ სწორედ ეს ნაეკლესიარი ხდება სახელდების ობიექტი, ასე მოუვიდა, მაგალითად, **ოთხთა ეკლესიას** ტაო-კლარჯეთში, იგი იქცა **დორთ ქილისედ** და მრავალ სხვას. 1909 წელს გამოვიდა გრაფინია უვაროვას რედაქტორობით წიგნი, სადაც დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის 1902 წლის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. ე. თაყაიშვილი აგარის ეკლესიას უწოდებს **კიზილ დერესის** ეკლესიას[300]. სიტყვა-სიტყვით კიზილ-დერესი ნიშნავს **წითელ ხევს.** მესხეთში ადგილთა ბევრ სახელში დომინირებს ზედსართავი სახელი წითელი. ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული სიტყვაა

296 ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, გვ. 193.

297 იქვე, გვ. 168.

298 იქვე, გვ. 198.

299 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 145.

300 ე. თაყაიშვილი, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, под ред. гр. Уваровой, М., 1909, с. 13-14.

ქართულში **ხევი**. რადგან ოთასა და ასპინძაში მაჰმადიანი მოსახლეობა იყო ქართველი, მათ თავიდან ქართულ ენაზე შეარქვეს ადგილს სახელი, ხოლო თურქობის მომძლავრების შემდეგ იგი ითარგმნა თურქულად ისევე, როგორც ბევრი სხვა სახელი მესხეთში. მაგალითად, **მგელციხე** იქცა **კურტკალად**, **ოქროსციხეს** უწოდეს **ალთუნკალა** და სხვა. ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება მიკროტოპონიმიიდან, მაგრამ ცნობილი ფაქტები საკმარისია. ადგილს წითელი ხევი ერქმეოდა იმ შემთხვევაში, თუ ხევის რომელიმე მონაკვეთზე წითელი ფერის ქვა, მიწა ან კლდე სჭარბობდა. მესხეთში უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება **ჩითახევი**, ბორჯომის რაიონში. **ჩითახევი** მიღებულია **ჭითახევისაგან** და ნიშნავს წითელხევს[301]. ეს არის მესხურ-მეგრული ჰიბრიდული ტოპონიმი. ჩითახევში ქრისტიანული მოსახლეობის უწყვეტობამ განაპირობა სახელის პირვანდელი სახით, მცირე ფონეტიკური ცვლილებით, შენარჩუნება. განსაკუთრებით ბევრი იყო მესხეთში **წითელი საყდარი**, რომელიც იქცა **კიზილქილისად** და რომელიც აგრეთვე არის თარგმანი ქართული სახელისა. მაგალითად, ერთ-ერთი კიზილ ქილისა გვაქვს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, არდაჰანის (არტაანის) გუბერნიაში[302]. კიზილქილისაა **ტაბაწყურის ტბაზე**, რომელსაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წითელი საყდარი ერქვა[303]. სამხრეთ საქართველოს მკვლევარი ილია ალხაზიშვილი 1897 წელს ტაბაწყურის **წითელი საყდრის** სახელის შესახებ წერდა: „უწინ საქართველოს აქ მეფობის დროს, თურმე სოფელს სპარსნი დაეცნენ და სწორედ აღდგომა ღამეს, ცისკარზე, ეკლესიაში მთლად ამოსწყვიტეს ქართველნი, მათი სისხლით ეკლესიის კედლები სრულიად წითლად შეიღება, არ ეღირსათ უბედურებს წითელი კვერცხების გაფცქვნა. მას აქეთ დაერქვა ეკლესიას **კიზილ-ქილისა** და სოფელმაც მიიღო **წითელი საყდარიო**"[304]. სახელდების მოტივაცია სახეზეა, ეკლესია წითელი ქვით არის ნაშენი, მაგრამ ხალხმა კიდევ უფრო გაამძაფრა პრობლემა და ქვის ბუნებრივი ფერი მტრის ხელით დაღვრილ სისხლს დაუკავშირა. არაა შეუძლებელი, რომ თუ აგარის მიდამოებში წითელი ფერის მიწა, ქვა, კლდე ან მსგავსი რამ არ დადასტურდა, ეკლესიის სახელი **წითელი ხევი** სოციალური შინაარსით იყოს განპირობებული და დაკავშირებული იყოს იმ დროსთან, როდესაც **აგარის** მოსახლეობამ ხევი საკუთარი სისხლით შეღება მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ვინც გადარჩა, როგორც ზემოთ ითქვა, გაიფანტა ასპინძასა და ოთაში. 1902 წელს, როდესაც ე. თაყაიშვილმა ეკლესია მოინახულა, სახურავი კი იყო ჩაქცეული, მაგრამ კედლები მთელი იყო და იდგა. ფრესკების კვალი ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა საკურთხეველში.

როდესაც საუბარია აგარაზე ან კიზილ დერესეზე, მთავარი ორიენტირი არის მდინარე, რომლის ნაპირზეც მდებარეობს ნასოფლარი, ნაეკლესიარი, დღეს კი უკვე მონასტერი. XX საუკუნის ბოლოსთვის ამ მდინარეს **ოთის წყალი** ჰქვია. ამ ტიპის ჰიდრონიმია, მდინარეები, გამოირჩევა სახელთა სიმრავლით არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში, არამედ ისტორიის ერთსა და იმავე მონაკვეთზეც კი. საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს დედა მდინარის **მტკვრის** სახელი. მას ხალხი მტკვრის გარდა ეძახდა **არტაანის წყალს**, **არტაანის მტკვარს**, **არტაანულას**, **ჯავახეთის მტკვარს** და სხვა. ახლანდელ **ოთის წყალს** ე. თაყაიშვილი 1902 წელს უწოდებს **ასპინძის წყალს** (Аспиндзис цкали). ასპინძის და ოთის მაჰმადიანმა მოსახლეობამ ეკლესიის სახელი კი თარგმნა, მაგრამ არ თარგმნა მდინარის სახელი, თორემ ე. თაყაიშვილი ჩაიწერდა ან **ასპინძა ჩაის** ან **ასპინძა სუს**. ასპინძის ხევი და სამცხის ხევი სინონიმებად ესმის ვახუშტი ბატონიშვილს. „მატიანე ქართლისაჲ" და სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობენ, რომ 888 წელს სოფელ ასპინძასთან მოკლეს გურაამ მამფალის ძე ნასრა: „და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედ და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა **ჴევსა სამცხისასა**, სოფელსა **ასპინძასა**"[305]. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „შეიბნენ მტკუარსა ზედა, ბრძოლასა იძლია ნარსე და ბაყათარ ოვსი; შეიპყრეს ნარსე და მოკლეს **ჴევსა შინა ასპინძისასა** და

301 მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბ., 2010, გვ. 189.

302 იქვე, გვ. 156.

303 იქვე, გვ. 157.

304 ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, გვ. 40–41.

305 სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 379.

აღიხოცა თესლი მისი"[306]. ამგვარად, IX საუკუნეში ამ მდინარეს (ბუნებრივია, IX საუკუნეში ბევრად უფრო წყალუხვი იქნებოდა იგი) ერქვა **სამცხის ხევი** (ჴევი სამცხისაჲ), შემდეგ ეწოდა **ასპინძის ხევი** (ჴევი ასპინძისაჲ), იგივე ასპინძის წყალი და ბოლოს – **ოთის წყალი**. ეს ასპინძის ხეო რომ ნამდვილად დღევანდელი ოთის წყალია, კარგად ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი სხვა ხევების ფონზე. **„ასპინძის ჴევის** შესართავს ზეით მოერთვის მტკუარს **ვარენთის ჴევი**. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ ჴევის შესართავს ზეით, მტკუარს მოერთვის აღმოსავლიდამ **კოხტის ჴევი**, გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად"[307]. მოხმობილ ციტატაში ვახუშტი ბატონიშვილი ჩამოთვლის ხევთა თანმიმდევრობას: **ასპინძის ხევი, ვარენთის ხევი** და **კოხტის ხევი**. მართლაც, ვახუშტის მიერ აღწერილი ვარენთა დღევანდელი **ვარნეთია**, რომლის გამოც შერქმევია ხევს სახელი. დღევანდელი ოთის წყლის, იმავე ასპინძის ხევის ზევით, მტკვრის სათავისაკენ, ოღონდ მდინარის მარცხენა ნაპირიდან, ერთვის მტკვარს ვარენთის ხევი, რომელსაც დღეისათვის **ვარნეთის ხევს** ეძახიან, მაგრამ უფრო მოიხსენიებენ **ერკოტის ხევის** სახელწოდებით, რადგან სათავეს იღებს ერკოტაში და შემდეგ ჩაუვლის ნასოფლარ ვარნეთს და ვარნეთის ციხეს. ვახუშტის მიერ დასახელებული **კოხტის ხევი** კი ვარნეთის ხევის ზევით, აბანოების შემდეგ, ხეოლიშასთან ერთვის მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან და მას **ტამალის ღელეს** ან **ტამალის წყალს** ეძახიან, რადგან დღეისათვის ტამალა უფრო ცნობილი სახელია, ვიდრე კოხტა. ასე რომ, ასპინძის აგარა ერთ-ერთი ცნობილი და ისტორიული მდინარის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომაც გაუგებარია დღევანდელ მესვეურებს ამ მდინარისათვის **ოთა** რომ უწოდებიათ. ოთა სოფლის სახელია და არა მდინარისა.

XVI საუკუნეში კიდევ ერთი დიდი სოფელია **აგარის** სახელწოდებით. მას ს. ჯიქია **ნიალისყურის** აგარას უწოდებს[308]. მასში 26 ოჯახი ცხოვრობდა და განსხვავებით ასპინძის აგარისაგან, ამ სოფელმა ჩვენს დრომდე მოაღწია თავისი მოსახლეობით, თუმცა ეს აგარაც დღეისათვის ნასოფლარია, მდებარეობს **ნიალის** ველზე. ვარძიიდან ამავალი გზის თავზე, როგორც კი გამოჩნდება ნიალის ველი, იწყება მინდორი, რომელსაც **შაყბა** ჰქვია და რომელიც მთავრდება სოფლის მისასვლელამდე. ეს სოფელი ძლიერი და ნაყოფიერი სოფელი ჩანს XV საუკუნეშიც. ვარძიის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის ხეობაში, სამიოდე კილომეტრით დაბლა, არის ვანის ქვაბები, რომლის ტიპიკონმაც ჩვენამდე მოაღწია. ტიპიკონს აქვს სხვადასხვა საუკუნის მინაწერები. ერთ-ერთი მათგანი, XV საუკუნისა, გვამცნობს, რომ **მირძასა** და **ზაზას** ვანის ქვაბთა მონასტრისათვის შეუწირავთ, **„აგარას ორკალოსძისა** მამული, სამი გრივი პური, ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი"[309]. სამი გრივი დაახლოებით 30 კოდს უდრიდა, რომლის ნახევარიც „წმინდა" ე.ი. დასაფქვავად გამზადებული უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ აგარაში მხოლოდ ზაზაძეები ცხოვრობდნენ, ალბათ იმ ზაზას შთამომავლები, ვინც ორკალოსძის მამული შესწირა ვანის ქვაბების მონასტერს. სოფელში XVI საუკუნეში მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობდნენ და უხდიდნენ მძიმე გადასახადს ოსმალოს ხელისუფლებას. თითოეული ოჯახი იხდიდა გადასახადს **ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, ონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე, იალაღზე, საქორწინოდ** და სხვა[310]. ნიალისყურის აგარის მოსახლეობაში იმ დროს გავრცელებული იყო ისეთი სახელები, რომელთაგანაც შემდეგ მივიღეთ სამცხური თუ ჯავახური გვარები. მაშინდელ მესხეთში პოპულარული სახელი იყო **აღდგომელა**, რომელსაც აღდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ[311]. მისგან მივიღეთ შემდეგში გვარები **აღდგომელაშვილი** და **აღდგომელაძე**. ეს უკანასკნელი მხოლოდ ჯავახეთშია გავრცელებული, კერძოდ, სოფელ ჩუნჩხაში. აი, მაშინდელი ოჯახის უფროსები: **გორგოლა, გოგიჩა, პაპა, ქრისთესა, გიორგი, ვარძელ, იორდანე, იორამ, არჩული,**

306ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 132.

307იქვე, გვ. 667.

308ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 371.

309ქრონიკები, II, გვ. 46.

310ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, ტ. II, გვ. 249.

311ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 24.

პეტრე, რევაზა, ელისა, ბადურა, ბატატა, ბადრია, ხახუტა, რომა, მასურა, ზარასელა, ელია, აღნია, სიმონ და სხვანი. ამ სახელთაგან შემდეგ შეიქმნა ცნობილი გვარები: **გოგიჩაიშვილი, პაპიძე, პაპავა, ქრისტესაშვილი, გიორგიძე, ვარძელაშვილი, იორდანიშვილი, იორამაშვილი, პეტრიაშვილი, რევაზაშვილი, ელისაშვილი, ბადურაშვილი** და სხვა. სოფელში ცხოვრობდა მოდაში შემოსული ოსმალურსახელიანი ორი **ყარა**, ორივე უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო და ორივეს შვილს **ვარძელი** ერქვა. გარეგნული ნიშნების, კერძოდ, ფერის გამო ბევრ ადამიანს შეარქმევდნენ ხოლმე სახელს ან მეტსახელს. შავგვრემან კაცს შეიძლება შერქმეოდა შავი ფერის აღმნიშნელი ქართული ან შემოსული სიტყვა მაშინაც და შემდეგაც. ზოგ სოფელში ჯერ კიდევ არქმევენ **შავას** ან **შაოს**, ზოგან – **კუპრას**, აგარაში კი დაურქმევიათ **ყარა**, რომელიც იგივე შავაა, ოღონდ – თურქულად. ყარა იმდენად პოპულარულ სახელად იქცა საქართველოში, რომ მისგან მივიღეთ ცნობილი გვარი **ყარაშვილი.** რუსების შემოსვლის შემდეგ ამავე რიგში დგება მეტსახელი **ჩორნა**, ოღონდ მისგან გვარი აღარ მიგვიღია. რამდენიმე პიროვნებისათვის უკვე განსხვავებული სახელი დაურქმევიათ, ასეთებია: **ელიაზარი, ქემარაზი, იბაშერი, ევანგულა** და **ზარასელა.** დიდმა გადასახადებმა წელში გაწყვიტა აგარის მოსახლეობა. გადასახადს კი იმ შემთხვევაში არ გადაახდევინებდნენ, თუ მიიღებდნენ მაჰმადიანობას. ხშირად ყოფილა, რომ სამ ძმათაგან ორს მიუღია მუსლიმობა და მესამე ძმა შეუნახავთ, მიხმარებიან გადასახადის გადახდაში, რომ ქრისტიანად დარჩენილიყო. აგარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შემდეგში გამუსლიმდა. XX საუკუნის პირველ ნახევარში აგარაში 80 კომლი ქრისტიანი ცხოვრობდა და 140 კომლი მუსლიმი. სარწმუნოების შეცვლა რომ ერთბაშად არ მომხდარა, ამაზე მიგვითითებს ქრისტიანთა და მუსლიმთა განსახლება. ისინი ცალკე უბნებად არ ცხოვრობდნენ, შერეული იყვნენ ერთმანეთში. მაჰმადიანებს დაკარგული ჰქონდათ ქართული გვარები. მახსოვრობა წარმომავლობის შესახებ თანდათან გამქრალიყო. ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის კეთილგანწყობა სუფევდა. ქრისტიანები მხოლოდ ერთი გვარისანი იყვნენ ნილისყურის აგარაში – **ზაზაძეები**. მხოლოდ ორ ოჯახს ჰქონდა განსხვავებული გვარი, ერთი იყო **საყვარელიძე** და მეორე – **ვაჭარიძე**. ასე მოვიდა ეს სოფელი 1944 წლამდე. ამ წელს, იმის ნაცვლად, რომ სოფელი გაერთიანებულიყო, რწმენაშეცვლილნიც დაბრუნებოდნენ თავიანთ ფესვებს, ეროვნებას, მაჰმადიანი მოსახლეობა გაასახლეს აგარიდან შუა აზიაში, საიდანაც აღარ დაბრუნებულან, ხოლო ქრისტიანები გადაიყვანეს მარგასტანში, რომელსაც **თმოგვი** ეწოდა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ. ასე იქცა ნასოფლარად XX საუკუნის შუა წლებამდე მოსული სოფელი აგარა. აგარლებს დღესაც ახსოვთ ერთი საფლავის ისტორია. ამ საფლავს **მამუას საფლავს** ეძახიან. აგარაში ორი სასაფლაო იყო, მაჰმადიანებისა და ქრისტიანებისა. ზაზაძეთა გვარის ერთ-ერთი ძლიერი **მამუანთ** შტოს სათავის დამდები **მამუა** ყველამ იცის, რომ მარხია მაჰმადიანურ სასაფლაოზე. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტიანობაზე ზეწოლის მძინე წლებში, არა მხოლოდ მძიმე გადასახადებით აიძულებდნენ ქართველებს სარწმუნოების შეცვლას, ფიზიკური განადგურებითაც ემუქრებნოდნ. მამუამ დაუტოვა შთამომავლებს ანდერძი, ჩემი ცოდვა თქვენ, თუ მაჰმადიანების სასაფლაოზე არ დამკრძალოთო. ამით გადარჩებით, თათრები რომ შემოგესევიან, არ დაგხოცავენ, მე რომ მათ სასაფლაოზე ვიქნები დაკრძალული. მამუას აუსრულეს ანდერძი. ამ ამბავში საინტერესოა მეორე მხარე, მაჰმადიანებს უარი არ უთქვამთ მამუას ანდერძის ასრულებაზე და ქრისტიანი დაკრძალეს თავიანთ სასაფლაოზე, რადგან მათაც ჰქონდათ ეს გზა გავლილი სხვადასხვა ფორმით. ასე დარჩა ნასოფლარში დღეს ეკლესია, ნასახლარები, მამუანთ წყარო და მამუას საფლავი ნიშნად იმისა, რომ აქ ერთ დროს სოფელი იყო.

გეოგრაფიული სახელი **„აგარა“, „აგარანი“, „აგარაკი“**ქართულში გავრცელებული სახელია. **აგარაკი** ძველ სომხურში და სომხეთშიც გავრცელებული სამეურნეო და საგეოგრაფიო ცნება-სახელი იყო[312]. ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით **აგარაკი** და **აგარაჲ** პარალელური ფორმებია, ნიშნავს: **ყანას, სახნავ-სათეს მიწას**. ი. აბულაძე აგარაკსა და აგარას განმარტავს: **ქუეყანა, საქმარი, დაბა, სოფელი, ყანა, ველი**[313]. სულხან-საბა ორბელიანი ერთგვარად განასხვავებს აგარასა და

312 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 312.

313 ი. აბულაძე, ქართული ენის..., გვ. 1.

აგარაკს. **აგარის** შესახებ ამბობს: „სადგური საზაფხულო"[314]. სულხან-საბა უპირისპირებს აგარასა და მთას, როცა წერს: „მთა არს ადგილი მაღალი და ცივი; მთიულეთი – დაბანი ჴევნებთა მისთა; და მთიულნი – მუნ მკვიდრნი კაცნი, ხოლო **აგარა** – ვაკე და **მახლობელი მის ადგილი და გრილი**"[315]. ეტყობა აგარა იყო მანამ, ვიდრე ადგილი სტატუსს შეიცვლიდა და გაჩნდებოდა **ნაადარევი**, რაც აგარად ყოფილს ნიშნავდა[316]. რაც შეეხება აგარაკს, იგი არის „ადგილი საყანური, გინა სავენაჯე გინა დაბა"[317]. ივ. გვარამაძისათვის **აგარა** და **აგარაკი** ერთი და იგივეა, „არის სახნავ-სათესი მინდორი, საზაფხულო"[318]. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ტერმინთა განხილვისას სულხან-საბა ორბელიანის მიერ აგარის განმარტებების შემდეგ ასკვნის: „მხოლოდ მაინც ნათლად არა ჩანს, რით განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო **საზაფხულო სადგური** იყო, ან **სახნავ-სავენახე**, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურისმგდები ოჯახობა შეიძლება ყოფილიყო"[319]. ეს „ყურისმგდები ოჯახობა" თავიდან იქნებოდა თითო-ოროლა, თორემ შემდეგ ყალიბდებოდა აგარა სოფლად და ზოგჯერ დიდ სოფლადაც. თავდაპირველად აგარა იყო მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავდა საზაფხულო სადგურს, სახნავ-სავენახეს, ვაკეს, ყანას, ველს, გრილ ადგილს და სხვა, ხოლო, როდესაც იმატა დასახლებამ, მომრავლდა ხალხი, იქცა **ტოპონიმად**, ამიტომაც არის, რომ ასე ბევრი აგარა გვაქვს საქართველოში. თანამედროვე ქართულში გამიჯნულია აგარა და აგარაკი. **აგარაზე** ნათქვამია, რომ იგი არის ძველი ქართულის კუთვნილება, მოხმობილია სულხან-საბას ერთ-ერთი განმარტება და ნათქვამია, აგრეთვე, რომ ამ სახელით გვხვდება „დასახლებულ ადგილთა სახელწოდება ბევრგან საქართველოში"[320]. **აგარაკი** კი არის „ზაფხულობით საცხოვრებელი ადგილი ქალაქგარეთ"[321]. ასევეა განმარტებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ახალ რედაქციაში. ამგვარად, გვხვდება სიტყვის ორი ვარიანტი: **აგარა** და **აგარაკი**. ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში გვაქვს **აგარანი**, აგარის მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა და **აგარათა**, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. ამოსავალი არის **აგარა**, მისგან არის მიღებული **აგარაკი** აგარაზე **–აკ** სუფიქსის დართვით. აგარაკი ქართულში შემოსულ სიტყვად ითვლება, მაგრამ გათვალისწინებული არ არის მისი მეორადობა და აგარის პირველადობა. ამ მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ბოლო დროის კვლევები ამ მიმართულებით, კერძოდ, ქართულ-შუმერული ურთიერთობის კუთხით.

როგორც ვხედავთ, **აგარა**, როგორც გეოგრაფიული პუნქტი, ბევრგან გვხვდება საქართველოში. ისიც კარგად ჩანს, რომ, მართალია, სახელი დამოწმებულია უძველეს ქართულ წყაროებში, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებასხვაენოვან თუ სხვა ქვეყნის მონაცემებს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით აგარა, როგორც ადგილის სახელი, მთელ მაშინდელ **მესხეთში**, ანუ **გურჯისტანში** იყო მიმოფანტული. ეს წყარო ოსმალოების მიერ არის შექმნილი, ამიტომ, თუ რაიმე ტენდენციურობას აქვს ადგილი, ჩვენს სასარგებლოდ არ იქნება. ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ დოკუმენტზე, რომელიც უკვე რუსების მიერ არის შექმნილი და ასევე არ გამოირჩევა ქართველთა სიყვარულით. ეს არის აგრეთვე მოსახლეობის აღწერის დავთარი – „Сводь статистических данныхъ о населении Закавказскаго края", რომელიც ამიერკავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოსცა 1893 წელს. მასში შესულია 1886 წლის აღწერის მასალები, მოიცავს მთელ მაშინდელ ამიერკავკასიის ტერიტორიას, **არტაანის, ყარსის** და **ართვინის** ჩათვლით. ბუნებრივია, სომხეთში და აზერბაიჯანში ეს სიტყვა რომ

314 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 42.

315 იქვე, გვ. 478.

316 იქვე, გვ. 550.

317 იქვე, გვ. 42.

318 ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი № 52, 1907, გვ. 3.

319 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 15.

320 ქეგლ, 1950, გვ. 88.

321 იქვე, გვ. 88.

ყოფილიყო გავრცელებული, გვექნებოდა ადგილის სახელად და მას დააფიქსირებდა რუსეთის სახელმწიფო დიდი სიამოვნებით, რადგან ეს დოკუმენტი არის საქართველოს კუთხეებად დაშლის, ამ კუთხეებში მცხოვრებთა ცალკე ეროვნებებად გამოცხადების ანტიქართული პროგრამა. მასში ცალკე ეროვნებებად არის გამოცხადებული **მთიულები, ხევსურები, ფშაველები, აჭარლები, იმერლები** და სხვა. რადგან რუსეთს და რუს მოხელეს არ სურთ ქართველთა სიმრავლე, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ქართველებს ქართველებად კი არ აღწერენ, არამედ იმერლებად, ამიტომაც არის, რომ ქუთაისის გუბერნიაში შემავალ ორ **აგარაში**, თურმე ქართველები კი არ ცხოვრობენ, არამედ **იმერლები**. ასევე ორი აგარა იყო ბათუმში და ორივეში მცხოვრებლებს **აჭარლები** უწერიათ ეროვნებად. ასევე, ტრადიციად არის ქცეული, რომ არ დაიწეროს ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ისეთ სახელებში, როგორიცაა **ახალქალაქი, ბარალეთი, გოგაშენი** და სხვა. ასევე, არაქართული გეოგრაფიული სახელები, ტოპონიმები, ძირითადად დაფიქსირებულია სწორად, რადგან მათ აქვთ სახელმწიფო დანიშნულება, აღწერილია ამ სახელის მატარებელი სოფლის მოსახლეობა სულადობის, სქესის და სარწმუნოების მიხედვით. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს **აგარის,** როგორც სახელის, გავრცელებულობას და საქართველოს ისტორიულ ფარგლებს.

აგარ შუმერულში არის „მინდორი, არე. მას უკავშირებენ ქართულ აგარა და აგარაკ-ფორმატივებს. . ვფიქრობ, შუმერული ფორმატივი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ გარე-ს „გარეთა, ირგვლივ." ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მიღებულია ორი ქართველური კომპონენტის შეერთებით; **გა-** ზმნისწინი და **-რე** ნაწილაკი"[322]. აგარაში ა- გამოყო აგრეთვე რ. გორდეზიანმა[323]. ე. ი. საქართველოს ტოპონიმიაში ადგილის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი ასევე უძველესი ქართველური ლექსიკური ერთეულიც არის და იგი ქართული სინამდვილიდან უნდა იყოს შესული შუმერულში. სწორედ **გარ-** ფუძე უნდა იყოს ამოსავალი თერჯოლის რაიონის სოფელ **ნაგარევისათვის,** რომელიც თავისი შინაარსით ნიშნავს გარეთ მყოფის შემოერთებას.

ნაისა

ოსმალებს 1595 წელს აღუწერიათ სოფელი **ნაისა,** რომლის შესახებ სერგი ჯიქია წერს: „დაწერილობას დიაკრეტული ნიშნები სულ არა აქვს, მაინც ნაისა კარგადაა ამოკითხული... „დავთრის" ნაისა 3 კომლიანი სოფელია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ნაისა ნასოფლარის ადგილმდებარეობის გასარკვევად ძიება გელსუნდა-ორხოფიის მიდამოებში უნდა ჩატარდეს; პეტრე მაზნიაშვილით „ხერთვისს ზევითაა"[324].

სამი კომლიდან ვიცით, რომ ერთს **მამუკა** რქმევია, მეორეს **ყანდუ** და მესამეს **კაკულა.** ყანდუ და კაკულა ძმები ყოფილან[325].

ნაისა, მართლაც, „ხერთვის ზევით" ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის ნასოფლარი. ტერიტორიულად ეკუთვნის ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხას. გრ. ბერიძეს „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალისათვის" დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა სია, სადაც მითითებულია, რომ **ნაისა** მდებარეობს სოფ. ჩუნჩხის ხრამში.

ნაისას სხვა სახელიც აქვს. დღეს ამ ადგილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა არის ეკლესია, მას **დის ეკლესიას** ეძახიან. და-ძმის ეკლესიები ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების ეკლესიებია. დის ეკლესია, იგივე ნასოფლარ ნაისის ეკლესია, მდინარის მარცხენა ნაპირზეა, ხოლო **ძმის ეკლესიას,** რომელიც **წმ. გიორგის** სახელობისაა, თოკელები მონასტერს უწოდებდნენ. იმავე თოკელების მტკიცებით, ნაისის ეკლესია არის **წმ. ნინოს** სახელობისა და რადგან ორივე – წმ. გიორგი და წმ. ნინო, კაბადოკიელები იყვნენ, და-ძმისა იმიტომ ეწოდათ ამ ეკლესიებს. არის სხვა ვერსიაც: მოიტაცეს სოფლიდან და-ძმა. ისინი სხვადასხვა ადგილას მოხვდნენ, დაიზარდნენ და მოხდა ისე, რომ მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, ბოლოს იქორწინეს, და-

322 რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, I, სანყისები, თბ., 2007, გვ. 101.

323 იქვე, გვ. 52.

324 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, გვ. 258.

325 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. II, გვ. 186.

ძმა შეუღლდა. გავიდა დრო, გამოჩნდა ისეთი ვინმე, ვინც იცნო ისინი, გამოჰკითხა, უთხრა მათ, რომ და-ძმანი იყვნენ და ღმერთს შესცოდეს. მათ, იმისათვის, რომ მოენანიებინათ მძიმე ცოდვა, ააშენეს ეკლესიები, ერთი დამ და მეორე ძმამ. ეს ეკლესიები ერთმანეთს უყურებს. ამ ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღევლინებოდა. ძმის ეკლესიაში რომ ბერებს უცხოვრიათ (შემთხვევითი არ არის, მას რომ მონასტერს ეძახიან თოკელები), ვენახი ჰქონდათ. ღვინოს რომ დაწურავდნენ ხოლმე, მდინარეზე გაბმული ონინარით აწვდიდნენ დის ეკლესიის მსახურთ.

ნასოფლარ **ნაისას** დასავლეთიდან ჩამოუდის **ცხეკნელის ხევი**, რომელიც იწყება **ქილდის მინდვრიდან**, ჩამოივლის ნასოფლარ **ცხეკნელას** და სახელიც იქიდან ეძლევა, ჩამოვა **ჩუნჩხის ხრამში**, გაუვლის ნაისას და უერთდება ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

ნასოფლარ **ალჯვიდან** მომავალი წყალი გამოდის **ნაისის თავზე**. ამ წყლით ირწყვებოდა ნაისის შემოგარენი და თვით სოფელიც თავის დროზე. შორიდან ისე ჩანს, თითქოს ნასოფლარი მშრალი, უწყლო ადგილია, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. გარშემო ხევები წყლიანია, ხოლო ნაისის ძირში დღესაც არის ლელიანი ადგილი. ეკლესია დგას **კოტაკზე**, რომლის ძირში იყო ვაკე ადგილი, ითესებოდა ბოსტნები. 1930 წელს დაბადებული, ჩუნჩხელი დავით ბერიძის მტკიცებით, 1946 წლის მაისში დიდი სეტყვა მოვიდა, ადიდდა ცხეკნელის ხევი, წამოიღო ქვა-ლოდი და დაფარა **ნაისის ძირზე** ვაკე. დაფარა წყაროებიც, რომლებიც იქ გამოდიოდა.

ჩუნჩხაში დღევანდლამდე ჰყვებიან ასეთ ამბავს: სოფელში გაჩენილა შავი ჭირი, ერთ ჩუნჩხელ კაცს გადაუწყვეტია, ჭირს დამალვოდა, გაქცეოდა. ასეთ ადგილად მან აირჩია **ნაისის ლელიანი**. სამწუხაროდ, ვერ გაქცევია სიკვდილს, მომკვდარა, სოფელში აღარ აუტანიათ და იქვე დაემარხავთ.

ტოპონიმ ნაისაში უნდა გამოიყოს ფუძედ **ნა–**, რის საფუძველზეც სიტყვა დაიშლება შემდეგნაირად: **ნა-ის-ა. -ის** არის ნათესაობით ბრუნვის ნიშანი.

ვეფხისტყაოსნის დასაწყისში არის ასეთი სტროფი:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე **ნა** რხეული,
ვინცა ისმინოს , დაესვას ლახვარი გულსა ხეული".

სტროფის კომენტარი ასეთია: „გიშრის ტბა შავი თვალების აღმნიშვნელი მეტაფორაა, **ნა** – ლერწამი, წერწეტა ტანის აღმნიშვნელი მეტაფორა. ტაეპში ლაპარაკია თამარის შავ თვალებზე და წერწეტ ტანზე"[326].

ერთი შეხედვით, წინააღმდეგობას ქმნის **ნას**, როგორც ხმოვანფუძიანი სახელის ნათესაობით ბრუნვაში შეუკვეცავად წარმოდგენა (შდრ. ქვა-ქვის, ჭა-ჭის და ა.შ.), მაგრამ ასეთი შემთხვევები ძველ ქართულში გვხვდებოდა ხოლმე. ეს საკითხი შეისწავლა ივ. იმნაიშვილმა, რომელიც წერს: „კითხვითი ნაცვალსახელი ძველ ქართულში არ იკვეცება". დღეს ეს ნაცვალსახელი კვეცადია, ხოლო ძველში გვქონდა რაჲთა, რაჲსა, რაჲსათჳს, რაჲსაგან, რაჲთაგან[327]. ამას გარდა გვაქვს შემთხვევები, როდესაც უკვეცელია -ა-ზე დაბოლოებული სახელები: მანა, გუნდა (გუნდაჲსა), გუგა, კუტალა, ნინწილა, სატანა (სატანაჲსა), დანა (დანაისა, დანაჲსა), ეკლესია (ეკლესიაჲსა) და სხვა[328].

-ის დაბოლოებიანი ტოპონიმები, რომლებიც ფუძეუკვეცელად არის წარმოდგენილი ბევრი არ არის, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითად: კლდეისი, კლდეისა[329], სერბაისი (იმერეთი), კვაისი, ამსაისი (იმერეთი) და სხვა.

მითითებული სახელებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **კვაისა**, რომელიც, გარდა იმისა, რომ „ნაისას ზუსტი მოდელის მქონეა (ი. მაისურაძე)", თანამედროვე რუკების ცოდვასაც წარმოადგენს. ქართული ქვაისა რუსულ რუკებზე გადავიდა, როგორც Кваиса, საიდანაც დაბრუნდა ქართულში **კვაისად** და უკვე 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით **ჩასავალის**

326 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 2002, გვ. 16.

327 ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 103.

328 იქვე, გვ. 104-105.

329 შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები, კრებ.: ტოპონიმიკა, II, 1980, გვ. 245.

საბჭოში შედიოდა როგორც სოფელი. როდესაც საუბარია ქვაისას შესახებ, ყველაფერი ნათელია და გამჭვირვალე, ხოლო თუ არ გავითვალისწინებთ ტოპონიმის ისტორიას, სახელი გაუმჭვირვალეა და ბუნდოვანი. ქართლის ტოპონიმიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი ნიკო ოთინაშვილი განმარტავს: „ცხინვალ-ონის მიმართულებით, უკიდურესად დასავლეთით არის დასახლებული პუნქტი **კვაისა**, უფრო სწორად, **ქვაისა** || **ქვაისი**. იგი მდებარეობს მდინარე **ჯეჯორას** მარცხენა ნაპირზე, სამხრეთით ტყიანი მთები აკრავს. ამ ტყეში არის პატარა ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევი. დიდ, მუქი ფერის ბრტყელ ქვაზე არის ნუსხური წარწერა: „არსენს და მშობელთა მისთა შეუნდოს ღმერთმან“. ამ დასახლებულ პუნქტს ძველად ეწოდებოდა **კუდარო. კუდაროს ქედი** ჰქვია **ერწოს ტბიდან** ქვაისამდე მისულ ქედს, რომელიც ჯეჯეროს ყელის და ყვირილის წყალგამყოფია. ამ მთაში არის ქვის დიდი საბადო, რომელიც 1956 წელს აღმოაჩინა ინჟინერმა ნიკოლოზ რეხვიაშვილმა და მიმდინარეობდა ქვის ამოღება-დამუშავება. ამჟამად ყველაფერი გაჩერებულია. როგორც ჩანს, ქვის საბადოს იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ოდითგანვე და სახელიც იმიტომ უწოდეს ქვაისა“.

ნაისა ნა-ს და შესაბამისად ლერწამს დაუკავშირა ილია მაისურაძემ ჯერ კიდევ 1964 წელს, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოში“ და „წითელ დროშაში“ გამოაქვეყნა წერილები ამ ტოპონიმის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელი სიმცირე ლელიანისა მაშინ არ შეიმჩნევა. ლერწამი ნაისისათვის განსაკუთრებით იყო დამახასიათებელი. ი. მაისურაძე წერს: „ახლა კი საკმარისი აღმოჩნდა უშუალოდ მენახა **ნაისა** – მტკვრის მარცხენა ფერდობზე მცირე ნაეკლესიარის ამარა დარჩენილი, ჟამთა სიავით დანგრეული მამა-პაპათა ეს საბუდარი, თვალი მომევლო მდინარის პირ-პირ გაღმა-გამოღმა აშოლტილი წვრილი ლერწმოვნისათვის, რომ ამ სიტყვას რაღაც ახალი ძალა შემატებოდა“[330]. ლერწამი მხოლოდ თვალისთვის არ იყო მიმზიდველი და გამორჩეული ამ ადგილზე. მისგან სალამურის გამოთლაც კი შეიძლებოდა: „სანამ მოქანავე ხიდზე გადავიდოდით, შარაგზაზე ჯგუფ-ჯგუფად გაიშალა სტუმრების მარაქა. არსენი კი ლერწმოვნის ტევრს შეერია, იქიდან რამდენიმე მოჭრილი ლერწამი გამოიტანა, სალამური გამოჭრა და თვლებით გახვრეტილ ნედლ ღეროებს სასიამოვნო ჰანგები გამოაღებინა. ეს ფაქტი კარგად მენიშნა. იგი თითქოს თვალნათლივი დადასტურება იყო დიდი რუსთაველის პოეტური გააზრებისა და ლექსიკოგრაფთა მიგნებისა: ნა – ლერწამი. ნა – სალამური, ხოლო ნაისა – **ლერწმოვანი**“[331].

“ვეფხისტყაოსნის“ შესავალში „მე ნა“ რხეული აღდგენილია, როგორც ამას ი. მაისურაძე მიუთითებს, მანამდე იყო „მინა რხეული“, მაგრამ ნა ლერწმის თუ სალამურის მნიშვნელობით რუსთველთან სხვაგანაც, ძირითად ტექსტშიც, გვხვდება. ნა ლერწმის მნიშვნელობით მხოლოდ რუსთველთან და ჩახრუხაძესთან გვხვდება, ძველ ტექსტებში და შესაბამისად ლექსიკონებში არა გვაქვს, რასაც ი. მაისურაძე ნ. მარზე დაყრდნობით დიალექტური ნაკადით ხსნის „ვეფხისტყაოსანში“ და თვლის, რომ ნა სპარსულიდან უშუალოდ მესხურშია შემოსული, ამიტომ „უფრო ხალხური, სასაუბრო მეტყველების კუთვნილება ჩანს, რომელიც მარტოოდენ გეოგრაფიულ სახელს შემოუნახავს“[332].

მართლაც ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე მესხეთის ტოპონიმიაში. ამ ტიპის სახელები სხვაც გვაქვს. ეს არ არის სუბსტრატი, რადგან, როდესაც სიტყვა შემოვიდა დიალექტში, მისი მომხმარებელი იყო ქართველი კაცი. მოსალოდნელია, რომ იგი ერთგვარ ინსტრუმენტს, სალამურის სახეობას, შემოჰყვა, როგორც სახელი და შემდეგ აღნიშნა ლერწამიც, როგორც სალამურის გასაკეთებელი მასალის, მით უმეტეს, რომ თვით სპარსულში ორივეს აღსანიშნავად იხმარება ეს სიტყვა. ასევე მოხდა სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, ქართულში შემოვიდა არაბული სიტყვა **რაბათი**, რომელიც ციხის გარშემო დასახლებას ნიშნავდა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით XVI საუკუნის ბოლოს ათობით ციხის რაბათია: ახალციხის ციხის რაბათი, უდის ციხის რაბათი, აწყურის ციხის რაბათი, ასპინძის ციხის რაბათი და მრავალი სხვა. მაშინ სიტყვა ცოცხალი იყო. დღეისათვის კი რაბათი მხოლოდ ახალციხეში შემოგვრჩა ციხის გარშემო

330 ი. მაისურაძე, ნაისა (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი), „წითელი დროშა“, №136, 1964, 17 ნოემბერი, გვ. 3.

331 იქვე, გვ. 3.

332 იქვე, გვ. 4.

დასახლების აღსანიშნავად. იგი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბნის სახელია. „რაბათი არ მოიხსენიება არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც რუსების მიერ ქალაქის აღებისას, რადგან ახალციხე არის დასახლებული პუნქტის სახელი, ხოლო რაბათი მისი შინაარსია, სოციალური დახასიათება“. ისევე, როგორც ნაისა და რაბათი, ერთ დროს შემოსული იყო მესხურ დიალექტში სიტყვა **დარანი,** ასევე არაბულიდან. ისიც გაქრა ბოლოს დიალექტიდან, რადგან შესაბამისი ობიექტი აღარ არსებობს, აღარ ცოცხლობს, სამაგიეროდ შემოგვინახა ტოპონიმიამ და ბევრ სოფელში არის დარანი ადგილის სახელად. თურქულიდან შემოვიდა მდინარის ნაპირის, მდინარის ტოტისა თუ კუნძულის აღსანიშნავად სიტყვა **ადა**, რომელიც დღევანდელ დიალექტში აღარ იხმარება, მაგრამ ადგილის სახელად შემოგვრჩა რამდენიმე ადგილას. ასევე შეერქვა ჭაობიან ადგილს, სადაც ლერწამი ხარობს, **ნაისა**. მასში დადასტურებული **ნა** მესხეთში მეთორმეტე საუკუნეში შემოსული და გავრცელებული სპარსული სიტყვა უნდა იყოს.

ორმოცი წყარო

ვახუშტი ბატონიშვილი **ახალქალაქის წყალს** უწოდებს **ჯავახეთის მტკვრის** მარცხენა შენაკადს ახალქალაქთან, **„ხოლო კუალად ბარალეთის წყლის** შესართავს ზეით მოერთვის **ჯავახეთის მტკუარს**, სამხრიდამ **ახალქალაქის წყალი**, რომელიც გამოსდის **დაბის მცირე ტბასა** და კუალად მის ტბის გამომდინარე მოდის აღმოსავლეთ–სამხრეთს შუადამ ჩრდილო-დასავლეთს შორის, ხოლო **ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა შორის**“[333]. დღეს დაბის ტბის სახელით ტბა არ არის ჯავახეთში. ძველ რუსულ რუკებზე ახალქალაქის წყლის სათავეებში არის პატარა ტბა **ყურიდადეშთან** (რუს.) რომლის მიდამოებიც გამორჩეულია ხევთა სიმრავლით. აქვე არის ნასოფლარი **კირხქილისა,** რუსული რუკებით (რუს.). ჯავახეთის მტკვარს ახალქალაქის წყალი ერთვის **ახალქალაქის ციხის** ძირში, დღეს ქალაქის უბნად ქცეული **მუსხელიშვილების ხევის** გავლისთანავე[334]. ახალქალაქის წყალი ძველ რუსულ რუკებზე მითითებულია, როგორც **კირხბულახი,** ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემულ რუკაზე **კირხბულალად** იგი მოედინებოდა ზოგ ადგილებში. ჯავახეთის მტკვრის პარალელურად, მის დასავლეთით, კირხბულალად მოიხსენიებს მას დღევანდელი სომხური მოსახლეობა. მათი მტკიცებით, სათავე მრავალი **(ორმოცი)** წყაროსაგან შედგება და ამიტომაც ჰქვია მდინარეს **კირხბულალი,** რაც თურქულად **ორმოც წყაროს** ნიშნავს[335]. შემთხვევითი არ არის, რომ მდინარის სათავეში არის ნასოფლარი კირხქილისა, რაც ნიშნავს **ორმოც ეკლესიას.** ს. ჯიქია ყირხქესალიშვილის შესახებ წერს: „გვარსახელი მესხური წარმომავლობისაა. . . .გვარსახელი მასალობრივად თურქულ-სპარსული ელემენტებისაგან შედგება: **ყირ.** თურქ. (თურქ.) დიალექტური (კირხ.ღუექ,). ქართულში ხ – ს ჩავარდნით ყირ- „ორმოცი“,ქისა ← სპ. თურქ. კისე „ქისე“, -ლი თურქ. –ლი აფიქსით ქონებისა – ქართ. „იან“, ე. ი. მთლიანი, ზუსტი თარგმანი ყირქესალი სიტყვისა – „ორმოცქისიანი“, ორმოცი ქისის მქონე“[336]. ჯავახეთში კირხბულალის სახელით მხოლოდ ახალქალაქის წყალი არ არის ცნობილი. ასე ჰქვია ძველი რუსული და ქართული რუკების მიხედვით თავფარავნის ტბაში ჩრდილოეთიდან ჩამდინარე წყალს. **ორმოცი წყარო** არის წყაროს სახელი მცხეთის რაიონში[337]. რატომ მაინცდამაინც „ორმოცი“? მართალია, კირკ, კირხ ორმოცის გარდა ზოგადად მრავალსაც ნიშნავს[338], მაგრამ იქვე კირხბულახის სათავეშივეა კირხქილისა, რაც გამორიცხავს მრავლის გაგება. აქ უნდა იყოს უეჭველად „ორმოცი“ და მას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ორმოცი ცნობილი სახელია მესხეთის ტოპონიმიაში. იგი იხსენიება რუსთველისადმი მიძღვნილ გადმოცემებში: „თამარს ერთხელ შოთასთვის უთქვამს, მე შენ უნდა „დაგასახლოო“, ე. ი. ცოლი

333 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა, გვ. 671.

334 მ. ბერიძე, ეკლესიონიმები სამცხის ტოპონიმიაში, ჟ.: ქართველოლოგია, № 9, 2008, გვ. 167.

335 იქვე, გვ. 187.

336 ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, II, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, გვ. 174-175.

337 ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, გვ. 109.

338 ს. ჯიქია, 1988, გვ. 175.

შეგრთოო, შოთას მოუხსენებია, რომ მე უკვე დასახლებული ვარ **ორმოცი** ბატონის ქალზეო. თამარს უთქვამს, იგი შენი შესაფერი არ არის და **ორმოცის ბატონის** ქალს უარი უთხარიო. თამარს შოთასთვის აურჩევია **კოდიანის მებატონის** ქალი. კოდიანი დიდი მემამულე ყოფილა. კოდიდან წალკამდის სულ მას ჰკუთვნებია. თამარის რჩევით შოთას კოდიანის ქალი შეურთავს. ეს რომ **ორმოცის** ბატონის ქალს გაუგია, ვაჟურად ჩაუცვამს და ყაჩაღად გავარდნილა. **ვარძიიდან** მომავალ შოთას გზაზე გადასდგომია. მას შოთას ნაწუქარი დანა სჭერია და შოთასთვის უთქვამს: რად მიღალატე შოთავო, ჩემი თავი მოვიკლა თუ შენაო". ეს უთქვამს და ქალს თავი იქვე მოუკლავს"[339]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად შეეფერება გადმოცემა სინამდვილეს. ჩვენთვის მთავარია ის ტოპონიმები, რომლებიც გვხვდება მოყვანილ ციტატაში. ყველა მათგანი სამცხე-ჯავახეთში მდებარე სახელებია, ერთმანეთს დაპირისპირებულია ორი საბატონო – **კოდიანისა** და **ორმოცისა**. მათ შორის კოდიანის ბატონი უფრო მდიდარია, რადგან მას მეტი მამული ჰქონია. **კოდა** რამდენიმე ადგილას არის საქართველოში. მოყვანილ ციტატაში კოდაში ("კოდიდან წალკამდის") იგულისხმება სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარე კოდიანი, რომელიც ასპინძის რაიონშია. ე. ი. კოდა და კოდიანი ერთი და იგივეა. მეორე საბატონო კი არის **ორმოცი**, ვარძიიდან მომავალ შოთას **ორმოცის ბატონის** შეურაცხყოფილი ქალიშვილი დახვედრია. სწორედ ამ მიდამოებში არის ცნობილი ტოპონიმი **ორმოცი**, რომელიც მდებარეობს სოფელ ნიჯგორის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საროსა და ხიზაბავრის ასახვევთან, შემორჩენილია ციხის ნაწილი და ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ადგილობრივნი წმინდა მარინეს სახელობისად მიიჩნევენ. ორმოცის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, არის ძველი საფლავი (XIX საუკუნის დასაწყისი), რომლის შესახებაც მიუთითებს ივ. როსტომაშვილი. მესხეთში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომელიც ამ ორ პუნქტთან არის დაკავშირებული და რომელიც მოგვითხრო პროფესორმა თინა იველაშვილმა: ორმოცელი ქალი გათხოვილა იქვე, წყალგაღმა სოფელში. სოფლებს შორის მტკვარზე ხიდი იყო გადებული. ქალისთვის ადრევე ურჩევიათ, არ გაჰყოლოდა სასიძოს, მისი სოფლის ხალხი უცნაურიაო. სარძლომ არ დაიჯერა კეთილისმსურველთა ნათქვამი და გათხოვდა, შეეძინა ბავშვი. ქალი ხედავდა, რომ ქმარ-მაზლი სანადიროდ არ დადიოდნენ, მაგრამ ხორცი სულ ჰქონდათ. დაეჭვდა და ერთხელაც, როდესაც სახლში მარტო დარჩა, შევიდა საცივო სახლში, სადაც ქვევრში ხორცს ინახავდნენ. ახადა ქვევრს და იქ ადამიანის სხეულის ნაწილები იყო. შეშინებულმა ქალმა დააელო ბავშვს ხელი და გამოიქცა, ბავშვი ატირდა, ტირილზე ქმარი გამოჩნდა. ბავშვი რომ გაჩერებულიყო, დედამ ძუძუ მისცა. გაქცეული უკვე ხიდზე იყო, როდესაც მამამ ბავშვს დაუძახა: შვილო მამისა, მოსწი გვარისაო. ამის გაგონებაზე შვილმა საშინელი ძალით უკბინა დედას ძუძუზე. დედა მიხვდა, რომ ბავშვიც ისეთივე იყო, როგორც მისი მამა-ბიძანი, მოიცილა მკერდიდან შვილი და მტკვარში გადააგდო. ასეთი ტრაგიკული ბედისანი ყოფილან **ორმოცელი** ქალები – ჯერ კანიბალების ხელში ჩავარდნილი დედა და შემდეგ შოთა რუსთველის სატრფო. სოფელი **ორმოცი** ადრევე გაუკაცრიელებულა, რის შესახებაც გვაწვდის ცნობას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". მასში მითითებულია, „სოფელი ორმოცი – სოფელ **საროს** ვენახების გამორიცხვით"[340]. სოფელ ორმოცის მდებარეობა გარკვეულია, როგორც უკვე მივუთითე, ცნობილია საროს მდებარეობაც. იგი იქვეა, სადაც ყოველთვის იყო ციკლოპური ნაგებობით და ეკლესიით. **საროს ვენახები** ორმოცს, ნიჯგორსა და საროს შორის იქნებოდა მზისგულზე. ნიჯგორ–ორმოცზე გადიოდა ჩრდილო დასავლეთის საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის. ნასოფლარ ორმოცის ისტორია და გადმოცემები მის შესახებ გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სოფლის სახელში არ უნდა იგულისხმებოდეს რეალური რიცხვი ორმოცი, ასევე არ ასახავს რეალურ რიცხვს **ორმოცი წყარო** (კირხბულაღი) და **ორმოცი ეკლესია** (კირხქილისა) **ახალქალაქის წყლის** სათავეებში. იგი თარგმნილია ოსმალების მიერ ისეთი ქართული სახელიდან, რომელშიც იყო სიტყვა **ორმოცი**. ორმოცი პროდუქტიულია საქართველოს ტოპონიმიაში. ამ რიცხვითი სახელის მონაწილეობით ბევრი ტოპონიმია ცნობილი. მაგალითად: **ორმოცაგორა** (ბუჩქნარი), **ორმოცღელე**

339ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 41.

340ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 182.

(ღელე)[341]. **ორმოციანი** (ვენახი), **ორმოციანას თავი** (ვენახი)[342]. ორმოცისგან არის მიღებული გვარი **ორმოცაძე** და შემდეგ – პატრონიმი: **ორმოცაძეები** (უბანი), **ორმოცაძის ნაწისქვილარი** (სახნავი), **ორმოცაძის ნიგოზი** (სახნავი)[343]. **ორმოცაძეების წყარო. ორმოცი** არის სოფლის სახელი გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე ტანის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე. სოფელში დაცულია შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია[344]. გვაქვს **ორმოცთა ეკლესია**, – „ორმოცი სებასტიანელი მოწამის ეკლესია, მდებარეობს ქოროღლის ციხის ძირში, სოფელ ღოუბანთან ახლოს (თეთრიწყაროს რაიონი). აგებულია XVI საუკუნეში"[345]. თითქმის ყველა სახელს, რომელთა სახელდებისას გამოყენებულია რიცხვითი სახელი **ორმოცი**, აქვს გარკვეული კავშირი ეკლესიასთან. ახალქალაქის წყლის მეორე სახელი კირხბულაღი (**ორმოცი წყარო**) აშკარად არის კავშირში ეკლესიასთან, ამ შემთხვევაში ორმოცი მოდის ეკლესიის მსაზღვრელი ორმოციდან, რადგან მის სათავეში არის **ორმოცი ეკლესია** (კირხ ქილისა). ასევე ნაეკლესიარი ეტყობა საროს ორმოცში, მას წმინდა მარინეს სახელს მიაკუთვნებენ. გორის რაიონის სოფელ **ორმოცში** არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. როგორც ჩანს, ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესია ბევრი იყო საქართველოში, რის გამოც ეკლესიის სახელი იქცა სოფლის სახელად. ერთ სოფელში შეიძლება რამდენიმე ეკლესია ყოფილიყო სხვადასხვა წმინდანის სახელობისა, რომელთაგან ერთის სახელი გადადიოდა სოფელზე, ხოლო მეორე ეკლესია აგრძელებდა არსებობას. წმინდანთა სახელების ქცევა სოფელთა სახელებად ცნობილი ამბავია[346]. წმიდა ელიას სახელობის ტაძრის გამო ეწოდა სოფელს სახელად **ელიაწმინდა.** დღეს ახალციხის რაიონის სოფელ **გიორგიწმინდაში** წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი აღარ არის და ამას თავისი ახსნა აქვს, მაგრამ უეჭველია, რომ ოდესღაც იდგა ამ წმინდანის სახელობის ეკლესია და იმიტომ შეერქვა სოფელს ეს სახელი. ამ რიგისაა **მარიამწმინდა, ნინოწმინდა, ანდრიაწმინდა** და სხვანი. ორმოცის შემთხვევაში ცოტა განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რადგან მსაზღვრელ–საზღვრულის რიგი კი არ შებრუნდა (წმიდა გიორგი→გიორგიწმინდა), არამედ საზღვრულდაკარგული რიცხვითი სახელი იქცა ტოპონიმად. რადგან ორმოცი რიცხვითი სახელია, ამიტომ ხალხური ეტიმოლოგია დაუკავშირდა წყაროთა რაოდენობას – ორმოცი წყარო, ორმოცი ღელე და სხვა.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია პარალელი გავავლოთ **ოთხთა ეკლესიასთან.** მის შესახებ ე. თაყაიშვილი 1917 წელს წერს: „სოფელი **ოთხთა ეკლესია** ამჟამად თურქულად რომ **„დორთქილისა"** ეწოდება ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან, ქართული ყველამ იცის. სოფლიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე, ჭოროხის მარცხენა შენაკადის **ოთხთა ეკლესიის წყლის** (თურქულად „დორთქილისა – სუ") შესართავთან, მის მარჯვნივ არის დიდი მდიდრული ბაზილიკის ნანგრევები. **თურქული "დორთქილისა" პირდაპირი ნათარგმნია ქართული "ოთხთა ეკლესიისა"**, მაგრამ სოფლელებს რომ ჰკითხოთ, ტაძარს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი იშხანსა, ოშკსა და ხახულს შემდეგ მეოთხე შესანიშნავი ძეგლია[347]". ოთხთა ეკლესიის სახელი გადავიდა სოფელზე და მას **ოთხთა** ეწოდება. „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი" გვამცნობს ამის შესახებ: „ოთხთა ეკლესია – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა, ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ **ოთხთადან** 5 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის ხეობაში"[348]. ისევე, როგორც ორმოცი მოწამის სახელობის, ან უბრალოდ ორმოცი მოწამის ეკლესია იქცა **ორმოცად**, ოთხთა ეკლესია იქცა **ოთხთად.** ჯავახეთის ტოპონიმიაში ცნობილია ადგილის სახელთა თარგმნა. **ახალქალაქის**

341საქართველოს ტოპონიმია, 2003, გვ. 236.

342საქართველოს სსრ ტოპონიმია, 1987, გვ. 157.

343საქართველოს ტოპონიმია, 2003, გვ. 236.

344ს ვ ე ე ლ, 2007, გვ. 708.

345იქვე, გვ. 707.

3468. ბერიძე, ტაძრები და სახელები, გვ. 3-15.

347ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 74-75.

348ს ვ ე ე ლ, 2007, გვ. 699.

წყალს ჰქონდა პარალელური ფორმა – ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის წყარო. რადგან ამ მდინარის სათავეში ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიაა, იწოდა **ორმოც წყაროდ** სათავე, ხოლო ბოლოში, როდესაც წყარო სხვა წვრილი შენაკადებით ხდება მდინარე და შეერთვის ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან იქ, სადაც არის ახალქალაქი და ისიც ბუნებრივია, რომ მდინარეს სახელი შეერქვას ყველაზე მსხვილი დასახლებული პუნქტის მიხედვით, **ორმოცი წყარო** იქცა **ახალქალაქის წყლად**. მდინარეებს ახასიათებთ მრავალსახელიანობა სხვადასხვა მონაკვეთში. თვით მტკვარსაც კი შეუცვალეს მესხეთში სახელი და მას **არტაანის წყალს** ან **არტანულას** ეძახდა ადგილობრივი მოსახლეობა. იმავე ახალქალაქის წყალს, რადგან იგი სოფელ დლივს ჩაუვლიდა, **დლივის წყალსაც** ეძახდნენ. ორმოცი წყარო თარგმნა მაჰმადიანურმა მოსახლეობამ კირხბულაღად. თარგმნაში აქტიურ როლს ასრულებდა სომხური მოსახლეობაც, რადგან, როდესაც ისინი 1828-1830 წლებში ჯავახეთში შემოასახლეს, თურქულად ლაპარაკობდნენ. მე-20 საუკუნის ბოლოს სომეხი მეცნიერები ცდილობენ არა მხოლოდ არმენიზებული ფორმით წარმოადგინონ ჯავახეთის ტოპონიმია (კუმურდო →გუმბურდო, ახალქალაქი →ახალქალაქ და სხვა), არამედ თარგმნონ და დაამკვიდრონ ახალი სახელები, ამიტომ ახალქალაქის წყალი იგივე კირხბულაღი აქციეს **„ქარსუნ აღბიურად“**, რაც პირდაპირი თარგმანია ორმოცი წყლისა (კირხბულაღი), რის შესახებაც მიუთითა დევი ბერძენიშვილმა: „ქარსუნ აღბიურ“ (ე. ი. ორმოცი წყარო) ასეთი სახელწოდება არ არსებობს. ესაა თარგმანი თურქული კირხ-ბულაღისა, რომელიც რუსულ ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული, უფრო ადრე მას **დლივის წყალი,** ხოლო ძველ ქართველ ისტორიკოსებთან, ახალქალაქის წყალი ეწოდებოდა. მდინარის გვიანი თურქული სახელწოდების სომხურად გადმოკეთებით ტექსტის ავტორი (იგულისხმება უცნობი ავტორის ერევანში გამოქვეყნებული ბუკლეტი „ახალქალაქი“,1992 – მ. ბ.), ცდილობს, როგორმე დაამკვიდროს ჰიდრონიმის სომხური ფორმა"[349].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, რა ენაზეც უნდა ითარგმნოს ორმოცი წყარო, სათავე არის ქართველი კაცის მიერ დარქმეული სახელი **ორმოცი მოწამის ეკლესია,** ამიტომ ორმოცი არ ასახავს წყაროთა სიმრავლეს. ეკლესიის სახელი გადავიდა მდინარეზე, რაც არის ტოპონიმური მეტონიმიის ტიპური შემთხვევა.

ცხეკნელა

ახალქალაქის რაიონის სოფ. **ჩუნჩხის** მიდამოებში ბევრი ნასოფლარია. მათ შორის თავისი სიდიდით გამორჩეულია **ცხეკნელა.** ნასოფლარ ნაისის დასავლეთით არის ფერდობი, რომელსაც **ლამაზი სათიბები** (მაჰმადიანთა მეტყველებაში – **გვილიჩაირები**) ჰქვია. გაზაფხული გამორჩეულია ჯავახეთში ყვავილების სიმრავლით, მაგრამ მათ შორისაც განსაკუთრებულია ამ ფერდობის ყვავილთა მშვენიერება. ფერდობი 3–4 ჰექტარი იქნება. მის შუაგულში გამოდის ნასოფლარ **ალჯადან** მომავალი სარწყავი წყალი – **ციეწყაროები.** ლამაზი სათიბების (გვილჩაირების) მაღლა, სამხრეთით არის ქარაფი, რომელსაც **ცხეკნელის ქარაფი** ჰქვია. მის თავზე გაშლილია ნასოფლარი ცხეკნელა, თავისი ტერიტორიებითა და ნანგრევებით. შემორჩენილია ნასახლარები, სასაფლაო, ქვის ვერძები, პურის ორმოები. ჩუნჩხელი დავით ბერიძე (დაბადებული 1930 წელს) იხსენებს: „იყო ერთი ქვის ორმო, რომელშიც სულ იდგა წყალი, შეიძლება წვიმისაც იყო. მეხრეები რომ ვიყავით, ვსვამდით ამ წყალს..“ დღეს ცხეკნელა ჰქვია, ნასოფლარის გარდა, მის გარშემო ტერიტორიებსაც. ნასოფლარის დასავლეთით არის დიდი ყანა, 7–8 ჰექტრიანი, რომელსაც **დიდ ნაფუძარს** ეძახიან, სამხრეთ-აღმოსავლეთით შედარებით პატარა ყანაა და მას **პატარა ნაფუძარი** ჰქვია. ჯავახეთში ნაფუძარი არის სოფლის ახლო ყანა, რომელიც უფრო მეტად გაფხვიერებულია ნაკელით. ზოგჯერ ასევენებდნენ ნაფუძარს და აკეთებდნენ ანეულს. ეს იყო მანამ, ვიდრე მინერალური სასუქი შემოვიდოდა. ნასოფლარის სახელთან დაკავშირებულია, ცხეკნელის ქარაფის გარდა, **ცხეკნელის წყარო,** რომელიც ნასოფლარის აღმოსავლეთით, ხრამში, გამოდის. მართალია, წყარო პატარაა, ჯავახეთის სხვა წყაროებთან შედარებით, მაგრამ ერთ სოფელს ჰყოფნიდა. ბოლო დროს მას სარწყავად იყენებდნენ. **ცხეკნელის ხევს** უწოდებენ ხევს, რომელიც იწყება **ქილდის მინდვრებიდან,** ჩამოივლის ნასოფლარ ცხეკნელას, საიდანაც ღებულობს სახელს, ჩავა **ჩუნჩხის ხრამში,** ჩაუვლის

349დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 255.

ნასოფლარ **ნაისას** და უერთდება ჯავახეთის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. ნასოფლარს თავისი ისტორიული კვდომის ყველა ნიშანი აქვს. თავის დროზე, როდესაც აქ სოფელი იყო, ყველა ხევსა და ფერდობს თავისი სახელი ერქმეოდა, როგორც ჯავახეთის სოფლებში საერთოდ, მაგრამ სოფლის ნასოფლარად ქცევის შემდეგ სახელი იფართოვებს დენოტატს და ვრცელდება გარშემო მისსავე ისტორიულ ტერიტორიებზე, ჩაყლაპავს ყოფილი სოფლის მიკროტოპონიმიას და ჩნდება ახალი სახელები. ამ სახელებს არქმევს მეზობელ სოფელთა მოსახლეობა. ახალი მიკროტოპონიმიის ცენტრი არის ნასოფლარი და მისი ტერიტორიები. ასე ჩნდება ცხეკნელის ხევი, ცხეკნელის წყარო და ა. შ.

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს ცხეკნელაში უცხოვრია შვიდ კომლს, რომელთაგან სამი ოჯახის უფროსის სახელი ამოუკითხავია, ხოლო სხვები არიან: **ბადუჩა პაპუნასძე, მახარებელ – ძმა მისი, ბასილა მღვდლის შვილი და სიმონა – ძმა მისი**[350].

არსებობს გადმოცემა ცხეკნელის „განძის“ შესახებ. გადმოცემაში საუბარია ლეკების თავდასხმაზე. ცხეკნელასთან ახლოს ჩუნჩხა–ქილდას შორის არის გორა, რომელსაც **საყარაულო** ჰქვია. აქ იდგა სოფლის დარაჯი. როდესაც მტერი გამოჩნდებოდა, დარაჯი შეატყობინებდა სოფელს. შეტყობინების ხერხი მარტივი იყო. გრძელ კეტზე წამოაგებდა გოდორს, ასწევდა მაღლა და ამით ანიშნებდა სოფელს საშიშროებას, ან შეჯდებოდა ცხენზე და გამოიქცეოდა სოფლისაკენ. მართალია, მესხეთში არსებობდა ამბის სხვა სიმბოლოს საშუალებით გადაცემაც, კერძოდ, ცეცხლის დანთება ისეთი თივით, რომელიც იწვოდა კვამლით, მაგრამ ეს უფრო შორეულ ციხე-კოშკებსა და მასშტაბურ შემოსევებს ეხებოდა, ხოლო საყარაულო-სატალაიები პატარა–პატარა სოფლებს თავთავიანთი ჰქონდათ. ერთ–ერთ ასეთ შემოსევაზე მოგვითხრობს 1928 წელს დაბადებული დავით გოროხოვი: „ცხეკნელაში იყო დარანი, რომელშიც ჩადიოდნენ ჩემზე უფროსები, მე არ ჩავსულვარ, მაგრამ მათგან გამიგონია, რომ დარანს ჰქონია დიდი დარბაზი, სადაც თავს აფარებდა სოფელი შემოსევების დროს. ეს ამბავი სოფელში (ჩუნჩხაში) მოვიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც 90 წლის ქალი უნახავთ ახალციხის აგარაში. მას უთქვამს: მურჯიანელი ქალი ვიყავ, ცხეკნელაში გათხოვილი, როდესაც ლეკები შემოესივნენ სოფელს. ყარაულებმა შეატყობინეს სოფელს ამბავი. თუ ვინმეს რამე ებადა, ჩავიტანეთ დარნის დარბაზში და იქ დავმალეთ, ჩვენ კი გავიქეცით. ეს ამბავი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხდება. გადმოცემა აქ წყდება და ამბობენ, რომ გაქცეულთაგან სოფელში აღარავინ დაბრუნებულა, დაცარიელდა და გაეერანდა სოფელი. შეიძლება ლეკებმა გზაშივე მიუსწრეს გაქცეულებს და ამოხოცეს, ანდა ისე შორს წაიდნენ, რომ უკან ვეღარ მობრუნდნენ. ქართველიშვილმა ლომომ თხარა ცხეკნელა თავის შვილებთან ერთად მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში, მაგრამ დამალულს ვერავინ მიაგნო. ლომსაძე ლომგოი იტყოდა, შევძვერი ცხეკნელის დარანში, მაგრამ შიგნიდან სინათლე გამოჩნდა თვალისა, ნაღირიაო, ვიფიქრე შემეშინდა და გამოვიქეცი.“ დავით გოროხოვის მიერ მონათხრობი ეს ნაღვლიანი ამბავი მნიშვნელოვანია როგორც ჯავახური სოფლის ტიპური აღსასრული, სოფლის ნასოფლარად ქცევის ისტორია. სანდოა ლეკების თარეშიც. მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი რამ იშვიათად არ ხდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ცხეკნელა XVI საუკუნეზე ადრეც არის მოხსენიებული. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერთაგან ერთ–ერთში, რომელიც XIV საუკუნეს ეკუთვნის, საიდანაც ვგებულობთ, რომ მურვან ღარიბაძს ძეს ვანის ქვაბებისათვის შეუწირავს მამული: „სახელითა. . . და შუამდგომლობითა **ვანის ქუაბთა** მთავარმონაზისა გიორგისითა, თავსმდებობითა . . . მფარველისა ჩუენისა ხატისა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა და მას შინა დამკჳდრებულთა სალმრთოჲთა კრებულისა მღდელთა და დიაკონთა მიგიძღუანე და მოგაჴსენე მე **მურვან ღარიბისძემან** ჩემისა ნასყიდისაგან მესამედი **კუნელეთით**, მესამედი **დიდკლდით**, მესამედი **ციხეკნელით**, მესამედი **კუარბით**, რასაცა ოდენ ღმერთი მოგჳძლუანებდეს ნაყოფთაგან ამათ ქუეყანათა თუ დიდად და თუ მცირედ ჩემთჳს და ჩუენთა მშობელთა და შეილთათჳს“[351]. . . დ. ბერძენიშვილი **ციხეკნელის** გარემოს კიდევ უფრო აფართოებს სხვა

350ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 180.

351თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ „ვაჰანის ქვაბთა“, თბილისი, 1896, გვ. 45.

მინაწერთა მასალებითაც: „ერთი მამული **ორხოფიას, როტაშაული** მისითა მთითა . . . ერთი ვენახი **ტოლოშს,** ახალშენი **მაღნარას,** იგიცა ნასყიდი და მიუდევარი“, ორი ყანა სოფელ **დადეშში,** ნასყიდი მამული **ხარაკიას, ”ტოლოშს** ორი ვენახი **მალმარშიგან“, კუნელეთის, დიდკლდის, ციხეკნელის, კუარბეთის** მესამედი”[352]. დ. ბერძენიშვილის აზრით, „ეს მინაწერი საინტერესოა აქ მოხსენიებული ტოპონიმების გამოც. უმეტესობა სოფლებისა არის „გურჯისტანის დავთარშიც“. მიკროტოპონიმები კი აღარ ჩანს. „ხარაკია“ სოფელი **ხარაკი** უნდა იყოს სულდის მახლობლად, **არდახი – არტახია** ნიალის ველზე, საიდანაც ზეთი უნდა მიეღო მონასტერს. **„ციხეკნელი“ ცხენელაა.** იგი შეიძლება ხალხური გააზრების გამო იყოს სახეცვლილი, რადგან ამ ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება (შდრ.: ცხნარი – ციხნარი ქციის ხეობაში)[353]. ამგვარად, XIV საუკუნეში გვაქვს ციხეკნელი, XVI საუკუნის ბოლოს – ცხეკნელა და დღესაც ამ ნასოფლარს **ცხეკნელას** უწოდებს მოსახლეობა. ხალხური ეტიმოლოგიით **ცხენის კვლას** უკავშირდება სახელი, რაც დაფიქსირებული აქვს გრ. ბერიძეს: „ცხეკნელა ხალხური ეტიმოლოგიით, ცხენს კლავდნენო – და დაერქვა ცხეკნელა, მაგრამ საეჭვოა ასეთი განმარტება. უფრო სიმართლესთან ახლოს იქნება „ცხეკნელა“, ნ–ს გადასმით, აქედან **ცხენისკელი – ცხენის ნაკელი,** ხოლო მეორე გაგებით – **ცხენკოჭლა** – კელობა, ძველი გაგებით, კოჭლობას ნიშნავდა”[354]. გრ. ბერიძე, მართალია, გაემიჯნა ხალხურ ეტიმოლოგიას, მაგრამ სახელის წარმომავლობა დაუკავშირა მაინც ცხენს. როგორც „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერიდან ჩანს, სიტყვის დასაწყისი შეკუმშული ციხე უნდა იყოს. ცხეკნელა შემდეგი საფეხურია. უფრო ადრე მას ციხეკნელი ერქვა. ძველ ვარიანტში იკითხება გარკვევით ციხე, როგორც ეს აღნიშნა დ. ბერძენიშვილმა, „რადგან ამ ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება“, სამწუხაროდ, მეცნიერს არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება სიტყვის დანარჩენ ნაწილზე. სახელის ეტიმოლოგია ციხეს დაუკავშირა აგრეთვე ი. ტალახაძემ, ოღონდ არც მას გამოუთქვამს თავისი აზრი კომპოზიტის მეორე ნაწილზე: „ჩვენი აზრით, ციხეკნელი – ცხეკნელა – გეოგრაფიული სახელი ციხესთან უნდა იყოს კავშირში. როგორც ნასოფლარსაც ეტყობა, აქ პატარა ციხე ყოფილა. **ჩხეკნელა** გვხვდება დავთარშიც”[355]. მითითებული სამი სახელიდან ამოვარდება ჩხეკნელა, რადგან ასეთი სახელი „დავთრის“ მეორე ტომში არ დასტურდება. საქართველოს ტოპონიმიაში ციხესთან ბევრი კომპოზიტია დაკავშირებული, მათ შორის გასათვალისწინებელია: როდესაც ციხე არის ნათესაობით ბრუნვაში, ამ დროს იგი გამოდის სუბსტანტიური მსაზღვრელის როლში, ასეთია სოფელთა შემდეგი სახელები საქართველოში: ორი არის **ციხის სოფელი;** სამი – **ციხისუბანი;** ოთხი – **ციხისძირი;** ერთი – **ციხისფერდი** და ერთიც **ციხისჯვარი**[356]. ბევრად უფრო მეტია ამ ტიპის წარმოება მიკროტოპონიმიაში: ციხისგვერდი, ციხისგვერდას ეკლესია, ციხითავი (ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს დაკარგულია), ციხისბოლო, ციხისგვერდი, ციხისგორა, ციხისეკლესია, ციხისერის ღელე, ციხისთავი, ციხისკარი, ციხისტყე, ციხისქვაბისკარი, ციხისღელე, ციხისყელი, ციხისძირები, ციხისწყალი, ციხისწყარო[357]. ციხე შეიძლება იყოს თავად საზღვრული, პოსტპოზიციური წყობის დროს. ამის მაგალითია **ციხეკოკორი**[358]. ციხე გვხვდება კომპოზიტში **ციხე-გალავანი**[359]. ბევრია ისეთი ადგილი საქართველოში, რომელსაც მხოლოდ ციხე ჰქვია. ამ სახელის მქონე მხოლოდ ქვემო იმერეთში ოცდაექვსია. ციხე შეიძლება შეგვხვდეს -თან და –ზე თანდებულებთან: ციხეზე (სოფ. მაისური), ციხესთან (სოფ. ცუცხვათი)[360]. ციხე გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში საზღვრულის გარეშე, როგორც ნაგენეტივარი სახელი – **ციხისა,** რომელიც ხელახლა იბრუნვის და გვაქვს მრავლობით

352დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 122.

353იქვე, გვ. 122.

354გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, 1988, გვ. 149.

355ი. ტალახაძე, ვაჰანის ქვაბთა... გვ. 127.

356ადმინისტრაციულ–ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 280-281.

357საქართველოს ტოპონიმია 2003, გვ. 359.

358საქართველოს ტოპონიმია, 1989, გვ. 230.

359საქართველოს ტოპონიმია, 2003, გვ. 358.

360იქვე, გვ. 359.

რიცხვში – **ციხისეები**[361]. ბევრია ციხე მრავლობით რიცხვში – **ციხეები**, რომელიც აღნიშნავს არა მხოლოდ ციხეს, არამედ სავარგულებსაც მის გარშემო[362]. ციხე გვაქვს სხვა დაბოლოებითაც. მაგალითად, ქვემო იმერეთში გვაქვს -ელ-ა – ზე დაბოლოებული ტოპონიმი **ციხელა**, რომელსაც პარალელურ ფორმად აქვს **ციხელი** (ციხელ[ებ]ი) (შდრ.: გვარი ციხელაშვილი) და ციხისყელი. ციხე გვხვდება –ია დაბოლოებით – **ციხია**[363] და ციხია ნანათესაობითარ მრავლობითში – **ციხიათა** (სოფ. სიმონეთი)

ამგვარად, ციხე ტოპონიმურ სახელებში პროდუქტიულია, როგორც კომპოზიციის დროს, ასევე წარმოქმნისას. რადგან **ციხეკნელი** უფრო ადრეა დადასტურებული, ვიდრე **ცხეკნელა**, ფაქტია, რომ ის არის ადრინდელი ფორმა და ციხეკნელიდან მოდის ცხეკნელა. ციხის შეკუმშული ფორმა კომპოზიტებში გვაქვს სხვა შემთხვევაშიც, როგორც ეს ს. ჯიქიამ აღნიშნა[364]. კუმშვის პროცესს განსაკუთრებით უწყობს ხელს არაქართულენოვანი გარემო, რომელიც ხშირად ახლდა ცხეკნელის ისტორიას. „ციხის“ შეკუმშვა შეიძლება აიხსნას ფონეტიკურ ნიადაგზეც, როდესაც ორმარცვლიან სიტყვას ემატება მარცვალი, ხდება წინა მარცვლის შეკუმშვა (თ. უთურგაიძე). ძველ ვარიანტში სახელი მოხსენიებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნით (ციხეკნელი), ამიტომ –ა ცხეკნელაში მატოპონიმებელი ფუნქციისა უნდა იყოს.. საბოლოოდ ტოპონიმი გაიყოფა ორ ნაწილად: **ციხე–კნელ–ი**, რომლის მეორე ნაწილი სანდაკარგულია. თავდაპირველად გვექნებოდა **ციხესკნელი**. **–სკნელის** შესახებ სულხან-საბა ორბელიანი წერს: „(კიდურივით) რამეთუ ვიტყვით: **ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი** და **უკანასკნელი**, ესე არს, ვითარცა დასასრული რამე კიდეთაგანი“[365]. თუ ეს ასეა, ცხეკნელას თავდაპირველი შინაარსი იქნება **ციხის მხარე**.

აზმანა

აზმანის ისტორია ჯერჯერობით მე-16 საუკუნიდან შეგვიძლია დავიწყოთ. ოსმალებმა აღწერეს იგი და დაუწესეს გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე. აზმანელები საქორწინო გადასახადსაც კი იხდიდნენ. ეს გადასახადები მოეხსნებოდათ, თუ ისინი რწმენას შეიცვლიდნენ და ქრისტიანობას დათმობდნენ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა, სოფელი მტკიცედ იდგა თავისი წინაპრების გზაზე. 1595 წელს აზმანაში 12 ოჯახი ცხოვრობდა[366]. ეს საშუალო სიდიდის სოფელია. მაშინდელ საქართველოში და შემდეგაც. თითოეულ ოჯახში სამოციდან ას სულამდე ცხოვრობდა. ხშირად სამი ძმის შთამომავლები ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, რომ გადასახადი ერთი ჰქონოდათ, ოჯახი ძლიერი ყოფილიყო და გვარი და სარწმუნოება შეენარჩუნებინათ. ჩვენამდე მოაღწია ოჯახის თორმეტიე უფროსის სახელმა. ოსმალური აღწერის სისტემა განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამ პრობლემასთან იყო დაკავშირებული გვარის საკითხიც. ქართული გვარის სისტემა განსხვავდებოდა და განსხვავდება ოსმალურისაგან. ქართული გვარი გადადიოდა შთამომავლობით პაპიდან შვილზე, შვილიშვილზე და ასე შემდეგ, მაშინ, როდესაც ოსმალური გვარი მხოლოდ ერთ თაობას ჰქონდა. თუ მამას ერქვა **მუჰამედი**, მისი შვილი **ალი** იყო **მუჰამედოღლი**, ხოლო ალის შვილი იქნებოდა **ალიოღლი**. გვარის მიხედვით ვერ გაიგებდი ერთი და იმავე შთამომავლობისა, ჯიშისა, თუნდაც ოჯახის შვილები იყვნენ თუ არა მამა და შვილი, პაპა და შვილიშვილი. გვარის ამ სისტემასთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესული იყო და არის ქართული გვარი, რომელიც გადადის შთამომავლობით. ფაქტობრივად, თურქებს (ოსმალებს) გვარი არ ჰქონდათ ბოლო დრომდე და მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობს დღესაც. მუსტაფა ქემალის სპეციალური დეკრეტი დასჭირდა 1934 წელს გვარის შემოღებას თურქეთში. დღესაც ნებისმიერ თურქს შეუძლია აიღოს ნებისმიერი სიტყვა გვარად,

361 იქვე. გვ. 359.

362 იქვე. გვ. 358.

363 იქვე. გვ. 359.

364 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 42.

365 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 105.

366 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 228.

ოლონდ ეს სიტყვა გინება არ უნდა იყოს. აი, ასეთი ინტელექტისა და ტრადიციის დამპყრობი მოდის მე-16 საუკუნის საქართველოში და აღწერს მესხეთს, აქცევს მას გურჯისტანის ვილაიეთად, აწერს გადასახადებს. კიდევ ერთ საკითხს შეიძლება შევეხოთ გვართან და სარწმუნოებასთან დაკავშირებით. ხდებოდა ხოლმე, რომ სამი ძმიდან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც შეენახათ ქრისტიანად და მას გადასახადების გადახდაში მიხმარებოდნენ. ამ ფონზე გასაგები უნდა იყოს, რატომ არიან მაშინდელი აზმანელი ოჯახის უფროსები სახელით და მამის სახელით მოხსენიებული.

რა სახელები ერქვათ მაშინდელ ქართველებს? საქართველოში ყოველთვის დიდი თავისუფლება იყო სახელის დარქმევისა. ტრადიციული ქართული და კანონიკური ქრისტიანული სახელების გვერდით შემოსულა აღმოსავლური სახელებიც. ჩვენ ხომ ყოველთვის ისტორიის გზაჯვარედინზე ვცხოვრობდით. საკუთარი სახელები ზოგი სრული სახით არის წარმოდგენილი, ზოგიც კნინობითის ფორმით. გიორგის კნინობითი ფორმაა **გოგი**, ხოლო გოგისთვის მოფერებით **გოგიჩა** დაურქმევიათ. თორმეტკომლიან სოფელში ორი **გოგიჩა** იყო ოჯახის უფროსი, ერთის მამას ერქვა **მახარებელი**, ხოლო მეორისას – **ონანა. მახარებელი** ქართული სახელია, ხარებიდან მოდის, ამავე ფუძისაა **ხარება, მახარა, მახარე**. შესაბამისად გვაქვს ქართული გვარები: **მახარებლიძე, მახარობლიძე, გამახარია, ხარებავა, ხარებაშვილი, მახარაშვილი** და სხვა. რაც შეეხება მეორე მამის სახელს **ონანას**, იგი ძველი ებრაულიდან არის შემოსული ძველ ქართულში, რაც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს აქვს დადასტურებული[367]. როგორც მივუთითეთ, ორი მახარებელი უფროსი თაობის წარმომადგენელია – მამები არიან. ერთი მახარებელი შვილებშიც არის, იგი **გულაბისძეა**. კომპოზიტური ქართული სახელიდან **გულაბერიდან**[368] არის მიღებული მახარებლის მამის სახელი **გულაბი**. ჯავახეთში გავრცელებული იყო ქართული სახელი ნათენა. ამ სახელს ბევრ სოფელში არქმევდნენ. მისგან ნაწარმოები გვარი **ნათენაძე** ყველაზე მეტად გვხვდება ჭაჭკარსა და გოგაშენში. **ნათენა** ნათელთან არის დაკავშირებული, მისი მონათესავე საკუთარი სახელია ნათელა. ნათენაში მოხდა ასიმილაცია **ნარმა** დაიმსგავსა **ლ**. ნათელა დღეს ჰქვიათ ქალებს, მაგრამ წინათ კაცის სახელადაც გვხვდებოდა[369]. საფიქრებელია, რომ ასევე ერქვათ კაცებს **ნათენა**, რასაც გვიდასტურებს აზმანაში მცხოვრები ნათენაც მე-16 საუკუნეში. ნათენას მამას ძველებრაული ბიბლიური სახელი **ელიაზარი** ერქვა. მისი მნიშვნელობა არის: „ღვთის წყალობა“, „ღვთის შემწეობა“ (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთია შემწე“)[370]. **ელიაზარი** კიდევ ერთი ოჯახის უფროსის სახელია, ოლონდ მისი მამის სახელი ამოუკითხავია. დღეისათვის ამ ფორმით ეს სიტყვა ნაკლებად გვხვდება ქართულ სახელებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიულად ბევრს ერქვა მესხეთში. აზმანის გარდა სხვა სოფლებშიც გვხვდებიან ამ სახელის ქართველები. ამ სახელთან არის **ზაზაძეთა** ერთ-ერთი შტოგვარის სათავის დამდებიც. მათ **ელლაზაანთ** ეძახიან. ელიაზარისაგან არის მიღებული ისეთი პოპულარული სახელი საქართველოში, როგორიცაა **ლაზარე**[371] და მისგან მიღებული ქართული გვარები: **ლაზარიშვილი, ლაზარაშვილი, ლაზარია.** ბერძნული სახელები ოდიდგანვე შემოდიოდა ქართულ ანთროპონიმიკაში. ზოგი მათგანი იმდენად შეისისხლხორცა ენამ, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია მისი არაქართულობა. ერთი მათგანია **ალექსი,** რომელიც ნიშნავდა „მცველს“, მისგან არის მიღებული ქართული გვარები: **ალექსიშვილი, ალექსაშვილი, ალექსიძე**[372]. ძველ აზმანაში ამ სახელით ორი ოჯახის უფროსია, ოლონდ „დაუკნინებიათ“ მათი სახელები და **ალექსა** უწოდებიათ. ერთი მათგანის მამას **აბა** ჰქვია, ხოლო მეორისას – **ანდრია.** აზმანის სახელებში ჩვენი ისტორიის უძველესი შრეების გამოძახილი ისმის. როდესაც ესა თუ ის სახელი შემოდის ამა თუ იმ რეგიონში, ეს აუცილებლად ნიშნავს სეროზულ კონტაქტებს იმ ენებთან თუ კულტურებთან, საიდანაც ეს სიტყვები ან სახელები

367ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, გვ. 191.

368იქვე, გვ. 144.

369იქვე, გვ. 246.

370იქვე, გვ. 150.

371იქვე, გვ. 151.

372იქვე, გვ. 123.

შემოდის. ამ მხრივ სამაგალითოა მესხეთი, რომლის ისტორიული კუთხეები: ტაო, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი კოლა, აჭარა და სხვა ხალხთა მიგრაციების, კულტურათა შეხვედრების, რელიგიათა კონტაქტების ეპიცენტრში იყო ყოველთვის. ალექსას მამის სახელი **აბა** უძველესი სემიტური სიტყვაა. მის შესახებ ზ. ჭუმბურიძე წერს: „**აბა** (სემიტ.) – „მამა", „სულიერი მოძღვარი", „ხალხის მამამთავარი", მოგვიანებით პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა. ქართულში შემოსულია ბერძნულის გზით (აბბა → ამბა → ანბა II აბა), წმინდა მამის, მონასტრის წინამძღვრის მნიშვნელობით. დასტურდება უკვე VI საუკუნეში პალესტინის წარწერაში: „შეიწყალენ ანტონი **აბაჲ** და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ". აბა (IIაბაი)-საგან ნაწარმოებია გვარები: **აბაძე, აბაიძე, აბაშვილი. აბაიძე, აბაიშვილი**[373]. რაც შეეხება მეორე **ალექსას** მამას **ანდრიას**, მისი სახელი კიდევ უფრო ახლობელია ქართველთათვის. **ანდრია პირველწოდებულმა** ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაამსხვრია ზადენის, აპოლონისა და აფროდიტას კერპები სამცხეში, მოაქცია აჭარა და მესხეთი. მის სახელთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი უძველესი სოფლის **ანდრიაწმინდის** სახელი და წმიდა ანდრიას სახელობის ეკლესია ამ სოფელში.

ერთი ძალიან საინტერესო სახელი დასტურდება მე-16 საუკუნის აზმანელებში. ეს არის **ლონენა**. აშკარაა, რომ –ენ-ა მაწარმოებელია ამ სიტყვაში. ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა და თევზეულთა სახელები ხშირად დომინირებს ადამიანთა ჯერ მეტსახელების ან სახელების შერქმევაში და ამის საფუძველზე შემდეგ გვარების ჩამოყალიბებაში, ამ დროს გარკვეულ როლს ასრულებს ტოტემი, ადამიანისა და ბუნების ნათესაობის ეს საინტერესო ფორმა. **ლონენაში** გამოიყოფა **ლონ-** ფუძე. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „**ლონა** (თევზ.) – ღორჯო ჰქვიან". ე. ი. ღორჯოს სხვაგვარად ღონა ჰქვია, ხოლო **ლონა ღვანას** ფონეტიკური ვარიანტი. **ღვანა II ლონა II ღორჯო** პატარა, თავმსხვილი შავი თევზია. მთის წყალში არ იცის. ბინადრობს ძირითადად მტკვრის ნაპირებში ლამიან ადგილზე. ერთადერთი ფორმა **ღვანა** იცის მესხურმა (სამცხურმა და ჯავახურმა). „ღორჯო" შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერლებმა. საბოლოოდ ღორჯომ განდევნა კიდეც ღვანა და ამ თევზის სახელად მხოლოდ ამ სიტყვას ხმარობენ დღეს. უფროსი თაობის ადამიანებში ერქვათ მეტსახელად **ღვანა**, ხოლო შედარებით ახალგაზრდებში შეარქმევენ ხოლმე **ღორჯოს** ისეთ ადამიანს, ვისაც შავი ფერი და დიდი თავი აქვს. ეტყობა ღონენაც ამ ნიშნებით გამოირჩეოდა. შეიძლება –ელ სუფიქსი გამოვყოთ ღონენას მამის სახელში – მისელა, ოლონდ ფუძის მნიშვნელობა უცნობია. ორი ბერიკაცი – მაცაცა და მამუკა იმდენად ცნობილი ადამიანები ყოფილან, რომ მათი შვილიშვილები ოსმალო მოხელეს პაპების სახელების მიხედვით დაუფიქსირებია – **მაცაცას** შვილიშვილი, **მამუკას** შვილიშვილი. მაცაცა II მაცაცო დღეისათვის მეტსახელად გვხვდება, ოლონდ ქალებში. მამუკა დღესაც პოპულარულია ქართულ სახელებში. მისგან არის მიღებული ქართული გვარი მამუკაშვილი. რომელიც გვხვდება მესხეთში. აზმანის მცხოვრებლებში არის ერთი გაურკვეველი წარმომავლობის მქონე სახელი – **ბაისონლუნი**, რომელსაც ჰყავს შვილი **ბადურა**. გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს აქვს კნინობითობის მაწარმოებელი ნიშანი –ა, რომელიც მხოლოდ ქართული სახელებისათვის არის დამახასიათებელი, საკმაოდ პოპულარული იყო მაშინდელ ქართველებში. **ბადური** მიღებულია **ბაადურისაგან** და მონღოლური წარმოშობის სიტყვაა[374]. მისგან არის მიღებული ქართული გვარები: **ბადურაშვილი, ბალათრია, ბალათრიშვილი**[375]. საბოლოოდ ჩამოვთვლი იმ 12 კომლის უფროსებს იმ სახით, როგორც აღწერეს ოსმალო მოხელეებმა:

მახარებელ გულაბისძე
ნათენა ელიაზარისძე
გოგიჩა ონანასძე
იოსებ ალექსასძე
ალექსა აბასძე

373 იქვე, გვ. 120.
374 იქვე, გვ. 129.
375 იქვე, გვ. 130.

ელიაზარ
ალექსა ანდრისძე
ღონენა მისელისძე
მაცაცას შვილიშვილი
მამუკას შვილიშვილი
ბადურა ბაისონლუნისძე
გოგიჩა მახარებლისძე

ამგვარად, შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ოსმალოების მიერ აღწერილ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ასე მოვიდნენ ისინი მე-19 საუკუნემდე. 1829-1930 წლებში, როდესაც ჯავახეთიდან ქართველები, როგორც მაჰმადიანები, გაასახლეს და მათ ადგილზე ოსმალეთიდან, თავიანთი ისტორიული სამშობლოდან, შემოასახლეს სომხები, აზმანელები არსად წასულან. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სარწმუნოება შეცვლილი. შემდეგისათვის მოვლენები განვითარდა რუსული სცენარით. რუსეთის იმპერიას არ სურდა ერთი რწმენისა და ეროვნების ქართველები ყოფილიყვნენ ჯავახეთში, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს ერთიანობის საფუძველიც. ამ საქმეში რუსეთისა და ოსმალეთის მიზნები ემთხვეოდა ერთმანეთს. ამან განაპირობა რუსეთის მმართველობის დროს ჯავახეთის დარჩენილი ქართული მოსახლეობის დაჩქარებული გამუსლიმება და მათთვის **თათრის** იარლიყის მიკერება. 1886 წელს რუსეთმა ჩაატარა აღწერა და სხვადასხვა კუთხის ქართველები ცალკე ეროვნებებად გამოაცხადა. კერძოდ: იმერეთში მცხოვრებ ქართველს ეროვნებად ჩაუწერეს იმერელი, გურიაში მცხოვრებს – გურული, აჭარელი, ხევსური, მთიული და სხვა. ასე გაჩნდა მუსლიმი ქართველების ეროვნებად სარწმუნოებრივი აღმსარებლობა და მათ ჩაუწერეს **თათარი**. აი, ასეთი „თათრები" ცხოვრობდნენ აზმანაში 1886 წელს. მე-16 საუკუნის 12 კომლის ნაცვლად ახლა 29 კომლი გამხდარან მათი შთამომავლები – 126 კაცი და 113 ქალი. სამწუხაროდ, კიდევ უფრო უარესად განვითარდა აზმანელთა ბედი მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში, ისინი საერთოდ გაასახლეს საქართველოდან. ნასოფლარში მეზობელი ქართული სოფლებიდან მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი გასახლებულ აზმანელთა ნაფუძარზე, მაგრამ ვერ ეგუებიან ყოფილი მეზობლების სახლებში ცხოვრებას, სოფელიც ისევ ნასოფლარად რჩება, ვიდრე აჭარიდან 1989 წელს არ გადმოვიდა მოსახლეობა. დღევანდელ აზმანაში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს. სოფელი აღადგინეს აჭარიდან გადმოსულებმა: მელაძეებმა, შაინიძეებმა, ანანიძეებმა, კახაძეებმა და ადგლობრივი სოფლებიდან მოსულმა ნათენაძეებმა და მიქელაძეებმა (მიქელაძეები აჭარიდანაც არიან გადმოსული). 10 ოჯახიც სომხური სოფლიდან შემოუერთდა ახალმოსახლეებს.

სოფლის სახელი ზოონიმური წარმომავლობისა ჩანს. სულხან-საბა ცხვრის განმარტებისას წერს: „ცხვარსა მამალსა ეწოდების **ვერძი** და დედალსა **ნერბი**, ხოლო შვილთა მათთა **კრავი**, დიდსა კრავსა და უბიწოსა **ტარიგი**, ჩჩვილსა კრავსა **ბატკანი**, წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა **ბუნი**, წელიწადს უკან – **შიშაგი**, ორის წლისას **აზმანი**"[376]. . . აზმანს ცალკე განმარტავს და წერს: „ორის წლის ცხვარი"[377]. ცხვართან და მის მსგავსთან ბევრი სახელია დაკავშირებული ტოპონიმიაში. ჯავახეთში ნინოწმინდის რაიონში არის სოფელი **სათხე. საკრავები** საძოვრების სახელია ასპინძის რაიონის ნასოფლარ ბნელაში. **ჭედილაჭალა** || **ჭედილაი** ჭალას ჰქვია ასპინძის რაიონის ნასოფლარ **დადეშში**, ასევე ასპინძის რაიონში არის **ნაცხვარიები**, ცხვრის სადგომი ნასოფლარ ზედათმოგვში. ძველსა და ჭობარეთს აქვთ ამაღლების დღესასწაულის ადგილი, რომელსაც **სატიკნე** ჩჰქვია, ხოლო ტიკანს თიკანს უწოდებენ ჯავახეთში. ჩამოთვლილთაგან ყველგან, გარდა ჭედილაჭალისა (|| ჭედილაი), მაწარმოებლად გამოყენებულია აფიქსები: **სა–ე** (სათხე, სატიკნე), **სა–ებ-ი** (საკრავები ← საკრავები), **ნა–ებ-ი** (ნა-ცხვარი-ებ-ი) (შდრ. ნასოფლი (ნასოფლიები), ნასაყდრი (ნასაყდრიები). მართალია —**ა** სუფიქსით ნაწარმოები ცხვარი და მისთანანი არ გვაქვს ჩამოთვლილთა შორის, მაგრამ **-ა** სუფიქსი გვხვდება ცხოველთა სხვა სახელებთან, კერძოდ, ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევში გვაქვს სერის სახელად **აქლემაი** და ღელის სახელად **ფუტკარაი**, რომელთაც

376ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 346.

377იქვე. გვ. 45.

დაემატება ზემოთ მითითებული *ჭედილაიც*. ამგვარად, ჯავახეთის სოფლის სახელი **აზმანა** თავისი ეტიმოლოგიით დაკავშირებულია ცხვრის ასაკობრივ სახელთან. მას აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც განუყოფელია საქართველოს ისტორიიდან, ხოლო მისი დღევანდელი მოსახლეობა ქმნის ახალი აზმანის ახალ ისტორიას.

არაბული წარმოშობის ტოპონიმები

მემთეულობა სამცხე-ჯავახეთში სამეურნეო საქმიანობის გავრცელებული ფორმა იყო. ბევრი ადგილის სახელი დაუკავშირდა „მთას".

შუაკარავი ახალციხიდან 80 კმ-ზე მდებარეობს ალპურ ზონაში. ადრე იგი ეკუთვნოდა ანდრიაწმინდას, მისი ზედა მთა იყო (ქვედა მთად მიიჩნევენ *ოხუმასა* და *ბადალიენთ ჭალას*). მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან შუაკარავი გადაეცა *აბისა* და *ჭაჭარაქის* მოსახლეობას.

აღმოსავლეთიდან შუაკარავისაკენ ადის გზა ანდრიაწმინდიდან, გაივლის *ანდას, სათიბებს, თეთრწყაროს* და *ბრმა წყაროს*. ასევე ადის გზა ჩრდილოეთიდან სოფ. *ხაკის, ტაბახმელის* და *აბის ქვედა მთის* გავლით.

შუაკარავში არის ნასოფლარი. ვაკე ადგილია, დასავლეთიდან მას ესაზღვრება *შაბანებლის მთა*, ხოლო აღმოსავლეთიდან სოფ. *ღრელის* საძოვრები და *თიქანი*. შაბანებლის ძირშია სოფ. საძელის ფერმები. ჩრდილოეთიდან შუაკარავს აკრავს ტყე და *საღორე* ხევი.

შუაკარავს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნასოფლარი *ჭოჭები* და ჩაუდის *ჭოჭების ღელე*, რომლის ფერდობებსაც ჰქვია ლიშხები. ჭოჭები სათავეს იღებს შუაკარავიდან და შედის ტყეში. მის სათავეშია წყარო – *ბოტიგამხეთქი*. ოთხიოდე კილომეტრზე შუაკარავიდან არის ქვიანი ადგილი *ქვანსობილა*, ხოლო სამხრეთით – წითელქვებზე გამომავალი წყარო – *წითელწყარო* და აქლემის სადგომი, საძოვარი. სამხრეთ-აღმოსავლეთით არის *ჩახრიალო//ჩხრიალო* (წყარო) და *ჩხრიალოს (ჩახრიალოს)* მთა, რომლის ფერდობებზე სათიბებში ბევრია წყალი.

შუაკარავის სამხრეთ კალთებზეა ნასოფლარი *ოდუნდა*, რომელიც გადმოსცქერის ნასოფლარებს – *კანტიეთსა* და *ხრიანს*.

როგორც ითქვა, შუაკარავი ნასოფლარია, მაგრამ დღეს ამ სახელით მხოლოდ ნასოფლარი არ არის ცნობილი. შუაკარავი ვრცელი ტერიტორიაა, დაახლოებით 100 ჰექტარი, რომელსაც სათიბებად და საძოვრებად იყენებენ, ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს ეს სახელი.

ხალხური ეტიმოლოგიით „ერთ-ერთი ბრძოლის დროს შუაში იდგა დიდი კარავი და ამიტომ დაერქვა სახელი".

სახელი გამჭვირვალეა და შეიძლება ასე დაიშალოს: *შუა კარავი*. სავარაუდებელია, რომ იყო, ვთქვათ, ზემო კარავი, ქვემო კარავი და აქედან – შუაკარავი, მაგრამ ასეთი რამ არ ჩანს. თუ ხალხურ ეტიმოლოგიას გავემიჯნებით, შეიძლება სხვა ვარაუდი, რომ ორ მთას შორის *შაბანებელსა* და *ჩხრიალოს* შორის მდებარეობის გამო ეწოდება ამ მთას შუაკარავი. არის თუ არა შესაძლებელი, რომ ადგილს წოდებოდა კარავი – საბას მიხედვით, „საჩრდილობელი"–ეწოდების სახლთა სამგზაროთ ნარმათა და ლართა შეკერილთა, გინა ქოხთა მალიად აგებულთა".

ვფიქრობთ, სწორედ ამ საკითხთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ნასოფლარის *არეშის* სახელი.

ადგილობრივთა მეტყველებაში გამოითქმის როგორც *არეში*, ისე *ჰარეში*, ოღონდ, როდესაც დაჟინებით გაამეორებინებ, ჰაეს აღარ ამბობენ, ე. ი. უფრო გავრცელებული ვარიანტი არის არეში.

ნასოფლარი მდებარეობს ჯავახეთის პლატოს პირზე, გადასცქერის დღევანდელ *თმოგვს, თმოგვის ციხეს, ვერთაყნის* ქვაბებს. მთლიანად კი მტკვრის ხეობას, რომელშიც მოჩანს მტკვრის გარდა, ორი შესანიშნავი ტბა – წუნდის და ბერთაყნისა. ბოლო დრომდე იგი იყო ნასოფლარ *დანკალის* ტერიტორია *დანკალსა* და *კუმურდოს* შორის, დანკალის აღმოსავლეთით. იგი ზის ჯავახეთის პლატოს კბოდეს გაყოლებულ სოფელთა რიგში, კერძოდ, თუ აფნიიდან მოვყვებით: *აფნია, გოგაშენი, დანკალი, ჯიუტმაილა, არეში, კუმურდო*. ჩამოთვლილ ადგილთაგან ყველაზე ადრე არეშია დაცლილი მოსახლეობისაგან, რადგან სხვებს (ნასოფლარებს) ჯერ კიდევ აქვთ

შერჩენილი ნასახლარები, ეკლესიები და სხვა.

არეში ცნობილია სვეტით. „ბაზისი და მასში ჩასმული ქვის ოთხკუთხედი მოგრძო სვეტი 1942 წლის აგვისტოში აღმოაჩინეს ვარძიის მუზეუმის თანამშრომლებმა არეშის ნასოფლარში (ახალქალაქის რაიონი). დაცვის მიზნით 1959 წელს გადატანილი იქნა კუმურდოს ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად დგას"[378].

გოგაშნელთა მტკიცებით, გ. კაპანაძეს, როდესაც იყო ახალციხის მუზეუმის დირექტორი, წაუღია *არეში*დან ექსკავატორის გამოყენებით „დიდი გახვრეტილი შავი ქვა, კიდევ რალაც მოჩუქურთმებული ქვები". ბაზისს აქვს წარწერები, რომელთა პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ იგი IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს, ხოლო მოხსენიებულ პირთა მიხედვით 881-891 წლებით შეიძლება შემოვიფარგლოთ[379]. წარწერაში დაფიქსირებულია ჩვენთვის საინტერესო ნასოფლარის სახელი, ამიტომ მოვიყვანთ მას: „ძემან გურგენ კურაპალატისამან, შესწირა არ(ე)შტი ს(ა)ყდრ(ი)სა კ(უ)მ(უ)რდ(ო)სასად[380]".

ფრჩხილებში მითითებულია ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა გამოტოვებული ასოები (დაქარაგმებული). ამ წარწერაში *კუმურდო* უფრო ადრე მოიხსენიება, ვიდრე ტაძარი აშენდებოდა. *არეშტი*, რომელიც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც არშტი[381], დღევანდელი *არეშია*. ეს უცილობლად დასტურდება იმითაც, რომ ნასოფლარს, სადაც სტელა იდგა, დღეს ასე ჰქვია, ამიტომ *არშტის* ვარიანტი უნდა გამოირიცხოს. რაც შეეხება –ტი დაბოლოებას, ასეთი დაბოლოებები თუ ბგერათკომპლექსები შეიძლება ჩამოსცილდეს ჯავახეთის ტოპონიმიაში. შდრ.: ვერტაში – ვერტა; განძანი – განძა; ფოკანი – ფოკა და სხვ.

არეში არ ალუწერიათ „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის" შედგენისას. როგორც ჩანს, იგი ძალიან ადრეა გაუკაცრიელებული. სხვა რაიმე ცნობა არეშის შესახებ საისტორიო წყაროებში არ გაგვაჩნია.

არეში საკმაოდ გავრცელებული სახელი ყოფილა[382]. ლ. ჭილაშვილს განხილული აქვს ჯავახეთის არეშის გარდა ოთხი პუნქტი: *ჰერეთში* (ყვარელის რაიონი), არაგვის ხეობასა და შირვანში (აზერბაიჯანში), რომელთაც შეიძლება დავუმატოთ ქალაქი *არიშიც*, რომელიც ეგვიპტეში მდებარეობს და რომლის შესახებაც ცნობას ვხვდებით IX საუკუნის ეგვიპტელი ავტორის... თხზულებებში[383]. **ლ. ჭილაშვილი** წერს: „ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვავარაუდებინებს, რომ სახელთა იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და საქმე უნდა გვქონდეს რალაც ნიშნით გამორჩეულ ზოგად სახელთან, რაც განსაკუთრებით არის ნიშნეული, პუნქტების სახელდებაში ახალი ელემენტის გაჩენა საგულისხმოა IX საუკუნის ახლოს[384]".

არეშის ეტიმოლოგიას მეცნიერი უკავშირებს არაბულ ზმნას არშა, რომლისგანაც მიღებული უნდა იყოს სახელი – ტახტი, კარავი[385]. ამ აზრს „ამაგრებს ის გარემოება, რომ მისი გამოჩენა მაინცდამაინც არაბების საქართველოში მძლავრობის ხანას ემთხვევა. ადრე ეს სახელი არსად არ არის დაფიქსირებული. ასეთი სახელის აღმოცენება ზემოთ აღნიშნული *არეშების* ადგილზე ალბათ ცალკეულ სამხედრო ოპერაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ახალი სახელის გაჩენა ქრონოლოგიურადაც ამის მიხედვით უნდა იყოს განსაზღვრული[386].

საომარ ოპერაციებსა და კარავს თუ დავუკავშირებთ სახელს, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა ვითარებაში იყო ჯავახეთი IX საუკუნის ახლო ხანებში არაბების ხელში. როდესაც არეში ერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, იცვლებოდა სოფლის სახელი, ან ახალ ადგილზე ჩნდებოდა იგი.

378 ვ. სილოგავა, 1994, გვ. 77.

379 იქვე, გვ. 77.

380 იქვე, გვ. 79.

381 იქვე, გვ. 77.

382 ლ. ჭილაშვილი, არეში, თბ., 1991.

383 იქვე, გვ. 164.

384 იქვე, გვ. 165.

385 იქვე, გვ. 164-165.

386 იქვე, გვ. 165.

საინტერესოა, IX საუკუნეში სტელაზე დაფიქსირებულია უკვე ახლადშექმნილი სახელი. არც ეს არის მოულოდნელი.

არეშის ფონეტიკურ ვარიანტად მიჩნეულია არიში, ამიტომ არიშიანთა გვარი ჰერეთში და საარიშიანო დაკავშირებულია არეშთან[387]. თავდაპირველად არიშიანი „სახელი ჩანს", ხოლო შემდეგ „ჰერეთის ერისთავი იღებს მეფის კარზე არიშიანის ადგილზე ჯდომის უფლებას, რაც ცხადად განმარტავს არიშიანის წარმოშობით საგვარეულო და უფლებრივად სახელმნიფოებრივ სტატუსს. ცხადია, სახელი ისეთნაირად არის ნაწარმოები ადგილის მიხედვით, როგორც ორბელიანი, ბედიანი, დადიანი და სხვა[388]".

წყაროებში ამ ფუძიდან ნაწარმოები გვარები სხვაც გვხვდება: „უცხოური წარმომავლობის სიტყვა იქცა არა მხოლოდ ადგილის აღმნიშვნელ სახელად, ის ჰერეთის არეშის მიხედვით საგვარეულო სახელწოდებაში აისახა. სხვა შემთხვევაში ვხვდებით მისგან ნაწარმოებ გვარებს და სახელებს, როგორიცაა არეშიშვილი, არეშიძე..."[389]

მართალია, არეში და არიში ფონეტიკურ ვარიანტად არის მიჩნეული, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ არეშისაგან –იანის დართვის შემდეგ მიგვეღო არიშიანი ასიმილაციის გზით. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს *არეშიშვილი* და *არეშიძე*, სადაც ფუძე არეშად არის წარმოდგენილი. *არეშიძე* საკმაოდ გავრცელებული გვარია საქართველოში, ამ გვარისას 960 სულს ითვლიან[390]. არეშ- ფუძიდან, გარდა ზემოთ აღნიშნული არეშიშვილისა, გვაქვს ამ გვარიდან მიღებული არაქართულად გაფორმებული *არეშოვი*. ეს ფორმა ჩნდება მე-19 საუკუნეში[391]. „არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის მემამულეები[392]". მოგვიანებით *არეშოვები* სომხად „მონათლეს" (ვარხუნო, ეცო, დურნუკი, ენაგეთი)[393]. ასე რომ, დღეს თბილისსა და მცხეთაში გავრცელებული გვარი *არეშოვი* გასომხებული ქართველებია. არეშოვის ფონეტიკური ვარიანტია *არეშევი*.

ზემოთ ლ. ჭილაშვილის მიერ ნაჩვენები იყო გეოგრაფიული პუნქტიდან (არეში) მიღებული სახელი არიშიანი, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს და სარწმუნოა, მაშინ უნდა დავუშვათ სხვა პროცესიც, კერძოდ, არიშიანისაგან მივიღეთ არეშიძე და არეშიშვილი, რადგან თუ ადგილის სახელიდან მივიღებდით აღნიშნულ გვარებს, მაშინ უეჭველად უნდა გაჩენილიყო წარმომავლობის -ელ სუფიქსი, როგორც ეს მოხდა სხვა შემთხვევაში (შდრ. ბანძელაძე, კახეთელიძე და სხვა.) არიშიანში –იან მაწარმოებლის ჩამოშორების შემდეგ არიშ//არეშ გაგებულ იქნა საკუთარ სახელად და გაფორმდა მოგვიანებით გვარის მაწარმოებელი სხვა სუფიქსებით. ამიტომ მივიღეთ არეშიშვილების პარალელურად არეშაშვილებიც[394], მითუმეტეს, რომ არეშიშვილები აზნაურებიც ყოფილან, მოგვიანებით მემამულეებიც[395] და იქნებ შეიძლება მათი დაკავშირება არეშიანთა ცნობილ საგვარეულოსთან. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ „არეშიშვილები ცხოვრობდნენ სოფ. არეშევანში (მოგვიანებით ვარხუნო)[396]."

არეშის ეტიმოლოგიის გარკვეულ პრობლემას ქმნის სტელის წარწერის დაბოლოება – ტი. არაბულიდან არეშ სიტყვის შემოსვლა უნდა მომხდარიყო ენაში, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე და შემდეგ დარქმეოდა ადგილს.

დღეს რომ ეს სიტყვა ლექსიკაში არ გვხვდება და არც ლიტერატურით დასტურდება, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ასე მოხდა *კალა*-ს შემთხვევაში, როდესაც ციხის აღმნიშვნელად შემოვიდა ეს სიტყვა ენაში. ბევრი *კალა//ყალა* გვხვდება დღევანდელ საქართველოს ტოპონიმიაში, მაგრამ იგი

387 ლ. ჭილაშვილი, არეში, გვ. 168-173.

388 იქვე, გვ. 171.

389 იქვე, გვ. 171.

390 ა. სურგულაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 26.

391 ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1994, გვ. 220.

392 იქვე, გვ. 220.

393 იქვე, გვ. 220.

394 იქვე, გვ. 219.

395 იქვე, გვ. 220.

396 იქვე, გვ. 219.

კვლავ ქართულმა ციხემ შეცვალა, ისევე, როგორც თურქული ადა (კუნძული, ნახევარკუნძული, მდინარის მონაკვეთი). თავის დროზე ამ სიტყვამ ამოაგდო ენიდან (დიალექტიდან) შესაბამისი ობიექტის სახელი ხერთვისი, მაგრამ ადგილი საბოლოოდ მაინც ვერ დაიმკვიდრა ენაში, შემოგვრჩა მხოლოდ ტოპონიმიაში. ამდენად არეშიც, როგორც კარვის აღმნიშვნელი სახელი, გაქრა არაბობასთან ერთად. ამიტომ სავარაუდებელია, რომ არეში თავის დროზე შეიძლება გაფორმებული ყოფილიყო რომელიმე მაწარმოებელთან, უბრალოდ დაბოლოებით. ასეთი ჩანს -ტი. იგი დაფიქსირებულია სამხრეთ საქართველოში -ტ-ი//ტ-ა (შდრ. შვიდრევანტა) თავისი ფშვინიერი –თ-ი//თ-ა და მჟღერი –დ-ი დ-ა ვარიანტებით, რომლებიც ადგილის სახელს აფორმებდნენ.

ენიდან *არეშის* ამოვარდნას ხელი შეუწყო *კარავის* უფლებების აღდგენამ, შუაკარავის შესახებ არსებობს გადმოცემა: „თამარ მეფე თავის ლაშქარს მტერთან საბრძოლველად აცილებდა. ისინი ერთ დიდ მთაზე დაბანაკებულან, გაუშლიათ სამი კარავი. მტერს თამარის ჩუმად შეპყრობა განუზრახავს და მოლალატეებისათვის უკითხავთ, თუ რომელ კარავში იყო თამარი. მოლალატეს უთქვია – *შუაკარაგშიო*. მტერს თამარი ვერ ჩაუგდია ხელში. ისინი დამარცხებულან. თამარს მოლალატეები დაუსჯია. იმ ადგილს კი სამუდამოდ შერჩა სახელი *შუაკარავი*“. მეორე ვარიანტი: „დიდი მთაა სამხრეთით სოფელ *ტბეთის* მახლობლად. გადმოცემით, სოფელ ტბეთში უსწავლია შოთა რუსთაველს. *შუა კარავში* უცხოვრია თამარ დედოფალს. როცა მას შახთან ჰქონია ჩხუბი (ბრძოლა), აქ ყოფილა დაბანაკებული თავისი ჯარით. წერილი მიუტანიათ შოთასგან თამარ დედოფლისათვის. ტბეთიდან წერილის მომტან კაცისათვის თამარის კარავი უჩვენებიათ ყველაზე შუაში ყოფილა. აი, აგერ *შუაკარავი*, იქ ცხოვრობს თამარ დედოფალიო და აქედან დარქმევია ამ მთას *შუაკარავი*[397].“ თუ ამ თქმულებებს მოვაშორებთ თამარ მეფის სახელს, როგორც სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა თქმულების სამკაულს, დაგვრჩება ბრძოლებთან დაკავშირებული თქმულება. ბრძოლებთან დაკავშირებული სახელი. ადვილი სავარაუდებელია, რომ სწორედ საბრძოლო *კარვის* გამო შერქმეოდა ამ ადგილს სახელი ისევე, როგორც *არეში*.

თურქული ტოპონიმები

300 წელი ბატონობდა ოსმალეთი სამხრეთ საქართველოში და ყოველნაირად ცდილობდა, მოესპო ყველაფერი ეროვნული. რა თქმა უნდა, თურქთა ბატონობის კვალი დაეტყო ტოპონიმიასაც.

ს. ჯიქია წერს: „ეროვნული გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნას ჩვენში (იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომელშიაც შედის ჩვენთვის საინტერესო არეალიც– მ. ბ.) ხელს უწყობდა: 1. ოსმალთა დაპყრობის შედეგად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის შემცირება (გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიდა ქართლში გადასახლდა). 2. ოფიციალურ ენად თურქულის შემოღება და საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამათურქებელი პოლიტიკის გატარება. 3. პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველობის) ფანატიკურად გაწყობილი ნაწილის კიდევ მასიური გადასახლება ოსმალეთში“[398].

მესხეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ტოპონიმების კვლევისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: როდესაც ქართულ ან სომხურ ენებში შედის თურქული ლექსიკური მასალა, ადგილობრივი მას იყენებს არა მარტო მეტყველებაში, არამედ ადგილთა სახელდებისასაც. ასეთი სახელები განიხილება როგორც ქართული ან სომხური ენების კუთვნილება დიალექტურ დონეზე. მაგრამ არის მეორე შემთხვევაც, როდესაც ადგილთა სახელდება თვით თურქულენოვანი მოსახლეობის მიერ ხდება, მაშინ იგი თურქული ენის კუთვნილებაა. ამიტომაც არის, რომ მესხეთის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც წმინდა თურქული, ასევე თურქულ-ქართული და თურქულ-სომხური სახელები.

თურქული სახელები გავრცელებულია განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში, გვხვდება სოფლების სახელადაც, სახელდობრ იმ სოფლების სახელებად, რომლებიც ერუშეთის საქართველოს

397თქმულება მოგვაწოდა თსუ ახალციხის ფილიალის თანამშრომელმა გ. ქურასბედიანმა.

398ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 88-89.

ტერიტორიაზე მყოფ ნაწილში მდებარეობენ, ასეთებია: *მოიდოღლი, თაზაქევი, ბაზირხანა, ყოინდრა*. დღეისათვის ზემოჩამოთვლილი სოფლები ნასოფლარებია. მათგან მხოლოდ ბაზირხანა არის გადარქმეული სახელი. ადრე მას ვანი ერქვა. აქ შემორჩენილია შესანიშნავი წარწერიანი ეკლესია.

ბაზირხანა ჯავახეთში და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბევრი იყო. ეტყობა, ვანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა თავისი ზეთის სახდელის გამო და ბოლოს მისთვის სახელიც კი შეუცვლიათ ამ ნიადაგზე. რაც შეეხება დანარჩენ სამს, ისინი ახალ ნიადაგზე აშენებული ახალი სოფლებია. სამივე სახელი გამჭვირვალეა: *მოიდოღლი* –მოიდოს შვილს ნიშნავს; *თაზაქევი* – ახლი სოფელია თურქულად, ხოლო *ყოინდარა* ცხვრის ხევს ნიშნავს.

სხვა მდგომარეობაა მესხეთის იმ ნაწილში, რომელიც დღეს თურქეთის ფარგლებშია, რადგან იქ მთლიანად გადაერქვა ადმინისტრაციულად სოფლებს სახელი და დაერქვა თურქული.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ბევრია თურქულენოვანი მიკროტოპონიმები. თურქული მიკროტოპონიმია სჭარბობს შემდეგი სოფლების თუ ნასოფლარების ტერიტორიაზე: ასპინძის რაიონის ნასოფლარებში: ნიალა, ქარზამეთი, აგარა, ზედა ვარძია, ახჩია, ახალქალაქის რაიონის სოფლებში: კარტიკამი, ხულგუმო, ბავრა, სადაც გასომხებული კათოლიკე ქართველები ცხოვრობენ და დღევანდლამდე თურქულად მეტყველებენ.

გარდა მიკროტოპონიმიისა, თურქულენოვანია ძირითადად ჰიდრონომია – გეოგრაფიული ტერმინები: მდინარე, ტბა, წყარო; შესაბამისად: ჩაი, გოლ, ბულაღ//გეზა.

ორ მთას *ქოროღლი* ჰქვია: ერთს – ასპინძის რაიონში და მეორეს – ბოგდანოვკის რაიონში.

„ქოროღლის ეპოსის სამშობლო აზერბაიჯანია, სადაც მისი შექმნა განაპირობა XVI-XVIII საუკუნეების მძაფრმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. აზერბაიჯანულიდან შესულა იგი ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხებში და XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე ჩამოყალიბებულა ეპოსის თორმეტამდე ნაციონალური ვერსია“[399].

ქოროღლის ეპოსი კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგი არ არის: „ყიზილბაშური ტომების მოძალეობას ქოროღლის სახელიც რომ მოჰყოლია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის „შუქურა ციხეს, რომელსაც ძველად აგართა ციხე რქმევია და რომელშიც თამარ მეფე გარდაცვლილა, ხოლო XV საუკუნეში „კოჟრის ციხე“ ეწოდებოდა, „*ქოროღლი*“ დაურქმევიათ. ამ სახით გვხვდება იგი იმ ცნობებში, რომლებიც XIX საუკუნის თბილისური პრესის ფურცლებზე იბეჭდება ქოროღლის ეპოსთან თუ მისი გმირის ვინაობასთან დაკავშირებით“[400].

ჯავახეთში ქოროღლის ეპოსი საკმაოდ პოპულარული იყო და მას თურქულ თუ ქართულ ენაზე მღეროდნენ აშუღები. შეიძლება, რომ მთას სწორედ ეპოსისი გმირის სახელი დაერქვას. საინტერესოა ერთი ფაქტიც: ასპინძის რაიონში *ქოროღლის მთა* ეწოდება, ხოლო ბოგდანოვკაში – მხოლოდ *ქოროღლი*. მოსალოდნელია, რომ საბოლოოდ საზღვრული პირველ შემთხვევაშიც დაიკარგოს. ხალხური ეპოსის გმირის სახელი რომ შეიძლება ადგილს დაერქვას სახელად, ამას გვიდასტურებს ახალქალაქის რაიონის ამირანის გორა. *ამირანის გორა* არც ქართულ ნიადაგზე და არც უცხო ენობრივ გარემოში საზღვრულ დაკარგულ მსაზღვრელად არ დარჩა. ე. ი. არ შეიძლება გორას მხოლოდ *ამირანი* დაერქვას. ამ გორას აქვს სხვა სახელიც –*ტავშანთაფა* (კურდღლის გორა), საიდანაც ნაწარმოებია რუსული *ტავშანკა*.

საფიქრებელია, რომ *ქოროღლის* შემთხვევაში საზღვრულის დაკარგვის ფაქტი თვით თურქულ ნიადაგზეც უნდა აიხსნას. სიტყვა ოღლი (შვილი) საკმარისია სახელდების დროს, რადგანაც საზღვრულის მაგივრობას ენევა. მსგავსი მაგალითები, ოღონდ უკვე არა ეპოსთან დაუკავშირებელი, გვაქვს მესხეთის ტოპონიმიაში: მოიდოღლი – ნასოფლარი, ასპინძის რ. *დარბაზოღლი – ტყე*, წყალთბილა, სელიმოღლი – ყანა, სხვილისი, *მურადოღლი* – სათესი, წყრუთი. *ზეითოღლი* – ყანები, წირა; ჩახალოღლი – ყანა, საძელი, *ენჩაროღლი* – საძოვარი, ჯულღა და სხვა. ყველა ზემოთამოთვლილ სახელთაგან ოღლი გვარს არ აფორმებს. მას აქვს

399ლ. ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია, თბ., 1978, გვ. 5.

400იქვე, გვ. 25-26.

შვილის მნიშვნელობა ისევე, როგორც თვით ქოროღლი გვარი არ არის – ბრმის შვილს ნიშნავს. მართალია, ქართულ ტოპონიმიაში არის შემთხვევები, როდესაც ადგილის სახელად მხოლოდ გვარია გამოყენებული, ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე, მაგალითად, მინაძე, ხიკიძე და სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ივარაუდება წინა საფეხური – ხიკიძეები, მინაძეები. თურქულის შემთხვევაში კი ასეთი წინა საფეხურის არსებობა გამორიცხულია, რადგან, როგორც აღინიშნა, არც ერთი მათგანი გვარი არ არის.

თურქები ხშირად მიმართავდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელთა თარგმნას. სახელის თარგმნა საერთოდ არის დამახასიათებელი ტოპონიმიისათვის. ქართულ სახელებს თარგმნიდნენ ბერძნებიც. ამის მაგალითები დამოწმებული აქვს ს. *ყაუხჩიშვილს.* ჩვენთვის საინტერესო არეალიდან, მაგალითად, ბერძნებმა თარგმნეს ისტორიული *ყველი ტოროსკასტრონად*[401].

თურქები თურქულიდან თარგმნიდნენ ყველანაირ–სომხურ, ბერძნულ, სლავურ სახელებს[402]. სამცხე-ჯავახეთში ისტორიული *მგელციხე* ითარგმნა *კურტკალად, ოქროს ციხე–ალთუნ კალად.* თარგმანი პირობითი იყო და ძირითადად კალკირებას ეყრდნობოდა. რადგანაც, დასაშვებია, რომ ადგილის სახელდებისას არც მგელი იგულისხმებოდეს ამოსავლად და არც ოქრო. ერთიც და მეორეც საკუთარი სახელები შეიძლება რომ იყოს, მაგრამ მოსულისათვის და, საერთოდ, თარგმნისათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ნათარგმნი სახელების *დადასტურების საშუალებას* იძლევა ძირითადად მაკროტოპონიმია. მიკროტოპონიმიის ფიქსაცია არ ხდება, რამდენადაც ადმინისტრაციისათვის იგი ნაკლებ საინტერესო იყო და ჩვენ ვერ ვადევნებთ თვალს მის ცვლას სამხრეთ საქართველოში. ამ შემთხვევაში, სომხური სახელებისაგან განსხვავებით, მესხეთში თურქულ სახელებს ძირითადად თურქები არ არქმევდნენ. 300 წლის განმავლობაში თურქები და ქართველები ან გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, ან მომხდურებმა დაიპყრეს ადგილობრივი მოსახლეობა და თანდათან გაბატონდნენ ამა თუ იმ სოფელში. ამრიგად, ტოპონიმთა ცვლა მოხდა თანდათანობით, ბუნებრივად. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით სახელების თარგმნა სწორედ მიკროტოპონიმიაში ხდებოდა, მაგრამ რადგანაც ჯავახეთის მიკროტოპონიმია ადრე აღწერილი არ ყოფილა, თითოეული სახელის ისტორიის გათვალისწინება ჭირს. მხოლოდ თურქული ან მხოლოდ ქართული მოდელების გამოყოფა არ ხერხდება. რამდენიმე ადგილს ერთსა და იმავე დროს შეიძლებოდა შერქმეოდა *აგრიოლლარ და მრუდე გზები* (ნასოფლარი ახჩია,) ოღონდ ერთი იხმარებოდა თურქულ ენობრივ სამყაროში, ხოლო მეორე – ქართულში. ისტორიული წყაროების ცნობები რომ არ არსებობდეს, რომელიმე ალთუნკალლის, კურტკალის და სხვა მრავალი ერთეულის სახელწოდებების ახსნა თურქული ენის გზით ისევე თავისუფლად შეიძლება, როგორც ქართულ ნიადაგზე.

ცხადია, რომ მიკროტოპონიმია ნათარგმნია, მაგრამ დასაბუთება ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია.

დღეისათვის ბევრი თურქული ფუძე გაფორმებულია ქართული სუფიქსით, სახელდობრ ეს არის -ებ სუფიქსი, რომელიც ძირითადად მოუდის მარტივ სახელებს და ისეთ კომპოზიტებს, რომლებიც ი-ზე არ არიან დაბოლოებულნი. თუ კომპოზიტი ბოლოვდება ი-ზე, ეს ს გაგებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად.

1. ერთსიტყვიანი -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები: ბაირ-ებ-ი, თუმბ-ებ-ი, ურდ-ებ-ი, ჩაგილ-ებ-ი, საზლუღ-ებ-ი, თანდურ-ებ-ი.

2. ერთსიტყვიანი უსუფიქსო ტოპონიმები: *ბაღლა, ყუზეი*, გვეზალეი, ხანი, ჩაურმა, ჩამურლი.

3. -ა სუფიქსიანი ტოპონიმები: ბაქორ-ა-ი, ჩოლაყ-ა-ი, ყადრ-ა-ულ-ი.

ყველა ამ სიტყვას, ორის გარდა *(ბაღლა, ჩაურმა)* ან გაქართულებული დაბოლოება აქვს, ან ბოლოში ი მოუდის (Çamurlı სალიტერატურო–Çamurlu) და იგი სახელობითი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული. ყურადღებამისაქცევია სიტყვა *ყადრაული*, სადაც თურქული ყადრ-ს დაერთო ორი

401ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 27.

402ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 20-32.

სუფიქსი: -ა და-ულ. გამორიცხული არ არის, რომ ყადრა ადამიანის საკუთარი სახელი იყო და -ულ სუფიქსით მისი გაფორმება გვიანდელია.

ასევე ერთვის -ურ სუფიქსი კომპოზიტურ სახელს deli-bas (გიჟი თავი) და გვაქვს ადგილის სახელი დელიბაშური. დელიბაშიც ადამიანის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება *ჩაურმას* (Çevirmek–შემოკარკლვა), ეს სიტყვა თურქული ენის ნიადაგზეევა წარმოქმნილი. ასე უწოდებდა მაჰმადიანი მოსახლეობაც და აქ ა სუფიქსად იყო მიჩნეული, ამიტომაც მას აღარ დაერთო აღარც სუფიქსი, აღარც ბრუნვის ნიშანი.

ჲაჲლლა შეიძლება -ებ სუფიქსითაც გაფორმდეს. დამოკიდებულია იმაზე, რა შინაარსით იხმარება, აღნიშნავს საზაფხულო საძოვრებს – საზაფხულო სადგომ მთას. იმის მიხედვით, თუ რა ფართობი უჭირავს აილლას, დანაწევრებულია ეს ფართობი და გარკვეულ სიმრავლეს წარმოადგენს თუ არა, დაერთვის ან არ დაერთვის -ებ-ი.

ჯავახეთის სომხურ სახელებში აჲლლა, მხოლოდ ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

4. ი(i)-ზე დაბოლოებული კომპოზიტები: სარიათაღი sarıyatak, სუთოქჯანი (su tokulan), ტანაბოღანი (dana boğan), ყაზანტაში kazan taş და სხვა.

5. -ებ სუფიქსიანი კომპოზიტები; აქსიჲაჲლები (aksi yayla), თოფტაშები (top taş), აგრიოღები (agri iol).

6. ფუძის სახით რჩება ა-ზე დაბოლოებული კომპოზიტები; არფა დარა (arpa dara), ყარაყაჲა (kara kaya), აღყაჲა (akkaya), ყცრხ ქილისა (Kırk kilisa), ალმადარა (alma dara), ბაზირხანა (bazir hana) და სხვა.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთი გარემოება. მართალია, სალიტერატურო თურქულში დარა (ხევი) სიტყვა გვაქვს dere-ს[403], მაგრამ მესხურმა დიალექტმა იგი მხოლოდ დარად მიიღო. როგორც ჩანს თურქული e ხმოვანი საერთოდ მესხეთს a-დ აქვს შეთვისებული. derindere გვაქვს სალიტერატურულ თურქულში, მაგრამ მესხურმა იცის მხოლოდ დარინდარა, ქართულმა ენამ თურქულიდან შეითვისა სიტყვა ჩექმა, რომელიც მესხურში *ჩაქმად* არის წარმოდგენილი. ვფიქრობთ, მესხურში ზეპირი გზით შემოდიოდა თურქული ლექსიკა და ე-სა და ა-ს ურთიერთობა თვით თურქულის ნიადაგზეევე უნდა აიხსნას.

7. დანარჩენი თანხმოვანფუძიანი სახელები ფორმდება სახელობითი ბრუნვის ნიშნით: ნა-ლიქტაში (nilik tas), ჴნჯათარაფ-ი ince taraf), იონჯალუღ-ი (yoncaluğ) და სხვა.

ყანნისი დაბურულ ხევს ჰქვია ნასოფლარ ერკოტაში (ასპინძის რაიონი). ყანნისი ნაწილია გენეტიურმსაზღვრელიანი კომპოზიტისა. პარალელურად გვაქვს *ყანნი დარა, ყანნი ხევი, ყანნი წყალი*, ყანნი. სახელი ასე დაიშლება: ყანნ-ის-ი. ყან (kan) თურქულად–სისხლი. ყანნისი–სისხლობი, სისხლიანი. როცა ეს ხევი ერკოტიდან ჭობარეთის საზღვარში შედის, მას პარალელურად *მოსისხლე ხევს* და *სისხლიან ღელეს* უწოდებენ.

თურქულ სახელში მხოლოდ ერთი ნ არის. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის მეორე ნ-ც თურქულის ნიადაგზეევა გაჩენილი. ყანნ მიღებულია kanlı-საგან, სადაც თურქული -ლი დაბოლოება ქართული -იან სუფიქსის ბადალია. მეტყველებაში kanlı ისმის, როგორც kannı (ასიმილაციით nl →nn). ადგილობრივთა ცნობით, ხევი „საყაწალო" იყო. იქ ყაჩაღები ბუდობდნენ. ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება მთიანი აჭარის ტოპონიმიიდან.

„საათის ათზე მივატანეთ „სისხლის ღელესთან", რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან ამავე მნიშვნელობისას („ყანლი დერე"). ხევი ამ ადგილას საშინლად ვიწროვდება, თითქმის იკვრის...

სისხლის ღელე ამ ადგილს იმიტომ დარქმევია, რომ ადამიანის სისხლი ხშირად დაღვრილა აქ და შერთვია დედამიწასა. ...ფირალები (გავარდნილი ავაზაკები) ამ ადგილს თაყის ბუნაგად სთვლიან, საიმედო საფარად, სადაც გამვლელის გაძარცვა და მოკვლაც საძნელო სრულებით არ არის მათთვის. ...ამ სამი წლის წინ ეს ღელე შემდეგი სისხლის ღვრის მონამე ყოფილა..."[404]

ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ ფიქსირებულია მე-19

403 Турецко-русский словарь, М.,1945.

404 თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 166.

საუკუნის ბოლოს, თხრობა ახლანდელ დროშია, ფირალების შიში მოგზაურის სტრიქონებსაც ემჩნევა და უეჭველს ხდის ასპინძის რაიონის ერკოტა-ჭობარელთა მტკიცებას ყანნისის შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ მესხურში -ის სუფიქსი ბოლო საუკუნეებში ცოცხალი სუფიქსია და სახელთა სანარმოებლად გამოიყენება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იწვევს კომპოზიტები, რომლებიც ქართულ-თურქული სახელებისაგან შედგება.

მაცხორყაია კლდის სახელია ჭობარეთში. Kaya თურქულად კლდეს ჰქვია და მესხეთში არაერთი კლდეა, რომლის სახელწოდებაშიც ყაჲა მონაწილებს. მაცხორყაიას პირველი ნაწილი „მაცხორ“ მაცხოვრის შემოკლებული ვარიანტით (ნაეკლესიარი, რომელიც მაცხოვრის სახელს ატარებს).

ასევე პროდუქტიულია მესხეთის ტოპონიმიაში წყაროს აღმნიშვნელი თურქული *გვე*ზა (göz თვალი). *ქვედა გვე*ზა წყაროს ჰქვია ჭობარეთში, გვაქვს *გვე*ზიები და სხვა. საფიქრებელია, რომ გვეზა უკვე დიალექტში ფუნქციონირებს წყლის მნიშვნელობით (ეს არ ნიშნავს იმას, რომ „წყაროს“ აღარ ხმარობენ).

კოკოლატაში აზგვიტაში სასაზღვრო ქვას–ჭორტს ჰქვია. თვითონ *ჭორტიც* პროდუქტიულია მესხეთის ტოპონიმიურ სახელებში. ასევე გვხვდება ცალკე *კოკოლაც*. შეიძლება–ჭორტი ქვაც შეგვხვდეს, მაგრამ მხოლოდ ჭორტიც უეჭველად ქვას გულისხმობს ან ერთმანეთზე დაწყობილ ფიქალ ქვებს. კოკოლა აკოკოლავებულ ჭორტს ან ჭორტად დაწყობილ ქვებს ჰქვია. კოკოლა შეიძლება კლდესაც ერქვას, ვიწრო კონუსური ფორმისას, გორაკსაც, ამიტომაც შეიქმნა საჭირო აუცილებლად საზღვრული „ქვა“, რადგან ტაში tas უკვე შემოსული იყო დიალექტში, მივიღეთ კოკოლა ტაში. შდრ. ტაშლი ყიშლა და სხვა. ტაშ მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში სამეურნეო, მინდორთან თუ სახნავ-სათესთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში შევიდა, თორემ სამშენებლო *ტაში* არ არსებობს.

თუ -ის სუფიქსი დაერთო თურქულ ფუძეს, სხვა შემთხვევაში თურქული სუფიქსი დაერთვის ქართულ ფუძეს. ასეთია -ლუღ (luğ), რომელიც სიტყვა პანტას დაერთო და მივიღეთ *პანტალუღი*, რაც პანტნარს, პანტიანს ნიშნავს.

თურქული ენის გავლენას განიცდის ადამიანთა საკუთარი სახელებიც. თურქული ენის კვალი ემჩნევა საგვარეულო სახელებს, რომელნიც შემდეგ საფუძვლად ედება ტოპონიმთა სახელდებას: *აზიზაანთ ყანა, იეთმიეენთ ყანა, ოქუზაანთ ყანა* ნაყანარებია ნასოფლარ ქილდაში. *სელიმაანთ უბანი, უბანი* პტენა, *ყარანთურიენთ აგა*ზნები ყანები, ზველი, *ყართალიენთ* წისქვილები, ნაწისქვილარი, ერკოტა და სხვა. ეს სახელები ქართველებს ერქვათ, ამიტომ თურქული ენის გავლენა განიხილება დიალექტურ დონეზე. სახელი შემოვიდა დიალექტში, მისი მომხმარებელი იყო ქართული მოსახლეობა.

ადგილის სომხური სახელწოდებანი

მესხეთის დიდ ნაწილში ჩავიწერეთ ადგილთა სომხური სახელწოდებანი. ისინი გავრცელებულნი არიან იმ ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებულია სომხური მოსახლეობით. ეს არის ნინოწმინდის რაიონი მთლიანად, დუხობორთა სოფლების გარდა, და ახალქალაქის რაიონის დიდი, ძირითადად მისი აღმოსავლეთი, სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი. ასპინძის რაიონის ერთი სოფელი და ახალციხის რაიონის სომხებით დასახლებული სოფლები.

მესხეთის დღევანდელი სომხური მოსახლეობა გაჩნდა 1830 წლიდან. 1828 წელს პასკევიჩის მეთაურობით აიღეს ახალციხის საფაშო და იგი რუსეთს შემოუერთეს. მაშინვე დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება და სწორედ მათ ადგილზე ჩამოასახლეს სომხები ყარსის, ერზრუმის და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან. ჩვენ არ ვეხებით ამჯერად იმ სომხურ ტოპონიმებს, რომლებიც გავრცელებული იყო ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ თემში.

ისეთი ცნობილი ისტორიული სახელები, როგორიცაა იშხანი, მიძნაძორი და სხვანი ამჯერად არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ცნობილია, რომ ტოპონიმებს სოციალური ფუნქცია აქვთ და ისინი ისევე, როგორც ენობრივ სამყაროსთან დაკავშირებული ყველა მოვლენა, საზოგადოების გარკვეულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფის კუთვნილებაა. ამ თვალსაზრისით უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: ერთი, როდესაც ენაში ან დიალექტში შემოდის რომელიმე უცხო სიტყვა, რომელიც შემდეგ დროთა განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილის სახელად, მაგალითად თურქული სიტყვა *იაილა* (საძოვარი) შემოვიდა ჯავახურ დიალექტში და შემდეგ, გაფორმებული ქართული სუფიქსით, იქცა ტოპონიმად *იაილები*. რა თქმა უნდა, ეს არ არის თურქულენოვანი მოსახლეობის მიერ შერქმეული ტოპონიმი, მაშინ, როდესაც *ღაბაიენც ახპურ* (სოფ. სათხე, ნინოწმინდის რაიონი) სომხური ტოპონიმია, რადგანაც შერქმეულია ამჟამად მკვიდრი სომხური მოსახლეობის მიერ.

ჯავახეთში სომხური სახელები პროდუქტიულია მიკროტოპონიმიაში, მაშინ როდესაც სოფელთა სახელები ისევ ძველი დარჩა, ქართული. რატომ მოხდა, რომ მიკროტოპონიმია ასე ძლიერ შეიცვალა სულ რაღაც ასორმოცდაათიოდე წლის განმავლობაში? შეუძლებელია, დღევანდელ *ღალინ ბერთ*-ს (სოფ. სათხე, ნინოწმინდის რაიონი) ადრე ქართული სახელი არ რქმეოდა. იგი ციკლოპური ციხეა სოფლის ტერიტორიაზე. ამჟამად ქართული სახელი ჩვენთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ თურქული და სომხური სახელები *ღალა-კალა* (თურქ-ციხე) და *ბერთ* (სომხ. ციხე).

საქმის ვითარება ასეთნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: სომეხთა გადმოსახლება მესხეთში თანდათანობით, შემთხვევით, ნელ-ნელა კი არ ხდებოდა, არამედ *ადმინისტრაციულად*. პასკევიჩის მიერ ახალციხის საფაშოს აღების შემდეგ 1828 წელს მეფის რუსეთის მთავრობამ ყველა ღონე იხმარა, რათა გადაესახლებინა ადგილობრივი მოსახლეობა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო ჯავახეთს. მთიანი ჯავახეთი 1828-30 წლებში მთლიანად დაიცალა მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობისაგან. გადასახლებულმა ქართველებმა თან წაიღეს ადგილთა სახელწოდებანი, ამიტომ მათ ნაცვლად გადმოსახლებულ სომხებს აღარავინ დახვდა, რომ ესწავლებინა ამა თუ იმ ხევის, მთის სახელი.

ეს გარემოება კი, რომ სოფელთა სახელები ქართული დარჩა, უნდა აიხსნას ისევ და ისევ ადმინისტრაციული ჩარევით. სომეხთა ჩამოსახლებაც კანონზომიერად, გამიზნულად ხდებოდა. შედგენილი იყო სათანადო დოკუმენტაცია, განაწილდა სოფლები და სოფელთა ტერიტორიები. ეს სოფლები კი, რა თქმა უნდა, დოკუმენტაციაში თავისი ძველი ქართული სახელებით იყო მოხსენიებული, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩამოსახლებულმა ისევე მიიღო და შეითვისა. მიკროტოპონიმიის შეცვლის მთავარი მიზეზი მოსახლეობის მიგრაცია რომ არის ადმინისტრაციული გზით და არა უცხოენოვნება, ამის ნათელი მაგალითი მე-20 საუკუნეშიც დაიძებნება იმავე არეალში.

1944 წელს ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებიდან გადაასახლეს მაჰმადიანი მოსახლეობა. მათ ადგილზე ჩამოასახლეს მთიულები, იმერლები, აჭარლები და რაჭველები. მიგრაცია ადმინისტრაციული იყო, ამიტომაც მთლიანად გაქრა სოფელთა მიკროტოპონიმია. ისიც ნამდვილად ქართული რომ იყო, ამას ადასტურებს სტუმრად ჩამოსულ გადასახლებულებთან ადგილის სახელთა შემოწმება – იგი ქართულია. ამრიგად, მიზეზი ამ შემთხვევაშიც არ უნდა ვეძებოთ იმაში, რომ მიკროტოპონიმია მაჰმადიანი მოსახლეობის მიერაა შერქმეული, თურქული იყო და ამიტომ ახლად ჩამოსახლებულმა ქართველებმა შეცვალეს იგი. ამიტომ მთავარი და გადამწყვეტი როლი მესხეთის ადგილთა სომხური სახელების არსებობაში ისევ ადმინისტრაციულ ჩარევას უნდა მივაკუთვნოთ, ამიტომაც არის, რომ მიკროტოპონიმიაში იშვიათია კალკები თუ თარგმანები. სამაგიეროდ იქ, სადაც ბუნებრივად, თანდათანობით მოხდა სომხური მოსახლეობის დასახლება, თარგმანები ბლომად გვაქვს. ბარალეთში (ახალქალაქის რაიონი) ყანის სახელად ხუთი წლის წინ თუ *ღვდლის ყანა* ჩავწერეთ, დღეისათვის უკვე ქცეულა *ტერტერინ არდერ*-ად, რაც ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია. სოფელი ბარალეთი შერეულია და დღეისათვის ჭარბობს სომხური მოსახლეობა.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი ისმის: იყო თუ არა 1830 წლამდე ჯავახეთში სომხური მოსახლეობა და შეიძლება თუ არა ადგილებს მანამდე შერქმეოდა სომხური სახელები.

1830 წლამდე სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა კომპაქტურად დასახლებული არ ყოფილა. სულ რამდენიმე სოფელში ადგილობრივებთან ერთად გვხვდებოდნენ ისინი, ამის საფუძველს გვაძლევს ვახუშტის „აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი". მე-18

საუკუნეში, ვახუშტის დროს, ჯავახეთის შესახებ ნათქვამია, რომ იქ სახლობენ მხოლოდ ქართველნი და „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული"[405].

1830 წლამდე სომხები გვხვდებიან ჯავახეთში მხოლოდ ორგან – გოკიასა და *ბარალეთში*: 1. „გოკია არს ქალაქი მცირე მოსახლენი არიან *მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი*". 2. „ჯავახეთის მტკუარს მოერთვის ჩრდილოეთიდამ ბარალეთის მდინარე... ამ წყალზედ მტკუარს შესართავს ზეით არს ბარალეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი". ბარალეთსა და გოკიაში რომ შეიძლება „მცირე ქალაქები" ყოფილიყო და იქ ვაჭარ ებრაელებსა და სომხებს ეცხოვრათ, ჩანს გოკიოს მეტად მასშტაბური ეკლესიით და საფლავის ქვებით, რომლებზეც ჯავახეთისათვის დამახასიათებელი ხელობის გამომხატველი რელიეფებია გამოხატული. საფლავის ქვებზე ამოკვეთილია მაკრატლები და საზომები, რომლებიც ვაჭართა საფლავებზე მიგვითითებენ. ამასთან ჩვენი მეფეები არაერთგზის მიმართავდნენ სწორედ ქალაქ ადგილებში სომეხთა და ებრაელთა ჩამოსახლებას ვაჭრობის განვითარებისათვის[406]. ისტორიულად შეიძლება დადასტურდეს სომხური მოსახლეობის კვალი თმოგვსა და წუნდაშიც[407].

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯავახეთის ტოპონიმიაში სომხური სახელები ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ 1830 წლის შემდეგ.

ჯავახეთის ადგილთა სომხური სახელწოდებებიდან ცალკეა გამოსაყოფი სამი სოფლის – *კარტიკამის, ბავრისა* და *ხულგუმოს* მიკროტოპონიმია, რომელიც მთლიანად თურქულია. თუ სხვა შემთვევაში თურქული ენის გავლენით სომხურში მოხვედრილი ბარბარიზმები ედება მიკროტოპონიმიის სახელდებას საფუძვლად, აქ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობა სომხურია, მაგრამ ისინი არტაანიდან, კერძოდ, სოფელ ველიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადმოსახლებული ქართველები არიან[408]. სარწმუნოება კათოლიკური ჰქონდათ და გამაჰმადიანებას ამიტომ გადაურჩნენ. ენა, ეტყობა, უკვე XIX საუკუნეში ორი ჰქონიათ, თურქული და ქართული. ენის დაკარგვა უფრო ძნელი იყო გასულ საუკუნეებში, რადგან „დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, ისლამის მიღებიდან თუ მესამე თაობა მშობლიური ენის სიწმინდეს ინახავდა, მეოთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის ქსოვილში უხვად უშვებდა უცხო ლექსიკის ნაკადს, მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა ძალით თავზე მოხვეულ ენაზე და მშობლიურ ენას უკვე მხოლოდ შინაურობაშიღა ხმარობდა. ასე თაობათა სიღრმეში უცხო რელიგიურ-პოლიტიკურ და სოციალურ გარემოს წყალობით დავიწყებას ეძლეოდა მესხეთის ქართველთა შორის თვით მშობლიური ქართული ენა"[409].

ახალქალაქის შემოგარენის სოფლებში კი სხვა პროცესი მოხდა. არტაანელმა ქართველებმა შემოინახეს ქართული ენა, მაგრამ შემდეგ სომხური სკოლა რომ შემოიღეს, რადგანაც მათთვის მშობლიური ენა არ იყო სომხური, ამ ენას ქართული კი არ დაუპირისპირეს, არამედ თურქული.

დიდი არტაანის ლივის სოფ. *ველის* მცხოვრებთა ისტორია აქვს აღწერილი შ. ლომსაძეს: „ველი იმ გამონაკლის სოფლების რიგს ეკუთვნის, რომელთაც დიდი მსხვერპლის ფასად შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება. XVIII ს. დასაწყისში იგი გამაჰმადიანებულ ოკეანეში დარჩენილ კუნძულს ჰგავდა"[410]. ველელები 1829 წლის ზაფხულში გადმოვიდნენ ჯავახეთს და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო. მერე სომხებიც ჩამოსახლდნენ და საუკუნეებს გამოვლილი, გამაჰმადიანებას გადარჩენილი ველელები გასომხდნენ XIX-XX საუკუნეებში. ამის მიზეზად უცხოენოვანი სკოლის, სასწავლებლის მასიურობა უნდა ჩავთვალოთ, რომელიც აჩქარებს მშობლიური ენის დავიწყებას. ასე რომ, თუ ენის დავიწყებას თაობათა ცვლა სჭირდებოდა, დღეს ეს პროცესი უცხოენოვანი სკოლის წყალობით უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

405 ბატონიშვილი ვახუშტი , აღწერა სამეფოსა..., გვ. 660-661.

406 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 242-43.

407 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები..., გვ. 127.

408 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 331.

409 შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 398-99.

410 იქვე, გვ. 304.

ჯერ კიდევ 1933 წელს ს. ჯიქია წერდა ჯავახეთში მოგზაურობის დღიურში: „დილით *ბავრაში* წავედით. მოსახლეობა – ნაწილი თურქულენოვანი კათოლიკე ქართველები, ნაწილი სომხურენოვანი კათოლიკე სომხები. პირველები ამბობენ არტაანიდან ვართო, მეორეები – არზრუმიდან. აქ არის ქართული ეკლესია ძველი წარწერით, არის აგრეთვე ქვაჯვარი წარწერით“.

ამჟამად არამარტო *ბავრაში*, არამედ ზემოთ აღნიშნულ სამ სოფელში აღარავინ ამბობს, ქართველი ვარო.

ამრიგად, ამ სოფლებში თითქოს აღარაფერი დარჩა ქართული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საინტერესო გარემოებას. სომხურსა და თურქულს, ქართულისაგან განსხვავებით, *ყ* ბგერა არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც ეს ბგერა პროდუქტიულია სწორედ ზემოთ აღნიშნული სოფლების მეტყველებაში. მათ მიერ შერქმეულ ადგილის სახელებში. *კ*-იან თურქულ სიტყვებში *კარა, კ, ზ, კაია... კათოლიკე ქართველთა. ამჟამად უკვე სომეხთა მეტყველებაში, ისევე, როგორც ჯავახეთის ქართველთა მეტყველებაში, კ ყ-თია შეცვლილი – ყარა, ყზ, ყაია*, მაშინ, როდესაც სომხურში, სადაც თურქული *კ ღ* ბგერით გადმოიცემა, ეს სიტყვები ასეთ სახეს იღებენ – *ღარა, ღზ, ღაია*, რამდენიმე მაგალითი სოფ. ხულგუმოს ტოპონიმიიდან: *ყაზ თაფალარ* (საძოვარი), *ყაიაბაში* (გორა), *ყარაულთაფე* (გორა), *ყარაჯუხ* (მთა) და სხვა.

ამ სოფელთა მიკროტოპონიმია, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანად თურქულია, მაგრამ თანდათან ითარგმნება სომხურად. პროცესი ხელოვნურია, ამიტომ აღნიშნულ სოფელთა მიკროტოპონიმია მაინც თურქულად უნდა ჩაითვალოს და არა სომხურად.

ადგილთა სომხური სახელწოდებანი განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმთა სახელდებასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად. მართალია, ისინი სომხურ ენობრივ გარემოში წარმოიშვნენ და ამდენად სომხური ენის ლექსიკის კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ ზოგადად ტოპონიმიისათვის ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ სახელების შედარებითი სიახლის გამო შესაძლებელი ხდება მათი ასაკის განსაზღვრა, რაც, თავისი მხრივ, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ტოპონიმთა სახელდების პროცესს ამ 150 წლის განმავლობაში.

ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა ქართული სახელების (ძირითადად სოფელთა სახელების) გადმოცემა სომხურში, სომხურისათვის და ქართულისათვის საერთო სიტყვები, თურქულ-სომხური სახელწოდებანი და სხვა.

ქართული სახელწოდებები, რა თქმა უნდა, შეცვლილია სომხურში. არც ერთი სოფლის თანხმოვანფუძიან სახელწოდებას სახელობითის ნიშანი შემორჩენილი აღარ აქვს. იხმარება *კორხ, კორხ-ი-ს* ნაცვლად, *ახალქალაქ*, ნაცვლად *ახალქალაქისა* და სხვა. ეს თითქოს შეუმჩნეველი ფაქტი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯავახეთის ტოპონიმიაში.

-ი სახელობითის ნიშანი გაგებულია არა როგორც ორგანულ ქართულ ფუძეზე დამატებული ქართული სუფიქსი, არამედ როგორც ზოგადად ფუძის გამაქართულებელი ნიშანი, ამიტომაც მის ჩამოშორებაში, გარდა ენობრივი მომენტისა, მონაწილეობს სოციალური ფაქტორი.

სომხურ სახელწოდებებში უცხოენოვანია, კერძოდ, თურქულია ჰიდრონიმია. თურქული ტერმინები იხმარება ძირითადად ტბის, მდინარის, წყაროს სახელებად: *ჩაი* (მდ. ფარავანი), *ღაზგელ* (-ბატის ტბა, სოფ. უჯმანა), მარალ გოლ (-ირმის ტბა, სოფ. უჯმანა), ღარა ბულაღ (შავი წყარო, სოფ. მამწვარა).

მერყეობს ხევის სახელი, უფრო ხშირია სომხ. *ძორ*, შედარებით ნაკლებია *დარა* (თურქ.).

იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ტბის სახელად *ლიჯ* (სომხ. ტბა); მაგ. ხანჩალის ტბა ძირითადად *გოლ*-ად იწოდება, მაგრამ დილიფელებმა *ლიჯ*-იც ჩამანერინეს.

საინტერესოა სომხურ სახელწოდებაში –*ტან* ეთნოსუფიქსის მატოპონიმებელი ფუნქცია. მისი ფუნქცია ჯავახეთის მიკროტოპონომიაში სიმრავლის აღნიშვნაა, *ხარაბესტან* (ნასოფლარები, სოფ. დ. ხანჩალი), ჩიჩაგლისტან (ყვავილები, სოფ. ალასტანი), კორენგესტან (ექსპარსეთიანი, სოფ. ორჯა).

გაბატონებულია უბნის სახელად თურქული მაილა... უბნების სახელები, ჩვეულებრივ, იმათი გვარებიდან მომდინარეობს, უბანში რომ ცხოვრობენ. მაგ.: *შეხუ მაილა* (შეხოიანების უბანი), *არონე მაილა* (აროიანების უბანი), სოფ. ეშტია და სხვა. უბნის სახელად იხმარება სპარსული *შენ-*

იც, ოლონდ მხოლოდ და მხოლოდ *ნორაშენ*-ის შემთხვევაში (ახალშენი). ნორაშენი თითქმის ყველა სოფელს აქვს ახალდასახლების სახელად.

-ნერ მრავლობითობის აღმნიშვნელი სომხური სუფიქსი დაერთვის არა მარტო სომხურ, არამედ ნასესხებ თურქულ ფუძესაც: *ათაღ-ნერ-იათაღე-ბი* (სოფ. ყვილალისი), არხან ჯ-ნერ- საძოვრები (სოფ. ყვილალისი) და სხვ.

ანალოგიურ შემთხვევებში დასტურდება ქართულ მიკროტოპონიმიაშიც, გვხვდება: *არხაჯები* – არხაჯი დაცულ, შემოყრილ საძოვრებს ჰქვია თურქულად, *იათაღები* – იათაღი საქონლის საზაფხულო სადგომია, *ადები* – ადას კუნძულს ან წყლისპირს უწოდებენ და სხვ.

-ნერ მრავლობითის სუფიქსი ერთვის ადამიანის საკუთარ სახელებსაც. არც რუსულ, არც თურქულ მიკროტოპონიმიაში არ გვხვდება შესაბამისი ენების მრავლობითობის სუფიქსი ასეთი ფუნქციით. მაგ.: *ბაქოზნერ, აშუდნერ* (სათესები სოფ. აზარვეთი), *მამონნერ* (მინდორი სოფ. ალასტანი), *მამუდნერ* (სათესი, სოფ. განძა), ჰასანნერე (სათესი სოფ. განძა) და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ შემთხვევაში –ნერ მრავლობითობის სუფიქსი ადამიანთა საკუთარ სახელებს (ბაქოზ, აშუდ, მამონ, მამუდ, ჰასან) დაერთვის.

ხშირად გამოიყენება სომხურ ტოპონიმიაში –დან სპარსული ფორმანტი. მაგ. *გოლდან* (ტყე, სოფ. დილიფი), ჩაირდან (მინდორი, სოფ. დილიფი), აღლდან (ნასოფლარი, სოფ. თორია), ახორდან (საძოვარი, სოფ. თორია), ხრაუდან (ხრეშიანი ადგილი, სოფ. თორია) და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ სახელებიდან –დან-ის ცალკე გამოყოფის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ მის გარეშეც გვხვდება სიტყვები: *გოლ, ჩაირ, აღლ//ჰაღლ* (ისინი თურქულიდან შემოსული სიტყვებია სომხურ ენაში. ხოლო *ახორ* კონკრეტულ შემთხვევაში მყუდრო, თბილ ადგილად განმარტეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, ხრაჟ კი – ხრეშად).

გამოვყოფთ რამდენიმე სახელს, რომელიც ჯავახეთის სომხურ სახელწოდებებშიც გვხვდება და რომელსაც პარალელები ეძებნება ქართულ მიკროტოპონიმიაში. მაგ.: *ავჭალა, ავჭალიძორ, ღოჯაქარ, ქოტოი კოხ* (სოფ. ეშტია), *საქულარ, ჩუხურლარ* (სოფ. ასფარა), *კოჯორ* (სოფ. ვლადიმიროვკა), *ჭილუდნერე* (სოფ. ბურნაშეთი), *ჭოჭჩაირ* (სოფ. ალასტანი) და სხვა. ზემოჩამოთვლილ სახელებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ავ-ჭალა, ყოჩი, კოხ-ი, საქვე, ჩუხურ-ი, ჭილ-ი, ჭოჭი*. ამათგან ავჭალა თურქული ენის ნიადაგზე უნდა აიხსნას და დათვის ჭალას ნიშნავს, არაქართულ ნიადაგზე აიხსნება *ჩუხური*[411]. *ქოტოიკოხის* შემთხვევაში ქოტოი კაცის სახელია, ხოლო *კოხ*–ს გორაკს ეძახიან, სწორედ ისეთს, ჯავახეთს ქართულ ტოპონიმიაში *გოხ*-ს რომ უწოდებენ. არის ცდუნება *კოჯორ*–კოჟორ-ის მსგავსებისა. *ჭილი* თიბვისას გატანილ სვეს ჰქვია და გვხვდება მიკროტოპონიმიაში. ხშირად გვხვდება აგრეთვე ჭოჭი.

სომხურ-ქართული მიკროტოპონიმიის მსგავსება ორმხრივაა საყურადღებო: როგორც საერთო ლექსიკური მასალა და როგორც საერთო ტოპონიმური მასალა. ანგარიშგასაწევია და გასათვალისწინებელია მესამე ენის გავლენაც.

რუსული სახელები

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი *კუნძულური კილოკავი* (островные говоры) იმ ენობრივი წრის ხალხთა მეტყველების აღსანიშნავად, რომელიც მოქცეულია სხვაენოვან გარემოში. თუ მთავარ დიალექტს (ან ენას) ვუწოდებთ მატერიკულს, მაშინ დაისმება მატერიკულის კუნძულურთან დამოკიდებულების საკითხი.

რადგან არსებობს კუნძულური კილოკავი, შეიძლება დავამკვიდროთ კუნძულური ტოპონიმია. ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს ჯავახეთის სოფელთა რუსული სახელები.

ჯავახეთის რუსული ტოპონიმები შეიძლება იქნეს განხილული როგორც *კუნძულური*, რადგან, მას შემდეგ, რაც გაჩნდა რუსული მოსახლეობა, იგი მოწყვეტილი აღმოჩნდება მატერიკულისაგან, მოხდა იზოლაცია და იქცა „კუნძულად".

411ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 110-111.

რუსული კუნძულური კილოკავის შესახებ საქართველოში, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო არეალში, გამოთქმულია მოსაზრება:

ძირითადი კილოკავებისა და მატერიკულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ძირითადი და მატერიკული კილოკავები, ტერიტორიული დაშორებისა და უცხო ენის გარემოებით გამოწვეული მცირეოდენი განსხვავების მიუხედავად, დიალექტის სტრუქტურული ელემენტების ურთიერთ მჭიდრო კავშირის გამო ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ასევე შეიძლება დაისვას საკითხი კუნძულური ტოპონიმიის შესახებაც. ერთი განსხვავებით, რომ კუნძულური კილოკავი და მატერიკული განიხილება მათი ერთგვარობის ან მცირე განსხვავებულობის თვალსაზრისით. ამ დონეზე და ამგვარად განიხილება კუნძულურის მიკროტოპონიმიაც. მაგრამ, როდესაც საქმე ოიკონიმებს ეხება, დგება საკითხი მათი (კუნძულურისა და მატერიკულის) ურთიერთმიმართებისა და არა იგივეობისა. ოიკონიმიაში აისახება გარკვეული დამოკიდებულება ყოფილ სახელებთან, თავს იჩენს ერთგვარი სოციალური ნოსტალგია, რადგან გადასახლება ძალდატანებით მოხდა და იქმნება ტოპონიმური დუბლები მცირე ფორმობრივი ცვლილებებით. *ტამბოვის* გუბერნიიდან გადმოსახლებული დუხობორი არქმევს *ტამბოვკას*. ჯავახეთში ეს არის მიგრაციის ისტორიაც. ე. ი. ენობრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტორი განსაზღვრავს სახელდებას.

პირველ რიგში, ცალკე აღსანიშნავია ტერმინი *რუსი* და მისგან ნაწარმოები ტოპონიმები *ჯავახეთში*. ეს ტერმინი გაჩნდა 1828 წლიდან, როდესაც პირველად გამოჩნდა რუსეთი ჯავახეთში და დაკავშირებულია პასკევიჩის სახელთან. *რუსი გზა*, რომელიც მთელ ჯავახეთს გასდევს, უწოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ასევე 1828 წლის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს *რუსიწყალი*, რომელიც სათავეს იღებს თურქეთის საზღვართან და უერთდება ხანჩალის ტბას ფერმებთან. სახელდებისას დღევანდელი ჯავახეთის რუსები რომ იყოს ამოსავალი, მაშინ იქნება *დუხაბორის გზა* და არა რუსის გზა, ანდა *დუხაბორის წყალი*, ისევე, როგორც გვაქვს ამავე ხანჩლის ტერიტორიაზე *დუხაბორის წყარო*.

დანარჩენი „რუსული ტოპონიმები“ ნიშნავს რუსი (დუხობორი) მოსახლეობის მიერ შერქმეულ სახელებს.

დუხობორთა რელიგიური სექტა, რომელიც შედარებით გვიან ყალიბდება, თავის სოციალურ საფუძვლებს პოულობს XVI-XVII საუკუნეებში.

დუხობორები იყვნენ ანტისაეკლესიო მოძრაობის მემკვიდრეები. თვით სახელწოდება „Духоборы“ ამტკიცებს ახალი სექტის აქტიურ ხასიათს, როგორც სულისათვის მებრძოლს[412].

დუხობორები ამტკიცებდნენ, რომ ისინი განსაკუთრებული ხალხი იყო მთელ რუს ხალხში. ამ მიზნით თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში ხელოვნურად შეჰქონდათ დიდი ცვლილებები – აწესებდნენ ახალ ადათებს, ცვლიდნენ ტანსაცმელს, დაკრძალვისა თუ სხვა წეს-ჩვეულებებს.

ჯავახეთის დუხობორები გამოირჩევიან როგორც ჩაცმულობით, ისე ყოფითი და საყოფაცხოვრებო დეტალებით.

სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა დუხობურთა *შეთანხმებას*, შეეცვალათ თვით ახლო ნათესაური ტერმინოლოგია: ერთმანეთისადმი ნათესაურ მიმართვაში დუხობორები ახალ სიტყვებს იყენებდნენ: მამას „ბერიკაცს“ ეძახდნენ, დედას – „დედაბერს“, ცოლს „стряпушка“-ს.

ეს სარწმუნოებრივი სექტა გამორჩეული და იზოლირებული აღმოჩნდა რუსეთშივე და, რა თქმა უნდა, მისწრაფება ორიგინალობისაკენ კვალს დაამჩნევდა მათს არა მარტო ყოფითს, არამედ ენობრივ გარემოსაც.

ყურადღებას იქცევს გამორჩეული საფლავები, უფრო სწორად სარკოფაგები. თუმცა ასეთი საფლავები მხოლოდ მათს წინამძღოლ გვარს – კალმიკოვებს და ვერიგინებს ხვდათ წილად ნინოწმინდის რაიონის სოფელ ორლოვკაში.

დუხობორებმა ადრევე ჩამოაყალიბეს კომუნები, გაჩნდა საერთო საკუთრება, რის ანარეკლსაც ვხედავთ ჯავახეთის ტოპონიმიაში, სადაც მოხდა ნაკვეთების სახელდება არა მეპატრონეთა მიხედვით (როგორც მაგალითად, კალმიკოვა ბალკა, და სხვა), გვაქვს I ბალკა, II ბალკა, III ბალკა.

412 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, გვ. 17-18.

ასეთი ნუმერაცია იქცა ტოპონიმურ სახელად. ეს „ბალკები" გზის პირას არის და როდესაც საწინააღმდეგო მხრიდან მოვდივართ, თანამიმდევრობა დაცულია: III, II, I.

ასეთი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა დუხობორთა სექტა ჯავახეთში და, ბუნებრივია, კვალი ტოპონიმიასაც უნდა დატყობოდა. დუხობორებამდე ჯავახეთში ჩამოსახლდნენ ბერძნები, სომხები, ქურთები და სხვ. მაგრამ მათ სოფელთა სახელები არ შეუცვლიათ, დუხობორებმა კი ჩამოიტანეს რუსეთიდან თავიანთი რუსული სახელები და, სადაც დასახლდნენ, ან შეუცვალეს სოფელს სახელი, ან ახალი დაარქვეს.

დუხობორთა ჩამოსახლება ჯავახეთში დაიწყო 1841 წელს, რასაც ღაღადებს სოფელ არლოვკის ტერიტორიაზე კალმიკოვების სასაფლაოს შესასვლელში ჩატანებული დაფა. წარწერა საინტერესოა, როგორც ისტორიული დოკუმენტი და როგორც ენობრივი დოკუმენტი, ამიტომ მოვიყვანთ მთლიანად: „Вечная память правидных радителии именнованных духобурцевь погребенныхъ и поклоняемых отцу и сыну и святому духу спасали и спасаиммь души сваи кротастию и смирениемъ любовью правды ради было угодно богу и государю собрати насъ на обитаваннаю землю втавричиска губернью въ 1805 году а въ 1841 году пиреселены Закавъказъ Кутаиской губернии силения Тирпении и хто сию повисть чувъстваить не долженъ потериять сие дело".

მოხუცების მტკიცებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში ყოფილა ვინმე ოფიცერი *ორლოვი*, რომლის სახელიც ძალად დაურქმევიათ ტერპენიესათვის. საუკუნის ბოლოს რუსულ რუკებზე სოფლის ორივე სახელია მითითებული, ოღონდ მთავარ სახელად უკვე ორლოვკაა, ხოლო „ტერპენიე" მიწერილი აქვს ფრჩხილებში. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოსული რუკა კი 1930 წელს მხოლოდ ორლოვკას იცნობს უკვე. ორლოვკაც მოტანილი სახელია, რადგან დუხობორებს ბრძანებით ნება დაერთოთ, თავრიზის გუბერნიაში, მოლოჩნიე ვოდის მიჯნაზე (მელიტოპოლის მაზრა) დასახლებულიყვნენ. ამასთან ერთად დასახლდნენ დუხობორები სალბოდო-უკრაინის (ხარკოვის), ეკატერინოსლავის, ხერსონის, ვორონეჟის, ტამბოვის, ორლოვის გუბერნიებშიც.

გუბერნიის ცენტრის *ტამბოვოს* სახელი დაედო საფუძვლად სოფლის სახელს *ტამბოვკას*. თავფარავნის ნაპირზე 1924 წელს ხულგუმოდან ტამბოვკაში გადმოსახლდნენ სომხები და თანდათან შემცირდა რუსული მოსახლეობა. ახალმა მოსულებმა მოიტანეს სახელი და ახალი ხულგუმო უწოდეს. ასე, რომ მალე ალბათ, დღეს რომ პარალელურ ფორმად იხმარება ახალი ხულგუმო, ეს უკანასკნელი დარჩება სოფლის სახელად, რადგან რუსული სახელი რუსულ მოსახლეობას გულისხმობს. ეს სოციალური ფაქტორი განაპირობებს „ახალი ხულგუმოს" გამარჯვებას.

ნინოწმინდის რაიონის სოფ. *გორელოვკას* ჰყავდა ტამბოვოსთან ახლოს წინამორბედი სეხნია, საიდანაც იყო ერთ-ერთი მქადაგებელი დუხობორებისა.

ამ ამბიდან თვრამეტი წლის შემდეგ დუხობორულ მოძღვრებას თავისი მქადაგებელი გამოუჩნდა სავა ტობირუხანის სახით. ეს ტობირუხანი ცხოვრობდა სოფელ გორელოეში, რომელიც მდებარეობს ქ. ტამბოვის ჩრდილოეთით 25 ვერსის დაშორებით მარშანსკისკენ მიმავალ გზაზე[413]. დაახლოებით 1775-85 წლებში გამოჩნდა სოფელ გორელოეში, ტამბოვისავე მაზრაში, ტამბოვის ჩრდილოეთით[414].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში *კალინინო* ეწოდა სოფელ ტროიცკოეს, რომელიც ალბათ მოტანილი სახელია მცირე ფონეტიკური ცვლილებით. ტომბოვოში ყოფილა სოფელი Торицкое[415]. ტროიცკოეს რომ ტროიცკე მოეცა ბგერათა მეტათეზისის გზით, შეუძლებელი არ ჩანს, მით უმეტეს, რომ ტროიცა დუხობორთა მნიშვნელოვანი დღესასწაულია და გადააზრების ფაქტორსაც ექნებოდა ადგილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯავახეთში დუხობორებმა მოიტანეს შვიდი სახელი და რომ: „დუხობორებმა ჯავახეთში ააშენეს მოლოჩნიე ვოდაში და ადრე ტამბოვოს მიდამოებში არსებული სოფლების იდენტური სოფლები. ამათგან სახელები შეუცვალეს ადგილობრივ სოფლებს: 1. *ჰუბლიკანს* დაარქვეს *ელადიმიროვკა*. უფრო სწორად სოფელი

413 С. Максимов, За Кавказомъ, Отеч. записки, июль, 1887, ст. 88.

414 О. Новицкий, Духаборцы, их история и вероучение, Киев, 1882, ст. 23-24.

415 აბულაძე, სვანიძე, ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, გვ. 31.

ნასოფლარის წინ ფარავანის ტბასთან უფრო ახლოს სწორედ გააშენეს ნასოფლარიდან მოტანილი ქვებით. დღეს ვლადიმიროვკაში რუსები აღარ ცხოვრობენ, მათი ადგილი დაიკავეს ეშტიიდან და ფოკიდან გადმოსულმა სომხებმა. დუხობორთა კვალი, გარდა სოფლის სახელისა, ემჩნევა ხევთა სახელებს შემოგვრჩა: სუხოე რეჩ, მატრიოშკი ბალკა, ვენიცკი ბალკა და სხვა.

2. ფარავანს დაარქვეს როდიონოვკა. როდიონოვკაში უკვე უმრავლესობა სომხები ცხოვრობენ.

3. ბუღდაშენს დაარქვეს გორელოვკა.

დანარჩენ ოთხ სოფელსაც, ალბათ, ერქვა ადგილობრივი ქართული სახელი, რაზეც მიგვანიშნებს ნაციხარები სოფელთა ტერიტორიაზე, თანაც ეს მხარე ისტორიულად მჭიდროდ დასახლებული მხარეა[416].

აღსანიშნავია ერთი ტენდენცია. რუსული სახელები ადგილობრივთათვის (ნინოწმინდის რაიონში ძირითადად სომხური მოსახლეობაა) რუსებს გულისხმობს უეჭველად, ამიტომ იმ სოფლებში, სადაც უკვე სჭარბობს სომხობა ან მხოლოდ ისინი ცხოვრობენ, დუხობორთა დარქმეული სახელები ნაკლებადღა იხმარება და ძირითადად ადმინისტრაციულ მიმოქცევაშიღაა. ასე რომ, გარდა ახალი სულგუმოსი, ფეხს იკიდებს პუბლიკანი, ფარავანი.

სოფელთა სახელდებიდან დღემდე მცირე ცვლილებანი სახელწოდებებში მოხდა. იყო *ვლადიმირსკოე* და გვაქვს *ვლადიმიროვკა*. გვქონდა Спасская (რუსული რუკით და სპასკოე ქართულად), გვაქვს სპასოვკა. მოხდა ერთგვარი უნიფიკაცია და ერთ ყალიბში მოექცა ყველა დაბოლოება –ი(а)სუფიქსით. ასე რომ, მივიღეთ ჯავახეთის ოიკონიმთა შემდეგი რუსული სახელები: *ტამბოვკა, როდიონოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ბოგდანოვკა*.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნინოწმინდა-ეფრემოვ-ვლადიმიროვ-გორელოვ გვარები ჯავახეთის დუხობორებში არ გეხვდება.

–к(а) სუფიქსის დართვა მსაზღვრელზე, როდესაც დაიკარგება საზღვრული (зажигательная бомба-зажигалка)[417], რუსულისათვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქვს ორი *ტაჲშანთაფა* (კურდღლის გორა) ახალქალაქში და განძაში, ორივეს პარალელური ფორმა არის *ტაჲშანკა*. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით.

ეს ორი ტოპონიმური სახელი განიხილება არაკუნძულური მეტყველების ფარგლებში, რადგან იქ დუხობორები არ ცხოვრობენ.

სუფიქსი დაერთვის ზმნურ ფუძეს და აწარმოებს ტოპონიმურ სახელს, კუტანკა ჰქვია მთას ეფრემოვკაში, რომლის არმენიზირებული ფორმა არის *გუტანკა* (ასე უწოდებენ იმავე მთას ჟდანოვაკანელები. ამოსავალია სიტყვა кутить (проводить время в кутежах)[418]. ამ მთაზე საქეიფო ადგილებს მიუთითებენ ადგილობრივი მცხოვრებნი). –ка სუფიქსით არის ნაწარმოები იმ ყანის სახელი, სადაც შვრია ითესებოდა – Овсянка (მინდორი, ეფრემოვკა).

ვლადიმიროვკაში ნაციხარს ჰქვია Матрешкина, მაგრამ აქ –к(а) ტოპოსუფიქსად არ გამოგვადგება, იგი აპელატიური მაწარმოებელია, რადგან სახელი ადგილს „მატრიოშკასთან" მსგავსების გამო შეერქვა.

ჯავახეთის რუსული ტოპონიმიისათვის ნიშანდობლივია, რომ –к(а) სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს მაინცდამაინც ოიკონიმებს, მიკროტოპონიმიაში კი შედარებით იშვიათია.

ჯავახეთის მიკროტოპონიმია განიხილება მთლიანად, როგორც კუნძულური, რუსული ენის ლექსიკის ფარგლებში და ის ცალკე კვლევის საგანია.

416 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 68-69.

417 Русская грамматика, I, М., 1980, ст. 171

418 Словарь русского языка, т. III, М., 1982, ст. 138.

ჯავახეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები

ნესტან სულავა

შუა საუკუნეების საქართველოში, საღვთისმსახურო დანიშნულებასთან ერთად, მონასტრის მნიშვნელობას განსაზღვრავდა აქ მიმდინარე საქმიანობა, რომელსაც ბერმონაზვნები ეწეოდნენ. მონასტერი იყო ღვთისმეტყველების, ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, ზოგადად აზროვნების განვითარების ცენტრი. მონასტრის საქმიანობას ღვთისადმი სიყვარული, რწმენა, იმედი, სულიერ მომავალზე ზრუნვა, მოყვასისადმი თანაგრძნობა წარმართავდა. ბერმონაზვნები ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობის საქმეს აკეთებდნენ, ამიტომ მიაგებდა უდიდეს პატივს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, წმინდა მონამეებთან ერთად, მონასტერთა დამაარსებლებს და იქ მოღვაწე გამორჩეულ პირებს, აღწერდა და აღნუსხავდა მათ ღვაწლს, რათა შთამომავლობისათვის შემოენახათ მათი საქმიანობის ამსახველი ფოლიანტები.

ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისთანავე საქართველოში დაიწყო საღვთისმეტყველო ლიტერატურის ჯერ თარგმნა, ხოლო შემდეგ ორიგინალურ თხზულებათა შექმნა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა სამხრეთ საქართველოში არსებულმა რამდენიმე საღვთისმეტყველო-ლიტერატურულმა ცენტრებმა, სადაც მრავალი ქართველი ღვთისმეტყველი და მწერალი მოღვაწეობდა. ერთ-ერთი ამგვარი იყო ჯავახეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრები, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი მრავალი ორიგინალური საღვთისმეტყველო და ლიტერატურული თხზულება დაიწერა, ითარგმნა უცხო ენებიდან, კერძოდ, ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, მრავალი ხელნაწერი გადაინუსხა და კრებული ჩამოყალიბდა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ქართული მწერლობისა და კულტურის სხვა სფეროების განვითარების სრულყოფილი პროცესისათვის თვალის გადევნება.

სამხრეთ საქართველოში თავმოყრილია ისეთი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, როგორებიცაა ხანძთის, შატბერდის, იშხნის, ოშკის, ხახულის, ოთხთას, პარხლის, კუმურდოს, აწყურის, ვარძიის, საფარისა და სხვა მონასტრები. ამჯერად ჯავახეთის ეკლესია-მონასტრებსა და ამ მხარის საფეოდალო ოჯახებში შექმნილ ლიტერატურაზე გვექნება საუბარი.

კუმურდო. კუმურდო ჯავახეთის ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო კომპლექსია, სადაც სამღვდელთმთავრო კათედრა იყო და სადაც მოღვაწეობდა ტაძრის აგების ინიციატორი **იოანე კუმურდოელი.** ლ. მენაბდემ მიუთითა, რომ იოანე კუმურდოელმა შექმნა სვიმეონ სალოსის ცხოვრების ის ნუსხა, რომელიც ამჟამად გრაცში ინახება; მასვე შეუდგენია თუ გადაუწერია, უფრო ზუსტად, მის სახელს უკავშირდება კრებული „იადგარნი გამოკრებილნი"[1]. XI საუკუნეში ბაგრატ მეოთხისა და დედამისის, მარიამ დედოფლის თანამედროვის **ზოსიმე კუმურდოელის** მინაწერები შემოუნახავს ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერს (*ცაგარლით №116; ბლეიკით №73*). XVI საუკუნეში უმოღვაწნია კიდევ ერთ **ზოსიმე კუმურდოელს,** რომელიც ამ საუკუნის დამდეგის დოკუმენტებში იხსენიება, მას გადაუწერია ხელნაწერი A-1737[2].

ხელნაწერი კრებული A-1737 ქ. შარაშიძის მიერ დათარიღებულია 1505-1515 წლებით. მისი დამკვეთი ყოფილა გიორგი VIII-ის ასული ქეთაონ, გადაუწერია ზებედე ნაუას ძეს, რომელიც ქეთაონის მზრუნველობით ყოფილა აღზრდილი: „და ამისსა უცებაჲდ მჩხრეკელსა, ამა მორჭმულისა და ღ~თის მოყუარისა და გლახაკთ მოწყალისა პატრონისა გაზრდილსა ნაუას ძესა ზებედეს შეუნდვნეს ღმერთმან. და მისთა მშობელთა შეუნდვნეს ღმერთმან. ა~ნ ა~ნ" (137v). ხელნაწერი საქართველოს

1 ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949, გვ. 109.

2 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I-2, თბ., 1962, გვ. 512-513. ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 35-38.

სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს შესწირა საქართველოს კათალიკოსმა კალისტრატემ (ცინცაძე). კრებულში მრავალფეროვანი საღვთისმეტყველო საკითხავია მოთავსებული: მეთორმეტე ჟამის ლოცვები; სინანულისა და აღსარების ლოცვები, რომელთა ავტორები მითითებულია – წმ. ეფრემ ასური, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. მაკარი, წმ. სიმონი; წმ. ეფრემ ასურის თქმული სიკუდილისათვის და გამოსლვისათვის; წმ. იოანე ოქროპირის ლოცვა სინანულისათვის; ლოცვა ქულანჯისა და გურემისა, რომლის მხოლოდ სათაურია შემონახული; „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამის გიორგისი“; ნეტარი თეოდოლა ხუცის „ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა გიორგისი“; წმ. ბასილი კესარიელის „საკითხავი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ“, 14 აგვისტოს საკითხავი; სხვადასხვა ლოცვები; წმ. იოანე ოქროპირის ლოცვა ზიარებისათვის; საღვთისმშობლო ლოცვები; წმ. გრიგოლის ლოცვა; მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და წმ. გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლები; ლოცვანი ნადირობისა და მწვეცთათჳს; მონაზონთა მიმართ დარიგებანი; სავედრებელი ლოცვები.

ტექსტში ჩართულია მოციქულთა, მოწამეთა, მღვდელთმოძღვართა და სხვათა მიმართ ლოცვები ქეთაონისა და მისი ოჯახის წევრთა შესავედრებელად; ლოცვები შეიცავს ვედრებას ცოდვათა მისატევებლად, ისინი გამოირჩევიან სამეტყველო ენით, რადგან საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გავრცელებულ აზრებს ასახავს: „აქასა ამას ყოფასა და მერმეცა დაუსრულებელსა ნათელსა პირისა შენისასა ღირს-ყვენ“ (132r); მინაწერებში ყურადღებას იქცევს ვედრების ფორმულა, ლოცვათა და მინაწერთა ავტორი ჯერ მოციქულებს მიმართავს, შემდეგ წმიდა მღვდელთმოძღვრებს, წმიდა მოწამეებს, წმიდა ქალწულებს; ამ მიმართვებში იგი ღმერთს შესთხოვს ხსნას „ყოვლისა ჭირისა და ბოროტისაგან“, „მძლავრებისაგან ეშმაკთასა“, „ყოველთა საბრჭეთა მტერისათა“; ტექსტში შეტანილია ქეთაონის გარდაცვლილ ახლო ნათესავთა სულთა მოსახსენებლები, რომელთა ვინაობა და ნათესაური კავშირები გაარკვია ქ. შარაშიძემ[3]. დავიმოწმებთ ტექსტს: „...ნათელო დაუსრულებელისაგან და დაუსაბამოჲსა ნათლისაგან აღმოსავალო სიმართლისაო მზეო, შეისმინე ჩუჱნი, რომელსაცა დღესა გხადოდით შენ, და მოიწყსენენ სახიერებით და წყალობით მონანი შენნი პირუჱლ დაძინებულნი მართლმადიდებელნი პაპი ჩუჱნი, პატრონი ყუარყუარე, და||ვახუშტ ყოფილი, ვასილიოს, და ძე მათი ამუან და დაჲ მათი პატრონი ელენე და მათი დედა ეკატირინე|| და ბებერა ჩ~ი, პატრონი დედისიმედი, და მამაჲ ჩ~ი მეფეთმეფე პატრონი გიორგი, და ბიძა ჩ~ი პატრონი ქაიხოსრო, და ბაადურ, მართალიხონ და გულბუდახ. და ყოველნი დაძინებულნი მიცვალებულნი ჩემნი. და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, || და განუსუჱნე სულებსა მათსა პატრონის ქეთაონ ყოფილისა, ქრისტინასსა, და მათისა სიძისა სფირიდონისსა, ა~ნ“ || (211r). „წმიდაო ღთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისაჲ და ღ~თისა ჩ~ნისა შესუჱნებულსა პატრონსა || ვახუშტ ყოფილსა, ვასილიოს, და ძესა მათსა ამოანს, დასაჲ მათსა ელენეს,|| პაპასა ჩ~სა ყუარყუარეს და ბებერა ჩემსა პატრონსა დედისიმედსა და პატრონსა მამას ჩემსა მეფესა გიორგის, || დედასა ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ ყოფილსა, ვარსიმეს, || და პატრონსა ბიძასა ჩ~ა ქაიხოსროს. || ძმასა მათსა იაკობს, || ბადურს, მართალიხონს და პატრონს იანქოს და გულბუდახს; დაიჴსნენ სულნი მათნი ყოელისაგან ჭირისა და სატანჯველისა და დააწესენ სულნი მათნი საყოფელსა მართალთასა და ღირს ყვენ იგინი მშუიდობაასა კეთილთა მათ მეოხებითა შენითა და სახიერისა მის ძისა შენისა მიმართ კადნიერებით ვედრებაჲდ...“ (212r-v).

რამდენიმე ლოცვის ტექსტში ჩართულია ქეთაონის სახელი, ღმერთშემოსილ საბასა და წმიდა სერაპიონს ქეთაონის მფარველებად მოიხმობს გადამწერი და მის სულს ავედრებს მათ. 132r-ზე ტექსტის ხელით შესრულებული ერთი მინაწერი შეიცავს წერასთან დაკავშირებულ სირთულეს, რომელიც ხორცისთვის მწარედაა მიჩნეული, ხოლო სულისთვის იგი ტკბილია: „ჲ, რაჲ მწარე არს წერა ჴორცთათჳს, და სულისათჳს შაქარ არს“ (132r).

ვარძია. ცნობები ვარძიის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრის შესახებ მწირია. თამარის დროს იქ საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა ყოფილა, მაგრამ მრავალგზისი შემოსევების

3 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIსს), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

შედეგად განადგურებულა და ხელნაწერთა უმცირესი ნაწილი თუ შემორჩა. მათგან ცნობილია ***ვარძიის ოთხთავი Q-899***, რომელიც XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება და რომელიც შემკულია მინიატურებით, თავსამკაულებით. ხელნაწერი წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ოთხთავია. იგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ყოველ გვერდს ახლავს პარალელური ადგილების მითითება ბიბლიიდან. „ხელნაწერი შესრულებულია ნუსხურით, სათაურები სინგურით, მრგლოვანით; ინიციალები, ტექსტის მცირე ნაწილი და დასაწყისი ასოები ოქრომელნითა და ფერადებით; ხელნაწერის კიდეები მოტვიფრულ-მოოქროვილია; ხელნაწერი ჩასმულია დიდი ზომის – 31X25 – მოჭედილ მასიურ ვერცხლის მოოქროვილ ყდაში, რომელსაც ორი ვერცხლისავე ზარნიშნიანი შესაკრავი აქვს; ყდის ზემო ნაწილზე (! ყდა), შუაში, ქრისტეს რელიეფური გამოსახულება არის (ტახტზე მჯდომი, ღრუბლებზე ფეხ-დაყრდნობილი); კუთხეებშია ოთხი მახარებლის გამოხატულება (მედალიონები, რელიეფური); ყდის მეორე ფრთას შუაში დაკრული აქვს ჯვარი, კუთხეებში ვერცხლის მრგვალი, მასიური ფეხები, ყუა, მეტად მასიური, მოოქროვილი ვერცხლისავე, შემკულია ზარნიშით; როგორც დამღები მოწმობს, ყდა გაკეთებულია რუსეთში, 1871 წელს, საზიკოვის მიერ; შიგნიდან ყდა და მისი საცავი ფურცელი შემოსილია მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილით; პირველი ყდის აბრეშუმის შემოსილობა დაზიანებულია... ხელნაწერი შემკულია ოქრომელნითა და ფერადებით ნაწერი თავკაზმულობითა და მინიატურებით...“[4]. წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ოთხთავის გარდა, აქვე მოთავსებულია „სახარების საკითხავთა საწელიწადო საძიებელი“, თვენის ნაწილი – სექტემბრიდან აგვისტომდე და სახარება სატფურებისანი.

ხელნაწერს აქვს საინტერესო ისტორია. ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც მოთავსებულია „სატფურების სახარების“ ნუსხის ტექსტის ბოლოს, მოგვითხრობს: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩუენ ღმრთივგჳრგჳნოსნის პატრონის მეფეთმეფის ლეონის ძემან, პატრონმან იესე ვიყიდე ოთხთავი ესე თათართაგან. ოდეს ყეენმა ჯავახეთი აღაოხრა და ვარძიისა საყდარი დალეწა ესე ოთხთავი დატყუევდა, მას ჟამსა დავიჴსენით და შევსწირეთ ვარძიისა ღმრთისმშობელსა, საოხად და სამლოცველოდ და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად. ღმერთო და ვარძიისა ღმრთისმშობელო, პატრონი იესე დღეგრძელობით და გამარჯჳებით ამყოფე უკუნისამდე, ამინ“ (Q-899, 286r). როგორც ჩანს, ვარძიის ოთხთავი ტყვედ ჩავარდნიათ თათრებს მაშინ, „ოდეს ყეენმა ჯავახეთი აღაოხრა და ვარძიის საყდარი დალეწა“.

როგორც ხელნაწერის აღმწერმა აღნიშნა, ეს ყეენი იყო ცნობილი შაჰ-თამაზი, რომელმაც 1551 წელს გაძარცვა ვარძიის მონასტერი. ამ დროს კახეთში მეფობდა ლევანი (1520-1574), რომლის ვაჟს, „პატრონს იესეს“, თათართაგან გამოუსყიდია და კვლავ ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისათვის შეუწირავს. ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის აღწერილობით ირკვევა, რომ ვარძიის ოთხთავი XIX საუკუნეშიც დაზიანებულა. იგი გელათის მონასტრიდან გაუტანია ქუთაისის გუბერნატორს ლევაშოვს, რომელსაც შესანიშნავი ძველი ვერცხლის ყდა, ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატით, შემოუძარცავს და შეუცვლია საზიკოვის მიერ 1871 წელს გაკეთებული ყდით[5]. ხელნაწერის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა, სხვა მრავალ საგანძურსა და ხელნაწერთან ერთად, იგი პარიზში წაიღო, პარიზიდან დაბრუნებულია 1945 წელს.

ხელნაწერის ბოლოს დართულ მინაწერებში ღმერთს შენდობას სთხოვენ ათაბაგი პატრონი აღბუღა და პატრონი მარიამი; ცოდვათა შენდობას შესთხოვს ღმერთსა და ვარძიის ღვთისმშობელს ფრიად ცოდვილი ელენე; აგრეთვე, ღმერთს შენდობას ევედრებიან მამია დადიანი და მისი მეუღლე დედოფალთდედოფალი ელენე-ყოფილი ეკატირინე, ბედიელი მთავარეპისკოპოსი ანტონი ჟვანისძე და მისი მშობლები, ი~ე პატარიძე მეუღლესთან ერთად.

ვარძიის ტაძარს უკავშირდება კიდევ ერთი ხელნაწერი – ***წმ. იოანე ოქროპირის თარგმანება***

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა. ტ. 2. შემდგ. თ. ბრეგვაძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ელ. მეტრეველი, ლ. ქუთათელაძე, ქრ. შარაშიძე. რედაქტორი ილ. აბულაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1958, გვ. 307.

5 Кондаков Н., Бакрадзе Д., Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПБ., 1890, с. 42-43. დამოწმებულია ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით (აღწერილობა 1958: 308).

მათეს სახარებისა – A-365. ხელნაწერისთვის, რომელიც 530 ფურცელს შეიცავს, „XVIII საუკუნეში გაუკეთებიათ რესტავრაცია, გადასული ადგილები გაუცხოველებიათ და ნაკლული ადგილები შეუვსიათ“[6]. ხელნაწერი შეიცავს წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის ქართულ თარგმანს მათეს სახარების წმ. იოანე ოქროპირის თარგმანებისა; გადაწერილია XII საუკუნეში მარკოზის მიერ, რასაც ადასტურებს რამდენიმე მინაწერი, მათ შორის კრიპტოგრამა. კრიპტოგრამებით შესრულებული მინაწერებიდან ერთ-ერთში გადამწერის სახელია მითითებული და შეიცავს ვედრებას ქრისტესადმი, მეორე კი მხოლოდ ქრისტესადმი ვედრებაა სახელის მოხსენიების გარეშე, რათა შეიწყალოს სული მისი. სხვადასხვა დროის მინაწერებში მოხსენიებულია რამდენიმე პიროვნება: ანტონი ვარძიელი, ნიკოლოზი, ისაკი, გიორგი, ივანე ჩვემოშვილი, ბერი გიორგი, ბერი დანიელი, გაბრიელი, ქაიხოსრო ათაბაგი, ცოდვილი ბასილი, ნიკოლოზ ვაშაყმაძე და მისი მეუღლე შამადუხ, ელიაზარი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XVIII საუკუნის ხელით, მხედრულით შესრულებული მინაწერი, რომელიც ხელნაწერთან დაკავშირებით გვაწვდის რამდენიმე თვალსაზრისით საგულისხმო ინფორმაციას. დავიმოწმებთ მინაწერს: „ქ. მე ფრიად ცოდვილმან მღუდელ-მონაზონ ***გერმანემ***, ფრიადი სურვილი და ტრფიალება მქონდა წიგნისა ამის და ახალციხელი მღუდელი ***იოანე*** გავგზავნე ***ვარძიას*** და იმან მიყიდა წმიდა ესე მათეს თავის თარგმანი. ფასი მივეც შვიდი თუმანი. ორი თუმანი თავის გასამრჯელო, ხუთი მინალთუნი მოსაცხოველები, ხუთი მინალთუნი შესაკრავი, მაგრა, თუ მეცნიერი კაცი გასინჯავს, ფასი არა სძევს. ვინც იხილვიდეთ, შენდობით მომიხსენებდით. სრულ იქმნა წმიდა წიგნი ესე იანვარს (ჯ-ს). ქ~სა უ (1712წ.). ამასვე წელსა ქ~სა აპრილის **კბ**, მეფე ***ვახტანგ*** ნაბძანდა ***ისპაანს*** ყენთან (l). ვნახოთ ღმერთი რას მოწყალებას მოუელენს ***საქართველოს***“ (254v)[7]. მინაწერი მოწმობს ხელნაწერის განსაკუთრებულ ღირებულებას, რადგან მინაწერის ავტორი გერმანე მღვდელმონაზონი აღნიშნავს, რომ ხელნაწერთა მცოდნე კაცი მიხვდება, თუ რა ფასდაუდებელ ხელნაწერთან აქვს საქმე. აგრეთვე, მინაწერი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის შეუძენია გერმანე მღვდელმონაზონს ეს ხელნაწერი, რასაც ვახტანგ მეექვსის ირანში წასვლით ათარიღებს. თავის მხრივ, იგი დამატებით ინფორმაციას იძლევა თვით მეფე ვახტანგის ირანს გამგზავრების შესახებაც. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ ფაქტს იგი იმედის თვალით უცქერის. საინტერესოა კიდევ ერთი მინაწერი: „არს ჭეშმარიტად ღვთივსულიერი წიგნი ესე თარგმანი სახარებისა მატთესი, მათის მეფობის სიმაღლის მეფისა ირკლი მეორის კარის ეკლესიის კარისა ღ~თისმშობლისა **თელავს**. ქ~კს **უპბ**“ (254v)[8], ე. ი. ქორონიკონით 482 წელს. ეს მინაწერები გვიამბობენ ხელნაწერის ისტორია-თავგადასავალს: თავდაპირველად იგი ინახებოდა ვარძიაში, შემდეგ 1712 წელს იგი შეუძენია გერმანე მღვდელმონაზონს და ბოლოს იგი მოხვედრილა თელავში ერეკლე მეორის მეფობის წლებში, სამეფო კარის ეკლესიის კარის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ყურადღებას იქცევს კიდევ რამდენიმე მინაწერი, რომელიც საღვთისმეტყველო პრობლემატიკას შეეხება და მინაწერის შემსრულებლის მსოფლხედვას წარმოაჩენს. „მოვა გლახ ჟამი, ოდეს ამის მწერალი მიწა და მტუჩრ ქმნულ იყოს, მაშინ შეიწყალე სული ჩემი, ქრისტე, ძკრუწსენებელო“ (64r); იგი მცირეოდენი ცვლილებით სხვაგანაც მეორდება: „მოვალს გლახ ჟამი, ოდეს ნაქმარი ჩანდეს, ხოლო მოქმედი მიწა და მტუჩრ იყოს, მაშინ შეიწყალე სული ჩემი, ქრისტე, ძეო ღმრთისაო“ (344r). მინაწერი სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართებას, წუთისოფლის წარმავლობას, შემოქმედების, სიტყვის მარადიულობას ასახავს და მიუთითებს მინაწერის ავტორის მიერ ყოველივე ამის ღვთისმეტყველურ აღქმას. დროის აღქმა მარადიულობას სწვდება, მარადიულობაა სულის მყოფობის გარანტი, სული ხომ მარადიულად არსებობს და მისი მარადიულობიდან გამოსვლა დროის არეალში მის მოქცევას გულისხმობს. მატერიალურის ფორმა იცვლება, ხოლო სული მარადიულობას უბრუნდება, სწორედ სულის, მარადიულობაში დაბრუნებული სულის შეწყალებას

6 საქართველოს საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). ტ. 1(4). შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარაძემ, ლ. ჟუთაშელაძემ ელ. მეტრეველის რედაქტორობით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., მეცნიერება, 1985, გვ. 89.

7 იქვე, გვ. 93-94.

8 იქვე, გვ. 94.

ევედრება ღმერთს მინაწერის ავტორი.

ერთ-ერთი მინაწერის (122r – XIV საუკუნის მხედრულით) ტექსტი ასეთია: „ვაიმე, ძმანო, ჩემნო საყუარელნო, ამისსა წამკითხავსა და თქუენგან ერთმანერთისა ვერ მჭერისა სიყუარულისა მგალობელსა და...“ აქ ბოლო წაჭრილია და აზრიც დაუსრულებელი. თუმცა, რაც შემორჩენილია, ისიც იძლევა მინაწერის ავტორის თვალთახედვის გათვალისწინების საფუძველს. იგი წამკითხველისადმი მიმართვაში გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას შემდეგ სიტყვებში: „თქუენგან ერთმანერთისა ვერ მჭერისა სიყუარულისა მგალობელსა“, რომელიც იმას მიუთითებს, რომ ადამიანებს ერთმანეთთან სიყვარული უნდა აკავშირებდეთ; სამწუხაროდ, ტექსტი წყდება და შემორჩენილი ნაწილის უფრო სრულად გააზრება შეუძლებელია.

XIV-XV საუკუნეების მხედრულით შესრულებული ერთი მინაწერის ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება მისი შემსრულებლის გ~იგი ბერის სულიერი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ. იგი წერს: „...ბერი გ~იგი. ჴოი მე, ჱ [ოი] მე, რამეთუ დავიცვენ ყურნი რწმენად საღმრთო ... ელებთა... ბოროტ ...ყურებად... ვიდრე უკა... ...ო ვყვენ. ვაი მე, ვაი. ქართაგან მიმოტაცებულსა“ (83v). (მინაწერს მარცხენა მხარე ჩამოჭრილი აქვს)[9]. ბერის მიერ აღმოთქმული ფრაზა „ქართაგან მიმოტაცებულსა“ ნათლად წარმოგვიდგენს იმ მღელვარე სულიერ მდგომარეობას, რომელშიც რაღაც მიზეზების გამო აღმოჩენილა იგი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი შენიშვნა-მინაწერები ანდერძ-მინაწერებში დამკვიდრებულ კლიშეებსაც წარმოადგენენ და შესაძლოა, ავტორის სულიერ მდგომარეობას სულაც არ მიუთითებდეს; მინაწერის ავტორი ემორჩილება ანდერძ-მინაწერების შედგენის იმ მეთოდს, რომელიც უძველესი დროიდან დამკვიდრდა და საუკუნეების განმავლობაში ტრადიციად ჩამოყალიბდა. ამ ანდერძ-მინაწერის ხელითვე უნდა იყოს შესრულებული კიდევ ერთი მინაწერი, რომლის ვინაობა ზემოხსენებული მინაწერის ვინაობას ემთხვევა: „ცოდვილი ბერი გ~იგი“ (347r). სრულად დავიმოწმებთ მინაწერის შემორჩენილ ტექსტს: „მამაო ოქროპირო, ცხად ჩანს ...რელ არ შენვე მეცნიერ ხარ ჩემ ულირსისა ნაყროვნის გიორგ... მმარხველობისა იმ... ...შენვე მოიცალე ბუნებისა ჩემისა უძლურებისა ...დო მადლიერად სიყუარულისა ...ყუარელისა შენისასა, ცოდვილი ბერი გ~იგი“ (347r)[10].

იოანე შავთელი. ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი, რომელსაც ორიგინალური თხზულებები შეუქმნია და რომელიც ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს უკავშირდება, ქართულ მწერლობაში ცნობილი ჰიმნოგრაფი და ეპიკური ნაწარმოების ავტორი იოანე შავთელია.

ბასიანის ომის წინ ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში მყოფ თამარ მეფეს ახლდა იოანე შავთელი, რომლის სახელით ცნობილია ერთი საგალობელი „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი“ და ეპიკური თხზულება „აბდულმესიანი“.

ცნობები იოანე შავთელის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ძალზე მწირად შემონახულა, მხოლოდ ორიოდე დეტალია მინიშნებული. ტრადიციულად, შავთელი შავშეთელს, შავშეთის მკვიდრს ნიშნავს. კ. კეკელიძის თქმით, იგი მოღვაწეობდა ვარძიასა და გელათში, ამ უკანასკნელში აღსრულებულა კიდეც იგი[11]. თვით შავთელი საგალობლის აკროსტიქში საკუთარ თავს მგალობელს უწოდებს. XIII საუკუნის 30-იანი წლების ხელნაწერის A-85-ის მინაწერებში იგი მოიხსენიება ნეტარად და წმიდად, რაც იმას ნიშნავს, რომ 1233 წლისათვის, როცა ხელნაწერი შეიქმნა, იოანე შავთელი გარდაცვლილია: „წმიდაჲ იოანე შავთელი შეწყობითა იანბიკოთაჲთა კეთილად და ნეტარად წარმოაჩინებს“ (*A-85, 307v*). იოანე შავთელის ნეტარად და წმიდად მოხსენიების ტრადიცია სწორედ ამ ხელნაწერიდან მომდინარეობს. ხელნაწერში იქვეა XIX საუკუნის მხედრული ხელით მინაწერიც: „ესე ასურეთისა კკულოსისა იამბიკონი თქუმული ნეტარისა მამისა ჩვენისა შავთელისაგან“. ხელნაწერის შედგენისას, ე. ი. 1233 წლისათვის, იოანე შავთელი გარდაცვლილია, რასაც გვაფიქრებინებს მისი ნეტარად და წმინდანად მოხსენიება.

9 იქვე, გვ. 93.

10 საქართველოს საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). ტ. 1(4), გვ. 94.

11 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 324-325.

იოანე შავთელის შესახებ ცნობები დაუცავს თამარის ორივე ისტორიას. თამარის თანამედროვე საეკლესიო მოღვაწეს, პოეტსა და ჰიმნოგრაფს იოანე შავთელს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მიიჩნევს თამარის უახლოეს პიროვნებად, მის სულიერ მოძღვრად, რომელიც მას ახლდა ვარძიასა და ოძრხეში ბასიანის ომის დროს: „და მეფე თამარ მოვიდა ოძრჴეს: და ეახლნეს შავთელი, კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუაწებათა შინა განთქმული, და ევლოგი, სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობელობისა ღირსქმნილი“[12]. ისტორიკოსი იქვე გვამცნობს, თუ როგორ განათიეს ღამე ლოცვა-ვედრებით თამართან ერთად მისმა მხლებლებმა იოანე შავთელმა და ევლოგიმ, როგორ იხილა ღმერთი ევლოგიმ, რომელსაც წინასწარ ეუწყა ქართველთა ლაშქრის გამარჯვება. ისტორიკოსი აღწერს, რომ „ევლოგი მეყსეულად ახლტა და ჴმა ყო: „აჰა, წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია“. შავთელმა ჰრქუა: „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩუენება იხილა სულელ-საგონებელმან, გარნა ჩუენებასა კეთილსა ვჰგონებ“[13]. ვარძიაში მყოფთ იმედი მიეცათ, რომ ღვთის გამოცხადება და ხილვა გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო. მართლაც, წყალობის თვალით გადმოხედეს ღმერთმა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და უვნებლად დაიცვეს მეფე ქალის მიერ ღვთისათვის „შეევედრებული ერი ქართველთა“. ასევე უწოდა ბასილი ეზოსმოძღვარმა იოანე შავთელს „კაცი ყოვლად განთქმული და საკჳრველი მოლუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქუმელი“[14].

იოანე შავთელს ორსტროფიანი იამბიკო მიუძღვნა ანტონ კათალიკოსმა „წყობილსიტყვაობაში“ და იგი მიიჩნია ღვთისმეტყველად, ბრძნად, ღრმად მოაზროვნედ, შესანიშნავ პოეტად, ჭეშმარიტებისმეტყველად და შაირგამომთქმელად (*სტროფები 770-771*)[15]. ანტონმა, თამარის ისტორიებზე დაყრდნობით, მისთვის ჩვეული რიტორული ენაწყლიანობით უხვი ეპითეტებით შეამკო იგი. მისივე მითითებით, მისი წყარო ფსევდო-რუსთველური სტროფის შემდეგი ტაეპი: „აბდულმესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“ და თამარის ორივე ისტორია: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომლებშიც იოანე შავთელი თამარის ერთ-ერთ უახლოეს პიროვნებად, მის სულიერ მოძღვრადაა მიჩნეული.

ანტონმა უხვი ეპითეტებით შეამკო იოანე შავთელი:

„ნეტარი ესე-პიიტიკოსი კაცი,
მაღალ-გამომთქმელ, მოძღურებითა ბრწყინვალე,
სიბრძნის-მოყუარე, მართალ-მესილოგიზმე,
ღმრთის-მმეტყუელები, შეზმნილ ყოველსა შინა,
იოანე ბრძენ, შავთელ ზედწოდებული.
შოთა თქუა მისთჳს: „უქესო ლექსი შავთელს“,
და თამარ დიდის „ისტორიათა“ შინა
შაირთ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის,
განსწმიდა ამან სარკე უბიწოებით
და მისცა ღმერთსა, რომლისა წინაშე დგას“ (770-771).

ანტონ კათოლიკოსი მას მიიჩნევს ღმრთისმეტყველად, ბრძნად, ღრმად მოაზროვნედ, შესანიშნავ პოეტად, სიბრძნისმოყვარედ, ჭეშმარიტებისმეტყველად. „წყობილსიტყვაობიდან“ ჩანს, რომ ანტონი იზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფში გამოთქმულ თვალსაზრისს იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ ავტორობის შესახებ, ოღონდ არ ჩანს, რომელ თხზულებას გულისხმობს იგი „აბდულმესიანში“ და იცნობს თუ არა მას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ანტონმა იოანე შავთელი „შაირთ-გამომთქმელად“ მიიჩნია და შოთა რუსთველის ნათქვამი – „ლექსი მას უქეს რომელსა“

12 ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 95.

13 იქვე, გვ. 99.

14 იქვე, გვ. 130.

15 ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980.

– გაიზიარა. ჩვენი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ იოანე შავთელს შეუქმნია ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ორი თხზულება: საგალობელი და საერო ხასიათის ნაწარმოები. სასულიერო პოეზიის ნიმუში, საგალობელი, ჩვეულებრივ, ლექსად არ მოიხსენიება, ე. ი. როდესაც ანტონი ამბობს – „უქესო ლექსი შავთელს“, საგალობელს არ უნდა გულისხმობდეს, ვფიქრობთ, იგი სხვა ჟანრის თხზულებაა, იგი იოანე შავთელის საგალობელს – „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ – არ მიუთითებს. ტაეპი – „შაირთ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის“ – ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს, ვინაიდან „შაირთ-გამომთქმელი“ ჰიმნოგრაფს არ აღნიშნავს. შაირის რაობა კარგა ხანია გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში და იგი უძველეს ქართულ სალექსო ფორმას გულისხმობს. ანტონ კათოლიკოსის სიტყვები გვიდასტურებს იმას, რომ იოანე შავთელი არის საერო სალექსო საზომით დაწერილი თხზულების ავტორი. მისივე ნათქვამი – „მაღალ-გამომთქმელ“, რომელიც უშუალო კავშირში უნდა იყოს „შაირთ გამომთქმელთან“, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ საერო სალექსო საზომით დაწერილი მისი თხზულება „მაღალ“, ანუ მისტიკურ-ალეგორიულ და სიმბოლურ აღქმას მოითხოვს. „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ბოლო სტროფში დაცული ცნობა იოანე შავთელის მიერ „აბდულმესიანის“ დაწერის თაობაზე, სხვა თხზულებებთან ერთად, მის ჟანრობრივ რაობაზეც უნდა მიგვანიშნებდეს. ამ ცნობის მიხედვით, ეს თხზულება ეპიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რადგან იგი სწორედ ეპიკურ თხზულებათა შორის მოიხსენიება. მიუხედავად ამ ვარაუდისა, დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვით, იყო თუ არა ცნობილი ანტონის ეპოქაში იოანე შავთელის „აბდულმესიანი“. ანტონისეული დახასიათებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ იოანე შავთელს შეეძლო ისეთი მაღალმხატვრული თხზულების შექმნა, როგორიცაა „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, ე. ი. ანტონ კათოლიკოსი იცნობდა მის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობასაც. ეს კი სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან საგალობელი სამი ხელნაწერითაა შემონახული, მათ შორის ერთ-ერთი გელათის მონასტერშია შექმნილი, სადაც ერთხანს მოღვაწეობდა ანტონი.

როგორც აღინიშნა, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ ჩვენამდე არ შემონახულა; რაც შეეხება ამ სახელწოდებით ცნობილ სახოტბო თხზულებას, მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები. მეცნიერთა ნაწილი შავთელის პოემად მიიჩნევს „თამარისა და დავითის ქებას“ და მას მოიხსენიებს ე. წ. „აბდულმესიანად“, ნაწილი ფიქრობს, რომ არც ესაა იოანე შავთელის თხზულება. ნ. მარის გამოკვლევით, თხზულება იოანე შავთელმა მიუძღვნა დავით აღმაშენებელს და მის ქებას წარმოადგენს (*მარი 1902*). მისი მოსაზრებით, ხოტბის ავტორია დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე შავთელი, ხოლო ხოტბა შეთხზულია დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში და დათარიღებულია XII საუკუნის პირველი მეოთხედით[16]. ნ. მარის თვალსაზრისი გაიზიარეს ივანე ჯავახიშვილმა[17], რომელსაც საგანგებოდ არ უკვლევია საკითხი, მაგრამ დავით აღმაშენებლის ქებად მიიჩნია თხზულება და შესაბამისი ადგილებიც დაიმოწმა ამ აზრის დასადასტურებლად, და პავლე ინგოროყვამ[18].

კ. კეკელიძემ სამი ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემა დასვა თხზულებასთან დაკავშირებით: 1. ვინ არის შექებული თხზულებაში, 2. ვინაა მისი ავტორი და 3. როდისაა დაწერილი ის. მან იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ დაკარგულად მიიჩნია, ხოლო ჩვენამდე შემონახული ე. წ. „აბდულმესიანის“ ტექსტი არის დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქება და მისი ავტორი არ არის იოანე შავთელი[19]. ივანე ლოლაშვილმა იოანე შავთელი მიიჩნია „აბდულმესიანის“ ავტორად და განაცხადა, რომ მასში შექებული პირები არიან თამარ მეფე და დავით სოსლანი[20]. ელ. მეტრეველის თვალსაზრისით, „შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა

16 Н.Я. Марр. Древнегрузинские одописцы. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, СПБ, 1902.

17 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ., II, თბ., 1983, გვ. 210-211; 308.

18 პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, წიგნში: რუსთაველის კრებული, ტფილისი, 1938, გვ. 53.

19 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 233-240.

20 ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა,, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964.

როგორც „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, ასევე „აბდულმესიანი“[21]. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, ამჟამად ე. წ. „აბდულმესიანის“ სახელით ცნობილი სახოტბო ნაწარმოები ეკუთვნის თუ არა იოანე შავთელს, რადგან იგი არაა პოემა „აბდულმესიანი“, იგი თამარისა და დავითის ქებაა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პოემა იხსენიება ე. წ. „აბდულმესიანად“ ან „თამარისა და დავითის ქებად“. რაც შეეხება იოანე შავთელის „აბდულმესიანს“, დღესდღეობით იგი დაკარგულად ითვლება.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბასიანის ომის წინ ვარძიის ტაძარში თამარ მეფეს ახლდა იოანე შავთელი, რომლის სახელით ცნობილია ერთი ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო თხზულება, საგალობელი „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი“ და შოთა რუსთველის პოემაში დაცული ბიბლიოგრაფიული სტროფის ცნობით, პოემა „აბდულმესიანი“. საგალობელი ავტორს ვარძიაში დაუწერია, ხოლო „აბდულმესიანი“ ჩვენამდე არ შემონახულა, ცნობა მის შესახებ დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ბოლო სტროფში, სადაც, სხვა თხზულებებთან ერთად, მოხსენიებულია შავთელის მიერ შექმნილი „აბდულმესიანი“. „აბდულმესიანის“ სახელით ცნობილი სახოტბო ნაწარმოები, ე. წ. „თამარისა და დავითის ქება“ ეკუთვნის თუ არა იოანე შავთელს, გარკვეული არ არის, უწინარეს ყოვლისა, იგი არაა პოემა „აბდულმესიანი“, იგი თამარისა და დავითის ქებაა. ამიტომ მისაღები ჩანს ელ. მეტრეველის მიერ პოემის მოხსენიება ე. წ. „აბდულმესიანად“ ან „თამარისა და დავითის ქებად“[22].

იოანე შავთელის საგალობელი „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი“ დაწერილია კონკრეტულ ისტორიულ ფაქტთან, კერძოდ, ბასიანის ომში რუმის სულტანზე – რუქნადინზე გამარჯვებასთან დაკავშირებით. ესაა ღვთისმშობლის სამადლობელი საგალობელი, დაწერილი ჰიმნოგრაფიული კანონის ფორმით და შედგება რვა გალობისაგან, აკლია მეორე – „მოიხილესა“, რომელსაც XI საუკუნის II ნახევრიდან ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკვე აღარ ვხვდებით. მას აქვს ორიგინალური ფორმა, კ. კეკელიძემ გააანალიზა მისი სტროფული შედგენილობა და შეადგინა გალობათა მეტრულ-სტროფული აღნაგობის ცხრილი[23].

კ. კეკელიძემ საგანგებოდ განიხილა წმ. იოანე დამასკელის ქრისტეშობის „იამბიკური გალობანი“, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ორიგინალურად შეუწყვია. ბერძნული ანბანის შესაბამისად, იგი 24 სტროფია, ე. ი. 120 ტაეპი ანუ სტრიქონი. 120 ტაეპი ქართული თარგმანისათვის გიორგის არ ეყოფოდა, რადგან მისი აკროსტიქი 149 ტაეპს მოითხოვდა, რისთვისაც საგალობელი კი 24 სტროფად შეუწყვია, მაგრამ არა 120 ტაეპად, არამედ 149-ად. რამდენიმე სტროფში ხუთი ტაეპი კი არა, მეტია მოთავსებული. გიორგიმ აღნიშნა ამასთან დაკავშირებით, რომ ასეთი საგალობლის გამართვას „უფროჲსი ჭირი“ აქვს და „დიდი შრომა“ უნდაო[24].

გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია „თვენის“ უმრავლესი საგალობელი, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზემოხსენებული იოანე დამასკელის „შობის საგალობელი“ თარგმნილი კი არ არის, არამედ გადმოკეთებულია ქართულად. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა[25], ხოლო ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ლ. ჯღამაიამ[26], რომელმაც იგი ბერძნულ ტექსტს შეუდარა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „გიორგის თარგმანი იმდენად გადამუშავებული, იმდენად ქართული, დედანთან შედარებით (ტექსტობრივ) იმდენად ახალია, რომ ის, ჩვენი აზრით,

21 ე. მეტრეველი, დავითისა და თამარის ქება (ე. წ. „აბდულმესიანი“), ქართული ლიტერატურის ისტორია, II, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოც., თბ., 1966, გვ. 97.

22 ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა ნაწილი (ს. ცაიშვილი, ა. ხინთიბიძე, ბ. დარჩია) მის ავტორად იაკობ შემოქმედელს ვარაუდობს და იგი მიაჩნია არა თამარის ეპოქაში შექმნილად, არამედ XVII საუკუნის ბოლოს დაწერილად. საკითხი მოითხოვს საგანგებო და მიუკერძოებელ კვლევა-ძიებას მხატვრული, ლიტერატურულ-ესთეტიკური, ენობრივი, პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით.

23 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 323-325.

24 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 327.

25 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1946, გვ. 353-355.

26 ლ. ჯღამაია, იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმინდლისეული თარგმანი, კრ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც., თბ., 1966, გვ. 178-190.

სავსებით თავისუფლად შეიძლება გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვალოს"[27].

ეს თვალსაზრისი განავითარა ი. ლოლაშვილმა, რომელმაც Ath.-52-ზე დაკვირვებისას ყურადღება მიაქცია საგალობლის ამგვარ კომენტარს: „წმიდისა იოანე დამასკელისა იამბიკონი ამას გუარსა ზედა არიან, თჳნიერ რომელ მათ ყოველსა დასდებელსა, ხუთი თავი ზის, ხოლო ამათი უმრავლესნი თავნი სხენან და ამათ უფროჲსი ჭირი უნა და, ვინაჲთგან ამათი თარგმნა უღონო არს ყოვლადვე და შეუძლებელი, ამისთჳის მე, გლახაკმან გიორგი რეცა თარგმანმან ქართულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითა" (*შდრ: Sin.7/2, ფ. 129v*). მისი სიტყვით, „ამის მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი მთაწმიდელს შეუთხზავს იოანე დამასკელის შობის საგალობლის მიბაძვით ორიგინალური ქართული საგალობელი და მის ავტორად თავისუფლად შეიძლება ვცნოთ თვით გიორგი მთაწმიდელი"[28]. „ჩვენ გვაქვს ქართულ ყაიდაზე დაწერილი შობის საგალობელი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს, როგორც ქართული პოეზიის ერთ-ერთი ძველი ნიმუში"[29]. მან იქვე გამოაქვეყნა თავისი დადგენილი ტექსტიც საგალობლისა[30].

ი. ლოლაშვილმა იოანე შავთელის საგალობელს ფორმის თვალსაზრისით მოუძებნა წყარო, ესაა წმ. გიორგი მთაწმიდლის „თვენში" მოთავსებული საგალობელი[31]. მან ხსენებული საგალობლის გავლენით დაწერილად მიიჩნია იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი", რომელიც თავისი პოეტური საზომითა და სტრუქტურით ემთხვევა გიორგი მთაწმიდელის „გალობანს". მათ შორის მსგავსება დიდია, სხვაობა უმნიშვნელო, რაც მკვლევარს საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ გიორგი მთაწმიდლის მიერ შემოღებული საზომი ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულა და განვითარებულა კიდეც[32].

იოანე შავთელის ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეული გალობა განსხვავებული ფორმითაა შექმნილი; მეექვსე, მერვე და მეცხრე გალობები კლასიკური ურითმო იამბიკოს ნიმუშებია, რაც შეეხება დანარჩენ ხუთ გალობას, ისინი დატეხილი იამბიკოებია. ეს იმითაა განპირობებული, რომ საგალობელი აკროსტიქულია და სტროფებისა და ტაეპების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა აკროსტიქის წინადადებისათვის. აკროსტიქი საკმაოდ ვრცელია და ბიბლიოგრაფიული ღირებულება აქვს; დავიმოწმებთ მას: „ზესთა დიდებისა აღმატებულო და ანგელოზთა და კაცთა დიდებად შენდა, ვითარ შობისა და ქალწულებისა შემაერთებელო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, ვარძიისა მოსახელესა ტაძარსა შენსა შინა მგალობელი ვინმე შენი მაცხოვნე მე სულიერისა ტყეობისაგან"[33]. აკროსტიქის მიხედვით, ვარძიის ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და საგალობელი სწორედ აქაა დაწერილი; ავტორი ევედრება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ აღმოიყვანოს სულიერი ტყეობისაგან და აცხოვნოს სული მისი. აკროსტიქით გადმოცემულია ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი დოგმა ქალწულებისა და დედობის შერწყმისა, ასეთი მხოლოდ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელია, სხვა არავინ ყოფილა ერთდროულად ქალწული და დედა.

იოანე შავთელის საგალობელი ამაღლებული სტილითაა შესრულებული და გამოხატავს ავტორის ქრისტიანულ-რელიგიურ მრწამსს, ესთეტიკურ თვალთახედვას.

ჰიმნოგრაფიაში ღვთისმშობლის თემის პოპულარობა-გავრცელებას ადასტურებს როგორც მისადმი მიძღვნილ საგალობელთა სიმრავლე, ასევე ღმრთისმშობლისანები, რომლებიც საგალობლის ბოლო ტროპარს წარმოადგენენ და რომლებიც იმავე რიტმულ-მელოდიურ მოდელზეა აგებული, როგორიცაა ამ გალობის ძლისპირი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელთა შორის გამოირჩევა „ღვთისმშობლის დაუჯდომელი", ანუ „აკათისტო", რომელიც ყველა დროსა და ყოველ ქრისტიანულ ქვეყანაში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათათვის ერთგვარ ნიმუშად იყო მიჩნეული. „აკათისტო" გავლენას ახდენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის

27 ლ. ჯღამაია, იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმინდლისეული თარგმანი, გვ. 189.

28 ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 10.

29 იქვე, გვ. 11.

30 იქვე, გვ. 11-16.

31 იქვე, გვ. 17.

32 იქვე, გვ. 17.

33 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003, გვ. 301.

თემაზე შექმნილ საგალობლებზე. ზოგჯერ თანხვედრები იმდენად დიდია, რომ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლების კვლევა „ღვთისმშობლის დაუჯდომლის" გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. „ღვთისმშობლის დაუჯდომელი" ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამადლობელი საგალობელია, რადგან, როგორც მიუთითებენ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა იხსნა კონსტანტინოპოლი ურჯულო მტერთაგან. აქვე ისიც უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრძოლის ამბები, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, საგალობელში არ ასახულა. მხოლოდ სიმბოლურ და ალუზიურ-ალეგორიულ მინიშნებებს თუ შევხვდებით მასში: „ზეშთამბრძოლისა ჩემისათჳს და მოლუაწისა უძლეველისაჲ, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღვსწერთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ ქალაქი შენი"[34]. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იოანე შავთველის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი", მსგავსად „ღვთისმშობლის დაუჯდომელისა", ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ შეფარვით, ბიბლიურ სახეთა თუ სიმბოლოთა მოხმობით, სიმბოლური და ალუზიურ-ალეგორიული ხერხის გამოყენებით მიუთითებს ქართველთა გამარჯვებაზე რუქნადინთან ბრძოლაში. ჰიმნოგრაფი იყენებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის იმ სიმბოლურ სახეთა უმრავლესობას, რომლებიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულისათვის, რვა სექტემბრისათვის, განკუთვნილ წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის მეტაფრასულ საკითხავებშია დამოწმებული და განმარტებული სათანადო წყაროების მითითებით[35].

„გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი" ამჟღავნებს ჰიმნოგრაფის ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ განათლებას, წარმოაჩენს ავტორის ეროვნულ სულისკვეთებას; ეს უკანასკნელი იშვიათია ამ ჟანრის თხზულებებში. თუმცა, ზოგიერთი ხატ-სიმბოლო ზოგჯერ ამ ნიშანსაც ატარებს. მასში დამუშავებულია ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი და ცნობილი ზოგადქრისტიანული მოტივები: წუთისოფლის მსწრაფლწარმავლობის, საკუთარ ცოდვათა მონანიების, ცოდვათა განზოგადებისა და კაცობრიობის ცოდვათა საკუთრად მიჩნევის, სულის ხსნის მოტივები. აგრეთვე, არეკლილია უსჯულოთა და მწვალებელთა წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკა, პოლემიკის ანარეკლი სხვა რელიგიებთან თუ რელიგიურ ერესებთან. საგალობელში სიმბოლურად მინიშნებულია ქრისტეს მოვლინებისა და მარიამის ღვთისმშობლობის ბიბლიური წინასწარგანზრახულებანი საწინასწარმეტყველო წიგნთა გათვალისწინებით. საგალობელში ჩანს ავტორის, როგორც ჰიმნოგრაფის, ჩანაფიქრის სირთულე, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაწერილია ჰიმნოგრაფიული ჟანრისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, გამომსახველობითი საშუალებებით, სიმბოლური ხატ-სახეების გამოყენებით, სავსეა მჭევრმეტყველურად გამოთქმული კანონიკური აზრებით. იოანე შავთველის მიერ ღვთისმშობლის აღსანიშნავად გამოყენებული სიმბოლოებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საღვთისმშობლო სახელთა რიგი: ქალწული, დედოფალი, აარონის კვერთხი, მაყვალი, კიბე, მთა, საწმისი, ტაკუკი, სასანთლე, ტაბლა, კიდობანი, მანანა, ბესელიელის კარავი, ლამპრებრ მნათობი ღამისათაჲ, ადგილი მეუფისა ღმრთისაჲ, ადამის ხსნა და ევას აღდგომა. ცხადია, ეს სახელები საგალობელში საღვთისმეტყველო ლიტერატურიდანაა შესული და მათში იოანე შავთველის ორიგინალურ ხატ-სახეებს ვერ დავინახავთ. აქ მთავარი ისაა, თუ რა განწყობილების შექმნას ცდილობს ჰიმნოგრაფი მკითხველსა თუ მსმენელში თითოეული მათგანის მოხმობით. სიმბოლო, ალეგორია, იგავი, ხატოვანი მეტყველების ფორმებთან ერთად, წინასწარმეტყველების სახეობებსაც მიგვანიშნებს. ალეგორია რწმენისმიერი განმარტების შესაძლებლობებს უშვებს, სიმბოლოებითა და მხატვრული სახეებით აზროვნება ესთეტიზმისა და ზნეობრიობის საფუძველს ქმნის, რაც თავისთავად განამტკიცებს თვალსაზრისს რელიგიურის, ეთიკურისა და ესთეტიკურის გაუთიშველობის შესახებ. იმასაც შევნიშნავთ, რომ ჰიმნოგრაფების დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი ისეთივეა, როგორიც ჰაგიოგრაფებისა, რადგან ისინი ერთნაირად ცდილობენ სიტყვის გამომსახველობითი ძალის მაქსიმალურ გამოვლენას, ისინი ემყარებიან უკვე ჩამოყალიბებულ სტილურ სისტემას და მათი გამოყენებით ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობების გამოხატვას, საკუთარი პოეტური ხელწერის გამომჟღავნებას.

34 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 162. აღვნიშნავთ, რომ კონსტანტინოპოლი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობაში მყოფი ქალაქია.

35 ძველი მეტაფრასული კრებულები, ნ. გოგუაძის გამოც., თბილისი, 1986.

იოანე შავთელი საგალობელს იწყებს სასულიერო მწერლობაში გავრცელებული ფორმულით, რაც ქების ობიექტის ღირსეული შემკობისათვის საკუთარი უძლურების აღიარებაში გამოიხატება. ავტორი პირველსავე ტროპარში თავმდაბლად გვიმხელს საკუთარ მჭევრმეტყველურ სინაკლულეს და თავისი მხრიდან დიდ გაბედულებად მიიჩნევს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამადლობელი საგალობლის შექმნას. საკუთარი ენაბრგვინილობის სანაცვლოდ ღვთისმშობლისაგან მოელის სიბრძნითმეტყველების უნარის მიმადლებას, რაც ერთგვარი მხატვრული ხერხია ქების ობიექტის მიუწვდომლობის საჩვენებლად. ჰიმნოგრაფის სიტყვებიდან ჩანს, რომ ღვთისმშობლის შესამკობად მას სჭირდება აზრის სიტყვიერად გამოხატვის მთელი შესაძლებლობის მოხმობა, რათა მსმენელსა თუ მკითხველს მიანიჭოს ამაღლებულობის განცდა და ესთეტიკური სიამოვნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, რევაზ სირაძის სტატიაში, რომელშიც ეს საგალობელი სახისმეტყველებითადაა გააანალიზებული, იოანე შავთელის მრავალმხრივ საყურადღებო პოეტური ნაწარმოები „ორპლანიანად" არის მიჩნეული, რადგან მასში შეფარვით შექებულია თამარი. ღვთისმშობლის ქებასთან ერთად, „იგი თამარის განდიდებასაც გულისხმობს. თამარის სახება ჩანს არა მხოლოდ ნაწარმოების ქვეტექსტში, არამედ მისსავე სხვა კონკრეტულ რეალიებში... ღვთისმშობელი წარმოჩენილია იმგვარი ნიშნებით, რომლებიც გასაიდეალებლად მიაჩნდათ თამარის სახეში... იოანე შავთელი ღვთისმშობლის და თამარის საერთო ნიშნად ირჩევს ისეთ მოტივებს, რომლებიც შეიძლება მიუდგეს ბასიანის ბრძოლას, ვარძიისადმი თამარის დამოკიდებულებას"[36]. მანვე დაუკავშირა საგალობელი „ღვთისმშობლის დაუჯდომელს" და შეეხო საკითხს, ღვთისმშობლის რომელი სიმბოლოებია მოხმობილი მისი სახის წარმოსაჩენად, რომლებიც, ამავე დროს, თამარის მიმართაც შეიძლება იყოს გამოყენებული. ასეთებად მიჩნეულია „დედოფალი" და „ქალწული". უნდა შევნიშნოთ, რომ საგალობელში ყოველი სიმბოლო მიზანდასახულადაა მოხმობილი, თითოეულს თავისი მხატვრული ფუნქცია აკისრია. ჰიმნოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში შენიშნულია ისეთი შემთხვევები, როდესაც საგალობელი მიძღვნილია წმინდანისადმი და, ამავე დროს, იგი ამა თუ იმ პირის განდიდებასაც გულისხმობს. ასეთი სიმბოლურ-ალეგორიული მეთოდი XII საუკუნის ლიტერატურაშიც, წინა პერიოდის ლიტერატურული ტრადიციების კვალობაზე, გავრცელებული იყო. მაგალითად შეიძლება ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება დავასახელოთ, რომელშიც შექებულნი არიან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და წმინდა ნინო, პირველი, როგორც საქართველოს მფარველი, რომლის წილხვდომილიცაა ჩვენი ქვეყანა, მეორე – როგორც ქართველთა განმანათლებელი, ხოლო მათი ხოტბა, მათი ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენა მიზნად ისახავს თამარის, ვითარცა ქალის, მეფობის აპოლოგიას, სიმბოლურად და ალეგორიულად მინიშნებას მისი მეფობის კანონზომიერებისა და ქართველი ერის საზეპუროდ აღიარებას.

ამრიგად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საგალობელში წარმოჩენილია დედოფლური და მარადქალწულობის ნიშნებით. რ. სირაძემ დაუშვა შესაძლებლობა იმის შესახებ, „თუკი იოანე შავთელის „გალობანში" სიმბოლურად და თუნდაც რემინისცენციებით თამარის სახეს დავინახავთ, ყოველივე ეს დაუკავშირდება ვარძიაშივე არსებულ თამარის ფრესკულ გამოსახულებას. მათ ერთი საერთო იდეა აერთიანებდათ. ეს იყო იდეა მფარველობისა და ხსნისა"[37]. რუქნადინზე გამარჯვება ქართველთა უმთავრესი მფარველის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, კერძოდ, ვარძიის ღვთისმშობლის, წყალობაა. ცხადია, იგივე უნდა თქმულიყო თამარის შესახებაც. თამარსვე უკავშირდება საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ქართველი ერის რჩეულობის კონცეფციაც, რადგან თამარის კანონიზაცია სწორედ ამ იდეის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ქართული საისტორიო მწერლობა, მხატვრული ლიტერატურა განამტკიცებს თვალსაზრისს ქართველ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებ, რომ ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების – დავითისა და სოლომონის – მემკვიდრეები, „იესეს ძირისაგან" აღმოცენებულნი არიან; თავის მხრივ, იდეა, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, პირველად ჩნდება გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხორება", იგი პირველად წმ.

36 რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 102.

37 რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა ..., გვ. 105.

გრიგოლ ხანძთელმა წარმოთქვა, როდესაც აშოტ კურაპალატი უფლის მიერ ცხებული დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრედ მოიხსენია[38]. იოანე შავთელის საგალობელში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ჩამომავლობაზეა საუბარი და მონიშნულია ძე ღმერთის მოვლინება, რითაც წინასწარმეტყველება აღსრულდა. მისი სიტყვით:

„იესეს ძირი ნანდყლვე აღყუავილნა,
დავითის ფიცმან მიიღო აღსასრული,
აღთქუმაჲ მამათაჲ ძედ მისდა იცნეს ყოველთა,
„ოსანნა ძესა დავითისსა“ მწყობელთა,
ღამე
მსთუად განმანათლებელ ექმენინ ბნელსა“[39].

სტროფი ბიბლიურ-ევანგელურ მოტივებსა და ლექსიკას ასახავს, რის დასტურიცაა საღვთისმეტყველო თხზულებებში გავრცელებული გამოთქმა „ოსანნა ძესა დავითისსა“.

იოანე შავთელის მიერ გამოთქმული ეს თვალსაზრისი, როგორც ჰიმნოგრაფიაში, ასევე ქართული მწერლობის სხვა ჟანრის ნაწარმოებებშიც ჩვეულებრივ გაერცელებულია, იგი მრავალგზის არის ასახული, ყოველივე ამის გამო სავსებით მოსალოდნელი იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელში ღვთისმშობელთან თამარის დაკავშირება. ამ მხრივ საინტერესოა თვით თამარ მეფის იამბიკოები, რომელშიც მეფე ქალი მიმართავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, როგორც დედა დედას და შესთხოვს მფარველობას ძითურთ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში გამოსახულ ფრესკაზე თამარი დედოფლისა და ქალწულის სახითაა წარმოსახული. ფრესკის მიხედვით, თამარს ხელთ უპყრია ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოდელი[40]. ეს ტაძარი კი ვარძიის უმთავრესი სულიერი ცენტრი იყო. რ. სირაძის თვალსაზრისით, „მისი მფარველი მთელი ვარძიის სულიერ მფარველადაც უნდა ჩათვლილიყო“[41]. ვარძიის ზეციური მფარველია ღვთისმშობელი, აქედან გამომდინარე, თამარის სახებასაც ახლებური შინაარსი ენიჭება. „სამეფო სასახლეები თამარის საერისკაცო სამყოფელი იყო, ვარძია კი სულიერალმსარებლობითი სავანე“[42].

„გალობანი ვარძიისა ღვთისმშობელისანი“ გვამცნობს: „ეკლესიისაჲ რქაჲ ამაღლდა და განავრცნა თმოგჳსა შორის ტაძარი დედოფლისაჲ“, რომელსაც ორგვარი გააზრება ეძებნება, რადგან მასში უწინარეს ყოვლისა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იგულისხმება, ხოლო ალეგორიულად თამარია მინიშნებული. „თმოგჳსა შორის ტაძარი“ ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარია, რომელიც რ. სირაძის მიერ თამარის სულიერ სახლადაა მიჩნეული. ღვთისმშობლის ზეციური დედოფლობა ნაწინასწარმეტყველებია 44-ე ფსალმუნში: „დადგეს დედოფალი მარჯუენით შენსა სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ“ (ფს. 44, 10). უნდა აღინიშნოს, რომ ვარძიის ფრესკაზე თამარი გიორგი მესამის მარჯვნივ დგას, რაც ალეგორიული გააზრების საფუძველს უთუოდ ქმნის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ღვთისმშობლის დაუჯდომლის“ ის ტროპარი, რომელშიც ღვთისმშობელი უგვირგვინო დედოფლადაა მოაზრებული: „გიხაროდენ, დედოფალო უგვირგვინოვ, უსძლოო სძალო“. ანტინომიურ პრინციპზე დამყარებული სიმბოლოს გამოყენებით ღვთისმშობლის დედოფლობისა და სძლობის წარმოჩენა ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებული ტრადიციული გამომსახველობითი საშუალებაა. წმ. იოანე დამასკელის 8 (21) სექტემბრის საკითხავში აბსნილია, რატომ მოიხსენიება ღვთისმშობელი დედოფლად: „გიხაროდენ, დედოფალო, რომელმან დედად ყოველთა უფლისა წოდებითა დედოფლობაჲ დაიმკჳდრე, რომლისათჳს უკუეთუ

38 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჟაიამ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963/1964, გვ. 262.

39 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 303.

40 გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, თბილისი, 1975, გვ. 67.

41 რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, გვ. 106.

42 რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა ..., გვ. 107.

ვინმე თქუას მონად შენდა ყოფაჲ ყოვლისა დაბადებულისაჲ, არა განვარდეს იგი წესიერებისაგან მეტყუელებისა"[43].

საგალობლიდან ჩანს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსაზღვრებაა ქალწული. ქალწულისაგან მესიის, მხსნელის შობის წინასწარმეტყველებას საფუძველი ესაიასთან დაედვა: „ამისთჳს თჳთ უფალმან მოგცეს სასწაული თქუენ: აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ" (7, 14), რაც სიტყვასიტყვით მეორდება მათეს სახარებაში (მთ. 1, 23). იოანე შავთელის საგალობელიც ახსენებს ესაიას წინასწარმეტყველებას, რომელმაც ქალწულისაგან მაცხოვრის შობა იწინასწარმეტყველა:

„ესაიამან, რომელსა ნაკუერცხალი
ბაგეთა მისთა შეახო სერაბინმან,
„ესე რა შობად ქალწული მიუდგეს", თქუა,
ლამპრებ მნათობი ღამისათაჲ, უხრწნელო,
ოხრით
ყურისა მიმართ მორწმუნეთაჲსა"[44].

სტროფში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიმბოლოდ დამოწმებულია „სვეტი ცეცხლისა// სვეტი ნათლისა", რომლის საფუძველია ბიბლიური მონათხრობი მოსე წინასწარმეტყველის მიერ ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა გამოყვანისას უდაბნოში ღამით ცეცხლის სვეტის//ნათლის სვეტის წინამძღოლობის შესახებ.

იოანე შავთელი აგრძელებს ჰიმნოგრაფიული პოეზიის, საერთოდ, საღვთისმეტყველო ლიტერატურის, ტრადიციებს და გმობს მათ, ვინც ვერ შეიცნო ჭეშმარიტება, ვინც მტრობს შობილსა და მშობელს, ვინც არ აღიარებს ქალწულისაგან შობას, რაც, თავის მხრივ, ეხმიანება მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს. წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის საკითხავები „შობისათჳს ღვთისმშობელისა" განმარტავენ ქალწულების არსსა და საიდუმლოს ანტინომიურ პრინციპთა გათვალისწინებით. ქალწულისაგან შობა „ზესთა არს", ე. ი. ღვთაებრივი მისტერიაა, რომლის მხოლოდ რწმენით აღქმა შეიძლება და რომელიც ღვთისაგან არის განგებული ადამიანის მიწიერი ბუნების, ცოდვილი სულის განსაახლებლად. ამისთვის იყო აუცილებელი უბიწოდ ხორცქმნა.

იოანე შავთელმა თავისი მიზნის მისაღწევად საგანგებოდ შეარჩია ისეთი მოტივები, რომლებიც შეიძლება ბასიანის ბრძოლას მიესადაგოს. ქართველთა გამარჯვება ბასიანის ომში ბიბლიურ პერსონაჟთა საქმეებთან არის შედარებული და საოცარი პოეტური ძალით, ღრმა ემოციურობითა და ამაღლებული განწყობილებით წარდგენილი მკითხველისა თუ მსმენელის წინაშე. ისინი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატ-სახეობრივი მიმართებით გამოირჩევიან: „ისრაილისა ზღჳს განმპებთა მათ დასთაებრ გიგალობთ". ეს ტაეპი მიგვანიშნებს მოსესა და აარონის მიერ ისრაელელთა აღთქმული ქვეყნისაკენ წაყვანისას მეწამული ზღვის განპებას, სამშვიდობოზე ებრაელთა გაყვანას და ეგვიპტელთა მოსრვას. ამას მოსდევს გალობა, რომელშიც ეგვიპტე მონობის სიმბოლოდაა დასახული. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიწმინდემ, მისმა მეოხებამ, მისგან ქრისტეს მოვლინებამ იხსნა კაცობრიობა, გაიყვანა ახალ გზაზე. ასევე, რუქნადინის დამარცხებამ გამარჯვებულ ქართველებს ახალი სამომავლო გზები დაუსახა.

„გალობანში ვარძიისა ღმრთისმშობელისანი" ჰიმნოგრაფი სახეთა პარალელიზმის გამოყენებით მიგვანიშნებს ძველი აღთქმის სიმბოლოებზე, რომლებიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის აღსანიშნავად გამოიყენება. პ. ინგოროყვამ პირველმა შეაჩერა ყურადღება პარალელურ სახეებზე, რომელთა მოხმობა ჰიმნოგრაფის მიერ მკითხველისა თუ მსმენელის ყურადღებას შეაჩერებს ყველაზე მთავარზე, ყველაზე მნიშვნელოვანზე. ამგვარი გამოყენება ხატ-სახეებისა თუ სიმბოლოებისა აღქმის პროცესს ახანგრძლივებს და აადვილებს, რადგან ისინი ერთსა და იმავეზე მიუთითებენ, ოღონდ სხვადასხვაგვარი მოვლენის შეხსენებით. ნ. ნაკუდაშვილის დაკვირვებით: „საგალობელში

43 ნ. გოგუაძე, ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 108.

44 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 303.

პარალელურ სახეთა მოხმობა მიზნად ისახავს დაფარულის განცხადებას, ღვთაებრივი საიდუმლოს წარმოჩენას. განვითარების პირველ ეტაპზე ჰიმნოგრაფია ამ მიზანს იმით აღწევდა, რომ სახეთა პარალელიზმის წევრებად ძველი და ახალი აღთქმის მოვლენებს აწყვილებდა, რითაც მათ ტიპოლოგიურ შესატყვისობაზე და ღვთაებრივი ჩანაფიქრის უწყვეტობაზე მიუთითებდა"[45].

ჰიმნოგრაფი ძველი აღთქმის ჰიპოდიგმებს იყენებს ევანგელური ხატ-სახეების პარალელურად. ამიტომ იოანე შავთელის „გალობანში" ღვთისმშობლის ჰიპოდიგმებია აარონის კვერთხი, მანანა, კიდობანი, ტაკუკი და სხვ., რომლებიც ევანგელურ მონათხრობთა სიმბოლურად ასახსნელად გამოიყენება.

იოანე შავთელის სიტყვები: „აჰრონის კუერთხი, ტაკუკი და სასანთლე, ერთბამად ტაბლა, კიდობანი, მანანაჲ, ბესელიელის უწყებითი კარავი ლტოლვილისა ერისაჲ ორკერძო ჴსნითურთ მოგასწავებდეს დედასა ღმრთისასა", – მთლიანად სახეთა პარალელიზმის პრინციპზე აგებული ტროპარია, რომელშიც ბიბლიური სახეები მხატვრული ფუნქციით დატვირთულად გვეელინება და სიმბოლურად ხსნის ახალი აღთქმის ეპიზოდებს. აარონის კვერთხად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოხსენიებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ღვთისმშობლის სიმბოლოდ მის მოაზრებას საფუძვლად დაედო რიცხვთა წიგნში მოთხრობილი ეპიზოდი, რომლიდანაც აარონის ღვთისაგან გამორჩეულობა დასტურდება (რიცხვ. 17, 2-8). აარონის კვერთხის განედლება, ყვავილ-ფოთოლთა და ნაყოფის გამოსხმა სიმბოლურად მიანიშნებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან ქრისტეს შობის წინასწარმეტყველებას. კვერთხის განედლება კაცობრიობის განახლების იდეას გულისხმობს, ჰიმნოგრაფთა მიერ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის აარონის კვერთხად მიჩნევით, კვერთხზე ტოტებისა და ნაყოფის გამოსხმით ძე ღვთისას, კაცობრიობის მხსნელის, განმაახლებლის მოვლინებადაა აღქმული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის არქეტიპებად საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ტაკუკისა და მანანას მოაზრება ქრისტეს შობის წინასწარმეტყველებას მოასწავებს (გამოსლვ. 16, 33). „ტაკუკი უფლისაჲ" არის შემნახველი, დამცველი მანანას მარცვლებისა, რათა შთამომავლობას გადასცემოდა იგი. ტაკუკი ღვთისმშობლის სიმბოლოა, რომელმაც კაცობრიობას მისცა მხსნელი, იესო ქრისტე, ვითარცა პური ცხოვრებისა. სასანთლეს, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიმბოლოს, საფუძველია „ქებათა ქების" სიტყვები: „ვინ არს, რომელი აღმოვალს უდაბნოთ, ვითარცა რტოჲ, კუამლი საკუმევლისა, შური და გუნდრუკი ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებელთასა?" (ქებ. 3, 6). სასანთლის სიმბოლიკის გააზრებისას შეიძლება ბასილი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული თხზულებიდან „გალობანი ევთჳმის მთაწმიდელისანი" ერთი ტროპარის დამოწმება, რომელშიც საღვთო და საღვთისმეტყველო სიმბოლოები წმინდანის შინაგანი ბუნების, ზეშთაბუნების გამომხატველად გვეელინება: „სანთელი ხარ მნთებარჱ სასანთლესა ზედა მაღალსა მღდელობისასა, ღირსო, და ჰნათობ, ვითარცა მზჱ ბრწყინვალედ"[46]. კიდობანი, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიმბოლო, გამოსვლათა წიგნის მიხედვით განიმარტება. ორი ქვის ფიცარი, რომელზეც ღვთის მიერ მიცემული მცნებებია წარწერილი, წინასწარმეტყველურად მოასწავებს ქრისტეს მოვლინებას, მის ორბუნებოვანებას, ხოლო კიდობანი, სადაც ქვის ორ ფიცარზე ორივე მხარეს ამოტვიფრული ღვთის მცნებები ინახება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიმბოლოა. „ბესელიელის უწყებითი კარავი ლტოლვილისა ერისაჲ" კი ისევ გამოსვლათა წიგნის საფუძველზე განიმარტება. აქ მოთხრობილია, თუ როგორ ააგებინა ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველს კარავი სინას წმინდა მთაზე ეგვიპტიდან ლტოლვილი ერის გადასარჩენად, კარვის აგება ღვთივსულიერებით, სიბრძნით, გონიერებით, ხელოვნებითა და ოსტატობით გამორჩეულ ბესელიელს დაეკისრა. იგი ჩამომავლობითაც გამორჩეული იყო, იუდას ტომიდან, რამაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გენეალოგიაშიც მოუპოვა მას ადგილი. უფალმა თავად მისცა მოსეს კარვის გეგმა. სწორედ ამ კარავში შეინახა მოსემ ღმერთის მიერ მიცემული მცნებები: „აჰა ესერა, მიწოდებიეს სახელით ბესელჱლ, ძჱ ორისი, რომელი-იგი არს ორეანი, ტომისაგან იუდაჲსისა. და აღვავსო იგი სულითა

45 ნ. ნაკუდაშვილი, ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, თბ., 1996, გვ. 124.

46 ქართული პოეზია, I, ს. ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1979, გვ. 135.

საღმრთოჲთა, სიბრძნითა და მეცნიერებითა და გულისჴმისყოფისა ყოველსა საქმესა. განზრახვად, ხუროთ-მოძღურებად, საქმედ ოქროჲსა მის და ვერცხლისა და რვალისა...“ (გამოსლვ. 31, 2-11).

ა. ბაქრაძემ იოანე შავთელის საგალობლის ერთ-ერთი სტროფის მაგალითით განსაზღვრა იაკობისა და კიბის (შეს. 28, 1-22), მოსესა და მაყვლის (გამოსლვ. 3, 1-22), გედეონისა და საწმისის (მსაჯ. 6, 1-40), დანიელისა და მთის (დან. 2, 45) ჰიპოდიგმურ ხატ-სახეთა ბიბლიური წარმომავლობა და მხატვრული ფუნქცია[47]:

„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე
მაყულად, დანიელ მთად, გედეონ საწმისად“[48].

იამბიკოს მომდევნო ტაეპებში ცეცხლის ბრძმედში სამი ყრმის ჩაგდებისა და ღვთის მიერ ანგელოზის საშუალებით მათი გადარჩენის ჰიპოდიგმით (დან. 3, 26-55; 3, 56-88) მინიშნებულია მაცხოვრის შობა და კაცობრიობის სულიერი ხსნა:

„ანგელოზისა მოსლვითა შეცურეულთა,
ცეცხლსა მას შინა ქადაგეს ყრმათა, რაჟამს
ხატი ოქროჲსაჲ გინებითა კდემულ-ყვეს“[49].

მთელი სტროფი ინფორმაციული თვალსაზრისით საოცრად დატვირთულია. ერთი მიზნით მოხმობილი ბიბლიური სიმბოლური სახეებით მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღება მიმართულია ერთისაკენ და ესაა ღვთისმშობლის სიმბოლური ხილვა, ღვთაებრივი მისტერიის ხილვა წინასწარმეტყველთა მიერ. წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის მსგავსად, იოანე შავთელი მიუთითებს, რომ იგავთა მეშვეობით შეიძლება ჭეშმარიტების წვდომა: „იგავთა მიერ ვპოვეთ ჭეშმარიტებაჲ, იყო სადამე საჴუმილი ნეტარებისა ღირსთა ჭაბუკთა“[50].

წმიდა მამათა მოძღვრებების მიხედვით, ძველ აღთქმაში იგავურად არის მინიშნებული ახალი აღთქმის მოვლენები, მათი წვდომის შესაძლებლობა იგავურ ასახვაშია. აქედან გამომდინარე, „იგავის“ ცნების ბიბლიური გაგების ტრადიცია, რაც ღვთისმეტყველთა შრომებში აისახა, არეკლილია იოანე შავთელის „გალობანში“, სადაც ჭეშმარიტების წვდომის საშუალებად მიჩნეულია იგავი.

საგალობელში ყურადღებას იმსახურებს „ახალი გზის“ სიმბოლიკა. „ახალმან გზამან აღზღუდჳთა წყალთაჲთა, ნავთ მავლობისა ღმრთისაგან გამოსახჳთ გჳრუენა უცხოჲ ედემისა გზა-ყოფაჲ ლაღისა მის მდოვრისაჲ, ოტებულთა შენ მიერ, ქალწულო, ზესთა კურთხეულო“. ჰაგიოგრაფიულ მონაცემთა გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრულია გზის სიმბოლური მნიშვნელობა[51], რომლის თანახმად, შუა საუკუნეების ლიტერატურაში გზის გავლა, განსაცდელთა დაძლევა იდეალთან მიახლებად მოიაზრებოდა, რადგან ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანმა დაკარგული ღვთაებრივი „მე“-ს, ღვთაებრივი სამოსლის დაბრუნებაზე უნდა იზრუნოს. ასევეა ჰიმნოგრაფიაშიც. ატრიბუტის „ახალი“ გამოყენებით აქ შეინიშნება ქრისტეს მცნებათა გზად სვლის მოტივი. გზასთანაა დაკავშირებული დაკარგულ ფასეულობათა ძიება. ადამიანი მიილტვის სრულყოფისაკენ, სულიერი ამაღლებისაკენ; ადამიანური ბუნების, მისი სახის იდეალურად წარმოსაჩენად აუცილებელია ღვთის შემწეობა. იგი უნდა წარუძღვეს ადამიანს სრულყოფისა და სიმართლის გზაზე, რის შემდეგაც მან უნდა შეძლოს თავისი ღვთაებრივი „მეს“ პოვნა, დაკარგული ღვთაებრივი სამოსლის აღდგენა. პირველსატანთან ადამიანის მიახლებისათვის ორი ფაქტორია აუცილებელი – თავისუფალი ნება და ღმერთის დახმარება, შეწევნა, რასაც ღმერთი სიკეთით, სათნოებით ავლენს, ხოლო ღმერთის სათნოება ადამიანს უჩვენებს ხსნის გზას და აძლევს ძალას განსაცდელთა დაძლევისა, რაც

47 ა. ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრებ.: პოეზია, თბ., 1981, გვ. 56-67.

48 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 304.

49 იქვე, გვ. 304.

50 იქვე, გვ. 304.

51 რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 188; ქართული მწერლობა, I, თბ., 1987, გვ. 712-713; ქართული მწერლობა, II, თბ., 1988, გვ. 441.

თავისთავად აახლოებს იდეალთან. გზა სასუფევლისაკენ, ჰიმნოგრაფთა სიტყვებით, „საღმრთო გზა“, „ქრისტეს მცნებათა გზა“, „გზა ცხოვრებისა“, „გზა სიმართლისა“, „ახალი გზა“ ადამიანის ცოდვებისაგან განწმენდის გზაა, იდეალურის წვდომის გზაა, რაც საერო მწერლობაშიც, კერძოდ – სახოტბო პოეზიასა და „ეფხისტყაოსანშიც“ უმნიშვნელოვანეს მხატვრულ-ესთეტიკურ დატვირთვას იძენს.

იოანე შავთელის საგალობლის მიხედვით, ქალწულის მიერ ქრისტეს შობით კაცობრიობისათვის ახალი გზა დაისახა, ეს არის გზა დაკარგული ცხოვრებისაკენ, ცხოვრების ხისკენ, ღვთაებრივისაკენ, რაც სულისა და სამშვინველის შერწყმას ნიშნავს, სულიერ ქორწინებას მოასწავებს, რის შედეგადაც მათ უბრუნდებათ ცოდვით დაცემის შედეგად დაკარგული პირველსახე. ახალი გზა ქრისტეს გზის სიმბოლოა, რომელიც ედემის დაბრუნების საშუალებას აძლევს კაცთა მოდგმას. ედემის „უკუმოღების“, ანუ დაბრუნების მოტივი ასახულია ძლისპირებსა და ღმრთისმშობლისანებში: „შენდა მომართ იხარებენ, ღმრთისმშობელო, მამა-დედანი კაცთანი, რამეთუ უკუ-მოიღეს ედემი შენ მიერ, რომელი წარეწყმიდა ურჩებითა“[52]. ადამისა და ევას მიერ დაკარგული ედემის დაბრუნების საშუალება კაცობრიობას მიეცა ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობით.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სამადლობელ საგალობელს გასდევს კაცობრიობის ხსნის მოტივი, რომელიც ესოდენ გავრცელებულია სასულიერო პოეზიაში. ამიტომ უწოდებს ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს „ევაჲს ცოდვსა დამწსნელს“, რომელმაც ქრისტეს შობით „ევას მიუზღო ვალი“ (ბორენა), რადგან შვა ადამის ცოდვათა „აღმხუმელი“ – მაცხოვარი, ქრისტე.

„ხოლო მე ჴმითა ქებისაჲთა გიმსხუერპლე,
ევაჲს ცოდვსა დამწსნელო, რაოდენი
ლმობიერებით აღთქუეს ბაგეთა ჩემთა“.

საგალობლის ამ სიტყვებში უსისხლო მსხვერპლშეწირვის თემაა განვითარებული, ხოლო ბოლო ტროპარი სულიერი ხსნის მოტივს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან მხსნელის, მესიის შობის მოტივს ასახავს: „ადამის ჴსნაო და ევაჲს აღდგომაო“, – მიმართავს ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს და მისგან შენდობას მოელის, ვითარცა „გამომთქუმელი“ საგალობლისა.

„საგალობელთა ამათ შესხმათა მიერ
ადიდებს სული ჩემი შენგან შობილსა,
გალობს ტაძარი შენი, ყოველად უხრწნელო,
ადამის ჴსნაო და ევაჲს აღდგომაო,
ნიჭად მომმადლე შენდობაჲ გამომთქუმელსა“.

ამ იამბიკოს საფუძველი ლუკას სახარების ის სიტყვებია, რომელიც ჰიმნოგრაფიული კანონის მეცხრე გალობის თემას დაედო საფუძვლად (ლუკა, 1, 46-48). „ადამის ჴსნისა და ევაჲს აღდგომისა“, „ევაჲს ცოდვათა დამწსნელის“ – ღვთისმშობლისაგან იშვა ხორცშესხმული ღმერთი. ევას ცოდვას ქალწულმა დედამ უზენაესი სიწმინდე, უცოდველობა დაუპირისპირა; ევამ ცოდვა დაჰბადა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა – კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველი. ამავე მოტივს ეხება დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ყველა ტროპარი. დავიმოწმებ ერთ-ერთ მათგანს: „ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაჲ განაზრქე ჴორცითა და კარვითა მიწისაჲთა, სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცუე, რაჲთა მონანული შეგიერდე შენ“[53]. ამასვე შეეხებოდა ბორენას იამბიკო. ჰიმნოგრაფიაში გაერცელებული მოტივები, ხატ-სახეები, სიმბოლოები, ალეგორიები, სამეტყველო ენა განსაზღვრულია, ამიტომ იოანე შავთელი საგალობელში ღვთისმშობლის მიერ ევას ცოდვათა გამოსყიდვის მოტივით იმას მიუთითებს, რომ ქალის ცოდვა ქალმა გამოისყიდა.

იოანე შავთელი საგალობელში ქრისტეს ხორცშესხმას აღიქვამს, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ნიჭს“, ანუ საჩუქარს: „მაშინ არა განმლეველ ეკლის-სახედთა შეწუვადთა

52 ნევმირებული ძლისპირნი, გ. კიკნაძის გამოც., თბ., 1982, გვ. 175.

53 ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი...“, გვ. 214.

ეწუვებოდეს რაჲ ჯორცთა ნიჭად შენგან ჯორცშესხმადისა“. ხორცშესხმა//განკაცება ქრისტეს ადამიანურ ბუნებას გამოხატავს. იგი მიუთითებს სიტყვის, ლოგოსის განსხეულების არსს, ღვთაებრივისა და კაცებრივის შეერთებას. უნდა აღინიშნოს, რომ „განკაცება“ უფრო ღრმა შინაარსის შემცველია, რადგან იგი ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ ბუნებას შერწყმულად წარმოაჩენს. ვფიქრობთ, რომ „ხორცის“ სინონიმად „თბეს“ გამოყენება-დამკვიდრებას ამანაც შეუწყო ხელი. საგალობლის ამ ტაეპებში მოსეს მიერ ალმოდებული მაყვლის („ეკლის“) ხილვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობისა და ქრისტეს განკაცების მისტერიაა ასახული. ღვთისმშობლისაგან, ვითარცა უბიწოსაგან – იგი გამოიხატება მის ზედწოდებაში „ყოვლადწმინდა“, „ქალწული“ – მაცხოვრის, ვითარცა ძე ღვთისასა და ძე კაცისას, საგალობლით – „ღმერთკაცის“, შობამ უნდა დაუბრუნოს პირველსახე ყოველ არსს.

ღვთისმშობლისაგან მაცხოვრის შობა ჰიმნოგრაფიაში აღქმულია სულიერი ტყვეობისაგან განთავისუფლებად, რასაც ჰიმნოგრაფი გამოხატავს როგორც საკუთრივ საგალობელში, ასევე აკროსტიქში. იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ევედრება სულიერი ტყვეობიდან დახსნას, სოფლის მღვიმეთაგან აღმოყვანას, რათა განახლდეს სული ცოდვილისა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მეცხრე გალობის ერთ-ერთი ტროპარი:

„უჩინოთაგან მღვმეთა სოფლისთა
ექსორიობაჲ ჩემი აღმოიყვანე,
ორბებ განახლდი სიჭაბუკე სულისაჲ,
ბრალთაგან მიჴსენ ძლიერმან, დიდებულო,
ინებე ყოფად ჩემ შორის, უბიწოო.“

ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს წუთისოფლის უჩინარ მღვიმეთა შორის ყოფნისაგან განთავისუფლებას შესთხოვს. ეს მოტივი ფსალმუნიდან მომდინარეობს: „მიჴსენ მე თიჴისაგან, რაჲთა არა დავინთქა; განვერი მე მოძულეთა ჩემთაგან და სიღრმეთაგან წყალთაჲსა. ნუ დამნთქამნ მე მორევი წყალთაჲ, ნუცა შთანთქამნ მე უფსკრული, ნუცა შეიყოფნ ჩემ ზედა ჯურღმული პირსა მისსა“ (ფს. 68, 15-16). ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მღვიმე და გამოქვაბული; მღვიმე ბუნებრივია, კაცის ხელით ქმნილი არ არის, ხოლო გამოქვაბული, ქვაბი ადამიანის ხელითაა გამოკვეთილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მღვიმე, გამოქვაბული ამობრუნებული მთაა, მღვიმე, უდაბნოს მსგავსად, ადამიანის სულიერი გამოცდის ადგილია[54]. ადამიანის უპირველესი მიზანი მღვიმიდან თავის დაღწევისა და იქედან სულის აღმოყვანისთვის ზრუნვაა. ვინ შეძლებს ამას, ვის ხელეწიფება იგი, ვინ იქნება ამის ღირსი? მხოლოდ ზნესრული ადამიანი. ამგვარი ადამიანის რაობას განმარტავენ მე-14 და 23-ე ფსალმუნები: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკჳდროს მთასა წმიდასა შენსა? – რომელი ვიდოდის უბიწოდ და იქმოდის სიმართლესა და იტყოდის ჭეშმარიტსა გულსა შინა თჳსსა; რომელმან არა ზაკუა ენითა თჳსითა და არცა უყო მოყუასსა თჳსსა ბოროტი და ყუედრებაჲ მახლობელთა მისთა ზედა არა მოიღო“ (ფს. 14, 1-3); „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? – უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თჳსსა“ (ფს. 23, 3-4); ხოლო 50-ე ფსალმუნი მთლიანად ცოდვათაგან განწმენდის, სულის ხსნის მოტივს ეძღვნება. იოანე შავთელის ზემოხსენებული ტროპარის უშუალო წყარო ფსალმუნის შემდეგი სიტყვებია: „უფალო, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი და მიჴსენ მე მათგან, რომელნი შთავლენან მღჳმესა“ (ფს. 29, 4).

იოანე შავთელის საგალობელში სხვაგანაც არის სულის ხსნაზე ყურადღება გამახვილებული:

„ძნელოვანთაგან უბადრუკებისათა
იჴსენ ცხორებაჲ ჩემი, ღმრთისა დედაო“.

წუთისოფლის მღვიმეთაგან განთავისუფლება სულიერი განახლების მაუწყებელია, რაც ფსალმუნური მოტივის მიხედვით „ორბებ განახლებითაცაა“ ასახული იოანე შავთელთან.

54 რ. გენონი, მთა და გამოქვაბული, გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, №39, 1987.

ქრისტიანულ მწერლობაში ორბი განახლების, გაახალგაზრდავების სიმბოლოა, ხოლო მისი არქეტიპი 102-ე ფსალმუნის სიტყვებია: „რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულის-თქუმაჲ შენი, განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ (ფს. 102, 5). ორბის განახლების მოტივის წყაროდ ი. ლოლაშვილმა მიიჩნია წმ. ბასილი კესარიელის თხზულება „მზეცთათჳს სახის სიტყუაჲ“ და ქართლის კათოლიკოსის ბასილის „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთა“, რომელთა მიხედვით ორბის დაბერებისა და განახლების შესახებ არის საუბარი[55]. დემეტრე მეფის იამბიკოში წმ. შიო მღვიმელის შესახებ ნათქვამია: „ორბობს მოხუცი“. ორბი რომ დაბერდება, ფრთები დაუმძიმდება და თვალები დაეცვება, მოძებნის წყაროს წყალს და სამჯერ განიბანება: „შთაჴდის წყაროსა, დაიბანის სამჯერ და განჭაბუკდების“[56].

იოანე შავთელის „გალობანში“ აირეკლა პოლემიკა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხებზე, რაც საკმაოდ გავრცელებული ჩანს ჰიმნოგრაფიულ ჟანრშიც. იგი, როგორც კანონიკური ჟანრი ქრისტიანული მწერლობისა, ამხელს და გმობს მწვალებლებს, ღმერთისა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შესახებ არსებულ დოგმატურ შეხედულებათა განმაქიქებლებს. იოანე შავთელიც მიუთითებს ორიგენიზმის, არიოზობისა და ნესტორიანობის დამარცხებას:

„ოროგინესი შეიჩუენა სიცბილი,
ლმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს,
აექუნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა,
დადუმნა უღმრთოჲ და მოისპო კაცთაგან
წყევით
მკჳდროანსა მყოფთა ისწავეთ“.

ადრეული პატრისტიკის წარმომადგენელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი ორიგენე ალექსანდრიელი სტოიკურად ინტერპრეტირებულ პლატონის მოძღვრებასა და ნეოპლატონიზმს იყენებდა ქრისტიანული დოგმატიკის დასასაბუთებლად. ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოზმა უარყო ქრისტიანული დოგმა მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსებობისა და თანასწორობის შესახებ და გამოთქვა შეხედულება, რომ ქრისტე – ძე ღმერთი დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი, ადამიანის მსგავსად, შემდეგში შექმნილად მიაჩნდა. ბრძოლა ორიგენიზმისა და არიანელობის წინააღმდეგ საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რადგან იგი იდეოლოგიურთან ერთად სოციალურ მოძრაობებსაც გადაეხლართა. მართალია, კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ნესტორის ქრისტოლოგიური დოქტრინა ანტიოქიის თეოლოგიური სკოლის მოძღვრებას ემყარებოდა, მაგრამ იგი მაინც ვერ ასცდა ერესს. მისი თვალსაზრისით, იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, მასში სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა სიტყვა – ღმერთი (ლოგოსი), ამიტომ მარიამს უნდა ეწოდოს არა ღმრთისმშობელი, არამედ ადამიანისმშობელი ან ქრისტესმშობელი. წმ. კირილე ალექსანდრიელის ბრძოლისა და აქტიური მცდელობის შედეგად ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ 431 წელს დაგმო ნესტორიანელობა, რადგან მისმა მიმდევრებმა ვერ შეიცნეს ჭეშმარიტი აზრი. ამიტომ უწოდა იოანე შავთელმაც თავის საგალობელში ორიგენეს, არიოზს, ნესტორს, მათ მიმდევრებს „მტერნი შობილისა და მშობელისანი“. საგალობლის ის ტროპარი, რომელშიც ძე ღმერთისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შეუცნობლობაზეა საუბარი, კერძოდ: – „რომელმან და ვინ არა იცნას სიმართლე, თქუა ჴმამაღალმან, ვერ-ყოს ჭეშმარიტებაჲ, სიჩქარ ჰგონებდეს შეცდომილნი ამაოდ, მტერნი შობილისა და მშობელისანი“, – ეხმიანება კორინთელთა მიმართ პავლეს პირველ ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებას: „რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნით მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ მათ“ (I კორ. 1, 21). პავლე მოციქულის ამ შეხედულებას ჰიმნოგრაფები ხშირად იყენებენ. ახალი აღთქმის მიხედვით, კაცობრიობას ღვთაებრივი სიბრძნე მოცემული ჰქონდა ბუნებაში. ადამიანი უნდა მისულიყო სამყაროს შემოქმედის შეცნობამდე, მაგრამ სოფლით

55 ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, გვ. 193.

56 წმ. შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი დემეტრე მეფის იამბიკოს სახისმეტყველება განხილული გვაქვს ნიგნში „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“, გვ. 40-41.

გატაცებული ადამიანის გონებამ ვერ შეძლო მისი შეცნობა, რასაკვირველია, ვერც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა. ამიტომ არიან ისინი, იოანე შავთელის სიტყვით, „შეცდომილნი".

„გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი" სიახლოვეს ამყღავნებს ფსალმუნთან. საგალობლის სიტყვები: „აექჳნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა", ფსალმუნთა მუხლების გამოხმაურებაა: „განჴმა, ვითარცა კეცი, ძალი ჩემი და ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა აექუა და მიწად სიკუდილისა შთამჴადე მე" (ფს. 21, 16; შდრ.: ფს. 136, 6). ამ ფრაზას – „აექუნ ენაჲ სასასა" - ჰიმნოგრაფები ძირითადად ქრისტიანული მრწამსის მგმობელთა სამხელად იყენებენ და ასეა იოანე შავთელთანაც.

იოანე შავთელის მიერ ერეტიკოსთა ხსენება და გმობა დაკავშირებულია ბასიანის ბრძოლასთან. ქართველებმა სძლიეს რუქნადინს მის მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთად, რაც საგალობელში საზოგადოდ საქრისტიანოს გამარჯვებადაა აღქმული. ჰიმნოგრაფის იდეოლოგიური თვალსაზრისი საესებით გამჭვირვალეა: როგორც ორიგენეს მცდარი აზრი იქნა მხილებული და უარყოფილი, არიოზს დავრდომილობის ღმობა ეწვია, ხოლო ნესტორს ენა სასაზედ აეკრა, ე. ი. დამარცხდა ერესი, რადგან მათ ღვთაებრივი დოგმები ხელყვეს, ასევე ღვთისმშობლის ოხითა და შეწევნით დამარცხდნენ უცხო ტომის წარმომადგენლები, მოისრნენ აგარეანნი: „აწ განვისვუენო დღისა მის წილ ჭირისა აღსლვასა ჩემსა და მრესახეობისაგან ქალდეველთა მათ სპარსთა (ვარ.: პართთა) და სომეხთასა, აგარის ტომთა ლეგეონი მოიშთვის წყლითა ოხათა შენთაჲთა, დიდებულო". ჯვარმა, მოციქულებმა სძლიეს უსჯულოებას, რის შედეგადაც აღბორგებული ერი შეძრწუნდა და წმიდა ეკლესია ამაღლდა:

„შეედვა ძრწოლაჲ
ერსა აღბორგებულსა,
მოაკლდეს მათნი ცხოვარნი სამწყსოჲსაგან,
არა იცნა რაჲ ჴარმან ჴმაჲ, ვირმან ბაგაჲ.
ეკლესიისაჲ
რქაჲ ამაღლდა და განავრცნა
თმოგჳსა შორის ტაძარი დედოფლისაჲ"[57].

ფრაზა – „ლამპრებ მნათობი ღამისათაჲ" – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მიემართება და ღვთისმშობლის სულიერ მანათობლად მიჩნევის თეოლოგიურ-ლიტერატურულ ტრადიციას აგრძელებს. ღვთისმშობელია ბნელის განმანათლებელი, მის მიერ იესეს ძირის განახლებით აღსრულდა წინასწარმეტყველთა აღთქმები, ხილვები. იგი მიუთითებს, რომ იესეს ძირი „აღყუავილნა", ნაყოფიერ იქმნა, ყვავილის ხანმოკლე არსებობა და ფოთოლცვენა წუთისოფლის წარმავლობასა და ამქვეყნიური დიდების ამაოებაზე მიანიშნებს, ხოლო „აღყუავილება" მუდმივი განახლების მაუწყებელია. იესესა და დავითის ძირისაგან აღმოცენდა ძე ღვთისა, რომლის მოვლინება, როგორც მესიისა, მხსნელისა, წინასწარმეტყველთა წიგნებში ხშირად წარმოისახება სიმბოლურად. ამიტომ შემთხვევითი არ არის თხზულების მეხუთე გალობაში იესეს ძირისა და დავითის ხსენება იოანე შავთელის მიერ, რაც ასახავს ქართულ საისტორიო მწერლობაში მიღებულ თვალსაზრისს ქართველ მეფეთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებ.

იოანე შავთელის გალობაში საუბარია იონას წინასწარმეტყველების თემაზე, ვეშაპის მუცელში მყოფი იონას ლოცვაზე, რომელიც უდიდეს ბიბლიურ სასწაულს გულისხმობს. აღდგომის იდეა ორი ბიბლიური პასაჟითაა წარმოსახული:

„ოხათა შენთა ძლიერებითა ვიჴსენ
ბავთისა მისგან დილეგისა, ვითარცა
ელიაჲს მიერ პირველ სიკუდილისაგან,
ლოცჳთა იჴსენ იონა, უბიწოო,
ოჴერ იქმნეს რაჲ ბორკილთა სიმტკიცენი
ვითარცა მუცლით ჯოჯოხეთისაჲთ გესმა,

57 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 302.

ანუ ვითარცა ვეშაპით, ვედრებაჲ ჩემი,
რომლისა კლიტე – საუკუნე მოქლონნი"[58].

ჰიმნოგრაფი მიმართავს ღვთისმშობელს, რომ მისმა ძლიერებამ და მისადმი ვედრებამ იხსნა ბოროტისაგან ქართველი ერი, როგორც ელია წინასწარმეტყველმა თავისი პირველი სასწაულით აღადგინა ქვრივი დედაკაცის შვილი, როგორც იონა წინასწარმეტყველი იხსნა ლოცვამ, როდესაც იგი ვეშაპის მუცელში იყო სამი დღის განმავლობაში (იონა, 2, 1-11); ვეშაპმა იხსნა იონა ზღვის ღელვისას დალუპვისაგან. იონა წინასწარმეტყველს უკავშირდება ნინეველთა თემა, რასაც იოანე შავთელი სიმბოლურად იყენებს:

„იონა ექმნა სასწაულ ნინეველთა,
სახედ სამ დღისა აღდგომისა მჴსნელისა,
აქა მექმნა მე სასწაულ ღმრთივ-დიდებული"[59].

ნინეველნი თავიანთი უსჯულოების გამო განწირულნი იყვნენ, მაგრამ ღვთის ჩაგონებით იონამ ურჩია მათ ცოდვათა მონანიება, რის შემდეგაც ღმერთი შეუნდობდა. ნინეველთა მეფემ თავის ხალხს მისცა მაგალითი, ტახტიდან ჩამოვიდა, სამეფო სამოსლისაგან განიძარცვა და ჯვალო ჩაიცვა, ნაცარზე დაჯდა, მთელს ნინევიაში საყოველთაო მარხვა და გლოვა გამოაცხადა, ყველას ურჩია ბოროტების გზის დაგდება. ღმერთმა დაინახა მათი სინანული და შეუნდო ჩადენილი ცოდვები.

იოანე შავთელი გადმოსცემს ქრისტეს მოვლინების წინასწარმეტყველებას, ღმერთის სიძლიერესა და ადამიანთა მიმართ მის მფარველობას სახეთა პარალელიზმის საშუალებით და საამისოდ მოიხმობს ნაბუქოდონოსორის მიერ დეირის ველზე აღმართული ოქროს კერპის თაყვანისცემის უარყოფის გამო დასჯილი სამი ყრმის ღვთისაგან დაცვის მაგალითს, თუ როგორ მოევლინა ზეციური ნიავი ბრძმედში ჩაყრილთა და გადაარჩინა ისინი, ხოლო ყველა ის მსახური თუ მხევალი, ვინც კი ბრძმედს სიახლოვეს გაეკარა, ყველანი ცეცხლში ჩაცვივდნენ და დაილუპნენ. სიმართლე სამი ყრმის მხარეს იყო, ისინი ღმერთს ემსახურებოდნენ და იხსნა კიდეც ღმერთმა ქალდეველთა სახმილისაგან. ეს თემაცაა ასახული იოანე შავთელის საგალობელში. ბიბლიური ენოქის, ნოესა და მოსეს ხსენებაც სახისმეტყველებითი პრინციპებით უნდა განისაზღვროს:

„ენოქ ესვიდა და გარდაცუალა ღმერთმან,
ნოე აცხოვნა ნათესავი ცხოველთაჲ,
მოსეს ჴელითა იჴსნნეს ისრაიტელნი"[60].

ენუქი ღმერთმა გამოარჩია ისრაელთა შორის: „და სათნო ეყო ენუქ ღმერთსა და არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან" (დაბ. 5, 18-24). ნოემ ღვთის მითითებითა და რჩევით ცოცხალი არსის ყველა სახეობა გადაარჩინა, რითაც მინიშნებულია კაცობრიობის ხსნისა და მარადიული განახლების იდეა; მოსე წინასწარმეტყველის მიერ ღმერთის რჩეული ერის – ებრაელების გადარჩენაზე გამოსვლათა წიგნი მოგვითხრობს, რასაც იოანე შავთელიც მიუთითებს საგალობელში. ჰიმნოგრაფი საგანგებოდ ახსენებს ისეთ პერსონაჟებს, რომელნიც კაცობრიობას სულიერ განმაახლებლად მოევლინნენ. ახალი აღთქმის კოსმიური მოვლენების პარადიგმები ძველი აღთქმის ჰიპოდიგმური ხატ-სახეობრივი მოვლენებიდან მომდინარეობენ, ამიტომ ნოე და მოსე ქრისტეს, მაცხოვრის წინასახეებია, რადგან როგორც ნოემ და მოსემ იხსნეს ებრაელთა სულიერება, ასევე ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებამ, მისმა განკაცებამ ადამიანებს მისცა შესაძლებლობა სულიერი ხსნისა, განღმრთობისა.

იოანე შავთელმა ქრისტიანული სარწმუნოების ყოვლისმძლეველობა, მის მიერ სხვა რელიგიათა დამარცხება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ულუმპიანი მძლეობაჲ მოგუენიჭა"..., რომელსაც ლოგიკურად აგრძელებს მომდევნო ტროპარი: „იძლევის ბრძენთა მეტყველებაჲ"... საგალობელში,

58 ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 303.

59 იქვე, გვ. 303.

60 იქვე, გვ. 304.

საზოგადოდ, თითქოს მოულოდნელია ანტიკურობის გამოძახილი. მაგრამ საგულისხმოა, რომ XII საუკუნის I მეოთხედის მიწურულს, 1124 წელს დაწერილ საგალობელში დავით აღმაშენებელმა საკუთარი თავი ცოდვილად იმ მხრივაც წარმოაჩინა, რომ ელინთა მსგავსად ღმერთი ვერ შეიცნო და კერპს ემსახურა: „ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ და შემოქმედისაგან შექმნილთა მიმართ ცვალებაჲ თაყუანისცემისაჲ სრულვყავ, რაჟამს თითოეულისა ვნებისა კერპსა ეჰმსახურე“. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ არსენ ბერის თხზულებაში „მეფესა დავითს – მონაზონი არსენი“ დავითი შედარებულია აქილევსთან, ალექსანდრე მაკედონელთან: „უბრძოველ, ვითარცა აქილლევ ელლენთა შორის. უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის... განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“... რასაკვირველია, დავით აღმაშენებელმა, არსენ ბერმა, იოანე შავთელმა ზედმიწევნით იცოდნენ ძველბერძნული ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც ქრისტიანობამ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა, მან ცნო ელინური სიბრძნის ღირსებები და შეითვისა მხოლოდ ის, რაც მისაღებად მიიჩნია თავისი თეორიული დებულების განსამტკიცებლად.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ შესავალში ნათქვამია: „და პირველად უკუე ელლენთა ბრძენთანი დავსხნე ურჩეულესნი, ვითარცა მეცნიერმან, ვითარმედ რაოდენი-რაჲ არს კეთილი, ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებულ არს კაცთა და, ვინაჲთგან ყოველი მოცემაჲ კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამომავალ მამისაგან ნათელთაჲსა“[61]. აქ ანტიკური ფილოსოფიის ადგილი და როლი ქრისტიანული მოძღვრების პოზიციებიდანაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, იოანე შავთელის სიტყვები: „იძლევის ბრძენთა მეტყველებაჲ“ – გულისხმობს ანტიკურ სიბრძნეს, ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევს, არაქრისტიანთა ნააზრევს, პლატონის მიმდევართა, სტოიკოსების, ეპიკურელთა თვალსაზრისს, აგრეთვე, მწვალებლურ შეხედულებებს, რომლებიც სძლია ქრისტიანობამ, რადგან, ქრისტიანული მრწამსით, ღვთისმეტყველება გამოცხადების გზით იღებს თავის საფუძვლებს უშუალოდ ღმერთისაგან და არა სხვადასხვა მეცნიერებებისაგან.

ჰიმნოგრაფიაში ამგვარი თემისა თუ მოტივის – წარმართული ფილოსოფიის გამოყენების თემის არსებობა საკმაოდ უჩვეულოა, იგი იშვიათად თუ გაკრთება ამ ჟანრის თხზულებებში. მასზე ყურადღების შეჩერება იოანე შავთელის საგალობელში განპირობებულია ეპოქის სულისკვეთებით. „ულუმპიანი მძლეობაჲ მოგუენიჭა“ – სიმბოლურად ქართველთა გამარჯვებას მიანიშნებს, რასაც მომდევნო ტაეპებიც ადასტურებენ; აქ ნათქვამია, რომ მტრის ლახვარი და ფარები დაიმტვრა, ირმებმა ტყეებში სირბილით ფეხები განიმტკიცეს, გაიმაგრეს, ურჩ ეტინეველთ ალი აღეგზნოთ, საყდართა რისხვით დაემხნენ ურწმუნონი, მტერი დამარცხდა, რა თქმა უნდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წყალობით. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ეპოქის საისტორიო მწერლობის მონაცემები და ტენდენცია, კერძოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი „ულუმპიანობას“ მეფეთა თვისებად მიიჩნევს. გიორგი მესამისა და თამარ მეფის სახეებს „ულუმპიანობით“ ამკობს, რაც უზესთაესის, აღმატებულის, ოლიმპიური დიდების გამოვლენაა[62].

იოანე შავთელის საგალობელი ღრმა სიმბოლურობით გამსჭვალული პოეტური თხზულებაა, რომელიც მსმენელისა თუ მკითხველის გულსა და გონებას წარმართავს უნივერსალურისაკენ, ღმერთისაკენ, ღვთისმშობლისაკენ. იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამადლობელი საგალობელია, მასში გამოვლენილია ავტორის ხატ-სახეობრივი აზროვნება და პოეტური კულტურა, რაც იმის შედეგია, რომ ჰიმნოგრაფი ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების ტრადიციულ გზას მიჰყვება.

თმოგვი. თმოგვის ციხე-ქალაქს ფლობდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი საგვარეულო – თმოგველთა საგვარეულო, რომელმაც ორი ცნობილი პიროვნება მისცა ქართულ ლიტერატურას: **1. სარგის I თმოგველი** და **2. სარგის II თმოგველი.** სარგის თმოგველი (პირველი)

61 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოც., თბ., 1976, გვ. 5.

62 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1-2; 15; 26-27; 37; 65; 75.

ყოფილა მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ვარამ მხარგრძელის შვილი, რომელსაც თმოგველობა 1191 წელს მიუღია.

XII-XIII საუკუნების მიჯნის თხზულებებიდან ცნობილია „დილარგეთიანი“, რომლის ავტორისა და დაწერის თარიღის შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. კერძოდ, თხზულება მხოლოდ ორგან იხსენიება: „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულსა და ჩახრუხაძის „თამარიანის“ VII თავში. ***სარგის I თმოგველი*** „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ბიბლიოგრაფიულ სტროფში დასახელებულია დილარგეთიანის დამწერად და აღნიშნულია, რომ ქართული ორიგინალური თხზულების „დილარგეთიანის“ შექმნის გამო იგი ენადაუშრომელ შემოქმედად არის მიჩნეული: „დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“, რაც იმას მიუთითებს, რომ იგი შესანიშნავი პოეტი უნდა ყოფილიყო. ჩახრუხაძის „თამარიანის“ ერთ-ერთ სტროფში აღნიშნულია:

თუ ვერვინ გნახის, მით ივაგლახის, შეიქმნებოდის განცვიფრებულად;
მოუბარისა მის მდუღარისა დილარისაგან აღშფოთებულად
თავსა კლვად სდებდეს, ხვეჭით ეძებდეს შენსა ნახვასა მიახლებულად[63].

ჩახრუხაძის სიტყვით, „დილარგეთიანის“ ავტორი „გულმდუღარე მოუბარია“, თუმცა, ჩახრუხაძე არ ასახელებს ავტორის გვარ-სახელს, სარგის თმოგველს. „თამარიანის“ ეს სიტყვები ეხმიანება ფსევდორუსთველურ სტროფს, რომელშიც იგი მიჩნეულია „ენადაუშრომელ“ მთხრობელად. თავის მხრივ, „ენადაუშრომელობა“ დიდი, მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემას უნდა გულისხმობდეს, რის შესახებაც შოთა რუსთველი თავისი პოემის დასაწყისში გვამცნობს, რომ ჭეშმარიტ პოეტს უნდა ხელეწიფებოდეს „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. სწორედ ამგვარ თხზულებათა ნიმუში უნდა ყოფილიყო სარგის თმოგველის არმოღწეული თხზულება. სარგის თმოგველს ზოგი მეცნიერი პოეტად იხსენიებს, ზოგიც – პროზაიკოსად. ამჟამად მის შესახებ ცნობების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. ი. ლოლაშვილის სიტყვით, საყურადღებოა, აგრეთვე, „ამირანდარეჯანიანის“ გაგრძელებათა ციკლის ერთ-ერთი ნაწილის „ჯიმშერიანის“ ცნობაც, რომელიც დილარ ჭაბუკის შესახებ აღნიშნავს: „სიმხნენი და გოლიათობანი თითოეულად აღწერილი არს სარგის თმოგველისაგან“[64]. ცნობებს სარგის თმოგველის შესახებ გადმოგვცემენ მამუკა თავაქალაშვილი XVII საუკუნის შუა წლებში და ანტონ I კათალიკოსი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კერძოდ, ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში“ წერს:

„სარგის ესეცა შოთაებრი არს კაცი,
სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოს-გამომთქმელ,
რიტორ-მშვენიერ, პიიტიკოს-საქებელ.
თჳთ შოთა იტყჳს: დილარგეთ უქია მას.
საქებ არს ესე თქმულთა მათთჳს მიზეზთა“[65].

ანტონი სარგის თმოგველს შოთა რუსთველის მსგავს შემოქმედად მიიჩნევს, მისი აზრით, იგი პოეტი ყოფილა, რომელსაც ფილოსოფიური, სიბრძნით აღსავსე წიგნი დაუწერია. სარგის თმოგველის ანტონისეული დახასიათება ავტორისათვის ჩვეული რიტორულ-სახისმეტყველებითი სტილითაა გადმოცემული. უცნობია, რა საფუძველი ჰქონდა ანტონ კათოლიკოსს, როდესაც ამ სტროფს წერდა.

ი. ლოლაშვილმა ყურადღება მიაქცია თეიმურაზ ბაგრატიონის მსჯელობას სარგის თმოგველის შესახებ, რომლის მიხედვით თეიმურაზს ცნობები სარგის თმოგველზე ძველ წიგნებში ნაუკითხავს თუ თანამედროვეთაგან მოუსმენია. იგი წერს: „სარგის (ანუ სერგიოს) თმოგველი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა. თმოგვი სამცხეს, ახალციხის საზღვარში არის (ციხე და მცირე ქალაქიც ყოფილა იქა). დილარგეთისა წიგნი მშვენიერი ზღაპარი შეუთხზავს სერგის თმოგველსა. დილარ

63 ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, გვ. 184.

64 ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული თხზულებანი და უცნობი ავტორები, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 230.

65 ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 281.

ჭაბუკი ვინმე ყოფილა ძლიერი და გვარეულობითა, ესე იგი ნათესაობით გეთი ანუ გუთი. დიახ, ჩინებული წიგნი ყოფილა დილარისა. და სხვანიცა წიგნნი აღუწერია სერგის თმოგველსა, როგორადაც რომ ვისრამიანი ფრიადისა ენამზეობით არს შეთხზული"[66]. როგორც ი. ლოლაშვილმა აღნიშნა, „დილარგეთიანის" ავტორი თუ ის სარგის თმოგველია, რომელმაც შამქორის ომში მიიღო მონაწილეობა მიიღო და თამარ მეფეს ამ ომში გამარჯვების ამბავი ამცნო, მაშინ იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწედაც გვევლინება.

სამწუხაროდ, ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია და არც რაიმე ცნობაა მოღწეული მისი შინაარსისა და მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი არსის შესახებ. XIX საუკუნის 90-იან წლებში, კერძოდ, 1896 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ თხზულება „დილარგეთიანი" აღმოჩენილად მიიჩნია. სარგის თმოგველის შეთხზულად „ჯიმშერიანი" გამოცხადდა. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ „ჯიმშერიანი" გვიანდელი, XVIII საუკუნის შუა წლებშია შექმნილი, რამაც ადრე გამოთქმულ შეხედულებას საფუძველი გამოაცალა. XIX საუკუნის I ნახევრის მწერალს, ქართველ ბატონიშვილთა თანმხლებ პოეტს სანკტ-პეტერბურგში, პეტრე ლარაძეს განუზრახავს ნაკლის გამოსწორება, აღედგინა „დილარგეთიანი" და დაუწერია კიდეც პოემა „დილარიანი", რომელიც საგმირო-სამიჯნურო ხასიათისაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული თვალსაზრისით იგი მაინცდამაინც მაღალი დონის თხზულებად ვერ ჩაითვლება. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რამდენად ასახავს იგი სარგის თმოგველის თხზულების შინაარსსა და მხატვრულ-ესთეტიკურ კონცეფციას, რადგან „დილარგეთიანის" რაობისა და შინაარსის შესახებ ცნობა არა გვაქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სარგის I თმოგველმა სპარსულიდან ქართულად გადმოთარგმნა „ვისრამიანი", რომლის შესახებ არაერთგზის აღინიშნა, რომ იგი ბრწყინვალე თარგმანია და შესრულებულია დიდი ხელოვნებით. ი. ლოლაშვილის სიტყვით, თუ „დილარგეთიანის" ავტორი და „ვისრამიანის" მთარგმნელი ერთი და იგივე პირი სარგის თმოგველია, მაშინ ეს არმოღწეული თხზულებაც „ენამზეობით გამორჩეული"[67] და მჭევრმეტყველური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით სავსე უნდა ყოფილიყო. ქართული „ვისრამიანი", დედნისაგან განსხვავებით, პროზაულია; როგორც ჩანს, მთარგმნელმა სიზუსტის დასაცავად თარგმნა პროზაულად. მიუხედავად ამისა, იგი ქართული ლიტერატურის მშვენებაა, რადგან ქართული თარგმანის ენა საოცრად მიმზიდველი და მომხიბლავია, მდიდარია გამომსახველობითი საშუალებებით, მეტაფორებით, ზოგადად, ტროპული მეტყველების მრავალფეროვნებით. მთარგმნელმა სპარსული და ქართული ენების გასაოცარი ცოდნა გამოამჟღავნა და, ამავე დროს, შეძლო სპარსული მეტაფორებისა და ტროპული სააზროვნო სისტემის ზუსტად გადმოტანა, რაც მხოლოდ მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. ქართული თარგმანის მხატვრულმა სიზუსტემ განაპირობა ის გარემოება, რომ სწორედ ქართული თარგმანი იქნა გამოყენებული დედნად ინგლისური (*მარჯორი უორდროპი*), რუსული (*სოლომონ იორდანიშვილი*) და გერმანული (*კიტა ჩხენკელი*) თარგმანებისათვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართული თარგმანის მიხედვით ქართველმა მეცნიერებმა ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ სპარსული ორიგინალის ტექსტი კრიტიკულად დაადგინეს და 1970 წელს თეირანში გამოსცეს, რაც, ერთი მხრივ, „ვისრამიანის" ქართული თარგმანის ღირსებასა და მთარგმნელის ოსტატობას ადასტურებს, მეორე მხრივ, ქართველ მეცნიერთა აღიარებასაც მოწმობს.

სარგის II თმოგველის სახელს „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებები უკავშირდება. ჟამთააღმწერლის დახასიათებით, იგი განსწავლული და ღრმად მოაზროვნე პიროვნება ყოფილა. „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ გაგრძელებაში, ე. წ. ხვარაზმელთა ამბის დასაწყისში მოიპოვება სტროფი, რომლის მიხედვით, რუსთველის პოემის გაგრძელება სარგის თმოგველს უნდა დაეწერა:

„სარგისს დაურჩა უთქმელი, მას ესე დავაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით";

66 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გამოსაცემად მოამზადა გ. იმედაშვილმა, თბ., 1960, გვ. 290.

67 ი. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული თხზულებანი და უცნობი ავტორები, გვ. 230.

აგრეთვე, ხვარაზმელთა ამბის დასასრულში შემონახული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობაც ამასვე ადასტურებს:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესაელითურთ დარჩა ობლად,
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა, ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად, დაუშრომლად“[68].

ამ სტროფების შინაარსი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად იყო ინტერპრეტირებული. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ეს სტროფები XVI საუკუნეში უნდა დაწერილიყო, მაშინ, როდესაც დაიწერა ხვარაზმელთა ამბავი, ხოლო უცნობ პოეტს ხელთ უნდა ჰქონოდა ხვარაზმელთა ამბის პროზაული ვერსია, რომელიც, როგორც ჩანს, გაულექსავი დარჩენია სარგის თმოგველს. ეს უცნობი ავტორი ამ სტროფებში სწორედ ამას აღნიშნავს. რაც შეეხება ამ ამბის გალექსვის დათარიღებას, ალ. ბარამიძის აზრით, იგი „როსტომიანის“ ქართული ვერსიების ძირითადი ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა გალექსილიყო; მისი გავლენა შეინიშნება გალექსილ „ხვარაზმელთა ამბავში“. აქედან გამომდინარე, „ხვარაზმელთა ამბის“ ლექსითი რედაქცია XVI საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ვერ შეიქმნებოდა[69].

ვანის ქვაბები. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის დამდეგამდე, თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე, მთელ საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება მინავლებული იყო. თუმცა, ზოგჯერ შეინიშნებოდა გამოცოცხლებაც. კერძოდ, ვანის ქვაბებში შემონახულია კედლებზე წარწერილი ლექსები, რომელთაგან ზოგიერთი ლიტერატურულია, ზოგი კი ფოლკლორული წარმოშობისაა. ისინი ცნობილი იყო ადრევე, მაგრამ მათი კვლევა დაიწყეს ვ. ცისკარიშვილმა, კ. კეკელიძემ და შ. ონიანმა. ვ. ცისკარიშვილმა 1954 წელს გამოაქვეყნა რამდენიმე ლექს-წარწერა, რომელთაც დაურთო შენიშვნები[70]; კ. კეკელიძემ საგაზეთო სტატიაში „კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე“ მიმოიხილა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემორჩენილი პოეტური თხზულებები[71]. შ. ონიანმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლების პოეზიას[72].

თექვსმეტ სართულად განლაგებული ვანის ქვაბები და ვანის ქვაბთა მონასტრები მდებარეობს ჯავახეთში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან და ქალაქ-ქვაბებთან ახლოს. ხალხური გადმოცემებით, აქ ქვაბთა მონასტერი XI საუკუნეშიც უნდა არსებულიყო, თუმცა, დოკუმენტურად ეს არ ჩანს. ხალხური გადმოცემებით იგი თმოგვის ციხესთან ერთად მიწისძვრის შედეგად დაინგრა. მაგრამ მონასტერი მაინც აგრძელებდა არსებობას. წერილობითი წყაროების მიხედვით, ვანის ქვაბების არსებობა ცნობილია XII-XIII საუკუნეებიდან, XIV საუკუნემდე მას „ვაჰანის ქვაბებს“ უწოდებდნენ, შემდეგ კი ჰ ასო დაკარგულა, რასაც ერთი ა ხმოვნის რედუქციაც მოჰყვა და საბოლოოდ გაფორმდა ტოპონიმი **ვანის** ქვაბები//**ვანის** ქვაბთა მონასტერი. იგი თავიდან მამათა მონასტერი იყო. ტაძარზე წარწერები ქალების მიერაა წარწერილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში აქ ქალებიც ყოფილან. იყო თუ არა დედათა მონასტერი, ძნელი სათქმელია, თუმცა, აღაპთა წიგნზე გაკეთებულ მინაწერზე თედო ჟორდანიას დაკვირვებით, აქ დედათა მონასტერიც შეიძლება ყოფილიყო. აღაპში აღნიშნულია, რომ ოჯახის წევრთაგან ქალმაც

68 ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 284.

69 ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი, გვ. 284.

70 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 168-180.

71 კ. კეკელიძე, კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე, გაზ. „კომუნისტი“, 1959, 24.II. №45 (11351).

72 შ. ონიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, საუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959, 287-293; მისივე, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟ.: „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, №7, გვ. 33-40; მისივე, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟ.: „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 8, 33-42.

თუ მოინდომა ჩოხის ჩაცმა, „მესამედსა მას მიუძღვანებდით“[73]. წარწერების მიხედვით ჩანს, რომ XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე მონასტერში ქალებიც იმყოფებოდნენ.

ვანის ქვაბებში სამი ეკლესიაა, რომელთაგან ერთი გამოქვაბულების ქვედა რიგშია განლაგებული, იგი ნახევრად ქვით ნაშენი, ნახევრად გამოქვაბული დარბაზული ტიპის შენობა-გამოქვაბულია, რომელიც საკმაოდ მოზრდილი ეკლესია ყოფილა; ეკლესია გადაკეთებულია. მეორე ეკლესია გამოქვაბულთა ზედა სართულზეა, იგი მთლიანად ჯვრის ფორმის გამოქვაბული ტაძარი, ოღონდ ჯვარის გეგმის გუმბათიანი სივრცეა და პირველზე მაღალ რიგში იყო განთავსებული; ხოლო მესამე ეკლესია გამოქვაბულების ზედა სართულზე მდებარეობს და ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობაა. იგი კლდეში ჩაშენებული ჯვრის ტიპის გუმბათიანი მცირე ზომის ტაძარია, რომელიც თეთრი მასალისგანაა აგებული და შორდანე ყურადღებას იქცევს თავისი ფერით – სითეთრით. ეკლესია შორიდან პატარა ნაგებობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს; ახლოს მისულს, მიუხედავად ძალიან მცირე მასშტაბისა, ტაძრის სრულყოფილების განცდა ეუფლება. ამ პატარა ეკლესია-სამლოცველოს კედლებზე მოთავსებულია შავი საღებავით შესრულებული 40-მდე წარწერა, რომელთაგან ნაწილი პოეტურია, რის გამოც მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ, ხოლო ნაწილი ინფორმაციულია. ისინი ზოგან მრავალსტრიქონიან, ზოგან ორსტრიქონიან, ზოგან ერთსტრიქონიან ტექსტებს შეიცავენ. ხელით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. როგორც ვ. ცისკარიშვილმა შენიშნა, ეს წარწერები სულ სამი ხელით უნდა იყოს შესრულებული. ასოები ერთმანეთისაგან განსხვავებული ზომისაა, შესრულებულია მხედრულით, არათანაბარ სტრიქონებად, ზოგიერთი მათგანი მკრთალი მელნითაა დაწერილი, რაც მის ამოკითხვასა და აღქმას ართულებს. ამავე დროს, ამ წარწერების დამახასიათებელი თვისებაა ქარაგმაც, თუმცა, იგი იშვიათია. თითოეული წარწერა გადაბმული ხელითაა შესრულებული და მისი ამოკითხვისას დიდი ძალისხმევაა საჭირო. დასახული მიზანი ყოველთვის ვერც მიიღწევა რამდენიმე მიზეზის გამო: 1. წარწერები დროთა განმავლობაში დაზიანებულია სხვადასხვა პიროვნების მიერ ვანდალური წარწერების გაკეთებით; 2. ასოების გადაბმულობისა და ზოგიერთ შემთხვევაში გაურკვევლად წარწერის გამო; 3. დროთა განმავლობაში ზოგიერთი წარწერა გაფერმკრთალებულია და ამოკითხვა ჭირს. წარწერები შემკულია ლამაზად გამოსახული მტრედებისა და ლომების სტილიზებული ნახატებით, რომელთაც ფრესკული ამაღლებულობა არ ახასიათებთ. შეინიშნება ნადირობის სცენის ამსახველი ეპიზოდიც. ეს ნახატები შავთეთრია. ამგვარი მხატვრობა ქრისტიანულ ტაძრებზე არ შეინიშნება. თუმცა, შეიძლება დავასახელოთ სვანეთში, ლენჯერის ეკლესიის დასავლეთის გარეთა კედელზე ამირანის თემაზე გამოსახული ფერადი ნახატები, რომელთაც აქვთ წარწერებიც ცალკეულ ეპიზოდთან დაკავშირებით.

წინასწარ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ნათქვამია, რომ პოემის დაწერის დროს საქართველოში გავრცელებული ყოფილა ლირიკული ჟანრის თხზულებები, თუმცა, ჩვენამდე მხოლოდ მისმა უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია, ისიც უფრო გვიანი ხანისაა, ვიდრე თვით შოთა რუსთველის პოემა. ლიტერატურულად გაფორმებული სახით ისინი თითქმის არაა შემონახული, მათ ვხვდებით კედლის წარწერებში. ეს სწორედ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემონახული პოეზიაა.

როგორც ჩანს, XV-XVI საუკუნეებში ვანის ქვაბებში დედათა მონასტერიც იყო, სადაც მონაზონი ქალები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მინაწერები და ლექსები ქალების მიერაა შესრულებული, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი სწორედ ამ სართულებზე, მაღალ სართულებზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. როგორც ჩანს, მონაზონ ქალებს მონასტრის კედლებზე წაუწერიათ თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი ლექსების სახით, მცირე ნაწილი მათივე შეთხზულია, მეტი წილი კი დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან ამონარიდები და ფოლკლორული ნიმუშებია. ჯერჯერობით წაკითხულია 10 ლექსი და „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი. წარწერები შეუსრულებიათ ქალებს: გულქანს, ანა რჩეულაშვილს, თუმიან გოჯიშვილს, ვინმე შაღაბანი სულთანს და ხვარამზეს. შ. ონიანის დაკვირვებით, ზოგიერთი

73 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1896, გვ. 46.

წარწერის ხელი ჰგავს ვანის ქვაბის მონასტრის „განგების“ მხედრულ მინაწერებს. წარწერებიდან ჩანს, რომ მონაზონი ქალები გულდათუთქულები არიან პირადი ცხოვრების გამო, მათ ჰყავდათ მიჯნურები, რომელთაც დააშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. ისინი გარეგნული სილამაზით გამორჩეულები ყოფილან, მაგრამ ამას მათთვის ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია. სასონარკვეთილი ქალები მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. წარწერები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაშია შესრულებული, მტერთა შემოსევებისა და თავდასხმების დროს, მაგრამ მათში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება არ ირეკლება, მონაზვნები მხოლოდ თავიანთი ინტიმითა და პირადული განცდებით არიან დაკავებულნი. შ. ონიანმა საინტერესო პარალელი გაავლო ვანის ქვაბის მონასტრის მონაზონ ქალთა სულიერ მდგომარეობასა და ბოკაჩოს „დეკამერონის“ პერსონაჟებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის სხვაობაც თვალსაჩინოა. მონაზონი ქალები წერენ სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს, მათ უმძიმთ ამქვეყნიურ სიამოვნებათა დათმობა; მათში ხორციელისადმი სწრაფვა უფრო ძლიერია, ვიდრე სულიერი ცხოვრებისადმი. ისინი უჩივიან სოფლის წარმავლობასა და დაუნდობლობას, იგრძნობა გარეგნული სილამაზისა და სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული მძაფრი განცდები, გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ გაუხარელი ცხოვრება აქვთ და ხსნას ვერაფერში ხედავენ. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, თუ როგორ არის შეცვლილი დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანი მატერიალურსაა გადევნებული და სულიერ ცხოვრებას მოკლებულია. ამ ლექსებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, თუ როგორ შეიცვალა რუსთველის შემდეგ ადამიანის ინტერესები და სულიერი ცხოვრება.

თუმიან გოჯიშვილი. თუმიან გოჯიშვილის ლექს-წარწერები, კერძოდ, ხუთი ლექს-წარწერა, XVI საუკუნის I ნახევარში ყოფილა შესრულებული; მისი ერთ-ერთი წარწერა ლექსია, შ. ონიანის დაკვირვებით, მასზე სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის მიერ თარგმნილი „როსტომიანის“ გავლენა იგრძნობა. კ. კეკელიძის ვარაუდით, საბაშვილს „როსტომიანი“ XVI საუკუნის I მესამედში უნდა გაელექსა, ამიტომ თუმიანის ლექსები უნდა დაწერილიყო XVI საუკუნის 30-40-იან წლებში. სახელი „თუმიანი“ პოეტ ქალს, როგორც ჩანს, შეარქვეს ფირდოუსის „შაჰნამეს“ ერთ-ერთი პერსონაჟის თუმიანის კვალობაზე, იგი იყო როსტომის მეუღლე და ზურაბის დედა, რომელიც თვითონ დაუახლოვდა მამამისის კარზე შემთხვევით მოხვედრილ როსტომს. მას გაცნობამდე ჰყვარებია როსტომი, ხოლო შემდეგ მისი ცოლი გამხდარა. ეს ისტორია საგანგებოდ დავიმონმეთ, რათა აღგვენიშნა მსგავსება თუმიან გოჯიშვილისა „შაჰნამეს“ პერსონაჟ თუმიანთან. თუმიან გოჯიშვილი საოცრად მგრძნობიარე, სევდიანი, რომანტიული პიროვნება ყოფილა, რასაც ადასტურებს მისი წარწერების შინაარსი, რომელთა მიხედვით დგინდება ის ფაქტი, რომ გამიჯნურებული ყოფილა ვინმე გოდერძიზე, მაგრამ იგი მისთვის დაუშორებიათ და მონასტერში მონაზვნად აღუკვეცავთ. ამ ინფორმაციის მიღმა დიდი, ტრაგიკული სიყვარული იკითხება. თუმიანის წარწერებიდან ვ. ცისკარიშვილს მხოლოდ ერთი წაუკითხავს, ხოლო შ. ონიას ხუთივე ლექსი აქვს წაკითხული და გაშიფრული. მისი დაკვირვებით, წარწერა დამახინჯებულია, ამიტომ ძნელად იკითხება. ეს მართლაც ასეა, რაშიც ადგილზე მისვლისას დავრწმუნდით. მიუხედავად ამისა, მკვლევარმა მაინც შემოგვთავაზა თავისი ვარიანტი. თუმიანს წარწერა შეუსრულებია 5 აპრილს, აღდგომა დღეს. ილია აბულაძის გაანგარიშებით, 5 აპრილს აღდგომა ყოფილა 1512, 1523, 1534 და 1545 წელს. შ. ონიანმა აღნიშნა, რომ ამათგან 1512 ნაადრევი ჩანს, ხოლო დანარჩენებიდან უპირატესობა მან ვერც ერთს ვერ მიანიჭა[74]. ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია კ. კეკელიძის თვალსაზრისი თუმიან გოჯიშვილის „შაჰნამეს“ პერსონაჟ თუმიანთან შედარების შესახებ, რომ სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილს „როსტომიანი“ უნდა გაელექსა XVI საუკუნის 30-იან წლებამდე; ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუმიანს წარწერა შეიძლებოდა შეესრულებინა 1534 ან 1545 წელს. ამ ლექს-წარწერების უმეტესობა ფოლკლორული ნიმუშები ჩანს, ზოგი კი

74 შ. ონიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, გვ. 39.

თვით თუმიანის ორიგინალური ლექსიც შეიძლება იყოს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ფოლკლორული წარმოშობის ლექსების მსგავსად, სხვა ლექსებიც ზეპირად სცოდნოდა და ნაეწერა. ამიტომ ავტორობის საკითხი მაინც ბოლომდე გაურკვეველია.

წარწერებიდან ჩანს, რომ თუმიანი იძულებით აღუკვეცავთ მონაზვნად მიჯნურობის ნიადაგზე[75]. აღვნიშნავ, რომ ანა რჩეულაშვილიცა და თუმიან გოჯიშვილიც თავიანთი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდნენ მონასტერში, რაც მათთვის სატანჯველი ყოფილა.

თუმიანის ლექს-წარწერები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მათი ვარიანტები ხალხურ სიტყვიერებაშია გავრცელებული. ამიტომ ფიქრობენ, რომ ისინი ფოლკლორული წარმოშობისაა და არა პირიქით, თუმიანის ლექსებიდან არ გადასულა ფოლკლორში. ზოგიერთი მათგანი ენიგმურია, მათში ენიგმურადაა მინიშნებული სამყარო, რომლის აღქმა სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისითაა შესაძლებელი. თუმიანის ლექს-წარწერებს პოეტური გამოცდილება აკლია, რადგან ზოგან სიტყვაა გამორჩენილი, ხოლო ზოგან რიტმი და რითმა დარღვეულია. ერთი მათგანი მაჯამურია და, შ. ონიანის ვარაუდით, წარმოშობით XVI საუკუნეზე ადრინდელი უნდა იყოს.

თუმიან გოჯიშვილის ლექს-წარწერებში განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება ფოლკლორული წარმოშობის ლექსებს, რითაც იგი ფოლკლორული ნიმუშების პირველ ჩამწერად წარმოგვიდგება. აქამდე კი უძველესი ქართული ფოლკლორული ტექსტების, კერძოდ, ზღაპრების ჩამწერად იტალიელი მისიონერი ბერნარდე ნეაპოლელი (XVII საუკუნის II ნახევარი) იყო მიჩნეული[76]. ისიც ჩანს, რომ ამ დროს მრავალფეროვანი ხალხური პოეტური ძეგლები გვქონია, რადგან წარწერის შემსრულებელს არჩევანის საშუალება ჰქონდა. მკვლევარმა თუმიანის მიერ შესრულებული ერთი ლექს-წარწერის ტექსტის ვარიანტი აღმოაჩინა XVI საუკუნის ერთი ხელნაწერის მინაწერში, რომელიც, შ. ონიანის დაკვირვებით, თუმიანის წარწერის თანამედროვე უნდა იყოს.

1. წარწერის ერთ-ერთი ერთსტროფიანი ლექსი ხალხური რვამარცვლიანი საზომით, იგივე რუსთველური შაირითაა შესრულებული. დავიმოწმებ ტექსტს, რომელიც შ. ონიანმა აღადგინა:

„ქ. წვრილად ნახვეწო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
ყირმიზი რვალის პერანგი გაცვია ოქროს ღილითა;
ნეტავი შენთან მამყოფა, შენთან გამაძღო ძილითა,
მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა“[77].

ლექსი მკვლევარს აღდგენილი აქვს ხალხური ლექსის მიხედვით. ამ წარწერაში დამოწმებულ ლექსს აქვს ვარიანტები ხალხური სიტყვიერებაში. შ. ონიანი ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტს, კერძოდ, ფშაურ ვარიანტს იმოწმებს:

„შენ ჩემო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
წითელო მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ წმინდავ ვარსკვლავიანო, მზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო, ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო, შენთანამც ნოლა-ძილითა“[78].

ეს ამ ხალხური ლექსის ერთ-ერთი ვარიანტია. მსგავსება თუმიანის ლექს-წარწერასა და ამ ხალხურ ლექსს შორის თვალნათლივ შეინიშნება. შ. ონიანის აზრით, ეს ლექსი წარწერილია თუმიანის მიერ, მაგრამ ლექსის ავტორი თვითონ არ არის. მისი ვარაუდით, ლექსი ფოლკლორულია და არა

75 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟ.: „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, №7, გვ. 38.

76 ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ჩაწერილი ქართული ხალხური ზღაპრები გამოაქვეყნა და გამოკვლევა დაურთო მ. ჩიქოვანმა. იხ.: მრავალთავი, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, გამომც.: „მეცნიერება“, თბ., 1964.

77 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 39.

78 იქვე, გვ. 39.

ლიტერატურული, რასაც ადასტურებს ხალხურ ლექსზე დაკვირვება. მას, სრულიად სამართლიანად, შეუძლებლად მიაჩნია, რომ ლექსი ხალხურ სიტყვიერებაში გავრცელებულიყო თუმიანის ლექს-წარწერის მიხედვით. ტექსტის შინაარსი და ლექსიკა მკვლევარს აფიქრებინებს, რომ მისი ავტორი ქალი უნდა იყოს; იგი მიმართავს მამაკაცს, რომელიც მას უყვარს, ლექსის ქების ობიექტი მამაკაცია, რომელიც თავად „წვრილად ნახვეწ ისარს" ჰგავს და რომელსაც ოქროს ღილიანი „რვალის პერანგი" აცვია, ხოლო მისი თვალ-წარბი შევარდენთანაა შედარებული. ამათგან გამოკვეთილად მამაკაცის მეტაფორად ყველაზე მეტად „შავარდენსა თვალ-წარბსა" შეიძლება ჩაითვალოს. ჩანს, თუმიანს თავისებურად გადაუკეთებია ეს ლექსი, ისე გადაუკეთებია, რომ ლექსის ადრესატად ეჭვმიუტანლად მამაკაცი მიჩნეულიყო. თუმცა, ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ხალხური ვარიანტები სხვა, საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევიან, კერძოდ, ლექსი ქალისადმია მიძღვნილი და არა მამაკაცისადმი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხევსურული ვარიანტებიც:

თქვენ, ჩვენნო დიდნო იმედნო: კოშკნო, ნაგებნო კირითა,
წყარონო უკვდავებისნო, გამოზდით ოქროს მილითა,
ზეცას ნახვეწნო ისარნო, ქალაქს ნაღებნო ინითა,
კაბანო ხავერდისანო, შვიდკან საყრელნო ღილითა![79]

აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ „ხევსურულ პოეზიაში" კიდევ ერთი ვარიანტია დამოწმებული, რომელიც ზისერმანს გამოუქვეყნებია 1851 წელს და მასვე რუსულადაც უთარგმნია იგი. დავიმოწმებ ამ ვარიანტსაც:

შენ ჩვენო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
ისარო ოსეთს ნახვეწო, ქალაქს ნაღებო ინითა,
კაბაო ხავერდისაო, ცხრაკან საყრელნო ღილითა;
უკვდაებისა წყარო ხარ, აღმოსდი ოქროს მილითა[80].

არსებობს ლექსის სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ა. ხახანაშვილს გამოუქვეყნებია, მაგრამ ვარიანტთა დამოწმება საჭირო აღარაა, რადგან ამით აზრი არ იცვლება. ვარიანტების სიმრავლე კი ადასტურებს ლექსის პოპულარობას. თუმიანსაც თავისი გრძნობების გამოსახატავად გამოუყენებია იგი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თუმიანს ლექსი კედელზე დიდმა გრძნობამ წააწერინა, ამიტომ ლექსში ისეთი მეტაფორები და მხატვრული სახეებია შერჩეული, რომლებიც მამაკაცსაც მიესადაგება. ფაქტობრივად, თუმიანს ლექსი მამაკაცის ღირსებათა წარმოჩენისაკენ მიუმართავს, მასში ჩაუქსოვია ვაჟკაცის სიძლიერე და მომხიბვლელობა. ეს კი თუმიანის ინდივიდუალური ხელწერის გამოხატულებაა.

თუმიანის ლექს-წარწერა რომ დიდადაა დავალებული ხალხური სიტყვიერების ნიმუშისაგან, უფრო ზუსტად, ხალხური წარმომავლობისაა, სავსებით ნათელია, და წარწერის შემსრულებელს იგი ისე აქვს წარწერილი, როგორც მას ახსოვდა ზეპირად, რის პარალელადაც ანა რჩეულაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის" ორი სტროფის წარწერის შემთხვევა შეიძლება დავიმოწმოთ. ანასაც ზეპირად როგორც ახსოვდა, ისე გააკეთა ეს წარწერა. ამიტომ მისი შედარება ხალხურ ვარიანტთან მეტად საინტერესოა. შეიძლება ითქვას, რომ თუმიანმა ახალი ვარიანტი შექმნა.

2. მეორე ლექს-წარწერა, რომელიც, აგრეთვე, თუმიანის ხელითაა შესრულებული, რუსთველური შაირითაა დაწერილი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა, რადგან მას გამოცანის სახე აქვს. დავიმოწმებთ მას:

„ზეცას გაველ. ზეცა ვნახე და მასკვლავთა მოვეძრახე,
ძირს ჩამოველ შამბის ძირსა, ოლვა წვრილად გამოვსახე,

79 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, 128.

80 იქვე, გვ. 507.

შენ ჯარშია ვერა მიცან, მე სიკვდილი თვალით ვნახე,
შენ რა მოხველ, ღმრთისა მადლმა, მე ლახვარზე გული ვახე".

ამ ლექსსაც აქვს ხალხურში ვარიანტები:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა: „თუ აქ იყავ, რათ არ მნახე?"
– შენი შიშით, მორიდებით ველარ მოველ, ველარ გნახე,
თავი ისე შევინახე, კაცსაც აღარ დავენახე".

ლექსის პირველი ტაეპი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია გამოცანად და იგი თვალს ნიშნავს. შ. ონიანს მოჰყავს თვალის შესახებ არსებული ანალოგიური გამოცანებიც: „აი, ჩემი თოფ-თოფელა ცის კიდემდის მიმწვდომელა"; „ქვეყანასა ჰხედავს და თავის მახლობელს კი ვერა"[81].

შ. ონიანის მოსაზრებით, ეს ლექსიც ხალხური წარმოშობისაა და ძველი უნდა იყოს. თუმცა, სატრფიალო მოტივის გამორიცხვა მაინც არ შეიძლება. ამას ხალხური ლექსის ბოლო ტაეპი გვაფიქრებინებს: „თავი ისე შევინახე, კაცსაც აღარ დავენახე". მკვლევრის აზრით, „ლექსი ასე უნდა გავიგოთ: სიმბოლურად თვალების მსგავსად, მიჯნურებიც ცალ-ცალკე არიან, ერთმანეთს ვერ ხვდებიან, თუმიან გოჯიშვილს ამ ლექსით კარგად გამოუხატავს თავისი უიმედო მდგომარეობა"[82].

3. საყურადღებოა მესამე წარწერა და ლექსი, თუმცა, ჩანს, რომ არც ისაა თუმიანის ორიგინალური თხზულება. მით უმეტეს, რომ ქრ. შარაშიძემ ამ ლექსის განსხვავებული ვარიანტი აღმოაჩინა XV საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერი კარაბადინის მინაწერში, რომელიც, მკვლევრის დასკვნით, XVI საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

დავიმოწმებთ ისევ შ. ონიანის მიერ დაბეჭდილ ტექსტს, რომელშიც ზოგიერთი სიტყვა გამოტოვებულია, რადგან ძნელად იკითხება კედელზე. ტექსტი იწყება ქანწილით: „ქ. შენი მიწა . . . . . ვიკადრებ, თუ იკადრების, ბატონო, თუმია. მაცხოვრის ხატმა კაი ბედი მოგცეს, ნუ დამივიწყებ". ამას მოსდევს ლექს-წარწერა:

აწ, მზეო, შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ლხინი მე,
ვით მმართებს, ეგრე გასრულვარ, სისხლის ცრემლითა ვტირი მე,
ნეტარ ღირს ვარმცა, მენახოს შენი ლამაზი პირი მე,
ნუ დამივიწყებ, ღონეო, შენის თვალისა ჭირიმე.

ქრ. შარაშიძემ გამოაქვეყნა კარაბადინის ხელნაწერზე მინაწერი ლექსის ტექსტი, რომელიც ასეთი შინაარსისაა:

ქაღალდსა უთეთრესი ხარ, რომ ვნახე შენი პირი მე,
ლამაზად შემომხედვიდი და ტკბილად გამიცინი მე,
რა შენ გაგყრივარ, მას აქეთ ცხელის ცრემლითა ვტირი მე,
ნუ დამივიწყებ, იმედო, შენის თვალების ჭირიმე[83].

შ. ონიანმა ლექსის დროდ მიიჩნია XI-XV საუკუნეები, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ვრცელი არეალია. იგი, სრულიად სამართლიანად, მასში ხედავს რუსთველის პოემის ანარეკლს. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ თუმიანისეულ ხალხურში რუსთველური მხოლოდ ზოგიერთი სახე და მხატვრული ფრაზა უნდა იყოს, მაგ., მეტაფორის „სისხლის ცრემლების" ხსენება, რაც არაერთგზის დასტურდება „ვეფხისტყაოსანში"; აგრეთვე, „აწ, მზეო, შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ლხინი მე" რუსთველური მხატვრული მეტყველებით დავალებული ჩანს, რაც შ. ონიანს ლექსის ლიტერატურულობას აფიქრებინებს. თუმიანის ლექს-წარწერაში მიჯნურთა ის კრძალვითა და კდემით აღსავსე დამოკიდებულებასაც თუ დავინახავთ, როგორითაც გამოირჩეოდნენ პოემის პერსონაჟები ერთმანეთის მიმართ, მაშინ კიდევ უფრო განმტკიცდება თვალსაზრისი ლექსის

81 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 39.

82 იქვე, გვ. 40.

83 იქვე, გვ. 40.

ლიტერატურული წარმოშობის შესახებ. რაც შეეხება ქრ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს, იგი უფრო მეტადაა რუსთველისაგან დავალებული. კერძოდ, მეორე ტაეპი – „ლამაზად შემომხედვიდი და ტკბილად გამიცინი მე“ – აშკარად ემსგავსება რუსთველურ ტაეპს, რომელიც ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის პირველი შეხვედრის ეპიზოდში გვხვდება: „მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა“ (387), „ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითარმცა რა შინაურსა“ (388). მესამე-მეოთხე ტაეპები კი სიახლოვეს ამჟღავნებენ ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის გაგზავნილ ნესტანის წერილთან. ლექსიკური შეხვედრები თუ აზრობრივი დამთხვევები სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება.

4. ძალიან საინტერესოა მეოთხე ლექს-წარწერა, რომელიც ვ. ცისკარიშვილმა ანა რჩეულაშვილს მიაკუთვნა, ხოლო შერმადინ ონიანის მართებული დასკვნით ლექს-წარწერის შემსრულებელი თუმიან გოჯიშვილია. ესაა შემდეგი ლექს-წარწერა **„ლომო, განაღამც მიყვარხარ“**:

„ლომო, განაღამც მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად,
წყალად ეფრატად გიტყვიან, გულად – როსტომის სადარად;
ტანი აზატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა,
მე გული ჴელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად“.

ტექსტის დასაწყისში, იქ, სადაც ქანწილის ადგილია, დახატულია პატარა სტილიზებული ლომი და წარწერაც ლომისადმი მიმართვით იწყება. დავიმოწმოთ ვ. ცისკარიშვილისეული ტექსტი: „ლომო განაღამც მიყვარხარ, შენებრ ვერვისა სადარო, და უწყალოდა – ვა – არ უტადა (?). გეტყვიან გულადო, როსტომისა სადარო, და ტანი აზატსა საროსა ნარნადა აყვავებულსა, მე გული ჴელთა არა მყავს, თუ არა შენა გახლავსა სადარადა, ვაიმე იმედო ნახვამდის, თემო (იქნებ – ჩემო?). ანასა დამიწერია, აქ მაზეო გიშენის წალკოტი ხილითა და ხევნარითა, უწყალოდა მოკულა მიჯნურსა და გულსა და ხევნარითა“[84]. იქვეა წარწერაც: „ვაიმე იმედო, ნახვამდის, თუმიანსა დამიწერია“.

ვ. ცისკარიშვილმა ეს ლექს-წარწერა, როგორც აღვნიშნეთ, ანას მიაკუთვნა და ტექსტიც მისი სახელით გამოაქვეყნა. შ. ონიანს კი იგი ანას დაწერილად არ მიაჩნია, მის ავტორად თუმიანს ასახელებს. ტექსტში ნახსენები ანა, როგორც ავტორი, ვ. ცისკარიშვილს არასწორად ამოუკითხავს: „ანასა დამიწერია“. სინამდვილეში აქ იკითხება „ვაიმე, იმედო, ნახვამდის, თუმიანს დამიწერია“. შ. ონიანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მხოლოდ ამ ლექსს აქვს მინაწერი გაკეთებული, რომლის მიხედვით ავტორად თუმიანი შეიძლება ვივარაუდოთ. სხვა ლექს-წარწერებს, რომლებიც თუმიანის ხელითაა შესრულებული, ასეთი წარწერა არ აქვს. ამიტომ შ. ონიანი ფიქრობს, რომ ლექსის ავტორი თუმიან გოჯიშვილია. საზოგადოდ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე ლექსების წარწერებად გაკეთებისას არც ერთი შემსრულებელი არ მიუთითებს მათ ავტორს. მხოლოდ რამდენიმე ლექსია, რომელზეც მითითებულია ავტორი. ერთ-ერთი ასეთია სწორედ ეს ლექს-წარწერა.

ლექსი მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა და შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მისი ავტორი მხატვრული აზროვნებით გამორჩეული პოეტია. ტექსტში ლომის მეტაფორით წარმოდგენილია პიროვნება, რომელიც განსაკუთრებული გარეგნობისა ყოფილა, მისი ტანი საროსთანაა შედარებული, რაც უთუოდ გაგვახსენებს რუსთველურ სტრიქონებს: „საროსა მჯობი, ნაზარდი“; „ტან-სარო, პირ-ბაკმიანი“ და სხვ. იგი შედარებულია ევფრატის წყალთანაც, რაც გავრცელებული მეტაფორაა საერო ლიტერატურაში. აქვე იხსენიება „როსტომიანის“ პერსონაჟი როსტომი, რომელსაც ავტორი ადარებს თავის მიჯნურს; ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ როსტომი იხსენიება „ვეფხისტყაოსანშიც“: „ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესითა“ (195), – ნათქვამია ავთანდილის შესახებ. როსტომის ხსენება იმ დროისათვის, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი ლიტერატურული თხზულების ცოდნასა და ლექსის ავტორის ლიტერატურულ გემოვნებას წარმოაჩენს. იგი მიმართავს როსტომის სადარ გულად ვაჟკაცს, რომელიც თუმიანის მიჯნური უნდა იყოს, რასაც პირველსავე სტრიქონში აღიარებს. თუმცა, ჩანს, რომ ეს სიყვარული ტრაგიკული ხვედრისა ყოფილა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ

84 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 178.

თუმიან გოჯიშვილი, ანა რჩეულიშვილის მსგავსად, თავისი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდა მონასტერში, რაც მისთვის სატანჯველი ყოფილა. ეს ლექსი პოეტური თვალსაზრისით საინტერესო მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. არის კიდევ ერთი ორტაეპიანი ლექს-წარწერა, რომელიც იშვიათი პოეტურობით, სახეხატებითა და სალექსო საზომით, კერძოდ, მაჯამური რითმულობით გამოირჩევა:

„ქ. მზეო, გიშ(ვ)ენის ნალკოტი ხილითა და ხევნარითა,
უწყლოდ მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა“[85].

ვ. ცისკარიშვილმა ეს ლექს-წარწერაც ანას მიაკუთვნა და ტექსტი მისი სახელით გამოაქვეყნა. შ. ონიანს კი იგი ანას დაწერილად არ მიაჩნია, იგი ფიქრობს, რომ XVI საუკუნეზე ადრინდელი უნდა იყოს.

ლექსი ქანწილით იწყება, ისევე როგორც ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილი სხვა ლექსები. მეტაფორულობა და პოეტური სახეები ქმნიან ორსტროფიანი ლექსის მხატვრულ სამყაროს, რომელშიც თავისი წვლილი შეაქვს მაჯამასაც. მაჯამა XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართულ მწერლობაში გავრცელებული იყო, მას იყენებენ შოთა რუსთველი, ჩახრუხაძე, „თამარისა და დავითის ქების“ ავტორი. მაჯამაა „და ხევნარითა//დახევ ნარითა“, რომელიც დამოწმებულ ლექსიკურ ერთეულთა სხვადასხვაგვარ შინაარსობრივ გააზრებასთან ერთად მიჯნურის სულიერ მდგომარეობასაც, მიჯნურის მშვენიერებასაც მიანიშნებს. ლექსში მიჯნური მზედ, ხილითა და ხევნარით სავსე წალკოტის მკვიდრადაა წარმოსახული, რომელიც მიჯნურს უწყლოდ კლავს, ხოლო გულს ნარივით გლეჯს.

გულქან შალიკაშვილი. მონაზონი გულქანი, რომლის სახელითაც ორი ლექსია ცნობილი, ვ. ცისკარიშვილისა და შ. ონიანის დაკვირვებით, გვარად შალიკაშვილი უნდა ყოფილიყო. მას უნდა ეცხოვრა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. შ. ონიანის შეხედულებით, გულქანი და ანა რჩეულაშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთმანეთს იცნობდნენ, რადგან გულქანი ანა რჩეულაშვილის მიერ შესრულებულ წარწერაში იხსენიება: „გულქანსა უშუელე ცოდვილსა. შენ იჴსენ მისი სული ყოვლად წმიდაო დედოფალო“. მისივე მოსაზრებით, იგი მოიხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთი მინაწერი აღაპის ცნობაში, რომელიც გვამცნობს ზოსიმე კუმურდოელის მიერ მონასტრის შეწირულების შესახებ, შეწირულება გაუღიათ „ქეთაონ ყოფილსა ქრისტინეს და გულქანს“. მონასტერს კი ამის სანაცვლოდ ქეთაონის გარდაცვლილი შვილების – იოთამისა და გულქანის სულის სახსენებელი დაუწესებია. თვით ქეთეონი კი ქართლის მეფის გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის ასულის თამარის ასული ყოფილა, ქრ. შარაშიძის ცნობით, ქეთაონი უნდა გარდაცვლილიყო 1514-1515 წლებში. მალევე უნდა გარდაცვლილიყო გულქანიც, რომლის ქონება დედის ქონებასთან ერთად შეუწირავთ ჯვარის მონასტრისათვის. ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე მოხსენიებული გულქანი და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული გულქანი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო, რადგან მათი ქრონოლოგიური და სივცობრივი არეალი ერთმანეთს თანხვდება. წარწერის მიხედვით, გულქანი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, – „ქმარი ჯერ არ მედგა“, – მანუჩარს წაუყვანია „ქალად და გასათხოვარად“. ფიქრობენ, რომ ეს მანუჩარი მანუჩარ I ათაბაგი უნდა იყოს, რომელიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საინტერესოა, თუ რად ერგებოდა მანუჩარს გულქანი, რადგან, როგორც ჩანს, იგი ზრუნავდა გულქანზე და მის გათხოვებას ცდილობდა. შ. ონიანის ვარაუდით, მანუჩარი ყოფილა ბიძა გულქანის დედისა, ქეთეონისა. ასეთ შემთხვევაში სავსებით გასაგებია მანუჩარის ზრუნვა გულქანზე. ქეთეონის შვილები მესხეთის თავადიშვილთა საგვარეულოებს შორის მოიხსენიებიან, ისინი შალიკაშვილები ყოფილან. ასე დგინდება გულქანის გვარი. წარწერა ასეთი შინაარსისაა (ტექსტი კედელზე ცუდად იკითხება): „ქ. ღმერთო და ყოვლადწმიდაო დედოფალო, ღვთისმშობელო, და რომელნიც წმიდანი და მთავარანგელოზნი სხუანები ხართ. თქუენს ძალას და მოწყალებას უშუელეთ, და ულხინეთ მას მომსახურეს მიწასა თქუენსა, თუალპატიოსანსა უებარს გულქანს. ვიყავ გ(?ი)დევალი რომ

85 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების ..., გვ. 33.

მომიყვანა მანუჩარმა ქალად და გასათხოვარად. ქმარი მე ჯერ არა მედგა. ღმრთის მადლმა და მოწამეთა მადლმა, ჩემისა ულამაზესი სულიერი დედამიწასა ზედა არა იარებოდა და არცა სხვა გამოსულა: არცა თუალად, არცა ტანად, არცა ზნითა, არცა გონებითა; თორემ ჩემნი მნახავნი არ გამამტყუნებენ"; ქვემოთ მინაწერიცაა, რომელიც ძნელად იკითხება: „ქ. ქალო ... შენმა მზემან... ... ეხატნეს ვისაც უქნია..."[86].

როგორც ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები მოწმობენ, გულქანი ულამაზესი ქალი ყოფილა. ამას მისივე შესრულებული ზემოთ დამოწმებული წარწერა მოწმობს, რომელშიც იგი სიამაყით აღნიშნავს თავის სილამაზეს. როგორც ჩანს, მონასტერში მოხვედრილი გულქანი ადრე გარდაცვლილა, ვერ აუტანია მონასტრული ყოფა-ცხოვრება.

გულქანის მიერ კედელზე შესრულებული მეორე წარწერა თექვსმეტმარცვლიანი ლექსია, რომელიც მაღალი შაირის ნიმუშს წარმოადგენს. წარწერას ლექსის ფორმა არ აქვს, ტექსტი პროზაულადაა წარწერილი. ავტორი ყოველადწმინდა ღვთისმშობელს ევედრებით მიმართავს და შესთხოვს ბოროტ ძალთაგან, მტანჯველთაგან გათავისუფლებას. დავიმოწმებთ ტექსტს შ. ონიანის გამოკვლევის მიხედვით:

ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი,
შენ აღჯოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი,
მე სამოელ ტანჯვად მანვევს უშიში და უკრძალველი,
მწეო ჩემო, შენ მიშველე, გამოჴსნასა შენგან ველი.
მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი, დასნი,
ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი[87].

ლექსი არასრულადაა წარწერილი, მასში 6 სტრიქონია, ჩანს, რომ აკლია ორი სტრიქონი. მისი ავტორი უცნობია, გულქანი ავტორი არ არის, რადგან, როგორც შ. ონიანმა აღნიშნა, ისეთი ლაფსუსებია დაშვებული, როგორიც მხოლოდ გადამწერს შეიძლება მოსვლოდა და არა ავტორს. მისივე აზრით, ლექსი შესაძლოა რუსთველის ეპოქაში შექმნილიყო; თუმცა, მაინც ძნელია მისი დათარიღება კლასიკური ეპოქით. ჩანს, რომ მას პოპულარობა მოუპოვებია. ლექსი ყურადღებას იქცევს სახეობრივი თვალსაზრისით, მასში სამი უარყოფითი ძალაა ადამიანის, ამ შემთხვევაში, თვით ავტორის მტანჯველად დასახელებული: სამოელ, მრავალთვალიანი ანგელოზი, ანუ დაცემული ანგელოზი, და ჯოჯოხეთის ბევრ-ათასნი მოციქულნი. ლექსი საზომის მიხედვითაც საყურადღებოა, იგი მაღალი შაირითაა შესრულებული, რითმაც ფერადოვანი და შთამბეჭდავია. უნდა ითქვას, რომ სასულიერო პოეზიაში იშვიათია შაირის საზომის გამოყენება, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მაინც დასტურდება, კერძოდ, ფილიპე ბეთლემელის, გიორგი სინანმიდელის საგალობლები მაღალი შაირითაა შესრულებული.

შალაბანი სულთანი. შალაბანი სულთანის სახელით ცნობილი წარწერებიც „როსტომიანის" გავლენას განიცდის, რის გამოც დიდია ამ წარწერათა მნიშვნელობა „როსტომიანის" შესასწავლად. სამწუხაროდ, უცნობია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ უცნაური სახელის მქონე ქალი. ერთი კი ფაქტია, მონასტერში ისიც იძულებით უნდა ყოფილიყო მიყვანილი. შ. ონიანის დაკვირვებით, იგი შეიძლება თუმიან გოჯიშვილის თანამედროვე ყოფილიყო, რადგან მის მიერ შესრულებული წარწერა შალაბანის წარწერის შემდეგაა შესრულებული. წარწერა ცუდად იკითხება, მაგრამ მცირეოდენი ნაწილის ამოკითხვა მაინც შესაძლებელია:

„ცხენიდალმე დავარდნილი დაბნედილი სულთქმით ნახე,
ფალავანთა ნათესავო, შვილო მოგკალ თავსა მზრახე,
ანდამატო მკერდ-მკლავითა მზე მთვარესა შეგასახე,
მუზარადი, ტახტ-გვირგვინი სხვა შენთანა ვერვინ ვნახე.

86 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 172.

87 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების..., გვ. 36.

დამიწერიან ეს შაირი შბნისულთანს, ვინც წაიკითხავთ, იტყოდით: ღმერთო, უცოცხლე ყოველი."

შაღაბანის ლექს-წარწერის ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ იგი მაღალი შაირით შესრულებული სტროფია, რაც იმისკენ გვიბიძგებს, რომ სტროფის ავტორი თუ მთარგმნელი რუსთველის ეპიგონად მივიჩნიოთ. წარწერის ბოლოს მოთავსებული ფრაზა კი – „ღმერთო, უცოცხლე ყოველი" – ერთგვარი დალოცვაა, რომელიც შაღაბანის ოჯახის წევრთა დალოცვად უნდა გავიაზროთ; ასეთი დალოცვები ფორმულად ჩამოყალიბებული ჩანს ხელნაწერთა მინაწერებში და კედელზე წარწერილიც ამ ტრადიციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

შაღაბანის მიერ ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე წარწერილ სტროფს შ. ონიანმა პარალელი თუ წყარო მოუძებნა სპარსულიდან თარგმნილი პოემიდან – „როსტომიანიდან":

„ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნედილი სულთქმით ახავს,
„ფალავანთა ნათესაო, შვილო, მოგკალ!" – ამას ზრახავს,
ანდამატო მკერდ-მკლავითა, მთვარე-მზისა შუქი გახახავს!
მუზარადი, ტახტ-გვირგვინი სხვას შენებრსა ვისღა ნახავს!"

„როსტომიანის" ეს ეპიზოდი ასახავს როსტომის მიერ გოდერძის წარგზავნას მეფე ქექაოზთან, რათა მას მოწამლული ზურაბის განსაკურნებლად წამალი გაეგზავნა. ქექაოზის უარის მიღების შემდეგ როსტომი თავად წავიდა წამლისთვის, მაგრამ გზაში უთხრეს, რომ მისი შვილი ზურაბი გარდაცვლილიყო და წამალიც აღარ სჭირდებოდათ. როსტომი უზომო მწუხარებამ მოიცვა. სწორედ ეს ეპიზოდია ასახული დამოწმებულ სტროფში. შაღაბანის მიერ წარწერილი სტროფის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმით განისაზღვრება, რომ იგი არის ერთ-ერთი პირველი ცნობა XV-XVI საუკუნეთა მიჯნიდან „როსტომიანის" ქართულ ენაზე არსებობის შესახებ. ამ თხზულების თარგმანის ხელნაწერები XVII საუკუნეზე ადრინდელი არაა, ხოლო XVI საუკუნეზე ადრე თხზულება არც იხსენიება ქართულ ლიტერატურულ წყაროებში. რაც შეეხება პერსონაჟს – როსტომს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იგი „ვეფხისტყაოსანში" იხსენიება.

ანა რჩეულაშვილი. ანა რჩეულაშვილის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების მოპოვება შესაძლებელი ხდება ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების საშუალებით. ვ. ცისკარიშვილის დაკვირვებით, ორ წარწერაში მისი შემსრულებელი მხოლოდ სახელითაა მოხსენიებული – ანა, ერთში – ანა რჩეულაშვილად, ერთშიც – ანა რჩეულაძედ. წარწერათა ხელი კიდეც განსხვავდება ერთმანეთისგან და კიდეც ჰგავს, ამიტომ ბოლომდე ნათელი არაა, ამ წარწერათა შემსრულებელი ერთი და იგივე პირი არის თუ არა.

როდინდელი შეიძლება იყოს ეს წარწერები? ვანის ქვაბთა ერთ-ერთ წარწერაში ანა რჩეულაშვილი ამბობს: „ოცი ოთხშაფ[ათი]მა შემომიწირავს ზაფხულსა დღეთა"[88]; მეორეგან კი ასეთი წარწერაა: „საუკუნოს დამდეგ ოცი ოთხშაფათი, პარასკევი მარხვა შემომიწირავს"[89]. ამ წარწერის ერთ-ერთი მკვლევარი შერმადინ ონიანი აღნიშნავს, რომ საუკუნის დამდეგად უნდა ვიგულისხმოთ XVI საუკუნის დამდეგი, რადგან XVII საუკუნის დამდეგს აქ მონასტერი უკვე აღარ არსებობდა, ხოლო წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით XV საუკუნის დასაწყისისა არ არის; ამიტომ იგი უთუოდ XVI საუკუნის დამდეგს უნდა გულისხმობდეს[90]. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის, რომ ანა რჩეულაშვილის წარწერები შესრულებულია XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დამდეგს. ზემოხსენებული წარწერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ წარწერები ანა რჩეულაშვილს შეუსრულებია XVI საუკუნის დამდეგს, ვფიქრობ, უფრო ზუსტადაც შეიძლება ითქვას, რაკი ზაფხულის ოცი ოთხშაბათი შეუწირავს, მას ეს წარწერა 1501 წელს უნდა შეესრულებინა.

ბიოგრაფიული მონაცემები ანა რჩეულაშვილის შესახებ ვიცით მხოლოდ კედელზე წარწერილი მისი ლექსების მიხედვით, ჩანს, იგი იძულებით გადაუყვანიათ ვანის ქვაბთა მონასტერში და ამის

88 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 175.

89 იქვე, გვ. 176.

90 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 37.

გამო ხშირად უჩივის თავის უიმედო, მძიმე სულიერ მდგომარეობას. გაურკვეველია, რა იყო მისი მონასტერში გადაყვანის მიზეზი; პირდაპირ არც ის ჩანს, რა სტატუსით იმყოფებოდა იგი მონასტერში. მის წარწერებზე დაკვირვებით შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ მას ჰყოლია და, ძმა, რძალი, რომლებიც ძლიერ ჰყვარებია და რომლებთან განშორება მას ძალიან გასჭირვებია. მონასტრის პირობები მისთვის მძიმე ყოფილა, რასაც წუხილით აღნიშნავს კიდეც: „რა ვქნა მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად ქმნილ. შევზარებივარ სიკვდილსა შემაძრწუნებელსა"[91]. „შავში" შესაძლოა შავი სამოსელი, სამონაზვნო სამოსელი იგულისხმებოდეს, თუმცა ამის გადაჭრით თქმა მაინც ძნელია. შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ავტორი „შავში" შავ ბედს გულისხმობდეს, რადგან მისი წარწერები ძირითადად უძლიერეს პირადულ განცდათა შედეგადაა გაკეთებული. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ იცის წმინდან ქალთა ხატ-სახეები, რომელთაც ამქვეყნიური ცხოვრების სიამენი არ მიაჩნია ადამიანის უმთავრეს მიზანდასახულობად; შეიძლებოდა წმ. ნინოს, წმ. შუშანიკ დედოფლის, გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟის ფებრონიას ხატ-სახეთა დამოწმება, რათა ნათლად წარმოგვედგინა მათი სწრაფვა სულიერებისაკენ.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე წარწერილ ტექსტებს შორის შემონახულია ანა რჩეულაშვილის ბიოგრაფიული შინაარსის მომცველი წარწერები. ერთ წარწერაში ანა რჩეულაშვილი ახსენებს თავის გვარს. წარწერა მოიცავს გოდებას საკუთარი სავალალო ხვედრის გამო: „ქ... შენ... ცაზადი (?) და დაფარულია. რა ვქნა მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად, და ქ... ლა შევზარებივარ სიკუდილსა შემაძრწუნებელსა. გულა ანასა უშუელე ცოდვილსა. შენ იწყენ მისი სული ყუელაწმიდაო დედოფალო, მიშუელე შენისა ძისა სიყუარულსა. ღარიბსა. ოცი ოთხშაათმა (?) შემოინირავს ზაფხულისა დღეთა. ჩემადაღ... ანა (?) რა ცა დღენი მესახნესა ეგათისა შენისა წყალობითა. თავი ჴელთა არა მქონდესა. როდეცა (?) მაქა (?) გაგითება (?) მიშუელე რასამე. დამიწერია მე რჩეულასშვილსა ანასა ეკენისა თუესა დამალვასა"[92].

მეორე წარწერაში ანა რჩეულაძედ გვაცნობს თავს, ეს წარწერაც გოდებას მოიცავს: „ქ უხწნელო ღმრთობისა ხატო შემიბრალე... სულ საუკუნოსა დამდეგა ოცი ოთხშაფათი, პარასკევი მარხვა შემომიწირავს. სადამდი ცოცხალი ვარ, პურისა თავთავი ჴელთ მაქუს შენისა წყალობითა, დამიწერია მე რჩეულაძესა ანასა. სხუა არასა ღირს ვიყავ შემეწირა მასავე თვისავე მივაჭირვე მარხულმა. ორმოც-ორმოც მუჴლსა მოგადებ. შეიწირე ღმრთობისა ხატო, თუ რამე მეშუელებისა რაცა შემიწირავს ისრე გაუთავებ ამა მარხვას გარეთა"[93]. ამ მინაწერებიდან ჩანს, რომ ანა რჩეულაშვილი ღრმად მორწმუნე ყოფილა და ლიტურგიულ წესებს იცავდა. თან იმედოვნებდა, რომ მარხვისა და სხვა ლიტურგიული წესების აღსრულების შედეგად, იქნებ, საშველი დასდგომოდა. რას გულისხმობს ანა სიტყვებში „თუ რამე მეშუელებისა", ძნელი სავარაუდებელია.

„ვეფხისტყაოსნის" ორი სტროფის ანა რჩეულაშვილისეული ვარიანტი. ანა რჩეულაშვილის ხელით შესრულებულ წარწერებში სამი ლექსია, ერთი კი რიტმულ ტექსტს მოიცავს, თუმცა ცუდად იკითხება და ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ლექსის ფორმა აქვს თუ არა. სამი ლექსიდან ერთ-ერთი წარწერა „ვეფხისტყაოსნის" ორ სტროფს მოიცავს, რასაც რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წარწერა გაკვრით მოუხსენიებია კოლა ესმაშვილს 1936 წელს, 1944 წელს ნაუკითხავს ილია აბულაძეს; 1954 წელს ვანის ქვაბთა მონასტრის სხვა წარწერებთან ერთად გამოსცა ვ. ცისკარიშვილმა[94], თავისი წაკითხვა შემოგვთავაზა და ტექსტოლოგიურად განიხილა შერმადინ ონიანმა[95].

XV-XVI საუკუნეებში მონასტრის კედელზე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის წარწერა, ცხადია, მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა რუსთველოლოგიისათვის. უნინარეს ყოვლისა, იგი ბერთის

91 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 175; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 35.

92 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 175.

93 იქვე, გვ. 176.

94 იქვე, გვ. 167-180.

95 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების ..., გვ. 287.

სახარების მინაწერთან[96] ერთად უძველესია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ხელნაწერთა შორის. მეორე მხრივ, შოთა რუსთველის პოემას, სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, სასულიერო წოდების წარმომადგენლები დევნიდნენ. მონასტრის კედელზე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის წარწერა კი საწინააღმდეგოს მტკიცების საფუძველს ქმნის.

ვ. ცისკარიშვილისა და შ. ონიანის დაკვირვებით, მხედრულით შესრულებული წარწერა XV საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს და ხელის მიხედვით იგი ანა რჩეულაშვილს უნდა ეკუთვნოდეს. წარწერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერი, ფრაგმენტის სახით მოღწეული ჩვენამდე, ილია აბულაძის მიერ XVI საუკუნის მიწურულითაა დათარიღებული[97], ხოლო ჭვირნიშნების გათვალისწინებით სარგის ცაიშვილის მიერ – XVI–XVII საუკუნეების მიჯნით[98]. ვანის ქვაბების წარწერის მიხედვით კი მთელი საუკუნით ადრე დასტურდება შოთა რუსთველის პოემის ტექსტი, რაც მისი გავრცელების ქრონოლოგიურ არეალს ზრდის. ეს აღნიშნული აქვთ ვ. ცისკარიშვილს, კ. კეკელიძესა და ა. შანიძეს, ხოლო საგანგებოდ განხილულია შ. ონიანის შრომაში. აქვე უნდა ითქვას ა. შანიძის მიერ ბერთის ოთხთავზე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მინაწერის დათარიღების შესახებ, რომელიც შესრულებულია სასულიერო პირის, ვინმე ცოდვილი იორდანეს მიერ. ესაა შემდეგი ტაეპი: „მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქს სიყვარულსა" (1045). თვით ბერთის სახარება ეტრატზე გადაწერილი X საუკუნის ხელნაწერია, რომელიც ყარსიდან გაუტანიათ ამერიკაში XIX საუკუნის შუა წლებში. მინაწერი აკაკი შანიძემ ხელის მიხედვით XV საუკუნით დაათარიღა[99].

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე ანა რჩეულაშვილის ხელით წარწერილია ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის მიერ მიჯნურისათვის მიწერილი წერილის ორი სტროფი, რომლებიც წარწერის შემოქმედის სულიერ მდგომარეობას რუსთველის პოემის პერსონაჟის სიტყვებით გვამცნობს. შერმადინ ონიანმა დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ 1. როგორ არის შემონახული წარწერაში „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი და რა მიმართებაშია იგი დღემდე ცნობილ ხელნაწერულ მონაცემებთან; 2. ორი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან" წარწერილია მონასტრის კედელზე მონაზონი ქალის ხელით, რაც საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს[100]. ჯერ დავიმოწმებთ ვ. ცისკარიშვილისა და კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტს ვანის ქვაბთა მონასტრიდან:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თუალნი ძლივ შემომცდება,
გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგნი ნობადსა არა დაცდება.
მათსა შემბმელსა დაჭოცენ, ცეცხლებრ მოედებიან,
ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედან სხვათა მებრძოლთა წესითა,
ნურცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა,
დამთმეთა, დაგთმობ...

მცირედ განსხვავდება შერმადინ ონიანის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი:

ქ. ციხეს ვზი ეზო მაღალსა თუ(ა)ლნი ძლივ შემომცდება,

96 აკაკი შანიძემ შეისწავლა ეს მინაწერი და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი XV საუკუნეში უნდა იყოს წარწერილი ხელნაწერზე (*შანიძე 1956: 016–017*).

97 ილ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის" ახლად მიკვლეული უძველესი (XVIს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, ჟ. „მაცნე", 1964, № 3, გვ. 142-150.

98 „ვეფხისტყაოსნის" ახალციხური ხელნაწერის ფრაგმენტი ახალციხის ისტორიულ მუზეუმში 1963 წელს აღმოაჩინა ილია აბულაძემ, რომელმაც შეისწავლა იგი სამეცნიერო ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVIს) ხელნაწერის ფრაგმენტი", ჟ. „მაცნე", 1964, № 3, გვ. 142-150. ახალციხური ხელნაწერი რედაქციული თვალსაზრისით შეისწავლა სარგის ცაიშვილმა, რომელმაც იგი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა პირველ ჯგუფს, მოკლე რედაქციის ჯგუფს, მიაკუთვნა და დაადგინა, რომ მოკლე რედაქციის ეს ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა უძველეს ფენას განეკუთვნება. იხ.: ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 211-212; 386-387.

99 ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თბ., 1956, გვ. 016-017.

100 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 287.

გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგნ(ი) ნაბადსა არ დაცდება,
მათსა შემბელსა დაჭოცენ, ცეცხლურებრ მოედებ(ი)ან,
ჩემო ნუ მოხვალ ჩემზედა სხუა(ა)თა მებრძოლთა წ(ე)სითა,
ნურცა მე მომკლ(ა) ჭირითა ამისგან უარესითა,
დამთმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა.

შ. ონიანმა ვანის ქვაბის მონასტრის წარწერის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ სტროფების დაყოფის პრინციპთან დაკავშირებით გააკეთა შენიშვნა, მისი დაკვირვებით, სტროფები ერთმანეთისაგან საგანგებოდ გამოყოფილია პატარა ჰორიზონტალური ხაზით.

შესადარებლად დავიმოწმებ „ვეფხისტყაოსნის“ აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით მომზადებული ვარიანტებიანი გამოცემის ტექსტს:

ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა-დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.
ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კეკესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა კლდისაცა უმაგრესითა! (1300-1301).

შ. ონიანმა კედელზე წარწერილი სტროფების მონაცემები შეუდარა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უძველესი რედაქციის რამდენიმე ხელნაწერს და შედარება-შეჯერების საფუძველზე დაასკვნა: „წარწერაში მოყვანილი ტექსტი ძირითადად სანდოა და მომდინარეობს XV საუკუნეში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერიდან. მისი წაკითხვები დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ხელნაწერებში, როგორებიცაა მაგალითად H-599, S-2829, AA-363 და სხვა. ამ მხრივ განსაკუთრებით ახლოდგას წარწერასთან H-599, ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ H-599 ხელნაწერში მოცემული ტექსტი მომდინარეობს საუკუნეთა სიღრმიდან“[101]. აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტსა და კედელზე წარწერილ ორ სტროფზე დაკვირვება მკვლევარს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ცვლილება ადრევე დაწყებულა[102]. წარწერა მხედრულითაა შესრულებული და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან შედარება თვალნათლივ აჩვენებს, რომ იგი შეცვლილი სახითაა წარწერილი, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ წარწერის შემსრულებელს იგი ისე დაუწერია, როგორც ახსოვდა. შ. ონიანმა კედლის წარწერის გათვალისწინებით ერთი სტროფის ტექსტიც დაადგინა და თავისი ვარიანტი შესთავაზა დაინტერესებულ მკვლევარსა და საზოგადოებას.

ვიმოწმებთ შ. ონიანის მიერ დადგენილ ტექსტს ანა რჩეულაშვილისეული ვარიანტის გათვალისწინებით:

ციხეს ვზი ე ზ ო მ მაღალსა, თვალნი ძლივ შ ე მ ო სწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მ ა ს ზ ე დ ა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შ ე მ ბ მ ე ლ თ ა დაჰხოცენ, ც ე ც ხ ლ უ რ ე ბ მოედებიან.

ვფიქრობ, რომ ვანის ქვაბთა წარწერის გათვალისწინებით ტექსტის დადგენა მეცნიერულად სწორი არ უნდა იყოს, რადგან წარწერა ანა რჩეულაშვილის მიერ ზეპირად არის შესრულებული.

შ. ონიანი „ვეფხისტყაოსნის“ ამ წარწერის მიხედვით მეორე პრობლემასაც შეეხო; კერძოდ, განიხილა, თუ როგორ აფასებდნენ პოემას სასულიერო პირები. მან ყურადღება გაამახვილა ორ

101 შ. ონიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი, გვ. 291.

102 იქვე, გვ. 291.

ფაქტზე: ვანის ქვაბების მონასტრის კედლებზე შესრულებულ წარწერაზე, როგორც მონასტრის სივრცეში გაკეთებულ წარწერაზე, და ბერთის სახარებაზე შესრულებულ მინაწერზე. მისი სიტყვით: „მონასტერი და სახარება ყველაზე წმიდათა წმიდაა მორწმუნეთათვის. სასულიერო პირებს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები მიუწერიათ მონასტრის კედელზეც და სახარებაზეც“[103]. მისივე დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლა იდეური ბრძოლის ფარგლებს არ გასცილებია და მას ბარბაროსული ხასიათი არ მიუღია: „ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერა, ბერთის სახარების მინაწერთან ერთად, მაჩვენებელია იმ დიდი პოპულარობისა, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ სარგებლობდა არა მარტო საერო პირებში, არამედ სასულიერო პირებშიც, მიუხედავად იმისა, რომ კლერიკალური საზოგადოება ამ პოემის წინააღმდეგ ეწეოდა მწვავე იდეურ ბრძოლას“[104].

კვლევის შემდგომ ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურაში შეიცვალა დამოკიდებულება სასულიერო წრეების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დევნის პრობლემისადმი. აღიარებულია, რომ დევნა მხოლოდ კონკრეტულ პირთა მხრიდან იყო და არა საერთოდ სასულიერო წრეების მხრიდან. კერძოდ, ზ. გამსახურდიას ნაშრომში „რუსთველი და ანტონ I“ განხილულია ანტონის დამოკიდებულება შოთა რუსთველისა და მისი პოემისადმი. მან არგუმენტირებულად მოუხსნა ანტონ კათალიკოსს ორი საუკუნის მანძილზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ბრალდება რუსთველისა და მისი პოემის ქრისტიანული არსის გააზრების გაყალბების შესახებ[105]. ამიტომ ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფის წარწერაც ანა რჩეულაშვილის მიერ თუ ერთი მხრივ, შეიძლება მხოლოდ მისი პიროვნული განცდების გამოხატულებად მივიჩნიოთ, მეორე მხრივ, წარწერა ადასტურებს, რომ რუსთველის თხზულება სასულიერო წრეების მიერ არ იდევნებოდა, რადგან იგი ტაძრის კედელზეა წარწერილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლა მცირერიცხოვან სასულიერო პირთა ფარგლებს არ გასცილებია და მას ბარბაროსული ხასიათი არ მიუღია. ქალი, რომელიც იძულებით ჩანს შემონაზვნებული, შვებას სწორედ „ვეფხისტყაოსანში“ პოვებს და მისით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. იგი თავისი თავის გამოვლენას „ვეფხისტყაოსნით“ ცდილობს, საკუთარ ფიქრთა და განცდათა საუკეთესო გამომხატველად რუსთველის პოემას მიიჩნევს, რითაც ქალის სოციალური სტატუსის შესახებ თავისი ეპოქის სულისკვეთებასაც გვამცნობს.

ანა რჩეულაშვილის მაცხოვრის ხატისადმი მიძღვნილი საგალობელი. ანა რჩეულაშვილის ხელით წარწერილი მეორე ლექსის ტექსტის წაკითხვა დაზიანების გამო ძნელდება. შ. ონიანი ფიქრობს, რომ არც ეს ლექსი უნდა იყოს წარწერის გამკეთებლის მიერ დაწერილი; მისი აზრით, ავტორი სხვაა, ანას იგი ზეპირად წაუწერია კედელზე[106]. ლექსი მაცხოვრის ხატს ეძღვნება. ჯერ დავიმოწმებ ვ. ცისკარიშვილის მიერ პროზაულად გამოქვეყნებულ ტექსტს: „ღმრთობისა ხატო ფრიად... ცოდვილსა ანას შეუნდნესა ღმერთმა, იმისა დედმამათაცა შეუნდოს ღმერთმა. ვტ (?) წაიკითხოს შენდობა უბძანეთა, თქუენცა შეგინდოს ღმერთმა. ქ ფრიად ცოდვილისა ომარ ჴელელსა დეკანოზის შვილსა ლუკას შეუნდოს ღმერთმან. და ვინც შენდობა ბრძანოთ თქუენც შეგინდვნეს ღმერთმან ამინ. საბღ... შემახუენო მწყალობელო თუალფერათო ზალუმადაი (?) გათქმულონი სახეი ზალმადი გათქმულო ღმრთობისა ხატო შენი ჭირიმე ბატონო დიდებულო ღმრთობისა ხატო მე შენ სახელხსენებასა სადაღარასა ვარ კურთხეულ ხარ დიდებულო ღმრთობისა ხატო... მილსება საბრალ... საუკუნო... შელვ სააქოსა შემახ საბრალო ვარ, რას... გეხეწ... დღისა არცა მე მოგიდება რომე დალოდე (?) თუ... მა... ევასო მერე გეხუეწეები ისი და დავსლს თქუმანა ქ ღმრთობისა ხატო შენისა მრავალმოწყალებისა მადლსა შემიხუეწე მონა შენი ანა. უშველე ანას რ... უბან“[107]. ტექსტიდან ერთი მონაკვეთი შ. ონიანმა ლექსის ფორმით გამოაქვეყნა:

103 იქვე, გვ. 292.

104 შ. ონიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი, გვ. 293.

105 ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.

106 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 37-38.

107 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 177-178.

ქრისტე ღმერთო,
საბრალოთა
შემახვეწო,
თვალფერთაო,
ზღუდ განთქმულო
შენი სახე
ზღუდ განთქმულო
ღმრთობის ხატო!
შენი ჭირი
მე, ბატონი,
ღმრთობის ხატო!
მე შენს სახელ-
ხსენებასა
სადა ღირს ვარ,
კურთხეულ ხარ
დიდებულო
ღმრთობის ხატო!

საგალობელი თორმეტმარცვლიანი იამბიკოს ფორმითაა დაწერილი, მაგრამ მასში 60 მარცვალზე მეტია, 68 მარცვალია, ხოლო იამბიკოში, ტრადიციისამებრ, 60 მარცვალია („ყოველსა მუჴლსა ჲ „შეტყუება“ აქუს: ე-ჯერ იბ“ – მიქაელ მოდრეკილი), იგი რიტმულად მონესრიგებულია, რიტმულობა ამ იამბიკოს ლექსად აღქმის საფუძველს ქმნის. კლასიკური იამბიკოსაგან განსხვავებით, რომლის ტაეპი ცეზურით ორ ნაწილად იყოფა, 5+7 ან 7+5 მარცვლით თითოეულ მუხლში, ანა რჩეულაშვილის იამბიკოს ყოველ ტაეპში, მართალია, 12 მარცვალია, მაგრამ ცეზურით არ არის დაყოფილი ისე, როგორც კლასიკურ იამბიკოს ახასიათებს, ანუ ცეზურა არ მოდის 5 ან 7 მარცვლის შემდეგ; განსახილველი იამბიკოს ტაეპში გამოიყოფა სამი მუხლი, თითოეულში ოთხი მარცვლით. ამიტომ მას ფორმით კლასიკურ იამბიკოდ ვერ მივიჩნევთ. ტექსტი ფორმის თვალსაზრისით შეიძლება ასე დალაგდეს:

ქრისტე ღმერთო, საბრალოთა
შემახვეწო, თვალფერთაო, ზღუდ განთქმულო
შენი სახე ზღუდ განთქმულო ღმრთობის ხატო!
შენი ჭირი მე, ბატონო, ღმრთობის ხატო!
მე შენს სახელხსენებასა სადა ღირს ვარ,
კურთხეულ ხარ დიდებულო ღმრთობის ხატო!

შ. ონიანი იამბიკოს ანა რჩეულაშვილისად არ მიიჩნევს. იამბიკოს დამოწმებული ტექსტი ზუსტი არაა, რადგან კედელზე ძნელად იკითხება. მისი აზრით, მასში ზოგჯერ გაუგებარი სიტყვებია, ზოგან აზრი დაუსრულებელია, ზოგან წინადადებას შემასმენელი აკლია. იგი ვარაუდობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის მსგავსად, ეს იამბიკოც ზეპირად მიუწერია კედელზე და უზუსტობებიც ამით უნდა აიხსნას. მისივე აზრით, ტექსტი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით XIV–XV საუკუნეებში, რადგან მასში გამოყენებულია სიტყვა „ბატონი“, რომელიც ამ დრომდე არაა მოსალოდნელი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, ვანის ქვაბთა განგების მინაწერების მიხედვით, საგალობელში მოხსენიებული ღვთაების ხატი ამ მონასტერში XIV საუკუნემდე არ ჩანს. ზემოთ დამოწმებული ტექსტი დადგენილია შინაარსობრივი თვალსაზრისით.

„ვაი გარჯილო ამა სოფელსა“. მესამე ლექსის ავტორად შ. ონიანის მიერ ანა რჩეულაშვილია მიჩნეული[108]. ეს ლექსი ავტორის გოდებაა, ასახავს ავტორის მძიმე სულიერ მდგომარეობას, რადგან მონასტერი მისთვის სასჯელი ყოფილა და წუთისოფლით ვერ გაუხარია. იგი გულისტკივილით ჩივის

108 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 38.

გაუხარელ ცხოვრებაზე, იმაზე, რომ დამტირებელი არავინ ეყოლება, ღმერთსა და წამკითხველს შესთხოვს მიტევებასა და შენდობას, წამკითხველსაც ღვთისაგან შენდობას უსურვებს.

წარწერა ვ. ცისკარიშვილმა პროზაულად დაბეჭდა: „ქ. ვაი გარჯილო ამა სოფელსა მოსაყდრათ გადგას (?) აბავაჩია არასა ასამა საცა ღიბბანი საბრალომ ანამ გარდავიჯადე ანა გარდასავალით სამსა დღესა დავაჯადე ვაება, ვერ დავალ, ვერცა გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა, ვერცა დითა, ვერცა რძლითა. გაუხარელი მოვკუდე გაუხარელთა. მომაუქუთ მიტირეთ თავადა, ვინ არსა ჩემი დამტირებელი. ვინცა წაიკითხოთ შენდობა მიბძანეთა. თქუენცა შეგინდოს ღმერთმა, საბრალოსა ანას შენდობა უბძანეთ“[109].

შ. ონიანმა აქედან ამოიღო ლექსის ფორმით დაწერილი მონაკვეთი:

ქ. ვაი გარჯილო
ამა სოფელსა
მოსაყდრათ გადგა
ამბა ვაჩია
არვის ასმია
საცა ღიბბანი
საბრალომ ანამ
გარდავიჯადე,
ან გარდასავლით
სამასსა დღესა
დავჯედ ვაებად
ვერ დავალ, ვერცა
გავიხარე სმით,
ვერცა ჭამითა,
ვერცა ჩაცმითა,
ვერცა ძმითა,
ვერცა დითა,
ვერცა რძლითა.

წარწერა კიდევ გრძელდება, მაგრამ შ. ონიანს იგი ლექსად აღარ დაულაგებია, პროზაულად დაბეჭდა, იგი ლექსი არცაა, რაშიც ვრწმუნდებით ტექსტის გაცნობისას: „გაუხარელი მოვკვდე გაუხარელად. მომაუქუთ, მიტირეთ თავად, ვინ არის ჩემი დამტირებელი? ვინცა წაიკითხოთ, შენდობა მიბრძანეთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმა. საბრალოს ანას შენდობა უბრძანეთ“[110]. როგორც ჩანს, ლექსი დაწერილია ანას მონასტერში გადაყვანიდან მალე, რადგან აქ დასახელებულია სამასი დღე: „ან გარდასავლით სამასსა დღესა დავჯედ ვაებად“.

შ. ონიანის მიერ ლექსის ფორმით დაბეჭდილი მონაკვეთი წარწერისა მკვლევარმა ხუთმარცვლიანი საზომით დაწერილად მიიჩნია, გამონაკლისი ბოლო სამი სტრიქონია, რომელშიც ოთხ-ოთხი მარცვალია. ლექსს მანვე ფორმის თვალსაზრისით მოუძებნა პარალელად ილია აბულაძის მიერ X საუკუნის ხელნაწერში ამოკითხული ლექსი:

მე მიქელ მღვდელმან
ზეკეპე ბერმან,
ქვაბისა შვილმან,
ბერთას აღზრდილმან
ესე წმიდაჲ
პავლე მოვიგე[111].

109 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 174.

110 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 38.

111 იქვე, გვ. 38.

ანა რჩეულაშვილის ეს ლექსი ფორმის თვალსაზრისით ოცმარცვლიანი ფისტიკაურ-ძაგნაკორულითაა შესრულებული, მასში ოთხი ხუთმარცვლიანი მუხლი გამოიყოფა, ბოლო ორ ტაეპში მცირეოდენი გადაცდომაა, მეოთხე ტაეპში 19 მარცვალია, ბოლო კი რვამარცვლიანი. იგი ასე შეიძლება ასე დალაგდეს:

ვაი გარჯილო ამა სოფელსა მოსაყდრათ გადგა ამბა ვაჩია
არვის ასმია საცა ღიბბანი საბრალომ ანამ გარდავიკადე,
ან გარდასავლით სამასსა დღესა დავჯედ ვაებად ვერ დავალ, ვერცა
გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა,
ვერცა დითა, ვერცა რძლითა.

ლექსი ადასტურებს იმას, რომ ანა რჩეულაშვილი დიდი ოჯახიდან ყოფილა, მას ჰყოლია და, ძმა, რძალი, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო იგი ოჯახთან დაუშორებიათ და მონასტერში გადაუყვანიათ. ლექსი მისი ავტორის ღრმა და მძაფრ განცდებს გადმოსცემს, რითაც წარმოდგენა გეექმნება მის მდგომარეობაზე, მისწრაფებაზე ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობისაკენ, ცხოვრებისაგან გაუხარელი, გულდაწყვეტილი ავტორი მოთქვამს იმის გამო, რომ დამტირებელი არავინ ეგულება. მონასტერში ახალგაზრდა ქალის გადაყვანის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო პირად ცხოვრებაში მომხდარი ტრაგედია, რადგან მონასტერში იძულებით მყოფი ქალი, როგორც ჩანს, მიუხედავად გვაროვნული ჩამომავლობისა, – იგი დიდგვაროვანთა წარმომადგენელია, – სოციალურ დაუცველობას, კერძოდ, ქალის სოციალური სტატუსის დაუცველობას განიცდის. მართალია, ეს არაა აღნიშნული მის მიერ წარნერილ ლექს-წარწერებში, მაგრამ მათი შინაარსობრივი განხილვა გვარწმუნებს, რომ ქალის სოციალური სტატუსი საკმაოდ დამცრობილია და ის, რაც მამაკაცს ეპატიება და რის გამოც მამაკაცი არ ისჯება, ქალს არ ეპატიება და იგი ისჯება. ამიტომ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს ამ მხრივაც ენიჭებათ მნიშვნელობა, ისინი დაგვაფიქრებენ და წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI საუკუნეებში არსებულ გენდერულ პრობლემაზეც.

ამრიგად, ვანის ქვაბთა წარწერებმა ანა რჩეულაშვილის ხელით შემოგვინახა „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ფრაგმენტული ტექსტი, რასაც რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, ჩვენს წინაშე წარმოჩნდა მგრძნობიარე, ცხოვრებით გაუხარელი პოეტური ბუნების მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავის განცდებს სიტყვას ანდობს და ცდილობს თავისი ფარული, მძაფრი გრძნობების კედლის წარწერებში შენახვას.

ხვარამზე. ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე წარწერილია კიდევ ერთი წარწერა, რომელიც იწყება ქანწილით და რომელიც ვინმე ხვარამზეს შეუსრულებია, იგი ლექსი არაა, მაგრამ რადგან ისიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე შესრულებული წარწერაა, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი დამოწმებაც. წარწერა გვამცნობს, რომ ხვარამზე და ვინმე გოზალა ერთმანეთისათვის დაუშორებიათ და ხვარამზე ძალით აღუკვეცავთ მონაზვნად. ყოველივე ამას ტრაგიკული განცდები აღუძრავს ქალში. ისიც იმავე ეპოქის მცხოვრები ჩანს, რომელშიც ცხოვრობდნენ თუმიან გოჯიშვილი, ანა რჩეულაშვილი, გულქან შალიკაშვილი და შაღაბანი სულთანი. მაგრამ თუ ზემოხსენებულმა პირებმა ლექსები წააწერეს კედლებზე, ხვარამზეს წარწერა მხოლოდ ინფორმაციულია და იგი ლექს-წარწერას არ შეიცავს. დავიმოწმებთ ძნელად ამოსაკითხ ამ ტექსტს: „ქ. დამიწერია ივანობისა თუესა მე ბტულიშვილსა ბესიკ ა ქალიშვილისა ხვარამზეს ესე წიგნი. ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზალას ჩემისა და იმის გამყრელობასა, ესეც უნდოდა, ვაიმე თუ ერთმანეთისა სიკვდილის და სულთამოსვლის დროს არა დავხუდეთ.. შეგვიბრალეთ, ღმერთმა გამიგონოს, რომე როდისცა მე და გაცლალა... ბევრი ვიტარეთ ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ. ეს ჩიტ-ლომნი იყვნეს პირველის გა... ნაწერისა ჩიტნი ოქრომტრედნი ... გულთაგან დამდნარსა“[112]. წარწერა მოწმობს მისი შემსრულებლის ტრაგიკულ ხვედრს, რასაც ძლიერ განიცდის ქალი. მას მარტოკას, გოზალას გარეშე, სიკვდილის მოლოდინიც აფრთხობს.

ვანის ქვაბთა მონასტრის მონაზონი ქალები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, თუმცა,

112 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, გვ. 178-179.

